

თამარ გომართული

---

**არასდროს  
დაიბინდება**



თბილისი „მერანი“

1992

წინამდებარე წიგნი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მწერლის, ჟურნალისტისა და თეატრმცოდნის თამარ გომარტელის მეტუთმეტე წიგნია. მასში თავმოყრილია წერილები ძველი თბილისის მგოსან-აშულთა შესახებ, რომელთა სახელებიც ნაკლებადაა ცნობილი. მათ გარკვეული ამაგი დასდეს თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას.

წერილების ერთი ნაწილი ეხება ცნობილ მოღვაწეებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით როგორც მხატვრული ლიტერატურის აღორძინების, ისე თეატრალური კულტურისა და დრამატურჯის განვითარების საქმეში.

## დავით გივიშვილი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის დაბალ ფენებში წარმოიშვნენ ისეთი თვალსაჩინო მგოსნები, როგორებიც იყვნენ გივიშვილი, სკანდარნოვა, ჰაზირა, იეთიმ გურჯი, ბეჩარა და სხვები, მგოსნები, რომლებიც ბესიკის, საიათნოვას, ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა მუხამბაზებზე აღიზარდნენ.

მათ სასიმღერო ლექსებს, ქალაქურ პოეზიას ძლიერ ეტანებოდა დაბალი ფენის ხალხი. ადამიანები გაგონებისთანავე იზებირებდნენ და ითვისებდნენ მათთვის სასურველ აზრებს.

გივიშვილი და სკანდარნოვა დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში, მაგრამ ეს ორი პოეტი ისე წასულა ამ ქვეყნიდან, რომ მათზე სიტყვა არ დაწერილა, თითოეულ მათგანს კი მთელი ნახევარი საუკუნე უმოღვაწია და სხვადასხვა ხასიათის ლექსების კრებულებიც ჰქონიათ გამოცემული.

გივიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა და ისე დაუკრძალავთ, თითქმის არავის შეუტყვია. მგოსანს საოცარი წინასწარმეტყველებით დაუწერია თავის თავზე:

„საფლავიც მჭირდეს, მკვდარსა მდებარეს,  
არვინ მოსძებნოს ჩემთვის საშარე“.

იმ კაცზე, რომელიც ხალხში მწერლობის დაუცხრომელ სიყვარულს ნერგავდა, მასებში საუკეთესო იდეალებს ავრცელებდა და მოძმეთა კეთილი სამსახურისათვის „სიტკბოების ფიალით გული ჰქონდა ავსებული“ — პრესაში ერთი სიტყვაც არ დაბეჭდილა.

დავითი უდაოდ ნიჭიერი კაცი იყო, მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების კარგი მცოდნე. მისი ნაწერები გულს წვდება, გონებას წვრთნის და სულს უსპეტაეებს ადამიანებს.

თავის დროზე მისმა ლექსებმა ბევრს ქართული წერა-კითხვის შესწავლის სურვილი გაუღვიძა და ქართული მწერლობის მუდმივი მკითხველი გახადა.

დავით გივიშვილი ძველი თბილისის პოეტია. მის ლექსებს შე-

იძლება წმინდა ქალაქური ეწოდოს, რადგან ეს ნაწარმოებები ძირითადად მუშა ხალხში იყო გავრცელებული. გივიშვილის ლექსები „მითხარ, მითხარ, რას მემდური“, „ბულბულს“, „ღვინო, კახურო, ვარ შენი მსმელი“, „ერთი წვეთი“, „სამშობლო ენას“, „სასაფლაო“ და მრავალი სხვა, დღესაც იმღერება, თაობიდან თაობას გრამფიფიტით გადმოეცა ქალაქური ჰანგების მარგალიტები: „მითხარ, მითხარ, რას მემდური, შენი სულისა, აღარა მაქვს მოთმინება, მკვლელო გულისა. კარგად იცი, ტყვე ვარ შენი სიყვარულისა. ახსენ ბაგე, გამაგონე ხმა ბულბულისა!“ ანდა: „ღმერთსა ვფიცავ, არას გარგებს ეგ სინაზე, ცეცხლს მიკიდებს შენი ეშხი და სილამაზე. ერთი მითხარ, რა გაწყინე, მივიწყებ რაზე, რად გადადეგ, შე უწყალო, იმ ჩვენ აღთქმაზე“. „მაშ, თუ ჩემი სიჭაბუკე არ გენანება, მოდი, მომკალ შენის ხელით, გაქვს სრული ნება, ჩემთვის დიდი სიხარული იგი იქნება, რომ ეს გული, დათანგული, მით განელდება!..“

ეს სასიმღერო ლექსები თავის რეპერტუარში შეუტანია და გატაცებით ასრულებდა ცნობილი სახალხო მომღერალი მარო თარხნიშვილი.

დავით გივიშვილი ქალაქური ხალხური პოეზიის ერთ-ერთი პიონერთაგანია. მისი ლექსები, გარდა იმისა, რომ ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში სისტემატურად იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში, კერძოდ, გაზეთ „დროებაში“.

სოციალური უსამართლობა, საზოგადოებრივი და ოჯახური მანჯერებანი, ეროვნული დაცემულობა ჩვენს მგოსანს ნათლად ჰქონია შემჩნეული და არაერთხელ გულისტკივილით შეხებია.

„ცხოვრების მწვემსი — ბატონი  
მგელი, ტურა გამხდარა!  
ბოროტის ხე ჰყვავდება,  
სიკეთისა გამხმარა!..“

დავით გივიშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე ხალხში სიკეთის თესვას, ერთობისა და ძმობის განმტკიცებას მონაწილეობა. სიყრმითვე არჩეულ ასპარეზს, ხალხურ მწერლობას, კუბოს კარამდე არ ჩამოშორებია. მის მსოფლმხედველობასა და მრწამსს ნათლად გადმოს-

ცემს ლექსი, რომელიც წინასიტყვაობის მაგივრად წარუძღვარებია ერთი თავისი წიგნისათვის:

„ზოგთ სარჩო აქვთ სახელად,  
ზოგთ მკლავი მტერთ შესაბმელად,  
და მე ეს ჩმახვა მიჩანს  
სახელად და საგონებლად...  
ველი ვნახე ქაღალდითა,  
კალამს ვუქე სეირნობა...  
მე მოეკედები — ეს დარჩება  
და ჩემს სახსოვრად იქნება,  
გივიშვილმა ქვეყანაზედ  
მით ირჩია განდიდება“.

დავით გივიშვილის პირველი პერიოდის ლექსები სატრფიალო და სალხინო შინაარსისაა, შემდეგი დროის განწყობილებები კი საზოგადოების საკვირბოროტო საკითხებს ეხება: „სამშობლო ენას“, „სიმღერა“, „სასაფლაო“, „ბულბულს“, „ერთი წვეთი“ და სხვა მრავალი.

დავით სოლომონის ძე გივიშვილი თბილისის ძველი მოქალაქის ოჯახში დაიბადა 1850 წლის 3 ნოემბერს, ავლაბარში. დავითის დედა გრიგორიანის ქალი ყოფილა, ძველ ქართულ მწერლობაზე აღზრდილი; „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, „საზარება“ თითქმის ზეპირად იცოდა.

დავითი დარჩის მონასტერთან არსებულ კერძო სკოლაში სწავლობდა (მოქართულე ტერტერას უსწავლებია ქართული და სომხური წერა-კითხვა). ყმაწვილს სწავლის შეძენის დიდი სურვილი ჰქონია, მამას კი ნოქრად მიუბარებია საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე ივ. ნაზაროვთან, სადაც დავთრების წარმოებას შეჩვევია და ქართულის კითხვაშიაც გაწაფულა.

სწავლამოწყურებული დავითი მამის ახირებული მიზეზით სკოლის გარეშე დარჩენილა. პოეტი მოთქვამს:

„სწავლა არ მომცა მშობელმა,  
ამით ვარ ცრემლის მფრქვეველი,  
სიცოცხლე გამწარებული  
და ჩემი ბედის მწყვეელი“.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, დავითი მაინც დაწაფებია თვითგანვითარებას. იმხანად ქართული წიგნი სანთლით საძე-

ზარი იყო. სამაგიეროდ, მაშინდელ თბილისში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ბაიათები, ბესიკის, საიათნოვას, ალექსანდრე ჭავჭავაძის მუხამბაზები, რომელთაც დიდი გავლენა მოუხდენია დავით გივიშვილზე.

18 წლის ჭაბუკს გამოჩენილ მგოსანთა მიბაძვით სატრფიალო ლექსების წერა დაუწყია. აკი პირველი ლექსი დაიბეჭდა კიდეც 1872 წელს, ხოლო 1875 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მისი ლექსთა კრებული „მგოსანი“.

შემდეგ წლებში ზედიზედ გამოდის მისი კრებულები. ზოგიერთი მათგანი რამდენჯერმე გამოიცა.

სახალხო მოლექსის, ხალხის ავ-კარგისა და მისი ჭირისა და ლხინის მოზიარისა და მცოდნის, დავით გივიშვილის ლექსები არა მარტო თბილისის ძველ მკვიდრ მოქალაქეთა შორის იყო ცნობილი, არამედ სოფლებშიც გადადიოდა. მღეროდნენ როგორც მესაზანდრეები, ისე ოჯახებში თავშეყრის დროს. მისი წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა და ხალხი მისი მეშვეობით წერა-კითხვას სწავლობდა.

გივიშვილის ზოგიერთი თავისი კრებული რიჟა-ოღლანის ფსევდონიმით გამოუცია. პოეტის კრებულთა შორის ყველაზე პოპულარული ყოფილა: „მგოსანი“, „ბაზარი“, „თარფი“, „თუთიყუში“ და „ქოროლი“. ალბათ ამიტომ იყო, რომ გამომცემლებმა რამდენჯერმე დასტამბეს ეს კრებულები.

დავით გივიშვილს თავისი კალამი ეპოსშიც უცდია, კერძოდ, ზღაპრული თემატიკით გატაცებულა. არაკებისათვის არანაკლებ მადლი შთაუბერავს, ლამაზად ჩამოუქნია და ხალხის საკუთრება ისევ ხალხისათვის დაუბრუნებია.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში დავით გივიშვილს ავლაბრის ქუჩაზე (ჯახეთის ქ. № 8) პატარა ფარდული გაუხსნია, სადაც წმინდა სანთლებსა და თავის ნაწერებს ყიდდა. იგი სადილობისას უეცრად გარდაიცვალა. უმწეოდ დარჩენია ცოლი და ოთხი შვილი.

ამ დროს არ შეიძლება არ გაგახსენდეს მისი გულში ჩამწვდომი სტრიქონები: „დაქანა ვარდი გაფურჩქენილი, გლახ ბულბულმა იწყო გლოვა. ახ, ბულბულო, რისთვის სტირი, გაზაფხული კიდეც მოვა. ვარდი შენი გაფურცლდება, ისევ ისე დამშვენდება: ეგ ტირილი და ეგ მოთქმა ისევ ლხინად შეგაცვლება. შენ დაუშტვენ ისევ ტყბი-

ლად, კისკისითა, ხმითა წვრილად, დაივიწყებ ყოველ ნაღველს, რაკი ნახავ ვარდსა შლილათ. მაგრამ რა ვქმნა, ვარდი ჩემი იგი ველარ ყუვედება. ვერც მზის ცქერით, ვერც ცის ნამით, ველარაფრით აღნოჩნდება. მამე მე მმართვებს გლახ ტირილი, რომ ვარ იმედგადაწყვეტილი. ცრემლი არის უნუგეშო მწუხარების ღვიძლი შვილი!“ ანდა: „მე იგი მწამს, ვინც რომ ძმობა დააწესა ჩვენთვის წესად, თავს გავიხდი აბედათა, ძმა კაცისთვის დასაკვესად. მისი ლხინი — ლხინად მიჩანს, მისი კენესა — ჩემთვის კენესად, ეს არის და ეს იქნება ამ ჩემს გულში დასათესად“.

ერთი ძველი ქალაქელი კაცი იგონებს: „მახსოვს, ერთხელ ჩვენი ოჯახი დაბატოვეს ერთი სომხის ოჯახში. იმ დროს ჩვენსას სტუმრად იყო დავით გივიშვილი. მამაჩემს სთხოვეს თქვენის სტუმრითვე გვეწვიეთო. მამაჩემს ამ სომხის ოჯახში უნდა მოენათლა ახლად შექმნილი ვაჟიშვილი. მამაჩემმა მე და გივიშვილი თან წაგვიყვანა, გივიშვილი ამ ოჯახისათვის უცნობი იყო. ნათლობის შემდეგ გაიმართა სადილი, უწინდებური საზანდრით. ბოლოს ამ ოჯახის უფროსმა, თავისი შვილიშვილის ნათლობით აღფრთოვანებულმა, სუფრაზე საზანდრებთან ერთად სიმღერა დაიწყო. კარგი მომღერალი ჩანდა, თუმცა ხანში შესულიყო. სხვათა შორის ამ მოხუცმა ერთი ლექსი დაიწყო სიმღერით, მაგრამ მეხსიერებამ უღალატა და ბოლოში შედგა. ძალიან წუხდა, რომ ვერ მოიგონა ამ მშვენიერი ლექსის ბოლო სტროფები. ყველას უქებდა ამ ლექსის დაბოლოებას, ძალიან საინტერესოაო. და ბოლოს დაუძახა ერთ თავისიანს, ამა და ამ ოჯახში მიირბინე და სთხოვე ჩემს მაგივრად, დღეს რომ ახალი ლექსების წიგნი გათხოვეთ, ის გამომიგზავნე-თქო. მოხუცი მომღერალი წიგნის მოლოდინში კვლავ იგონებდა დავიწყებული ლექსის ადგილებს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გივიშვილმა სიცილითა და თანაც მოკრძალებით უთხრა მოხუცს: ბიძაჩემო, აბა დაიწყეთ კიდევ ის ლექსი, მე მოგაგონებთ, რაც დაგავიწყდათო. ეს იუკადრისა მოხუცმა და დავითს უპასუხა: შენ საიდან გეცოდინება, როცა მე ჯერ კარგად არ მაქვს შესწავლილი ზეპირადო. დღეს მე ვიყიდე ახალი წიგნი გივიშვილის ლექსებისა, მეზობლიანთ მთხოვეს, მეც ხათრი ვერ გაუუტეხეო. რადგან წიგნის მოტანა დაგვიანდა, გივიშვილმა მოაგონა მოხუცს იმ ლექსის დავიწყებული ადგილები. მოხუცმა გაკვირვებით შეხედა, მერე გაეხარდა და დიდი ზეიმითაც დაასრულა ეს ლექსი. ბოლოს მოხუცმა შენიშნა გივიშვილს: შენ

უფრო კარგად გცოდნია ის ლექსი. ამ დროს მამაჩემი ჩაერია: „ეს ლექსი ამის შეთხზულიაო და თვით არის გივიშვილიო.“

მოხუცი მასპინძელი თურმე ძველი და ახალი ლექსების მცოდნე იყო და თვალ-ყურს ადევნებდა გივიშვილის ლექსებსაც. ძალიან გაუხარდა მისი გაცნობა. დანარჩენი საღამო გივიშვილის ლექსების კითხვას მონაღმრეს. მოხუცი იგონებდა მის ლექსებს, თვით გივიშვილიც უმატებდა შიგადაშიგ გამოტოვებულ სტრიქონებს, რომელიც ჭერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი. ბოლოს გივიშვილმა პატარა ლექსი — სადღეგრძელო უძღვნა ახლად მონათლულს.

ასე რომ, ნათლობა სალიტერატურო-საყონცერტო საღამოდ გადაქცეულა.

მადლიერი ხალხი დღესაც არ ივიწყებს კაცს, რომელმაც თავისი გულის სიმები ხალხისათვის ააქლერა.

1967 წელს მწერალთა კავშირში მოეწყო მისი დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

## გიორგი სკანდაროვა

გიორგი სკანდაროვა ცნობილია, როგორც არა მარტო მუხამბაზების ავტორი, ხალხის საყვარელი მგოსანი, არამედ ჩვენი გამოჩენილი პოეტების ნაწარმოებების შემკრები და გამომცემელი.

მის მიერ შედგენილი კრებულებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „სალხინო საზანდარი“, რომელშიც შეუტანია ალ. ჭავჭავაძის, შიო მეჭიანურის, საიათნოვას, სტეფანე ფერნშაგოვის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, აკ. წერეთელის, რაფ. ერისთავის, დიმ. ბაგრატიონის, ჰაზირას, გივიშვილის, თავისი და სხვა აშულ-მგოსანთა ლექსები, რომლებიც ზეპირად ვრცელდებოდა და ისე გადადიოდა ხალხში ერთი თაობიდან მეორეზე.

სკანდაროვა წიგნის შესავალში ამბობს:

„დასრულდა ორმოცდამეათე წელი,  
რაც შევადგინე ეს საზანდარი,  
მხოლოდ გავსწიე მე შრომა ძნელი,  
ვიდრე მოვაწყვე სრული დავთარი,



ჩვენ საწყალ ხალხის შესაქცევრადა  
სალხინო წიგნი...  
ქველთაგან ქველი სიმღერებია,  
სულ საგანგებოდ შემიღგენია“.

წიგნს მდაბიო მოსახლეობაში დიდი პოპულარობა მოუხვეჭია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ კეთილშობილურმა საქმემ ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთა პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი.

„სალხინო საზანდარი“ პირველად 1861 წელს დაისტამბა, მეხუთედ კი 1911 წელს ათი ათასი ცალის რაოდენობით.

სკანდარნოვამ ბოლო გამოცემასაც თავისებურად ლექსად დაურთო წინასიტყვაობა:

„მე იუბილეს სულ არ ვნატრულობ:  
ჩემი იუბილე თვით აღვასრულე!  
მე ამისათვის არცა ვკეხულობ,  
რაც რო გულ-მედვა, სულ შევასრულე...  
ქველი ავიგე დაუვიწყარი,  
ჩემი ქველია ეს საზანდარი!  
ხალხისთვის ვტოვებ ჩემს სახსოვრადა“.

რაც შეეხება სკანდარნოვას საკუთარ ლექსებს, ენა ქალაქურია, სომხური მიმოქცევით; ზოგიერთი მის სასიმღერო ლექსს დღესაც ალტაცებაში მოჰყავს მსმენელი. ასეთია, მაგალითად, „ორთავ თვალის სინათლე“.

„ორთავ თვალის სინათლე,  
რაზედ მოგიწყენია,  
ბნელსა ვზივარ, განმინათლე  
სანამ დრონი შენია.  
ვარდო, შენ შლას მოველი,  
სიტყვა მაქვს სათხოვნელი,  
ეკალზე ვარ შთობილი,  
ცხარე ცრემლი მდენია“.

ამ ლექსს სკანდარნოვასათვის დიდად გაუთქვამს სახელი. ვინ არ მღეროდა, სად არ მღეროდნენ! ჩვენს გამოჩენილ მსახიობს, ვასო აბაშიძეს, თავის „ჩანგში“ დაუბეჭდავს.

ასევე დიდ მოწონებას იმსახურებდა და ფართოდ იყო გავრცე-

„ღებულის მისი სხვა ლექსებიც: „ქალო, თუ გამჩენი გიყვარს“, „სი-  
რინოზთა ფრენა მე“, „თუმცა მსურს შენი ცნობა“, „პეი, უცნობო  
ფრინველო“, „გულო, რათა ხარ აღელვებული“, „ამ დროში საყვა-  
რელი ჰსჯობს“, „უსამართლოდ ირჩები“, „უშენოდ ვერ გავძლებ“,  
„ჩვენ ვერაფერს ვაგვაშორებს“, „რაკი შენ შემიყვარდი“, „ჩავარდ-  
ნილხარ ეშხის ზღვაში“, „გლეხის და მდიდრის ვითარება“ და სხვა.

სკანდარნოვას კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, საოჯახო მუხამბაზე-  
ბი: „საწყალი კაცის აფთიაქი“, „უსწავლელ ადვოკატს“, „წუთისო-  
ფელს“, „ჩემი თხოვნა“, „დალაქ კაკულას რჩევა“, „მამა-შვილი“,  
„ორთაჰალაში ლოთების ქეიფი“, „ძველი და ახალი დრამა“ და სხვა.

ასევე იპყრობდა მსმენელის ყურადღებას მისი სხვა ლექსებიც:  
„ახალი მოდის კინტოები“, „არ შეგცივდეს საქულაჯან“, „კინტო-  
საქულას შიქასტა და ბაიათები“ და მისივე „სიზმარი და ანდაზე-  
ბი“, სამწუხარო ამბავი სოსო მირზუაძე თათულოვისა“, „სალხინო  
საზანდარი ანუ უქმ-დროების შემაქცევარი“ და სხვადასხვა სიმ-  
ღერების კრებული ძველი და ახალი მწერლობისა.

გიორგი სკანდარნოვას თურქულიდან უთარგმნია „მოლა ნას-  
რედინის ცხოვრება“ და შეუდგენია „საოჯახო სამეცნიერო სიზ-  
მრის ახსნა“.

მოწონებას იმსახურებდა აგრეთვე მისი სატირული ნაწარმოებე-  
ბიც: „აფსუსს, ჩემო ვენახო“, „უნუგეშო ვარდს“, „ქვეყანაზე საქები  
კაცის სინდისია“, „ქერივის სიმღერა“ და სხვ.

თავის ნაწარმოებებში სკანდარნოვას სიმპათიები ქვრივებისაკენ  
ყოფილა მიმართული, გივიშვილი კი ქალწულებს უგალობდა. რასა-  
კვირველია, თბილისის დაბალ წრეებს ასეთი რამეები ახალისებდათ  
და აღელვებდათ, რადგან „ქალწულებისა“ და „ქვრივების“ სახით  
მათ ახალი საპოლემიკო საგანი გასჩენოდათ.

ამ ორი ბოჰემისტი პოეტის პოლემიკაში, თურმე, დიდძალი  
ხალხი ყოფილა ჩაბმული. ისინი ორ ბანაკად, ორ ჯგუფად იყვნენ  
გაყოფილი. ზოგი სკანდარნოვას მიმხრობია, ზოგიც გივიშვილს, ეს  
ლექსები მფრინავ სიმღერებად ქცეულა და მთელ ქალაქს მოსდებია.

ამ ორი მოლექსის პაექრობაში ნათლად მოჩანდა მაშინდელი  
თბილისის ნერვი და ყოველდღიური ცხოვრება. თბილისის ლიტე-  
რატურულ ბაზარში ორივე მგოსნის წიგნებს იტაცებდნენ, კითხუ-  
ლობდნენ, მსჯელობდნენ, იცინოდნენ, კამათობდნენ. ლიტერატუ-

რული პაექრობის ასეთი ფორმა იმ დროის მწერლობისათვის დამახასიათებელი ყოფილა. ისინი პაექრობდნენ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხალხს მოსწონდა. ამით ხელს უწყობდნენ მასებში წიგნის გავრცელების საქმეს.

აი, ასეთ ლექსებს, ამგვარ ხერხებს ხალხში აღუძრავს კითხვის სურვილი. ასე რომ, მათ თავიანთი უცნაური სტილით დაწერილი ლექსებით „ანბანი“ შეუტანიათ ქალაქის მოსახლეობაში — ხელოსნებში, შეგირდებში, ნოქრებში.

გივიშვილისა და სკანდაროვას წიგნებში მკაფიოდაა აღბეჭდილი ბაზრის ყოველი წვრილმანი, მისი ნიუანსები, ყოველდღიურობა და... ბაზარსაც წრფელი სიყვარულით ჰყვარებია თავისი მგოსნები.

ასეთ პოეტებს მრავალი კარგი და უვარგისი მიმბაძველიც გამოუჩნდა. მათ საკუთარი წიგნებიც კი ჰქონიათ დაბეჭდილი. ერთი სიტყვით, ვისაც შეეძლო წიგნის კითხვა და ლექსის დასწავლა, თავის თავს მოვალედ თვლიდა სკანდაროვასათვის წაებაძა და გივიშვილივით ეწერა.

გიორგი ივანეს ძე სკანდაროვა სომეხი იყო. დაიბადა 1854 წლის 6 მარტს და გარდაიცვალა 1917 წლის 10 აპრილს. სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში. იგი ხელობით მხატვარ-მღებავი, შპალერების მჩითავი იყო. შემდეგ ამავე ხელობის მოიჭარადრე. მამაც მხატვარი ჰყოლია. მისი ნამღვილი გვარი სკანდარიანი ყოფილა, მაგრამ საიათნოვას მიბაძვით სკანდაროვად გადაუქეთებია.

## ჰაზირა

თბილისი ძველთაგანვე განთქმული იყო პოეტებითა და აშუღეზებით. მისი სილამაზე, ეროვნული კოლორიტი და თვითმყოფადობა სასიამოვნოდ განაწყობდა ყველას, შინაურსა და გარეულს. ფართოდ იყო ცნობილი აშუღ ჰაზირას სახელიც.

ჰაზირა (აბრამ აბრამოვი) საიათნოვას სახელოვანი მემკვიდრეა, მასავით ლექსების ავტორი, ამ ლექსების ჰანგის შემქმნელი და შემსრულებელიც. მის მოხდენილ ტანს ძალზე უხდებოდა საიათ-

ნოვას ყოშებიანი კაბა. იგი თავისი თბილისური ტემპერამენტით კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა.

ჰაზირას საყვარელი საკრავი დაირა იყო. დაირაში აქსოვდა იგი თავის სულიერ კაემანს. როცა საკრავს ხელში აიღებდა და ზედ თავის შეთხზულ რევოლუციურ ლექსს დაამღერებდა, მის გარშემო იმდენი მსმენელი გროვდებოდა, რომ თვით ჰაზირა აღარ ჩანდა. ხოლო როცა სცენაზე იდგა, ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. მის ლექსებში რევოლუციის ქარიშხლის სუნთქვა იგრძნობოდა.

იმ დროს, როცა ჭერ კიდევ ბევრმა არ იცოდა, რა იყო თეატრი, ჰაზირას სიყვარულით ეტანებოდნენ, რათა მისი ტკბილი ჰანგები მოესმინათ. დივერტისმენტ-კუბლეტების საღამოებზე ანტრაქტის მაგიერ აშუღ ჰაზირას დასტა უკრავდა, რომელიც იმ დროს უკვე პოპულარობით სარგებლობდა. მაშინ ჭერ კიდევ ახალგაზრდა ჰაზირა, ილიასაგან წაქეზებული ეშხიანი, ლაზათიანი სიმღერებით ატკბობდა და აჯადოვებდა მთელ დარბაზს.

ჰაზირას დასტა აქ ჩვეულებრივი სიმღერების გარდა პიესის შესატყვის ლექსებსაც მღეროდა და ისმოდა ჰაზირას გულდამწვარი სიტყვები.

ჰაზირას ყოველი სიმღერა ხალხური სიბრძნის კუთვნილებას შეადგენდა. იმ დროს, როდესაც ყველა ჭურის მომღერალი „ღვინოს, ქალსა და დუღუკს“ აქებდა, ჰაზირა, ეს ძველი თბილისის ახალი საიათნოვა, ასე მიმართავდა ხალხს: „ღმერთმანი, მტერს ბოლო მოეღებოდა, ჩვენ რომ ყველას ერთი პირი გვექონოდა“.

ცხრაასიან წლებში იგი გახდა სოციალური ყოფის ამსახველი პოეტი. მას ამ მხრივ ქალაქურ ხალხურ პოეზიაში ბადალი არ ჰყავდა. ჰაზირამ თბილისელ აშუღებს შორის პირველმა უმღერა ჩაგრულსა და მშრომელებს.

მუშათა წრეებში ყველაზე პოპულარობით სარგებლობდა და სწრაფად ვრცელდებოდა ხუთი სიმღერა: „მეგობრებო, წინ, წინ, გასწით“, „ძმებო, დროშა გაიშალა“, „საპირველმანისო“, „არსენა ჯორჯიაშვილი“ და ჰაზირას „სადაც არის გათენდება“; „სადაც არის გათენდება, აღსდექ, მუშავ შენ, ლამაზი დღე დაგიდგება. მუშავ, მუშავ, შენ“.

მას ყოველთვის და ყველგან მუშაკაცის ბედი აწუხებდა. ამიტომაც შექმნა ისეთი მძლავრი მუხამბაზი, როგორიცაა „მარტის თვე“... უნდა გენახათ, რარიგ აღაგზნებდა, თურმე, ეს ლექსი მუშა-

მსმენელებს, მუშა-მკითხველებს. ეს ცნობილი ლექსი ალეგორიულად გამოხატავდა მეფის რუსეთს, რომელიც სპობდა თავისუფლების მოტრფიალს ხალხს. ამ ლექსისათვის ჰაზირა არაერთხელ მჯდარა ციხეში.

ჰაზირა გრძნობდა არსებით განსხვავებას თავის და სხვის ლექსებს შორის და ასე მიმართავდა თავის ნაწარმოებებს: „უშიშრად დაიარეთ, გინდ შინ და გინდ გარეთ და გარყვნილი ლექსებისაგან ცოტა განზე იარეთ“.

ასეთი ყოფილა ჰაზირას აშუღური ბუნება.

აშუღობა ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ამ რანგის პოეტები გასაოცარი ინტუიციით ითვისებდნენ და გადმოსცემდნენ მაშინდელი საზოგადოების განცდებსა და მისწრაფებებს.

აშუღები ხალხს ასწავლიდნენ სილამაზეს, ქადაგებდნენ პატიოსნებას, სიმღერა-საყრავებით უმსუბუქებდნენ სიღუბსა და სიღუბს. უყვარდათ ყველა ერი, მაგრამ ამასთან ეთაყვანებოდნენ საკუთარ სამშობლოს: „მოდი, შვილო, ჩემთანა, გულში რად დამკარ დანა? საქართველოს შვილი ხარ, იცან შენი ქვეყანა... სახლი იქ გაიკეთე — დედა-ენა გაიკეთე, მხოლოდ არ დაივიწყო მამა-პაპის სიკეთე: მათ გასწირეს თავები, ნახეს დღენი შავები, შენთვის დახოცილების ილოცე საფლავები... მოიგონე სულ ძველი: თამარ მეფე, მხარგრძელი, გიორგი ბრწყინვალე და დავით აღმაშენებელი... მამულისთვის კვდებოდე, მტრის პირდაპირ დგებოდე, განათლებულ ქვეყნებში კარგად იხსენებოდე... არ შეშინდე ომისა — მტარვალთ წინა დგომისა, ჰაოს-ქართლოსის სისხლო, შვილი ხარ თავორისა... ჰაზირას ტანჯვა მაკმარე, მამას, ძმას დაეხმარე: ოდეს ეს შეასრულო, საფლავში ჩამახარე!“

ჰაზირა საქართველოს აღტაცებული მეხოტბეა: „აღსდექე, თამარ დედოფალო, შენთვის სტირის საქართველო!“

ჰაზირას ყველა სიმღერა-მუხამბაზი იდეურია, ხალხური სიბრძნით მოსილი და მსმენელს, მკითხველს აძულებს, რომ შეიგრძნოს თავისი ვინაობა, ადამიანობა და მოქალაქეობრივი მოვალეობა: „მამულისთვის კვდებოდე, მტრის პირდაპირ დგებოდე, განათლებულ ქვეყნებში კაცად იხსენებოდე...“

ჰაზირა, როგორც პიროვნება, მეტად სპეტაკი, თავმდაბალი, მომხიბლავი, ხალისიანი ყოფილა. აი, როგორ გადმოგვეცემს თავის მრწამსს: „არ მიყვარს, არა, არ მიყვარს; კაცი ორპირი, ცბიერი, არც

შევვამ მე იმის პურსა, თუგინდ ვკვდებოდე მშიერი. არ გავცემ? ხმასა გულახდით, არ გაიღვიძოს მძინარემ, არც იმის ხილზე გავივლი „თუგინდ დამახრჩოს მძინარემ“.

ჰაზირას თავისი შინაარსიანი ლექსებით მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხის განვითარების საქმეში. ვინ მოთვლის, მისი ტკბილი სიმღერების ეშხით რამდენი ვინმე დაწაფებია კითხვას. მერედა, როგორ ეტანებოდა ჰაზირა სწავლა-განათლებას. თვითონ თუ დააკლდა სწავლა, სხვას მაინც ახალისებდა:

„ახ, ვნახო მეხრე ურემზე  
კითხულობდეს ივერიასა“.

ჰაზირას ტკბილი და გულში ჩამწვდომი სიმღერები აჯადოებდა. მსმენელს. განსაკუთრებით მგრძნობიარეა მისი ერთი ლექსი, სადაც ყოველი ბოლო სტრიქონი ასე თავდება: „ვტირი და ვტირი“.

როცა ჰაზირა ამ დიდებულ ლექსს მღეროდა, ეს სიმღერა კი არა, თურმე, მოთქმა და ზარი ყოფილა: „რისთვის ხარ სიმართლის მომხრეო, მაშინ იტანჯე და ამოიხრჩვეო: ჩვენში კაცის პოვნა ძვირია, ძვირი. ამისათვის ვნაღვლობ, ვსტირი და ვსტირი“.

ჰაზირას ყველა ლექსი მუხამბაზურია, ყველა სასიმღეროა. მაშინ თითქმის ყველა ქართველი პოეტი მუხამბაზურ ყაიდაზე წერდა ლექსებს. ჩვენი მგოსნები მღეროდნენ და სიმღერით ქმნიდნენ მუსიკალურ ფასდაუღებელ შაირებს.

მალამხატვრული მუხამბაზური ლექსები შექმნეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკიმ, რაფიელ ერისთავმა, ნინო ორბელიანმა. გრ. ორბელიანის „გინდ მეძინოს“, აკაკის სათაყვანებელი მუხამბაზი „თავო ჩემო“, „აღმართ აღმართ“, „ერთი კინტო მეცა ვარ“ და სხვები ხალხმა სიყვარულით აიტაცა.

ჰაზირას უყვარდა აკაკი. „სულიკოს“ ჰანგები პირველად ჰაზირას მოუფენია საქართველოს დაბა-სოფლებში. როცა აკაკი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, იმ დროს აშულობა უკვე იღვენებოდა და ძველი გზას უთმობდა ახალს. აკაკის დიდი ტალანტი ამ დროს თურმე დუღდა და გადმოდუღდა, როგორც ამოჩუხჩუხებული წყარო უშრეტი. აკაკის დიდი ყურადღება მიუქცევია ძველი ხმებისათვის და დაუწყია წერა. აუარებელი ძვირფასი ლექსი შეუქმნია. ამ ლექსებისათვის აშულებს ჰანგები შეუწყვიათ და ხალხში გაუფრცელებიათ. ასე გასულა ხალხში აგრეთვე სხვა დიდი პოეტების ნიმუშებიც.

„რომელ ერთ მწერალს, — ამბობს ჰაზირა, — რომელ ერთ ლექსს, რომელ ერთ მოქადაგეს შეეძლო ჩაეგონებინა ხალხისათვის ის, რასაც ჩვენ შთავაგონებლით ჩვენი ტკბილი დაკვირთა და სიმღერებით.

მაშინდელი ცხოვრება ძლიერ პრიმიტიული იყო. ერთადერთი გონივრული გასართობი ქართული თეატრი გახლდათ. ამ თეატრში ანტრაქტების დროს უკრავდა და მღეროდა აშული ჰაზირა. მას სასიმღეროდ იწვევდნენ ყველა საკრებულოში. ჰაზირას ბევრი მოწაფე-მომღერალი ჰყავდა. 1914 წელს მისი ხელმძღვანელობით ეწყო-ბოდა აზიური საღამოები. ამავე დროს იგი მონაწილეობდა სცენის-მოყვარეთა სპექტაკლებში, როგორც ეპიზოდური როლების ჩინებული შემსრულებელი.

ჰაზირა სხვებზედაც ზრუნავდა. იგი, როგორც ამქრის ოფიციალური უსტაბაში, კრეფდა შეგირდებს (ძირითადად უსინათლოებს). მან სამოცდახუთ ბრმას ასწავლა სიმღერა და დაკვრა. არქმევდა ზედმეტ სახელებს, გზავნიდა ხან ქუჩებში, ხან ყავახანებში, მეჯლისებში და, ამრიგად, თბილისის ამ ლარიბ-ლატაკებს არსებობის წყარო გაუჩინა. ისინი ლექსებითა და სიმღერებით გამოდოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში, შორსაც. მიდიოდნენ, რუსეთის მიწა-წყალს ედებოდნენ.

ბრმა აშულეებს განსაკუთრებით ჭიანჭური ჰყვარებიათ. დილის სიმღერას მათსავით ტკბილად და მგრძნობიარედ არავინ უკრავდა თურმე. ისინი გასაოცარი ინტუიციით ითვისებდნენ და გადმოსცემდნენ მაშინდელი საზოგადოების განცდებსა და მისწრაფებებს.

ცხადია, აშულეები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენი ძველი სიმღერები დაეიწყებას მიეცემოდა. უსინათლო აშულეები ხალხს უყვარდა და პატივს სცემდა. მათ, როგორც ყველა უსინათლოს, სმენა ჰქონდათ გამახვილებული. თუ ბუნებამ დაბადებიდანვე მოაკლო მხედველობა, სამაგიეროდ შთაბერა მუსიკის სიყვარული და არაჩვეულებრივი ნიჭი სიმღერების დასწავლისა.

ჰაზირას ძველებური მუსიკალური კილო გადაუკეთებია, ახალი ჰანგები შეუთხზავს, დაუმუშავებია და თბილისისა და სხვა დაბა-ქალაქთა მომღერლებს შორის გაუვრცელებია.

ქართული სიმღერების ყაიდაზე გადმოუკეთებია ბევრი სომხური სიმღერა.

ჰაზირა წერდა ქართულად და სომხურად. ქართულად გამოუ-

ქვეყნებია შემდეგი წიგნები: „ბრძოლის პოემა და პლაცის სიმღერა“, 1890 წელს „ბელადი“, 1904 წელს „პატარა აშული“, 1911 წელს „ყბედი“, „გამგელებული ბატკანი“ და მრავალი სხვა. გარდა ამისა, რამდენიმე წერილი და მოგონება „ივერიაში“, „კვალში“ და სომხურად „ტარაზადბიურში“ დაუბეჭდავს.

ჰაზირა პიესებსაც წერდა. ჩვენთვის ცნობილია ოთხი პიესა: „ჩვეულება“, „აშული“, „ყაჩალი ქარიშა“ და „ჯიბგირი“. ამთგან ორჯერ მხოლოდ „ჯიბგირი“ წარმოადგინეს სახალხო თეატრის სცენაზე 1880 წელს. ამასთან, რამდენიმე წერილი და მოგონება აქვს დაბეჭდილი 1892 წელს „ივერიაში“ და „კვალში“.

ჰაზირას გარეშე ჰიირი და ლხინი წარმოუდგენელი იყო. თუ ჰაზირა რომელიმე სუფრას აკლდა, მისი ჰანგი მაინც მეტყველებდა. იგი ბევრ ლხინ-მეჭლისში მღეროდა, რადგან ეს მისთვის ერთგვარი არსებობის წყარო იყო. მაგრამ ჰაზირას თავი მუდამ დარბაისლურად ეჭირა, თავის პოეტურ ბუნებას ფულზე არ ახურდავებდა. ყოფილა შემთხვევა, როცა ჰაზირას გაღეშილ სტუმრებს შორის არ უმღერია, არც რაიმე ვინმესთვის ცუდი უგრძობობინებია, ჩუმად აულია დაირა და გაპარულა.

მართალია, ჰაზირას ხმას ბოლოს ხინჩი შეპარვია, არ ყოფილა მოქნილი და დახვეწილი, მაგრამ მისი სტრიქონები ხომ ყოველთვის გულწრფელი და აზრიანი დარჩა. „რას მარგებს მომღერლის ხმამალალი ყვირილი, თუ სიტყვები არ არის საზრიანი“.

ჰაზირა ნამდვილი ბოქემა იყო სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. იგი ჯერ ზეპირად თხზავდა თავის ლექსებს, ქალაღზე მერე გადაქონდა, მაგრამ ხელწერა ისეთი ჰქონია, არამც თუ სხვა ვინმე, თავის ნაწერს თვითონაც ვერ კითხულობდა.

აი, რას წერს თავის შესახებ ჰაზირა: „დავიბადე 1845 წელს სოფელ შულავერში (ბორჩალოს მაზრა). ყმაწვილობიდან ჩემი საქმე იყო ვენახში მუშაობა, ტყეში სიარული და გუთანზე მეხრეობა. წიგნის კითხვა ძალიან მეჯავრებოდა, არა ესწავლობდი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი შულავერის ყმაწვილები ჩემს სახლში სწავლობდნენ წიგნს, რადგან ჩემი უფროსი ძმა მასწავლებელი იყო. წრეს გადასული ცელქი ვიყავი. დიდღდაჩემი იყო ქართველი ქალი, გარეჯელი ყანდარელის ასული თამარი. ათ წლამდე მის ხელში ვიზრდებოდი ქართულად და სომხურის არაფერი ვიცოდი. თხუთმეტი წლის რომ შევიქენ, თბილისში ჩამომიყვანეს და სირაჯთან დამაყე-



ნეს მოჯამაგირედ. ამ დროს ქალაქში აშულებს ჩვეულებად ჰქონდათ ყოველ კვირას მარაქას გამართვა. მეც ხშირად მივდიოდი საყურებლად. აი, სწორედ აქ ჩამენერგა გულში სიმღერის სიყვარული. ამ სიმღერებმა შემაყვარა შეძლებული წიგნის კითხვა. რადგანაც სიმღერები უნდა დამეწერა აშულებისაგან და შემესწავლა. წერა ვისწავლე, მაგრამ ვაი იმ სწავლასა; ჩემს ნაწერს მე თვითონ უნდა ვავყოლოდი, რომ წამეკითხა, თორემ სხვა ვერას გაიგებდა (თითქმის დღესაც ასეა). სამი წლის შემდეგ ჩემმა დეიდაშვილმა წამიყვანა მუშტიადის ბაღში, თავის დუქანში, და დამაყენა დახლში, მაშინ იქ — ფერმაში — ერთადერთი დუქანი იყო. ამ დროს ბევრი სიმღერა ვიცოდი, ხმაც კარგი მქონდა და მუშტრებიც ჩემთვის მოდიოდნენ, მაგრამ დუქნის მოვალეობას კარგად ვერ ვასრულებდი, რადგან ჩემი ფიქრით სულ სიმღერების და ჰანგების მოგონებაში ვიყავი.

1874 წელს უკვე გამოჩენილი აშული ვიყავი, ყავახანაში დავკიდე წერილი მულამი (გამოცანა), ძვირფასი შალიც ჩამოვიკიდე ზედა, დავაკარი ოცდახუთი მანეთი ფული და მოვიწვიე აშულები საკამათოდ: ვინც იმ მულამს გამოიცნობდა, ის ძვირფასი შალი და ფული იმისი უნდა ყოფილიყო. მთელ სპარსეთსა და ოსმალეთში რაც განთქმული აშულები იყვნენ, მოვიდნენ, მაგრამ ყველა დამარცხებულნი წავიდნენ“.

ეს მოგონება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზეა დასტამებული 1915 წელს.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ჰაზირამ თავისი დასტით დიდი ამაგი დასდო საიათნოვას ძეგლის გახსნას. ჰაზირასვე დაუარსებია თბილისში საიათნოვას სახელობის ყავახანა, სადაც თავისი დასტით გამოდიოდა და მრავალ შინაარსიან იდეურ ლექსთა შორის წლების მანძილზე მღეროდა „მოდო შვილო ჩემთანა, გულში რად დამკარდანა“.

ჰაზირა გარდაიცვალა 1922 წლის 19 იანვარს. იგი მის შეგირდებს დაუტირიათ უკანასკნელად. მის საფლავზე, როგორც ყარაჩოხელისა, ლხინი გაუმართავთ და ჰაზირას საყვარელი ჰანგები დაუჟკრავთ. ერთმანეთისათვის უსიტყვოდ შეუფიცავთ მისი ანდერძის დაცვა და სანთელანთებულნი დაბრუნებულან ჰაზირას ბინაზე. ჰაზირას ოთახში, სადაც მგოსანს სული დაუღვევია, ორმოცი დღის განმავლობაში მისი შეგირდები ათევდნენ ღამეს, რომ გარდაცვა-

ლებულის კერა არ გაციებულოყო და მის მოუსვენარ სულს შე-  
გირდების გულში ეარსება.

დღეს კი ჰაზირას მოღვაწეობის პატივსაცემად და მოსაგონრად  
თბილისში მისი სახელობის ქუჩა არსებობს.

1920 წლის 24 მაისს, მუშათა კლუბში გამართეს ჰაზირას 50  
წლის მოღვაწეობის საიუბილეო საღამო. ეს თარიღი იდღესასწა-  
ულეს იმ მხცოვანმა მუშებმა, ჰაზირას სიცოცხლეში რომ ეთაყვა-  
ნებოდნენ და შეჰხაროდნენ.

## იეთიმ გურჯი

ხალხის საყვარელი ლექსების ავტორი, სამშობლოს, ძმობის, მე-  
გობრობისა და სიყვარულის მომღერალი, ძველი თბილისის სახელ-  
განთქმული მგოსანი იეთიმ გურჯი მუდამ მონაწილეობდა მეფის  
მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებსა და გაფიცვებში. მუშათა  
და სტენისმოყვარეთა წარმოდგენებში გამოდიოდა და კითხუ-  
ლობდა სააგიტაციო ხასიათის ლექსებს, მგზნებარე სიტყვით მო-  
უწოდებდა მშრომელებს მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლ-  
ველად.

იეთიმ გურჯი მონარქიის დაუძინებელი მტერი იყო და, როგორც  
პოლიტიკურ მოღვაწეს, აშულებში ბაღალი არ ჰყავდა. იგი ამჩნევდა  
საზოგადოების ორ ანტაგონისტურ ბანაკად გაყოფას: „საით სიცი-  
ლი, საით ხარხარი, საით გოდება, სად ჩანგის დაკვრა, სად ფუფუ-  
ნება, ტკბილი ცხოვრება, სად გაჭირვება, სიკვდილის ნატვრა“.

„რად გინდა ათასს შიოდეს, მხოლოდ შენ იყო მფლობელი,  
რად არ იგონებ წარსულსა, ვის შერჩა წუთისოფელი?“

„სხვაზე თვალი ჩვენ არ დაგვრჩეს, რაც გვაქვს ჩვენი, ის ვიკმა-  
როთ, ჩვენი შრომით პური ვჭამოთ, სხვისი არა მოვიპაროთ. ძმო-  
ბა, სიყვარული გვქონდეს, გულში შური არ ვატაროთ, მოძმე ვნა-  
ხოთ გასაჭირში, მივეშველოთ, დავეხმაროთ, ჩვენი მშობლები ვა-  
დიდოთ, ამხანაგს არ გავეყაროთ“.

იეთიმ გურჯი თავისი ნიჭით, ასევე სიტყვის მოქნილობით, ლექ-  
სის გამძლეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძველი თბილისის.

სხვა ხალხურ მგოსან-მომღერლებისაგან. იეთიმ გურჯის ლექსი უფრო უშუალო, სინამდვილის, სიმართლის ამსახველი და ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად სწორი დასკვნების გამომტანია. სწორედ ამით სარგებლობდა იგი ეგზომ დიდი პოპულარობით ხალხში.

აღსანიშნავია, რომ იგი მთელი თავისი შეგნებით ინტერნაციონალისტი იყო. საიათნოვას მსგავსად ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე თხზავდა თავის ლექსებს. სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის იგი ქართული ასოებით წერდა ლექსებს. სამივე ერის გულის კარი ერთნაირად იყო ღია მისი შემოქმედებისათვის. ასე მხოლოდ საიათნოვა თუ უყვარდათ ძველ თბილისელებს.

„სიყვარულის გამჩენი ვარ, მოიხმარონ ყველამ ლხენად, ერთა შუა მავალი ვარ, ყველას ეუწყებ ვარდის ფენას“. — ეს სიტყვები მართლაც ერთნაირი ალერსით ესალბუნებოდა ყველა ერის შვილს.

იეთიმის შემოქმედება, ისე როგორც ფიროსმანის უკვდავი ქმნილებანი, ერთი წილიდანაა აღმოცენებული. ამ ორ შემოქმედს ბევრი რამ ჰქონიათ საერთო, უპირველესად, ბუნებით მომადლებული ნიჭი, ერთს — ყალმის, მეორეს — კალმისა, რაც ორივეს ხალხისათვის, თბილის-ქალაქისათვის სჭირდებოდათ. თუ ნიკალას სურათები მიკიტნებს კედლებს ულამაზებდა, იეთიმ გურჯის ცოცხალი ციტატებით მოფენილი ყოფილა თბილისის სარდაფები: „მე რასაც ვწერ, თქვენთვის არის; რაც გინდოდეთ, მე ვარ მზათა, მოვკვდე, თან ხომ არ წავიღებ, ჩემს სამარის სუდარათა“.

მართლაც, იეთიმ გურჯმა დაგვიტოვა ალალმართლობის, შეგნების, კაცთმოყვარეობის, სილამაზის, სისპეტაკის გულში ჩამწვდომი საგალობლები. შექმნა ადამიანური, წმინდა, ცხოვრებისეული, ნათელი სატრფიალო ლირიკა. ერთ-ერთი შედეგურია: „ქარგი იყო, არ გამეცან თავიდან, შუა წყალში გადამეგდე ნავიდან, ჩემი გული შენ დახიე, დაკოდე, ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე“. „სიყვარულის მგოსანი ვარ, ვალამაზებ დედა ენას, სიმღერების გამჩენი ვარ, მეჯლისებში ვფანტავ ლხენას, ერთა შთამომავალი ვარ, ყველგან ვცდილობ ვარდის ფენას, მე მტერი ვარ მართო მისი, ვინც სიყვარულს უწყებს კბენას“.

ეს სატრფიალო ლექსები ჯანსაღ სიყვარულს ქადაგებს. ამიტომაც უმაღლვე აიტაცა მთელმა თბილისმა: „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“, „არა, ვარდებს აღარა ვკრეფ“, „ედემის ყვავილო“, „სიყვარულს“.

ვარულო, ვინ რა იცის, რა ხარო“, „მე ახალი დარდი მიყილია, წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკილია“ და სხვ.

„იეთიმ გურჯის ლექსები ის ღვინით სავსე თასია, რომელიც ხელიდან ხელში გადადის და მაინც არ იღვრება“, — ასეთ შეფასებას აძლევდა ი. გრიშაშვილი ხალხის საყვარელ აშულ-მგოსნის შემოქმედებას.

მიუხედავად თავისი უსწავლელობისა, იეთიმი იმდენად ნიჭიერი და საღი აზროვნებისა იყო, რომ მას თავისი მწერლობის დასაწყისშივე მიუპყრია ხალხის ყურადღება და გაუთქვამს სახელი, როგორც ხალხთა ძმობა-მეგობრობის ნიჭიერ მეხოტბეს.

იეთიმი სკოლის მერხზეც არ მჯდარა. წერა-კითხვა ქალაქის პარკებზე შეუსწავლია. ეს უდიდესი დანაკლისი ერთ-ერთ ლექსში აქვს გამოხატული: „არც სკოლის კარი მინახავს, არც დედა ენა რჩეული, დაბალი მუშის შვილი ვარ, ტანჯვით გაზრდილი, ეული. ობოლს სწავლას ვინ მომცემდა, რომ მეფე გვყავდა წყეული“.

იეთიმ გურჯს სიწყნარესა და მარტოობაში ჰყვარებია წერა. იგი ვერ იტანდა წერის დროს ხელის შეშლას. მას არ ჰქონდა შექმნილი შრომის ნორმალური პირობები, რაც თავისი და მისი კარგი მეგობრების ბრალიც ყოფილა. იეთიმს ისინი თავისი გაუთავებელი ქეიფით წერის საშუალებას არ აძლევდნენ. ამიტომაც ჰქონია ცოტა ნაწერები და იქიდანაც მეტი წილი დაკარგული.

იეთიმ გურჯს ლექსების წერა, ანუ ლექსების გამოთქმა 1895 წლიდან დაუწყია, მისი ლექსები უმთავრესად სიმღერების სახით ვრცელდებოდა მთელ ქალაქში. ჰყავდა მომღერალთა დასტა, რომელსაც თვითონვე ასწავლიდა თავისსავე ლექსებსა და სიმღერებს.

იეთიმ გურჯი პატიოსანი ხალხის შვილია, მათი მეხოტბე, მათი ძმობის ღირსეული წევრი. „ამხანაგის მოღალატეს დამმარხველი არა ჰყავდეს“, — მკაცრია მგოსნის განაჩენი იმათ მიმართ, ვისაც ძალა არ შესწევს, ბოლომდე ერთგულად ზიდოს მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთგამტანობის საპატიო და მძიმე ტვირთი.

იეთიმ გურჯის ლექსებს მწიელი საქართველო მღეროდა. მღერონენ დღეობებზე, ქორწილებში, ჭირსა და ლხინში. ხელიდან ხელში გადადიოდა გრამფირფიტები. სად არ გაიგონებდით. „მე ლექსი არ დამელევა, სულ მზათა ვარ, ვინც რა მთხოვა, ცოცხალს ფასი ჯერ არა მაქვს, მოვკვდე — არვინ მიწყობთ გლოვა. იეთიმ გურჯი

შემოგწყრებათ, თუ წავიდა, აღარ მოვა — რუსთაველის შეიღობილი და მეორე საიათნოვა“.

მთელი შეგნებით სძულს და ხმას იმაღლებს იმათ მიმართ, ვისაც ცხოვრების წესად სიფლიდე, სიხარბე და ანგარება უქცევია: „იმას შევილად ვერ მივიღებ, წინაპრების აკვანს წვაგდეს, სირცხვილი იმ გუთნის დედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს, გატიალდეს ის წალკოტი, რომ ბულბული გადაჰყვავდეს“.

უბრალო ხელოსნებსა და მუშებში ხედავდა იგი ადამიანურ სიწმინდესა და სულიერ სილამაზეს.

ქართველი კაცის შეგნებაში ყარაჩოხელი კაცი ყოველთვის წესიერების, პატიოსნების, სამართლიანობის განსახიერებაა. იეთიმი ამ წრეში იყო აღზრდილი. უყვარდა ეს ხალხი და საქვეყნოდ აცხადებდა: „ყარაჩოხელმა ხალხმა შემქმნა, ყარაჩოხელებმა გამზარდეს, რალად მინდა მე კალამი, მათი ქება თუ დამზარდეს“.

პოეტის ცხოვრებაში თავისებური სიმბოლოა შავი ნაბადი: „ღმერთო, ჩემზე მოიცალე, თუ სხვა კიდევ გაბადია, ყველას სიხარული მიეც, მე კი — შავი ნაბადია. ჩემთვის კვირა არ გათენდა, ყოველი დღე შაბათია; უპატრონოდ ვხეტიალობ, ჩემი მოწმე ნაბადია. ღმერთმა ქვეყნად ვერ მიპოვა, მის ზღვაში ვერ ჩამატია, ზამთარ-ზაფხულ მე მინახავს ჩემი შავი ნაბადია. იეთიმ გურჯსა ამა სოფლად არაფერი აბადია, ერთმანეთსა არ ვშორდებით მე და ჩემი ნაბადია“.

ამ უნიჭიერესი პოეტისათვის სატრფიალო ლირიკის გარდა არც პოლიტიკური ასპარეზი ყოფილა უცხო.

1905 წლის 19 ოქტომბერს მუშათა ერთ-ერთ მიტინგზე თავისი ხელით გაკეთებული წითელი დროშა აუფრიალებია, რომელზედაც ეწერა: „მიხარია, თუმც არ მჯერა“. კრებას თავს დასხმიან ყაზახებში. იეთიმს მოუსწრია შეუძმნევლად მეორე სართულზე ასვლა და იქიდან კედელზე მიდგმულ სამრეცხაოს სახურავზე ჩახტომა, რომლის დროსაც ფეხი მოუტეხია. ამხანაგებს იგი სხვისი პასპორტით ბაქოს ერთ-ერთ საავადმყოფოში მოუთავსებიათ.

მალულად იეთიმ გურჯს დიდხანს ვერ უცხოვრია. 1906 წელს იგი შეუპყრიათ, როგორც პოლიტიკურად არასანდო პიროვნება და გასამართლების შემდეგ პოლონეთში ვოლინის გუბერნიის ღუმბოს ციხეში დაუმწყვდევიათ, სადაც ოთხი წელი დაჰყო პატიმრობაში. ღუმბოს ციხიდან იეთიმი ქ. კრემენსკში, ტუსაღთა გამანწორებელ რაზმში გადაუყვანიათ 3 წლით. გადასახლებიდან მხოლოდ 1914

წელს გაუნთავისუფლებიათ და მიუციათ სამშობლოში დაბრუნების უფლება, ოღონდ თბილისში ცხოვრების აკრძალვით. ამრიგად „განთავისუფლებული“ იეთიმ გურჯი ქ. გორში დასახლებულა, სადაც პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა 1917 წლამდე. შემდეგ სამუდამოდ დაბრუნებულა თბილისში და მშობლიური ქალაქის ნახვით განარებულს აღმოხდომია: „გამარჯობა, ჩემო თბილისის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო, თორმეტი წლის უნახავი მოვედი. მთაო წმინდავ, ჩამა დავითისაო, შენ დარაჯო ქალაქ თბილისისაო...“

ერთ დღეს იეთიმს მწერალთა კავშირის სახელზე განცხადება, გაუგზავნია: „მეყო ამდენი იეთიმობა (ობლობა), მეც თქვენს კავშირში ჩამრიცხეთ. მწერალთა ჯგუფს ნუ მაშორებთ, ვინც კი მიცნობს ახლო პირად: თქვენს დავთარში მეც ჩამწერეთ, როგორც ქართლის დედის შვილად. საძიარკველში მეც წილი მაქვს, დამჯღომია დღენი ძვირად: კმარა ამდენი ობლობა, ნუ მატარებთ დეზერტირად...“

იეთიმ გურჯი სახალხო თეატრების ხშირი სტუმარი იყო. აქტიურ მონაწილეობას იღებდა დივერტისმენტებში, გამოდიოდა ლექსებით. საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი იგონებს: „ერთ დღეს მე და ალ. გომელაურს ბაზრის წინ იეთიმ გურჯი შემოგვხვდა, — ჩვენ საღმით არ ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ იგი ისე შეჩერდა ჩვენ წინ, რომ ზრდილობა მოითხოვდა სალაში მიგვეცა და მოგვეკითხა. იეთიმ გურჯმა ჩვენი სალაში მიიღო, გაიღიმა, გვერდზე ნაბადი მოიგდო და ხელი გამოგვიწოდა.“

„თქვენ ორივეს ვიცნობთ. ისიც ვიცი, რომ ჩვენ მამაპაპურ ისანში განათლება შეგაქვთ, სახალხო თეატრის სცენას ემსახურებთ. ჩვენს რაიონს ბევრი ჩამორჩენილი უბანი აქვს და თქვენი გამპკრიახი თვალი სჭირდება. ჩვენმა საყვარელმა ვაჟამ გვიანდერძა: „ბრიყვი ჰკვიანის ბარგია, ზურგით სათრევი გუდადა, უნდა ჰკვიანმა ასწოროს ბრიყვის ნათალი ბრუდადა“.

ასე, შეილებო, მიწა მაშინ არის ნოციერი, როცა მუშა-ხალხი მას უვლის და ახარებს; ხალხიც მაშინ არის კმაყოფილი, როცა ჰკვიანი და განათლებული ადამიანები წინ მიუძღვიან და ხალხში განათლება შეაქვთ“. იეთიმ გურჯის ჰკვიანურმა სიტყვებმა აღგვაფრთოვანა, მერე ორივემ ერთად მიემართეთ: — ძია იეთიმ! ჩვენი ღრამატული წრე ამ შაბათს წარმოდგენას დგამს, სადაც ახალგა-

ზრდა მედოლე გლახუაც იმღერებს. გთხოვთ, მობრძანდეთ თქვენი ამხანაგებით.

— მოვალ, შვილებო, აუცილებლად მოვალ. — გვითხრა იეთიმ გურჯმა. როცა შაბათ საღამოს ქაში მოახლოვდა და მედოლე გლახუამ დოლს შინდის ჯოხები ხალისიანად შემოჰკრა, ავლაბრის მოედანს უამრავი ხალხი მოაწყდა.

პრემიერის დღეს, წარმოდგენაზე დასასწრებად მართლაც მოვიდა ცნობილი მგოსანი იეთიმ გურჯი თავისი ტოლ-ამხანაგებით. თუ იეთიმ გურჯი რამდენიმე წუთის წინ თავის მეგობრებთან ერთად ღვინის სარდაფში კამათობდა იმაზე, თუ საქართველოს რომელი კუთხის ღვინოა უკეთესი სასმელადო, კლუბის ჰერკვეშ საუბრის მთავარი თემა მსახიობი ს. ივანიძე იყო.

— გახსოვს, იეთიმ, მურაშკოს თეატრი? აბა, იქ იყვნენ აი, მამალი არტისტები. ცხონებულ სოსო ივანიძეს პირიდან სულ თაფლი ამოსდიოდა. მეტე რა ზორბა შესახედაობის კაცი იყო. თავმდაბალი, საღმიანი და პურმარილიანი.

— შენ მართალი ხარ, გეოჯან, ძალიან მარიფათიანი მსახიობი იყო ის დალოცვილი. პეპოს სიტყვებს ისე ჯიგრიანად ამბობდა, რომ იმის ბოლმა შენ ბოლმად მიგაჩნდა.

— სოსო ივანიძე, მართლაც, სახელოვანი კაცი იყო, დარდიმანდი და ვაჟკაცი. მე მასთან პური გამიტეხია, — თქვა იეთიმ გურჯმა, — პირნათელი კაცი იყო. ბევრ ყოფილ კატორღელისათვის ხელი გაუმართავს.

დამსწრეთ გადმოცემით, რომელნიც იმ საღამოს სახელოვანი მგოსნის გვერდით ისხდნენ, თეატრის ისტორიიდან, თურმე, იმდენი კარგი რამ უთქვამს იეთიმ გურჯს, რომ ისინი დიდად აღფრთოვანებულნი დარჩენილან.

დაიწყო სპექტაკლი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ახალი დადგმით. პიესაში ავტორის რემარკით მეზურნეები მხოლოდ ცეკვა „ქართულსა“ და „ბაღდადურს“ უკრავენ, ხოლო დამდგმელმა რეჟისორმა გ. დარბსპანაშვილმა პიესაში ორი სიმღერა ჩაუმატა, რომელიც გიუჟას ბრძანებით უნდა შესრულდეს. გიუჟა, როგორც ქორწილის თამადა, სიმღერას უკვეთავს: — „აბა, ერთი, ოსტატო, იეთიმ გურჯის საქორწილო მილოცვა იმღერე!“

მაყურებელი სულგანაბული უსმენდა ახალგაზრდა მომღერლის გლახუას მიერ დიდი ოსტატობითა და შემართებით შესრულებულ

ბაიათის ჰანგზე აწყობილ ლექსს. ყველა რეგისტრში იგი ერთნაირი სიძლიერით, უბადლოდ მღეროდა. მას თავის პროფესიაში დღესაც არ ჰყავს ტოლი.

ერთ-ერთმა მსმენელმა ველარ მოითმინა და სცენასთან მიიჭრა, ფული გაუწოდა და შეკვეთა მისცა: — გლახო, გენაცვალე, ერთი „ორთავ თვალის“ სიმღერა იმღერეო. ახალბედა მომღერალი გაწითლდა და ჩუმად უთხრა: „წადი, ძმაო, ნუ მარცხვენ და შენს თავსაც ნუ ირცხვენ, რესტორანში ხომ არ გგონია შენი თავი“. მაყურებელმა მაშინვე იგრძნო თავისი შეცდომა და უსიტყვოდ გასცილდა იქაურობას.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იეთიმ გურჯი დარისპანაშვილს მიუახლოვდა და უთხრა: „მიიღეთ ჩემი და ჩემი მეგობრების გულითადი მადლობა, თქვენ კარგ საქმეს ყოველთვის გამარჯვება, იტოცხლეთ და იხარეთ...“

იეთიმ გურჯის ლექსები პატარა კრებულებად გამოდიოდა. მას საკმაო მოზრდილი პოემაც გამოუქვეყნებია „გმირი ანაბაჯის ლექსი“. ნაწარმოებში გადმოცემულია ერთი თბილისელი ლეგენდური ქალის — ანას გმირობა და თავგადასავალი.

ეს პოემა, როგორც სათავგადასავლო ნაწარმოები, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველი თბილისის მკვიდრთა შორის. „გმირი ანაბაჯის ლექსი“, რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ყოველი მწერალი პატარა ლექსებით იწყებს თავის ლიტერატურულ კარიერას. იეთიმ გურჯი ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენდა. მას თავისი პირველი ვრცელი ნაწარმოების თემად „ანაბაჯის“ თავგადასავალი აურჩევია. ამ პოემის გმირი ქალისათვის სპარსელებს ძმობა აღუთქვამთ და „ანაბაჯი“ დაურქმევიათ (ბაჯი - დაი).

თავის დროზე იეთიმ გურჯის ეს ისტორიული პოემა ძალიან გავრცელებული ყოფილა. მას მეფანდურეები ფანდურის თანხლებით მღეროდნენ. ამ პოემის ავტორი დაბლიშვილის ფსევდონიმი-თაა ცნობილი.

1911 წელს გამოიცა იეთიმ გურჯის ლექსთა კრებული „ახალი მგოსნის სიმღერა“, 1913 წელს ისტამბუბა „იეთიმის ახალი ლექსები“, 1917 წელს — „გათენდა“ და 1928 წელს — „რჩეული ლექსების კრებული“.



მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წიგნები: „ტანგო“, „დიდი ომი“ და სხვ.

ამ წიგნებიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა 1928 წელს შალვა აფხაიძის თაოსნობითა და იოსებ გრიშაშვილის რედაქციით გამოცემული „რჩეული ლექსების კრებული“, რომელშიაც ნათლად გამოჩნდა იეთიმ გურჯის ხალასი პოეტური სამყარო. ამ კრებულში 34 ლექსია შეტანილი.

იეთიმის წინაპრები ქართველები ყოფილან. ისინი თურქებს ომის დროს ჩავარდნიათ ხელში და მაჰმადიანური სარწმუნოება მიუღიათ. გვარი გურჯი (ქართველი) აქედან წარმოსდგება. („წინაპრებით ქართველი ვარ, მე მცხეთისა კარიდანა, მათი ცოცხალი ძეგლი ვარ, ვახტანგ მეფის გვარიდანა“).

იეთიმ გურჯი ობოლ ქართველს ნიშნავს. იგი, მართლაც, ადრე დაობლებულა და მარტოღმარტო გასდგომია ცხოვრების ეკლიან გზას. დაიბადა ხარფუხის უბანში. 15 წლისა ყოფილა, მამა რომ გარდაეცვალა და ოჯახი მისი ხელის შემყურედ დარჩენილა. იეთიმს სკოლა თვალითაც არ უნახავს. წერა-კითხვა ქალაღდის პარკებზე შეუსწავლია შეგირდობის ეამს. შეგირდად კი მუსიკალური საკრავების ოსტატთან ყოფილა, რომლისაგანაც ჩინებულად შეუსწავლია ჩონგურის, დაირის, კიანურისა და სხვა აზიური საკრავების კეთება. შემდეგ მას შინაც დაუწყია ხის კუნძებიდან მათი გამოთლა. ამავე დროს დროდადრო მაღაზიებიდან წიგნები გამოჰქონდა და ქალაქის სხვადასხვა უბნებში ჰყიღდა. უმთავრესად კი ალექსანდროვის ბაღში ვაჰრობდა. წიგნების გაყიდვის შემდეგ მაღაზიის პატრონებს ურიგებდა ფულს, ხოლო ისინი გასამრჯელოს აძღვედნენ, რითაც იეთიმი თავის დედასა და დას ასაზრდოებდა. დედის გარდაცვალების შემდეგ იეთიმი თავის დასთან ერთად ცხოვრობდა მეტეხის ციხის მახლობლად, მტკვრის სანაპიროზე, პატარა მიწურ ოთახში. იეთიმის ოთახში თავს იყრიდნენ უბნის ბიჭები, რომელთაც იგი წერა-კითხვასა და სიმღერას ასწავლიდა. როგორც მისი და ანო იგონებს, იეთიმ გურჯის ბინაზე ხშირად მოდიოდა არსენა ჯორჯიან-შვილიც.

იეთიმ გურჯი 1940 წელს გარდაიცვალა. იგი 65 წლისა იყო. მისი ლექსების პოპულარობის ერთ ერთი უტყუარი ფაქტი ისიც არის, რომ მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დასწრებია. იეთიმ გურჯის ცხედარი ისინი უბნიდან ხელით წაუსვენებიათ ვაკის ახალ სა-

საფლამდე. მრავალრიცხოვან პროცესიას მიაცილებდა აღმოსავლური საკრავების რამდენიმე ანსამბლი. თაყვანისმცემელმა მეგობრებმა იეთიმ გურჯს შეუსრულეს მისივე სიტყვები — „ზედ კუბოზე დამაფარეთ ჩემი შავი ნაბადია“. კუბოს ზევიდან მართლაც ეფარა მისი ნაბადი. როცა სასაფლაოზე მიუსვენებიათ მისი ცხედარი, მზე უკვე კარგა ხნის ჩასული ყოფილა და სავსე მთვარე დაჰქათათებდა იქაურობას. საფლავზე სიტყვები წარმოუთქვამთ იეთიმ გურჯის მეგობრებს და მისი ნიჭის დამფასებლებს. სამარის პირად დასვენებული იეთიმ გურჯს გარს ეხვეოდნენ პატივისმცემელნი და მეღუდუქეთა თუ მეზურნეთა დასტები. რიგ-რიგობით გულის დამწველად ასრულებდნენ მგოსნის მელოდიებს: „გამარჯობა, ჩემო თბილისის ქალაქო“, „მე ლექსი არ დამელევა“, „იმას შვილად ვერ მივიღებ“ და სხვა სიმღერებს.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მომღერლები, თითქოს ერთმანეთს ეფიცებოდნენ იეთიმ გურჯისადმი სიყვარულს.

მგოსნის ეს აშუღური გაცილება საკმაოდ გაგრძელებულა, მაგრამ მიუხედავად კარგა ხნის დაღამებისა, არც ერთი კაცი არ აჩქარებულა, ყველა ხმაგაკმენდილი ისმენდა მის პოეტურ სიტყვებს და კიდევ უფრო წყდებოდათ გული ამ ნიჭიერი სახალხო მგოსნის სიკვდილის გამო.

|

## ბეჩარა ვასო

ბეჩარა ვასომ (ბერიევი), ისე, როგორც ბევრმა სხვა აშულმა, წერა-კითხვა არ იცოდა, ხალხური პოეზიის ნიმუშებს ზეპირად ავრცელებდა. კაცს წერა-კითხვა არ სცოდნია, ხალხს კი წიგნის კითხვის სურვილს უღვივებდა. თუ იეთიმ გურჯი პარკებზე და იოსებ დავითაშვილი ქვების მურის მონალესით სწავლობდნენ ქართულ ენას, ბეჩარასათვის ასეთი „ფუფუნება“ უცხო ყოფილა. მისი ხელის მოწერა ჯვარი (X) იყო. იგი ამ ფაქსიმილეს საშუალებით აწარმოებდა თურმე ალებ-მიცემობის პატარა ოპერაციებს ვაჭრობაში.

ბეჩარა ვასო, ეს ძველი თბილისის ცოცხალი მატრიანე, ცხოვრების ძველ ჩარჩოში იყო მოქცეული. მის გარშემო თითქოს არაფე-

რი გამოცვლილიყო: ძველი დარბაისელივით დინჯად აბოლებდა ჩი-  
ბუხს, ისევ მუხამბაზებით ლექსაობდა, წინაპარ ოსტატ აშუღების  
კვალს მისდევდა.

ბეჩარა ვასო თავის ჯვარს სხვათა ათას ნაწერებში გამოარჩევ-  
და. წერა-კითხვა სულ არ ვიცი და არც მისწავლია, — ამბობდა  
იგი, — ციფრი რა არის, იმასაც ვერ ვარჩევ. ლექსის ამოღების  
დროს მარცვლებს კრიალოსანზე ვითვლი. მიყვარს სიმღერა, ჩი-  
ბუხი და კრიალოსანი“.

მართალია, ბეჩარას, როგორც უსწავლელ კაცს, არავითარი წარ-  
მოდგენა არ ჰქონდა წიგნსა და კალამზე, ლექსების არც ერთი წიგ-  
ნი არ ჰქონია გამოცემული, მაგრამ თბილისის მესაზანდრეებში  
ყველა დაირის დამკვრელმა ზეპირად იცოდა მისი ლექსები: „ვერ  
მიმღერია“, „მანდ ეგდე“, „არ მიკვირს“ და სხვა მრავალი.

თუ გივიშვილისა და სკანდარნოვის ლექსები სტამბაში მიდი-  
ოდა, ბეჩარას ეს არ აინტერესებდა. სტამბის გზა საით იყო, არც  
კი იცოდა. მისი ლექსები ერთბაშად ამოსკდებოდა ამ ნიჭიერი კაცის  
გულის სიღრმიდან. — მერე რომელიმე მომღერალი აამღერებდა, ჰანგს  
შეუწყობდა და თვლა არ ჰქონდა, ასე ზეპირად მისი ლექსები საით  
იფანტებოდა. ბევრჯერ მის სიტყვებს მომღერლები ითვისებდნენ  
და მსმენელთათვის ავტორის ვინაობა უცნობი რჩებოდა.

„გაშლილ ჰაერზე მოწყობილი კონცერტები ადგილობრივი მო-  
სახლეობის სამუსიკო ნიქს ავლენდნენ. ეს კონცერტები ჩვეულებ-  
რივად იმართებოდა მედუქნეების, ხელოსნებისა და სხვა მუშაკთა  
მიერ, რომელნიც დღიური შრომით დაღლილნი შინ ბრუნდებოდ-  
ნენ“<sup>1</sup>.

სიმღერა ზეპირსიტყვიერების უძლიერესი საშუალებაა. საყო-  
ველთაოდ ცნობილია, რომ იგი არა მარტო ადამიანზე, არამედ  
ცხოველებზეც მოქმედებს. შოთა რუსთაველი ამბობს: „რა ესმო-  
დის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“. ტკბილად მოუბარნი  
ძველად ჩვენში აშუღები ყოფილან. ისინი სოფლიდან სოფელში  
დადიოდნენ, დაბიდან დაბაში, ღრეობებში, ქორწილებსა და ღლე-  
ობებში, ყავახანებსა და ღია ცის ქვეშ სიმღერით ავრცელებდნენ  
ხალხური პოეზიის ნიმუშებს.

აკადემიკოსი ნიკო მარი წერს: „ქართული ლიტერატურის პო-

<sup>1</sup> «Кавказ», 1894 წ. № 52.

პულარიზაციას ძლიერ ეხმარებოდა საეკლესიო დღესასწაულები... ამ დღესასწაულზე საქართველოს ყოველი კუთხიდან იკრებდნენ საუკეთესო მომღერლებს და სახალხო მგოსნებს (მესტვირე, მესაზანდრე). ამ მომღერლების საშუალებით ხალხში გადადიოდა ქართული ლიტერატურის, ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო და საზიანო ნიმუშები“<sup>1</sup>.

ძველად ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა: მდებალი ხალხისათვის — ორთაჭალის ბაღები, ევროპულად გაზრდილთათვის — მუშტაიდი. ამიტომ ეს დღეობებიც ყარაჩოღელთათვის ერთი იმ გასართობთაგანი ყოფილა, სადაც ბუნების წიაღში დაგუბებულ გრძნობას სრულ თავისუფლებას აძლევდნენ და მთელი სამი დღის განმავლობაში ღრუობდნენ. ესენი საეკლესიო ლოცვებზე იმდენს არა ფიქრობდნენ, რამდენადაც ქეიფზე.

„ქალი რომ ავად გახდება,  
წაიყვანენ არბოსა,  
ერთს მაინც გაიკუნტრუშებს,  
რაგინდ რომ არა არგოს რა“!..

ბეჩარა, როგორც ზემოთ ითქვა, ქალაქის ხალხური პოეტი იყო. ბეჩარას ყოველი ლექსი „სპარსთა ხმასა“ ზედა არის შექმნილი. „რასტის ხმაზე“: „ერთი დროება ვის შერჩენია, — არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა, ყველას ცხოვრება აქ დარჩენია, — არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა! მტერი არ მიზამდა, რაც შენ მიყავი, უღვთოდ დამიქციე სახლი და კარი! ორივე ხელი თავში ჩამკარი, — არც შენ შეგრჩება ეს ავკაცობა! ბევრი მინახავს შენისთანები, ოქროთ და ვერცხლით გამაძლარები. ბეჩარ, შენ იმათ ნუ ეღარები, არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა!“ ბეჩარა სიმღერით ალაგებდა თურმე თავისი ლექსის სტრიქონებს. ასეა შექმნილი ლექსები: „შარიშურის ხმაზე“, „ჩანგის ხმაზე“, „ღუბეთის ხმაზე“ და სხვ. გასაოცარია, რომ ბეჩარა, რომელიც ზამთარში თევზს ჰყიდდა და ზაფხულში მწვანილს, თავისი გონების ნაყოფს ბოჰემური ხელის ჩაქნევით ფანტავდა.

<sup>1</sup> Н. Марр, «История Грузии», 1906 წ. გვ. 34. გამომც. „ამირანი“. ალ. ბარამიძისა.

აი, ერთი მისი ორიგინალური ლექსი, სადაც დიალოგის ფორმა-  
თაა გადმოცემული ავტორის ნაპერწკლიანი სიტყვები და სატრფოს  
გულის პასუხი „სამაიას ხმაზე“:

„საყვარელს ვუთხარი: ათასი ფერი ხარ.  
მითხრა: რას ბოდავ, ვინ ოხერი ხარ.  
ვუთხარი: ლამაზო, მინდერის შველი ხარ.  
მითხრა: გენაცვალე, ჩემი მტერი ხარ.  
საყვარელს ვუთხარი: შენ გენაცვალე.  
მითხრა: შენი თავი სხვაზე გაცვალე.  
ვუთხარი: უშენოდ სულ დაეიცალე.  
მითხრა: ეგ ცოტაა, ჯერ ჯეელი ხარ.  
საყვარელს ვუთხარი: რა მეშველება,  
მითხრა: ხმის გაცემის არა გაქვს ნება.  
ვუთხარი: ბეჩარა შენთვისა კვდება.  
მითხრა: საცოდაო, რა სულელი ხარ...“

გასაოცარია ისიც, რომ ბეჩარასათვის არ არსებობდა სიკვდი-  
ლის შიში. იგი სიკვდილის ანგელოზს ოპტიმისტურად უცქეროდა.  
ბეჩარასათვის „მიქელ გაბრიელი“ რეალური პიროვნებაა, „უნამუ-  
სო და გაუმძღარი“. მხიარულად განწყობილ პოეტს სწამდა, რომ  
სიკვდილს სიცოცხლე დასძლევს. აი, როგორ მიმართავს ბეჩარა სი-  
კვდილს:

„გაბრიელო, რად მიბარებ, მოდი, მომკალ, შენ გელი.  
იცი, შენი ხორაგი ვარ, მე ცხვარი ვარ, შენ — მგელი.  
ნეტავი რას აგვიანებ, გუნებაში რა გაქო,  
შენი უნამუსობა ქუჩა-ქუჩა დაგაქო,  
არ მესმის, თუ რას კვებულობ, ჩემზე მეტი რა გაქო,  
კარიკო, მოდი დამშხამე, რას უყურებ, შენ გელი!  
შენი შიშით ბავშვი სტირის აკვანში,  
მაგონდები, ვერ ვისვენებ საბანში,  
დრო იქნება, შენ ჩავარდე საკანში.  
აქ მომწერე, მოდი მნახე, შენ გელი...“

ბეჩარა გარეგნობით ჯმუხი კაცი ყოფილა. არც ძალიან წარმო-  
სადგეი, მაგრამ ენერგიით სავსე: ახალუხით, განიერი შარვლით და  
გრძელი ვერცხლის ქამრით. ჩიბუხი თურმე განუშორებლად პირში  
ელა.

ბეჩარას წინაპრები გორის მაზრის სოფელ სველნეთიდან თბი-

ლისში ყოფილან გადმოსახლებულნი. ბეჩარა თბილისშია დაბადებული. 18 წლისას ყავახანაში დაუწყია სიარული, ძალიან ყვარებია აშუღებთან საუბარი და მასლაათი. შემდეგ საკუთარი ყავახანა გაუხსნია. როცა აშუღებს ლოცვა ჰქონიათ, ყმაწვილკაციც დაულოცნიათ და ზედმეტ სახელად ბეჩარა დაურქმევიათ, რაც საწყალს ნიშნავს.

## ლევან კარახანი

ჰაზირას დასტის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, ცნობილი ქამანჩაზე დამკვრელი ლევან კარახანი თავისი დაკვრის მრავალფეროვნებით, ქამანჩის ლამაზი ბგერით, ვირტუოზულობით აჯადოებდა მსმენელთ.

ლევან კარახანს ბავშვობიდანვე უყვარდა მუსიკა. თერთმეტი წლისა მესაზანდრეებს უსმენდა, ნალარაზე დაკვრას სწავლობდა. თავის მეგობარ საშა ოპანეზაშვილთან ერთად დადიოდა იმ დროს ცნობილ მეჭიანურე ოპანეს აირაპეტოვთან და სულ მოკლე ხანში დაუფლებია კიდევ ამ საკრავს — შეუსწავლია ქართული, სომხური, აზერბაიჯანული სიმღერები. განსაკუთრებით დასწავტებია საიათნოვას ლექსებსა და სიმღერებს, შემდეგ შეუძენია ქამანჩა, გავარჯიშებულა და დასტაში შესულა.

თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ლევანს თბილისის სახალხო თეატრებში დაუწყია. აქ ჰაზირასთან ერთად წლების მანძილზე მუშაობდა. საღამოებზე ანტრაქტის დროს აშუღი ჰაზირას დასტა უკრავდა. დასტა ჩვეულებრივი სიმღერების გარდა პიესის შესატყვის ლექსებსაც მღეროდა და ისმოდა ქამანჩის მომხიბლავი ჰანგები.

„ლევან კარახანი, — წერს ცნობილი მთარგმნელი ივანე დავითიანი, — 1914 წლის 15 მაისს გავიცანი, როცა ჰაზირას დასტაში მონაწილეობდა თავისი ქამანჩით. იმ დღეს სუფგეორქის ეკლესიის გალავანში დიდი ზეიმი იყო, საიათნოვას საფლავზე ძეგლი უნდა გაეხსნათ. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ოვანეს თუმანიანი, გეორქ ბაშინჯალიანი, აქტიურად მონაწილეობდნენ ამქრები დროშე-

ბით და წითელი ვარდებით, ძეგლის გახსნას ესწრებოდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, ნინო და ილია ნაკაშიძეები და სხვ.

ახალგაზრდების ერთი ჯგუფი დამკვრელებს არ ვშორდებოდით, რადგან ლ. კარახანს ალტაცებაში მოეყავდით.

ზეიმის დამთავრების შემდეგ სპეციალურად მივედი, უღრმესი მადლობა გადაუხადეთ ჰაზირას და ლ. კარახანს, რაც ქართულსა და სომხურ გაზეთებში გამოქვეყნდა“.

საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწის მიზნით ლევან კარახანი ბაქოში გადასულა. მოკლე ხანში შესანიშნავად დაუფლებია ინსტრუმენტს და სახელი გაუთქვამს, როგორც ნიჭიერ მუსიკოსს, ქამანჩის დიდოსტატს.

მერე შემოუვლია მთელი საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, სტუმრებია მოსკოვს. მოსკოველი პროფესორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი წერდა: „აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკის ნიმუშების ქამანჩაზე ჩემს მიერ მოსმენილი შემსრულებლებიდან არ შემიძლია არ აღვნიშნო კარახანი“. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გ. გლუბოვი კი აღნიშნავდა: „მოუხსმინე რა კარახანს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ნამდვილი მსახიობია, მისი შესრულება ქამანჩაზე გამოირჩეოდა როგორც რიტმით, ინტონაციით, აგრეთვე სტილის მრავალფეროვნებით“.

როცა ლევანი თეირანში საგასტროლოდ იმყოფებოდა, ამ ქალაქის ერთ-ერთმა განეთმა მას ვირტუოზი უწოდა, ნიჭიერ მუსიკოსს შეუქო შესრულების სიღრმე და ოსტატობა. მის შესახებ მრავალჯერ დაიწერა, რომ კარახანი არის ყველა აღმოსავლური კონცერტის გმირი, ხოლო მისი ქამანჩა ამ კონცერტის სიტკბოება.

„მიმდინარე წლის მაისში, — წერდა ერთ-ერთი რეცენზენტი, — კარახანი თეირანში ჩამოვიდა. ადგილობრივი მუსიკალური საზოგადოებრიობა აღაფრთოვანა მისმა გამოსვლამ. მსმენელები მოუთმენლად ელიან მის კონცერტებს.

3 მაისს თეირანში „შირ-ე-ხურშიდის“ თეატრში ჩატარდა კარახანის პირველი კონცერტი. დამსწრენი მოუთმენლად ელოდნენ სცენაზე ცნობილი მუსიკოსის გამოჩენას. მქუხარე ტაშის გრიალში აიხადა ფარდა. იფრქვეოდა დამატყვევებელი აღმოსავლური ჰანგები. მოქნილად და ოსტატურად მოძრაობდნენ მისი თითები. მან

შეძლო მოეჯადოებინა საზოგადოება, რომელსაც ჩვეულებრივ ვერ დააშოშმინებ წარმოდგენის დროს“.

„კარახანის ოსტატობა თეირანელთა მეხსიერებაში აღიბეჭდა, როგორც შესანიშნავი მოგონება“, — დასძენდა გაზეთი.

1912 წელს ირანის შაჰს მუზაფერ-ედინს ქ. ლენქორანში, სადაც გავლით იმყოფებოდა, ლ. კარახანი ოქროს მედლით დაუჯილდოებია.

სად არ უმოღვაწია ლევანს: თბილისში, ბაქოში, ერევანში, ლენინაკანში, აშხაბადსა თუ ქუთაისში.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის დავალებით ლევან კარახანს ოციან წლებში თბილისში ჩამოუყალიბებია ხალხური საკრავების სახელმწიფო ანსამბლი. 1926 წელს შემოდგომაზე საქართველოს სსრ ხელოვნების კავშირს იგი თავისი ანსამბლით საგასტროლოდ მიუვლინებია ჯერ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, შემდეგ კი გერმანიაში, რუმინეთში, პოლონეთში, ბელგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრიაში, თურქეთსა და ირანში. ანსამბლის გამოსვლებს ყველგან მსმენელთა დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია როგორც შესრულების ემოციურობით, მელოდიურობით, ასევე მრავალფეროვანი რეპერტუარით. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად კარახანის სოლო გამოსვლებს.

ლევან კარახანი აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. იგი წლების მანძილზე მუშაობდა ბაქოს კონსერვატორიაში, სადაც ქამანჩის კლასს განაგებდა.

მუსიკოსს კომპოზიციაშიც უცდია ბედი. ლევან კარახანს ეკუთვნის „აღმოსავლური ფანტაზია“, „სომხური საცეკვაო“, „თბილისური ესკიზები“, მუსიკა რადიოინსცენირებისათვის „ერეკლე მეორე“.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი იგონებდა: „ბრწყინვალე ვირტუოზის კარახანის შესრულება ქარანიაზე მე არაერთხელ მომისმენია და დავმტკბარვარ მის მიერ როგორც სპარსული ბჰიათების, აგრეთვე ქართული და სომხური სიმღერების შესრულებით...“

მუსიკისმცოდნე ე. მ. ბრაუდო ლევან კარახანის შესახებ წერდა: „ქამანჩაზე დამკვრელი კარახანის შესრულება აღმოსავლური ინსტრუმენტული ვირტუოზული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია. შესრულების უბადლო ფრაზირება და სიწმინდე მსმენელს, მასაც



კი, ვინაც აღმოსავლური ჰანგების თავისებურებას არ იცნობს, საშუალებას აძლევს ჩასწვდეს მათ ნაციონალურ შინაარსსა და დამახასიათებელ განცდებს. კავკასიის ამ მუსიკიდან, რომელთაც მე მოვეუსმინე, ჩემი აზრით, კარახანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა“.

ლევან კარახანის ხელოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდა კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, — კარახანი ქამანჩაზე შემსრულებელთა შორის ერთ-ერთი ნიჭიერი მუსიკოსიაო, ამბობდა იგი.

ლევან არტემის ძე კარახანი დაიბადა 1891 წლის 24 მარტს თბილისში ქამანჩაზე დამკვრელი მუსიკოსის ოჯახში. სიკვდილის წინ მამას თავისი ქამანჩა შვილისათვის უანდერძებია. მიუხედავად ხელმოკლეობისა, დედას მეუღლის სურვილი შეუსრულებია და ქამანჩა თავისი ვაჟიშვილისათვის შემოუნახავს.

ოჯახური მძიმე პირობების გამო მცირეწლოვან ყმაწვილს მუშაობა დაუწყია ეფენდიევის თამბაქოს ქარხანაში, სადაც ბიძამისი მუშაობდა. ბიძა სოციალ-დემოკრატი ყოფილა და ბავშვი თან დაჰყავდა თურმე კრებებზე. აძლევდა პროკლამაციებს სამეგრელოს ჯარისკაცთა პოლკში გასაავრცელებლად. ეს ამბავი დედას რომ გაუგია, შეშინებია და ჭაბუკი ქარხანაში აღარ გაუშვია.

აუტანელმა სიღარიბემ დედა აიძულა გათხოვილიყო ბრმა მუსიკოსზე, თარის დამკვრელ ვინმე სულიკოზე. მამინაცვალს ბიჭუნასათვის თარზე დაკვრა უსწავლებია და ისიც საშა ოპანეზაშვილთან (ოვანოვი) და ბახჩო ტურაზიანთან ერთად ქორწილებსა და დროს გასატარებელ ადგილებში გამოჰყავდა.

ლევანს მალე გარდაეცვალა დედა. მამინაცვალს სხვა ქალი შეურთავს. ამის შემდეგ მისი მდგომარეობა ძალზე გართულებულა. 13 წლის ჭაბუკი იძულებული გამხდარა დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო. იგი ყველასაგან მალულად 2—3 წლის განმავლობაში თურმე მამის დანატოვარ ქამანჩაზე ვარჯიშობდა. შემდეგ თარზე დამკვრელ სამსონ კარაპეტიანს გამოუტყდა, უამბო, როგორ მეცადინეობდა იგი ოვანეს აირაპეტიანთან და ანტონ მაილიანთან. საშა ოვანოვს სურვილი გამოუთქვამს ქამანჩაზე დამკვრელებს ესწავლათ მუსიკალურ სასწავლებელში. სასწავლებელში კი ქამანჩის სპეციალური კლასი არ ყოფილა. ამასთან სასწავლებლის პედაგოგს პანიევს შეუნიშნავს მუსიკოსებისათვის, რომ მათ ქამანჩას არ ჰქონდა მეოთხე სიმი. ქამანჩაზე დამკვრელებმა გაითვალისწინეს პა-

ნიევის შენიშვნა. მეოთხე სიმისათვის კრილი გაბურღეს და დაუმატეს სიმი. პანევი კმაყოფილი დარჩა და თავის ახალ მოწაფეებს მეცადინეობა დაუწყო. ამის შემდეგ თითოეული მათგანი ცდილობდა გაეუმჯობესებინათ ქამანჩის წყობა.

მალე ლევან კარახანს თბილისში მაღალკვალიფიციური მუსიკოსებისაგან ჩამოუყალიბებია ანსამბლი 14 კაცის შემადგენლობით და საგასტროლოდ გამგზავრებულან აზერბაიჯანსა და სპარსეთში.

1921 წელს საქართველოში ლევან კარახანს ჩამოუყალიბებია „ხელოვნების მუშაკთა კავშირი“ — „მუშხელი“. ამასთან დაკავშირებით მოსკოვიდან ჩამოსულან პოკროვსკი, სუხორუკოვი, ლეონ ტანდიტი. შეკრებაზე ხელოვნების ყველა მუშაკი მოსულა. ლევან კარახანი აღმოსავლეთის მუსიკოსთა ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარედ აურჩევიათ. შემდეგ „მუშახელის“ დავალებით კარახანს ორკესტრი და აგიტაციური (აგიტმხატვრული) ბრიგადა ჩამოუყალიბებია. მათ უნდა ემოგზაურათ და კონცერტები ჩაეტარებინათ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

1926 წელს „მუშხელის“ ინიციატივით ორკესტრი საგასტროლო ტურნეთი გაემგზავრა პოლონეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთსა და ინგლისში.

გზად მიმავალთ მოსკოვში გაუმართავთ კონცერტები, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

1927 წელს ლევან კარახანი თარზე დამკვრელ ბალა მაშკოვთან, მომღერალ ფარხალიევთან და პიანისტ გელიკურაშვილთან ერთად საგასტროლო მოგზაურობით წასულა სომხეთში. ლენინაკანში კონცერტების დამთავრების შემდეგ მიუწვევიათ ნ. ტიგრანიანის ოჯახში, სადაც კომპოზიტორი დანიელ კაზარიანიც იყო.

1928 წელს „მუშხელმა“ ორკესტრი საგასტროლოდ შუა აზიაში გააგზავნა. კონცერტები ჩაატარეს ბაქოში, აშხაბადში, ანჟელანში, სამარყანდში. სამარყანდში ხუთი საშეფო კონცერტი გაუმართავთ მეზღვაურებისათვის.

1929 წელს ბუნი ვართანოვს ლევან კარახანი ერევანში მიუწვევია ორკესტრის კონცერტმეისტრად. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარებულა.

ლევან კარახანს ბაქოში ყოფნისას მოულოდნელად მიუღია მიწ-

ვევა აშხაბადის მუსიკალური თეატრიდან. მას ორკესტრის ხელმძღვანელად იწვევდნენ. იგი ამ დროს თავისი ანსამბლით სამარყანდში მიემგზავრებოდა კონცერტების ჩასატარებლად. სამარყანდრიდან დაბრუნების შემდეგ ანსამბლი დაშლილა, ამით უსარგებლია კარახანს და აშხაბადში გამგზავრებულა ოპერეტის თეატრში სამუშაოდ. მიმდინარე რეპერტუარს მუსიკალურად აფორმებდა, წერდა მუსიკას ახალი დადგმებისათვის. მიუწვევიათ აგრეთვე პიონერთა სასახლეში, სადაც დაკვეთით წერდა საბავშვო სიმღერებს. პირობები კარგი ჰქონია, მაგრამ იქაურ კლიმატს ვერ შეგუებია და მალე თბილისში დაბრუნებულა.

1937 წელს ლევან კარახანს სომხეთის ხელოვნების საქმეთა კომიტეტიდან ავაბალიანის მიწვევა მიუღია. ავაბალიანი სთხოვდა, მონაწილეობა მიეღო დეკადაში, რომელსაც სომხეთი მართავდა მოსკოვში. იგი სახელმწიფო ფილარმონიაში წამყვან კონცერტმაისტერად ჩაურციხავთ ხალხურ საკრავთა ორკესტრში. ამავე დროს მიუწვევიათ სომხეთის კონსერვატორიაში და ლენინაკანის მუსიკალურ სასწავლებელში ქამანჩის მასწავლებლად.

ლევან კარახანს ლენინაკანის სასტუმროში შემთხვევით შეხვედრია დავით ოისტრახი, რომელსაც იცნობდა მოსკოვიდან. ის იყო კონცერტმაისტერ ფედელმანთან და ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ ქრისტეფორე კუშნარევიანთან ერთად, რომელსაც ასევე იცნობდა ლევანი. კარახანს ისინი საუბრეზე მიუწვევია. მათ სთხოვეს კარახანს, რაიმე დაეკრა. ოისტრახს მალაღლი შეფასება მიუცია კარახანის ხელოვნებისათვის.

ჰაბუტოვისას ლევან კარახანი წერდა ლექსებს. მუსიკასაც თავადვე თხზავდა. პირველი მელოდია კი „ჯონ ორ ქინჯან“ გ. გრიგორიანის ლექსზე შეთხზა. შემდეგ შექმნა საცეკვაო ნომრები, როგორცაა „ნუნუკარი“, „შუშანიკი“, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ აზერბაიჯანში და დღესაც იგივე წარმატებით სარგებლობს. „ნუნუკარ“ ლევანს მეუღლისათვის, ნუნუ კარახანისათვის მიუძღვნია.

ლევან კარახანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე 18 საცეკვაო ნომერი: „თბილისური ესკიზები“, „ჰაისტანი“, „საქართველო“, „აზერბაიჯანი“, „წყალტუბო“ და სხვები. მათ შორის „ნანა ზირი“ სომხეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ინსტრუმენტული ნაწილის ხელმძღვანელის ალექსანდრე ალექსანდრიანის ქალიშვილისათვის მიუძღვნია.

ასევე ჰქონია დაწერილი მთელი რიგი მელოდიები, რომლებიც მიღებული ყოფილა ერევნის შემოქმედებითი სახლის კომისიის მიერ.

1926 წელს ლევან კარახანი მიიღეს აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირში.

1939 წელს დეკადის წინა დღეებში, მოსფილარმონიის დირიჟორს ზ. გ. ვართანიანს უცნობებია კარახანისათვის, რომ მოსკოვში ჩატარდება ხალხურ საკრავებზე შემსრულებელთა საკავშირო გასინჯვა. პირველი ტური კარახანს სომხეთში გაუვლია. სომხეთიდან მოსკოვში 6 კაცი გაუგზავნიათ. გასინჯვის დღეს კარახანს ჭამანჩა კულისებში დაუდევს და თვითონ ლოქაში დამჯდარა კოლეგების მოსასმენად. ჟიურის თავმჯდომარეობდა კომპოზიტორი უზეირ ჰაჯიბეგოვი, წევრები იყვნენ ხელოვნების საქმეთა კომიტეტიდან დ. ოისტანი, ბელიაევი, ხროპჩენკო. როდესაც მისი ჯერი დამდგარა, გასულა ჭამანჩის ასაღებად, ჭამანჩისათვის ვილაცას ხელი მოეკიდა. კარახანს დაკვრა დაუწყია. ჭამანჩა აღარ დამორჩილებია. რამდენიმე ადგილზე შეუმჩნეველად, დანით იყო გახვერტილი. ჟიურისაც შეუნიშნავს ეს. კარახანს შეუწყვეტია დაკვრა. აღელვებული გამოსულა და იქვე დივანზე მიუგდია და ატირებულა. კომისიის მთელი შემადგენლობა კულისებში გასულა. გაუთვალისწინებიათ მომხდარი ამბავი და, როგორც გამონაკლისი, კარახანისათვის ნება დაურთავეთ, ხელახლა გაეკლო ტურები. იგი ბრწყინვალედ გასულა მეორე და მესამე ტურებში და პრემიაც დაუმსახურებია.

ლევან კარახანი იგონებს: „მთელმა რიგმა კარგმა. მსახიობებმა, ვისაც კი ოდნავ გააჩნდა ხმა, მუსიკალურ, დრამატულ პიესებში და ოპერეტებში დაიწყეს მუშაობა. მონაწილეობდნენ პიესებში, როგორც არის: „არშინ მალ-ალან“, „ასმი კერიმ“, „ლეილა და მეჯნუნი“ და სხვ. ამ პლედარის მსახიობები იყვნენ არუს ვოსკანიანი, ვასო აბაშიძე, ტასო აბაშიძე, ვოსკან ვოსკანიანი, გეორჯ ფირუმიანი, ე. ჩერქეზიშვილი და სხვათა მონაწილეობით დადიოდნენ საგასტროლოდ ქ. სოხუმში, სადაც წინასწარ გამოცხადებული რეკლამით იყიდებოდა ბილეთები. ერთხელ წარმოდგენის შემდეგ ვბრუნდებოდით შინ. გზაში, იქვე ტყის პირად დაგვხვდნენ ყაჩაღები, რომლებმაც გაგვჭურდეს. გაძარცვულები სულით არ დავეციოთ, მხიარულად განვაგრძეთ გზა სოხუმისაკენ გემით. იმ დროს

გემმა სოხუმის ნაპირს ვერ მიაღწია და მგზავრები ნავებით გადა-  
გვიყვანეს“.

1940 წელს აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის რეკომენდაციით  
ლევან კარახანი მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში  
მიუწვევიათ მუსიკალური გაფორმებისათვის. მას გაუფორმებია პი-  
ესა „მეფე ერეკლე“. დაუწერია მელოდია სცენისათვის, სადაც  
ერთმანეთს ეპაექრებიან საიათნოვა და სპარსეთის აშული; ასევე  
შაუმთანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში მუსიკალურად  
გაუფორმებია შამხალოვის პიესა „დედამთილი“.

1941 წელს კარახანი მიწვეული ყოფილა თბილისის აზერბაიჯა-  
ნის დრამატულ თეატრში ხალხურ საკრავთა ანსამბლის ხელმძღვა-  
ნელად. ერთდროულად მუსიკალურად აფორმებდა სპექტაკლებს:  
„პლატონ კრეჩეტი“, „უშიშარი მებრძოლები“ და სხვ. შაბათ და  
კვირა დღეებში ატარებდნენ კონცერტებს სამხედრო ნაწილებსა და  
პოსპიტლებში, სასაზღვრო ნაწილებში, რისთვისაც მიღებული  
ჰქონია მრავალი მადლობა ბრძანებით.

1942 წელს ლევან კარახანს თბილისის რადიომაუწყებლობის  
სომხური რედაქციის რედაქტორი მკრტი ასლანიანის მიწვევა მი-  
უღია. კარახანს ხალხურ საკრავთა ორკესტრი უნდა ჩამოეყალიბე-  
ბინა. ანსამბლმა ოთხი წელი იარსება. მომღერლებიდან ყოფილა  
ალბერტ აჰადანიანი და ქნარიკ გაბრიელიანი (დოქტორი), არფიკა  
არაქელიანი, აიკანუშ მიქელიანი. ყველა მუსიკის მოყვარულები.  
კარახანს ამ ანსამბლისათვის დაუწერია მელოდები; მუსიკალურ  
გრამჩანაწერებს გადასცემდნენ რადიოთი.

1967 წელს ლევან კარახანისათვის მიუნიჩიკებით სომხეთის სსრ  
დამსახურებული არტისტის წოდება.

ლევან კარახანის მოგონებებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს  
აგრეთვე გრიშაშვილისა და მისი მეგობრობის ამბავი. აი, რას გვი-  
ამბობს თვითონ ლევანი:

„მე და იოსებ გრიშაშვილი ბავშვობიდან, 1903 წლიდან, ვიყა-  
ვით განუშორებელი მეგობრები. მამამისს, გრიშას, ჰქონდა პატარა  
ღვინის ღუქანი, სომხური ეკლესიის „სუჰსარქისის“ მახლობლად  
(ხარფუხის რაიონში), ვაჭრობდა ღვინით. ზამთრის პერიოდში ღუ-  
ქანში დგამდა ღუმელს, როცა ღუმელის ასანთებად არ ჰქონდა შე-  
შა, მე და იოსები ვაგროვებდით ფიჩხებს. ის ანთებდა და ითბობდა  
ხელებს. ის იყო ძალიან კარგი ადამიანი და ძალიან უყვარდა ზღაპ-

რები, მაგრამ კითხვა არ შეეძლო. ის დაგვევამდა მე და იოსებს და გვაიძულებდა გვეკითხა ზღაპრები „ეთერიანი“, „ცხრა თავე დევი“. და სხვ. როცა იოსები წამოიზარდა, სიარული დაიწყო „მურაშკოს“, „არაქსიანის“ და ავლაბრის თეატრებში. სუფლიორად მოეწყო. ამ დროს მე ვუკრავდი ნაგარზე ჩემ მამობილთან აშულ აზირასთან ერთად, რათა მიგვეზიდა მაყურებელი. როცა იოსები რეპეტიციებზე მიდიოდა, მე იძულებული ვიყავი მამამისისათვის მეკითხა ზღაპრები.

გრიშა გარდაიცვალა, ჩვენ გავიზარდეთ, იოსები გახდა პოეტ-აკადემიკოსი, მე კი ქამანჩისტი“.

ასევე იგონებს ლევან კარახანი შემდეგდროინდელ გაცნობილ აღამიანებსაც. „პირადად ვიცნობდი ლუნაჩარსკის, რომელთანაც ერთად ვისვენებდი 1925—26 წლებში მინერალურ წყლებზე ოჯახთან ერთად. ვსაუბრობდი მასთან.

ახლოს ვიყავი სპენდიაროვთან, უზეირ ჰაჯიბეგოვთან, ბაქოს კონსერვატორიის კომპოზიტორ ტიგრანიანთან, პროფესორ კუშნარიოვთან, მუსიკათმცოდნე პროფესორ ბროლსთან, არაყიშვილთან, ფალიაშვილთან, ნ. ტიგრანიანთან, დანიელ კაზარიანთან, პოეტ ჩარენციანთან, ლორენცთან, კომპოზიტორ რომანოზ მელიქიანთან, დავიდ ოისტრახთან, ლეონ მიხეილის ძე კარახანთან, თეოდორე ივანეს ძე შალიაპინთან. რეპერტუარში მქონდა ჩარდახი, ბაიათი, შირაზი, შიქასტა ფარსი, ირანული ლასტი, კლასიკური მუსიკა და სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები“<sup>1</sup>.

## პრიგოლ ქსოვრელი

დუღუკს საქართველოში ოდითგანვე სცემდნენ პატივს. იგი ქართველი ხალხის ყოფას უხსოვარ დროიდან შეესისხლხორცა და ჩვენ მამა-პაპათა ცხოვრებას ალამაზებდა — ამ სასიამოვნო, ტკბილხმოვან საკრავს გულის ნადებს გაანდობდა.

თბილისის თავისებური ატმოსფერო, წალკოტი ბუნება განსა-

<sup>1</sup> ლ. კარახანის პირადი არქივიდან.

კუთრებულ შემოქმედებით განწყობილებას ქმნიდა და ეგზოტიკურ სანახაობას წარმოადგენდა. ალბათ ამიტომაც უთქვამს ვასილ ბარნოვს: „მწყობრი ხმით ახმაურდა ის მყუდრო კუთხე, დუდუკის სევდიანი მოთქმა რომ უერთდებოდა მტკვრის დუდუნს, ხმები ხან გულში ეკვროდნენ მდინარეს, ხან სხლტებოდნენ მის კამკამა მკერდზე და მარგალიტების მარცვლებად იბნეოდნენ მიდამოში“.

დუდუკის მტრედით მოლულუნე ხმას არაერთი დიდბუნებოვანი ადამიანი დაუტყვევებია, მათ შორის დიდი ილია ქავჭავაძე. ილიას ძალიან ჰყვარებია დუდუკზე შესრულებული ძველი ქალაქური, ეშხითა და ელვარებით, აღსავსე ჰანგები. განსაკუთრებით კი მუხამბაზები.

ჩვენში დანერგილ სამუსიკო საკრავებიდან განსაკუთრებული პოპულარობა დუდუკსა და ზურნას მოუპოვებია. მასზე აუღერებდნენ ქართულ მელოდიებს და აწყობდნენ სხეადასხვა სიმღერას, უფრო ხშირად კი მუხამბაზის კილოზე.

თბილისური საკრავების სიყვარული აკაკი წერეთელსაც გამოუმეღავენებია. მგზნებარე ჰანგებით დამტკბარი პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში წერდა:

„ახ, მეზურნევე, დაჰკა, დაჰკა!  
გამაგონე ეს სევდის ხმა!  
მაგაშია ჩემთა შეილთა  
მამაცური ოხვრა, მოთქმა.  
გამიხურე ჰანგით გული  
ეგებ დადნეს მწუხარება  
და ჩემს თვალთა გადმოსთხიონ  
ნალელიანი ნეტარება!“

განა შეიძლება პავლე მაისურაძის, დათა ზუბიაშვილისა და ვასო რაზმაძის მედუდუკეთა ანსამბლის დავიწყება? ასევე არ შეიძლება არ გავიხსენოთ თბილისელი მუსიკოსები და აშულები.

ლეგენდარულმა პაზირამ თავისი ცხოვრება დაირასა და ჭიანჭურს მიუძღვნა. იგი წერდა ლექსებს, თავად ქმნიდა მუსიკას და ასრულებდა კიდეც. დაუვიწყარია მედუდუკე კუბრია და მისი მუსიკალური დასტა, ძველ ქალაქსა და ამიერკავკასიაში უპოპულარესი, ხარფუხელი ბაგრატი ბაგრამოვი, არტემის ოსტატობას ხომ ბადალი არ ჰყოლია დუდუკის უღერადობაში; ნინო ციციშვილი, რომლის ზურნის ხმიანობას არაერთგზის მოუხიბლავს ილია და აკაკი.

როგორც დიდი ილია და აკაკი წერეთელი, ისე მეფის ნაცვალა და ძველი თბილისის მკვიდრნი მოხიბლულნი ყოფილან აგრეთვე ნიჭიერი და კარგი მუსიკოსის პეტრე (პეტა) ჩაჩანიძის მიერ შესრულებული იჯახით, შუშტრით, რისტით და განსაკუთრებით „დილის საარითა“ და მასრაფით.

პეტას ცნობილი „დილის საარი“ ირანის შახსაც ძალიან მოსწონებია და იგი თავის ქორწილში მიუწვევია. მუსიკოსი ოქროს მედლითა და დიდძალი ფულით დაუსაჩუქრებია.

თურმე ასე იწვევდნენ პეტას აზიური ქორწილის დროსაც. მის მიერ შესრულებული ბევრი ტკბილი ჰანგი სხვადასხვა ფირმას ჩაუწერია გრამფირფიტებზე. ბევრი ოჯახი დღესაც სიამოვნებით ისმენს იშვიათ ჩანაწერს.

ქართულ საკრავებთან ერთად თბილისის ქუჩებში ჟღერდა საზი, თარი, ქამანჩა, მაგრამ ქართველთა ყურთასმენას ვერ შეუთვისებია ამ აღმოსავლური საკრავების ხმოვანება. ამას დუდუკზე ვერ ვიტყვი, იგი ჩასაბერი საკრავების ყაიდისაა და მხოლოდ საქართველოშია გავრცელებული. აღმოსავლეთ ქვეყნებში კი იშვიათობას წარმოადგენს. მეთვრამეტე საუკუნეში შაჰ-აბასის შთამომავლობას ქორწილზე თურმე საქართველოდან გამოუთხოვია დუდუკი.

„დუდუკი ქართული სამუსიკო საკრავია, — წერს ალექსი ბარნოვი, — იგი ნამდვილად საქართველოშია წარმოშობილი, თბილისში გაუმჯობესებულია თბილისელი მეზურნეების მიერ და თბილისიდან გატანილია სომხეთსა და აზერბაიჯანში“.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო აკადემიური ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი ამბობს: „სად არ ვყოფილვარ, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, არაბეთში, თურქეთში, ირანში და დუდუკს არსად არ შევხვედრივარ. ქართულია, მაშ რა არის! ერთი კი ცხადია, რომ ქართველი კაცის ხელში აქვს დასავლეთს დუდუკს სხვა ეშხი და გემო აქვს. უცხო ჰანგი სალალობოა, ყურს ესალბუნება, ეს კი სულს ძლიერ გვიფორიაქებს“<sup>1</sup>.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 1989 წლის ერთ-ერთ ნომერში აი რას ვკითხულობთ: „ძველი მედუდუკეთა ცხოვრების გაცნობამ ის აზრი გაგვიცნობიერა, რომ ეს საკრავიც წარსულში ჩვენ სამშობლოსავით დუხჭირ ბედს ზიარებია და ახლა დადგა დრო, რომ

<sup>1</sup> გაზ. „ქუთაისი“, 1972 წ. 23/III.



ქართულმა დუდუკმა თავისი თავი მონახოს, თავისი ტკბილი ქართული ჰანგები მოიძიოს. ისტორიის ქარტეხილებით მის ხნოვანებას აღმოსავლური მუსიკის გავლენა კი შეერია, მაგრამ ამიტომ როდი უნდა გაეწიროთ. პირიქით, იგი წმინდა ეროვნულ საწყისებზე უნდა ავალორძინოთ, დაკარგული მოვიძიოთ, უბედური დროჟამის დანაშრევებს სალბუნი დავადოთ და კვლავ წკრიალა ქართული ჰანგით ავანშიანოთ.

და რა სასიხარულოა, რომ ამ საქმეს თითქმის სამი ათეული წელია, რაც დიდი წარმატებით ემსახურება მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“. სოინარი ძველი ქართული ჩასაბერი მრავალხმიანი საკრავის სახელია.

ანსამბლს სათავეში უდგას დუდუკის საუკეთესო მცოდნე და ენთუზიასტი, ნიკიერი მუსიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გრიგოლ ქსოვრელი. „ჩვენი მიზანია, — ამბობს ქსოვრელი, — ძველი ქალაქური ფოლკლორის შენარჩუნება, თაობებისათვის მისი გადაცემა და შენახვა“.

ანსამბლ „სოინარის“ მხატვრული ხელმძღვანელი, მრავალგზის ლაურეატი და დიპლომების მფლობელი, გრიგოლ ქსოვრელი შესანიშნავი ნაწარმოებების ავტორია. მისი ხელმძღვანელობით ანსამბლმა წარმატებით შემოიარა მრავალი ქვეყანა და მოხიბლა მსმენელი...

გრიგოლ ქსოვრელი დაიბადა და გაიზარდა სვანეთის უზნად წოდებულ თბილისის ძველ რაიონში. მუსიკა და სიმღერა იყო პატარა გრიშას ნანინა. დედა შესანიშნავად უკრავდა და ჩვილს ჯადოსნური ჰანგებით ატკბობდა. მათი ბინის კედლებს სხვადასხვა სახის მუსიკალური საკრავები (დუდუკი, დოლი, ფანდური, მანდოლინა და გიტარა) ამშვენებდა. ალბათ ყმაწვილი ბავშვობიდანვე ამიტომ გაიტაცა ამ მუსიკალურმა ინსტრუმენტმა. მისი ყურადღება ძირითადად სალამურმა და დოლმა მიიპყრო. გრიგოლმა დედის ჩუმიად სალამური შეიძინა და მისი შესწავლა დაიწყო. დედას არ უნდოდა ფიზიკურად ისედაც სუსტ ყმაწვილს ჩასაბერ ინსტრუმენტზე დაეკრა. მას უნდოდა შვილი ექიმი გამოსულიყო. მაგრამ მოწოდებამ თავისი გაიტანა. იქვე მის სახლთან, ორ ნაბიჯზე, წმინდა ნინოს სასაფლაო იყო. არასასიამოვნო მეზობლობაა, მაგრამ რას იზამ. ამან მის შემდგომ ცხოვრებაში გარკვეული როლი შეასრულა. ადრე ცხედარს სახლიდან სასაფლაომდე ხელით მიასვენებდნენ

დუდუკის თანხლებით. ბიჭუნა გაიგონებდა თუ არა დუდუკის ხმას, გარეთ გამოვარდებოდა და პროცესიას გაჰყვებოდა, სამგლოვიარო მელოდიას თავისთვის ღიღინებდა. მერე შინაც იმეორებდა. მოგვიანებით სხვა მელოდებსაც გაეცნო, მტკვრის ნაპირებიდან და ორთაჭალის ბალებიდან ლალად და სულში ჩამწვდომად რომ მოედინებოდა.

ყმაწვილი საზაფხულო არდადაგებს ყოველთვის სოფელ კავთის-ხევში ბებიასთან ატარებდა. სოფელში საღამოობით ლხინი იმართებოდა, ახალგაზრდები ცეკვავდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ. ყველა თავის ტალანტს ავლენდა, გრიშა კი სალამურის ჰანგებით ატკობდა გარემოს...

დედის შთაგონებამ ვერ გასჭრა, თბილისში ჩამოსული საბუთების ჩასაბარებლად გაეშურა, არა სამედიცინო, არამედ სამუსიკო სასწავლებელში... თუმცა იქ დიდხანს არ დაუყვია გრიშას, დედამ იძალა და იგი სკოლაში დააბრუნა.

1933 წელს სკოლასთან იგი აყალიბებს სიმებიან ორკესტრს და წარმატებით გამოდის სასკოლო საღამო-კონცერტებსა და ოლიმპიადებზე.

1936 წელს გრიშა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორმა მაისერმანმა თავისთან დაიბარა და ანსამბლის ჩამოყალიბება შესთავაზა. ანსამბლი ჩამოაყალიბა და მასში გრიგოლმა დუდუკიც შეიტანა. მართალია, იგი დუდუკზე კარგად უკრავდა, მაგრამ დირექტორმა საკონსულტაციოდ ცნობილი მელოდუკე მიხეილ სუქიასოვი მოიწვია. მან დუდუკზე დაკვრის თითქმის ყველა წესი შეასწავლა ყმაწვილს...

მუსიკით გატაცებული ჭაბუკი მაინც არ დამშვიდებულა და შექმნა ეგრეთწოდებული ხმაურა ანსამბლი და თითქმის ყველა ინსტრუმენტზე თავად უკრავდა. მოგვიანებით კი მან კრუპსკაიას სახელობის (მდებარე კუკიაზე) ბიბლიოთეკასთან ჩამოაყალიბა ანსამბლი და ბევრი მოსწავლე აზიარა დუდუკის ხელოვნებას.

რაც შეეხება მუსიკალური განათლების მიღებას, იმ პირველი უიღბლო ცდის შემდეგ ველარ მოხერხდა, მალე ომი დაიწყო და 20 წლის ჭაბუკი თავის ამხანაგებთან ერთად ჯარში გაიწვიეს. დიდხანს არ უბრძოლია, სმოლენსკთან მძიმედ დაიჭრა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი, 1941 წელს თბილისში დაბრუნდა.

ჭურვის ნამსხვრევებით დაზიანებული ხელი კარგა ხანს არ ემორჩილებოდა. გამოჯანმრთელების შემდეგ მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება იმით იყო დაკავებული, რომ ქმნიდა ანსამბლებს და უკრავდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ კულტურის სახლში და რკინიგზის კლუბში. ორჯერ შეკრიბა ანსამბლი „სოინარი“, ხელმძღვანელობდა ხალხურ საკრავთა ჯგუფს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

შემდეგ წლებში იგი სამუშაოდ გადადის სოხუმის ფილარმონიაში. ამ დროს მას მრავალი საღამო-კონცერტი ჰქონდა ჩატარებული როგორც რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ.

1953 წლიდან გრიგოლ ქსოვრელი ისევ თბილისში ჩამოდის და მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელად...

ანსამბლ „სოინარს“ რეპერტუარში აქვს: საიათნოვას, იეთიმ გურჯის სიმღერები, ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ამიტომაც გაიმარჯვა „სოინარმა“ საქართველოს პროფკავშირების თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალში. როგორც ხელმძღვანელს გრიგოლ ქსოვრელს, ისე მის წევრებს: ვ. არჩვაძეს, მ. ადამაშვილს, ა. ძიძიგურს, მ. ბებერაშვილს, რ. ფარადაშვილს, მიენიჭათ ფესტივალის ლაურეატის წოდება, გადაეცათ მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები.

თბილისური ჰანგის საუკეთესო მცოდნე გრიგოლ ქსოვრელი უკრავს პირველ დუდუკზე, ვლადიმერ არჩვაძე მეორე დუდუკზე, ამირან ძიძიგური მესამეზე: ბანზე — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ ადამაშვილი. მიხეილი დუდუკის ჩინებული ოსტატია. სწორედ მის მიერ დამზადებულ დუდუკზე უკრავდა ანსამბლის ყველა სოლისტი, აი რას იგონებს იგი: ერთ-ერთი გასტროლების დროს ჩეხოსლოვაკიაში (მაშინ იგი ქართული ცეკვის ანსამბლში მუშაობდა) კონცერტის შემდეგ სცენაზე ასულან მაყურებლები და მოუთხოვიათ, ეჩვენებინათ ის ინსტრუმენტი, რომელიც ასე ტკბილ ხმას გამოსცემდა.

მიხეილ ადამაშვილი თავისი საქმის ჯადოქარია. დუდუკი ყველა ხისაგან როდი მზადდებაო, ამბობს იგი. ბევრი სხვადასხვა მასალისაგან დამიმზადებია, მაგრამ ისეთი რეზონანსი, როგორც ჭერმის ზისას აქვს, იშვიათიაო. მუსიკოსმა ახლა დაამზადა არაჩვეულებრი-

ვი დუდუკი ბანისა და დამატებით ბანიანი. ამან კიდევ უფრო გამარავალფეროვნა მისი ჟღერადობა...

ანსამბლის მეხუთე წევრი მიხეილ ბებერაშვილი მომღერალია. იგი ქალაქური სიმღერების ერთ-ერთი ჩინებული შემსრულებელია. ანსამბლი თბილისის სიმღერებს სათუთად ეპყრობა.

კონცერტებში განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის ხელმძღვანელს გრიგოლ ქსოვრელს. მან გულში ჩამწვდომი სიძლიერით შეასრულა გ. ცაბაძის „სიყვარული, სიხარული“, „განა შენთვის გული არ მითხოვია“ და სხვა სიმღერები!

დუდუკის ხმაზე აუღერებულმა ქართულმა ხალხურმა ჰანგებმა და ძველი თბილისის მოტივებზე შესრულებულმა სიმღერებმა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა ამ საკრავის ცხოველმყოფელი ძალა. კონცერტის წამყვანმა სხვა სიმღერებითაც ასიამოვნა მსმენელი: „ლურჯთვალა“, „შავთვალა და შავწარბება“. კარგი იყო ორკესტრის მიერ შესრულებული მწყემსური (სოლო სალამურზე გ. ქსოვრელი) და ბრაზილიელი გაზეთის გამყიდველი ბიჭის სიმღერა.

ცნობილი ქართველი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, საესტრადო მომღერლის ბუბა კიკაბიძის შემოქმედებით საღამოზე დიდი მოწონება დაიმსახურა ანსამბლმა „სოინარმა“. ანსამბლმა შეასრულა „მუხამბაზი“ და „ვარდი გნახე“.

მედუდუკეთა ანსამბლის დაარსების 10 წლისთავის ზეიმზე დარბაზს იმდენი მსმენელი მოაწყდა, ტევა არ იყო. ამ პატარა საკრავს, დუდუკს, უამრავი ქომაგი ჰყოლია.

ხუთი წლის შემდეგ ახლა საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ მოუწყო საზეიმო შეხვედრა მედუდუკეთა ანსამბლს.

რუბილარი კოლექტივის წევრებს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. სუნიშვილი. კომპოზიტორები ს. მირიანაშვილი, და ს. კეკეყმაძე. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ო. გორდელი და სხვები.

ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა გრიგოლ ქსოვრელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას შეხვედრისათვის.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მედუდუკეთა ანსამბლის როგორც ხელმძღვანელი, ისე მისი წევრები და ხელოვნების სხვა წარმომადგენლები: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე, ზ. ანჯაფარიძე, კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი ს. მირიანაშვილი, მოცეკვავეები

ი. დოლაბერიძე და ფ. სულაბერიძე, საქართველოს სახალხო არტისტები: თ. ზაალიშვილი, გ. სალარაძე, ი. უჩანეიშვილი.

ამ სადამოსათვის ს. მირიანაშვილმა სპეციალურად დაწერა სამი სიმღერა, „საიათნოვა“, „რა მექმნა“, „ნუ მოიღრუბლები, ზეცავე“.

ასევე დიდი წარმატებით ჩატარდა „სოინარის“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამო საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში.

დარბაზი განაბულიყო. გაისმა დუდუკის გულში ჩამწვდომი ტკბილი ლუღუნი. მუსიკას დეკლარაცია ცვლიდა, დეკლარაციას მისასალმებელი სიტყვები. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სახელით იუბილარს მიესალმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პოეტები და მსახიობები, ი. ნონეშვილი, ი. სუხიშვილი, ე. ყიფშიძე, ე. მირიანაშვილი, მ. ძიძიგური, ც. დადიანი. მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ რკინიგზელთა სახლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფი მიხეილ ბახტაძე, დრამატურგი რ. ყენია, კომპოზიტორი ს. მირიანაშვილი და სხვები.

ყოველი გამომსვლელი, ლექსით იქნებოდა, სიმღერით, თუ სიტყვით, ცდილობდა გამოეხატა დიდი სიყვარული და სიბორო, რომელსაც გრიგოლ ქსოვრელი იმსახურებდა თავისი მუსიკალური უბადლო ისტორიით, დაუზარელი მოღვაწეობით, დაუზარელი ენერჯითა და ადამიანური მაღალი ზნეობით.

ქალაქური ფოლკლორის თავყვანისმცემლები, აშუღური პოეზიისა და ძველთბილისური სიმღერების მოყვარულნი დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან დუდუკის დამკვრელ ვირტუოზებს. მუსიკას მქუხარე ტაში ცვლიდა, ტაშს კიდევ მუსიკა და ასე იყო გვიანამდე. „ძია გრიშას“ თანხლებით ანსამბლმა ერთი და იგივე სიმღერები რამდენჯერმე შეასრულა.

„სოინარი“ ხშირად მართავდა კონცერტებს რადიოთი და ტელევიზიით, მუსიკალურად აფორმებდა ლიტერატურულ გადაცემებს. შემოქმედებითი თანამეგობრობა აკავშირებდა რ. ლალიძესთან, გ. ცაბაძესთან, შ. მილორავესთან. ანსამბლ „სოინართან“ ერთად გამოდიოდნენ და გამოდიან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: ვ. ანჯაფარიძე, ზ. ანჯაფარიძე, რ. ჩხიკვაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: გ. სალარაძე, ი. უჩანეიშვილი, თ. ზა-

ალიშვილი, ფილარმონიის სოლისტები ნ. ანანიაშვილი, თ. ფარადა-  
შვილი და სხვები.

ანსამბლი „სოინარი“ გადაღებულია ფილმებში „წყალდიდო-  
ბა“, „მაია წყნეთელი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „დაბრუნე-  
ბული ღიმილი“, „ლონდრე“. „ბებერი მეზურნეები“ და სხვები.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „ბებერი მეზურნეები“ შნო-  
სა და ლაზათს ჰმატებს მედუღუკეთა ანსამბლი. თავისებური კო-  
ლორიტით, არაჩვეულებრივი მელოდიურობით ანსამბლის სოლის-  
ტებმა შექმნეს ლამაზი, მუსიკალური ფონი, რომელმაც დიდად შე-  
უწყო ხელი სპექტაკლების წარმატებას.

მედუღუკეთა ანსამბლის ყოველი კონცერტი დიდ კმაყოფილე-  
ბას იწვევს. ამ წარმატების თავდები კი არის მუსიკის სიყვარული,  
ქალაქური ფოლკლორის დაცვა და შენარჩუნება, რომელიც ყოვე-  
ლი შემოქმედის უპირველესი და საპატიო მოვალეობაა.

კითხვაზე, ასი წლის შემდეგ ჩვენში კვლავ აუღერდება თუ არა  
დუღუკი და ზურნა? ბატონი გრიგოლი სიამაყით დასძენს: თბილი-  
სელი კაცისათვის აუცილებელია დღესასწაული, რომ ცხოვრების  
სისავსე იგრძნოს. ზურნისა და დუღუკის მთრთოლვარე, ტკბილი  
და მიმზიდველი ჰანგები კი ამ დღესასწაულის მშვენიერებაა. ბევრ ჩემს  
მოსწავლეს თავიანთი მოსწავლეები ჰყავს. ისინი „პაპას“ მეძახიან,  
მათზე, 6—7 წლის ბავშვებზე, დიდ იმედებს ვამყარებთ... ასე რომ,  
მეტეხის ხიდქვეშ ბევრი წყალი ჩაივლის, დუღუკის ხმა არ დადუმ-  
დება...

## იოსებ ღავითაშვილი

ოთხმოცდაათიან, ცხრაასიან წლებში ყარაჩოხული პოეზიის პა-  
რალელურად სულ სხვა მიმართულება ჩასახულა ხალხში. გამოჩე-  
ნილან ისეთი მუშა-პოეტები, რომელნიც, მართალია, ქალაქის ბაზ-  
რული პოეზიის წიაღში აღიზარდნენ, მაგრამ მათ თავიანთი შემოქ-  
მედებისათვის სულ სხვა იდეური გეზი მიუციათ. ბატონყმობის გა-  
უქმების შემდეგ ახალ ეპოქას ახალი მოთხოვნილება და ახალი  
ხალხი წარმოუშვია. რუსეთში დაწყებული ხალხოსნური მოძრაობა

საქართველოშიაც გადმოსულა, ერში განთავისუფლების იდეა მომწიფებულა. ხალხს ისე აღარ იტაცებდა თურმე ყარაჩოხული რომანტიკა. თუ წინათ თბილისის ბოჰემურ შაირებს ისმენდნენ, ახლა პოლიტიკური შინაარსის წერილებსაც ეწაფებოდნენ. ასე თუ ისე, არენაზე გამოსულან თანამედროვე ვითარების ახალი მგოსნები, სკანდარნოვა და გივიშვილი შეუცვლიათ ახალი ხანის მგოსნებს, იწერებოდა ლექსები არა „დროის შესაქცევად“, არამედ მასების პოლიტიკური და კულტურული დონის ასამაღლებლად.

თანამედროვე ქალაქური ხალხური პოეზიის პირველი მერცხლები და თავისუფლების მქადაგებელნი, რომლებმაც თამამად გაილაშქრეს მებატონეების წინააღმდეგ და სწავლა-განათლება პირველ რიგში დააყენეს, ყოფილან დურგლები, ზეინკლები, თერძები, ნოქრები, მზარეულები და ხელზე მოსამსახურენი.

მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი ახლად ფეხადგმულ მუშა-პოეტებს შორის ყველაზე გარკვეული და ჩამოყალიბებული აზრების მწერლად უნდა ჩაითვალოს. იგი საკუთარი ხმის, სრულყოფილი და მტკიცე იდეოლოგიით შეიარაღებული პოეტია.

შემდეგ იოსებ დავითაშვილს მოჰყენენ გიგო ხეჩუაშვილი, დავით გაბრუაშვილი, ბეგლარ ახოსპირელი, ანტონ განჯისკარელი, გიორგი შინატეხელი და სხვები.

მუშა-მწერლები კლასობრივად გათვითცნობიერების შემდეგ მიხვდნენ თავიანთ მდგომარეობას და ამ განწყობილებამ მათ ლექსებში ჰპოვა გამოძახილი. ლექსები ახლა უკვე სულ სხვა ჰანგებზე იწერებოდა და იმღერებოდა. ამ ნაწარმოებებში ჩაქსოვილი იყო მუშის ჩივილი, ცხოვრების უკულმართობით გამოწვეული უკმაყოფილება და მოწოდება უსამართლობის დასამხობად, გაისმის პირველი რევოლუციური ყიჟინა, დაიბადა განთავისუფლების იდეა.

იოსებ დავითაშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მასებში. იგი გამოვიდა მუშათა წრიდან და მთელი თავისი მისწრაფებებით, იდეალებითა და პოეტური შემოქმედებით ამ კლასს ეკუთვნოდა: „მუშა ვარ და კიდევ ვიცი მუშის გულის პასუხები“.

მუშა-პოეტთა მამამთავარს, ნაყმევ გლეხ-ხელოსანს ეკუთვნის ეს ცნობილი სტრიქონები: „რამ დაგაშრო, შე ოხერო, ღარიბების ბედის წყარო, ამოდუღდი, რომ ქვეყანა ერთნაირად გაახარო“.

„ბედის წყარო“ ყველაზე საუკეთესო ლექსია, რომელიც 1881

წლის ეურნალ „თეატრის“ დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, ხოლო 1882 წელს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაამუშვნა.

იოსებ დავითაშვილის ლექსები თითქმის ყველა მუშაში ზეპირად იცოდა. ისინი ამ ნაწარმოებებში ნათლად ხედავდნენ ღარიბი ადამიანის ყოფას, იგებდნენ იმ მიზეზებს, რის გამოც გაუხარებელი იყო მშრომელი ადამიანის ყისმათი, ხედავდნენ უბედურების სათავეს, რომ ეს ქვეყანა ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ბედკრულ გლეხკაცს უღვთოდ ჩაგრაავდა თავისი ბედით კმაყოფილი ბატონი. მუშა-პოეტებმა არალეგალური ხელნაწერი ეურნალებიც კი დააარსეს. თვით იოსებ დავითაშვილი ყოფილა მუშებში არალეგალური ლიტერატურის პირველი გამავრცელებელი, არალეგალური სიტყვის ჩასახვისა და მუშა ხელოსანთა წრეების შექმნის ერთ-ერთი პირველი მესვეურთაგანი, თავის ლექსებს კი „ხალხურის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა გაზეთებში.

ქ. გორში სამოცდაათიან წლებში ხალხოსნებისა და რევოლუციონერების საკმაოდ ფართო წრე შეიკრა. იოსები დაახლოვებია ამ წრეს. ვასო დეკანოზიშვილსა და სოფრომ მგალობლიშვილს ერთად უთარგმნიათ არალეგალური წიგნები: „ოთხი ძმის ზღაპარი“, „ზღაპარი კაპეიკზე“, „შიშნული სამარეში“ და სხვა. ეს თარგმანები რამდენიმე ეგზემპლარად ჰქონია იოსებს გადაწერილი და ისე ავრცელებდა ხალხში.

როდესაც იოსებ დავითაშვილს პირველად გაუცენია ეს წრე გორში, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, რადგან არალეგალურ წიგნთა ქართული თარგმანები იშვიათად არსებობდა თურმე. ამიტომ იოსებს ამ თარგმანების თითო ეგზემპლარი თბილისში წაუღია მუშებში გასავრცელებლად, მერე კვლავ გორში დაბრუნებულა და შესდგომია სხვა ლიტერატურის გაცნობას.

საზოგადოდ, ეს წყნარი, მშვიდობიანი კაცი აღსაყვსე ყოფილა შინაგანი ენერგიით და თავდაუზოგავად ცდილობდა ხელოსანთა და გლეხთა გათვითცნობიერებას.

როგორც გლეხის, ისე მუშა-ხელოსნების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად პოეტს სწავლა-განათლება მიაჩნდა. მისი რწმენით განათლება არის საუკეთესო საშუალება ჩაგრულის სიბნელიდან და სილატაკიდან გამოყვანისათვის. ეს აზრია ჩაქსოვილი ლექსებში: „სიმღერა ჩუქურთმის მკრელზე“, „დატვირთული მუშა“, „პოეტებს“, „ახალი მელექსე“ და სხვ.



იოსებ დავითაშვილი ფარვანასავით დასტრიალებდა გაჭირვებულს და მათთვის სწავლა-განათლების აუცილებლობას ქადაგებდა: „ეცადე, სწავლა მიიღო, იგი ცხოვრების ხიდია, მაშინ გვეშველოს, ძირს დადო, ეხლა რომ ტვირთი გკიდია“.

საინტერესოა მისი ერთ-ერთი ლექსი, რომელიც სოფრომ მგალობლიშვილმა აღმოაჩინა:

„შრომის შვილი ვარ პატარა,  
სკოლაში დავიარები,  
სწავლის და ცოდნის პირიმე,  
მე მას არ გავეპარებო,  
ქურდობას, ავაჯაკობას  
ახლო არ გავეკარებო,  
მომძესა, გაჭირვებულსა,  
ძმურათა მოეხმარები,  
სწავლის გზა ფართო მომეციო,  
არ დამიკეტოთ კარები,  
გლები ვარ, მაგრამ კაცი ვარ,  
მეც ქვეყნად დავიარები“

თვითგანვითარებას დაწაფებული პოეტი იგონებს, თუ როგორ ისწავლა დის დახმარებით ანაბანა: „ქვების მურით მინალესი მიმზადია მელანია, ხარის ბეჭი დაფად მქონდა, მასწავლებლად მელანია“.

იოსებს სკოლა თვალთაღაც არ ენახა, მაგრამ ხარბად ეწაფებოდა სწავლას. რაც მეტს სწავლობდა და კითხულობდა, იმდენად უფრო ძლიერდებოდა მასში ცოდნის წყურვილი. ხალხოსან მწერლებთან ურთიერთობამ ბევრი რამ შესძინა პოეტს, ხელი შეუწყო მის განათლებასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. პოეტა ესწრებოდა მათ კონსპირაციულ კრებებს, ხოლო ხალხოსნები მის ლექსებს გლახობაში ავრცელებდნენ.

80-იან წლებისათვის გორში ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის საქმეს საკმაოდ ძლიერი და განათლებული ინტელიგენციის ჯგუფი ედგა სათავეში. ესენი იყვნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ანტონ ფურცელაძე, გ. კეკელიძე და სხვები. ამ წლებში გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდნენ: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, სანდრო ნათაძე, თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ნიკო ლეონიძე (გიორგი ლეონიძის მამა). იოსებ დავითაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონია ყველა მათგანთან.

ამავე წლებში გორში დაუარსებიათ სცენისმოყვარეთა წრე-ნიკო დიასამიძეს თავის სახლში უფასოდ მოუწყვია დარბაზი წარმოდგენებისათვის, ხოლო დეკორაციები თბილისში ქართული თეატრისაგან შეუძენია. ამ თეატრალური დასის სცენის მეთვალყურედ მოწყობილა იოსებ დავითაშვილი, რომელიც მცირე ჯამაგირითა და დასის წევრების დახმარებით ირჩენდა თავს.

მის მოვალეობაში შედიოდა დეკორაციების დადგმა და სცენის მოწყობა. მუდამ დაღვრემილი იოსები გაუხალისებია ამ ახალ საქმეს. მისი ჩუმი ბუნება ნელ-ნელა ახმაურებულა, ენა ამოუდგამს და სცენისმოყვარეთ უზიარებდა თავის გულის ნადებს, დარდსა და ჭირ-ვარამს.

გორის სცენისმოყვარეებს სადივერტისმენტო პროგრამაში, სოფრომ მგალობლიშვილის რჩევითა და მითითებით, შეტანილი ჰქონიათ იოსებ დავითაშვილის გლეხთა დუხჭირი ცხოვრების გამომხატველი ლექსები, რომლებსაც შესანიშნავად კითხულობდა გ. ჩიტაძე, ი. დავითაშვილის ლექსების კითხვას დარბაზი მუდამ აღფრთოვანებით ეგებებოდა, ზოგჯერ მაყურებელთა გამოძახილი ისეთი ძლიერიც კი ყოფილა, რომ საღამოს მსვლელობაში პოლიცია ჩარეულა და ლექსების კითხვა შეუწყვეტინებიათ.

იოსების მთელ საარსებო საშუალებას თეატრიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა. ნათო გაბუნისასა და სოფრომ მგალობლიშვილის ინიციატივით გორელმა სცენისმოყვარეებმა წარმოდგენაც კი გამართეს ი. დავითაშვილის სასარგებლოდ და მთელი შემოსავალი მას გადასცეს.

ფარდის ამწევად მუშაობისას თითო წარმოდგენაში ორ მანეთს აძლევენ. წარმოდგენები კი იშვიათად იმართებოდა.

ქართული თეატრისადმი უზომო სიყვარული პოეტს თავის პოეზიაშიც გამოუხატავს. თეატრს საგანგებოდ უძღვნა მესტვირული ლექსი „თეატრის მოთამაშეებს“, აგრეთვე დაწერა ცალკეული ლექსები იმ დროის სცენის გამოჩენილ მოღვაწეებზე.

ლექსი „თეატრის მოთამაშეებს“ პოეტმა 1880 წელს დაწერა. ამ ნაწარმოებში პროგრესული იდეები აქვს გამოხატული. პოეტს სწორი წარმოდგენა აქვს თეატრის დანიშნულებაზე. იგი ამაყობს მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული ქართველი მსახიობებით, რომლებიც მაყურებელს მამულის სიყვარულს უნერგავენ. ასე იწრთობოდა ხალხის გულში მომავლისადმი ურყე-

ვი რწმენა, რომლის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. თეატრ-  
მა დიდი როლი შეასრულა.

ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძე წერდა:  
„თეატრი დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის.  
მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა  
გვაქვს რა, ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და  
საჯაროდ მოქმედებს“. ილიას შეხედულებას საესეებით იზიარებდა  
იოსებ დავითაშვილი. მისი აზრით თეატრი ერთი პირველთაგანი  
უნდა იყოს ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში:

„დედა ენა და ერობა  
შენილი წინაპრისაო,  
ვინძლო დაიკვამთ ეს ორი,  
ნუ მოაჩიღებთ პირსაო,  
მუდამ ვიბრძოლოთ, ვისწავლოთ,  
მზუე მამინ მოგვეფენს სხვისაო,  
დავსხდეთ და ლხინი, გავსწიოთ,  
როცა ავიცდენთ ჭირსაო“.

იოსებ დავითაშვილს დიდი ყურადღება გამოუჩენია, აგრეთვე,  
რუსი ხალხის თეატრალური კულტურის მიმართაც. 1886 წელს  
თბილისს საგასტროლოდ სწვევია პეტერბურგის საიმპერატორო  
თეატრის დასი ვლადიმერ ჩარსკის ხელმძღვანელობით. დასს წარ-  
მოუდგენია „მასკარადი“, „ოტელო“, „ჰამლეტი“ და სხვა სპექტაკ-  
ლები. ქართულ თეატრალურ საზოგადოებას დასისათვის დიდი ვახ-  
შამი მოუწყვია. როგორც გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, ვახშამს  
ქართველი მწერლობის წარმომადგენლებიც დასწრებიან. იმდრო-  
ინდელი პრესა გვამცნობს, რომ აქ იყო იოსებ დავითაშვილიც,  
რომელმაც ჩარსკის მიუძღვნა ლექსი „ნიჭიერ არტისტს“. ამ ლექს-  
ში პოეტი უმღერის რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას.

ცნობილი მუშა-მგოსანი იოსებ დავითაშვილი, როგორც მისი  
ლექსებიდან, პირადი წერილებიდან და ქართველ მოღვაწეთა მო-  
გონებებიდან ჩანს, თეატრთან დიდად დაახლოებული ყოფილა. მისი  
ყველაზე პოპულარული ფსევდონიმი „თეატრის მუშა“ იყო. ამ  
ფსევდონიმით ბეჭდავდა იგი თავის ლექსებს ვასო აბაშიძის გაზეთ  
„თეატრში“:

იგი ერთხანს ბანკისეულ თეატრშიც მუშაობდა დეკორატორად,

ხოლო შემდეგ ფარდის ამწევე-დამწევეად. სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს: „პოეტი იოსებ დავითაშვილი გვეხმარებოდა დეკორაციების მოწყობაში, საზოგადოდ სცენისათვის ფასდაუდებელი იყო“.

სულ იმის ფიქრში იყო, როდის მოეფინებოდა საქართველოს არემარეს სახალხო სკოლები და შევიდოდა სხივი განათლებისა, ნატრობდა გლეხის შვილისათვის „ფართო გზას“ სწავლისათვის. ეს სანეტარო სურვილი გამონატულია ბევრ მის ლექსში.

იოსებ დავითაშვილის ცხოვრება დაბადებიდანვე ტანჯვითა და წამებით იყო აღსავსე და სიკვდილამდე ასეთი ბედის მატარებლად დარჩენილა. აი როგორ გადმოგვცემს პოეტი თავის ბიოგრაფიას:

„სოფლელი გლეხის ბიჭი ვარ,  
მჭაღითა გამოზრდილია,  
უქუდო, ჩოხის ამარა,  
ქალამნებ გაცეეთილია,  
ობოლი დაერჩი დედ-მამას,  
დრო მიდგას გასაჭირია:  
სადაცა ვარდსა დავექებ,  
იქ მხედება ცკლის ძირია.  
მამაც არ როგად ტანჯული,  
ვით ვიტანჯები შვილია,  
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,  
ვერ დამილია პირია“.

ლექსში „წელიწადის ოთხი დრო“ რეალისტურ ფერებშია დახატული გლეხკაცის არაადამიანური, მძიმე შრომის პირობები.

იოსებ დავითაშვილი მეტად დიდბუნებოვანი ადამიანი იყო, სულგრძელი, ყოველთა შემწყნარებელი და მიმტევებელი. შური და შურისძიება შორს არის მისგან. მისი ნათელი სული არ ეკარება ამ ჭუჭყსა და ქანგს. იგი ამბობდა:

„კაცი ხარ, კაცად შობილი,  
კაცი გიყვარდესო...  
— ეკლესიას დახვიდოდე  
ყოველ უქმე დღესო,  
დაფითნი და სახარება  
ორივ იქა ძვესო.  
იმათში ესე სწერია:  
კაცი გიყვარდესო,  
სამაგიეროს ნუ უზამ,

დეე, თვით მიხედვსო..  
ჩვენსა მხსნელსაც ეს დაჰმართეს,  
კაცი გიყვარდესო“.

აკაკი წერეთელი მუშა-პოეტს ახასიათებდა როგორც ხალხის წიალიდან გამოსულ შემოქმედს, ხალხის ნამდვილ შვილს.

„იოსებ დავითაშვილი მხოლოდ ერთი ათეული წელი მოღვაწეობდა ჩვენს ლიტერატურაში და ბევრის დაწერა ვერ მოასწრო, მაგრამ რაც დაწერა, — აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, — იმაში ისეთი მარგალიტები ამოირჩეოდა, რომ კაცს დაატკბობს აზრითაც და სიტყვებითაც. ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის; ეს მარგალიტები იმ ზღვიდან არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან... არ არის არცერთი ჩვენი ჟურნალ-გაზეთი, „დროება“, „ივერია“, „ნობათი“, „თეატრი“, რომ მისი ტკბილი და მარილიანი ლექსი არ იყოს. მისი ბევრი ლექსი კი ხალხის გულშია ჩამარხული, ხალხს წაუღია და ზეპირად მღერის, რომ გადასცეს შთამომავლობას. და ჩვენ, ბევრმა, ალბათ, არც კი ვიცით, თუ მისი ავტორი ი. დავითაშვილია. მისი ბევრი ლექსი ხალხურად გადაქცეულა, როგორც, მაგალითად: „იზარდე მწვანე ჭეჭილო, დაჰურდი, გახდი ყანაო, იკურთხოს მისმა მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანაო“.

იოსებ დავითაშვილს იმ დროს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როცა ქართველი მშრომელი ხალხი, კავკასიის ერებთან ერთად, უდიდეს სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდის. ერთის მხრივ თვითმპყრობელური რეჟიმის უღმობლობა, მეორეს მხრივ მებატონეების, მემამულეების და თავადაზნაურების სისასტიკე საშინელ მდგომარეობაში აყენებდა მუშებსა და გლეხებს.

საზოგადოდ, გაბატონებული უსამართლობა იოსებს ძალიან აღელვებდა. სძაგდა თანამედროვეობის უკუღმართი პირები და მათ ყოველთვის წყევლა-კრულვით იხსენიებდა.

მიუხედავად იმისა, რომ იოსებ დავითაშვილს ფართო განათლება არ ჰქონია, მისი ნიჭი ყველაფერს სწვდებოდა, მისი კალამი ყველაფერს ეხებოდა, რასაც კი ადამიანის კეთილდღეობისათვის და ბედნიერებისათვის სარგებლობის მოტანა შეეძლო.

პოეტი ადამიანის სულსა და გულში იჭრება. იოსებ დავითაშვილის ბრძოლისაკენ მომწოდებელი კილო, მისი პოეზიის მაღალი იდეურობა, იმთავითვე უგრძნვია მეფის ცენზურას, რომელსაც

მუშა-პოეტის არა ერთი და ორი ლექსი დაუმახინჯებია, ხოლო ბევრი დასაბეჭდად არ გაუშვია.

იოსებ დავითაშვილი დაიბადა 1850 წელს სოფელ რუისში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა იყო თავად ციციშვილის ყმა. იოსებმა 12 წლის ყოფილა, როცა დაობლებულა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ იწყება მისი ცხოვრების მკაცრი დღეები, რაც ბოლომდე გაჰყვა.

იოსების ცხოვრებაში აღინიშნება. ერთი მეტად საინტერესო მომენტი. თავად ალექსანდრე ციციშვილს იოსების უფროსი ძმის გიგოსათვის, როგორც ყმისათვის, მოუთხოვია საბატონო გადასახადი. გიგოსა და მის მეუღლეს ციციშვილისათვის საბატონო გადასახადში მოსამსახურედ იოსები მიუციათ.

რამდენიმე თვის შემდეგ გიგოს იგი ფულით გამოუსყიდია, ბატონისაგან და თბილისში ჩუქურთმების მკრელისათვის მიუბარებია:

იოსებს ხელობა კარგად შეუსწავლია, მაგრამ უფულობის გამო ატესტატი ვერ მიუღია და ამის გამო სამუშაოს ვერ შოულობდა თურმე. ნახევარჯერ მშიერ-მწყურვალი დადიოდა. სამუშაოს საძებრად დასავლეთ საქართველოშიც კი წასულა. მოუვლია გურია და იმერეთი. იქაც ვერ შეუქმნია საარსებო პირობები, ყოველთვის ღატაკი და გაჭირვებული იყო. ცოტა ხანს გაზეთ „ივერიის“ დამტარებლადაც კი მოწყობილა. შემდეგ ზეიცერის ქარხანაში დაუწყია მუშაობა. მოწინავე მუშებთან ერთად, ამ ქარხანაში ცუდი პირობების გამო, მოუწყვია გაფიცვა. გაფიცვა წარმატებით დამთავრებულა, მაგრამ ქარხნის მეპატრონეს დავითაშვილი სამუშაოდან დაუთხოვია.

ხალხის ტყვიელების მგოსანმა კარგად იცოდა, რომ სიღარიბის, დაბეჩაუებისა და დავრდომილის გამკითხავი, შემბრალებელი მხოლოდ მისი მსგავსი ღარიბია. ის გარემოება, რომ ზოგი ხარობს და ზოგი ბნელს მარხია, პოეტს ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადაუქცევს.

იოსებ დავითაშვილის მთელი სიმპათიები ლუკმაპურისათვის მებრძოლთა მხარეზეა, ვინაიდან მისი შეგნებით ეს ხალხი ცხოვრების ნამდვილი ბურჯია: ის ოფლსა ღვრის, ყველას პურს აჭმევს, თვითონ კი შევიწროებულია.

იოსებ დავითაშვილი ცხოვრების უკანასკნელ წლებში სამუშაოს საძებნელად ქ. თელავში გადასულა. იქ შეუდგენია ღურგალთა

ამხანაგობა, სახელიც გაუთქვამს საზოგადოებაში, როგორც პატიოსან და უანგარო მშრომელს, ჩაბმული ყოფილა ლიტერატურულ წრეში. დიდი გატაცებით ისმენდა თურმე საუბრებს მშობლიური ლიტერატურის ცალკეულ საკითხებზე, კითხულობდა სხვადასხვა ავტორის ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ამხანაგებს უზიარებდა თავის შთაბეჭდილებას.

1887 წელს გამოუქვეყნებია ლექსები: „სიმღერა ჩუქურთმის მჭრელისა“, „თამარ დედოფლის ლექსი“, „სამშობლოს სიყვარული“, „ხელოსნის სიმღერა“, „მიბაძვა დავით გურამიშვილისა“ და სხვა. ამ ხნიდან მოყოლებული მისი უბრალო, მაგრამ გულწრფელი ლექსები ანკარა ნაკადულივით შესულა ქართული პოეზიის დიდ მატთანში.

ცხოვრების დუხჭირი პირობებით, მძიმე შრომით გატეხილი, ფიზიკურად დაძაბუნებული პოეტი 1887 წლის 13 მარტს უპატრონოდ, ყველასაგან მიუსაფარი, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 37 წლის ასაკში. მის გარდაცვალებას გულისტკივილით გამოხმაურებია იმდროინდელი ქართული პრესა. ხალხმა გულწრფელად დაიტირა საყვარელი პოეტი. დიდმა ილიამ კი მეტად მაღალი შეფასება მისცა მის პროგრესულ, ჰუმანური იდეებით გამსჭვალულ პოეზიას: „დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი მთქმელი. მოსწყდა ჩვენს ცას ერთი ცოტა თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი. კიდევ ერთი ჩვენთაგანი შეიწირა ყოველმა შემწირველმა წუთისოფელმა“.

გლოვის დღეებში „ივერიის“ მიუღია სამძიმრის წერილი, რომელსაც ასზე მეტი თბილისელი მუშა-ხელოსანი აწერდა ხელს. ასეთივე შინაარსის განცხადება დაუბეჭდავთ აგრეთვე გორისა და თელავის ხელოსნებსაც.

ილია ჭავჭავაძეს „ივერიის“ სპეციალური ნომერი (1887 წ. № 61) იოსებ დავითაშვილის ხსოვნისადმი მიუძღვნია. აღსანიშნავია, რომ ამ გაზეთის მოწინავე წერილი და იოსებ დავითაშვილის მოკლე ბიოგრაფია, რომლებიც „ივერიის“ პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი, ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის თურმე. იმავე დღეებში გამოუქვეყნებიათ აგრეთვე შიო მღვიმელის, გრიგოლ ყიფშიძის, პეტრე თუმანიშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა წერილები და მიძღვნილი ლექსები.

ილიასა და აკაკის მეთაურობით კალოუბნის ეკლესიაში პო-

ეტისათვის გადაუხდიათ პანაშვიდი. ამით დიდმა მგოსნებმა პატივი მიაგეს მუშა-პოეტს, რომელსაც ისინი სიცოცხლეშივე დიდად აფასებდნენ და ახლა კი გული დასწყვიტათ მისმა სიკვდილმა.

იოსებ დავითაშვილს თავისებური მოკრძალებული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის საგანძურში.

## ანტონ განჯისკარელი

ცხრაასიან წლებში მშრომელი მასების გამოღვიძებას შეეჯახა მეფის რეჟიმის სისასტიკე და გაძლიერებული ცენზურა. საჭირო შეიქმნა ან სიჩუმე ან ქარაგმულად წერა. ამ მხრივ გასაოცარი გამბედაობა გამოუჩენია მუშა-პოეტს ანტონ განჯისკარელს. იგი სხვა მწერლებთან შედარებით უფრო თავისუფლად იბეჭდებოდა.

ანტონ განჯისკარელმა თითქმის სამი ათეული წელი იმოღვაწა. მისი ირონიით გამსჭვალული სხარტი ლექსები, „მწვავე სიტყვები“, ცხოვრების ყოველდღიურ ყოფას, მის ჩრდილოვან მხარეებს ეხებოდა. პოეტი აგროვებდა ცხოვრების უკულმართობის სენსაციურ წვრილმან ამბებს და თავისი მახვილი კალმით ლამაზად კენწლავდა.

ანტონს ძლიერ ემარჯვებოდა აზრის სხარტულად გამოთქმა. ამიტომაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამხდარა პოპულარული. მისი პოეზია ირონიის პოეზიაა. ყოველგვარი საჭირობორტო საკითხი მისი პოეზიის უმთავრესი ძარღვია.

ანტონ განჯისკარელი ლიტერატურაში საკმაოდაა ცნობილი და ღირსეულადაცაა შეფასებული. მის შესახებ „მოამბის“ ბიბლიოგრაფი წერდა: „ა. განჯისკარელს ბაზრის ლიტერატურაში კარგი სახელი აქვს განთქმული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელი მან სამართლიანად დაიმსახურა. მარჯვე და ცოცხალი ლექსი, კარგი ენა, საარშიყო და მგზნებარე სიტყვების საკმაოდ მდიდარი ლექსიკონი, ბუნებრივი იუმორი; ეგერ-აგერ პატრიოტული ჰანგები დემოკრატიულ ტენდენციებთან შეზავებული — ყველაფერი ეს დიდ უპირატესობას აძლევს ბ. ანტონ განჯისკარელს სხვა ამ კატეგორიის მოლექსეებზედ“.



ანტონი ეხებოდა ცხოვრების ყოველგვარ სიმახინჯეს: მექრთამეობას, უსამართლობას, სახელმწიფო უწესრიგობას, ამხანაგთა გაუტანლობას, სიყვარულის დაქუცმაცებასა და სხვა ჯურის უკუღმართობებს.

ანტონ განჯისკარელი პირველ ხანებში გივიშვილისა და სკანდარნოვას გავლენას განიცდიდა; წერდა სამიჯნურო თეჯლისებს:

„გენაცვალე მიხვრა-მოხვრა გაელაში,  
რა მიეცი სიარულის სწავლაში“!

ანდა

„ამ ათი წლის წინათ, მეც მყავდა საყვარელი,  
მისთვის ვიყავ ერთგული, მონა დაუზარელი,  
მხოლოდ დამსვა მწუხარედ მგლოვან-გაუხარელი  
და ახლა კი სხვას ვებრფი ანტონ განჯისკარელი“.

მაგრამ ეს გავლენა მალე მოუშორებია და მის ლექსებს შემდგომში უფრო ფართო ხასიათი მისცემია.

მხიარული, ხუმარა კაცი ყოფილა ანტონი. იგი ცხოვრობდა ძალიან ღარიბად ღრმადელის ერთ მივარდნილ ალაგას, ბნელ ნესტიან ოთახში და ვინ დაიჯერებდა, რომ ამ ძონძებში გამოხვეული კაცის კალამს ეკუთვნოდა ხალხში გავრცელებული მთელი რიგი ლექსები: „გათენების ბრალია“, „დეკადენტი“, „განთიადის მოლოდინში“, „ჩემი სტვირი“ და სხვ.

ანტ. განჯისკარელი (ხუდავერდიანი) ასევე გაბედულად გამოდიოდა თავისი შესანიშნავი ლექსებით სალამო-კონცერტებზე და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე.

ღივირტისმენტებზე გამოსულ მსახიობებს არაერთხელ წაუკითხავთ ანტონის ლექსები, „ხან მშია და ხან მწყურია“ და „განათლებული ქვეყნის კაცი“.

„ერთი სიტყვით ქეიფობენ,  
ხალხის ზურგზე ცეკვენ, ხტიან,  
არ ფიქრობენ — ჩვენ გაეძეხით,  
მაგრამ იქნებ ხალხსაც შიან,  
ეს თუ ვინმემ შეამჩნია,  
მაშინათვე თვალებს თხრიან  
და თუ კრინტი დასძრა ვინმემ,  
ენას ძირში დააჭრიან“.

ასევე ძალიან მოსწონდა ხალხს მისი ლექსი. „ძირს ხელმწიფე და მისი ტახტი“.

„შენც კაცი ხარ ხორცშესხმული,  
გაიხედე მოძმეთ არეს,  
დანიახე, შენი ძმები  
როგორ სვამენ შხამ-ძირმწარეს,  
ვინც გაბედა არ დალევა,  
გლახ სიცოცხლე ჩაუმწარეს,  
მზე უღროოდ დაუბნელეს,  
ტანჯვა-გვემა არ აკმარეს  
აწ კი როგორც გმირსა გმართებს  
მჩაგვრელს თავზე გადაახტი,  
მალლა ღმერთი შეგეწევა,  
ძირს ხელმწიფე და მისი ტახტი“.

ამ უკანასკნელ სიტყვებს წამკითხველთან ერთად ხალხიც უერთდებოდა და შესძახებდა ხოლმე — „ძირს ხელმწიფე და მისი ტახტი!..“

ანტონ განჯისკარელს გამოცემული აქვს მრავალი კრებული: „ჩემი სტვირი“, „აქ მომხედე“, „განათლების ბრალია“, „დაცემული ოჯახი“, „განთიადის მოლოდინში“, „ნეტარების ყაჟმა დაჰკრა“, „მდიდარი ქურდები ანუ ეშოას მოციქულნი“, „თათრული და ქართული სიმღერები“ (აბდულ-ოღლის ფსევდონიმით), „ჩიბგირი ვარ“ და „უბის წიგნი დეკადენტი“. უკანასკნელ წიგნს ასეთი ორიგინალური და ვრცელი ეპიგრაფი უძღვის:

„ხე ვერ მოიბაჰს იმასა,  
რაც არ მოუბაჰს წინათა,  
რა გინდ დაჰკეერო ხის ფესვი,  
ვერ აქცევ ხმლად და რკინათა“.

ანტონი ხელობით თუნუქის სახურავების ოსტატი იყო. იროდინ ევლოშვილს მიუძღვნია ლექსი, სადაც თვით ანტონს ალაპარაკებს:

აი ჩემი ხაზინა,  
სულ ეს არის — რაც არი,  
მდიდარი თუ გვერდს მიხვევს,  
მეც მყავს ჩემი ამქარი.

სახურავე ვსეირნობ,  
ქალაქს თავზე დავცქერი,  
ყველაზე ღმერთთან ახლო  
ვარ, ვითომ ბედნიერი.

მაგრამ მხოლოდ ეს მიკვირს  
რატომ ღმერთი არ ხედავს,  
რომ თვით შიშველ-ტოტველი,  
სხვისთვის სახურავს სჭედავს.

ეხ, ნეტავი იცოდეთ,  
როცა რკინა ხურდება,  
დასერილი ფეხები  
როგორ მტკივა, წულულდება,

მაგრამ ანტონისათვის  
აბა ვის ენალელება.  
რა ეუყოთ, რომ ჩიტივით  
ის სახურავეებზე კედება!

დაქვარ, დაქვარ ჩაქეჩი,  
დააშურე სახურავს,  
სხვებისათვის რკინას ვკედ,  
მე კი — ქუდიც არ მხურავს“.

## ბებლარ ახოსპირელი

ბებლარ ახოსპირელი იმ მგოსანთა რიგებს განეკუთვნება, რომელნიც ჩაგრულ ხალხს სათავეში ჩაუდგნენ და მის მედროშედ მოგვევლინენ.

ახოსპირელი ის პოეტია, რომელიც დუხჭირმა ცხოვრებამ შვა, რომელმაც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ამოიღო ხმა და მოითხოვა ადამიანური უფლებები. ახოსპირელი დაუყოვნებლივ ჩადგა იმ მგოსანთა რიგებში, რომლებმაც დაიძახეს: ჩვენი მეგობარი „ხალხი არის, ხალხი ტანჯული“ (ი. ვედროშვილი). მათ ხომ მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, მათი ადამიანური ღირსებების ასამაღლებლად მომართეს ქნარი ღვთიური. ბებლარ

ახოსპირელმა „მათი სევდა, მწუხარება“ თავის სევდასა და მწუხარებას გადააქსოვა და დაიძახა: „მე ხალხთა უფლების მედროშე ვარ, ცეცხლში გზნებული“.

დიახ, თუ თვალს გადავაგვლებთ მის ლექსებს, თვალწინ წარმოგვიდგება მგოსანი, წრფელი აზრისა და სათუთი გრძნობის პატრონი, რომელიც გულწრფელად იტანჯებოდა ჩაგრულთა ტანჯვით. წარმოგვიდგება მგოსანი, რომელიც ცოცხლად ადევნებს თვალს ცხოვრების მდინარებას, უკვირდება მოვლენებს, ღრმად იხედება ყოველი ტანჯულის თვალებში. იგი ყოველ ტვირთმძიმეს ძმურად უწვდის ხელს და მიმართავს:

„ვინც მარად სტირით... სტირით და სტირით,  
არ იცით რაა დღე სიხარულის,  
შემოგვიერთდით და ყველამ ერთად  
ტყუორცნოთ ცხოვრებას ვარაში გულის“.

ბეგლარ ახოსპირელი უსამართლოებასთან თამამი, უშიშარი და პირუთვნელი მებრძოლი პოეტია. იგი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა. თავიდანვე შეერთებია დემოკრატიული ორიენტაციის მწერალთა ჯგუფს, რომლის ღროშა მის უახლოეს მეგობარს იროდიონ ევდოშვილს ეპყრა ხელთ.

მისი შემოქმედების ძირითადი თემაა კაპიტალისტური სინამდვილის კრიტიკა. ბრძოლის სულისკვეთებითაა გამსჭვალული და ოპტიმისტურად ჟღერს მგოსნის სიტყვები:

„ხშირად ხდება, შიმშილ-წყურვილი  
და გაკირვება მიხუთავს სულსა,  
უიმედობის ნისლ-ბურუსში გვხვვენს  
დარდით, ვაებით გარემოცულსა.  
მაგრამ როდესაც მომაგონდება,  
ჩემებრ ტანჯული სხეებიც არიან,  
იმედის სხივი გულს მეფინება,  
მე მარად ვმღერი, ვმღერი მშვიერი,  
წარბსაც ვერ მიხრის ფიქრი წყვილიდი,  
დევ, დაბნელდეს, ბნელს თან მოჰყვება  
ახალი ძალა და განთიადი“.

აქ უკვე პოეტი თავის ტანჯვა-წამებას არად მიიჩნევს, რადგან იცის, რომ მისებრ ტანჯული ბევრია და საჭიროა საერთო ძალებით

ბრძოლა. იმედი აქვს, რომ ბნელს უთუოდ მოჰყვება განთიადი.

ბრძოლის უნარმოკლებულთა მიმართ ზიზღით არის გამსჭვალული ბეგლარ ახოსპირელის 1904 წლის „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული ლექსი „თუ ყოველთვის პირუტყვულად“. სიცოცხლის ძალა მხოლოდ ბრძოლაშია,—აი დედააზრი ამ ლექსისა.

არსებული წყობილება სიკვდილით ემუქრება თავისუფლებას, იგი პოეტის გულსაც გაპობას უქადის. მაგრამ შორს შიში... ძლიერია პოეტი. დარსა თუ ავდარში, ლხინსა თუ ჭირში პოეტი ბედკრულთა მეგობარია. არაჩვეულებრივი გრძნობითაა დაწერილი ახოსპირელის ლექსი „უსახლკარო“.

!  
„უსახლკარო, შენ ბედმკვდარო,  
სად ხარ ამ დროს, რომელ მხარეს.  
ვის შესტირი, ანატირი,  
შენს ვაებას, სიმწუხარეს?!“

!  
პოეტს სწამდა, რომ უსახლკაროთა და ბედმკვდართა ზეცას რევოლუციის ქარიშხალი გადააცლიდა ტყვიასავით მძიმე ღრუბელს. ქარიშხალთან დამძობილებული პოეტი ომახიანად -ჩაძახდა:

„ცისფერ ჩვენ ცას ვტყორცნოთ,  
გაეამეფოდ ქვეყნის ძალი,  
რომ სხვაგვარად, შეუპოვრად,  
ქროდეს ჩვენი ქარიშხალი!..“

რუსეთის რევოლუციის დამარცხებას ვერ გაუტეხია პოეტის ძლიერი სული და მომავლისადმი რწმენა. ამიტომაც ახოსპირელის ლექსებს ისეთივე გამოხმაურება ჰქონია, როგორც რუხაძის, ქუჩიშვილისა და ნოე ზომლეთელის შემოქმედებას.

!  
„აწ ძირს დაეშხე, ვაებავ,  
სევედა, ცრემლო და წუხილო,  
ამიერიდან თქვენი ვარ,  
ელვა, ჰეჰა და ჰუხილო“.

გავიხსენოთ მისი გაუხუნარი ლექსი:

„მთა-ბარს ესმის ცის ქუხილი,  
ელვა ელავს, იბრძვის ქარი,

ხალხში ლოზუნგებად გადმოსროლილი ეს ლექსები მშრომელი ხალხის მღელვარე სულიერ განწყობილებებს ამალღებდა.

ასევე ლექსში „1904 წელი“ პოეტმა გამოხატა დიდი რწმენა, ბრძოლის ჟინი, ნათელი მომავლის სიხარული.

„ნუ შედრკები, ხვალ თუ დღესა  
გაბრწყინდება ისევ ზეცა,  
და მის ბრწყინვას თან მოჰყვება  
სიკვდილიც და სიცოცხლეცა“.

ახოსპირელი, როგორც რეალისტი, დუხჭირ ცხოვრებიდან გამოსავალს მხოლოდ ბრძოლაში ხედავს. მისი პოეზიის ლაიტმოტივი ნათლად მოჩანს იმ ლექსში, რომელსაც „ჩემი სიმღერა“ უწოდა. იგი ბრძოლას ასხამს ხოტბას, ბრძოლას უმღერის და შესტრფის. ახოსპირელს ამ ლექსის მეტი რომ არ დაეწერა, ის მაინც დარჩებოდა ისეთ პოეტად, რომელიც დავიწყებას არ ეძლევა.

მართალია, ახოსპირელის ლექსებს აკლია მხატვრულობა, შედარებები, სხვა პოეტური აქსესუარები, მაგრამ მისი პოეზია მაინც შესანიშნავია თავისი მეტაბოლი სულისკვეთებით, თავისი დანიშნულებით.

„როცა ბ. ახოსპირელის ლექსებს ვკითხულობთ, — თქვა პოეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ალექსანდრე / ბურთიკაშვილმა, — გაკვირვებას იწვევს, ეს თითქმის უსწავლელი ადამიანი ისეთ კითხვებს აყენებს, გეგონებათ რიტორთა და ფილოსოფოსთა ტრაქტატები გადალეჭილი ჰქონდეს და თავისი საკუთარი კონცეფცია შემუშავებული. ავიღოთ მისი პოემა „შეგნება და სიყვარული“. აი ასეთ სტრიქონებს ვხვდებით.

„რაც ერთხელ კვდება, იმ სახით  
აღარ ცოცხლდება, არ დაბრუნდება,  
პირველი წუთი მეორეს არ ჰგავს,  
რაც ერთხელ იყო, არ მეორდება“.

როცა ამ ლექსს კითხულობ, იგონებ ახოსპირელის ცხოვრებას. ეცნობი რა მის ბიოგრაფიას, გახსენდება რა, რომ მას სკოლა არ

უნახავს და პირდაპირ აღტაცებაში მოდიხარ, რომ პოეტი ინტუიციით შეიგრძნობს ისეთ დებულებას, რასაც ბევრნი წლობით ითვისებენ ფილოსოფიური სახელმძღვანელოების მეშვეობით“.

ასევე საყურადღებოა მისი ლექსი „კვლავ სალ-კლდეზე ვარ“.

„დაე, დაიმსხვრას ჩვენი ტლუ ნავი,  
ზღვის ფსკერს მოეჭყეს გული დამწვარი.  
და ნიაღვრად თავს წარმოგვედინოს  
უბედურება სხვადასხვაგვარი.  
დაე, რაც გიყვარს, უფსკრულს შთაინთქას —  
სატრფო გულისა და მეგობარი  
დაე, ამ ქვეყნით გაძევებულთა  
არსად გვაღიროსონ თავ-შესაფარი.  
მაინც იქროლე, ქარიშხალო, სწორუპოვარო“.

ბეგლარის ლექსები მშრომელი ხალხის მღელვარე სულიერ განწყობილებებს ეხმაურებოდა.

დიდი მოწონება ხვდა აგრეთვე ბეგლარ ახოსპირელის პოემას „მშვენიერება და სიყვარული“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მწერალ შალვა დადიანის პირადი წერილი.

„ბეგლარ, მომილოცნია!

დიდად გაიმარჯვე შენი „მშვენიერებითა და სიყვარულით“ — აზრი მშვენიერია, ენა და მუსიკა იპყრობს წამკითხველს, კარგი ნაწარმოებია.

ყოჩაღ, ვაშა!..“

ბეგლარ ახოსპირელის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სატირული ლექსები, რამდენიმე დრამატული ნაწარმოები, საბავშვო მოთხრობები.

ახოსპირელი დიდ მისწრაფებას იჩენდა პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის ნაწარმოებთა თარგმნისადმი. მან 1907 წელს თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა მ. გორკის პიესა „ფსკერზე“. აღსანიშნავია, რომ ამ პიესაში მოთავსებული ლექსი „მზე ამოდის, ისევ ჩადის, ჩემს საკანში კი ბნელა“ გაცილებით ადრე ყოფილა თარგმნილი და მას ქართველი მუშები რევოლუციურ დღესასწაულზე და მიტინგებზე მღეროდნენ.

პიესა „ფსკერზე“ ახოსპირელის სასარგებლოდ წარმოუდგენიათ მაშინდელ არტიტული თეატრის დარბაზში (ახლანდელი რუსთაველის თეატრი) 1908 წლის 4 მარტს.

ახოსპირელმა დაწერა რამდენიმე ერთმოქმედებიანი პიესა „გე-ურკ ალა და შანტაჟისტები“, „ოცდაათი თუმანი...“ მანვე გადმოაკეთა ერთმოქმედებიანი ვოდევილი „უბედური დებიუტი“, რომელშიც ბრწყინვალე სახეები შექმნეს ალექსანდრე იმედაშვილმა და ტასო აბაშიძემ. პიესა დიდხანს შემორჩა ჩვენი თეატრის სცენას.

ბეგლარ ახოსპირელმა თარგმნა მარიანის მოთხრობა „ჯამბაზი“, რომელიც 1902 წლის „ცნობის ფურცლის“ დამატებაშია დაბეჭდილი. 1903 წლის „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაუსტამბავს ფრანსუა ტომეს „მაგიანი“, შილერის „რუსოს ძეგლთან“, შილერი-სავე „მძევალი“ და სხვ. რუსულიდან თარგმნიდა ცნობილ კლასიკოსებს.

იგი იყო გამომცემლობა „გუთნის“ დაარსების ინიციატორი, საყმაწვილო ჟურნალების „ნაკადულისა“ და „ჭეჭილის“ მუდმივი თანამშრომელი, რომელთა ფურცლებს ამკობდა მისი საბავშვო მოთხრობები. ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობდა იმდროინდელ სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი ლექსებისა: „ჩემი ნატვრა“, „ტალღები“, „შეება და სიყვარული“, „ცხოვრების სურათები...“

ბეგლარ ახოსპირელს ისეთი გატაცებით ჰყვარებია თეატრი, რომ ხშირად სცენაზედაც გამოჰყავდათ პატარა როლებში. თეატრალური საზოგადოებრიობისათვის იგი ბეგლარიძის ფსევდონიმით იყო ცნობილი. აღსანიშნავია, რომ რეცენზენტები ყოველთვის კარგ შეფასებას აძლევდნენ მას, როგორც მსახიობს.

ბეგლარი ხშირად ჩადიოდა თელავში და აწყობდა საღამო კონცერტებს. დგამდა პიესებს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძის საღამოზე.

1916 წლის 20 ივლისს ახოსპირელს ილიას პატივსაცემად დაუდგამს „კაკო ყაჩაღი“, სპექტაკლში თვითონაც მიუღია მონაწილეობა.

1917 წლის 11 ივნისს კი თელავში ე. წ. „ედემის ბაღში“ ახორციელებს პიესას „მაწანწალა სამოთხეში“. დასასრულს კ. ონიკაშვილთან და ვ. კაკაბაძესთან ერთად შეუსრულებია კუპლეტები „ვაი-ვუის“ ხმაზე.

ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლში ქართველ მსახიობთა მიერ, სცენისმოყვარეთა დახმარებით, წარმოდგენილი იქნა „ძველი



და ახალი თაობა“, კომედია ოთხმოქმედებანდ, გადმოკეთებული ვასო აბაშიძის მიერ.

დივერტისმენტებში სხვა პოეტებს შორის ბეგლარ ახოსპირელიც გამოსულა თავისი ლექსებით. მაყურებლებმა იცოდნენ, რომ რევოლუციური ლექსების — „ჩემი სიმღერის“, „უსახლკაროსა“ და სხვა მრავალი ლექსისა და პოემის ავტორი თუ თეატრის მოქარნახე ბეგლარ ახოსპირელი იყო. როგორი აღფრთოვანებით ხედებოდა ხოლმე დამსწრე საზოგადოება ავტორსა და ქართული თეატრის იშვიათ დეკლამატორს, მსახიობ ალექსანდრე იმედაშვილს, როდესაც იგი სცენიდან ბეგლარ ახოსპირელის ლექსებს კითხულობდა! ახოსპირელის ლექსები დეკლამატორებს საშუალებას აძლევდა გამოეაშქარავენინათ თავიანთი ოსტატობა.

ყველას კარგად ახსოვს, როგორი მეგობრები იყვნენ ალექსანდრე იმედაშვილი და ბეგლარ ახოსპირელი.

იგი იყო აგრეთვე უახლოესი მეგობარი იოსებ გრიშაშვილისა. ბეგლარს ძალიან ჰყვარებია ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი, რომელიც თეატრში მის მოადგილედ ითვლებოდა.

„იქნებ იმიტომაც მიყვარდა ეს კაცი, რომ ჩვენ ერთად გადავიტანეთ დიდი გაჭირვება და ჩვენი ცხოვრების გზაც საოცრად ჰგავდა ერთმანეთს“, — წერდა პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი თავისი უახლოესი მეგობრის, პოეტისა და დრამატურგის ბეგლარ ახოსპირელის შესახებ.

მართლაც, რთული და ძნელი იყო მწერლის ცხოვრება. ბავშვობიდანვე ადრე დაობლებული ბეგლარ ახოსპირელი, იგივე ბეგლარიძე, გვარად ალაიანი, დაიბადა ქ. თელავში უღარიბეს ოჯახში 1880 წელს. წარმოშობით სომეხი იყო, თუმცა სომხური არ უსწავლია და არც იცოდა, რადგან მისი წინაპრები ქართულ ზნე-ჩვეულებაზე და ქართულ ენაზე ყოფილან აღზრდილნი. მალე ჩაბმულა შრომით საქმიანობაში, დაუწყია ლუკმაპურისათვის ბრძოლა. სულ პატარა ბიჭი ჩამოუყვანია ახლო ნათესავს თელავიდან თბილისში, ვითომდა გიმნაზიაში მისაბარებლად, მაგრამ გიმნაზიის ნაცვლად თავის სავაჭრო დუქანში დაუყენებია ხელზე მოსამსახურედ. ორი წელი დაუყვია ბეგლარს ამ ვაჭართან და გადაუტანია ყველა ის გაჭირვება და ტანჯვა, რაც ეგრეთწოდებული შეგირდების ხვედრი იყო. ჰერ კიდევ თელავში ყოფნისას პატარა ბეგლარს აღძვრია წიგნის კითხვის სიყვარული და თბილისში ყოფნისას ეს სიყვარუ-

ლი ვერ ჩაუხშვია ვაქრის სისასტიკეს. ვინ იცის, რამდენი მუჭლე-  
გუნი და სილა უგემია ბეგლარს, როცა კი „დანაშაულზე“ — წიგნის  
კითხვისას წაუსწრიათ. აუტანელ პირობებისაგან ბეგლარს გაქცე-  
ვით დაუღწევია თავი და ხელაძესთან ქართული ამხანაგობის სტამ-  
ბაში დაუწყია მუშაობა. ჯერ მანქანაზე ქალაღდების დამწყობად,  
მერე ჩარხის დამტრიალებლად. იმავეითვე გატაცებული ყოფილა  
თეატრით, ბიჭუნა თელავში საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობთა  
წარმოდგენას დასწრებია, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია,  
და იმ დღიდან თეატრი მის საოცნებოდ გადაქცეულა.

სუსტი ჯანმრთელობის მქონეს უჭირდა მძიმე ფიზიკური შრომა.  
მაგრამ სიხარულით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას — ეი-  
იყო ყოველდღიურად სტამბაში დაბეჭდილი ქართული თეატრის  
აფიშების გადატანა. აუტანელი ჯაფისაგან დაღლილ-დაქანცულ ბეგ-  
ლარისათვის დასასვენებელი ადგილი თეატრის ქანდარა ყოფილა.  
მალე გუნიას შეუძენია სტამბა, რომელიც ქართული თეატრის  
ეზოში ყოფილა მოთავსებული... ბეგლარი ამ სტამბის ასოთამწყობი  
გამხდარა. სტამბა უწიგნური ყმაწვილისათვის განვითარების წყა-  
როდ გადაქცეულა. შესაძლებელია, ამ პროფესიით დაემთავრებინა  
თავისი სიცოცხლე, რომ მფარველად არ გამოჩენილიყო ქართული  
თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ვალერიან გუნია და სა-  
მოქმედო ასპარეზზე არ გამოეყვანა ნიჭიერი ჭაბუკი. გუნიას ინი-  
ციტივით მოწყობილა გამოსაცდელი წარმოდგენები, რამაც ქარ-  
თულ თეატრს შემატა დიდად ნიჭიერი მსახიობი ალექსანდრე იმე-  
დაშვილი. ამავე დროს სტამბის მუშა ბეგლარ ახოსპირელიც ბრწყინ-  
ვალედ აბარებს გამოცდას და 1900 წელს გუნიას იგი დასში მო-  
უწვევია სამუშაოდ, ხოლო როცა მოკარნახე კოლა გალუსტოვი  
გარდაიცვალა, მის ადგილზე ახოსპირელი დაუნიშნავს. ტყვიის ასო-  
ების მავნე მტვერისათვის თავი დაუღწევია, სამაგიეროდ ბლომად  
უყლაპავს მოკარნახის ჯიხურისკენ წამოსული სცენის მავნე მტვე-  
რი, მაგრამ მისთვის აქ ყოფნა უდიდესი სიამოვნება ყოფილა. აქ  
ხვდებოდა იგი ქართული თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენ-  
ლებს, მოწინავე ადამიანებს, აქ გაღვიძებია სიყვარული წიგნისად-  
მი. თეატრში შეუსწავლია ბეგლარს გამართული ქართული ენა. ეს  
სიხარულისა და მზის მოტრფიალე პოეტი, როგორც თეატრში, ასე-  
ვე თავის ნესტიან სარდაფში, მზის სხივებს მონატრებული იყო.  
„ხშირად ხდება, შიმშილ-წყურვილი და გაჭირვება მიხუთავს სულ-

სა“, — წერდა ბეგლარი ერთ თავის ლექსში, მაგრამ იგი არ ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომელთა აღმაფრენისათვის მაშინდელი ცხოვრების სიდუხჭირეს შეეძლო ფრთები შეეკვეცა, ამიტომაც ამბობდა იმედიანად:

„მე მარად ვმღერი, ვმღერი მშვიერი,  
წარბსაც ვერ მიხრის ფიქრი, წყვილიაი“.

ბეგლარს თავისი ნიჭიერებით მალე მიუპყრია საზოგადოების ყურადღება. ჯერ დიდი დრო არ იყო გასული, რომ გუნიას მოკარნახე ახოსპირელისათვის თანაშემწედ იოსებ გრიშაშვილი დაუნიშნავს. მოკარნახის ჯიხურში შეხვდა და ერთმანეთს დაუახლოვდა ორი მომავალი პოეტი. ხან ბეგლარ ახოსპირელი იჯდა მოკარნახის ჯიხურში, ხან იოსებ გრიშაშვილი. იოსებს კიდევ უხაროდა სუფლიორობა, როგორც თვითონ ამბობდა — „სუფლიორობამ შემასწავლა შილერი, იბსენი, მირაბო, ოსტროვსკი, ანდრეევი და სხვები“. ბეგლარი თეატრს 1902 წლიდან სიკვდილამდე არ მოშორებია. იოსებ გრიშაშვილი იგონებს:

„ვუყურებდი, როგორ ვარჯიშობდა ბ. ახოსპირელი პიესის ტექსტზე, რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მოკარნახის ხელოვნებას. მე ზედმეტად მგრძნობიარე ვიყავი. მსახიობთან ერთად განვიციდი. ერთხელ, ჯიხურიდან რომ ამოვედი, ბეგლარმა თვალცრემლიანი დამფნახა. როგორც ჩემზე უფროსი, გამოცდილი სუფლიორი, გამიჩავერდა, ერიპა, ვინ ყოფილხარო, და დამარიგა: გახსოვდეს, შენი ფიქრი და ყურადღება მხოლოდ შენი მოქნილი კარნახისადმი უნდა იყოს მიმართული, თორემ სუფლიორად არ გამოდგები“.

სუფლიორი, წესის თანახმად, ნახევარი საათით ადრე უნდა ჩასულიყო სუფლიორის ნიჟარაში. დრო რაღაცით უნდა მომეკლა. წარმოდგენის დაწყებამდე ვიჯექი და ლექსებს ვწერდი. ბევრ ჩემ აქ დაწერილ ლექსს ჯიხურის სურნელება გამოპყვებოდა ხოლმე“.

რამდენად დიდი სიყვარულით უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილი ბეგლარი და იოსები თეატრისადმი, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხალხისათვის უჩინარ ჯიხურში მჭდარიყვნენ და ჯერ სრულიად ახალგაზრდებს ეყლაპათ თეატრის მტვერი. მაგრამ ყოველივე ამას სულგრძელობით იტანდნენ, თავის საქმეს არ ღალატობდნენ.

„ბ. ახოსპირელი შეუდარებელი მოკარნახე იყო. იგი დიაკვანი-

ვით კი არ იზებირებდა ერთხელ ჩაბულბულებულ ტექსტს, არამედ ერთ და იმავე დროს პიესის ტექსტსაც კითხულობდა და მსახიობებსაც. სცენასაც აგონებდა ხოლმე“ (ნ. გვარამე „მოგონება“).

1903 წელს სცენაზე მოღვაწეობა რომ დაიწყო, — გვიამბობს შემდეგ ნ. გვარამე, — ბეგლარ ახოსპირელი უკვე გამოცდილი და ცნობილი მოკარნახე იყო საქართველოში. სცენაზე მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი მის განვითარებას. სცენაზე მუშაობამ საშუალება მისცა ბეგლარს, რომ მსოფლიო კლასიკოსებს გასცნობოდა. როგორც ჭკვიანმა და ნიჭიერმა ადამიანმა, ამით ისარგებლა და მართლაც სულითა და გულით დაეწაფა ჯერ ქართულ ენას და მერე იმდენი იმეცადინა, რომ რუსული ენაც კი შეისწავლა და ისე საფუძვლიანად, რომ ხშირად რუსულიდან თარგმნიდა.

მის მოკარნახეობას ხელს უწყობდა აგრეთვე ბრწყინვალე მეხსიერება. ყოფილა შემთხვევა, რომ ბეგლარს პიესის მთელი მოქმედება ზეპირად უკარნახია და ამასთანავე ისე ზუსტად, რომ პიესიდან არც ერთი ფრაზა არ გამოჰპარვია.

ქართველ საზოგადოებას არ შეეძლო არ დაეფასებინა ბეგლარის ნიჭი. მისი ჭეშმარიტი სიყვარული თავისი საქმისადმი.

გალაკტიონი თვითონ გასცნობია ბეგლარს ქუთაისში. 1916 წელს ახოსპირელი ქუთაისის თეატრში მუშაობდა. ამ დროს გალაკტიონიც ქუთაისში ცხოვრობდა. „ბეგლარს წიგნებიდან ვიცნობდი მხოლოდ, — წერს გალაკტიონი (გ. ტაბიძის ტ. XII, გვ. 242), — პირადად არსად შევხვედრივარ, ამიტომ დაეშვა თუ არა ფარდა, გავეშურე სცენისაკენ... გადავწყვიტე, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ წავიყვან და კარგად გავუმასპინძლები-მეთქი“.

1917 წლის ქარიშხლიან დღეებში გალაკტიონი არალეგალურად ცხოვრობდა ქუთაისში. იგი ამ დროს გატაცებით მუშაობდა თავის წიგნზე „ქართული ორნამენტი“. გალაკტიონი წერს: „ყრმობიდან ძალიან მიტაცებდა ქართული ორნამენტის იშვიათობა, მასში, როგორც ჩვენ ხუროთმოძღვრებაში, მე ვგრძნობდი და ვხედავდი ქართველი ერის, მისი ხელოვნების, მისი ადამიანების მაღლიან ბუნებას, ნიჭის თავისებურებას. ვწერდი დღითა და ღამით. ძალიან გულმოდგინეთ... ჩემთან სანახავად მოსულ პოეტს ბეგლარ ახოსპირელს ვთხოვე ჩამოეტანა ჩემთვის ჩვენი ტაძრის ნანგრევებიდან რაიმე ძველი ორნამენტი, მან თხოვნა შემისრულა: მოიტანა დროთა

სვლისაგან ხავსმოდებული ორნამენტი, რომელიც ყურძნის მტევანს გამოსახავდა.

... ეხლა შეიძლება ვინმემ იკითხოს: რა იქნა ის წიგნი „ქართული ორნამენტი“, რომელსაც ასე გატაცებით ვწერდი რევოლუციის წინაღამით. ო, ეს მთელი ისტორიაა. მას მერე ბევრმა ხანმა გაიარა, ბევრი რამ დავკარგე, მაგრამ ის ორნამენტი არ დამიკარგავს. დღესაც ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს თბილისში“.

მოკარნახე, პოემებისა და ლექსების ავტორი, მთარგმნელი, გამომცემლობა „გუთნის“ დამაარსებელი ახოსპირელი გაჭირვებას თავს ვერ აღწევს და შუალამემდე მოკარნახის ჭიხურშია გამომწყვდეული. უკეთესი ბინა არც შინ ჰქონდა. მთაწმინდაზე ერთ პატარა ნესტიან სარდაფში ცოლ-შვილით ცხოვრობდა. დიდმა ჭაფამ, უსაზღვრო სიღარიბემ მალე დასცა თეატრის მოტრფიალუ ფაქიზი ადამიანი და მგოსანი. მართალია, ამხანაგები ეხმარებოდნენ მის ოჯახს, მაგრამ მარტო ისინი რას გასწვდებოდნენ. საჭირო გამზდარა მოწოდების დაბეჭდვა, რომ ხალხს ახოსპირელისათვის დანმარების ხელი გაეწოდებინა.

ი. გრიშაშვილი მტკივნეულად განიცდიდა თავისი მეგობრის ჯანმრთელობის შერყევას. ერთთავად მის სარეცელთან ტრიალებდა. განიცდიდა და იტანჯებოდა.

როგორც სცენაზე მაყურებლისათვის იყო უჩინარი, ასევე შეუმჩნეველი დარჩა მისი საფლავიც. მხოლოდ გვერდით აღმართული ერთი უცნობი მოქალაქის ძეგლი თუ გაახსენებს ვინმეს ბეგლარ ახოსპირელს.

## ია ეკალაძე

ნიჭიერ პუბლიცისტს, რედაქტორ-გამომცემელსა და ცნობილ პედაგოგს იაკობ ცინცაძეს, ჩვენს ლიტერატურაში ია ეკალაძის ფსევდონიმით ცნობილს, თავისი მწვავე პუბლიცისტური წერილებით მალე მიუპყრია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. იგი დაუნდობლად კიცხავდა და ამათრახებდა თავისი დროის დუხჭირ ცხოვრებას, ადამიანთა გაიძვერობას, გაუტანლობას, და სხვა უარყოფით თვისებებს.

იაკობ ცინცაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ჩაგრულისადმი განუსაზღვრელი სიყვარული და სამშობლო ქვეყნის აყვავებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა. მან გარკვეული კვალი დაამჩნია წარსულ ცხოვრებას. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იღვა ლიტერატურის სინდისის სადარაჯოზე: „გულწრფელი იყო ჩემი სამსახური ჩემი საქართველოსადმი, ვიცი და მჯერა, ჩემი ხალხის სიყვარული თან გამყვება“.

საქართველოზე და ქართველ ხალხზე ღრმად შეყვარებული ჰაბუკი მწერალი არ ერიდებოდა ცარიზმის სასტიკ ცენზურას. მის ნაწარმოებებში მართალი სიტყვა სჭარბობდა და სწორედ ეს ყოფილა მიზეზი, რომ 1897 წელს მისი მოთხრობის „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან“ დაბეჭდვის გამო გაზეთი „ივერია“ 7 თვით დაუხსურავთ, ხოლო ერთი პატარა არაკისათვის („რას იცინით“) სამი წლით ლენქორანს გადაუსახლებიათ. ამ ნაწარმოებებში ავტორი ფარდას ხდიდა სემინარიაში გამეფებულ სულის შემხუთავ რეჟიმს. არაკში მოზარდი თაობის ჯალათად ვლადიმერ ეგზარხოსია გამოყვანილი. ამ ნაწარმოების დაბეჭდვას აუღელვებია საერო წოდების წარმომადგენლები, მათ მოუთხოვიათ „ივერიის“ დახურვა და მწერლის სასტიკი დასჯა, რაც ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღასრულა კიდევ.

1894 წელს ეკალაძეს თომანთ კობას ფსევდონიმით „ივერიის“ ფურცლებზე გამოუქვეყნებია თავისი პირველი მოთხრობა „ილიკო ბედენაძე“. მკითხველმა საზოგადოებამ უმალვე მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა ავტორს, ხოლო „ივერიის“ რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ იგი იმავე წელს „ივერიის“ მულმივ თანამშრომლად მიიწვია.

ამის შემდეგ ია ეკალაძე განუწყვეტლივ ბეჭდავს როგორც მოთხრობებს, ისე ესკიზებსა და ნოველებს, რითაც ქართველი ხალხის სათანადო ყურადღებას იმსახურებს, როგორც მზარდი ნიჭიერი მწერალი. „ივერიის“ რედაქციაში გატარებული წლები ღირსშესანიშნავი ყოფილა ია ეკალაძისათვის. დიდ ილიასთან მუშაობით გაწაფულა და გაზრდილა, როგორც მწერალი და თავისი ადგილიც დაუმკვიდრებია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის. „ივერიის“ რედაქციაში ხედებოდა აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, ნიკო ხიზანიშვილს, კიტა აბაშიძეს, და სხვებს.

თავის ნაწარმოებებში იგი დაუწოდებლად ილაშქრებდა საერო წოდებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. მის პირველ ნაწარმოებებიდანაც კი ნათლად ჩანდა, თუ რა აწუხებდა მწერალს, ეს იყო მმართველი წრეების ძალმომრეობა. მისი მკამბოხე სულის განწყობილება შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის მთავრობას და აკერთი მოთხრობის გამო სამი წლით გადაუსახლებიათ კიდეც.

ია ეკალაძეს ჯერ კიდევ სასწავლებელში უწევნევია სოციალური წყობის სუსხი. სემინარიის კედლებში გამოუმეჭლავენებია ზიზლი და სიძულვილი მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

მიუხედავად განუწყვეტელი დევნა-შევიწროებისა, უსამართლოდ დასჯილი (თომანთ კობას სახელს ამოფარებული) გაორკეცებული ენერგიით უტევდა დრომოკმულ რწმენა-შეხედულებებს, თანამებრძოლთა მცონარობას. უცხო მხარეში განდევნილ-გადახვეწილი კი მარად თავის სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრობდა და ზრუნავდა.

„ცოცხალია, თუ არა სატრაფო,  
მხიარულობენ, თუ სტირიან ჩემი მოძმენი,  
ძინავთ თუ ლეიძავთ, ან ფიქრობენ თავის მოპაულზე,  
რომ სამეფრისოდ თვით არსება მათ განუმტყიონ“

იაკობს გადასახლებაშიც არ გაუგდია კალამი, ია ეკალაძის ფსევდონიმით წერდა. მთელი თავისი მხატვრული უნარი შავად მოსილი სამშობლოსა და მისი ბედკრული შვილების კეთილდღეობის დასურათხატებისათვის მოუხმარია. მან მწერლობაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღწერა ქართველი ინტელიგენტიპროლეტარის სახე.

საზოგადოებრივი ცხოვრების უწესრიგობით ბრაზმორეული მწერალი ფარდას ხდის უსამართლობას და ერთი თავის გმირის სიტყვებით გვეკითხება:

„როდის, ნეტავ როდის მოელება ბოლო ამ უკუღმართობას.  
როდის იქნება ყველა მამლარი და კმაყოფილი თავის ბედისა?“

ხოლო როდესაც ხედავს ადამიანთა დაკნინებას, გრძნობა-გონების დამონებას, კითხულობს:

„რა არის კაცი, თუ  
მარად უამს მონა იქნება,

მონა ცბიერი, მონა მხდალი და მატყუარა,  
მონა დედაკაცის, მონა ვნებათა...“

ადამიანის ასეთი დამონება გულს უკლავდა და ამიტომ დას-  
ძენდა:

„იბრძოლე მარად...  
მუცლით ხოხვა რა ბედენაა?“

ცხოვრებისაგან გულდაკოდლილია ყველა ის, ვისაც მამულის სამ-  
სახური და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა უწმიდეს მოვა-  
ლეობად მიუჩნევია. ხოლო როდესაც საზოგადოების გულციობასა  
და სულით დაცემას ხედავს, მწუხარებით მოთქვამს: „ოხ, არ ძალ-  
მიძს, მე ბედერულსა, სამეულისამებრ, მოვნახო გმირი, გამომხა-  
ტველი ხალხთა ტანჯვისაგან. ვინაც შურდული აკრას ბილწსა გო-  
ლიათს, დასცეს მონობა, სილაჩრესა ფრთა შეაკვეცოს და აღფრ-  
თოვანებული — გაღვიძებულ ხალხთა სიმართლეს მამაკაცურად წინ  
მოუძღოდეს...“

მწერალი გადასახლებაში დიდხანს ებრძოდა შიმშილს, დამცი-  
რებას, სიღარიბეს, ჯანდაუზოგავად შრომობდა ლუკმაპურისათვის.  
რის ვაი-ვაგლახით არჩენდა ცოლ-შვილს. სამი წლის განმავლობაში  
აკრძალული ჰქონდა გაზეთში თანამშრომლობა. ჩამოაშორეს საყვა-  
რელ საქმეს, რომელსაც დიდი გატაცებით ემსახურებოდა.

ია ეკალაძეს მწვავედ განუცდია თავისი უახლოესი მეგობრის  
ლადო კეცხოველის ტრაგიკული დაღუპვა. ამ თავზარდამცემმა ამ-  
ბაემმა დააწერინა შესანიშნავი დრამატული პიესა „კამერა № 21  
ჯვრით“, რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოს  
თითქმის ყველა სახალხო თეატრის სცენაზე.

ია ეკალაძე ავტორია როგორც მწვავე პოლემიკური ხასიათის  
წერილებისა, ასევე პუბლიცისტური ნაწარმოებებისა. იგი ამავე  
დროს ბელეტრისტიკაშიც ნაყოფიერად მუშაობდა. მის ნაწერებში  
სევდა და სატირა ერთადაა შერწყმული.

ძმობა-ერთობის მოტრფიალეს, ხალხის უსამართლოებით ტან-  
ჯულს ზიზღი და სიძულვილი არ შეუძლია, მისი ბუნება ყოვლი-  
სადმი სიბრალულს ითხოვდა. პოეტი ზოგჯერ გაუბრუნდა ადამიანთა  
საზოგადოებას, მას უნდა ტყეში, მცენარეთა, მხეცთა და ფრინ-  
ველთა შორის ყოფნა. მაგრამ აქაც მთელ ბუნებაში გამწვავებული-



ბრძოლა არსებობისათვის. პოეტი ვერსად ჰპოვებს ნუგეშს, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ იტეხს გულს და თავის თავს ეუბნება:

„ბრძოლე მარად, ვაჟაკურად გაიტანე სვე ან  
შენ ილიალო, შენი გულსთქმით გაუხლი მსხვერპლად“.

ამ პატარა ლექსში, რომელიც ყაზანის გაზეთში დაიბეჭდა, პოეტს ცხოვრების მთელი ფილოსოფია გამოუხატავს. ყველა ის ფიქრი და გრძნობა ჩაუქსოვია, რაც პატიოსან ადამიანს მოსვენებას არ აძლევს, სულსა და გულს უფორიაქებს. პოეტს სურს ამ ქვეყნად მეფობდეს სინშვიდე, ძმობა, ერთობა, მაგრამ სავალალოდ ადამიანთა შორის ის ამას ვერ ხედავს. ყველა თავისთვის ზრუნავს, საკუთარი ბედნიერებისათვის ისწრაფვის, გზაზე ვინც არ უნდა შეხვდეს, არ ზოგავს, არ ინდობს. თუკი ვინმე ხელს შეუშლის, დაუნდობლად გაუსწორდება და დაღუპავს. ძალმომრეობა, უსამართლობა, სუსტის დაჩაგვრა — აი რას ხედავს პოეტი ადამიანთა საზოგადოებაში...

სასჯელის მოხდის შემდეგ თბილისში დაბრუნებული ია ეკალაძე 1905 წელს განახლებულ გაზეთ „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელი ხდება. ამ დროს გაზეთს ფილიპე გოგიჩაიშვილი რედაქტორობდა.

1904 წელს დაბეჭდილი ია ეკალაძის მოზრდილი თხზულებათა კრებული. მწერლის ამ კრებულს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ქართველი საზოგადოება და ლიტერატურული კრიტიკა. განსაკუთრებული სიყვარულით შეხვედრია მკითხველი საზოგადოება. პირველ რიგში ყურადღებას იქცევდა მისი მოთხრობების თემების აქტუალობა და ორიგინალობა.

1906 წელს იაკობი, თუმცა დაგვიანებით, უმაღლესი განათლების მისაღებად ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესულა, რომლის სრული კურსი 1911 წლის იანვარში დაუსრულებია. მას თავისი ნიჭით, მომზადებითა და რუსულის კარგი ცოდნით ყურადღება მიუპყრია. აქ სწავლის პერიოდში დაუწერია და დაუბეჭდავს ზემო აღნიშნული ფილოსოფიური, მომაჯადოებელი ლექსი „ტყე“.

ია ეკალაძე 1872 წელს დაიბადა, ლარიბი მღვდლის ოჯახში, მაშინდელი თერგის ოლქის სოფელ ციმში. მამა გურაოდან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ციხიდან ყოფილა და დავით გარეჯის მო-

ნასტერში სწავლის შემდეგ ნაირის ხეობაში მთავარ დიაკვნად და-  
უწყია მუშაობა.

იაკობს დაწყებითი სწავლა სოფელ ჯავაში მიუღია. 1881 წელს  
კი იგი გორის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. ამ დროს  
ჰაბუკს მამა გარდაცვლია. მძიმე და აუტანელი ყოფილა მგრძნო-  
ბიარე ყმაწვილისათვის მაშინდელი სკოლის რეჟიმი. სწავლა რუ-  
სულ ენაზე მიმდინარეობდა. მასწავლებლები მკაცრნი და უხეშნი  
ჰყოლიათ. ვაი იმას, ვინც იცეცქებდა!.. დამფრთხალი მოსწავლეები  
გრძნობდნენ მასწავლებლების პირქუშობას და სულგანაბლნი  
შესცქეროდნენ. იაკობი კი შიშის ზარს ჰყოლია აყოლილი. უამი-  
სოდაც დაჩაგრული ბავშვი უფრო დაშინებულა, რუსულ ენაზე ჩა-  
ტარებული გაკვეთილები თავიდან ეფანტებოდა. გასძნელებია ია-  
კობს ასეთი ყოფა და ერთხელ სასწავლებლიდან გაქცევა დაუპი-  
რებია. გაქცეულა კიდევ, მაგრამ დაუქერიათ და უფროსთან მიუ-  
ყვანიათ. გაქცევისათვის ერთი კვირით უსადილოდ დაუტოვებიათ.  
ეს იყო და ეს, სასწავლებლიდან წამოსვლა იაკობს აღარ უფიქრია.

მასწავლებელთაგან თავისი გულკეთილობითა და ლმობიერე-  
ბით ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი გამოირჩეოდა.  
იგი მზრუნველობით ეპყრობოდა ახალგაზრდა იაკობსაც. ბავშვებს  
კეთილზნეობასა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ამ დროს  
ს. მგალობლიშვილის რედაქტორობით სასწავლებელში გამოდიოდა  
ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელშიც მეოთხეკლასელი იაკობ  
ცინცაძე აქტიურად მონაწილეობდა.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1887  
წელს იაკობი თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. იგი წარ-  
მატებით სწავლობდა სასკოლო საგნებს და სახელმწიფო ხარჯზე  
გადაუყვანიათ. სწავლასთან ერთად თვითგანვითარებას ეწაფებოდა,  
ბევრს კითხულობდა მაშინდელ რევოლუციურ ლიტერატურას.  
1893 წელს იაკობი სემინარიიდან გაურიცხავთ სკოლის მოსწავლე-  
თა აჯანყებაში მონაწილეობისათვის, როგორც წინათაც ასეთ საქ-  
მეებში არაერთხელ შემჩნეული.

დიდ გასაჭირში ჩავარდნილა ყმაწვილი. უბინაობა, შიმშილი,  
წყურვილი, ცხოვრების მძიმე პირობები, ყველა ამას თავისი ზეგავ-  
ლენა მოუხდენია სიცოცხლით სავსე ჰაბუკზე, დაუჩაგრავს და და-  
უნაღვლიანებია იგი.

მალე ისევ აღუდგენიათ სასწავლებელში. ამ დროს დედის წე-  
რილიც მიუღია. დედა ემუდარებოდა, კარგად ესწავლა. სხვა რას

შესთბოვდა საცოდავი ქალი! იაკობისათვის მაგიური ძალა ჰქონდა დედის სიტყვებს. ძალიან ბევრი იტირა დედის წერილზე და გადაუწყვეტია კიდევ, რომ ისევ კარგად ესწავლა. მართლაც მოუმატა ბეჯითობას, სწავლაში დაწინაურებულა. გულჩვილ ჰაბუკს ამხანაგები ძალიან ებრალებოდა და ყოველთვის მათი ერთგული იყო. ჩამორჩენილებს ეხმარებოდა, ამხანაგებიც გრძნობდნენ მის გულკეთილობას და ნდობით ეკიდებოდნენ. მათ შორის მეგობრობა ფოლადივით მტკიცდებოდა.

გადიოდა დრო, წელს წელი მისდევდა, იაკობის ცხოვრებაში კი არსებითი ცვლილება არ ხდებოდა. მხოლოდ მის სულიერ ყოფას ემჩნეოდა სხვაობა, ხასიათი უმაგრდებოდა, ჰკუა-გონება უვითარდებოდა, ზნეობრივად ფაქიზდებოდა და გონების თვალი ეხილებოდა. თუ პატარაობისას ყველა უსამართლო მოქცევა სისხლს უმღვრევდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა, შემდგომ იგივე მოქცევა საბრძოლოდ იწვევდა. გაჭირვებულმა ცხოვრებამ მას თავისი უღმობელი დადი მაინც დაასვა და ოცი წლის ჰაბუკი ხნოვანად გამოიყურებოდა.

იყვნენ ისეთი სუსტი ბუნების ადამიანები, რომლებიც იაკობის მდგომარეობაში მყოფნი სულით ეცემოდნენ, ირყვნებოდნენ და ხასიათი ეცვლებოდათ, ბოროტდებოდნენ. მას კი გაუძლია სიდუხჭკირისათვის, ადამიანების გაუტანლობისა და ფუქსავატობისათვის. იგი წინ აღსდგომია ყოველგვარ უკულმართობას და მებრძოლი სული ბოლომდე შეუნარჩუნებია. მას შემდეგ, რაც იაკობმა თავისი თავი შეიცნო, ბევრი რამ შეითვისა და შეისწავლა, წინ აღუდგა ბოროტებს, სადაც კი სიტყვა მიუწვდებოდა, თრგუნავდა და ზიზლით მიწასთან ასწორებდა ძალმომრეობას. ცდილობდა, ამხანაგებს შორის ერთობა ჩამოეგდო და ამით ადამიანების ურთიერთსიყვარული გაემტკიცებინა.

მის მრავალ კეთილ საქმეს კი არ ასცდენია ცხოვრების ნარ-ეკლიანი გზა.

უმალესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პირველად გორში გაუნაწილებიათ მასწავლებლად, სადაც დაუარსებია გაზეთი „ქართლი“, რომელსაც 13 თვე უარსებია. მომდევნო წელს იაკობი თავის ცოლ-შვილით ქუთაისში გადასულა საცხოვრებლად.

1913 წლიდან იგი ინიშნება ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელსა და სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავ-

ლებლად. ეწეოდა დიდ საზოგადო მოღვაწეობას, აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა აგრეთვე ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში, უახლოესი თანამშრომელი გამხდარა გაზეთ „იმერეთისა“, ხოლო 1917 წლიდან თავად გამოსცა გაზეთი „სამშობლო“.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში, წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლისა და სათავადაზნაურო გიმნაზიის საარქივო მასალებში არის მწერლის პირადი საქმეები, სადაც მრავალი საინტერესო დოკუმენტია ია ეკალაძის პირადი ცხოვრებიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ია ეკალაძე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდა. ჩონხატურში გიმნაზიის დირექტორად იყო, შემდეგ მასწავლებლობდა ლანჩხუთსა და ხაშურში, თელავსა და სხვაგან.

ია ეკალაძეს შეუდგენია და გამოუცია „სამართლის მეცნიერებისა“ და „სიტყვიერების თეორიის“ სახელმძღვანელოები. შეუგროვებია და სამ წიგნად გამოუცია ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის „ანთოლოგია“.

მისი თხზულებათა პირველი დიდი კრებული ჯერ კიდევ 1904 წელს გამოსულა. 1917 წელს ქუთაისში დაბეჭდილა მეორე ვრცელი კრებული, ხოლო 1934 წელს გამოცემული იქნა ია ეკალაძის ერთტომეული.

1927 წელს მისი ხუთმოქმედებიანი დრამა „კამერა № 21 ჯვრით“ 1928 წელს სასკოლო ბიბლიოთეკის სერიით გამოსულა.

ია ეკალაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი ნაწარმოებები: „ილიკო ბედენაძე“, „ანდრია ავეიაშვილი“, „ჩემი ცოდვა გქონდეს“, „სურათი“, „ცას“, „თეო“, „მთაო, მაღალო“, „ჩვენი ცხოვრებერს სურათები“, „ზღვის პირად“, „ტყე“ და სხვ.

ნიჭიერ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ია ეკალაძეს სიკვდილამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია. ის ნაყოფიერად მუშაობდა პედაგოგიურ ასპარეზზე. საყვარელ სამშობლოს უზრდიდა მცოდნე და შრომისმოყვარე თაობას.

მართალი იყო მწერალი, როცა წერდა: „გულწრფელი იყო ჩემი სამსახური საქართველოსადმი, ვიცი და მჯერა, რომ ჩემი ხალხის სიყვარული თან გამყვება“.

## პოლიო ირეთელი

მწერალი და დრამატურგი პოლიო ირეთელი (პოლიექტო კალანდაძე) მუშების საყვარელი მწერალია. იგი თავისი კალმით მშრომელებს ემსახურებოდა. მთელი არსებით შეიყვარა გამრჯე ადამიანები და თავისი ბედი მათ ბედს გადააჯაჭვა.

იგი იბრძოდა სამართლიანობის გამარჯვებისათვის, იბრძოდა საქმით, იბრძოდა კალმით. ამ გამარჯვებისათვის მას ბევრი უტანჯია, განუცდია ღენა, ციხე, ციმბირი, რათა ხალხის კეთილდღეობის სამჭედლოში მასაც გაეღვივებინა თუნდაც ერთი ნაკვერჩხალი.

ასეთი ფანტიკოსები არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდნენ. სწორედ ასეთმა ფანტიკოსებმა მოიპოვეს გამარჯვება და დაამხეს თვითმპყრობელობა.

„რაკი ერთხელ ფეხი შევდგი ამ საბედისწერო გზაზე, უკან დახევა შეუძლებელია, უნდა გავსწიოთ წინ! წინ! ან სიკვდილი ან გამარჯვება“. — ასე აცხადებს ერთადერთი გმირი სანდრო ირეთელის მოთხრობაში „საბედისწერო გზით“. ის იღუპება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მომავალი მაინც მშრომელებს ეკუთვნით.

პოლიო ირეთელი გურიის სოფელ ხიდისთავში დაიბადა, პირველდაწყებითი განათლება ბაზალეთის სოფლის სკოლაში მიიღო. აქედან ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო სწავლა, შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1893 წელს სემინარიაში არეულობა მომხდარა. გამოსვლებში მონაწილეობა პ. ირეთელსაც მიუღია, რის გამოც სემინარიიდან გაურიცხავთ. 1895 წელს იგი ისევ აღუდგენიათ, მაგრამ არეულობაში მონაწილეობისათვის კვლავ დაუთხოვიათ. ამის შემდეგ პ. ირეთელი სოფელში დაბრუნებულა.

1899 წელს პ. ირეთელი თბილისში გადმოსულა და მთელი ახალგაზრდული გატაცებით ჩაბმულა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. მას გამუდმებით დასდევდნენ ჯაშუშები, ოხრანკის აგენტები, მაგრამ მაინც ახერხებდა კვალის აბნევას. 1901 წელს გუბერნიის უანდარბთა სამმართველოს მაინც დაუპატიმრებია იგი. ჩხრეკის დროს უპოვეს არალეგალურად გამოცემული წიგნები. უანდარბებს არც ის დარჩენიათ გაუგებარი, რომ იგი პროკლამაციებს წერდა, თარგმნიდა არალეგალურ წიგნებს და თავის ბინაზე წარმართავდა საიდუმლო კრებებს. მას წელიწადნახევარი პატიმრობის

შემდეგ ათავისუფლებენ. არჩეულ გზას მაინც არა თმობს და თავისუფალ წუთებს ისევ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას ახმარს. 1905 წელს ისევ აპატიმრებენ და სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში ასახლებენ. ციმბირიდან ირეთელი 1905 წელს დაბრუნებულია თბილისში და 1905 წელს, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, დაუწერია და 1908 წელს სცენაზე განუხორციელებია კიდევ თავისი პიესა „დამარცხებულნი“. ამ ნაწარმოებით ხალხს კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მწერალი. ეს პიესა ხალხის საყვარელ ნაწარმოებად გადაქცეულა და მტკიცედ დამკვიდრებულია სახალხო თეატრების რეპერტუარში. იღვმებოდა, როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე.

დევნასა და გადასახლებას პოლიო ირეთელი მაინც ვერ გაუტეხია. მას კვლავ ნაყოფიერად განუგრძია მუშაობა. მწერლობის სფეროში. უთარგმნია დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის „ადღვომა“. წიგნი პირველად რევოლუციამდე გამოსულა, მეორედ კი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

თავისი მოღვაწეობით პოლიო ირეთელი რეალისტი მწერალია. ბრძოლის გარეშე მისთვის არ არსებობს არავითარი გზა. სიმართლისათვის ბრძოლის გზა, მართალია, ეკლებით არის მოფენილი, მაგრამ მაინც ხსნის ერთადერთი გზაა. ტანჯვა და მსხვერპლი აუცილებელია, მაგრამ ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს სრულ გამარჯვებას მოიტანს. ამ საბოლოო გამარჯვების სრული რწმენით არის გაყენებული ირეთელის მთელი შემოქმედება.

იგი ხშირად იმალებოდა, დიდხანს ცხოვრობდა სხვისი პასპორტით. ასეთ მდგომარეობაში მოუსწრო რუსეთის რევოლუციამ.

რატომ სდევნიდა მეფის მთავრობა პოლიო ირეთელს ასე? იმიტომ რომ იგი სიტყვით, კალმით და შემოქმედებით მშრომელთა დიდი ქომაგი იყო. ირეთელის მოღვაწეობა მრავალმხრივია. მისი მოთხრობები, სცენები, პიესები, წერილები მშრომელი ხალხის ინტერესებსა და სიყვარულს გამოხატავდა.

ირეთელს განსაკუთრებით ჰყვარებია ნინოშვილი და ბევრგან ემჩნევა ამ ბელეტრისტის გავლენაც. ირეთელს უფრო იცნობენ, როგორც დრამატურგს. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი პიესები: „დამარცხებულნი“, „ქრისტიანე“, „სოფლის გმირები“, „ნიაღვარი“, „პირველი ზარი“, „უბედური დღე“, „ორშაბათი“ (ერთმოქმედებიანი კომედია).

პიესებშიც ირეთელი ისეთივე რეალისტია, როგორც მოთხრობებში, საერთო დედააზრიც იგივეა, რაც მოთხრობებში: კლასთა ბრძოლის გაშუქება და მშრომელი მასების ინტერესების დაცვა. ირეთელის პიესებში აისახება ცხოვრებისეული სიმართლე, შემოქმედის ზომიერება, ავტორს არ უყვარს ყალბი ეფექტები.

სახალხო თეატრის რეპერტუარში მტკიცედაა შესული პ. ირეთელის მიერ ე. ნინოშვილის მოთხრობების სცენარები „ქრისტიანი“ და „სოფლის გმირები“ („ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით).

პიესა „დამარცხებულნის“ თემა ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა ცხოვრებიდან არის აღებული. პიესაში ნაჩვენებია მუშათა გაფიცვა, მუშათა საიდუმლო კრება. ამ კრებაზე ჟანდარმერიის თავდასხმა და ხელჩართული ბრძოლა. წარმოდგენა იმდენად ეფექტიანი იყო, რომ მაყურებელი მოქმედების დროს ფეხზე წამოიჭრებოდა ხოლმე.

ასეთი ამბავი მომხდარა 1910 წლის 1 მაისს არაქსიანის თეატრში (მდებარეობდა პეტრე-პავლეს სასაფლაოს მახლობლად. ეს თეატრი მსახიობმა პ. არაქსიანმა შეიძინა, რის გამოც ეწოდა მისი სახელი), დადგმულა ზემო აღნიშნული პიესა, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ვასო აბაშიძე (მეფაბრიკე ბალდანიძის როლში) და ანდრო ადამიძე (მსახურის როლში). თეატრი პოლიციელებითა და ჯაშუშებით გავსებულა. ჟანდარმერიას შეუტყვია, რომ მუშების ერთი ნაწილი საპირველმანოსდ სწორედ ამ თეატრში უნდა შეკრებილიყო. წარმოდგენის დღეს ლუკა ლეჟავასა და სოკრატ სულთანოშვილს ბილეთები ფაბრიკა-ქარხნებში დაურიგებიათ და მუშებამოუწვევიათ. გარდა ამისა, მათ დიდძალი სამაისო არალეგალური ფურცლებიც გაავრცელეს დამსწრეთა შორის. მთავრობის აგენტები აშკარად ხედავდნენ, რომ ამ დროს თეატრის შენობაში მუშადასოლიდარობის დღესასწაულს 1 მაისს აღნიშნავდნენ. რაიონის ბოქაულის წინამძღოლობით კულისებში შევიდნენ მთავრობის ჯაშუშები და აგენტები. დაკვირვებით შეათვალიერეს თითოეულ მოთამაშე-სცენისმოყვარე. კარებში ჩამდგარმა პოლიციელებმა ბევრი მუშა გაჩხრიკეს კიდეც. მათთვის საექვო პირები დააპატიმრეს კიდეც.

ამ პიესას სცენისმოყვარეები უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე პროფესიონალი მსახიობები, რაც იმით აიხსნებოდა, რომ პიესის შინა-

არსი მუშათა ცხოვრებას ასახავდა და მუშა-მსახიობებისათვის განსახიერებლად ადვილი იყო.

1911 წელს პ. ირეთელს თბილისში, ზუბალაშვილის სახალხო სახლში, დიდძალი ხალხის წინაშე მთავრობის საწინააღმდეგო მოთხრობა „გლოვის ზარი“ წაუკითხავს, რისთვისაც მეფის ნაცვლის მოადგილეს პ. ირეთელი თბილისიდან და თბილისის მაზრიდან ვადაუხსახლებია სამხედრო წესების მოხსნამდე.

მოთხრობებისა და რევოლუციური რომანტიკით გამსჭვალული პიესების გარდა პ. ირეთელი ავტორია კომედიებისა „შემოდგომის ბუზები“, „ოცნება“, „საზარელი ღამე“, „შურისძიება“, „გზაში“, „მგლის დარდები“, „გმინვა“, „ობოლი სამარე“ და სხვ.

1908 წელს პ. ირეთელს სხვებთან ერთად გამოუცია იუმორისტული ჟურნალი „შუამავალი“? ხოლო შემდეგ თანამშრომლობდა „ტარტაროზში“, „ნიანგში“, „მნათობში“ და სხვა ჟურნალებში.

ირეთელის ნიჭს ახასიათებდა სატირა და იუმორიც. მისი სატირა ხშირად მწარეა, მაგრამ ამავე დროს ლალი. ირეთელის ენა და სტილი არის მშობლიური ხალხის ენა და სტილი. ირეთელს ღრმად ჩასწვდა თავისი ხალხის გულს, გაიზიარა მისი ბედი და მისი ვარამი. სახალხო საქმისათვის მას არასოდეს უღალატნია და თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის ფარგლებში ღირსეულად მოახდა მოქალაქეობრივი ვალი. სწამდა, იბრძოდა, წერდა.

1925 წელს თბილისში რუსთაველის თეატრში პ. ირეთელს გადაუხადეს სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით პრესაში საიუბილეო კომიტეტი წერდა: „პოლიო ირეთელი არის იმ მრავალ მოღვაწეთა შორის, რომელნიც სიტყვით, საქმით, თუ მწერლობის საშუალებით ემსახურებოდნენ ხალხის გამოფხიზლებასა და განვითარებას, ღირსეული ღვაწლი აქვთ შეტანილი საქართველოს სინამდვილეში“.

## ლადო იაშვილი

პოეტი (ვლადიმერ) ლადო იაშვილი რევოლუციურ მოღვაწეობასთან ერთად 90-იანი წლებიდან ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, კრებდა ზღაპრებსა და



ანდაზებს, რომლებიც გაზეთ „კვალსა“ და ჟურნალ „ჭეჭილში“ იბეჭდებოდა.

ლადო იაშვილს 1897—1898 წლებში ლასანის ფსევდონიმით გამოუქვეყნებია ლექსები: „ვინც საქართველოს საქვეყნო სარბიელზე ქველმოქმედად გამოსულა“, „გამოიცვალა ქვეყანა“, „გაზაფხული“ და სხვ.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის გაბრიელ ქიქოძის გარდაცვალების გამო დაწერილი ლექსი.

ასეთივე სამგლოვიარო ლექსი მიუძღვნია ლადო იაშვილს თავისი უფროსი თანასოფლელი მწერლისა და მოღვაწის გიორგი წერეთლისათვის. პოეტი გულდათუთქული დასტირის მის გარდაცვალებას.

ლადო იაშვილი თავის აღრინდელ ლექსებში გვევლინება ხალხის ქომაგად, მისი მისწრაფებებისა და სურვილების გამომხატველად.

ლადო იაშვილს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნია 1901 წლის საპირველმანისო დემონსტრაციისათვის. იგი ქართულ არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერში, 1901 წლის სექტემბერში გამოუქვეყნებია „შავი ბიჭის“ ფსევდონიმით.

ეს ლექსი წარმოადგენს პროლეტარულ-რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთ პირველ ნამუშევარს, პოეტი უმღერის საპირველმანისო დემონსტრაციის გმირებს, რომლებმაც გაბედულად აღმართეს თბილისში თავისუფლებისა და თანასწორობის დროშა.

პოეტი აღფრთოვანებულია იმ „წინამორბედ“ გმირთა მოქმედებითა და ბრძოლით, რომლებმაც შესძლეს ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლა „საერთოდ ტანჯვის მძიმე უღლის“ მოსაშორებლად.

ამ გამოსვლების შემდეგ გაზეთი „ბრძოლა“ წერდა: „თბილისის არასოდეს არ მოსწრებია ამგვარი მოძრაობა, როგორც წრეულს. ჯერ არ გათავებულიყო შარშანდელი შესანიშნავი გაფიცვა რკინიგზის მუშებისა, რომ ახალი გაფიცვები ერთი მეორეს მოჰყვა. მუშების მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და 22 აპრილს მოქმედება ქუჩაზე გამოვიდა.

... მეხვიით დაეცა მთავრობას 22 აპრილი. მან მიმართა ყოველ ავაზაკურ ღონეს, რომ მოესპო თბილისის მუშათა მოძრაობა, მაგ-

რამ შედეგმა დაგვარწმუნა, რომ თბილისელ მუშებს არ ეშინიათ ციხისა და პოლიცია-ჟანდარმერიისა.

ზედიზედ მოყოლილმა გაფიცებმა დაუმტკიცა ყველას, რომ მუშათა მოძრაობას ვერავითარი უკუღმართი ძალა ვერ შეაჩერებს, სანამ თვითონ მუშაკები არ მოსპობენ ამ წინააღმდეგობას<sup>1</sup>.

ლადო იაშვილი, რომელიც უშუალო მონაწილე იყო რევოლუციური მოძრაობისა, მთელი თავისი კლასობრივი შეგნებით ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ოცდაორ აპრილს“ არ დაივიწყებდა შთამომავლობა და „მუშა ხალხის გმირთა გმირობა“ ჩაგრულთათვის ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იქნებოდა თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ლექსის მეორე ნაწილს პოეტი ასე გვიხატავს:

დროშა ერთობის, თავისუფლების,  
ეროვნებისა განურჩეველი,  
დროშა აღმდგენი ქვეშაირიტების,  
აწ და შარადის სიშართლის მთქმელი.

დროშა ქვრივ-ობლის, ოხერ-ტიალის  
ნუგეშ საცემლათ მოვლინებული.  
დროშა მუშისა სისხლით და ოფლით  
შეზავებული, დამძიმებული...

დროშა „ბურჟუის“ ძირიანათა  
მალე მომსაობი, ამომგდებელი,  
იმათ დუღუკზე ფეხის ამყოლთაც  
მუდამ შემმუსრი — შემჩვენებელი;

დროშა საერთოდ კაცობრიობის  
კეთილდღეობის მომნიჭებელი,  
იმ დღის, როდესაც ყველგან, ყოველთვის  
ინეტარყოფებს სული ყოველი!..

ლადო იაშვილი დაიბადა 1872 წელს სოფ. არგვეთში (საჩხერის რაიონში). პირველდაწყებითი განათლება ქუთაისში მიუღია, შემდეგ გორის სამასწავლებლო სემინარიაში გაუგრძელებია სწავლა. აქ იგი დაახლოებია მოწინავე ახალგაზრდობას და გულმოდგინედ დაწაფებია თვითგანვითარების წრეში მეცადინეობას. ამავე დროს

<sup>1</sup> გაზ. „ბრძოლა“, № 201, გვ. 5—6.

ლადო მოსწავლეთა რევოლუციურ გამოსვლებშიაც ღებულობდა მონაწილეობას, რის გამოც სასწავლებლიდან გაურიცხავთ.

1892 წელს ლ. იაშვილს ხაშურის რკინიგზის დეპოს სამმართველოში დაუწყია მუშაობა, შემდეგ თბილისის დეპოში გადაუნაცვლებია სამუშაოდ. რევოლუციური იდეებით გატაცებულ ლადოს, სადაც კი უმუშავია, ყველგან მუშათა შორის მეფის მთავრობას საწინააღმდეგო აგიტაცია გაუჩალებია.

1898 წლიდან ლადო იაშვილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი გამხდარა და აქტიურად ჩაბმულა მუშათა გაფიცვებსა და საპირველმართო გამოსვლებში. რევოლუციურ-არალეგალური მუშაობის გამო მას ცარიზმის მუდმივი დევნა და შევიწროება განუცდია. შეუპოვარი, მებრძოლი ბუნების ლადო არ ემორჩილებოდა თურმე თვითმპყრობელობას. ამის გამო, თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხვა აქტიურ წევრებთან ერთად ჟანდარმერიას ლადო იაშვილიც დაუპატიმრებია და 1903 წლის 9 ივლისს „უზენაესი ბრძანებით“ არხანგელსკის გუბერნიაში გადაუსახლებიათ. ლადო ჟანდარმერიის გამუდმებულ დევნას განიცდიდა. როგორც ირკვევა, 1904 წლის 20 ოქტომბრიდან გაუნთავისუფლებიათ პოლიციის აშკარა ზედამხედველობიდან და ნება დაუბრუნათ, თავის სოფელ არგვეთში ეცხოვრა.

ლადოს რევოლუციურ-არალეგალური საქმიანობა არც მერე შეუჩნელებია. მას უფრო მეტი ენერგიითა და გატაცებათ გაუგრძელებია მუშაობა. ჩამოუყალიბებია არგვეთისა და საჩხერის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მუშებსა და გლეხებში ეწეოდა პროპაგანდას, შეჰქონდა მათში კლასობრივი თვითშეგნება და რაზმავდა მათ თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ლადო რევოლუციურ მოძრაობაში ყოფილა ჩაბმული. აწყობდა მიტინგებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, ხელმძღვანელობდა საჩხერის წითელ რაზმს.

1906 წელს ლ. იაშვილი ჟანდარმერიისაგან თავის დასაღწევად საქართველოდან გაქეუულა, ხოლო იმავე წლის თებერვალში ალიხანოვის დამსჯელ რაზმს მისი სახლისათვის ცეცხლი წაუკიდებია. ამ დროს ლადო ჩრდილოეთ კავკასიაში, კისლოვოდსკში ყოფილა და არალეგალურ-რევოლუციურ მუშაობას განაგრძობდა, აწყობდა მუშათა გაფიცვებს. აქ ლადო ჟანდარმერიას მაინც ჩაუგდია ხელ-

ში, თბილისში წამოყვანის დროს, სადგურ ესენტუკში იგი მცველებს დაძრომია ხელიდან, მატარებლიდან გადამხტარა და გაქცეულა. ამის შემდეგ კარგა ხანს ცხოვრობდა თურმე ფარულად დასავლეთ საქართველოში. რეაქციის მძიმე წლებში კი ჟანდარმერიას კვლავ დაუპატიმრებია. მეფის მთავრობას სასტიკად უძიებია შური და 1909 წლიდან სამუდამო კატორღამისჯილი ირკუტსკის გუბერნი-აში გადაუსახლებიათ. სოფელ უსტუდაში მძიმე პირობებში მყოფი ქლექით დაავადებულა და ჭერ კიდევ ახალგაზრდა 30 წლის ასაკში 1912 წელს გარდაიცვალა...

ლადო იაშვილი მთელი მისი შეგნებით ღრმად ყოფილა დარწ-მუნებული, რომ „ოცდაორ აპრილს“ არ დაივიწყებდა შთამომავ-ლობა.

გამოჩენილ პოეტს ალექსანდრე აბაშელს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნია მისთვის სათაურით „პირველი მაისის პირველ მომღე-რალს“.

„ღღეს მე ვიგონებ პირველ მაისის  
პირველ მომღერალს — ლადო იაშვილს,  
ჩვენ დიდ ზეიმში მისი ხმა ისმის,  
როგორც ქუხილი ქარის გრიალში.

მან ბრწყინვალემა იხილა დილის  
ცხრაას პირველის ოცდაორ აპრილს,  
როცა პირველად დამშვენდა თბილისს  
აელვარება წითელი აფრის.

ლექსი რაშივით გამოაქენა  
მან კეცხოველის „ბრძოლის კერაში“,  
რადგან ქარიშხლის იგრძნო გაჩენა  
მაისის პირველ შემობერვაში.

და მართლაც იყო მეხის გავარდნა  
და ელვის დარტყმა გასაკვირველი,  
როცა აფრინდა წითელ შევარდნად  
პირველ მაისის დროშა პირველი.

... ასრულდა კიდევ სწრაფვა დიადი  
და მოლოდინი გმირთა გამართლდა:  
ამ დროშის უქმმა დასწვა წყვედიადი,  
ხალხმა რომ ბრძოლით იმ ღღეს ამართა.

წინამორბედთა ბრძოლის ვალობამ  
ჩვენს ზეიმამდე რომ მოაღწია  
არ დაივიწყა შთამომავლობამ,  
ვინც ის პირველი დროშა ასწია“

## შაქრო ნავთლულელი

ცნობილი მუშა-პოეტი, ავლაბრის სახალხო თეატრების ძველი სცენისმოყვარე შაქრო ნავთლულელი დაიბადა უღარიბეს და მრავალშვილიან ოჯახში თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში, რომელსაც ძველად სოფელ ნავთლულს უწოდებდნენ. 8 წლის ასაკიდან ჩაბმულა იგი შრომის ფერხულში. შაქრომ სკოლის ორი კლასი დაამთავრა და მეტი სწავლის მიღება ვეღარ შესძლო ოჯახური მდგომარეობისა და ხელმოკლეობის გამო. მას კვლავ მძიმე ფიზიკური შრომისათვის მოუკიდია ხელი. უმუშავია მშენებლობაზე მუშად, რკინიგზაზე მტვირთავად, მიწის მთხრელად. შემდგომ ხარატის პროფესიას დაუფლებია და წლების მანძილზე თბილისის ქარხნებში უმუშავია.

გარდა ფიზიკური მუშაობისა, შაქრო ნავთლულელი ამ ქარხნებში კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდა, ეს იქნებოდა კედლის გაზეთის გამოსვლა, საღამო-ლექციები, კონცერტები, წარმოდგენების მოწყობა და სხვა.

შაქრო მხოლოდ შრომას არ დასჯერებია, ხელი მიუყვია თვითგანვითარებისათვის, წიგნების კითხვით იმდენად გათვითცნობიერებულა და შეუყვარებია ლიტერატურა და ხელოვნება, რომ მალე, 900-იანი წლების დასაწყისიდანვე, დაუწყია ლექსების წერა და თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

მისივე ხელმძღვანელობითა და გაფიცვის ბიუროს თავმჯდომარეობით მოწყობილი იქნა რამდენიმე გაფიცვა, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრებულა.

შაქრო ნავთლულელს 1900 წლიდან 13 წლის მანძილზე უმუშავია ამიერკავკასიის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშად. აქ იგი არალეგალურ წრეებში ჩაბმულა, ავრცელებდა პროკლამაციებს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაფიცვებში.

შაქრო ნავთლულელს ბავშვობის წლებიდან დაუწყია ლექსების წერა, მისი პირველი ლექსები ცხრაასიან წლებში გამოქვეყნებულა. 1907 წელს ახალგაზრდა პოეტს მხურვალედ დაუტირია ილია. ეს გამოსათხოვარი ლექსი ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ კრებულშია დაბეჭდილი.

მისი პირველი წიგნი გამოიცა მძიმე რეაქციის წლებში, სახელდობრ, 1908 წელს და კრებულს სათაურად რქმევია: „შრომის დროს ამონაკენისი ლექსები“, ეს სათაური ძალზე მეტყველი და დამახასიათებელი იყო შაქრო ნავთლულელის იმ დროის პოეზიისათვის, პოეტს ამ ლექსებში გამოხატული აქვს მუშების .მძიმე და აუტანელი შრომა, მათი მისწრაფებები ნათელი მომავლისაკენ, მათი საბრძოლო განწყობილებები.

შაქრო ნავთლულელი ამავე დროს მკვიდროდ დაკავშირებია თბილისის განაპირა უბნების სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეებს. აქ მას წაუკითხავს რევოლუციური ლექსები, რომლითაც მუშათა აუდიტორიას თვითმპყრობელობის დამხობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

მუშა-სცენისმოყვარეები ცდილობდნენ თეატრი დიდ კულტურულ ოჯახად გადაეჭვიათ, სინათლე და სიმართლე შეეტანათ თბილისის განაპირა უბნების მშრომელ მოსახლეობაში.

იმდროინდელმა სახალხო თეატრებმა მიიზიდეს არა მარტო ჩვენი გამოჩენილი მსახიობები, რომლებიც, ხშირად, დიდი მონდომებით მონაწილეობდნენ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, არამედ მიიქციეს ისეთი დიდი პოეტის ყურადღებაც, როგორიც იყო აკაკი წერეთელი.

და აი, 1914 წლის 19 ოქტომბერს, აკაკი თავის ვაჟთან ალექსისტან ერთად სტუმრად სწევია წარმოდგენაზე ქართველ სცენისმოყვარეებს მურაშკოს თეატრში, რასაც დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია როგორც სცენისმოყვარეთა შორის, ისე საზოგადოებაში.

ხალხი ტაშითა და ოვაციებით, დაფა-ზურნითა და ქართული სიმღერებით, ცოცხალი ყვავილებით შეხვედრია საყვარელ მგოსანს. საზოგადოებისა და სცენისმოყვარეთა სახელით შაქრო ნავთლულელს ექსპრომტად შემდეგი ლექსით მიუმართავს პოეტისათვის:

„მოხუცებულ მოსანო,  
მოსილო თეთრი წვერითა,  
ბედნიერება მოგვმალდე  
მობრძანებითა შენითა!  
უკვდავი არს და იქნებას  
შენი ტკბილ-შხამი კალამი!  
ტკბილის გულითა მოძღვნილი  
მიიღე ჩემი სალამი“.

ამის შემდეგ ისინი გადახვევიან ერთმანეთს, დარბაზი კი ისევ და ისევ აქუხებულა ტაშით.

იმ დღეს სცენისმოყვარეებს ს. ივანიძის რეჟისორობით ჩინებულად უთამაშიათ აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, რომელიც ავტორის ძალიან მოსწონებია და მონაწილეებიც ღირსეულად შეუქცია.

დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა შაქრო ნავთლუღელის ლექსების კრებულები: „ლენინის ხსოვნას“, „მწყემსის გოდება“ (1925), „ნიღბის ქვეშ“ (1927), „ორი პოემა“ (1932) და სხვ.

შაქრო ნავთლუღელი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი აქტიური წევრთაგან.

1926 წელს მისი ინიციატივით დაარსებულია მუშა და გლეხი მწერლების ჟურნალი „მიზანი“, რომლის რედაქტორიც თვით ნავთლუღელი იყო.

შაქრო ნავთლუღელი — შრომისმოყვარე, დარბაისელი, ჭკვიანი და გულკეთილი ადამიანი, გარდა მრავალრიცხოვანი ოჯახის მზრუნველობისა, ყოველდღიური მძიმე შრომისა, დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებში, მუშა-მწერლებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო საქმეებში.

აღსანიშნავია შაქრო ნავთლუღელის მოღვაწეობა გამოგონებათა დარგში. მას აქტიურად უმუშავია გამომგონებელთა საზოგადოებაში. მრავალი საინტერესო რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონებისათვის დაჯილდოებული იყო საუკეთესო გამომგონებლის სამკერდე ნიშნით. მუშაობდა გამომგონებელთა წრეების ხელმძღვანელად, სხვადასხვა კომისიებისა და კომიტეტების წევრად.

შაქრო ნავთლუღელს თავისი ინიციატივითა და მზრუნველობით თბილისის განაპირა ადგილას, ნავთლუღის უბანში, მამუციანთ სოფელში, 1909 წლის 5 ოქტომბერს, ადგილობრივ მცხოვრებთათვის

დაუარსებია სკოლა, როგორც მცირეწლოვან ბავშვებისათვის, ისე წერა-კითხვის უცოდინარი უფროსებისათვის და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქ მოდიოდნენ მუშის შვილები, რომლებსაც მუშა-პოეტი წერა-კითხვას ასწავლიდა. მისი სავანმანათლებლო საქმით დიდად დაინტერესებულან ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები ლუარსაბ ბოცვაძე, ნინო ნაკაშიძე და სხვები. როგორც სკოლა, ისე ბიბლიოთეკა შემდგომში გადაუციათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, სადაც ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობდნენ როგორც საგნებს, ისე ხელსაქმეს. ეს სკოლა კი შემდგომში გადაკეთებულა 24-ე შრომის სკოლად.

მთელი ბიბლიოთეკის ქონება შეუერთდა ნავთლულის სახალხო ბიბლიოთეკას. როგორც სკოლას, ისე ბიბლიოთეკას, დღიდან დაარსებისა დახმარებას უწევდა შაქრო ნავთლულელი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნავთლულელი უკანასკნელ წლებში დაულალავად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, ტრიალებდა მუშებში, გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე, შეხვედრებზე, კითხულობდა თავის ლექსებს.

მეორე მსოფლიო ომში წასული მისი ორი ვაჟიშვილი შინმოსვლელებად ირიცხებიან. მოხუც და ნაჯაფარ მუშა-პოეტს შაქრო ნავთლულელს უდიდესი მძიმე განცდებით გადაუტანია ეს ტრაგედია და მაინც სულით არ დაცემულა, სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე ხელიდან არ გაუგდია კალამი. იგი 1960 წელს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## ივანე მჭედლიშვილი

მუშა ასოთამწყობი, ჟურნალისტი, ლიტერატორი, გაზეთ „ისრის“ რედაქტორი ივანე მჭედლიშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გაიტაცა სამწერლო საქმიანობამ. იგი თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, „კვალში“ და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ათავსებდა პატარ-პატარა მოთხრობებს.

გაზეთ „ისრის“ რედაქტორობის პერიოდში მან დაწერა „ბექლ-



ვითი ხელოვნების ისტორია“, რომელიც პოლიგრაფტრესტმა სახელმძღვანელოდ დასტამბა და გამოსცა.

ივანე მჭედლიშვილმა „ქიზიყელის“, „ავლაბრელი ნინუას“ და სხვა ფსევდონიმებით მრავალი წერილი გამოაქვეყნა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე, თეატრალურ ხელოვნებაზე, სასტამბო ტექნიკაზე და სხვა საკითხებზე.

ივანე მჭედლიშვილი 1907 წლიდან ყოველდღიური გაზეთ „ისრის“ პასუხისმგებელი რედაქტორიც იყო და ცალკეულ გამოცემათა რედაქტორ-გამომცემელიც: 1908 წელს მან დასტამბა „დროების კალენდარი“, რომელმაც თავისი შინაარსით ქართველი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს კალენდარი პოლიციისა და ჟანდარმერიის განკარგულებით მალე აუქრძალავთ და მისი ავტორ-გამომცემლის ივანე მჭედლიშვილისათვის დევნა დაუწყიათ. ერთ წელზე მეტი იმალებოდა იგი ხან თბილისში, ხან კახეთში. მთავრობის აგენტებმა მაინც მიაგნეს, 1909 წელს დააპატიმრეს თბილისში, ხუთი თვე მეტეხის ციხეში ამყოფეს. შემდეგ კი დონის-როსტოვში გადაასახლეს.

ორი წლის შემდეგ ივანე მჭედლიშვილი გამოიპარა და ჯერ არალეგალურად, შემდეგ ლეგალურად ცხოვრობდა. მისი დევნის პერიოდში კი გაზეთ „ისრის“ გამოცემას რედაქტორობდა ქართული სცენის ამაგდარი ვალერიან გუნია.

ივანე მჭედლიშვილი ცნობილი იყო პოლიგრაფიაში, როგორც ქართული შრიფტის ერთ-ერთი რეფორმატორი. მან ციცეროს ზომის ვენური ასო გადააკეთა კორპუსად, ისე რომ ციცეროს ასოს შეუნარჩუნა თავისი მოხაზულობა.

ივანე მჭედლიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1873 წელს. მისი მამა იყო დურგალი. ვანომ წერა-კითხვა მოზრდილ ასაკში ისწავლა დედისაგან. შემდეგ მიაბარეს ავლაბრის წმინდა მარინეს სამრევლო სასწავლებელში.

მამამისი, როგორც გაუნათლებელი კაცი, ვერ ეგუებოდა პატარა ვანოს სწავლისაკენ სწრაფვას. სწავლა და განათლება შვილის დამლუბველად მიაჩნდა. ამ აზრით შეპყრობილმა ვანო სამრევლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შეგირდად მიაბარა მეწვრილმანეს. მაგრამ ვანოს ბუნება ვერ ეგუებოდა მეწვრილმანის შეგირდობას, მალე თავი დააღწია და 1892 წელს, კეთილი პირების რჩე-

ვით. კერძოდ, ასოთამწყობ ლევან პოლოსოვის დახმარებით, იგი ვართანოვის სტამბაში მოწაფე ასოთამწყობად შევიდა.

ვართანოვის სტამბაში ვანოს ნიჰმა ფრთა გაშალა. სულ რამდენიმე წლის შემდეგ იგი საუკეთესო ქართველ ხელოსან ასოთამწყობად ითვლებოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში მას ვხვდებით თბილისის თითქმის ყველა სტამბაში: მუშაობდა „დროებაზე“, „კვალზე“, „ივერიაზე“ და მრავალ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებზე.

იგი, როგორც ჟურნალისტური ნიჰით დაჯილდოებული, ბევრ სხვადასხვა სახის მასალას ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში.

ვანოს ავლაბრის ჩამორჩენილ მუშა ხალხის განვითარებაშიც საკმაო წვლილი ჰქონდა შეტანილი. ვანო პატარაობიდანვე ლებულობდა მონაწილეობას ავლაბრის სახლებში არალეგალურად მოწყობილ წარმოდგენებში. 1902 წელს, როცა მურაშკოს თეატრი დაარსდა, ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი ივანე მჭედლიშვილი იყო.

მაგრამ ყველაფერი ეს დაჩრდილა ივანე მჭედლიშვილის იმ სასარგებლო საქმეში, რომელიც მან შესძინა სასტამბო ტექნიკის განვითარებას — ქართულ შრიფტში ცვლილებების შეტანით. თავის დროზე პოლიგრაფისტი მუშის „ახალ საქმეს“ ექვის თვალთ შეხვდა ლიტერატურული ინტელიგენცია. ივანე მჭედლიშვილს ბევრი წერილის დაწერა მოუხდა ამ საკითხზე, ბევრი იბრძოლა, დაბოლოს, როგორც იქნა, თავისი გაიტანა. მართალია, მას ახალი შრიფტი არ შეუქმნია, მაგრამ ასოთჩამომსხმელ პაეღე გაღუსტოვის დახმარებით, მის მიერ დამზადებული მატრიცებით ქართულ სტამბას მისცა არსებულის დიდად სახეცვლილი შრიფტი.

რამდენადაც ვიცით, ამ მიმართებით დიდი საქმეების განხორციელებას აპირებდა, უნდოდა საფუძვლიანად გადაეხალისებინა მთელი ქართული შრიფტი, მაგრამ ამის განხორციელება არ დასცალდა.

1910 წელს აიწყო „სახალხო ფურცელი“ გაუმჯობესებული შრიფტით, შემდეგ სხვა ჟურნალ-გაზეთები. რაკი მესტამბეთა და ლიტერატორთა უმრავლესობა დარწმუნდა, რომ ყოველი ეს ახალი ასო დიდ ეკონომიას სწევდა ბეჭდვით საქმეში, ყველამ მიჰმართა მას და ამნაირად ხმარებაში შემოვიდა ვენური სტილის № 10-ი, ახლა კი კორპუსად წოდებული შრიფტი.

რაც შეეხება ივანე მჭედლიშვილის თეატრალურ მოღვაწეობას,

მკედლიშვილმა 1902 წელს ი. იმედაშვილთან ერთად საძირკველი ჩაუყარა მურაშკოს თეატრს, სადაც 15 წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ მონაწილეობდა მუშა-ხელოსანთათვის გამართულ წარმოდგენებში. ვერავითარი შევიწროება, ვერავითარი უსახსრობა ვერ აბრკოლებდა ჭაბუკური ხალისით აღფრთოვანებული ივანეს ამ სასარგებლო საქმიანობას.

მკედლიშვილის სასცენო მოღვაწეობა მარტო თბილისში მუშაობით არ იფარგლებოდა. მას საქართველოს მრავალ დაბა-ქალაქებსა და მივარდნილ სოფლებშიაც კი ხშირად უმოგზაურია.

1906 წელს იგი დაუშვეს ქართული დრამატული საზოგადოების მიერ მოწყობილ კონკურსში ქართულ თეატრში შემსვლელთათვის. ნინო დავითაშვილთან, ნატალია ყიფიანთან, ვიქტორ მატარაძესთან, ნიკო გვარაძესთან და სხვებთან ერთად, იგი წარსდგა მისაღებ გამოსცდებზე. გამოსაცდელ წარმოდგენაზე ივანე მკედლიშვილი მოსწონებიათ როგორც რეჟონიორი, მოხიბლულან მისი სასცენო გარეგნობით, საუცხოო, მკაფიო მეტყველებით. ამიტომაც მას ხშირად იწვევდნენ დიდ სცენაზე სხვადასხვა ეპიზოდური როლების შესასრულებლად. იგი მაშინდელ სცენისმოყვარეთა და მსახიობთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო რეჟონიორად ითვლებოდა.

## ზიორგი ჯაბაური

მუშა-პოეტი და მწერალი, სახალხო თეატრების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გიორგი ჯაბაური, გარდა სცენაზე მოღვაწეობისა, მუშათა მოძრაობაშიც იყო ჩაბმული.

გიორგი ჯაბაური დაუშრეტელი ენერჯის პატრონი იყო. მისი მოღვაწეობა მარტო „ავქალის აუდიტორიით“ არ შემოიფარგლა. მან სცენის მოყვარულ მუშებისაგან შეადგინა დასი, წარმოდგენებს მართავდნენ რკინიგზის თეატრებში, რენესანსის ბაღში, ვეტცელის თეატრში და ქართლის მნიშვნელოვან დაბა-სოფლებში.

გიორგი ჯაბაურის ამპლუა დრამატული როლები იყო. თუ ქართულ თეატრს ჰყავდა ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე და სხვა უკვე სახელოვანი მსახიობები, სახალხო, განაპირა უბნების თეატრებსაც თავისი საყვარელი მსახიობები ჰყავდათ. მაგალითად, „ავ-

კალის აუდიტორიაში“ გიორგი ჯაბაური და ნიკო გოცირიძე, ავლა-ბრის თეატრში — ლევან ბაღაშვილი, დარო რჩეულიშვილი, მაკა ქართველიშვილი და სხვები.

გიორგი ჯაბაურის საყვარელი როლები იყო: მენაბდიშვილი („მეზობლები“); გიუჟა („რაც გინახავს, ველარ ნახავ“), პეპო („პეპო“), გაიოზი („და-ძმა“), არსენა („არსენა“), ტოტოლა („ავაზაჯანი“), ნიკოლა („ციმბირელი“), ბერდიაშვილი („დამარცხებულნი“), მუშა („ქოჩორიანი ტოროლა“), ვანო („მსხვერპლი“), პონბერნიე („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“), ჟაკი („ორი ობოლი“) და სხვა მრავალი. ეს როლებიც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა საჭირო ძალა იყო მუშათა თეატრებისათვის გიორგი ჯაბაური. გარდაამისა, ის დიდი გატაცებითა და გულწრფელობით ემსახურებოდა მუშათა გათვითცნობიერების საქმეს, იბრძოდა იმისათვის, რათა სცენისმოყვარეთა წრის გამგეობა მუშური ყოფილიყო. იგი ამავე დროს ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, საპოლემიკო წერილები..

1908 წელს გიორგი ჯაბაურმა გამოსცა საკუთარ ლექსთა კრებული „ვინ რას აკეთებს?“... დაწერა პიესა „მამის ბრალია“, რომელიც რამდენჯერმე წარმოადგინეს სახალხო თეატრების სცენაზე. დაბოლოს, სახალხო თეატრების ისტორიისათვის დიდ საგანძურს წარმოადგენს გიორგი ჯაბაურის ნაშრომი „სახალხო თეატრის ისტორია“. ეს ნაწარმოები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“.

იგი თანამშრომლობდა აგრეთვე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ბოლო წლებში კი ერთი მუშკორთაგანი იყო გაზეთ „კომუნისტისა“.

საბჭოთა ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა ჯაბაურის ხანგრძლივი და უანგარო მოღვაწეობა, მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს, 1949 წლის 23 მაისს კი შემოქმედებითი საღამო გაუმართავს.

მაშინდელი პლებანოვის კლუბის საკმაოდ დიდ დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მხურვალე, გულთბილი მისალმებები მოწმობდნენ, რომ ხალხი „პატარა“ მოღვაწეებსაც აფასებს, თუკი ისინი გულწრფელად, უანგაროდ და სიყვარულით ემსახურებიან საქმეს. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა, რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ, პოეტმა

აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა, „ავჭალის აუდიტორიის“ პირველმა რეჟისორმა, მწერალმა იოსებ იმედაშვილმა, მუშა-პოეტმა გიორგი ხეჩუაშვილმა, ავჭალის სახალხო თეატრის თვალსაჩინო სცენისმოყვარემ დავით მეღზშვილმა და მრავალმა სხვამ. მისაღმებებმა და ჯაბაურის შრომის მალაღმა შეფასებამ დიდად ააღელვა მსცოვანი სცენისმოყვარე და სამადლობელ სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას განუცხადა: „შევეცდები დავაკმაყოფილო ამხანაგების სურვილი და გამოვაქვეყნო განვლილი სათეატრო ცხოვრების ისტორია“.

პლენანოვის სახელობის კლუბში გიორგი ჯაბაურის შემოქმედებით საღამოზე წარმოდგენილი იქნა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“ (პირველი მოქმედება) და ავქსენტი ცაგარელის კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ (მეორე მოქმედება).

„სახალხო გმირი არსენა, — ამბობს გიორგი ჯაბაური, — ჩემი საყვარელი გმირი იყო და ხშირადაც ვთამაშობდი ახალგაზრდობისას, მაგრამ ავქს. ცაგარელის ალალმართალი, გამბედავი, მეგობრისათვის თავდადებული გიჟუა მაინც განსაკუთრებით მიმზიდველია ჩემთვის. 80 წელს გადაცილებული ვარ. კარგა ხანია, სცენას ჩამოვშორდი, სიარული მიმძიმს, მუხლი მეკეცება, მაგრამ საკმარისია მითხრან, გიჟუა ითამაშეო, მე მგონია, წელში გავსწორდები, ხელს გავშლი და ბაღდადურს ჩამოვუვლი. 1893 წელს „ავჭალის აუდიტორიის“ გახსნისას გიჟუას როლი შევასრულე და ჩემი მოღვაწეობაც გიჟუათი დავასრულე“.

„ავჭალის აუდიტორიის“ სცენაზე იღგმებოდა როგორც პიესები, ისე დივერტისმენტები, კითხულობდნენ რევოლუციური შინაარსის ლექსებს. სცენისმოყვარეთა წრეში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ქარხნის საამქროების წარმომადგენლები, ფარდულეებში იმართებოდა არალეგალური წრის მეცადინეობა პოლიტიკურ საკითხებზე. ასეთი პიესებისა და ლექსების კითხვით სცენისმოყვარე გიორგი ჯაბაურმა სახელი გაითქვა ქარხნის მუშებს შორის.

მისი სცენიდან ნათქვამი ყოველი სიტყვა ჟრუანტელის მომგვრელი იყო, ხშირად ჯაბაურისათვის ტაშისცემით როლის თამაში შეუწყვეტინებიათ.

მგზნებარებით გაისმოდა „ავჭალის აუდიტორიის“ პატარა სცენიდან გიორგი ჯაბაური-მენაბდიშვილის (ტრ. რამიშვილის პიესა „მეზობლების“ მთავარი გმირის) მონოლოგი: „დამყაყებულნი წყო-

ბილების ბურჯნო, მერე რას იზავთ, მაშინ, როცა გათვითცნობი-  
ერებული ხალხი იჭექ-იჭუხებს და თქვენს მიერ ყალბ საფუძველზე,  
აგებულ ცხოვრებას მიღწე-მოღწეავენ“.

ერთხელ გიორგი ჯაბაურმა დივერტისმენტში წაიკითხა ლექსი  
„ნატვრა“, რომელმაც დიდად იმოქმედა მსმენელებზე. ტაშის გრი-  
ალს დასასრული არ უჩანდა.

„როს ნანატრ ღროს დაჰკრას საათმა,  
ცას მოფენოს ძლევის ცისკარი,  
თავისუფლების იჭექოს ხმამა  
და მტერს დაეცეს შიშისა ზარი,  
როს ძლევის ველზე ნელმა ნიაემა  
მძლეველი დროშა აფრიალოს.  
იმ დროის შეილო, შენ გთხოვ ვედრებით,  
მონახე მაშინ ჩემი საფლავი.“

მითხარი ტანჯვის დროინდელ შეილსა,  
მწარე ტანჯვითვე საფლავში ჩასულს,  
თუ რა ძალა აქვს მაგ შენ დროს ტყბილსა,  
ჩემს იდეალს, ჩემგნით ვერ ნახულს.

მითხარი მეტი, გაფიცებ მაგ შენს  
ძლევის გვირგვინსა — თავისუფლების  
და აგრძნობინე ის შვება ჩემს ძვლებს,  
რომ ბანი მისცეს შენს ნეტარებას“.

წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ლექსის  
წაკითხვას, როცა მუშა თანდათან ერკვეოდა თავის მდგომარე-  
ობაში.

გარდა სახალხო თეატრისა, გიორგი ჯაბაური წერა-კითხვის სა-  
ზოგადოების დახმარებით, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს და შემდეგ  
რევოლუციის ხანაში, დადიოდა სოფლებში, მართავდა საჯარო კი-  
თხეებს, გლეხებში განათლების შუქი შეჰქონდა.

გიორგი ჯაბაური დაიბადა 1874 წელს ქ. თბილისში, მამამისი  
სოფელ ლამისყანიდან ყოფილა ჩამოსული ქალაქში სამუშაოდ. იგი  
ხელობით მწარეული იყო და ჯამბაყურ ორბელიანს ემსახურე-  
ბოდა.

გიორგის ექვსი წლისას გარდაცვლია მამა. დედას ბავშვებისა-  
თვის, გიორგისა და სამი მომდევნო გოგონასათვის ობლობა არ უგ-

რძნობინებია, გაათქეცებული ენერგიით უძღვებოდა ოჯახის მეურ-  
ნეობასა და შვილების აღზრდას.

მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის რჩევით, რომელიც გი-  
ორგის ნათლია იყო, დედას პატარა გიორგი თბილისის სამოქალაქო  
სასწავლებელში, ეგრეთწოდებულ „პაპიდოვის სკოლაში“ (წინათ  
ეს სასწავლებელი იყო ყოფილ კამოს ქუჩაზე, მტკვრის პირას)  
მოუწყვია.

ამ სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგი თავისი სურვილით  
სახელოსნო სასწავლებელში შესულა, რომელიც შესანიშნავად და-  
უმთავრებია. აქ ოთხ წელიწადში შეუსწავლია ღურგლისა და ხარა-  
ტის პროფესიები.

ღარიბებისათვის პირდაპირ სულზე მისწრება ყოფილა ეს სას-  
წავლებელი. ასწავლიდნენ დედაენას, რუსულს, გეოგრაფიას, ფი-  
ზიკას, არითმეტიკას და სხვა საგნებს. რაც მთავარია, სადილსაც  
იქვე აკმევდნენ. ნახევარი დღე დათმობილი ჰქონიათ ხელობის  
სწავლებისათვის.

„სახელოსნო სასწავლებელი იყო ჩემი აღმზრდელი, ჭკუის მას-  
წავლებელი, სწორ გზაზე დამყენებელი, — გვიამბობს გიორგი ჯა-  
ბაური, — ფიზიკას და მათემატიკას გვასწავლიდა ცნობილი ხალხო-  
სანი ვასო რცხილაძე, ქართულსა და რუსულ ენებს — ცნობილი  
პედაგოგი შაქრო კანდელაკი. ეს ორივე პედაგოგი მზრუნველობას  
არ გვაკლებდნენ. კანდელაკის საუბრები საქართველოს წარსულზე,  
ჩვენი ხალხის გმირობაზე ნორჩი ბავშვების გულში მაგრად იბეჭ-  
დებოდა და სამშობლოს სიყვარულს გვიღვივებდა ყველას. შაქრო  
კანდელაკი ბავშვების დიდი სიყვარულით სარგებლობდა და ეს  
სიყვარული ბოლომდე გაჰყვა ყველას. როცა მე უკვე დავვაუქაცდი  
და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩავები, შაქრო კანდელაკს ხშირად  
ვხვდებოდი, მოწიწებით ვესაუბრებოდი ჩემს პირველ გამნათლე-  
ბელსა და აღმზრდელს. შაქრო კანდელაკი სახელოსნო სასწავლებ-  
ლიდან კომერციულ სასწავლებელში გადავიდა და იქაც ისეთივე  
სიყვარული დაიმსახურა მოსწავლეებისა, როგორც ჩვენთან. შ. კან-  
დელაკი ღრმა მოხუცი გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე, უკვე ნა-  
ხევარ საუკუნეს მიღწეულნი, ისე ვგრძნობდით თავს, თითქოს ღვი-  
ძლი მშობელი დაგვეკარგოს.

მოსწავლეთა არანაკლები სიყვარულით სარგებლობდა ვ. რცხი-  
ლაძე. ფიზიკის გაკვეთილები ცლებით მეტად მიტაცებდა. თუ მე

ათეისტი შევიქენი და ყრმობიდანვე ეკლესიის კარებს არ გავკარებ-  
ბივარ, ეს ჩემი მასწავლებლის ვასო რცხილაძის ნაყოფი იყო. სა-  
ღვთო რჯულს გვასწავლიდა კვირაცხოველის ეკლესიის მღვდელი  
გურგენიძე. გურგენიძე გვასწავლიდა, ყოველივეს, რასაც ვხედავთ,  
ღმერთის გაჩენილიაო. აბა შეხედეთ ამ მშვენიერ ქვეყანას, — და  
ხელს ფანჯრისაკენ გაიშვერდა, საიდანაც ისმოდა მტკვრის დუღუნი  
და მოჩანდა ძველი თბილისის ისნის უბნის ფერდობები, — აი, ყო-  
ველივე ეს, რასაც ხედავთ, შვილებო, ღმერთმა გააჩინაო. აღაყ-  
რობდა ხოლმე ხელს ზეცისაკენ და გვეგონა ღმერთი თავისი ან-  
გელოზებით ცაში ტახტზე განისვენებდა. გურგენიძის გაკვეთილე-  
ბიდან მიღებული შთაბეჭდილება ვ. რცხილაძის გაკვეთილებზე და-  
ვიწყებას ეძლეოდა. ფიზიკის მასწავლებელი გვიხსნიდა გაკვეთილს,  
აკეთებდა ცდებს, გვასწავლიდა, რა არის ჰაერი, შთაგვაგონებდა,  
რომ მაღლა უსაზღვრო სივრცეა, რაც უფრო მაღლა ადიხარ, ჰაერი  
უფრო იშვიათდება, რასაც ჩვენი თვალი ვერ სწვდება, ეს ცად გვე-  
ჩვენებო. ისე რომ მღვდლის ქადაგება ღმერთზე, ანგელოზებზე,  
ეშმაკებზე, და სხვ. მალე ქარწყლდებოდა და მესტიერის გუდასა-  
ვით იფუკებოდა. სასწავლებელში ყოფნის პირველ ხანებში ყოვე-  
ლი გამოცდის წინ ანჩისხატის ეკლესიაში შევიდოდი, ღმერთს კა-  
პიკიან სანთელს ვუნთებდი და შევთხოვდი მოწყალება არ მოეკლო  
და თუ ხუთიანი არა, ოთხიანი მაინც გამემტებინა. შემდეგ წლებში  
ანჩისხატი დავიწყებული იქნა და თუ კაპიკი მექნებოდა, დაშაქრულ  
„პიშკებს“ ვიყიდდი და პირს ჩავიგემრიელებდი.

ასე შეიცვალა ჩემი მსოფლმხედველობა პროგრესული მოაზ-  
როვნე პედაგოგების გავლენით. სასწავლებელში წარჩინებულ მო-  
წაფედ ვითვლებოდი და ხელობის ათვისებაშიც საკმარისი ფხა გა-  
მოვიჩინე“.

სწავლის პერიოდში გიორგი ყოველდღე დაიარებოდა სამკი-  
თხელოში (მაშინ ერთადერთი სამკითხველო ყოფილა წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოებისა ქართული თეატრის ეზოში) და  
ქართულ წარმოდგენებს ხომ არასოდეს არ აკლდებოდა... არტის-  
ტების წამხედურობით, სახელოსნო სკოლის მოწაფეებსაც განუ-  
ზრახავთ თავიანთ უბნებში წარმოდგენების გამართვა. გიორგი ჯა-  
ბაურს, ისაკო ძნელაძესა და სანდრო დავითაშვილს შეუდგენიათ  
პატარა დასი და 1891 წელს, მეცხრე კომისარიატში, რევზოვის  
ქუჩაზე, ზაქარია მკედლიშვილის სახლის ღერეფანში გაუმართავთ.



პირველი უბნური წარმოდგენა. დაუდგამთ ორმოქმედებიანი კომე-  
დია „კატა აწონა“ (ვაჟარს თამაშობდა გიორგი ჯაბაური, ხოლო  
მის მეუღლეს, რადგან ქალები სცენაზე არ გამოდიოდნენ — ისაკო  
ძნელაძე). შესვლა უფასო იყო, წარმოდგენას აუარებელი ხალხი  
დაესწრო და პიესაც — რადგან სასაცილო იყო — ძალიან მოეწონათ.

ეს იყო პირველი ჩანასახი ხალხური წარმოდგენებისა...

ერთ დღეს ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეთა შორის ხმა  
დაირბა, უფროსკლასელებმა წარმოდგენა უნდა გამართონო. ეს  
ხმა გამართლდა და ამავე სკოლის მოსწავლის კვიჩინაძის სახლის  
აივანზე მოაწყვეს სცენა, ხოლო ეზო, რომელშიც სკამები ჩაემწე-  
კრივებიანთ, პარტერად გამოიყენეს. დაიდგა ავქსენტი ცაგარლის  
„რაც გინახავს, ველარ ნახავ“. ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მაყურე-  
ბელი ჯაბაურიც იყო. გიჟუას როლი ძალზე მოსწონებია და გადა-  
უწყვეტია, რადაც უნდა დასჯდომოდა, თვითონაც გაემართა წარ-  
მოდგენა.

გიორგიმ თავისი გულში ნადები გაუზიარა სკოლის მოსწავლეს  
ს. დავითაშვილს, რომელიც, ვერაზე, კვიჩინაძის სახლში გამარ-  
თულ წარმოდგენაში მონაწილეობდა. დავითაშვილს მოეწონა ჯაბა-  
ურის აზრი და დათანხმდა მათივე უბანში — კუქიის სასაფლაოს  
მახლობლად, დაედგათ რომელიმე პიესა. მათ თანაკლასელი ისაკო  
ძნელაძეც შემოუერთდა. შეუდგნენ პიესის შერჩევას, შეარჩიეს  
ასტვაცატუროვის „კაპიშონი“, რომლის მხოლოდ ნაწყვეტი უჩვე-  
ნეს, შემდეგ დადგეს ანექდოტური ხასიათის პიესა „კატა აწონეს“.

„1891 წლის ზაფხულის ერთ-ერთ კვირა დღეს, — წერს თავის  
მოგონებებში ჯაბაური, — რაკი პირველი სპექტაკლის სიტკბოება  
ვიგემეთ და სცენისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში გაგვიჭდა,  
რაკი ტაშის ძლევამოსილი ძალა გამოვცადეთ და თეატრის „სენმა“  
შეგვიპყრო, უკან დახვევა აღარ შეიძლებოდა, დაწყებულე საქმე  
რომ არ გაგვეგრძო, ვერ მოვიტმენდით“.

ხსენებულ მუშა-სცენისმოყვარეთა წრეს მთელი რიგი სიძნე-  
ლეები და წინააღმდეგობანი ელოებოდა მაშინ და მისი კანტი-კუნ-  
ტი წარმოდგენები ვერ აკმაყოფილებდნენ ჯაბაურისა და მის თანა-  
მოსაქმეთა მიზნებსა და ზრახვებს. სცენისმოყვარეთა სიმცირე,  
ურბეპერტუარობა და ისიც, რომ ადვილად ვერ შოულობდნენ ეზო-  
ებსა და აივნებს, დიდად უშლიდა ხელს სპექტაკლის სისტემატურ  
მართვას. მაგრამ მოწადინებულმა ახალგაზრდებმა გული როდი გა-

იტყვის. მათ თავიანთ ამხანაგობას ახალი წევრები შემატეს. ვ. თევდორაშვილი, ვ. სუხიშვილი, დ. ქველიძე, ა. ნიკოლოსოვი, შ. და დ. თევდორაშვილები, მ. მკედლიშვილი, პ. ახალკაცი და სხვები. ჯაბაურსა და მის ამხანაგებს ერთი მტკივნეული საკითხიც აწუხებდათ, მათ წრეს ქალები არ ეკარებოდნენ.

„რას ვიზამდით, დრო იყო მაშინ უკუღმართი“, — წერს ჯაბაური. ამ დიდი ხარვეზის შესავსებად მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო — ქალების როლებიც ვაჟებს უნდა შეესრულებინათ.

ქალის როლის შემსრულებელი ვაჟი, რომელსაც ქალის ტანსაცმელი და გრიმი ამშვენებდა, გარეგნულად მართლაც ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სცენისმოყვარეთა წრე საგრძნობლად გაფართოვდა. ახლა მათ შეეძლოთ დიდი პიესების დადგმაც. გიორგის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ვასო თევდორაშვილმა უთხრა, სპექტაკლებს ჩემ სახლში გაემართავო. ეს სასიხარულო ამბავი დანარჩენ ამხანაგებსაც აუწყეს და მთელი წრე დიდი მონდომებით შეუდგა წარმოდგენის მზადებას. ასე გასინჯეთ, დროდადრო, კვირაში ერთ ახალ დადგმასაც კი ახერხებდნენ. ყველა დადგმაში ჯაბაური წამყვან როლებს თამაშობდა. მათ რეპერტუარში შედიოდა ავქსენტის ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ბაი-უუში“, ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“, გიორგი ერისთავის „ძუნწი“, ივანე მაჩაბლის „ადვოკატი მელაძე“... ამხანაგების მუშაობას თანდათან უფრო გეგმიანი ხასიათი მიეცა. აირჩიეს თავმჯდომარე და შეადგინეს წესდება.

ახლა უფრო მწვავედ დაისვა შენობის შოვნის აუცილებლობის საკითხი. ძველებურ პირობებში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იყო და ზოგი ჰირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ისე დაემართათ. ამ ხანებში ხოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებით საჩაიეები გახსნეს მუშათა უბნებში. „აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი საჩაიეს შენობა „ამოიღო მონანში“ გიორგი ჯაბაურმა. იმ დროს თბილისში არსებობდა „სიფხინჯლის საზოგადოება“, რომელმაც ისარგებლა ავქალის ქუჩაზე ახლა საბჭოს ქუჩა, ოქტომბრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მახლობლად მდებარე გაუქმებული საჩაიეს შენობით და შიგ ლექციები მოაწყო. ხსენებულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა და ლექციებსაც კითხულობდა პროგრესულად განწყობილ რკინიგზის მთავარი ექიმი ნ. ხუდადოვი. შეიტყო რა ეს ამბავი, ჯაბაური მოელაპარაკა თავის ამხანაგებს. მათაც არ დააყოვნეს და

ხუდადოვთან მოსალაპარაკებლად ოთხი კაცი გაგზავნეს, მათ შორის გიორგიც. არჩეულებმა მიმართეს ხუდადოვს, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ისინი, ყურადღებით მოისმინა ახალგაზრდობის აზრად და განზრახვა, რომ ყოფილ საჩაიეში წარმოდგენა დაედგათ. მათი სურვილი მოეწონა და ნებართვის ასაღებად წერილი გადასცა. ბართი ქალაქის ერთ-ერთ სკოლის გამგეს მარიამ არლუთინსკაიას ეკუთვნოდა. ხუდადოვმა ყმაწვილებს ღიმილით უთხრა, ის შეგიწყობთ ხელსო.

დაიმედებული ახალგაზრდები მყისვე გაეშურნენ არლუთინსკაიას სახლისაკენ. მალე მიაგნეს მის ბინას გოლოვინის პროსპექტზე (ახლა რუსთაველის პროსპექტი). არლუთინსკაიამ ყმაწვილები მეორე დღისათვის დაიბარა. არლუთინსკაიამ და იმავე სკოლის მასწავლებელმა ვერა ქართველიშვილმა ყმაწვილებს პირველი წარმოდგენის გამართვის ნებართვა აუღეს. სცენისმოყვარენი აღფრთოვანებული შეუდგნენ საკუთარი ხელითა და საკუთარი სახსრებით სცენის გაკეთებას და მოკლე ხანში თეატრის შენობა უკვე მზად იყო წარმოდგენის გასამართავად. ამ შენობას „ავჭალის აუდიტორიას“ უწოდებდნენ. წარმოდგენისათვის ავქსენტი ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ შეარჩიეს, რომელსაც რეჟისორობდა ი. იმედაშვილი, გ. ჯაბაური გიჟუას როლს გატაცებით თამაშობდა. იგი იგონებს: „მოვამზადეთ პიესა, მოვაწყვეთ სცენა და პირველი სახალხო თეატრის სცენის ფარდა აჩხადა. ეს იყო 1893 წლის 23 სექტემბერში. შესვლა უფასო იყო. აჯარებელი ხალხი მოაწყდა. დაესწრო თვით ექიმი ხუდადოვიც და გვისურვა წარმატება“.

გიორგი ჯაბაურმა და მისმა ამხანაგებმა მოგვიანებით გაიგეს, რომ მათი საქმის მწყალობელი ექიმი ხუდადოვი ხალხოსანი ყოფილა, მარიამ არლუთინსკაია — მისი თანამოაზრე.

„ავჭალის აუდიტორიის“ ამ სცენისმოყვარეთა წრეს თანდათან ახალი ძალები ემატებოდა. მათ შორის პირველი სცენისმოყვარე ქალი იყო მოწაფე ეკატერინე იოსელიანი (შემდგომში გიორგი ჯაბაურის მეუღლე). დადგმებში არაერთხელ უფასოდ მიუღიათ მონაწილეობა ქართული თეატრის გამორჩენილ მსახიობებს: ლადო მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, მაკო საფაროვას, ვალერიან გუნიას, კოტე მესხს, კოტე ყიფიანს...

## დავით მელაშვილი

მუშა, რედაქტორი და ჟურნალისტი დავით მელაშვილი დაიბადა 1884 წელს ქ. თბილისში, კერამიკოსის ოჯახში. დავითს სკოლა თვალრთაც არ უნახავს, წერა-კითხვა მეზობლების ბავშვებმა შეასწავლეს. 18 წლის ასაკამდე მელაშვილი მამასთან ერთად მუშაობდა და კერამიკის ხელოვნებას ეუფლებოდა. ეს საქმე ჭაბუკს მაინც და მაინც არ იზიდავდა, მისი ენერგია სხვა ასპარეზს მოითხოვდა. მელაშვილი 1904 წლიდან შედის ქართველ ამხანაგობის სტამბაში და ასოთამწყობობას სწავლობს. შემდეგ ამავე საამწყობოში განყოფილებაში „ცნობის ფურცლის“ დამატებაზე და ჟურნალ „მოამბეზე“ მუშაობს.

დავით მელაშვილი მალე გაიწაფა ამ საქმეში და იატაკქვეშ მომუშავეთათვის მეტად საიმედო ძალა გახდა.

ეს ის პერიოდია, როცა მუშათა კლასი ცარიზმის დასამხობად ირახმებოდა, როცა საერთო სახალხო მოძრაობა რევოლუციურ ხასიათს იღებდა. ეკონომიკური ვაფიცვები პოლიტიკურ ვაფიცვებად გადაიზარდა, ეწყობოდა დემონსტრაციები და ვრცელდებოდა პროკლამაციები, ბროშურები და მოწოდებები. ამ არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვა-გავრცელებას ხელს უწყობდნენ სტამბის მუშები. ისინი მუდამ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ავანგარდში იდგნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით მელაშვილის მოღვაწეობა გაზეთების „ისკრის“, „ბრძოლისა“ და სხვათა გავრცელებაში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. 1906 წელს გაიწვიეს ჯარში, სადაც გააგრძელა არალეგალური მოღვაწეობა. რევოლუციურად განწყობილმა ჯარისკაცებმა და მათ შორის დავით მელაშვილმა ოთხ „პოტიომკინელს“ სატუსაღოს კარი გაუღეს და გააპარეს. ამისათვის დავით მელაშვილი სასტიკად დასაჯეს.

1909 წლიდან დავით მელაშვილი თბილისშია და მუშაობს კოწია თავართქილაძის სტამბაში. ამ სტამბაში, რომელსაც „ნადეჟდას“ უწოდებდნენ. გაზეთ „კულტურის“ გამოცემაზე დავითი მუშაობდა. როგორც თვით კოწია თავართქილაძე აღნიშნავს, მელაშვილს ხშირად ანდობდა არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვას, როგორც პოლიტიკურად ყველაზე სანდო მუშას.

1910 წლის ივლისში სტამბაში მისულა ჟანდარმერიის და „ოხ-რანკის“ გაძლიერებული რაზმი, პოლიციასთან ერთად დაუწყიათ სტამბაში ჩხრეკა, რის შედეგად დაუპატიმრებიათ დავით მელაშვილი, რომელსაც პროკლამაციების დასტამბვა ედებოდა ბრალად. მაგრამ ბრალდება ვერ დაუმტკიცებიათ და მცირე პატიმრობის შემდეგ გაუთავისუფლებიათ.

კარგი კონსპირატორი რეპრესიებს არ უშინდება და მუშაობას განაგრძობს. ამავე პერიოდში „დაუდბეგის“, „ისკანდერის“, „დავით გარეჯელის“ და სხვა ფსევდონიმებით საგულისხმო წერილებს აქვეყნებდა პრესაში. რედაქტორობს ალმანახებს, ბეჭდავს მებრძოლ ბროშურებს, როგორც ჟურნალისტი, პოპულარული ხდება მუშათა წრეებში.

სტამბა „ნადეჟდადან“ მელაშვილი გადასულა მიხეილ გაჩეჩილაძის სტამბა „სორაპანში“ და მუშაობს გაზეთ „თემზე“. ამ პერიოდში მას გამოუცია ჟურნალი „ალმანახი“, „მუშათა რვეული“ და „სარკე“. („ალმანახის“ ეგზემპლარი ახლაც ინახება პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში).

1914 წელს გაზეთ „სახალხო საქმეში“ მომუშავე მუშათა შორის ასოთამწყობების, ვ. მჭედლიშვილის და პ. ახალკაცის ინიციატივით ჩამოყალიბებულა ამხანაგობა, რომელმაც დავით მელაშვილის რედაქტორობით გამოსცა ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ლახტი“. ჟურნალში გაშუქებული იყო მეტად საჭირობოროტო საკითხები, მუშებს მოუწოდებდნენ გარკვეული გზა აერჩიათ და დაეცვათ საკუთარი ინტერესები. ამით „ლახტმა“ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მუშათა წრეებში.

ვინც იცის სატირული-იუმორისტული ჟურნალის მნიშვნელობა და ფასი, მისთვის ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდი სიძნეულების გადალახვა დასჭირდებოდა ასეთი ჟურნალის შემდგენელს და გამომცემელს მეფის დროს და ისიც მძინვარე რეაქციის წლებში. ამ მხრივ თავის დროისათვის საკმაოდ კარგ მებრძოლ ჟურნალად გამოიყურებოდა მელაშვილის „ლახტი“.

ამ ამბებთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი გვიამბობს: „რევოლუციური სულისკვეთებით განწყობილმა დავითმა ლიტერატურულ საქმიანობაშიც შეიტანა თავისი წვლილი, გარდა საგაზეთო წერილებისა, რომელსაც პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა, როგორც ხელოვნებაზე, ისე ცხოვრე-

ბის საკირბოროტო საკითხებზე, მან საკუთარი ინიციატივით, 1912 წელს ყოველკვირეული სახუმარო ჟურნალი „ლახტის“ გამოცემა დაიწყო. ჟურნალს თვითონ რედაქტორობდა, თვითონ იყო მისი ამწყობი, მეტრამპაუე და კორექტორიც.

ეს პატარა პრიმიტიული სტამბა, სადაც ჟურნალი იბეჭდებოდა, კერძო პირს ეკუთვნოდა, მოთავსებული იყო სარდაფში და ყოფილ მუხრანის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ ჟურნალში დროგამოშვებით დ. მელაშვილი ჩემს ნაცოდვილებ პატარა ლექსებსაც ბეჭდავდა. ამის გამო მეც ხშირად მიხდებოდა იქ სტუმრობა და ვხედავდი, როგორი წამებით და ვაივაგლახით უხდებოდა თითოეული ნომრის დასტამბვა და გამოშვება“.

საინტერესოა დავითის ცხოვრების კიდევ ერთი ფაქტი, როცა იგი ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბაში მუშაობდა. დავითი აწყობდა სერვანტესის „დონ კიხოტს“. ერთხელ შეამჩნია, რომ მის აწყობილ და დაკაბადონებულ ფორმებს მრავალი გვერდი აკლდა. ის იყო განგაში უნდა აეტეხა, რომ იმ დროს იმავე სტამბაში მომუშავე ასოთამწყობმა პავლე მიჩაზაშვილმა მკლავში ხელი წაავლო და ჩუმიად უთხრა: „ნუ ყვირი, ის გვერდები ჩემი წაღებულია“. მელაშვილმა იცოდა, თუ რა მიზნით იყო ეს და კრინტიც აღარ დაუძრავს.

შემდგომში დავით მელაშვილი უშვებს ჟურნალ „ხუმარას“. ეს უკვე საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის და საკმაოდ ჩამოყალიბებული სატირულ-იუმორისტული ჟურნალის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სხვადასხვა დროს მელაშვილი მუშაობდა გაზეთ „ალიონში“. საინტერესოა მისი ნაშრომი „სახალხო თეატრის წარსულიდან“, რომელიც განიხილავს „ისნის სახალხო თეატრის ისტორიას“.

იგი იყო არა მარტო კარგი რედაქტორი, არამედ საუკეთესო ორატორი, სასცენო საქმის ჩინებული ორგანიზატორი და სცენის-მოყვარე. წერდა რეცენზიებს წარმოდგენებზე, არ აკლდებოდა მუშათა თეატრის არც ერთ სპექტაკლს.

მშრომელთა წრიდან გამოსული ძველი სცენისმოყვარე, რედაქტორი და ჟურნალისტი დავით მელაშვილი სახალხო თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სახალხო წარმოდგენების გამართვას და მშრომელი მასების გათვითცნობიერებას.

მელაშვილმა 1903 წლიდან დაიწყო გამოსვლა კერძო სცენებზე,

ჯერ მუკაშკოსთან, შემდეგ არაქსიანთან და ბოლოს 1911—1912 წლებში მას ვხედავთ, როგორც ერთ-ერთ მონაწილესა და ფუძემდებელს გიორგი და არჩილ შათირიშვილებთან. წვლილი მიუძღვის ხარფუხის დრამატული წრის დაარსებაში, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ე. წ. მუსულმანთა აუდიტორიას. აღნიშნულმა წრემ პირველ მსოფლიო ომამდე იარსება.

დავით მელაშვილი იყო ცოცხალი მატრიანე, რომელმაც ზუსტად იცოდა ჩვენი სახალხო თეატრების ისტორია. მას ენა და კალამიც კარგად უჭირდა, მრავალმხრივი ცოდნითა და გამოცდილებით იყო აღჭურვილი.

ამ ახალგაზრდა ადამიანის მუდმივი ფიქრი და ზრუნვა მშრომელ მოსახლეობაში განვითარების შეტანა იყო. სწორედ ამ მიზნით იგი დაუზარლად გადადიოდა ერთი უბნიდან მეორეში, რათა სცენაზე მონაწილეობის გარდა სიმხნევე შეეტანა დამწყებ სცენისმოყვარეებში, დაერწმუნებინა თითოეული მათგანი, რომ თეატრი გასართობი და დროის მოსაკვლევი ადგილი კი არ არის, არამედ ტრიბუნაა, საიდანაც მაყურებელს უნდა მიაწოდონ სულიერი საზრდო, რომელიც გონებას გაუმახვილებს, ცხოვრების არსში ჩაახედებს, თვალნათლივ დაანახევებს და სწორად აღაქმევინებს ქართველი ხალხის კულტურულ სიუხვეს და მომავლის უკეთესობას.

რაკი მთავრობა ექვეყნეშ აყენებდა სახალხო თეატრების მუშაობას, მათ რეპერტუარს ხშირად კრძალავდა, სდევნიდა და აპატიმრებდა მსახიობებს. თეატრის მოღვაწენიც შესაფერისად ირაზმებოდნენ, შენიღბული მუშაობდნენ და თვალებს უხვევდნენ მთავრობის მოხელეებს. დაშვებულ პიესებზე აიღებდნენ ნებართვას პოლიცმაისტრისაგან, სინამდვილეში კი დგამდნენ აკრძალულ პიესას. აი ერთი ასეთი მაგალითი: „მ. დემურის პიესის „შეერთებული ძალით“ ნაცვლად, რომელიც ნებადართულ ნაწარმოებად ითვლებოდა, დავით მელაშვილმა და თეატრის კოლექტივმა საზოგადოებას უჩვენა ვანო გომართელის პიესა „ძველი და ახალი თაობა, ანუ წამხდარი სისხლი“. აფიშები შენიღბულად თვითონ დავით მელაშვილმა დაბეჭდა და მთავარ როლსაც თვითონვე ასრულებდა. პიესა იმდენად წარმატებით მიმდინარეობდა, რომ დამსწრე საზოგადოება მოქმედების დროს ფეხზე წამოიჭრა შეძახილით — გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა!

„როცა ამ ცალკეულ წარმოდგენებს ვეხებით, — გვიამბობს და-

ვით მელაშვილი ერთ თავის წერილში „ისინი სახალხო თეატრის წარსულიდან“ — არ შეიძლება არ მოვიგონო ერთი ფაქტი. როგორც ცნობილია, 1905 წლის რუსეთის რევოლუციას ჩვენში, თბილისში, წინ უძღოდა ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა დიდი პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცულთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო ყოველგვარი ზომების მიღება (წარმოდგენების გამართვა, კონცერტების მოწყობა, ფოტოსურათებისა და ბროშურების გამოშვება-გაყიდვა). ამ მიზნით მე თბილისის რკინიგზის სადგურზე შევხვდი აწ გარდაცვლილ სცენისმოყვარეებს ალ. ლანდიას და ლუკა ლეჟავას. მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვიტეთ გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა დასახმარებლად რკინიგზის თეატრში გაგვემართა წარმოდგენა და დივერტისმენტი. ჩემი პირადი პასუხისმგებლობით დავიჭირავეთ თეატრი და სასწრაფოდ დავიწყეთ თამბაქოს ფაბრიკაში მომუშავე მუშა-დრამატურგის ალ. ბაჩიაშვილის დიდის ვაი-ვაგლახით საცენზურო კომიტეტთან გამოტანილი ახალი თანამედროვე პიესა „სიმდიდრის მსხვერპლის“ მზადება, (სხვათა შორის ეს პიესა ეკუთვნის ცნობილ მსახიობს პოლოს არაქსიანს, იგი დაწერილია სომხურად და ბაჩიაშვილმა თარგმნა და გადმოაკეთა ქართულად — 3 მოქმედებად). წარმოდგენა უნდა გამართულიყო 1905 წლის 10 დეკემბერს, მაგრამ თბილისში ცნობა მოვიდა, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ 1905 წლის 7 დეკემბერს გამოაცხადა რკინიგზელთა სრულიად რუსეთის საერთო პოლიტიკური გაფიცვა (გაფიცვა უნდა დაწყებულიყო 8 დეკემბერს ღამის 12 საათზე), რის გამო, 10 დეკემბრის ღამეს მთავარი სახელოსნოების სასადილოს დიდ დარბაზში გაიმართა რკინიგზელთა და თბილისის სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა დიდი მიტინგი. ამიტომ მე საგაფიცვო კომიტეტმა წინადადება მომცა წარმოდგენა სხვა დღისათვის გადამეტანა. წარმოდგენა გადავდეთ. მეორე დღეს მუშათა მოძრაობამ უკვე რეალური ბრძოლის სახე მიიღო. რკინიგზა უკვე რევოლუციონერების ხელში იყო, ხალხი შეიარაღდა. წარმოდგენა 17 დეკემბერს გავმართე. უთვალავი ხალხი დაესწრო. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი, წაკითხული იქნა კ. გოგოლადისა და ირ. ევდოშვილის რევოლუციური ლექსები, მათ შორის: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“. მე წავიკითხე გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე“. ზოგმა ამხანაგმა სიტყვა წარმოსთქვა...



სცენაზე გამოჩნდნენ საგაფიცო კომიტეტის წევრები, რომლებმაც ხალხს მიმართეს მოწოდების სიტყვებით. რკინიგზის მუშათა სასულე ორკესტრი, რომელიც ანტრაქტში უკრავდა, სცენაზე აიყვანეს. გაისმა „მარსელიეზას“ ხმები. გაერთიანდა სცენა და ხალხი. ერთი სიტყვით, თეატრში გაიმართა პოლიტიკური მიტინგი. ღამის პირველი საათი იყო, რომ ხალხს რაღაც ნიშანი მისცეს, საჩქაროდ დაშლილიყო. სულ მალე გავიგეთ, რომ რუსეთის სისხლიანმა თვითმპყრობელმა მეფე ნიკოლოზ მეორემ იმპერიაში საგანგებო წესები გამოაცხადა. ხალხი დაიშალა და ერთი საათის შემდეგ მთელი რკინიგზა და თეატრის შენობაც უანდარმებმა და სალდათთა ბატალიონის ნაწილებმა დაიკავეს. დაიწყო ჩხრეკა, ეძებდნენ იარაღს და გაფიცვის მეთაურებს. რკინიგზის უანდარმთა როტმისტრმა განკარგულება გასცა წარმოდგენის გამგის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ვიდრე ისინი კვალს მიაგნებდნენ, მე ამხანაგებმა გამაპარეს და მეორე დღეს გაზეთის რედაქციას, რომელიც მდებარეობდა ახლანდელი კამოს ქუჩაზე № 9-ში (მაშინ ვორონცოვის ძეგლის ახლო), გაფიცულთა დასახმარებელ ფონდში გადავეცი ხარჯების გარეშე დარჩენილი ფული, რამდენადაც მახსოვს, დაახლოებით, ას მანეთამდე ოქროთი. ამ წარმოდგენის სათეატრო განცხადება „სხივის“ 1905 წლის 9—10 დეკემბრის ნომერებში“.

დავით მელაშვილი გამოდიოდა სიტყვებით, როგორც სხვადასხვა სათეატრო ზეიმის დროს, ისე გარდაცვლილ სცენისმოყვარეთა და საზოგადო მოღვაწეთა დაკრძალვაზე. იღებდა მონაწილეობას დივერტისმენტებში და კითხულობდა რევოლუციურ ლექსებს. განსაკუთრებით ჰყვარებია „ბრძოლის“ წაკითხვა. ეს ლექსი მას ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლიდან“ გადმოუწერია, ხოლო 1905 წელს, როდესაც ქართველ ამხანაგობის სტამბაში დაუწყია მუშაობა, ლექსი „ბრძოლა“ აუწყვია და 40 ცალი ანაბეჭდი ამოუღია, შემდეგ გაუვრცელებია მუშებში: „ლექსი „ბრძოლა“, — გვიამბობს დავით მელაშვილი, — ძალიან მიყვარდა და დიდი გატაცებით ვკითხულობდი სახალხო თეატრ-აუდიტორიებში, როდესაც დივერტისმენტსა და კონცერტებს ვმართავდით. ხალხის აღტაცება ისეთი დიდი იყო, რომ მაიძულებდნენ ორჯერ წამეკითხა“.

ასევე ჰყვარებია დავით მელაშვილს ლექსის — „ქეშმარიტების მღალადებლის“ წაკითხვაც.

ასეთ მოვლენებს ადგილი რომ არ ჰქონოდათ, ქალაქის გენე-

რალ გუბერნატორმა გასცა განკარგულება, ყველა სანახაობას პოლიციის პასუხისმგებელი მოხელე დასწრებოდა.

მენშევიკების პერიოდში მელაშვილი მუშაობდა სტამბაში „სახალხო საქმე“ და ამავე დროს სხვადასხვა გაზეთებში და კერძოდ გაზეთ „ალიონში“ ათავსებდა წერილებს მუშების ცხოვრებიდან.

დავით მელაშვილი ნაკითხი, განათლებული პიროვნება იყო, პიესის შინაარსში კარგად ერკვეოდა და როლებსაც გააზრებითა და შეგნებულად თამაშობდა. თავისი გადამღები ხალისით სხვებსაც ამხნევებდა. და მუშაობაში სიცოცხლე შეჰქონდა. პირველად იგი ალფონს დოდეს პიესაში გამოსულა, თამაშობდა მსახურ მოსკარის როლს „უფროს ძმაში“. მიუხედავად იმისა, რომ მოსკარისათვის შეუფერებელი ტანისამოსი ეცვა, როლი თამამად დაუძლევია და მაყურებლის მოწონება დაუმსახურებია. ამან მას ფრთები შეასხა — მუშათა კლუბებსა და თეატრებში დააწყებინა მუშაობა. ამ დღიდან მოკიდებული ქართულ თეატრს ჩამოშორებია. პროფესიით ასოთამაწყობი, მომქანცავი, გამომფიტველი შრომით მოღლილი კაცი, მუდამ პოულობდა საჭირო დროს და დაუშრეტელი ხალისით მოღვაწეობდა სცენაზე.

მას ნათამაშევი აქვს პ. ირეთელის „დამარცხებულში“ ვანოს, აკ. წერეთლის „პატარა კახში“ ერეკლეს, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ ვანუას როლები. ჩინებულად თამაშობდა თარგმნილ პიესებშიც. ნათამაშევი აქვს: „პარიზის ღარიბ-ღატაკში“ გრაფ შარლ დობინიე, „ურიელ აკოსტაში“ — ბენიონაი, „დამნაშავეში“ — ფონ ჰეილერი, „ორ ობოლში“ — პიერი და სხვ. ძნელია აღნუსხვა ყველა იმ როლისა, რომელიც მას 50 წლის მანძილზე შეუსრულებია. პატარა ეპიზოდური როლებიდანაც კი ქმნიდა იგი სახეებს, რომლებიც მთავარ გმირებთან ერთად დიდხანს ცოცხლობდნენ მაყურებლის ხსოვნაში.

„თეატრის ასეთ ენთუზიასტს ჩემი ცხოვრების მანძილზე სხვას არ შევხვედრივარ. დავით მელაშვილი თეატრით ცოცხლობს, მით სუნთქავს, მისთვის იღვწის“, — ამბობდა მისი ყოფილი რეჟისორი, თეატრმცოდნე ალექსანდრე ბურთიკაშვილი.

1904 წელს არაქსიანის თეატრის სცენაზე დავით მელაშვილს „ორ ობოლში“ პიერის როლი ისეთი წარმატებით უთამაშია, რომ ლოჯიაში მყოფი თეატრის დირექტორი არაქსიანი, ქართული თეატრის ცნობილი მსახიობი, ავლაბრის თეატრის პირველი რეჟისო-

რი სოსო ივანიძე და დრამატურგი ტ. რამიშვილი მოქმედების დამთავრებისთანავე სცენაზე ასულან და მელაშვილისათვის გამარჯვება მიულოცნიათ. პ. კალანდაძის (პ. ირეთელის) გაოცებას ხომ საზღვარი არ ჰქონია, როცა მურაშკოს თეატრში იხილა მუშების ცხოვრებიდან აღებული თავისი პიესა „დამარცხებულნი“, რომელშიც ვანოს როლს დავით მელაშვილი ასრულებდა. მართლაც, დაუვიწყარი სცენური სახე შეუქმნია დავით მელაშვილს იმ მხდლა ქაბუკისა, რომელიც ასე იოლად წამოეგო ჟანდარმთა ოფიცრის მიერ გადმოგდებულ ანკესზე და გასწირა თავისი ძმა, ხალხი, ულა-ლატა გაფიცულ მუშებს და ყველა პოლიციას გადასცა.

1953 წლის 6 ივნისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ შემოქმედებითი საღამო მოუწყვეს სახალხო თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეს დავით მელაშვილს.

შესავალი სიტყვით გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი.

საღამოზე იგი ღირსეულად მოიგონეს მისი ნიჭისა და კაცური კაცობის თავყანისმცემელმა საზოგადო მოღვაწეებმა, მსახიობებმა, თეატრმცოდნეებმა და მწერლებმა.

## ბრიგოლ ჩარკვიანი

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში. სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება, სკოლებიდან განდევნეს ადგილობრივი მასწავლებლები. აიკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარებაც კი.

პოეტი დავით გივიშვილი იგონებდა: „სკოლაში ქართული წიგნების კითხვას მე ძლიერ მივსდევდი. ჩემს მშობლებს ამაზე ჭავრი მოსდიოდათ. ამიტომ ამ სკოლიდან ვადამიყვანეს შტაბში, რუსის პირებს მიმაბარეს, რომ ეგები იმათთან რუსული ისწავლოს და

ქართულს თავი დაანებოსო. ჩემი დედმამის გარდა სხვანიც ასევე იყვნენ მაშინ დაშხამულები“.

ჭერ კიდევ ადრე ილია ჭავჭავაძე უსაყვედურებდა ქართველებს მშობლიური ენის დავიწყების გამო:

„თქვენ არა ხართ ისა, რომ ღვიძლი ენა,  
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაყვეთათ,  
შიშით არც კარში და არც სახლში  
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად?“

ქართული პრესა, გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ცისკარი“ შინაურ მიმოხილვებში ხალხს მოუწოდებდა არ დაევიწყებინათ ქართული ენა, ეკითხათ ქართული წიგნები.

1859 წელს ჟურნალ „ცისკარში“ აკაკი წერეთელს დაუბეჭდავს ასეთი ლექსი:

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ,  
ვეღარც რუსულს ახერხებენ,  
ქართულ ენას არად ხდინან  
შვილებს კარგად არა ზრდინან,  
ტრედიაკოვსკის აქებენ  
და რუსთაველს დასცინიან“.

ასეთ პირობებში მართლაც დიდი და გაბედული ნაბიჯი იყო გრიგოლ ჩარკვიანისათვის ქართული წიგნის მალაზიის გახსნისათვის ზრუნვა.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე იგონებს, გრიგოლ ჩარკვიანის თხოვნა მალაზიის გახსნის თაობაზე პირველად წარუმატებლად დამთავრებულა, მაგრამ შემდეგ ქართველ პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა — იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ჩარევით საქმე გარიგებულა. ილია ჭავჭავაძის ქვისლის გენერალ სტაროსელსკის შუამდგომლობით მთავარმმართველს 1878 წლის 10 მარტს გრიგოლ ჩარკვიანისათვის მალაზიის გახსნის ნებართვა მიუცია, ხოლო 15 მაისს უკვე მალაზია გახსნილა.

მალაზიის გახსნის მიზანი იყო ქართული წიგნების თავმოყრა და ამ გზით ქართული წიგნების გავრცელებისათვის ხელისშეწყობა. მალაზიას იმთავითვე მიზნად დაუსახავს ქართული წიგნების გამოცემაც.

გაზეთი „ივერია“ გამომხმარებია ამ ფაქტს. იგი წერდა: „მა-

ისის 15-ს გაიხსნა ქართული წიგნის მალაზია, სადაც მსურველთ შუღძლიათ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები. მალაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქან № 2-ში“.

მალაზიას ამშვენებდა წარწერა: „ქართული წიგნის მალაზია გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანისა“. მას მალაზიაში შეამხანაგებულნი ჰყოლია ზაქარია ჭიჭინაძე და ანთიმოზ ჯუღელი. გრიგოლ ჩარკვიანსა და ზაქარია ჭიჭინაძეს წინასწარ შეუგროვებიათ ქართული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. ამავე დროს, ზაქარია ჭიჭინაძეს ნაბეჭდის გარდა, ხელნაწერი წიგნებიც შეუგროვებია, რომელთაგან ბევრი ეტრატზე ყოფილა გადაწერილი.

მალაზია მალე ქართველი მოწინავე ინტელიგენციის თავშეყრის ადგილად და აზრთა ურთიერთგაზიარების კერად ქცეულა:

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე საუბრობდა საქართველოს ისტორიაზე, რ. ერისთავის მუდმივი საზრუნავი იყო ძველი და ახალი პოეზიის საკითხები. ამ პერიოდში დაწერა მან ისტორიული პოემა „ასპინძის ომი“. ქართული სწავლა-განათლების მოამაგე ი. გოგებაშვილი დაუწინებით ამტკიცებდა კარგი სახელმძღვანელო წიგნის ბეჭდვის აუცილებლობას. პ. უმიკაშვილი დაინტერესებული იყო ძველი ქართული წიგნების შეკრებისა და გამოცემის საკითხებით. ა. ყაზბეგი ამ პერიოდში თეატრით ყოფილა გატაცებული და პიესებიც ჰქონია დაწერილი, რომლებიც შემდეგ მოთხრობებად გადაუკეთებია. ნ. ლოლობერიძის სალაპარაკო თემა კი ქართული წიგნის ლამაზად გაფორმება და გამოცემა იყო.

მალაზიის ხშირი სტუმრები ყოფილან სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და სხვები. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ აგრეთვე ახალგაზრდა მწერლები და პოეტები. ვაჟა ფშაველასათვის მალაზია თითქმის მუდმივ ბინას წარმოადგენდა. ბევრი ხელმოკლე მოღვაწე აქ აფარებდა თავს.

მალაზიის ავტორიტეტი იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ ერთხელ სამი გენერალი — პოეტი გრ. ორბელიანი, მთავარმართების ხელქვეითი ლ. მელიქიშვილი და კაზაკთა ატამანი გ. ერისთავი სტუმრებია. ისინი დიდხანს დარჩენილან, ბევრი უსაუბრიათ, დამაარსებელთა ინიციატივა შეუქიათ და შემდგომი წარმატებები უსურვებიათ ამ საქმის მოთავეთათვის.

მალაზიის გახსნის შემდეგ მეტი გასაქანი მიეცა წიგნის გამო-

ცემას, ვინაიდან მან დიდძალი ხალხი მიიზიდა. აქ მოდიოდნენ სხვადასხვა ასაკის მოქალაქენი, სემინარიის მოსწავლეები, მუშები, ხელოსნები, შეგირდები. ზოგჯერ უსახსრო მყიდველს ნისიად, ან საჩუქრადაც აძლევდნენ წიგნებს.

მალაზიამ იმავე წელსვე შესძლო გავლო ხარჯები ქართული სიმღერების ნოტების გამოსაცემად: „სახალხო ხმები ყმაწვილთათვის გადაღებული ნოტებზე ერთ, სამ და ოთხ ხმად მიხეილ მაჰავარიანისა, გამოცემა გრ. ჩარკვიანისა, 1878 წელი“.

ასეთმა ღარიბმა მალაზიამ შეძლო ამ ნოტების გამოცემისათვის ხარჯის გაღება: ეს ფაქტი მაგალითის მიმცემი გახდა სხვა გამოცემლებისათვისაც თანდათან გაცხოველდა ახალი წიგნების ბეჭდვა. მალაზიის გახსნის დღიდან მოუხშირეს გამოცემებს ა. კალანდაძემ, ე. ხელაძემ, მ. ახპეტოვმა, ს. მდივანოვმა, ა. თუთაევმა, დ. გივიშვილმა, პ. უმიკაშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ და სხვებმა.

წიგნების ბეჭდვა რომ დიდად გაიზარდა, ეს ჩანს თვით გრიგოლ ჩარკვიანის მიერ გამოცემული კატალოგიდან: „ქართული წიგნის მალაზია, ქაშვეთის ეკლესიისა ქვემოთ დუქანში № 2 გრიგოლ ჩარკვიანისა, 1878 წ.“ ამ კატალოგში 100-ზე მეტი დასახელების წიგნია აღნუსხული.

გრიგოლ ჩარკვიანმა მალე საკუთარი სტამბის დაარსებაც გადაწყვიტა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ გვიამბეს, რომ ერთადერთის ქართულის წიგნების მალაზიის პატრონს ბ-ნს ჩარკვიანს განუზრახავს თავისი მალაზიის გავრცელება და რიგიანად მოწყობა... უინ იცის, რა მნიშვნელობა აქვს კარგად და წესიერად დაწყობილ წიგნებით ვაჭრობის საქმეს, მეტადრე იმგვარ ქვეყანაში, როგორც ჩვენი ქვეყანაა. არ შეიძლება თანაგრძნობა არ მიეგებოს ბ. ჩარკვიანის განზრახვას, რომელსაც ამასთანავე სტამბის გამართვაც მოუსურვებია, განსაკუთრებით ქართული წიგნების საბეჭდავად“.

გრ. ჩარკვიანის ამ წამოწყებას გაზეთი „ივერიაც“ გამოხმაურებია. იგი იუწყებოდა: „გრ. ჩარკვიანი ამ მოკლე ხანში სტამბის გახსნას აპირებს, რომლისთვისაც ასოები, დაზგა და სახლი უკვე მზადაა აქვს. მაშასადამე, საქმე მხოლოდ მმართველობის ნებართვაზედ ყოფილა დამოკიდებული... ამ სტამბას, როგორც გვითხრეს, თითქმის მარტო ქართულს წიგნების გამოსაცემად აფუძნებს ზემოხსენებული მალაზია, რომ ამით უფრო იაფად დაიჭინოს თავის საკუ-

თარი გამოცემანი და ხალხსაც უფრო იაფად მიჰყიდოს... კარგი მიზანია, თუ ღმერთმა ჰქნა და მარტო მაღაზიის საკუთარის და ზოგიერთის სხვების ქართულ გამოცემებით გასძლო ამ სტამბამ“.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე იგონებს, პირველად ამ სტამბაში გრიგოლ ჩარკვიანს კედლისა და ჯიბის ქართულ კალენდრები გამოუცია, რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. შემდეგ წლებში იგი უფრო მიმზიდველად აფორმებდა კალენდრებს ფერადი სურათებით — აქ დაბეჭდილი იყო ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ყველა კუთხის ტიპი.

როგორც გაზ. „დროების“ ერთი ცნობიდან ჩანს, მალე გრიგოლ ჩარკვიანს დაუწყია ქართველი მწერლების ნაწარმოებთა კრებულების გამოცემა: „ჩვენ შეეიტყვეთ, რომ გრ. ჩარკვიანი აპირებს ჩვენი პატივცემული მწერლის თ. რაფ. ერისთავის თხზულებათა გამოცემას. სულ ოთხ წიგნად გამოვა ეს თხზულებანი, პირველი ლექსებად და მეორეც — პროზად.

ურთიგო არ იქნება, რომ ყველა ჩვენი ახლანდელი მწერლება იზრუნებდნენ შეაგროვონ, შეასწორონ და გამოსცენ თავიანთი თხზულებანი თავიანთ სიცოცხლეშივე“.

1887 წელს გრ. ჩარკვიანს გამოუცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. აღსანიშნავია, რომ მისი ერთი ეგზემპლარი, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის კუთვნილება ყოფილა, რომელიც ამჟამად ოქსფორდის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ინახება წარწერით: „პირადი ეგზემპლარი ქალბატონ უორდროპისა“. წიგნში ჩაწყობილია გამხმარი ყვავილები, რომელსაც მარჯორი კრეფდა, როცა საქართველოში ცხოვრობდა, იგი განსაკუთრებული შემთხვევის გარეშე მკითხველზე არ გაიცემა!

ასევე დაუბეჭდავს გრიგოლ ჩარკვიანს თავის სტამბაში გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“, ვასილ აბაშიძის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ცოლი თუ გინდა ეს არის“, გიორგი თუმანიშვილის „ქართული თეატრის საქმე“, ალმანანი „თბილისი“, დ. გივიშვილის ლექსი „ბრძოლის ველზედ გარდაცვლილ თ. ი. ზ. ჩოლოყაშვილზე“, საერთო კალენდარი (შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ). ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, ამ გამოცემებს ერთობ კეთილი გავლენა მოუხდენია ქართველ საზოგადოებაზე.

1886 წელს გრ. ჩარკვიანს გამოუცია „ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. „ეს მესამე გამოცემაა, — ვკითხულობთ ამ კრებულის წინასიტყვაობაში, — ჩვენი გამოჩენილი და უდროოდ გარდაცვლილი პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსებისა... ამით შევიასრულეთ სურვილი და წყურვილი საზოგადოებისა ბარათაშვილის თხზულებისადმი. ამ გამოცემას დაემატა კიდევ ლექსები და მიწერ-მოწერა პოეტისა, რომელნიც დღემდის თუმცა დაბეჭდილი იყო, მაგრამ გაბნეული ცალკეულ გაზეთებში. ახლა მის თხზულებათა კრებულში პირველად შეუერთდნენ პოეტის სხვადასხვა ნაწარმოებები. ახლა ამ პატარა კრებულში ამჟამად შესულია: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „როს ბედნიერი ვარ შენთან ყოფნითა“, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, „იღუპალი ხმა“, „ჩონგურს“, „ჩემი მეგობარი“, „ბულბული და მწირი“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ჩინარი“, „ღამე ყაბახზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემს ვარსკვლავს“, „საყურე“, „თავადის ჭავ...ის ასულ ევა...ნას“, „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“, „ნაპოლეონი“, „ქეთევანი“, „ბულბული ვარდზედ“, „გზა იღუპალი“, „ჩემი ვარსკვლავი“, „ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უღაბნოდ მღვარი“, „მიყვარს თვალები მიბნედილები“ და სხვანი...“

გრიგოლი დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა ილია ჭავჭავაძისა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონია მასთან. გრიგოლს ილიას ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით მოსწონდა პოემა „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი, ყაჩაღის ცხოვრებიდან“. როდესაც ამ პოემის დასტამბვა გადაწყვიტა, ერთ-ერთ მხატვარს შეთანხმებია დასურათებაზე. მხატვარს კაცო თეთრ ცხენზე მჯდარი დაუხატავს. ეს ილუსტრაცია ილიასათვის სტამბაში უჩვენებიათ. ილიას გაღიმებია და დინჯად უთქვამს: „ეგ ჩემი კაცო არ არის! ჩემი კაცო თეთრი ცხენით არ დადიოდა“. მართლაც, თეთრი ცხენით ყაჩაღი ხომ შორიდანაც ადვილი შესამჩნევი იქნებოდა.

გრიგოლ ჩარკვიანს მალაზიასთან გაუხსნია აგრეთვე ქართული ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა, რომლის წესდება დ. ბაქრაძეს შეუდგენია. ბიბლიოთეკის მიზანი ყოფილა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ხელნაწერი წიგნების შეკრება და დაცვა.

გრიგოლ ჩარკვიანის სტამბას კარგახანს უარსებია, 1905 წლის რევოლუციის დროს მეფის მთავრობას ცარიზმის საწინააღმდეგო



პროკლამაციის დაბეჭდვის გამო მისი სტამბა დაუბრუნდა. თვით მწიგნობარი რამდენჯერმე დაუპატიმრებიათ, ერთხელ გაუსახლდებიათ კიდეც თბილისიდან. გრიგოლ ჩარკვიანი ბოლოს და ბოლოს იძულებული გამხდარა საგამომცემლო საქმიანობა შეეწყვიტა, მაგრამ მოამაგე კაცს გული მაინც მშრომელი ხალხის სამსახურისაკენ მიუწევდა. ავლაბარში მამაპაპისეული კარ-მიდამო გაუყიდა და ახალ უბანში — ნაძალადევში დასახლებულა მეუღლის ავადმყოფობის საბაბით (ხუდადოვის ტყის პირას უკეთესი სააგარაკო ადგილიაო). „ამ კუთხეში, — წერდა ზაქარია კიკინაძე, — ფეხს იდგამდნენ და სახლდებოდნენ რკინიგზის სახელოსნოების მუშები და ხელოსნები, რომელთა დაახლოება და დამეზობლება გრიგოლ ჩარკვიანის დიდი ხნის ოცნება ყოფილა. მას ქართული წიგნის მალაზღიაც ნაძალადევში, სასულიერო სემინარიის ახლოს გადაუტანია“.

ხალხში ცოდნის მოფენის სურვილი ამოძრავებდა საზოგადო მოღვაწესა და პატრიოტს.

1896 წელს ნაძალადევში გრიგოლ ჩარკვიანის თაოსნობით გაიმართა პირველი ქართული წარმოდგენა, რომლის მიზანი იყო, როგორმე ქართული სკოლა გაეხსნათ ნაძალადევში. რა იცოდა მაშინ მისმა მოთავემ, რომ ის სახლი, სადაც პირველი წარმოდგენა გაიმართა, დღევანდელი სახალხო თეატრის — პლენანოვის სახელობის კლუბის საძირკველად გადაიქცეოდა. ამ წარმოდგენიდან აღებული ფული მოთავეებს ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისათვის მიუბარებიათ. როცა ქალთა რეალური სასწავლებლის დაარსების საკითხი გადაწყდა, მაშინ გამართეს ლატარია-ალეგრიტ, შეკრიბეს შემოსავალი და სკოლის შენობად დაიქირავეს მიხეილ კიკინაძის სახლი. მოიწვიეს ნაძალადევის მოსახლეობა, შეაგროვეს 25-ამდე ბავშვი, მასწავლებლად კი ნატალია ძაგნიძე დანიშნეს.

საქვეყნო საქმეში გრიგოლს მუდამ მხარში ედგა მეუღლე ელისაბედ დავითის ასული. მისი მეცადინეობით ნაძალადევში ერთ-ერთი მსახიობის ოჯახში გაიხსნა ჭრა-კერვის პირველი სკოლა, რომელიც შემდეგ თეატრის შენობაში იქნა გადატანილი. მუშათა ცოლები და შვილები ჭრა-კერვის გარდა აქ სწავლობდნენ წერა-კითხვას.

შემდგომში სკოლა ნაძალადევში გრიგოლ ჩარკვიანის სიძის, ვლადიმერ ლოსაბერიძის, ბინაზე დაუარსებიათ. სამ სასკოლო

ოთახში ჩატარებულა პირველი გაკვეთილები. მერე ნატალია ძაგნიძეს ეს შენობა საზოგადო მოღვაწეებისათვის, ელენე და სოფიო ბილანიშვილებისათვის გადაუცია. მეცადინეობას აქ ატარებდნენ მანამდე, სანამ სკოლას ლოტკინის გორის დიდ შენობაში გადაიტანდნენ. პირველ პედაგოგთა პატივსაცემად მას ღღესაც ბილანიშვილების სკოლას უწოდებენ.

მალე მუღმივი თეატრალური დასის დასაარსებლად შედგა ამხანაგობა შემდეგ პირთა შემადგენლობით: გრიგოლ ჩარკვიანი, პეტრე ფათაძე, პეტრე ხავთასი, სიმონ ყალაბეგაშვილი, იოსებ დარახველიძე, ბესო დვალი, გიორგი ჯაბაური და სხვანი.

გრიგოლ ჩარკვიანი ამხანაგობის დახმარებით შეუდგა საზოგადოების სურვილის დაკმაყოფილებას და ხელი მოაწერინეს ოთხსამდე მოსურნეს ნაძალადევში თეატრის დაარსებისათვის.

აირჩიეს თეატრის გამგეობა და სარევიზიო კომისია. გრიგოლ ჩარკვიანმა გიორგობიანის ხე-ტყის სახერხი პრიმიტიული ქარხანა იყიდა. იწყინერ ვლ. ლოსაბერიძის პროექტით იგი თეატრის შენობად გადააკეთა და გააჩაღა წარმოდგენების დადგმა იქ, სადაც ახლა პლუხანოვის სახელობის ელექტროვაგონშემეკეთებელი ქარხნის კლუბია. ამრიგად, ოფიციალურად შეიქმნა თეატრი. მოიწვიეს ვასო აბაშიძე და ივანე მჭედლიშვილი. შაქრო საფაროვის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს „მზის დაბნელება საქართველოში“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, გამართეს ლიტერატურული საღამოები. ბავშვები საღამოებზე კითხულობდნენ ლექსებს, კოტე ჩარკვიანის მოწაფეთა გუნდი სიმღერებით გამოდიოდა... აქტიურად მონაწილეობდა ვლ. ლოსაბერიძის სიმებიანი დასი... ამ თეატრის სასარგებლოდ დადგმულ პიესებში უსასყიდლოდ თამაშობდნენ ე. ჩერქეზიშვილი, ვალ. გუნია, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. გოცორიძე, რ. სალაყაია, კ. ყიფიანი, ნ. გვარაძე და სხვა მაშინდელი სახელოვანი, უკვე საქვეყნოდ ცნობილი მსახიობები.

აი, რას წერს 1897 წლის 25 ოქტომბრის გაზეთი „ცნობის ჭურცილი“: „წარსულ კვირას ვაგზლის იქით, ნაძალადევში, გაიმართა წარმოდგენა. ამ წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ მრავალნი ფეხზე იდგნენ. ამ უბანში უკვე მესამე წარმოდგენა არის და სამჯერვე დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ შესვლის ფასი ძალიან იაფი იყო, დაწყებული ორი შაურიდან ერთ

მანეთამდე. აქედან ცხადად ჩანს, რომ ხალხს თეატრი ესაჭიროება, მას მოესწრაფება და უნდათ მათ განავითარონ თავიანთი თავი თავისუფალ დროს. მაგრამ მათდა სამწუხაროდ იგინი ისე არიან დაშორებულნი ქალაქის დიდ თეატრზედ, რომ იქ სიარული არ ძალუძთ“.

1912 წლის იანვარში თბილისის ქუჩაში გამოკრული აფიშები იუწყებოდნენ: „კვირას, 1912 წლის 29 იანვარს, სეზონის დაწყებისათვის ახლადგადაკეთებულ ნაძალადევის თეატრში, წარმოდგენილი იქნება სადღესასწაულო წარმოდგენა. დილის 12 საათზე მოხდება კურთხევა ახლად გადაკეთებულ თეატრისა...“

მონაწილეობას მიიღებენ ქართულ წარმოდგენაში ე. ჩერქეზი-შვილი, ე. ჩიქოვანი, ა. ადამიძე, ი. როინიშვილი, გ. გაბინაშვილი, ს. გოგაშვილი, ვ. კულუხაშვილი, რუსულ წარმოდგენაში ქ. ბოგდანოვი, ბ. როზანოვი, დაშოვსკი, დუბინინსა, ბალაბანიკოვი, სვილდევსკი, შჩებლოვინი და სხვ“.

1912 წლის 29 იანვარს სადღესასწაულოდ მორთული თეატრის შესავალში სვეტები ფერადი ყვავილებითა და გირლიანდებით მოუკაზმავთ, კარის მთელ სიგრძეზე კი აბრეშუმის ფერადი ლენტო იყო გაბმული, საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი თეატრის გახსნას მოუთმენლად ელოდა. ზემს ესწრებოდნენ ქალაქის თავი ხატისოვი, პოეტები, მსახიობები, პრესის მუშაკები და დიდძალი მოწინავე ახალგაზრდობა. აი, ხატისოვი ჭრის ლენტს, იხსნება კარი და მხიარული საზოგადოებრიობა დარბაზისაკენ მიემართება. ხელოსნები, ქარგლები, მუშები, სახელოსნოს შეგირდები მიიჩქარიან სალამოზე დასასწრებლად, სურდათ ეხილათ თავიანთი მუშური თეატრი ახალ შენობაში.

დამსწრეთ მშვენიერი დარბაისლური ქართულით მიმართა მუშათა თეატრის დაარსების ინიციატორმა გრიგოლ ჩარკვიანმა. სიტყვას ამბობენ ამავე თეატრის პირველი რეჟისორი სვიმონ სიმონიძე (გოგოლაძე) და სცენისმოყვარეები. შემდეგ გაიმართა მხატვრული განყოფილება...

სულ მოკლე ხანში გრიგოლ ჩარკვიანი და მისი მეუღლე ნაძალადევში ყოველი ახალი საქმის მოთავენი გამხდარან. მათ სახელთანაა დაკავშირებული როგორც ნაძალადევში ქართული თეატრის დაარსება, აგრეთვე ჭრა-კერვის სკოლის, ქართული რეალური სასწავლებლის დაარსება და სხვა.

მაგრამ გრიგოლ ჩარკვიანის მოღვაწეობის გვირგვინს მაინც წარმოადგენს ქართული წიგნის მალაზიისა და სტამბის გახსნა, რითაც ქართველ მშრომელ ხალხს ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

## იოსებ იმედაშვილი

მუშა-მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი იყო „ავჭალის აუდიტორიისა“ და მურაშკოს თეატრთან არსებული ქართული წრის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი, მისივე გამგეობის თავმჯდომარე და მთავარი რეჟისორი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული კულტურის სამსახურს შეაღია.

იოსებ იმედაშვილის სახელი პირველად 1895 წლიდან გამოჩნდა ქართული პრესის ფურცლებზე, თანამშრომლობდა „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „კვალში“, „ელვაში“, „მოგზაურში“, ხელმძღვანელობდა გაზეთ „ხალხის ერთობას“ და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“.

იოსებ იმედაშვილის პოეზია საბრძოლო განწყობილებას ნერგავდა ფართო მასებში. მისი რევოლუციური შინაარსის ლექსება და პოემები პირველად 1904 წელს გამოიცა იზიძის ფსევდონიმით.

ხალხის უანგარო მსახური იოსებ იმედაშვილი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე იმ პერიოდში გამოვიდა, როცა მუშათა მოძრაობა საქართველოსაც მოედო. მთელი ხალხი — მუშები, გლეხობა, ინტელიგენცია, — ამოძრავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართალია, პირველი რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა. პროკლამაციები იბეჭდებოდა და აკრძალული წიგნები მაინც ვრცელდებოდა ხალხში...

რეაქციის მძინვარების პერიოდში ჟანდარმერიამ იოსებსაც მიაგნო და კვლავ მეტეხის ციხის საპყრობილეში ჩასვა. იოსებისათვის მეტეხის ციხე პირველი არ იყო.

„სულ სხვა ატმოსფერო იყო შექმნილი იმედაშვილის გარშემო, — გვიამბობს ძველი სცენისმოყვარე დავით მელაშვილი, — ეს იყო კაც, რომელიც აქტიურ ლიტერატურულ და მწიგნობრულ

მოღვაწეობას ეწეოდა. სახალხო თეატრებში დაბალი მასის აღზრდისა და განვითარების საქმეს ხელმძღვანელობდა. მას ქართული წიგნის პატარა მალაზია ჰქონდა, სადაც სისტემატურად თავს იყრიდნენ მუშათა მოწინავე წარმომადგენლები და საუბრებსა და კამათს მართავდნენ, და აბა, რალა ჟანდარმერია იქნებოდა, რომ იმედაშვილი ფარული, ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ არ დაეყენებინა და ბოლოს არ დაეპატიმრებინა კიდევ: მით უმეტეს, რომ მისი წიგნის მალაზიის ხშირი სტუმარი იყო მაშინ მუშათა წრეებში კარგად ცნობილი სოსო ჟულაშვილი.

ასევე იპყრობს ჩვენს ყურადღებას იოსებ იმედაშვილის შესახებ მიხეილ ჭავჭავაძის წერილი: „იმედაშვილს რომ დავინახავ ან გავიხსენებ ხოლმე, ძალაუვნებურად მაგონდება ქაშვეთის ქუჩა, ბუკინისტების რიგი და ამ რიგში ერთი პაწია ქოხი. იმ ქოხში ზაფხულში უფრო ცხელა, ხოლო ზამთარში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ. წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიყრაყიდან დაღამებამდე თავჩალუნული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს, ვითომ წიგნებით. ვაჰრობს, მაგრამ მუშტრების მაგივრად უფრო ნაცნობ-მეგობრები ეხვევიან და ხელს უშლიან ხოლმე. მუშტრებისათვის იოსებს არა სცალიან, ამიტომ არც მუშტარს სცალიან ახირებულ „ვაჰრისათვის“. მუშტარი რომ შემოვა, „უცნაური“ ვაჰარი და მწიგნობარი თავს ძლივს ასწევს, პასუხსაც ძლივს აკადრებს, ზოგჯერ კი არც ამისათვის სცალიან. თუ ვინმემ მოაგონა სადილი, შაურიან წვნიანს მოარბენინებს, ხუთიოდე წუთში გადაყლაპავს და კვლავ ჩრჩილივით ჩაუჭდება ქალაღლებს. როცა დაღამდება, დუქანს დაკეტავს და ქუდმოგლეჯილი იორღით მირბის სახალხო სახლში ან მურაშკოს თეატრში, ექვსიოდე ვერსის მანძილზე. იქ თავის როლს პირნათლად შეასრულებს და ნაშუალამევს ფეხით გამოდის მთაწმინდის უბანში. ახლაც არ ვიცი როდის იძინებდა, ან როდის ისვენებდა ეს უცნაური და დაულალავი ადამიანი? ან იძინებდა როდისმე? ან ისვენებდა ზოგჯერ მაინც?“

იოსებ იმედაშვილმა 1895 წელს მძიმე შრომით შეგროვილი გროშებით კომუნართა ბაღის პირდაპირ (ამჟამად ჯორჯიაშვილის ქუჩა) გახსნა ბუკინისტების წიგნის მალაზია, აქვე შექმნა არალეგალური ლიტერატურის წიგნთსაცავი. შეუდგა საგამომცემლო მოღვაწეობას.

იმედაშვილის წიგნის მალაზია თბილისში ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მალაზიის შემდეგ ერთ-ერთი ტიპური ქართული მალაზია იყო, სადაც შეიძლებოდა ყოველგვარი ქართული წიგნისა და პიესის შექმნა. ამიტომაც იყო, რომ მალაზიის ხშირი სტუმრები იყვნენ მაშინდელი როგორც ლიტერატურული, ისე პოლიტიკური მოღვაწე მუშები, თეატრალური მოღვაწეები და სცენისმოყვარეები.

მალაზიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, კოტე ყიფიანს, ნიკო ლომოურს, ვალერიან გუნიას, არჩილ ჯორჯაძეს, ანტონ ფურცელაძეს, იოსებ ჯულაშვილს და სხვებს.

იოსებ იმედაშვილი ხუთ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ქართულ კულტურას, მოხუცებულობაშიც ასეთივე დიდი გატაცებით და ენთუზიაზმით ედგა მშობლიური ხელოვნების სიწმინდისა და დიდების საქმეს. „მე, გრძელ ჰანად მომდევს გლეხურ-მუშური, ნამდვილი პროლეტარული შთამომავლობა და რევოლუციურ-მწიგნობრული წარსული, მშრომელი ხალხის ემბაზში ამოვლებული გრძნობა, ფიქრი, რწმენა, მის საკეთილდღეოდ მუდმივი მუშაობა საკუთარი ძალ-ღონით“.

მძიმე ოჯახური პირობების გამო იოსებმა უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, მაგრამ ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა თავისი გაიტანა.

შალვა დადიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, იოსებ იმედაშვილმა თავისი შრომითა და გარჯილობით თვითონვე შექმნა თავისი თავი და ამაღლდა მწერლის ხარისხამდე...

იოსებს ბავშვობა ბორჩალოში, სოფელ წერაქვში, მწყემსობაში გაუტარებია. მამით ადრე დაობლებული ბიჭუნა დედამ თბილისში ჩამოიყვანა და სახელოსნო სასწავლებელში მიაბარა. სწავლასთან ერთად იოსები ფართოდ ეწეოდა თვითგანვითარებას. იგი პროგრესულად განწყობილი მასწავლებლების: ვასო რცხილაძის, მიხეილ ბეჟანიშვილის და ზაქარია კანდელაკის წყალობით გაეცნო როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. სწავლასთან ერთად ისინი მოსწავლეებს პროგრესულ აზრებს უნერგავდნენ, მამულიშვილურ გრძნობებს უღვივებდნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ჭაბუკი იოსებ იმედაშვილი სწავლის პერიოდისავე ჩაბმულა საზოგადოებრივ საქმიანობაში, კერძოდ მაშინ, როცა სახელოსნო

სკოლის მოწინავე მოწაფეებთან ერთად 1893 წელს თბილისში აარსებს პირველ სახალხო თეატრს, რომელიც „ავჭალის აუდიტორიის“ სახელითაა ცნობილი.

პირველი სახალხო თეატრის ფუძემდებელი, რეჟისორი და მსახიობი იმედაშვილი, ასევე მაღალი გრძნობებით ანთებული, 1902 წელს ავღაბარშიაც აარსებს მეორე სახალხო თეატრს. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში დიდ დახმარებას უწევენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: თ. სახოკია, ი. აგლაძე, ი. და ნ. ნაკაშიძეები. ამ თეატრის სცენიდან მშრომელი ხალხი ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მაღალ იდეალებს ეზიარებოდა.

მეფის მთავრობა ყოველთვის ავიწროებდა თეატრს, რათა არ დაედგათ რევოლუციური ხასიათის ნაწარმოებები. მაგრამ სახალხო თეატრების მესვეურები არ უშინდებოდნენ რეპრესიებს და განსაკუთრებით სოციალური შინაარსის პიესებს არჩევდნენ.

იოსებ იმედაშვილმა ქართული თეატრისათვის ხელმისაწვდომი გახადა ისეთი პიესები, რომელთა გაცნობა მანამდე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მან გამოსცა სპეციალური სერია „ცხოვრების სარკის“ სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა საგანგებოდ შერჩეული პიესებით სახალხო თეატრების რეპერტუარის გამდიდრებას. პირველი კრებული 1899 წელს გამოიცა, ხოლო მეორე 1901 წელს. კრებულში შევიდა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები. აგრეთვე პატარ-პატარა სცენები, კუპლეტები, ლექსები; აქვე გამოქვეყნდა წერილები ხელოვნებასა და თეატრის შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმედაშვილის უანგარო მამულიშვილური მოღვაწეობა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემაში. ჟურნალი გამოდიოდა რეაქციის პერიოდში და ორი ათეული წლის მანძილზე ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დიდი წვლილი შეჰქონდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში.

მრავალფეროვანია იოსებ იმედაშვილისა და მისი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ მოღვაწეობის სარბიელი. ქართული კულტურისა და ხელოვნების რომელი დარგი არ უნდა ავიღოთ, რომ ეს ჟურნალი არ შეხებოდეს. მრავალმა ახალმა წამოწყებამ,

თურმე, ამ ჟურნალის ინიციატივით ჰპოვა დღის სინათლე და პოპულარობა.

იოსებ იმედაშვილისათვის მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული კულტურის აღორძინების, ქართველი ხალხის განვითარებისა და გათვითცნობიერებისათვის თავდადებული ზრუნვა იყო. მის პიროვნებაში ორგანულად შეირწყა კაცთმოყვარე ჰუმანისტისა და ბოროტების დასათრგუნავად ამხედრებული მკაცრი მებრძოლის თვისებები.

არ ყოფილა არც ერთი თვალსაჩინო პოეტი, რომლის პირველი სიხარული ეს ჟურნალი არ ყოფილიყო. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონი პირველად ამ ჟურნალში აელვარებულა იოსებ იმედაშვილი პირველი შეგებებია მის გამოჩენას პოეზიის სამყაროში. ამ ჟურნალში ჰპოვებდნენ ფართო შემოქმედებით სარბიელს გამოჩენილი ქართველი პოეტები თუ ხელოვნების მუშაკები: ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, მიხეილ ჭავჭავიძე, ტერენტი გრანელი და სხვები.

იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიააო, ამბობდა თურმე მიხეილ ჭავჭავიძე.

„მისი ხალასი ნიჭი და ენერჯია შეისრუტა ხელოვნების სხვადასხვა დარგმა, შეიძლება ეს იყო მისი ღირსება, — ამბობდა იოსებ გრიშაშვილი და დასძენდა, — მისი ჟურნალი ყველა ახალგაზრდას აძლევდა ფართო გზას...“

შემდგომშიც ბევრ სახელოვან მწერალს ამ ჟურნალის ფურცლებზე აუღვამს ფეხი, ამ ჟურნალის მეშვეობით გაუკვლევია გზა მაღალი მწვერვალებისაკენ. „მე მეტად დავალებული ვარ იოსებ იმედაშვილისაგან მისი მეგობრული დამოკიდებულებით, — წერდა ალექსანდრე აბაშელი, — პირველი თბილი სიტყვა ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა გამო მე იოსებ იმედაშვილმა შემაგება. მან დაბეჭდა თავის ჟურნალში ლიტერატურული მიმოხილვა, სადაც გამამხნევებელი შეფასება მისცა ჩემს პირველ ლექსებს, მე არასოდეს არ დამვიწყებია და არც დამავიწყდება ეს პირველი თბილი სალამო და გამხნეება“.

„თვით ღარიბი, მაგრამ ყურმახვილი დარაჯი და მესაიდუმლე ყველა გაჭირვებული საზოგადო მოღვაწისა“, — ასე დაუხასიათებია იგი ქართული სცენის კორიფეს მაკო საფაროვას.

„ხელოვნების უწმინდესი ტაძრის, ადამიანთა გრძნობა-გონების



გამათაჟიზებელი ერთი უდიდესი იარაღის განხილვა, სცენის დანიშნულების გარკვევა, ცხოვრების შავბნელ კუნძულთა გაშუქება შეძლებისდაგვარად, აი, რა არის დანიშნულება ამ გამოცემისა, — წერდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების“ მეთაური იოსებ იმედაშვილი თავის წერილში და დასძინდა, — ჩემი რწმენაა ხელოვნების უმაღლესი მოთხოვნილება-მისწრაფებათა დაცვა და განვითარება, იმდენად, რამდენადაც იგი ხალხთა შეგნებას, ამაღლებას და მათ შორის სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება“.

თავის მრავალფეროვანი მოღვაწეობა იმედაშვილს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემით დაუგვირგვინებია. მანამდე სხვებსაც უცდიათ ამ სახის მხატვრული ჟურნალის გამოცემა, დაუსტამბავთ კიდევ თითო-ოროლა ნომერი, მაგრამ უსახსრობის გამო საქმე წინ აღარ წასულა, ასე დაემართა ჟურნალ „ფასკუნჯის“ და სხვა სახელწოდების რამდენიმე ჟურნალს. და ის, რაც ვერ შესძლეს უფრო სახელოვანმა მწერლებმა, ორგანიზაციებმა, ბანკირებმა და შეძლებულმა პირებმაც კი, გააკეთა ღარიბმა, დაუცხრომელმა მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა. მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში რეგულარულად გამოდიოდა „თეატრი და ცხოვრება“ და ერის კულტურის საგანძურში თავისი წვლილი შეჰქონდა. ჟურნალი გამოსცა ადამიანმა, რომელსაც პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნდა, არც ქალაქი ჰქონდა, არც რედაქციისათვის ბინა, არც თანამშრომლები ჰყავდა და არც საჭირო თანხა. უშრეტმა ენერჯიამ და საქმის დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა იოსებ იმედაშვილს გაეკეთებინა ისეთი საქმე, რაც რევოლუციამდელი თეატრის მოღვაწეთა ოცნებას შეადგენდა.

„— ჰოდა, ჩემო მეგობარო, — უამბობდა თურმე ხშირად იოსებ იმედაშვილი ალექსანდრე ბურთიკაშვილს, — ერთი აზრი ამეკვიატა. განვიზარახე სათეატრო ჟურნალის გამოცემა. ვიცოდი ჩემი ბუნება: თუ რაიმე აზრი დამებადებოდა, ნემსის ყუნწში გავძვრებოდი და უნდა შემესრულებინა. გროში კაპიკი არ მქონდა. ბედად შევხვდი მიტროფანე ლალიძეს. ჩემი ზრახვანი გაუუზიარე, დაინტერესა და ორასი მანეთი მასესხა. აი ამ თანხით დავიწყე საქმე და, როგორც იცი, 15 წლის განმავლობაში ვცემდი ამ ჟურნალს“.

რევოლუციამდე საქართველოში ასეთი პოპულარული ჟურნალი არ იყო.

იოსებ იმედაშვილის ჟურნალში დიდი აკაკის, ვალაკტიონ ტაბიძისა და სხვა თვალსაჩინო პოეტების ლექსების გვერდით ხშირად იხილავდით სრულიად უცნობი პოეტების გულწრფელ სტრიქონებსაც. დამწყებ პოეტთათვის კი ეს დიდი წახალისება იყო.

ვინ აღნუსხავს, რამდენი მწერლისათვის გაუკაფავს გზა იოსებს და ქმედითი დახმარება გაუწევია. 1925 წლის ივნისში, როცა „თეატრი და ცხოვრების“ საიუბილეო ნომერი გამოსულა, ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მწერლებს საზეიმოდ აღუნიშნავთ ჟურნალის 15 წლისთავი და მისი რედაქტორისთვის ბევრი თბილი სამადლობელი სიტყვა უთქვამთ მისი ფასდაუდებელი, საშვილიშვილო ღვაწლისათვის.

გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ს-№ 1344) დაცულია ზაქარია ჭიჭინაძის უცნობი ბარათი ფილიპე მახარაძისადმი. ბარათი დათარიღებულია 1925 წლის 25 ოქტომბრით და იოსებ იმედაშვილის პიროვნების საინტერესო დახასიათებას შეიცავს.

მოგვყავს ბარათის ტექსტი მთლიანად:

„ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ფილიპე! იოსებ იმედაშვილს შენც იცნობ და მეც. იგი არის დიდი პროგრესისტი და მასთან თავისი მშრომელი ქვეყნის უაღრესი მოყვარე. მისი შრომა ყოველთვის სდარაჯობდა ქართველი მუშისა და გლეხის დაცემულ ცხოვრებას. იგი იყო და არის კიდევაც მხურვალე მოტრფიალე ქართველი ერის იდეური ამალგების პროგრესიულად დაწინაურების, რაშიაც უაღრესად არის კომუნალური იდეაც.

მთელი ორმოცი წელიწადი კაცი სდარაჯობს ქვეყანას თავისი კალმით და თავისი შრომით. ამისათვის ოთხი წელიწადი მეტეხშიაც იჯდა, სხვა დროსაც არ აკმარეს მას დევნა. დევნა ცენზურის კომიტეტიდან, დევნა ჟანდარმერიიდან, დევნა მონარქიული მთავრობისაგან, დევნა სხვათაგან. ამ კაცმა დაბეჭდა, სხვათა შორის, ერთი შენი წიგნი, მანვე დიდად იმუშავა შენს კაუცკის წიგნზე ციხეში, იგი დამაარსებელია სახალხო თეატრისა ამ 38 წლის წინ. იგი შემდგენელია „უცხო სიტყვათა ლექსიკონისა“, რომელშიც მან პირველად დაბეჭდა ვრცელი „კომუნისტური მანიფესტი“. უკანასკნელ 15 წელიწადს უძღვებოდა სათეატრო ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ემსახურე-

ზოდა, რისთვისაც ვალები წამოდო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი კვლავ აპირებს თავისებურ სამწიგნობარო მუშაობას.

ასეთი კაცის შრომის დავიწყება არ შეიძლება, თუ ხათრი გაქვს, ჩვენი ქვეყნის სიკეთე გსურს, ამ კაცს გამოუნახე დახმარება, რომ ვალები გაისტუმროს და თავის ეურნალის გამოცემა განაახლოს. მას არაფერი დახმარება არ აქვს. მისი შევირდები პენსიასაც იღებენ და ამას გროშიც არ ეძლევა. ფილიპე, თუ ხათრი გაქვს და კაცი ხარ, ნუ დაივიწყებ ამ ქართველ მუშაკს, ქართველი ერისას. შენ იცი და შენმა ჰკუთავონებამ, როგორც უპატრონებ ამ ერთგულ მუშაკს ქართველი ერის პროგრესული ამაღლებისა და დაწინაურებისას. იმედია, რომ ჩემს დავალებას არ დაივიწყებ და ამ დამსახურებულ მუშაკს შენებურ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას გაუწევ.

ამის გულისათვის შენთან თორმეტი კაცი მოდიოდა, მათ მაგიერ მე მოვედი და გთხოვთ შენ იზრუნო; რომ ასეთი შრომისმოყვარე კაცი არ იქნეს დაჩაგრული.

თქვენი პატივისმცემელი ზ. ჭიჭინაძე“.

1905 წლიდან იოსებ იმედაშვილი სოფელ ხაშმის პირველი არჩევითი მამასახლისი ყოფილა. „ხალხმა მთავრობის მიერ დანიშნული ყველა მამასახლისი გარეკა და იოსებ იმედაშვილი არჩეული იქნა ივრის ხეობის ეგრეთწოდებულ მამასახლისთა მამასახლისად. იოსებმა შეადგინა გარეკახეთის რევოლუციური მთავრობა და 1905 წლის მეორე ნახევრიდან 1906 წლის დასაწყისამდე ყველა საკითხს ეს მთავრობა განაგებდა. მოეწყო აღგილობრაივი სასამართლო, ხალხი დაეპატრონა ტყეებს, ალაგმეს სამღვდლოება: ყოველივე ეს აღნიშნული იყო სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „სხივის“ პირველ ნომერში“, — წერს ეურნალი „დროშა“.

მეფის მთავრობა ხელს უწყობდა ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივებას. მთავრობის პროვოკაციულ ანკესს წამოეგნენ თათართა და სომეხთა ზოგიერთი ფენები და დაიწყო ძმათა შორის შეტაკება და სისხლის ღვრა. გარეკახეთიდან იორ-მულანლოს თათრები დაძრულან და თბილისში აპირებდნენ ლაშქრობას სომხების გასაჟლეტად. იოსებ იმედაშვილი თავისი რაზმით წინ აღუდგა და თბილისისაკენ მიმავალი ლაშქარი უკან გააბრუნა.

გურიაში აჯანყებულთა ასაწიოკებლად დამსჯელი რაზმის გაგზავნას მთელი საქართველო აღუშფოთებია. მთავრობას პროტესტი

პროტესტზე მოსდიოდა, მოითხოვდნენ გურიიდან ჯარების გაყვანას. არც იოსებ იმედაშვილი დარჩენილა გულგრილი მაყურებლის როლში. ერთ დღეს მეფისნაცვლის სასახლეს ცხენოსანთა რაზმი მისდგომია იოსების მეთაურობით. გარეკახეთის მშრომელთა სახელით იოსებმა მოსთხოვა მეფისნაცვალს გურიიდან ჯარების გამოყვანა. „თუ ეს არ გიქნიათ, — განუცხადებიათ გარეკახელებს, — იარაღს ავისხამთ და ჩვენი ძმების მისაშველებლად დავიძრებით გურიისაკენ!“

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდა შეიარაღებული დელეგაციის სურათი, შუაში დგას დელეგაციის მეთაური იოსებ იმედაშვილი.

„ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში იოსებ იმედაშვილი ზღაპრულ დევგმირად მესახებოდა, — გვიამბობს საქართველოს სსრ სახალხო არტიტი მიხეილ ყვარელაშვილი, — როდესაც ჩვენს ოჯახში თუ სოფელ ხაშში გლეხ-კაცობაში იმედაშვილზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მას მუდამ დევ-კაცად სახავდნენ, თუმცა მისი ფიზიკური გარეგნობა ამ შედარებას არ ადასტურებდა. ჩვეულებრივი, საშუალო ტანის კაცი იყო, უფრო ხმელი აგებულებისა და დევის შთაბეჭდილებას სულ არ ტოვებდა, მაგრამ თანასოფლელებს, ხაშმელ გლეხკაცობას ასეთი შთაბეჭდილება შეექმნათ მასზე, რადგან, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „იგი იყო გონებით ღონიერი, დაუშრეტელი ენერჯის პატრონი, დაუდეგარი, შეუპოვარი მოღვაწე, ყოვლის შემძლე, რომლის ცხოვრების ყოველდღიურობა სავსე იყო ხალხზე ფიქრით, გლეხკაცობაზე ზრუნვით“. ამიტომაც იყო, რომ ერთი ხაშმელი ხალხური მთქმელი, ზედმეტ სახელად „ნალია“ (ნიკა ქოქრაშვილი), ასე ამღერებდა ჩონგურზე:

„ნეტა როგორიც ხაშშია:  
მაჩვენა იმის წყვილია  
ნეტავ დევ-კაცსა შამყარა,  
როგორიც იმედაშვილია...“

იოსებ იმედაშვილს სოფელ ხაშმის გლეხკაცობა წარსულშიც და დღესაც დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებს, როგორც გლეხობის გულშემმატივარს, სოფლის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მზრუნველს, საზოგადო მოღვაწეს.

იოსები სათავეში ედგა გარეკახეთის გლეხთა მოძრაობას. ის

იყო აქტიური ხალხოსანი, განმანათლებელი, სოფლად ცოდნის და კულტურის დამწერგავი... იოსებ იმედაშვილი იყო დიდი ოჯახის პატრონი, ექვსი შვილის მამა და ამ მძიმე ტვირთს მარტო ეზიდებოდა ნამუსის ქუდით. არავითარი გაჭირვებისათვის ქედი არ მოუხზია და სამარის კარამდე ქართული ნაბადი კარს უკან უქმად არ მიუყუდებია. დადიოდა მხრებგაშლილი და მკერდზე თეთრწვერ დაფენილი, ევროპულ ტანსაცმელზე ჭინჯილიანი შავნაბადმოხურული, თექის ქუდით, ხელში ყავარჩნით, მეტად კოლორიტული ფიგურა.

აი, ახლაც, როდესაც მშობლიურ ხაშმში ჩავდივარ და ახლოს ვხვდები თანასოფლელებს, იოსებ იმედაშვილის თანამედროვე ადამიანებს, ქალებს თუ კაცებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალზე ცოტანილა დარჩნენ, ჩვეულებრივი ტკბილი საუბრის დროს იხსენებენ თავის ახალგაზრდობას.

მამაჩემი დავით ყვარელაშვილი, რომელსაც სულ მალე 95 წელი შეუსრულდება, ჯერ კიდევ ნათელი გონებით მსჯელობს, იგონებს სოფლის წარსულ დუხჭირ ცხოვრებას, ადარებს აწმყოს და ფიქრობს მომავალზე. არ ივიწყებს იოსებ იმედაშვილის ზრუნვას სოფლისათვის, რომელმაც გლეხობის მხარდაჭერით, სოფელს გზა გაუყვანა შვიდ კილომეტრზე კორძიანებში. დააარსა ბიბლიოთეკა. არ ივიწყებს აგრეთვე დავით ნახუცრიშვილის დიდ ამაგს, რომელმაც ხაშმში წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი ახალგაზრდობისათვის სადამო სკოლა ჩამოაყალიბა. „ამ სკოლაში ჭრაქის შუქზე გვასწავლიდა ქართულ ან-ბანს. თუ არა იოსებ იმედაშვილი და დავით ნახუცრიშვილი, იმ დროს ვინ მიგვაკარებდა სკოლის კარებს. ამისათვის დიდი მადლობელი ვართ მათი, რომ ჩვენი სოფლის გლეხობაში განათლებისა და ცოდნის სხივი შემოიტანეს, — ამბობს მამაჩემი, — თეატრიც მაგათ დააარსეს ხაშმში, შვილო, იოსები, დავითი, საშა ნათიშვილი, დიუკა, ნუცა ნახუცრიშვილი, ნუშო ლალიძე, აბრამ გოგნიაშვილი ისეთ წარმოდგენებს გვიჩვენებდნენ ხოლმე, რომ ხან გვატირებდნენ, ხან გვაციინებდნენ“.

გასული საუკუნის 90-იან წლების, სოფელ ხაშმის სცენისმოყვარეთა წრის წევრობისა და სოფლის თეატრის ისტორიით დაინტერესებული მიხეილ ყვარელაშვილი გამოსაუბრებია ამ წრის ერთ-ერთ ფუძემდებელს ოთხმოც წელს გადაცილებულ ნუცა (ნინო) ნახუცრიშვილს.

აი რა უამბონია მას:

„ჩვენს დროში, გარეკახეთში, არც ერთ სოფელს არ ჰქონია თავისი სცენისმოყვარეთა წრე და არც საამისო შესაძლებლობა გააჩნდათ, რომ სახალხო თეატრი შეექმნათ. ბევრმა სოფელმა არც კი იცოდა თეატრის მნიშვნელობა. ჩვენში, ხაშში, სცენისმოყვარეთა წრის ჩამოყალიბებას სათავეში ჩაუდგინენ: იოსებ იმედაშვილი, ალექსანდრე (საშა) ნათიშვილი, ჩემი ძმები დავით და ლუკა ნახუცრიშვილები. ჩვენ ახალგაზრდა ვალებს ამ საქმეში მხარში ამოვუდექით ქალებიც ნუშო (ანა) ლალიძე, კეკე მამულაშვილი, ნუცა მარინდაშვილი, მე და ჩემი და კატო.

დიდი ხალისით შევუდექით წრის მუშაობას, ვაწყობდით გეგმებს, ვკითხულობდით და დასადგმელად ვარჩევდით პიესებს.

1892 წელს უჩვეულო ცხელი ზაფხული იდგა. ხმები გავრცელდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩენილმა ხოლერამ ამიერკავკასიასაც მიაღწია და ბაქოში ამ სენმა დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობასო. დაშინებული ხალხი ხშირ დასახლებას ერიდება და ქალაქიდან იხიზნებიანო. ამ საშინელი მოვლენის თემაზე ქართული თეატრის მსახიობს ვალერიან გუნიას, თურმე, ერთმოქმედებიანი კომედია დაუწერია. ქართული თეატრის მსახიობებს ეს პიესა კიდევაც უთამაშიათ და დიდი წარმატებაც ჰქონიათ თბილისში. ამ წარმოდგენას ჩვენი იოსებ იმედაშვილი დასწრებია. წარმოდგენა ძალიან მოსწონებია და ბევრიც უცინია.

ჩვენი სოფლის დიდ მოამაგეს, იოსებ იმედაშვილს, ეს პიესა ვალერიან გუნიასაგან საჩქაროდ გადმოუწერია, ხაშში ჩამოუტანია და მისი დადგმა შემოგვთავაზა, იოსები ისე ცოცხლად და გატაცებით ჰყვებოდა პიესის შინაარსს, რომ ყველას ერთხმად მოგვეწონა, მხარიც დავუჭირეთ და პიესის დადგმაც მას დავავალეთ იმავე დღეს. „მსახიობებს“ როლებიც გაგვინაწილა და რეპეტიციასაც შევუდექით. რეპეტიციებს ჩვენი სახლის განიერ აივანზე ვავდიოდით.

სოფელში ხმა დაირხა, რომ „ნასწავლები“ წარმოდგენას მართვენ და „ხოლვერიანობას“ თამაშობენო. ხოლვერიანობის ამბავი ხაშმელებს დიდი ხანია გაგონილი ჰქონდათ და შიშით ძრწოდნენ, რომ ხაშმამდევ არ მიეღწია ამ საშინელ სენს. „ჩვენი ხოლვერობა“ სოფლის მოსახლეობას პირდაპირი მნიშვნელობით გაეგოთ და ხალხი მოგვიგზავნეს, ამ სახიფათო თამაშს თავი დაანებეთო. ჩვენ ჩვე-

ნი არ დავიშალეთ და რეპეტიციებს განვაგრძობდით. ერთ საღამოს, როცა სარეპეტიციოდ შევიკრიბენით, სოფლებმა აივანზე ქვები დაგვიშინეს და ფანჯრის მინებიც ჩავვილეწეს. მიუხედავად ამისა, ამ სიცხე-პაპანაქებაში რეპეტიციები სარდაფში გადავიტანეთ და კვირისთვის წარმოდგენაც მოვამზადეთ.

კვირა დილას სოფელში რამდენიმე ადგილას ხელნაწერი აფიშებიც გვაეკართ, მაგრამ მოსახლეობამ კედლებზე გაკრული აფიშები ჩამოგლიჯა. ხმამალა გაჰყვიროდნენ: — „არ გვინდა მაგათი „თრიატი“, გარეკეთ ეგ სალახანები, ეგლა გვაკლია სოფელში შავი ქირი და ხოლვერა გააჩინონო!“

„ნასწავლებს“ მოწინააღმდეგეებთან ერთად მხარის დამკვირიც ბევრი გაგვიჩნდა, განსაკუთრებით და უმთავრესად ცნობისმოყვარე სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც დიდი მონდომებით გვეხმარებოდა „თრიატის“ მოწყობაში. სოფელში პირველი წარმოდგენის ნახვის ეშხით არაფერს თაკილობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რასაც იოსებ იმედაშვილი დაავალებდათ.

იოსებმა და ჩემმა ძმამ, დათიკომ, სახელდახელოდ კიდეც დაწერეს ერთი აფიშა და კანცელარიის წინ გააკრეს. აფიშა იუწყებოდა:

... დღეს, კვირა საღამოს, „მალაზიის“ დერეფანში წარმოდგენილი იქნება ვალერიან გუნიას ერთმოქმედებიანი კომედია „ხორველობა“.

ძველი ყაზარმა-მალაზიის გრძელი და გამქვარტლული დერეფანი საგანგებოდ დავასუფთავეთ, დერეფნის ბოლოს სცენისათვის სახელდახელო ფიცარნაგით ავამაღლეთ. დეკორაციები შინიდან მოტანილი ზეწრებით, ფარდაებით და ავეჯით გავაწყვეთ. რამდენიმე ლამფისა და ქრაქის შუქზე კვირა საღამოს ხორველობა — გავითამაშეთ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. დერეფანში ტევა არ იყო. გარეთ დარჩენილნი ქვის სროლითა და ლანძღვა-გონებით გვიმასპინძლებოდნენ. ეტყობოდა, მაყურებელს ძალიან მოსწონდა ჩვენი „ხორველობა“ — გულიანად ხარხარებდნენ. განსაკუთრებით კი მოეწონათ ჩემი ძმის ლუკას თამაში თბილისელი ვაჭრის როლში. იოსებ იმედაშვილმა ბაქოელი თათრის განსახიერებით დიდი სიამოვნება მოგვარა ჭერ კიდეც გამოუცდელ მაყურებელს. მისი უცნაური ჩაცმულობა და ის გრძელი სახელი ალიბალი-მირზა-ყული-შამხორ-ხოხორი, თათრული კილოთი გამოთ-

ქმული სიტყვები და უცნაური მოძრაობა ხალხში დაუსრულებელ ხარხარს იწვევდა.

ამ პირველმა წარმოდგენამ ხაშმელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზრდები სცენაზე შემოგვიხტნენ და გვეხვეწებოდნენ, მეორე კვირასაც გაგვემართა ასეთი „თრიატი“.

მაგრამ მოხდა უცნაური შემთხვევა — მეორე დღეს, ორშაბათ დილით, სოფელში საშინელი ალიაქოთა ატყდა, ქალების წივილ-კივილი, წყევლა-კრულვა აყრუებდა მთელ სოფელს. ხალხი დარბოდა, ერთმანეთს აწყდებოდნენ და გაჰყვიროდნენ — ხორველა, ხორველაო.

რამდენიმე ოჯახში საშინელმა მუცლის ტკივილმა რამდენიმე წუთში წუთისოფელს გამოასაღმა ადამიანები. იმ ოჯახს, სადაც მიცვალებული იყო, არავინ ეკარებოდა შიშით. მიცვალებულს სასწრაფოდ მარხავდნენ“.

ღურგალი კუბოების კეთებას ვერ აუღიოდა თურმე და ეს უფრო აძლიერებდა ხალხის სასოწარკვეთას, ნახევარ სოფელზე მეტი ტყეში გაიხიზნა. ბავშვების კივილი ცასა სწვდებოდა. ერთი სიტყვით, ხაშმში გლოვის ზარი დამდგარა. მთელი სოფელი ტიროდა; „ნასწავლებს“ წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. განსაკუთრებით კი იოსებ იმედაშვილს, რადგან მისი თაოსნობით მოეწყო წარმოდგენა. მან შემოიტანა სოფელში „ხორველობა“ და ხალხი ამოსწყვიტაო.

სცენისმოყვარეები კანცელარიაში დაებარებინათ და იქ თავმოყრილი გლეხობა სახრეებითა და კეტებით უცდიდნენ თურმე „ნასწავლებს“ საცემად და ჩასაქოლად, მაგრამ ისევ იოსებ იმედაშვილის გამბედაობასა და ჭკვიანურ ახსნა-განმარტებას უხსნია „ნასწავლები“ ბრბოს რისხვისა და თავდასხმისაგან.

ალექსანდრე (საშა) ნათიშვილი თავგამოდებით განუმარტავდა თურმე აღელვებულ გლეხებს, რომ „ხორველობის“ ბაცილა ცხელი ქვეყნებიდან გადმოიტანეს ჰაერმა, მტკვარმა, მწერებმა და ფრინველებმა, მაგრამ გლეხებს ეს განმარტება სასაცილოდ არ ყოფნიდათ.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ხაშმის სცენისმოყვარეთა წრის პირველ წარმოდგენას ასეთი უცნაური დამთხვევით დაუწყია თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა და „ხორველობას“ ასეთი ტრაგიკული ბედი სწვევია, ხაშმელ „ნასწავლებს“ ოდნავადაც არ შეუ-



ნელეზიათ კულტურული მუშაობა. თეატრით გლეხების დაინტერესებისა და გათვითცნობიერებისათვის წარმოდგენები მაინც იმართებოდა აივნებზე, უფრო სშირად ღია ცის ქვეშ მიწური სახლის ბანებზე და ზოგჯერ კალოებზედაც.

მაგრამ როდემდე შეიძლებოდა ასე კარდაკარ სიარული? და აი, ერთხელ ახალგაზრდა აგრონომს კოტე ნახუცრიშვილს აზრად მოსვლია, ნამდვილი თეატრი აეშენებინა. ამისათვის მას გაუქმებული ყაზარმა, მალაზიის ერთ-ერთი კორპუსი აურჩევია.

„— ეს აზრი არავისათვის გამიზიარებია, ვიდრე ნათესავ-მეგობრებში არ შევაგროვე საჭირო ფულადი თანხა, რითაც, ვიყიდე საჭირო ხე-ტყე, — უამბნია კოტე ნახუცრიშვილს მიხეილ ყვარულაშვილისათვის, — ამის შემდეგ ჩვენი საიდუმლოება გავანდევ მხოლოდ დურგალ-ხელოსანს კოლა ჭიჭიძეს, მოვიტანე ხე-ტყის მასალა და დავეყარე „მალაზიის“ უკან. ერთ დღეს მე და კოლა ფანჯრიდან მალაზიაში გადავძვერით, მთელი მასალა გადავზიდეთ და სცენის აგებას და მაცურებელთა დარბაზში იატაკის დაგებას შევეუდექით“.

დარბაზს ირგვლივ შემოავლეს ერთი სართული — ქანდარა. ამ ორ კაცს ისე გაუკეთებია ყველაფერი, რომ არც ხალხს, არც სოფლის მამასახლისს არა გაუგია რა. მაგრამ, როდესაც ყაზარმის ჭერი აუხდიათ, რომ გისოსები (კალასნიკებიც) აუყვანათ, ამ დროს ვილაცას მამასახლისთან დაუბეზღებია ხელოსნები. სოფლის მამასახლისი მეტად მკაცრი მოხელე ყოფილა, მას რაიმე კულტურული წამოწყება უხაროდა, ხელს არ უწყობდა, მით უმეტეს თეატრს, ჭირივით სძულებია და აი, როცა მამასახლისს, თომა ქოქრაშვილს, ჭერგადახდილი „მალაზია“ და შიგნით გამზადებული სცენა, იატაკ-დაგებული ქანდარიანი დარბაზი დაუნახავს, გაოცებულს ეს-ლა წარმოუთქვამს, — დააპატიმრეთ ეს მამაძაღლებიო! კ. ნახუცრიშვილი და კ. ჭიჭიძე სამი დღე დაპატიმრებული ყოფილან და გასამართლებას უპირებდნენ. სოფლის ახალგაზრდობას სასწრაფოდ თბილისში იოსებ იმედაშვილისა და დავით ნახუცრიშვილისათვის უცნობეზიათ ეს ამბავი. ისინი უმაღვე გაჩენილან სოფელში და სოფლის „დამქანცველნი“ მამასახლისის ტყვეობიდან გაუნთავისუფლებიათ. საქმე კი ისე მოგვარებულა, რომ კოტე ნახუცრიშვილს თეატრის დამთავრების შესაძლებლობა მისცემია. 1905 წლის აგვისტოში ახალ სცენაზე იოსებ იმედაშვილის რეჟისორობით ხაშმის მოყვარულთა

წრეს პირველად აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ დაუდგამს. კახის როლი კოტე ნახუცრიშვილს უთამაშია.

ამ დღიდან დარბაზის შესასვლელ კარზე დაუკიდიათ დიდი აბრა წარწერით — „სოფელ ხაშმის სახალხო თეატრი“. ახალი თეატრის სცენაზე წარმოდგენების მართვას სისტემატური ხასიათი მიუღია. განუხორციელებიათ: გიორგი ერისთავის „გაყრა“, „ძუნწი“, ავქსენტი ცაგარლის „ხანუმა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ვალერიან გუნიას „და-ძმა“ და ვოდვეილები, დ. ერისთავის „სამშობლო“, შილერის „ყაჩაღები“, შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ და მრავალი სხვა პიესა, იმართებოდა აგრეთვე საღამოებიც, ჩონგურზე გაშაირება, გუნდური სიმღერები, სპორტული თამაშობა-შეჯიბრებანი და სხვ. თუ აღრე გლებობა „ნასწავლებს“ ქვით დასდევდა, ახლა თვითონ ეხვეწებოდა სცენაზე გამოსვლას.

„ჩემი მშობლებისა და ხაშმელების გადმოცემით ვიცი, — გვიამბობს კვლავ მიხეილ ყვარელაშვილი, — იოსებ იმედაშვილს ხაშმის სახალხო თეატრის სცენაზე, მრავალ ქართულ პიესასთან ერთად, დაუდგამს შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, სადაც შეილოკის როლი თვითონ შეუსრულებია. დაუდგამს აგრეთვე შილერის „ყაჩაღები“, კარლ მორს ასრულებდა საშა ნათიშვილი, ხოლო ფრანც მორს თვითონ იოსებ იმედაშვილი“.

## ანა ყურული-იმედაშვილისა

ანა ყურული-იმედაშვილისა ცნობილი მწერლისა და მოღვაწის, ყურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემლის, იოსებ იმედაშვილის მეუღლე იყო. ამ ჩანაგაკარ, დაუშრეტელი ენერჯის მქონე და პრინციპულ კაცს შთაუწერგია ახალგაზრდა ქალისათვის უდიდესი სიყვარული ქართული ეროვნული კულტურისადმი. ლიტერატურისადმი, თეატრისადმი. შთაუგონებია, რომ ეს გზა ცარიზმის სულისშემხუთველ პირობებში ტანჯვა-წამების გზაა, მაგრამ მომავლისათვის ბრძოლა კეთილშობილი ადამიანის ვალია. ამიტომაც იყო, რომ ეს ფაზიკურად სუსტი ქალი საოცარ სულიერ სიმტკიცეს იჩენდა. ნორჩი შვილებით გარსშემოხვეული მჭადარა:

სასამართლო დარბაზში და გამამხნევებელი თვალებით შეჰყურებდა პატიმარ ქმარს, რომელსაც მოსამართლემ ეს-ესაა მიუთითა ცოლ-შვილზე და უთხრა: „მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო, გვთხოვეთ პატიება. შეხედეთ თქვენ ცოლ-შვილს, თქვენ რა ადამიანი უნდა იყოთ, განა ამათ ელაღატებათ?“ პატიმარს კი ამაყად უპასუხია: „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თქვენი დაუძინებელი მტერი ვიქნები!“ იოსების ცოლ-შვილი გაყინულ ბინაში დაბრუნებულა, მაგრამ იქიდანაც გამოუყრიათ. ფეხმძიმე, მარტოხელა ქალი, სამი შვილით ცოტა ხნის შემდეგ წყაროს უბანში კეთილ ოჯახს შეუკედლებია.

„თავიდანვე იოსებმა ვალად დამდო, რომ მასთან ერთად მეტარებინა ჯვარი წამებისა და ტანჯვისა: არასოდეს არ მიფიქრია გავქცეოდი ამ ტანჯვას“, — ვკითხულობთ ანა ჟურელის დღიურში.

ეს ჯვარი წამებისა ყოფილა — მევალეები, ბავშვების ლუკმაპურისათვის ზრუნვა, მუდამ საფიქრელი — იცოცხლოს ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“, არ დაარბიონ, არ დახურონ, არ აკრძალონ... ცოლს ქმრისადმი საყვედური არასოდეს წამოსცდენია. თუმცა, ძალიან ხშირად, იოსები მთელ ჯამაგირს ისევ რედაქციაში ტოვებდა.

მართალია, ანა ჟურელი დიდი ენთუზიასტი იყო სასცენო ხელოვნებისა, მაგრამ არა ნაკლები მოპირნახულე ყოფილა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებისა“, ოჯახიდან თავისი ნაშრომითი კარადაც კი გაუყიდია, რათა ჟურნალის ვალები დაეფარა. ამას გვიამბობენ თანამედროვენი. დღენიდაც მეუღლის გვერდში დგომა, რედაქციაში წერილების გარჩევა, დახარისხება, მზა პროდუქციის შეკვრა; სტამბიდან სტამბაში გადატანა, ნორჩი შვილების ჩაბმა ამ საქმიანობაში, და ბოლოს, რედაქტორის დაპატიმრების გამო უმეტააუროდ დარჩენილი ჟურნალის მესაქეობა სამი-ოთხი წლის განმავლობაში. ზრუნვა იმაზე, რომ ჟურნალს ეცოცხლა, არ დაერბიათ, არ აეკრძალათ, მართლაც დიდი ვაჟკაცობა იყო.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოსულა 1910 წლის 2 იანვარს (ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით), ხოლო მისი გამოცემა შეწყვეტილა 1926 წლის მარტში. მთელი ამ ხნის მანძილზე ჟურნალის ფაქტიური რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი იყო. იმ დროს კი, როცა იოსები თვითმპყრობელობის დევნას გა-

ნიცილიდა, ჟურნალი მისი მეუღლის, ანა ჟურულის ხელმოწერით გამოდიოდა.

რევოლუციური რწმენით აღვსილი ქალი იმედიან წერილს სწერდა მეუღლეს ციხეში: „ჩემო ძვირფასო, გონებიდან განუშორებლო იოსებ! მივიღე შენი წერილი, მაგრამ შენი ავადმყოფობა ძალზე მეწყინა... რა დაგემართა, კარგად უნდა იყო, უნდა გაკლდედე, გესმის, უნდა მოითმინო ყველაფერი... აი, მიყურე ამ სუსტ არსებას, რამდენი ტანჯვა გულისა და მწუხარება ამიტანია, ეს მხოლოდ შენთვის და ბავშვებისათვის, შენც გმართებს, უნდა აიტანო ყველაფერი...“

მართლაც, რა სჯიდა ამ მშვენიერ არსებას, სიცოცხლითა და ნიჭით უხვად დაჯილდოებულს, ასეთი ძნელი და ეკლიანი გზა აერჩია, როცა მას სულ ადვილად შეეძლო პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობა, არიდებოდა მუდმივ ბრძოლას, მღელვარებას. სწორედ ასეთი თავდადებით, ხალხის სამსახურის ერთგულებით მოუხვეჭია თავიდანვე დიდი ავტორიტეტი იოსების ამხანაგთა და თანამებრძოლთა შორის, რომლებიც მისდამი ყოველთვის ნდობას, სიყვარულს და პატივისცემას იჩენდნენ.

— იცი, ძმაო იოსებ, ანა ნამდვილი ანგელოზია: ბედნიერი კაცო ხარ, რომ ასეთი მეგობარი გყავს გვერდში, — უთქვამს ერთხელ იოსებ იმედაშვილისათვის ვაჟა-ფშაველას, — ჩემო რძალო, თქვენი ყოფნა გულს უხარის, მინდა თქვენი სადღეგრძელო დავლიო!

მერე ლექსად მიუყოლებია:

„გული გავლესო გრძნობითა,  
როცა დაძებრავს ნალარა,  
ერთად დაეძახოთ ქართულად,  
ხვალ არ გვეცლება, აღარა!“.

თანდათან ახლოვდებოდა რევოლუციის გარიჟრაჟი, საერთო მღელვარებას შეეპყრო ხალხი. ეს ანას გულსაც ახარებდა, იგი ხომ ერთი პირველი ქალთაგანი იყო, რომელსაც წითელი დროშა აუფრიალებია 1905 წლის სამაისო დემონსტრაციაზე, როცა ცხენოსანი ჟანდარმები გამოეკიდნენ, ანა ეკლესიაში შევარდნილა და ხატის წინ დაჩოქილა, ვითომ ვლოცულობო.

მძიმე ცხოვრებას ადრე დაუსწეულებია ანა ჟურული და 1927 წელს გარდაიცვალა ჭერ კიდევ ახალგაზრდა, ორმოცდაორი წლისა.

წავიდა ისე, რომ მაინც მოუსწრია უკანასკნელი ამაგი დაედო უცხო სიტყვათა ლექსიკონისათვის, რომლის შედგენასა და გამოცემის საქმეს მისი მეუღლე ედგა სათავეში. ქართველ საზოგადოებას შესანიშნავ მოღვაწე ქალისათვის საპატიო ადგილი მიუჩენია დიდუბის პანთეონში.

გამოსათხოვარი სიტყვებით გამოემშვიდობნენ ანას ავლაბრელი, ხარფუხელი, ორთაჭალელი სცენისმოყვარენი.

სახალხო თეატრის რეჟისორმა ეპია კულულაშვილმა ანა იმედაშვილის საფლავზე წარმოსთქვა:

„— კიდევ მსხვერპლი! დასანანი უდროოდ მსხვერპლი! სახალხო თეატრის მესვეურთა რიგები თხელდება, მაგრამ მათ მიერ დაწყებული დიადი საქმე გაგრძელდება და აყვავდება.

ამხანაგებო! ანა ჟურული — იმედაშვილისა ერთ-ერთი პირველი მერცხალია სახალხო თეატრის სცენაზე, რომელმაც თავისი მოღვაწეობით საპატიო ადგილი დაიკავა იმათ შორის, ვინც მეფის შავბნელი რეჟიმის ხანაში სახალხო თეატრს საძირკველს უყრიდა და ამაგრებდა.

ჩვენი ძვირფასო, დაო ანიკო! ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლულის სახალხო თეატრების მსახიობნი და სცენისმოყვარენი შენი უდროოდ დაკარგვით დაგტირით და სიტყვას ვღებთ შენს საფლავთან, შენებრ თავდადებულად და უმწიკვლოდ ვემსახუროთ ქართული სახალხო თეატრის აღორძინებას.

შენი სახელი, როგორც სამაგალითო სახალხო თეატრის მოღვაწისა, დაუფიწყარი იქნება ჩვენი თაობებისათვის და გადაეცემა ახალგაზრდობას, რომ შენი სახით იყო ადამიანი, რომელიც სცენის კულისებში ბავშვებსაც ზრდიდა, აკვანს ურწევდა, ძუძუს აწოვებდა და სცენიდან მშრომელ მუშა ხალხს ასაზრდოებდა.

აგებულებით სუსტი, მაგრამ სულით ძლიერი მებრძოლი, გვერდით უდექი შენს მეუღლესა და შეუდრეკლად კაფავდი ეკლიან გზას, რომელიც მაშინ მებრძოლი ხალხის ხვედრი იყო. მშვიდობით!“

## მარიამ ღემურია

რაც არ იწვის, არ ანათებს, — თქვა ერთ თავის ლექსში აკაკიმ. დიდ მგოსანს მხედველობაში ჰქონია დიდი და კეთილი საქმე, რომლის შესრულება წარმოუდგენელია წვისა და დაუცხრომელი გულის გარეშე. ამ წვიდან გამონაშუქი სიკვდილის შემდეგაც ნათელ შარავანდედად ადგას მოღვაწესა და მის სახელს. სწორედ ასეთი შარავანდედით არის გაცისკროვნებული მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე ქალი მარიამ ღემურია.

მარიამ ღემურიას სახელი მკვიდროდ არის დაკავშირებული ქართველ მოღვაწე ქალებთან, რომლებიც გაბედულად გამოდიოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ბრძოლას აწარმოებდნენ ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის.

დაუშრეტელი ენერჯისა და დაუცხრომელი სულის პატრონი იყო მარიამი, თავისი ქვეყნის დიდი მოყვარული, ღარიბთა ქომაგი, მაშვრალთა დამხმარე. ამ ღირსებებმა შეაძლებინა მრავალმხრივ გაეშალა მოღვაწეობა და ყველგან თავისი კეთილი კვალი დაემჩნია.

მარიამ ღემურია იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საბავშვო უფროსად „ნაკადულის“ რედაქტორი, თბილისის სახალხო კითხვის საზოგადოების თეატრალური სექციის ხელმძღვანელი, ყოველგვარი ორგანიზაციული საქმის სულის ჩამდგმელი, მრავალი ნიჭიერი მსახიობის აღმომჩენი, სახალხო თეატრთან ინტელიგენციის დამაკავშირებელი.

მარიამ ღემურია დაიბადა ქართლში, ქალაქ გორში, რომელმაც არა ერთი სახელოვანი მოღვაწე და დიდი ადამიანი მისცა ჩვენს ქვეყანას. ოჯახში, სადაც იგი იზრდებოდა, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის განსაკუთრებული სიყვარული მეფობდა. მარიამს ბავშვობიდანვე შთაუწერეს ქართული ენისა და სამშობლო ქვეყნის სიყვარული.

ადრე დაქვრივებულ მარიამს აღსაზრდელად დარჩა ორი მცირეწლოვანი ვაჟი. მძიმე ხვედრს არ შეუშინდა ახალგაზრდა ქალი. მარიამმა თბილისს მიაშურა. მართალია, აქაც ნარ-ეკლიანი გზით უნდა ევლო, მაგრამ მის მოუსვენარ სულს მხოლოდ აქ შეეძლო ფართო სამოღვაწეო სარბიელი ეპოვა. მართლაც: სწორედ თბილისში გაიფურჩქნა მისი ნიჭი და უნარი.

მარიამი თანამედროვეთ აოცებდა საქმისადმი ერთგულებით.

სოფრომ მგალობლიშვილი ასე იგონებდა მარიამის მოღვაწეობას: „ვის არ ახსოვს მისი მოღვაწეობა ავჭალის აუდიტორიაში? თვით პირადად მიდიოდა ყველასთან, ეხვეწებოდა ემუშავათ ამ აუდიტორიაში, რომლისთვისაც დღე და ღამეს ასწორებდა, არც ჭამა იყო მისთვის, არც სმა, არც სახლი და პაწია შვილები, მისი ყველაფერი — აუდიტორია იყო. იმ დროს მარიამის თხოვნით მეც დავიწყებულა მუშაობა ავჭალის სახალხო თეატრში. მართლაც, მისმა მუყაითმა ძლიერმა ენერგიამ, მისმა ძლიერმა სიყვარულმა ფეხზე დააყენა ავჭალის აუდიტორია. ყველა მაშინდელ ახალგაზრდას, ვისაც კი რაიმე შეეძლო, ყველას მოუყარა თავი და აამუშავა“.

გიორგი ლასხიშვილი თავის ცნობილ „მემუარებში“ მარიამ დემურიას ასე ახასიათებს: „სახალხო თეატრის (ლაპარაკია ავჭალის აუდიტორიაზე) გამაგრებასა და გაუმჯობესებას საქმეშიც, როგორც მის დაარსების საქმეში, უდიდესი ღვაწლი, ვიმეორებ, მიუძღვის მარიამ დემურიას. იმ დროისათვის უზომო სიყვარულით იყო გატაცებული საქმისადმი და მთელი თავისი ენერჯია, რომლითაც უხვად იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან, ამ საქმეს მოანდომა. შეიძლება ითქვას, რომ სახალხო თეატრის ფეხზე დადგომისას და შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში, მარტო მარიამს ეჭირა ხელში თეატრის ასამოძრავებლად ჩარხი. ის შოულობდა საჭირო თანხას, ის ზრუნავდა სცენისათვის საჭირო მოწყობილობის მოსაპოვებლად, მას მოჰყავდა სცენისმოყვარენი, არტისტები, რეჟისორები. ის მართავდა რეპეტიციებს, ის იბრძოდა სახალხო კითხვათა კომისიაში“.

მარიამ დემურიას კარგად ესმოდა სახალხო თეატრის მნიშვნელობა. იცოდა, რომ სახალხო თეატრი ხელს უწყობდა ხალხის მომზადებას ახალი ცხოვრებისათვის. სწორედ ამიტომაც ბეჭითად ემსახურებოდა თეატრს, უმეტესად ეგრეთწოდებულ „შავ საქმეს“ ეწეოდა, სცენის რივიანად მოწყობაზე ზრუნავდა. წარმოდგენებს ლაზათიანად ჩატარებას უწყობდა ხელს. სცენის მოწყობილობანი, საჭირო ნივთები უმეტესად შეძლებულ ოჯახებიდან მოჰქონდა, ასეთი მუშაკი კი იმ დროს მეტად საჭირო იყო: ჯერ ერთი. სცენისმოყვარეებთან ურთიერთობა მოითხოვდა გულითადობას (სცენისმოყვარენი კი უმთავრესად მუშახელოსნები იყვნენ, რკინიგზელები ან კერძო ხელოსნები), საჭირო იყო დიდი ტაქტის გამოჩენა დარბაზთან ურთიერთობისათვის, სადაც ყოველთვის მოსალოდნელი იყო რაიმე ინციდენტი. მაყურებლებით სავსე ჰქრულ დარბაზს

მარიამ დემურია მუდამ „მშვიდობის ანგელოზად“ მოეწოდებოდა ხოლმე. ერთი მისი გამოჩენა ყოველთვის ყველასაგან თავაზიანობასა და პატივისცემას იწვევდა. მის საზოგადოებრივ, თავდავიწყებამდე გატაცებულ მუშაობას ქალური, დედობრივი სინაზეც ამკობდა. ასეთი თვისებაც იმ დროისათვის მეტად საჭირო იყო. შვილების აღზრდისათვის ზრუნვასა და საქვეყნო საქმისათვის სიბეჯითეს იგი ერთმანეთისაგან არ ჰყოფდა.

მარიამ დემურიას მოღვაწეობა სახალხო თეატრში გმირულ თავგანწირვას მოითხოვდა. სახალხო თეატრმა ბევრს აუხილა თვალი, ბევრს დაანახვა ნამდვილი ცხოვრება. ამის ნათელი დადასტურებაა დემნა შენგელაიას მოგონება: „აქ გავახილე პირველად თვალები და ვინილე ქვეყანა უცნაური იმედებითა და ბრძოლის ყუჩინით დანთებული. სახალხო სახლმა მასწავლა, რომ ცხოვრება არ არის სანახაობა, რომ იგი შემოქმედებაა“.

სახალხო თეატრი გადაიქცა სკოლად. ამ სკოლაში ხალხი ვითარდებოდა გონებრივად, მალღდებოდა სულიერად, სწავლობდა ახალი, მომავალი ცხოვრების შინაარსს. ამიტომაც არ იშურებდა მარიამი ძალასა და ენერგიას სახალხო თეატრის ასაღორძინებლად, მის განსამტკიცებლად.

იმ დროს სახალხო კითხვას ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნიკო ხუდადოვი. იგი კარგ ექიმობასთან ერთად დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო, სარგებლობდა მშრომელი ხალხისა და ქართველი ინტელიგენციის სიყვარულითა და დიდი პატივისცემით. მარიამი მისი მარჯვენა ხელი გახდა, თავდაპირველად სახალხო კითხვის მოწყობის საქმე იკისრა. მისი თაოსნობით მუშებისათვის ეწყობოდა შეხვედრები, ლიტერატურული კითხვის საღამოები, საუბრები, უკითხავდნენ ლექციებს, მოთხრობებს. მარიამს სჯეროდა, რომ ამ ღონისძიებებს მუშებში ცოდნა და სინათლე შეჰქონდა. ასეთი გატაცებითა და უანგაროდ მონაწილეობდა ქალი-მოღვაწე სახალხო წარმოდგენების საქმიანობაში.

სახალხო კითხვებიც და სახალხო წარმოდგენებიც ძირითადად აკვალის აუდიტორიაში იმართებოდა. ერთ დროს ამ სახლში საჩაიე იყო მოთავსებული. ეს შენობა ადრე ქალაქისათვის შეუწირავს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ილია წინამძღვრიშვილს. მერე ექიმ ნიკო ხუდადოვის ხელში გადასულა, სადაც ლექციებს კითხულობ-



დნენ და ბუნდოვან სურათებს უჩვენებდნენ. შემდგომში ზუღა-  
დოვს შენობა სცენისმოყვარეთათვის დაუთმოა წარმოდგენების გა-  
სამართავად. ქართველ მოწინავე მუშებსა და ხელოსნებს იგი თე-  
ატრად გადაუკეთებიათ. თბილისის შუაგულში მოთავსებული სათა-  
ვალაზნაურო თეატრი სიშორისა და ბილეთების სიძვირის გამო  
ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებ ლარბებისათვის მიუწვდომელი  
იყო.

1893 წლის 23 სექტემბერს სცენისმოყვარეთა მონაწილეობით  
უფასოდ უჩვენეს ავქსენტი ცაგარელის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ  
ნახავ“.

„სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ“ შეიმუშავა წესდება, რომელ-  
შიაც ნათლად აისახა წრის დანიშნულება, სამოქმედო გეგმა და  
ამოცანები. ავქალის აუდიტორიამ მუშათა და გლეხთა ფართო მა-  
სების სიყვარული მოიპოვა, „ამხანაგობამ“ ასპარეზი თანდათან  
გააფართოვა. იდგმებოდა პიესები: „და-ძმა“, „არსენა“, „ადვოკა-  
ტები“. ყოველი წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა დივერტის-  
მენტები, სადაც მუშა-პოეტები კითხულობდნენ თავიანთ რევოლუ-  
ციურ ლექსებს.

ავქალის აუდიტორიამ დემოკრატიული ინტელიგენციის ყურა-  
დღებაც მიიპყრო. აქ მალე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ხალხურ  
წარმოდგენებს. მუშები და ინტელიგენცია ერთმანეთს ეჭიბრებო-  
დნენ, იღწოდნენ მშრომელი ხალხის განვითარებისათვის, მათი  
გათვითცნობიერებისათვის.

1895 წელს მეფის ხელისუფლებამ აკრძალა წარმოდგენების გა-  
მართვა ავქალის აუდიტორიაში. მაგრამ გამგეობის წევრებმა მათი  
ჩვენება 1897 წლის დასაწყისამდე ქალაქგარეთ გადაიტანეს.

სწორედ ამ დროს მოველინა მარიამ დემურია ავქალის აუდი-  
ტორიას შემწედ. სახალხო საქმისათვის არ იშურებდა ძალასა და  
ენერგიას. აწუხებდა ნაცნობ-მეგობრებს, ტკბილი სიტყვით თხოვდა  
დახმარებას.

მარიამი გახდა სახალხო თეატრთან ინტელიგენციის დამაკავში-  
რებელი. მაშინ ასეთი დაახლოება დიდად საჭირო იყო მსახიობთა  
გათვითცნობიერებისა და გარეგოლუციონერებისათვის.

საზოგადო საქმე მარიამ დემურიასათვის მაცოცხლებელი წყა-  
რო იყო, ამიტომაც ასე გულწრფელად იგონებს მას ილია ნაკაში-  
ძე: „მარიამ დემურია, სწორედ ჩვენი სინდისის ხორცშესხმული  
მხილება იყო. როდესაც კი შეხვდებოდით, თავის დღეში არ გაი-

გონებდით მის ჩივილს ან წუწუნს რამე თავისი საკუთარი მწუხარებისა ან დარდის გამო. მისი სამწუხარო და სადარდო ყოველთვის საზოგადო საქმე იყო, სახალხო თეატრი, სახალხო კითხვები, საბავშვო ჟურნალი. მარიამი ისე მხნედ და დაჟინებით გვთხოვდა საზოგადო საქმეში დახმარებას, რომ გულში დახმარების სურვილი უეჭველად გაგელვიძებოდათ, დაგავიწყებდათ საკუთარ საქმეებსა და მწუხარებას და კალამს ავალღებინებდათ ხელში, ან რაიმე სახალხო საქმეში მონაწილეობას მივალღებინებდათ“.

სიყვარულით, თხოვნით მიუყვანია სახალხო თეატრში მარიამს ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი და სხვები. ქართული თეატრის მესვეურთა მისვლას უფრო განუმტკიცებია მუშათა და ხელოსანთა სახალხო აუდიტორია. მარიამს უხაროდა თეატრის წინსვლა და ამ სიხარულს სხვებსაც გადასცემდა ხოლმე.

გაზეთი „ივერია“ წერდა: „მაყურებელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. სულ დაბალი ხალხი, უნდა ნახოთ, რა გულმოდგინებით ისმენს და ან როგორი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მოთამაშეთ! სწორედ სასიხარულო ამბავია და მით უმეტეს ხელი უნდა შეუწყოთ ამ კეთილშობილ საქმეს, რომ დაბალ ხალხში ფეხი მოიკიდოს კეთილშობილურმა გრძნობამ და განათლების მიღების სურვილი აღორძინდეს“.

არდადეგების დღეებში მარიამის ბავშვებმა კოტე ყიფიანის „დატრიალდა ჭარა“ დადგეს. ცაცა ამირეჯიბი მოხუცს თამაშობდა. ნატო გაბუნიას მოსწონებია ცაცას თამაში, შეუქცია. მარიამს ყურში ჩასწვდა ნატოს სიტყვები. „ჩამაცივდა, აღარ მომეშვა და თეატრში წამიყვანა. ასე დაიწყო ჩემი სცენური მოღვაწეობა“, — იგონებს საქართველოს სახალხო არტისტი ცაცა ამირეჯიბი.

მარიამი ყველას ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ხელმოკლე სტუდენტები მას „მფარველ ანგელოზს“ ეძახდნენ.

მამამ ოლია ლეჟავას დიდი გაჭირვებით დართო ნება, სცენაზე გამოსულიყო. აქ მთავარი როლი ითამაშა სოფრომ მგალობლიშვილის, გრიგოლ რციხილაძისა და დავით ნახუცრიშვილის თხოვნამ, თორემ ოლიას მამა არავითარ შემთხვევაში შეიღოს სცენაზე ფეხს არ დაადგმევინებდა. მაგრამ მსახიობ ქალს საარსებო საშუალება არ გააჩნდა, მამა ვერ ეხმარებოდა. აქაც მარიამმა გაუწოდა დახმა-

რების ხელი, ნიჭიერი ქალიშვილი საქმის მწარმოებლად აიყვანა, მალე პატარ-პატარა ნაწარმოებების თარგმნა და კორექტურის გასწორებაც მიანდო. ოღლა სარედაქციო მუშაობაში გაიწვრთნა და რედკოლეგიაშიც აირჩიეს.

მარიამმა ასე მიიყვანა ავჭალის აუდიტორიაში ბევრი ნიჭიერი ქალი — ელო ანდრონიკაშვილი, სოფიო როანიშვილი და სხვები.

თეატრის სიყვარულით შთაგონებული მარიამი არაფერს ერადებოდა, შიკრიკივით დარბოდა მსახიობებთან, ეხვეწებოდა არ დაეკვიანათ. ეზიდებოდა დეკორაციებს, ნაცნობებისაგან თხოულობდა ტანსაცმელს.

„დაახლოებით 1895 თუ 1896 წელს, — გვიამბობს ი. იმედაშვილი, — ივანე მაჭავარიანთან და ჩემთან ერთად, მარიამ დემურიაშვილმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო „სახალხო თეატრის რეპერტუარის“ (ე. ი. სახალხო სცენებზე წარმოსადგენად გამოსადეგ პიესების სიის) შედგენაში. სხდომები ხან მარიამ დემურიას ბინაზე იმართებოდა, ხან ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, სადაც ივ. მაჭავარიანი მსახურობდა, ხან ჩემს წიგნთსავაჭროში. ეს სია გიორგი მაჭავარიანმა გადასწერა. ერთხანს მე მქონდა, შემდეგ მარიამს გადავეცი.“

1896 წელს საზოგადოებრივ-სამწერლო საქმეებით ჩემი გატაცებისა და მოუტლელობის გამო სახალხო წარმოდგენების საქმეს მარიამი ჩაუდგა სათავეში.

მარიამ დემურიასთან ერთად გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილიც უნდა მოვიხსენიო. იმხანად ის იყო ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ ერთი მუდმივი თანამშრომელთაგანი, გაზეთის ფაქტიური ხელმძღვანელი, „ლალის“ ფსევდონიმით ცნობილი პუბლიცისტი.

ერთხელ მარიამი სცენაზედაც გამოუყვანიათ. ეს მაშინ, როცა თეატრს მსახიობი ქალები არ ჰყავდა და მათ როლებს მამაკაცები ასრულებდნენ. და მარიამიც, შეეძლო თუ არა, ყოველგვარ როლს ასრულებდა, ყოველგვარი გაჭირვების ტალკვესი იყო.“

სახალხო თეატრი დღითიდღე იზრდებოდა, ვეჯაკდებოდა. მარიამს მრავალი ახალი საქმე გამოუჩნდა, მაგრამ სახალხო თეატრზე ზრუნვა არ შეუწყვეტია.

ცხრაასიან წლებში ძმებმა ზუბალაშვილებმა კირკის (ამჟამად მარჯანიშვილის) ქუჩაზე სახალხო თეატრის შენობა ააგეს (დღევან-

დელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი). ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეებმა ამ სახალხო სახლში დაიდეს ბინა.

1909 წლის 4 აპრილს ახალ შენობაში პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს ნ. გოგოლის „რევიზორი“. პრემიერას დიდძალი ხალხი დაესწრო. მარიამს უხაროდა ნაამაგარი სახალხო თეატრის წინსვლა, აღმავლობა. იგი ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის თავმჯდომარე იყო.

1923 წელს, როცა სახალხო თეატრის დაარსების ოცდაათი წელი აღინიშნა, მარიამი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მისი ღვაწლი შესაფერისად მოიხსენიეს თეატრის საბუბილეო კომიტეტის, ქართული დრამის გამგეობის და თეატრალური დასის წევრებმა, აღნიშნეს, რომ მარიამი იყო სახალხო თეატრის დიდი მოამაგე, სასიქადულო ადამიანი და საზოგადო მოღვაწე. ზეიმის დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში მისი სამოქალაქო პანაშვიდი გადაიხადეს. სიყვარულით იგონებდნენ მარიამს, იმ ხანებში მასზე უამრავი წერილი და მოგონება გამოაქვეყნეს.

სახალხო თეატრში მუშაობის პარალელურად ნაძალადევში ყალიბდებოდა სახალხო ბიბლიოთეკა. მარიამმა ამ დიდ კულტურულ საქმესაც უანგარო ამაგი დასდო. მის პატარა ბინაში იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ლაპარაკობდნენ ჩვენი ხალხის კულტურისა და განათლების შესახებ, ერის ტკივილსა და კეთილდღეობაზე.

და აი, ერთ დღეს მარიამს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის მიუძღრთავს განცხადებით: „რადგან ნაძალადევში დიდი მოთხოვნილებაა ბიბლიოთეკისა, ექვსას კომლზე მეტი სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებული ქართველი მუშა ხალხი ცხოვრობს, გთხოვთ ამ ადგილას გახსნათ ბიბლიოთეკა“.

1901 წლის 7 იანვარს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გუბერნატორისათვის უთხოვია ნაძალადევში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის ნებართვა.

გუბერნატორს ხუთი თვის შემდეგ დაურთავს ნება, ისიც იმ პირობით, თუ ბიბლიოთეკა უფასო იქნებოდა.

ამასაც არ შეუშინებია დემურის ქალი. ილია ჭავჭავაძეც ამოსდგომია მხარში, საშუალებაც გამოუძებნია და წიგნების შეგროვება დაუწყია. ზოგს ფულადი დახმარებაც კი გაუწევია. წერა-კითხვის

გამავრცელებელ საზოგადოებას საკმაო რაოდენობის წიგნებ-  
უჩუქებია. ასე თანდათან შეუგროვებით წიგნება.

ანა ვლადიმერის ასულ ხუდადოვას 120 ცალი წიგნი შეუწირავს.  
მარიამს „ცნობის ფურცელში“ სახალხოდ მადლობა გამოუცხადებია  
ქველმოქმედი ქალისათვის.

1901 წლის 24 ივნისს ნაძალადევში (მაგისტრალის ქ. № 17)  
გაიხსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა. მუშებს დიდი ზეიმით  
აღუნიშნავთ ეს მოვლენა. გახსნას ილია ჭავჭავაძეც დასწრებია და  
ოქროს თუმნიანი შეუწირავს ბიბლიოთეკისთვის.

1902 წელს ჟანდარმერიამ რამდენჯერმე გაჩხრიკა ბიბლიოთეკა,  
დახურვაც დაუპირა, მაგრამ ნაძალადევის ბიბლიოთეკა მაინც არსე-  
ბობდა, მუშები მაინც იკრიბებოდნენ, კითხულობდნენ და გონე-  
ბრივად იწრთობოდნენ.

იმავე წელს მარიამ დემურისას რამდენიმე ლიტერატურული  
სალამო გაუმართავს თბილისის მაზრის უფროსის, ილია ჭავჭავაძის  
მეგობრის, ლევან ჭანდიერის ოჯახში. ლიტერატურულ სალამოზე  
ძირითადად ახალგაზრდები იკრიბებოდნენ. კითხულობდნენ ახალ  
ნაწარმოებებს, გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. ჭანდიერის მეუღლე  
პატრიოტი ქალი იყო, ხელგაშლილი, გულლიად უმასპინძლდებოდა  
ახალგაზრდა ლიტერატორებს.

ამ პერიოდში მარიამი პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხებითაც  
დაინტერესებულა. ბევრს კითხულობდა. სისტემატურად ესწრებო-  
და ივანე ზუბალაშვილის მეუღლის, ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის  
ნინოს მიერ ჩამოყალიბებული წრის მეცადინეობებს. წრეში ის-  
წავლებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. ხშირად  
იმართებოდა თეორიული მსჯელობანი. ამ საუბრებს გონებაგახსნი-  
ლი მარიამი ბევრ პრაქტიკულ საკითხში გაურკვევია.

1900 წელს მარიამის თაოსნობით შეიქმნა მოწინავე ქართველ  
ქალთა წრე, რომელსაც ქართული საბავშვო წიგნების გამოცემა  
დაუსახავს მიზნად. მარიამს ამ საქმეში ბევრი დაუინტერესებია.  
აკაკი წერეთლისათვის საჩხერეში მიუწერია, დახმარების ხელი გა-  
მოგვიწოდეთო. აკაკის თავის მხრივ იაკობ გოგებაშვილისათვის  
მიუმართავს. ამ წამოწყებას თანაგრძნობით შეხვედრია მგზნებარე  
რევოლუციონერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ალექ-  
სანდრე წულუკიძეც. იგი პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს  
სწერდა: „რადგან წრემ გადაწყვიტა ზღაპრების გამოცემით და-

იწყოს თავისი მოქმედება, ამიტომ მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ თქვენს მიერ შეკრებილი ზღაპრები გამოგვიგზავნოთ“.

მართლაც, დიდი ენთუზიაზმით ამუშავებულა მოწინავე ქალთა წრე და 1902 წელს გამოუცია „ზღაპრების კრებული“, რომელშიც შესულა: „ნაცარქექია“, „მუქთანორა ოსტატი და შეგირდი“ და სხვა ქართული ხალხური ზღაპრები. 1903 წელს ხელახლა გამოსულა ზღაპრების კრებული დასურათებული მხატვარ ოსკარ შმერლინგის მიერ.

მარიამი სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. ჯერ კიდევ 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია მოგონება ქართველ მწერალ ქალ ბარბარე ჯორჯაძეზე. იგი მოხიბლული ყოფილა ბარბარეს შრომისმოყვარეობით. მთელი მოგონება გამსჭვალულია პატივისცემით, სიყვარულითა და რიდით ამ მოამაგე ქალის მიმართ: „ლენქორანში ყოფნისას, — გვიამბობს მარიამ დემურია, — ვაკვირდებოდი ბარბარეს ცხოვრებას და სწორედ მაოცებდა მისი დაუღალავი შრომა. სამოც წელს გადაცილებული ადამიანი ჭაბუკის ენერგიით იყო სავსე. მთელ დღეს მოძრაობაში და საქმეში ატარებდა, ისე რომ ნახევარ საათსაც უბრალოდ არ დაკარგავდა.“

როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ქართველებსა და საქართველოს შესახებ, უნდა გენახათ, რა მხურვალე მონაწილეობას იღებდა ლაპარაკში. საშინლად აღელვებულს თითქოს ნაპერწკლები სცვიოდა თვალებიდან. მაშინ მე ალტაცებით ვუცქეროდი ქალბატონ ბარბარეს და თანაც ვფიქრობდი, რა ბედნიერი იქნებოდა ჩვენი სამშობლო, რომ ახლანდელ ქალებს ამისი მესამედი წრფელი სიყვარული გვქონდეს სამშობლოსი-მეთქი.

ბარბარე მომავლის იმედით ცხოვრობდა. მას არ უყვარდა წუწუნი. რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო, სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდა“.

ასევე დიდი სიყვარულით შეუქმნია მარიამ დემურიას თავისი მეორე ნაწარმოები „დაუღალავი მოღვაწე მართა“, რომელიც 1896 წელს გამოუქვეყნებია ჟურნალ „ჯეჯილში“. ნაწარმოებში მოცემულია ფრანგი ქალის ანა ბიუელის ცხოვრება, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ხალხის საკეთილდღეოდ ბევრი რამ გააკეთა, უწელიდა ავადმყოფებსა და დაჭრილებს, ეკონომიურად ეხმარებოდა გაღატაკებულ ოჯახებს.

მარიამი ძალზე დაინტერესებულა ამ ფრანგი ქალის ცხოვრე-

ბით, სულიერი ნათესაობაც უგრძნია მისდამი. ამიტომაც გააცნო სხვას მისი თავგადასავალი.

1911 წლის გაზეთი „თემი“ მარიამზე წერდა: „შეიტყობდა თუ არა ვინმე უსახსრობის გამო წვალობსო, საზოგადოებისათვის და ხალხისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებსო, მარიამ დემურია მუდამ იდგა მის გვერდით. ამხნევებდა, მატერიალურადაც ეხმარებოდა. თავად კი ეს სახსარი უნდა ეძია თავის გარშემო საზოგადოებაში“.

ასევე სიყვარულით გააცნო მარიამმა ქართველ ბავშვებს ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობარი, ინგლისელი ქალი მარჯორი უორდროპი. მარიამსვე ეკუთვნის მშვენივრად დაწერილი ბიოგრაფია ივანე მაჩაბელზე.

ამას მოჰყვა მის მიერ შექმნილი ორიგინალური მეცნიერულ-პოპულარული ნაწარმოები „პატარა მეცნიერი“ და მოთხრობა „ტასიკოს მამაცობა“.

სოციალურ თემაზე შექმნილი მისი მოთხრობები: „მხერხავო ლექსო“, „ბატონყმობის დროის ამბავი“, „პირველი გაფიცვა“, „ბაბა წაიყვანეს“ და სხვა ბავშვებისთვისაა გამიზნული, მაგრამ აქც მოზრდილები დარჩენილან გულგრილად მათი კითხვით.

მარიამს არა ერთი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა აქვს თარგმნილი დასავლეთ ევროპელი მწერლებისა. მას სურდა ბავშვებისათვის ეჩვენებინა, რომ ცოდნა უკეთესი მერმისის ლამპარია.

ცოდნის შეძენა არც ისე ძნელია, თუ მოინდომებ. ამ აზრს ატარებდა მოთხრობა „ახალი მიბარებული“, რომელიც მან რუსულიდან თარგმნა.

მშრომელი ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა ჩანს სხვა თარგმანებში — „ლარიბი ხალხი“, „იასამანი...“

მარიამ დემურია წერდა და თარგმნიდა პიესებსაც. მისი საბავშვო პიესები გამოქვეყნებულია 1922 წელს გამოცემულ წიგნში — „ქართული საბავშვო პიესათა კრებული“.

ბუნებით პოეტური სულის მარიამი, მთელი დღის ნაწრომ-ნაჭაფარი, ლიტერატურული შემოქმედებისათვის მხოლოდ ღამით თუ მოიცლიდა. გათენებამდე წერდა, თარგმნიდა. საბავშვო მოთხრობებსა და პიესებს აქვეყნებდა „ჭეჭილსა“ და „ნაკადულში“.

მარიამ დემურიას პატარა ბინა მუდამ სავსე იყო სტუმრებით.

სწორედ ასეთ შეკრებაზე გამოითქვა აზრი მეორე საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ გამოცემის შესახებ.

მარიამის თაოსნობით ჟურნალ „ჩეჩილის“ გვერდით 1904 წლიდან გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ნაკადული“.

ჟურნალს ბევრი ნათლია გამოუჩნდა. აკაკი „ნამის“ დარქმევას მოითხოვდა, ივანე მაჭავარიანმა „წყარო“ ჯობსო. მარიამს კი „ნაკადული“ მოსწონდა. სოფრომ მგალობლაშვილი მარიამს უწერდა მხარს.

ამის გამო აკაკის უოხუნჯია: „კარგი „ნაკადული“ „ჩეჩილს“ კარგად მორწყამსო და კარგი მოსავალი იქნებაო“.

„ნაკადულის“ პირველი ნომერი მცირეწლოვანთათვის გაიხსნა შიო მღვიმელის ლექსით „ნაკადული“.

იდეურად და მხატვრულად ჟურნალი ცხოვრების მკვიდრ ნადაგზე იდგა, ბავშვებს აცნობდა მშრომელი ხალხის ცხოვრებას, მდიდართა გაუმაძღრობას, კეთილისა და ბოროტის ბრძოლას. ჟურნალი ბავშვებს უფართოებდა გონებრივ ჰორიზონტს. „ნაკადული“ ბავშვებს ასწავლიდა სამშობლოს, მშობლიური ენისა და შრომის სიყვარულს. „ნაკადულმა“ ამის გამო მალე დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული და მხარდაჭერა. ყველაფერი ეს თავისთავად არ მოსულა. მარიამი რაზმავდა და ინტერესს უღვიძებდა ქართველ მწერლებს, ეზრუნათ და ეწერათ ბავშვებისათვის გასაგები ენით. და მწერლებიც არ იშურებდნენ ნიჟსა და ენერჯიას.

ვინ იცის, რამდენი ვედრებით სავსე წერილი მიუწერია მარიამს სოფრომ მგალობლაშვილისათვის, რომ „ნაკადულისათვის“ რაიმე დაეწერა. თვით სოფრომი ასე იგონებდა მარიამს: „როგორც მე მაწერიებდა და მეხვეწებოდა, ისე კიდევ სხვებს თავზე კაკალს ამტკრევდა, რომ უსათუოდ მიეწოდებინათ მასალა. სწორედ, რომ ასეთი ენერჯიითა და სულის ძალით დაჯილდოებული ადამიანი იშვიათად შემხვედრია“.

დაბრკოლებაც ბევრი იყო მუშაობაში, ხან ქალაქის ნაკლებობას განიცდიდნენ, ხან შესაფერის მასალისას. მარიამს თვითონ მიჰქონდა სტამბაში ანაბეჭდები, კლიშეები, თვითონ ასწორებდა კორექტურას, თავზე ადგა ასოთამწყობებს.

ქართველი ბავშვები სიხარულით მოელოდნენ ჟურნალის ყოველ ახალ ნომერს, მარიამის სიყვარული ბავშვებისადმი ყველა ნომერს ეტყობოდა. ყველა ლექსში, მოთხრობაში, ყველა ზღაპარში



ჩანდა მისი მშობლიური მზრუნველობა. მარიამის სახით ბავშვებს ჰყავდათ დედა, რომელიც ურიცხვ შვილთა რუღუნებაში ათენებდა და აღამებდა.

იაკობ გოგებაშვილის თანამოაზრეს, მარიამ დემურიას, კარგად ესმოდა, რომ ნორჩი თაობის მისაწვდომი ქართული წიგნი საბუნებისმეტყველო საძებარი იყო და ყოველმხრივ ცდილობდა „ნაკადულის“ მეშვეობით მაინც ასე თუ ისე შეეცაო ეს დიდი ნაკლი.

მარიამ დემურიას „ნაკადულში“ სამოღვაწეოდ მოუწვევია აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკოლოზი, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, შიო მღვიმელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნინო და ილია ნაკაშიძეები... ნინო ნაკაშიძის თქმით, ვერ ნახავდით მწერალს, რომელსაც საპატროდ არ მიაჩნდა აქ მუშაობა...

ვაჟა--ფშაველა „ნაკადულის“ მეშვეობით ებაასებოდა ნორჩებს, უყვებოდა ტირიფზე, წყაროზე, იაზე, ბუნების სილიაღესა და დღესასწაულზე.

ბავშვების საყვარელი მწერალი იროდიონ ევდოშვილი მოზარდებს ასევე ცოცხლად, ნათლად წარმოუდგენდა განაჯხულის, შემოდგომისა და ზამთრის სურათებს.

ცნობილი ბელეტრისტი ია ეკალაძე აღფრთოვანებით წერდა ნიკოლოზს: „გმადლობთ, ჩემო მასწავლებლო, იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ამ მოთხრობით მაგრძნობინეთ. ახლა რომ თქვენთან ვიყო, ხატივით გემთხვევოდი მაგ გადატყეცილ შუბლზე. ერთხელ კიდევ გმადლობთ“.

ასე ისახებოდა ნორჩთა გულებში თანაგრძნობა და სიყვარული ჩაგრულისადმი. მაგრამ მართო თანაგრძნობა და სიყვარული არ კმაროდა. „ნაკადული“ თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლას აჩვენებდა მომავალ თაობას.

როცა 1905 წლის რევოლუციამ მოიცივა მთელი საქართველო, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამოძრავდა მთელი ერი, ბრძოლაში ახალგაზრდებიც ჩაებნენ. ბავშვებისათვის თურა სულიერი საზრდოს მიწოდება შეეძლო „ნაკადულს“, ამაზე ფიქრობდა მარიამი, ამაზე მსჯელობდნენ რედაქციაში და აი, ყურნალშიც გაბედულად, ვაჟაკურად გამოჩნდა ასეთი სტრიქონები:

„გასწი, ჩიტუნი, გაფრინდი მალა,  
კვლავ გამაგონე ტბილი ვალობა  
მალა ზევიდან გვახარე მეტყველო:  
თავისუფლება! ძმობა ერთობა!..“

ასევე ბრძოლის სურვილს განუმტკიცებდა მოზარდებს 1905 წლის მეექვსე ნომერ „ნაკადულში“ გამოქვეყნებული თამარ ლოლაძის „პაწია ზღაპარი“. სიმართლისადმი, თავისუფლებისადმი სწრაფვას ქადაგებდა ამავე ნომერში დაბეჭდილი ნინო ნაკაშიძის ზღაპარი „წყლის პეპელა“.

მართალია, პირველი რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა. უსამართლობის დასათრგუნავად აღმდგარი ხალხი არ ცხრებოდა. მოწაფეები ხარბად ეწაფებოდნენ, ინტერესით ეცნობოდნენ გამარჯვების რწმენით შთაგონებულ ლექსებს.

ასე იქმნებოდა ბავშვებისათვის მხატვრული ნაწარმოებებზე, მეცნიერულ-პოპულარული წერილები და ნარკვევები. მარიამიც სიყვარულით წერდა და თარგმნიდა მოთხრობებს ბავშვებისათვის. ეს სულიერი საზრდო „ნაკადულს“ შერჩევით მიჰქონდა ნორჩ მკითხველამდე. ბავშვების სიხარულით ხარობდა მარიამი.

1904 წლის 29 აგვისტოს აკაკი წერეთელს გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია წერილი სათაურით „მცირე რამ“. ამ წერილში დიდი პოეტი წერდა: „მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზეც ქალები გვჯობნიან... ერთი მარიამ დემურია უდრის მრავალს მოღვაწე კაცთაგანს“.

აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა მარიამ დემურიას მოღვაწეობას.

ასევე ყველა წამოწყებაში მხარს უჭერდა მარიამს იაკობ გოგებაშვილიც. სახალხო კითხვათა კომისია იქნებოდა ეს, სახალხო თეატრი, ლარიზ მოსწავლეთა დახმარების საზოგადოება თუ საკვირაო სკოლები. „ნაკადულის“ გამოცემის საქმეში იაკობ გოგებაშვილმა მარიამს ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

მარიამი რჩევისა და დარიგებისათვის დიდ ილიასაც ხშირად მიმართავდა ხოლმე. ილია ჩვეული სიდიხით მოუსმენდა, მის თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებდა. მარიამს უყვარდა ილია ჭავჭავაძე, როგორც მზრუნველი მამა, 1907 წელს, როცა დიდი პოეტი გარეწრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს, მარიამი ცრემლად იღვრებოდა.

მარიამი აღმერთებდა ვაჟა-ფშაველას. ვაჟაც გრძნობდა მარიამის სიტბოს, ხშირად უზიარებდა თავის გულის ნადებს და ახლობლად მიაჩნდა. მარიამს შეეძლო ადამიანის სულში ჩახედვა, ოცნებათა ამოკითხვა, გულის კუნჭულში მიმალული საიდუმლოების ამოცნობა.

ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებაში მარიამს დაუცხრო-  
მელ ქველმოქმედს ეძახდნენ.

ამდენი საქმის მოთავე ქალი მაინც ვერ ისვენებდა; კიდევ მეტის  
გაკეთება სურდა, მუდამ რაღაც აწუხებდა, ოცნებობდა და ოცნე-  
ბაში ახალი აზრი იბადებოდა, მან გადაწყვიტა ღარიბი სტუდენ-  
ტების სასარგებლოდ ფონდი დაეარსებინა, არ ივიწყებდა არც მე-  
გობრებს, ყველასადმი ყურადღებიანი იყო.

„ხე ფესვებით ცოცხლობს, მე კი — მეგობრებით“, — ამბობდა  
მოამაგე ქალი.

სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გაუძლო მისმა ჯანმრთელობამ იმ და-  
ძაბულ შრომას, რომელსაც ეწეოდა, 1910 წელს იგი გარდაიცვალა.

ვისაც კი მარიამ დემურჩიას სურათი უნახავს, არ შეიძლება არ  
მოხიბლულიყო მისი ლამაზი, სანდომიანი, მეტყველი სახით, სუ-  
ლიერად ასევე ლამაზ და საყვარელ ადამიანად წარმოგვიდგება იგი  
მთელი თავისი მღელვარე ცხოვრებით.

## გიორგი ჭუჩიშვილი

გიორგი ჭუჩიშვილმა თავისი შემოქმედებით მტკიცედ დაიმ-  
კვიდრა გარკვეული ადგილი რევოლუციურ პოეზიაში. იგი იყო  
ნამდვილი პოლიტიკური ტრიბუნი. მისი ლექსები თითქმის ყოველ-  
თვის ურნალ „თეატრი და ცხოვრების“ პირველ გვერდზე იბეჭ-  
დებოდა, როგორც ბუქნალარა, როგორც მოწოდება, როგორც ლო-  
ზუნგი.

თვითმპყრობელობის რეაქციის სასტიკ მუხრუჭებში არ შეწყვე-  
ტილა გიორგი ჭუჩიშვილის ჩანგის ჟღერა, მისი ნათელი, გარკვე-  
ული, ანკარა წყაროსავით მომდინარე ბრძოლის ყიჟინა ყველას  
გულს სწვდებოდა. იგი მოწმე და თანამოზიარე იყო მშრომელი  
ადამიანების მიძიმე ყოფისა, ხალხის გატაცებული სწრაფვისა თავი-  
სუფლებისაკენ. ცხოვრების დუღილმა მისცა პოეტს მდიდარი მა-  
სალა მხატვრული შემოქმედებისათვის.

თავის მხატვრულ ნაწარმოებებში გიორგი ჭუჩიშვილი რეალის-  
ტურად ასახავდა ცხოვრების მიძიმე სურათებს, თვითმპყრობელობის

სუსხს, რომელიც სისხლითა და ოფლით რწყავდა შავ ჭურღმულებსა და სარდაფებს, მაგრამ ხალხის მასებში მაინც უტეხი იყო ნებისყოფა და ძლიერი სული: „არ გამქრალა ხსნის იმედი; არ გამქრალა შრომის კერა! კვლავ გუზგუზებს ცეცხლის კერა, ბრძოლის ხმაზე სკექს სიმღერა“.

ჩაგრულთა გამარჯვების მტკიცე რწმენით ყოფილა გამსჭვალული გიორგი ქუჩიშვილის მთელი პოეტური შეგნება. მას სწამდა, რომ წარღვნის შემდეგ გამოვიდოდა მზე, რომელიც მოსპობდა სიბნელეს, გაანათებდა ქვეყანას. პოეტს ისიც კარგად ესმოდა, რომ ეს მომავალი თავისთავად არ მოვიდოდა, მოთმინებით, ბრძოლის გარეშე: „მე პოეტი ვარ მომავალი ქარიშხალისა, დიდ საავდროდ გამოქროლილი უნდა ცეცხლს მივცე მთა ღრუბლებით ჩამოწოლილი, რომ წარღვნის შემდეგ მზე გამეფდეს მომავალისა...“

პოეტი თავისთავს აცხადებს ახალი ქარიშხლის წინამორბედად. ღრმად სწამს, რომ რევოლუციის გამარჯვება მრავალტანჯული ხალხის გამარჯვებას მოასწავებს:

ჩვენი ძველი სიმღერები,  
ჟილაჯო მოთქმას ჰგავდა;  
ხარხარებდნენ გესლით მტრები  
და ეს ხმები გულს გვიკლავდა.  
და დასქევე სხვა სიმღერა,  
აფეთქების ცეცხლს რომ ჰხადებს,  
ბრძოლის ქარმა დაუბერა  
და მოედო ბარაკადებს.

გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილად,  
გასრესილი ვღია მტერი;  
სხვისთვისაც ჰქუხს ასე ტკბილად  
შრომის მრავალუამიერი“.

პოეტში დღეებსა და ღამეებში ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ უნაზესი ღმერთები და დიორატორული სტიქია, გულში ჩამწვდომი შთამაგონებელი კარგად და პუბლიცისტური ლოზუნგები:

თავისი ცხოვრებიდან გიორგი ქუჩიშვილი ერთ ასეთ შემთხვევას გვიამბობს:

აქრთხელ ზუზუნაშვილების სახელობის სახალხო სახლში (ამჟამად კრტიშვილის სახელობის თეატრი) რომელიღაც სა-

ლამოზე მომიხდა გამოსვლა. ისეთი აღფრთოვანების ქარიშხალი გამოიწვია მუშებში ჩემი ლექსის წარმოთქმამ, რომ გავიფიქრე: თუ ახლავე თავს არ ვუშველე, დაქერას არ ავცდები პოლიციისაგან-მეთქი. ქუჩაში რომ გამოვედი, იქაც მესმოდა ტაშის გრიალი. ჩემი გარეთ გამოსვლა და ბოქაულის შეჭრა თეატრის კულისებში ერთი ყოფილა. იგი აღშფოთებული მივარდნილა ადმინისტრატორთან და მოუთხოვია ჩემი გადაცემა“.

ასეთი შემთხვევები ხშირი ყოფილა პოეტის ცხოვრებაში, რადგან საქველმოქმედო მიზნით ხშირად იმართებოდა სალიტერატურო დილა-სალამოები, როგორც თბილისის თეატრებში, ისე საქართველოს მთელ რიგ დაბა-ქალაქებში. ამდაგვარ დილა-სალამოებს გიორგი ქუჩიშვილიც მართავდა. ეს დაუდევარი მგოსანი-ტრიბუნი ყველგან აღტაცებას იწვევდა, ხან ატირებდა აუდიტორიას, ხან შურისძიების ცეცხლით ანთებდა. საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, სადაც გიორგი ქუჩიშვილი რამდენჯერმე არ გამოსულიყო, მას საქართველო შემოვლილი ჰქონია არა როგორც ცნობის-მოყვარე მოგზაურს, არამედ, როგორც ტრიბუნ-მგოსანს.

ყური მიეუღდოთ იოსებ გრიშაშვილს. აი, რას იგონებს იგი: „არც ერთ დეკლამატორ პოეტს არ ჰქონია ისეთი დიდი წარმატება, როგორც გიორგი ქუჩიშვილს. გამონდებოდა თუ არა ტანმალღალი, მთლად ჩონჩხად ქცეული, გაყვითლებული, პოეტი, მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ოვაციებით ხვდებოდა. მისი მგზნებარე ტემპერამენტით წარმოთქმული ლექსები ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მუშათა კლასს და მალამოსავით ეღებოდა: ყველა მშრომელის გულს.“

ამ სალამოებზე, როგორც ყოველთვის, გაისმოდა გიორგი ქუჩიშვილის მკვეპარე და იმედიანი ხმა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ორიგინალური სახე, ტრიბუნაზე ხელაღმართული, მასებს რომ მოუწოდებდა ბრძოლისა და შრომისაკენ.

ჩვენ ერთმანეთს უფრო დავუახლოვედით პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის სუსხიან წლებში, ზოგი ამხანაგი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, ზოგმა კულტურულ დაწესებულებას შეაფარა თავი და ჩვენ, ორივენი, ქართულ თეატრში შევედით: მე მოკარანახეთ და გიორგი — არტისტად. ეს იყო 1907—1908 წლებში, ჩვენი პოეტური კარიერის პირველ წლებში...“

„გიორგი პოეტური მოღვაწეობის გზას რომ არ დადგომოდა,—

წერს ცნობილი მწერალი დ. თურდოსპირელი, — უეჭველად მსახიობობას მოჰკიდებდა ხელს, ქართულ თეატრს შეეწირებოდა. მთელი თავისი მღელვარე ცხოვრება სცენაზე შემოქმედებით წვაში დაიფერფლებოდა“.

გიორგი ქუჩიშვილი ერთხანს თავის ძმასთან — დავითთან ერთად თანამშრომლობდა. (სტატიტად) თბილისის ქართულ თეატრში, რომელსაც ამშვენებდნენ გამოჩენილი რეჟისორები ვ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ს. ყანჩაველი და სხვები. ისინი მცირე როლებსაც აკისრებდნენ გიორგის. უფრო გვიან გიორგი ქუჩიშვილს მიხეილ. ჭიაურელის კინოსურათში „უკანასკნელი მასკარადი“ ჩინებულად შეუსრულებია მუშა-რეჟოლუციონერის როლი. ასევე წარმატებით უთამაშია თავის მიერ დადგმულ ალექსანდრე ყაზბეგის პიესაში „არსენა“, პეტრე მოურავის როლი, ხოლო სოფელ მერეში წარმოუდგენია ერთ-ერთი პიესა და მთავარი როლი სიკვდილი საინტერესოდ განუსახიერებია...

გიორგი ქუჩიშვილს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა იატაკქვეშელთა სასარგებლოდ გამართულ სალიტერატურო საღამოებში: ქუთაისში, ბაქოში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში.

გიორგი ქუჩიშვილის მაშინდელი ლექსები ჯერ მხოლოდ დეკლამაციას წარმოადგენდა: პოეტი ოცნებობდა: „მსურს ხმა მდგარი სიმღერა ჩემი ცის რისხვით ჰექდეს, გრგვინავდეს!.. ფრთება შეისხას შურისძიებამ, მტერს და მუხანათს ჰკვეთდეს, ჰყინავდეს! მსურს ჩემთან ერთად ჩემი ფანდური ქვეყნის წუხილით მოსთქვამდეს, წუხდეს!.. დაჰქვეითინებდეს გმირთა საფლავებს, ერს აღვიძებდეს... საომრად ქუხდეს...“

ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს თავისი ლექსისათვის — „მძულს“, ეპიგრაფად წარუმიძღვარებია ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“. ამით მას მკაფიოდ განუსაზღვრავს საკუთარი პოეტური და მოქალაქეობრივი მრწამსი. ეს აზრი კიდევ უფრო მკვეთრად გამოკვეთილია ლექსში „წინამორბედი“.

ზოგჯერ პოეტის ბინაზედაც ეწყობოდა არალეგალური კრებები. მისი მეუღლე ვასასი რამიშვილიც ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში. თვით გიორგი ქუჩიშვილიც ავრცელებდა პროკლამაციებს. ამისათვის პოეტს არაერთგზის დაუპირეს დაპატიმრება.

და აი, 1914 წელს გიორგი ქუჩიშვილი, როგორც არსებული

წესწყობილების წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი, დაუპატიმრებიათ და ერთხანს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჩაუსვათ. განთავისუფლების შემდეგ იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

მართალია გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედების ძირითადი ჟანრი სოციალ-პოლიტიკური ლირიკაა, მაგრამ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი პოემებსა და პროზასაც უჭირავს.

წარსულ სოციალურ ბრძოლას ასახავენ პოემები: „შავი სამეფო“, „9 იანვარი“, „პროლეტარიატი“, „ოქტომბერი...“

მეფის ჯარებთან რევოლუციონერის შეტაკება და დაღუპვა აღწერილი პოემაში „რისთვის“, თავის დროზე ამ ნაწარმოებმა გარკვეული როლი შეასრულა მებრძოლი მასების გასამხნეებლად.

გიორგი ქუჩიშვილის პირველი ლექსები 1906 წელს დაბეჭდილა დავით თურდოსპირელის ინიციატივით მოწაფეთა არალეგალურ ჟურნალ „მახვილში“. სისტემატური ბეჭდვა კი 1907 წლიდან დაუწყია. ამასთან დაკავშირებით თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში გიორგი წერდა: „1907 წლიდან დავიწყე მუშაობა რედაქციაში. პირველად ვიყავი დარაჯად შემდეგ გაზეთების დამტარებლად, ბოლოს კონტროლიორად. ამავე დროიდან ამავე გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა ჩემი ნაწერები. არამცთუ ჰონორარს, ჯამაგირსაც არ ვიღებდი. ხშირად სულიერ-იდეური სიმძლავრე სძლედა ხორცეულ შიმშილს“.

გიორგი ქუჩიშვილს, ვიდრე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდოდა, მეტად რთული და გაჭირვების ვრცელი გზა გაუვლია. საშინელი სიდუხჭირე და მჩაგვრელთა სიმკაცრე უწყვეტია.

ულარბესი ოჯახის შვილს, მამით ადრე დაობლებულ გიორგი ქუჩიშვილის დედას, მიუხედავად მძიმე მატერიალური პირობებისა, იმ მიზნით, რომ შვილები უსწავლელი არ დაეტოვებინა, მცირე-წლოვანი გიორგი სხვა შვილებთან ერთად „ფურგუნით“ თელავიდან თბილისში ჩამოუყვანია და ავლაბრის ერთ-ერთ ნახევრად მიწურ ოთახში ქირით დაბინავებულა.

აი, როგორ აღწერს პოეტი თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში „ხვედრი სასტიკი“, თავისი ოჯახის აუტანელ პირობებს: „ჩვენ უსინათლო მიწურ ჯურღმულში კედლებსაც ჩვენებრ ცრემლი სწყდებოდათ; სინესტის შმორი სუფევდა გულში, უპაერობით სული გვხდებოდა“.

პოეტის სავალალო მდგომარეობა ასევე ნათლად არის გამოხატული ლექსში „უიმედო შიმშილი“: „უილაჯო, ფიქრებში გახვეული, დავლასლასებ, როგორც ქუჩის ირაო; შიმშილი. მკლავს, აღარ მომდევს სხეული! — ვის მივმართო, ვის რა დაუგირაო? ერთადერთი ჩემი ავლა-დიდება ლექსებია, — ვფიცავ პატიოსნებას, — მაგრამ იგი არსად არ იყიდება, ლუკმა-პურად მრჩება ისევ ოცნება“.

დედას თბილისში ნაცნობ-ნათესავთა დახმარებით ყველა შვილი სხვადასხვა სასწავლებელში მოუწყვია. უფროსი ვაჟი, ლევანი კი ამ დროს ნოვოსიბირსკში მუშაობდა მჭედლად და რეაქციის პერიოდში ორგანიზაციის დავალებით ჯარისკაცთა შორის ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას.

თბილისში გიორგი ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელში შეუყვანიათ, მაგრამ მას აქ არავითარი ცოდნა არ მიუღია, სასწავლებელში გამეფებული ყოფილა მკაცრი რეჟიმი, რის შედეგად ყმაწვილი ხშირად ყოფილა გამომწყვდეული სკოლის საპატიმროში. არც ცემა-ტყეპას აკლებდნენ. ყოველივე ამას თან ერთვოდა ოჯახის გაჭირვება.

სამოქალაქო სასწავლებელში გიორგის ორი წელი დაუყვია და ქირის გადაუხდელობის გამო სწავლისათვის თავი დაუწებებია.

სკოლის გარეთ დარჩენილმა ბავშვმა შრომას მიჰყო ხელი, ხელზე მოსამსახურის მწარე ხვედრი გამოსცადა. ვინ მოთვლის, სად არ ყოფილა მოჯამაგირედ თუ შეგირდად: მეწვრილმანესთან, ბაყალთან, მენახშირესთან, მენავესთან, ღვინის სარდაფში (ბოთლებისა და ჯამების მხეხავად), სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანაში, ზეინკალთან, ოქრომჭედელთან...

დიდხანს ვერსად ვერ გაუძლია მკაცრი პირობებისა და ხაზინოსტატების უხეში მოპყრობის გამო. ხშირად მთელ თვეებს უმიზნო ხეტიალში კარგავდა, რასაც სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა ქაბუკი.

და აი, 1902 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ სამებალეო-პრაქტიკულ სკოლაში შესულა.

ერთხელ გიორგი ქუჩიშვილი სასამართლოშიც კი მოწყობილა გადამწერად, მაგრამ მისი ბუნება ვერ შეგუებია ბიუროკრატიული აპარატის მოხელის პროფესიას და მიუტოვებია იგი. 1907 წლიდან კი თბილისის რედაქციებში დაუწყია მუშაობა ჯერ დარაჯად, შემდეგ გაზეთების დამტარებლად და ბოლოს კორექტორად.



როგორც უკვე ითქვა, გიორგი ქუჩიშვილს კლასიკური განათლება ვერ მიუღია, ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი ქუჩას მიჰკედლებია. აქი პოეტსაც დაუფარავად უთქვამს ეს თავის ერთ-ერთ ლექსში „ქუჩის მელოდია“. „ბნელ ქუჩებში სძინავთ გლახაკებს, სძინავთ ჩვრებში, ძაგდაგებენ, ქუჩებში ყრიან, ძილშიც კი ცრემლებს ღვრიან, მეც აქ ვიშვი... ამ უბნებში გამოვკვართე ჩემი ჩანგი, მისთვის ისმის ქუჩის ხმებში ქუჩის შვილთა მგოსნის ჰანგი“.

ეს იყო გაფიცვების, დემონსტრაციების, ბარიკადების ქუჩა. აი, ამ რევოლუციურ ქუჩას გულისხმობდა პოეტი, როცა წერდა: „ქუჩიშვილებს ქუჩა გვიყვარს, ქუჩა არის დედა ჩვენი, მომავლისკენ ის წაგვიყვანს, რომ ვიხილოთ მზე სხივმფენი“.

იგი რწმენის ცეცხლს უღვივებდა „რწმენა-იმედ დაკარგულებს“. გიორგი ქუჩიშვილისათვის ქუჩა მისი ფაქიზი ბუნების სულიერი საზრდოც ყოფილა. ქუჩაში დაუნახავს ახალგაზრდა პოეტს უსახლკარო, მშიერ-მწყურვალი ადამიანები — ე. წ. „ცხოვრების გერები“. და თავისთავისათვის „ქუჩიშვილთა მგოსანი“ ამიტომაც უწოდებია.

გიორგი ქუჩიშვილი ამ პერიოდში ქმნის ლატაკთა და ტვირთში-დავთა მწარე ხვედრის ამსახველ პოეზიას: „ბრმა მემუსიკე“, „სა-ცოდავი“, „მეეტლეთა ცხოვრება“, „გადასახლებულის დღიური“, „მეძავი“, „მათხოვარი“, „ქუჩის მომღერალი“, „ქუჩის ბავშვი“, „ქუჩის ნანინა“, „ქუჩის მელოდია“ — ლექსების ეს ციკლი ლაიტ-მოტივია მთელი მისი შემოქმედებისა. „მათ გარეშე გ. ქუჩიშვილის წარმოდგენა შეუძლებელია, უქუჩოდ ქუჩიშვილის პოეზია მოისპობოდა“, — ვკითხულობთ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“. აქ მას იგივე სიტყვები შეუძლია გაიმეოროს, რომელსაც სწერდა დიკენსი თავის მეგობარს ფოსტერს: არ შემიძლია გადმოგცეთ, თუ რა რიგად არიან საჭირო ჩემთვის ქუჩა და ხალხი. მე მგონია, რომ ისინი ჰკვებავენ ჩემს ტვინს, რომლის დაუქმყოფილებლობაც ჩემთვის აუტანელი შეიქნებოდა“.

„თეატრი და ცხოვრება“ განაგრძობს:

„ყველგან და ყოველთვის ქუჩიშვილი ქუჩასთან განუყრელია. იგი მას უტრიალებს და მას ეტრფის, მას ეალერსება, მის ყოველ კუნჭულში იხედება იგი. აჰა, არავინ დამრჩეს დაუტირალიო, და ეს ქმნის ქუჩის პოეზიას.“

დიახ, ქუჩიშვილი მხოლოდ ქუჩაში უნდა იყოს, რომ მის შვილებს ადევნოს თვალ-ყური, ქუჩიდან მივიდეს სახელოსნოსთან და ყური უგდოს სევდიან ღიმილს ან მწარე კეითინს, იმედია სიტყვა გააგონოს ჯავრისაგან მოღლილთ, ეს დღისით, მაგრამ გ. ქუჩიშვილი არც ღამე სტოვებს ქუჩას, ღამითაც, როდესაც „ბნელ ქუჩებში“ სძინავთ გლახაკებს, სძინავთ ჩვრებში და ყინვაში ძაგძაგებენ, ქვეებზე ყრიან და ძილშიაც კი ცრემლებს ღვრიან, მაშინაც გაისმის ქუჩის ჰანგი ქუჩიშვილისა, იგი თავს ევლება მძინარ გლეხებს და ღამობს მათი ცრემლების მოწმენდას, მაგრამ გ. ქუჩიშვილი ქუჩაში მხოლოდ იმიტომ კი არ გამოსულა, რომ მარტო მისი კენესა გაიგოს. იგი მისი ტრიბუნიც არის, უხვად ფანტავს ბრძოლის ჰანგებს, ხალხს თავისკენ მოუხმობს, ბრძოლის ცეცხლით ალაგზნებს მათ გულებს. ამიტომ არის მისი მუშა, მისი ქუჩის შვილი ისეთი ძლიერი, ამაყი და ქედმოუხრელი. ნუ მოელოთ, რომ მისმა მუშამ შებრალება გთხოვთ. არა — „გაეწვორდეთ ბედოვო“, აი რას უყივის იგი ცხოვრების სათავეში მღვარ, უსამართლო, ბრმა ფორტუნას“.

და ამის შემდეგ განა ის საღი მხნეობის ხმა გასაკვირია, რომელიც მას ამოსკდება?

„ნუ, ნუ მიბრალებ, ნუ გგონივარ

მონა მორჩილი,

მონა ჯაბრალო, ცრემლის მღვრელი.

სუსტი უღონო!

თუ მუშა მქვიან, მუშა ურჩი, ზიზღით აღვსილი,

მე მსურს სიტყვა მეთქვა, გესმით?

სიტყვა საგასაგმინო.

ხომ გაიგეთ მძლე სიტყვა მუშისა? ხომ ხედავთ

მედიდურ მსელელობას შრომის შვილთა ლეგიონისას?

მაგრამ ქუჩიშვილთა თემა მაინც არ ყოფილა მთავარი პოეტის შემოქმედებაში. იგი, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციური მუშათა კლასის პოეტი-ტრიბუნი. იგი, შურისძიების გრძნობით აღსავსე, გამუდმებით ებრძვის არსებულ რეჟიმს. იგი რეაქციის პერიოდშიც ინარჩუნებს სიმხნევას და გამარჯვების რწმენას. მისთვის უცხოა ოხვრა და ცრემლი. „იმედებით ჰფეთქავს გული, იმედებსვე სჭედავს გრდემლი“, — ამბობდა პოეტი. ამ პერიოდში მას შეუქმნია ლექსები, როგორც არის: „ჩემს თანამებრძოლს“, „სიმღერა“,

„არწივს“, „ცას“, „კმარა წუწუნნი“, „აბა ჩქარა...“ ჩვენმა სასიქადულო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თავის უახლოეს მეგობარს — გიორგი ქუჩიშვილს მოუწონა თურმე ჩანგის სიწმინდე, გულის სიწრფელე.

1946 წელს, 25 ნოემბერს, ქართველ ხალხს ზემოთ აღუნიშნავს პოეტის დაბადების 60 წლისა და სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლისთავი. ამ ზემის პოეტი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ დასწრებია, შემდეგ დიდხანს აღარც კი უცოცხლია. 1947 წლის 20 იანვარს გიორგი ქუჩიშვილი გარდაიცვალა. მისი ნეშთი ქართველ საზოგადოებას დიდი პატივით მიუბარებია დიდუბის პანთეონში.

დაკრძალვაზე გალაკტიონ ტაბიძეს საკუთარი ლექსი წაუკითხავს და ცრემლით დაუტირია „ხალხის გულისტქმის გამომხატველი შგოსანი“. „არ ვიცი, ვინმეს თუ უნახავს გალაკტიონი, — წერდა მარიამ გარიყული, — მე კი არ დამავეიწყდება აცრემლებული გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილის კუბოს თავთან შეჩერებული. ლაპალუპით გადმოსდიოდა ცრემლები, ოდნავ, ძნელად შესამჩნევ ნაყვავილარ ლოყაზე. მაშინ მივხვდი, რომ მას კაცთა შორის არავისზე ასე არ დასწყვეტია გული ცხოვრებაში, როგორც გიორგიზე... მე ისიც ვიცი, რომ მას ყველაზე ახლობლად გიორგი მიაჩნდა.“

ამგვარად, ასრულებულა გიორგი ქუჩიშვილის „ანდერძი“, რომელიც მას ჭერ კიდევ 1922 წელს დაუწერია:

„ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაკტიონი  
გვარად ტაბიძე და ტიტულით მეფე-შგოსანი,  
მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი  
და მწუხარებით დაიბუროს მზე სხიოსანი“.

## სეზმან ერთაწმინდელი

მწერალი-დრამატურგი სეზმან ერთაწმინდელი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა პლეადას, რომელთაც თავისი უხმაურო მოღვაწეობით მთელი ძალ-ღონე და შესაძლებლობა ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობას შეაღიეს.

სეზმან ერთაწმინდელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლე-

ბის დამყარების პირველი დღეებიდანვე სათავეში ჩაუდგა, როგორც ჯარისკაცი და მებრძოლი მწერალი, ახალ საბჭოთა ლიტერატურისათვის მებრძოლთა რიგებს... და თავისი სამწერლო მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეიტანა პროლეტარული მწერლობის განვითარებაში.

სეზმან ალექსანდრეს ძე ერთაწმინდელი (ბატკუაშვილი) დაიბადა 1890 წლის 25 ნოემბერს კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი 10 წლისა ყოფილა, როცა მამას შეგირდად მიუბარებია თბილისში სპილენძეულობის ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც მალე დაუფლებია ზეინკლის პროფესიას. მას წლების მანძილზე უმუშავია შეგირდად და ოსტატად თბილისსა და ამიერკავკასიის სახელოსნოებში. აქ ახლოს გასცნობია ხალხის ჭირვარამს, სოციალური უთანასწორობის მიზეზებს.

თვითგანვითარებას დაწაფებულ ყმაწვილს, 1912 წლიდან, სახელოსნოში მუშაობის პარალელურად, ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა სტამბაში, როგორც ქართული პერიოდული გამოცემების მუშაკსა და კორექტორ-გამომშვევს.

სეზმან ერთაწმინდელმა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა 1910 წლიდან დაიწყო, როცა გაზეთ „სინათლეში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. ამას მოჰყვა პატარა მოთხრობები „თემში“, „სამშობლოში“, „თეატრი და ცხოვრებაში“. ამ ნაწარმოებებს ერთი თემატური ქარგა აერთიანებს, ეს არის მშრომელთა დუხჭირი ცხოვრების ასახვა, არსებული უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება, ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა.

მისი პიესები — „სიკვდილი ჩრდილში“ (1911), „ლურჯი ხალათი“ (1912), „დაჭრილი ორბი“ (1913) ასახავდნენ მშრომელთა ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ამ პიესებმა ხელი შეუწყვეს მასებში რევოლუციური იდეების გავრცელებას.

ერთმოქმედებიანი დრამა „დაჭრილი ორბი“ კი 1916 წელს დაიდგა. მასში მოცემულია ქარხნის მუშების ცხოვრების ერთი ეპიზოდი. სპექტაკლი მაყურებელს განაწყობდა მეფის რეაქციის, მისი დამქაშებისა და გამცემ-ჯაშუშთა წინააღმდეგ.

მისი პიესებიდან მაყურებელს განსაკუთრებით მოსწონდა „ლეგენდა ზაქესზე“, „ალიმენტი“, „ავანტიურა“, „სიკვდილით დასჯა“, „რევოლუციონერები“, „ძველი ტერორისტი“, „ჯაშუში“, „სხვის ლოგინში“, „ცანცარა ექიმი“, „ლურჯი ხალათი...“

ერთმოქმედებიანი დრამატული ესკიზი „ლურჯი ხალათი“ დაიწერა 1914 წელს, ხოლო ცენზურის მიერ თეატრში დასადგმელად ნებადართული იქნა 1915 წელს. „ლურჯ ხალათს“ ავტორი მუშის სინონიმად ხმარობს. პიესის ქარგა ანდროსა და ანიკოს სიყვარულის ფონზეა გაშლილი. „ახალი თაობის კაცად“ მიჩნეული ანდროსამი წლით გადასახლეს. ობოლი, გაჭირვებაში აღზრდილი და ანდროს იდეების თანამგრძნობი ანიკო ვერ გაუძლებს ცხოვრების გამოცდას, მალე ცოლად გაჰყვება მთავრობის სამსახურში დაწინაურებულ პირს.

გადასახლებიდან გამოპარული ანდრო მოულოდნელად ბრუნდება შინ, როცა დედისგან ანიკოს ლალატის ამბავს შეიტყობს, გადაწყვეტს, წავიდეს საქართველოდან. მაგრამ დედას გონზე მოჰყავს გაოგნებული შვილი, ის მარტო პირად გრძნობებს, საკუთარ თავს კი არ ეკუთვნის, — ქვეყანას სჭირდება მოჭირნახულენი, ცხოვრებას ქედი არ უნდა მოუხაროს, ბრმად არ უნდა დაემორჩილოს უბედურებას, აღმართული დროშა ძირს არ უნდა დაუშვას, მახვილი შუაზე არ გადატეხოს, ვიდრე ცხოვრებას ძირფესვიანად არ გარდაქმნის. დედის სიტყვებმა გამოაფხიზლეს ანდრო, მან სძლია პირადი მწუხარება და კვლავ ხალხის სამსახურში ჩადგომა გადაწყვიტა.

პიესა „ლურჯი ხალათი“ დეკორაციებს არ მოითხოვდა. რეჟისორის უნარზე იყო დამოკიდებული ამ ინსცენირების დადგმა, რომელშიც გაერთიანებულია ლექსი, პროზა, დეკლამაცია, დრამა, მუსიკა, ცეკვა...

ეს დრამატული ესკიზი ხშირად იდგმებოდა მუშათა კლუბებსა და სოფლის სცენებზე.

მაყურებლის ასეთივე მოწონებას იმსახურებდა სახალხო თეატრების სცენებზე განხორციელებული პიესა „სოფლის გარიჟრაჟზე“. იგი გვიხატავს განახლებული სოფლის ყოფა-ცხოვრებას, კერძოდ, გათავისუფლებული ქალის როლს ახალი ოჯახის შექმნაში, ძველი პატრიარქალური ოჯახის ადათ-წესების ნგრევას...

პიესაში ძალიან ფრთხილად, ფაქიზადაა გატარებული სიყვარულის ხაზი. აქვეა თქმული. წითელი არმიის სამსახურის მნიშვნელობაზე, ახალგაზრდის ჯარში წასვლაზე. ახალი ქვეყნის ჯარისკაცი მოქალაქეა, რომელიც თავის სამშობლოს იცავს.

პიესაში მძაფრი კონფლიქტური სიტუაციებია. ძველი დრომოჭ-

მული, თავის პოზიციებს იოლად არ თმობს. მწერალი ხაზს უსვამს საბჭოს როლს სოფლის ცხოვრებაში, გვიჩვენებს, თუ მმართველად ამ ორგანოში ვინ არის არჩევის ღირსი.

პიესამ თავის დროზე გარკვეული წვლილი შეიტანა ახალ პოლიტიკურ-კულტურულ აღმავლობაში.

საერთოდ სეზმან ერთაწმინდელის პიესებს ახასიათებს საბრძოლო ოპტიმისტური ელერადობა. ისინი ყოველთვის გამარჯვების რწმენითა და მომავლის იმედით აღავსებდა მაყურებელს.

აღსანიშნავია რომ მცირე ფორმის მცირე ზომის პიესების მცირე დრამატურგიის ქანრის დამკვიდრებაში სეზმან ერთაწმინდელი პირველია ქართულ ლიტერატურაში. ამით მან დიდი ამაგი დასდო ქართულ საბჭოთა დრამატურგიის განვითარებას. კარგად აულო ალლო შექმნილ ვითარებას და მცირე ფორმის, ადვილად გასაგები შინაარსის პიესებით ხელი შეუწყო მშრომელი ხალხის განვითარებას.

მანვე დაწერა პირველი რევოლუციური ოპერის „ცისანას“ ლიბრეტო, რომლის მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს. ოპერა 1927 წლის 7 ნოემბერს დაიდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

დიდი მოწონებით სარგებლობდა აგრეთვე მისი ყოფითი დრამა „წარსულის ნანგრევებზე“ (1913).

სეზმან ერთაწმინდელს ეკუთვნის აგრეთვე პირველი რადიო-პიესები, რომლებსაც თბილისის რადიო-სტუდია გადასცემდა. იგი 30-მდე რადიო-პიესის ავტორია.

მისი სატირული ნაწარმოებებიდან მაყურებლის ყურადღებას იპყრობდა: „წრიული ცეკვა“, „ქუჩაში“, „კონტრაბანდისტები“, „იყავ მზად“, „ქობულეთის სირინოზები“, „გამფლანგველები“ და მრავალი სხვა, მისი ზოგიერთი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1925 წელს ჟურნალ „დროში“ დაიბეჭდა სეზმან ერთაწმინდელის მოთხრობა „წითელი დროშის ლეგენდა“. ამ ნაწარმოებმა საუკეთესო მოთხრობაზე გამოცხადებულ პროფსაბჭოს რესპუბლიკურ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა. პრემირებული ყოფილა აგრეთვე მისი რამდენიმე მცირე ფორმის პიესაც.

ჟამთაველით ქანგი არ მოსდებია მის მოთხრობებს და დღესაც სიამოვნებით იკითხება „თამარის კოშკი“ „ზაირა“, „ძველი კონტ-

რაბანდისტი“, „სევასტოპოლის ციხეო“, „კარპატებში“, „ტყის მშვენება“, „პოეტი კარაბინერი“, „გმირ ვაჟაკზე“, „სიმღერა სამ გმირ ქალზე“, „თქმა მთის არწივზე“, „დიდი ტრიბუნა“, „უდაბნოსაჲ“, „მგოსნის საფლავზე“, „ბარიკადებზე“, „გაუმარჯოს კომუნას“, „სისხლის ღვრის ღამე“ და სხვა.

სეზმან ერთაწმინდელმა, სრულიად ახალგაზრდა კაცმა, 1921 წელს წითელი არმიის რიგებს მიაშურა და აქტიური მონაწილეობა მიიღო წითელი არმიის საგანმანათლებლო საქმეებშიც. მას მთელი ექვსი წელი დაუყვია არმიაში. ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჩვენი მეომრების იდეურ-პოლიტიკური და სულიერი აღზრდის საქმეს. მწერალი არმიის ნაწილებში ჰქმნიდა და ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ და დრამატულ წრეებს, წერდა მოთხრობებს, სასიმღერო პატრიოტულ ლექსებს, თანამშრომლობდა არმიის ბექდვით ორგანოებში. ამავე დროს იყო ლიტერატურული ორგანიზაციის — წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების — ლოკაფის წევრი.

ლოკაფი მხატვრული სიტყვის საშუალებით ეწეოდა ქვეყნის თავდაცვითი საქმიანობის პროპაგანდას და ამ ამოცანების ირგვლივ რაზმავდა მშრომელ მასებს. სეზმან ერთაწმინდელი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტიურ და საუკეთესო წევრად ითვლებოდა. იგი თავის ლექსებში, მოთხრობებში, პიესებში სიყვარულით აღწერდა წითელარმიელთა ცხოვრებას და მათ მუშაობას („ჩაჩულა“, „ფანზა“, „ალი ჩიუ“, „ახალწვეული“, „შვებული“ და სხვა მრავალი).

სეზმან ერთაწმინდელის ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით რევოლუციურ მოტივებს. ეს ბუნებრივია, რადგან მისი ბიოგრაფია მკიდროდა დაკავშირებული საქართველოში რევოლუციურ მოძრაობასთან. პიესებში, მოთხრობებსა თუ ლექსებში გაბედულად ამხელდა სოციალურ უსამართლობას, გაისმოდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მოწოდებანი.

საქართველოში საგასტროლოდ ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვის აგიტთეატრი „ლურჯი ხალათი“. დასის წევრებს გულზე ჰქონდათ დამაგრებული თავიანთი ნიშანი — ლურჯი დროშის ფონი. წითელი წარწერით.

სტუმრების მიერ სპეციალურად მუშათა რაიონის მცხოვრებთათვის დადგმული სპექტაკლები ხალხის გულწრფელ მოწონებას იმსახურებდა. ეს სპექტაკლები სინთეზური ხასიათის ყოფილა, მას-

ში შედიოდა სიმღერა, ცეკვა, სპორტული ნომრები, მხატვრული კითხვა.

1925 წლის მაისში ვაჭრობისა და საკავშირო პროფკავშირთა კულტურის განყოფილების სცენისმოყვარეთა ჯგუფს, რუსი ლურჯ-ხალათიანების გავლენით, ჩამოუყალიბებია თეატრალური კოლექტივი „ლურჯი ხალათი“. დასის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი ა. ლორთქიფანიძესთან ერთად ს. ერთაწმინდელიც ყოფილა.

„ლურჯი ხალათი“ იყო პირველი თეატრალური კოლექტივი, რომელმაც სცადა ქართულ სცენაზე პოლიტიკური და სატირული შინაარსის რეპერტუარით გამოსვლა. დასი ყოველ კვირაში ამზადებდა ორ ან სამ ახალ ნომერს და ახერხებდა მკვიდრო კავშირა დაემყარებინა სცენასა და მაყურებელს შორის. სეზმან ერთაწმინდელის ერთმოქმედებიანმა სატირული ხასიათის პიესებმა გამოკვეთილი სახე მისცა „ლურჯ ხალათს“, როგორც აგიტსატირულ კოლექტივს. 1926 წელს მას დაერქვა „წითელი შოლტი“.

„წითელ შოლტს“ მსგავსი კოლექტივისაგან განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდა. ლურჯ ხალათზე დაბნეული იყო მოფრიალე დროშის ფორმის ნიშანი, რომელზეც გამოხატული იყო წითელი შოლტი.

„წითელი შოლტის“ მიბაძვით საქართველოში სატირის წრეებიც გამრავლებულა, მაგრამ მათ არსებობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონია. „წითელი შოლტი“ ამ მხრივ უფრო მყარი და ნაყოფიერი იყო. მას თავისი გამოსვლებით დიდი გავლენა მოუხდენია მუშათა წრეებში. სააგიტაციო-სატირული ხასიათის რეპერტუარით მაგალითის მიმცემი ყოფილა სხვა თეატრალური კოლექტივებისათვის. ხალხში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თურმე სეზმან ერთაწმინდელის პიესები: „ვირტაჰი“ „რეჟიმეკონომია“ და „ცეკვა ბებუთით“.

1927 წელს მოსკოვში მოეწყო თეატრალური წრეების შეჯიბრი. საქართველოდან წარგზავნილმა „წითელმა შოლტმა“ საჩვენებლად წაიღო ორი პიესა: „რეჟიმეკონომია“ და „ვირტაჰი“. პიესებს დიდი მოწონება ხვდა, ხოლო „წითელი შოლტის“ ქართულმა კოლექტივმა ამ შეჯიბრში პირველი ჯილდო დაიმსახურა.

ა. ლორთქიფანიძისა და ს. ერთაწმინდელის ხელმძღვანელობით „წითელი შოლტის“ დასმა პიესებით „ვირტაჰით“ „რეჟიმეკონო-



მიით“ და „ცეკვა ბებუთით“ შემოიარეს ბათუმი, ახალსენაკი, საქართველოს თითქმის ყველა რაიონი გორი, ხაშური და თელავი. ეს ღონისძიება იმდენად პოპულარული გახდა, რომ დასმა რამდენიმე მადლობის ფურცელიც დაიმსახურა. მოსკოვის გაზეთებშიც დაიბეჭდა წერილები დასის კარგი მუშაობის შესახებ.

თეატრალურ ხელოვნებას ერთაწმინდელი ბავშვობიდანვე გაუტაცია. მაშინ თეატრი, კლუბი და თვითმოქმედი კოლექტივები ყველაზე უფრო ხელსაყრელი ტრიბუნა იყო რევოლუციური აგიტაციის პროპაგანდისათვის. როგორც მწერლის ავტობიოგრაფიიდან ჩანს, 1908 წლიდან იგი სცენისმოყვარე მსახიობი ყოფილა, სახალხო სახლების, მუშათა კლუბებისა და აუდიტორიების დაარსების აქტიური მონაწილე. 1918 წელს კი სეზმან ერთაწმინდელი ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია ქ. სამტრედიის დრამდასისა — „დემოსი“.

სხვადასხვა თეატრალური კოლექტივებისათვის, მუშათა აუდიტორიებისა თუ სოფლის სცენებისათვის სეზმან ერთაწმინდელმა სპეციალურად დაწერა და ცალკე წიგნებად გამოსცა მრავალი პიესა, სცენა და ვოდევილი. მისი პიესების დადგმა ადვილი და ხელსაყრელი იყო სცენისმოყვარეთათვის.

პროფსაბჰოს საჩვენებელი მუშათა თეატრი „ლურჯი ხალათი“ ანუ „წითელი შოლტი“ და სხვა დასთა რეპერტუარები ძირითადად სეზმან ერთაწმინდელის პიესებით იკვებებოდნენ. თვით ავტორი კი ამ დროს მთავარ როლებსაც ასრულებდა თავის პიესებში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნაძალადევის მუშათა წარმოდგენებში, როგორც ავტორი პიესებისა და მსახიობი-სცენისმოყვარე. მას ხვევრდოვანი ხმა ჰქონია, დახვეწილი დიქცია. იგი, როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით მოღვაწეობაშიც, დიდი მორიდებული კაცი ყოფილა.

მეორე მსოფლიო ომის დროს სეზმან ერთაწმინდელი ლოგინს იყო მიჩაკვეული. ჯერ კიდევ სულიერად ახალგაზრდა პოეტს კალამი არ გაუგდია ხელიდან. მრავალი იმედიანი სტრიქონი მიუძღვნა გმირ საბჭოთა არმიას, მის სამაგალითო რაინდულ სიმამაცეს.

იგი 53 წლისა გარდაიცვალა 1944 წლის 24 ივნისს. პოეტის მიერ დატოვებული ანდერძის თანახმად განსვენებული ერთაწმინდის ეკლესიის გალავანში დაუკრძალავთ.

ერთაწმინდელები სათუთად ინახავენ ყველაფერს, რაც მათ თანასოფლელი მწერლის სახელთანაა დაკავშირებული. სეზმან ერ-

თაწმინდელის საფლავზე გაიხსნა ძეგლი, სოფლის ბიბლიოთეკაში მოეწყო მწერლის ნაწარმოებთა გამოფენა, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შენახულია მისი პირადი ნივთები.

1960 წელს მწერალთა კავშირის კლუბში აღინიშნა სეზმან ერთაწმინდელის დაბადების 70 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გამოიცა მწერლის ნაწარმოებები.

მისი უმწიკვლო სახელის ხსენებაზე არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მისივე ნათქვამი: „რომ არასოდეს კვებიან სამშობლოს თავდადებული მსახურები, მათი ხსოვნის ყვავილნი ხალხის გულში რჩებიან, შვილისშვილებს სწვდებიან და არ იკარგებიან“.

## გუგული ბუხნიკაშვილი

ცნობილი დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული თეატრის მკვლევარი და შემატიანე გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილი მრავალმხრივი შემოქმედია. მის მრავალმხრივობაზე მეტყველებს ის წიგნები თეატრალურ მოღვაწეებზე, პიესები, სტატეები, რეცენზიები სასცენო ხელოვნებაზე, წერილები ქართული თეატრალური ცხოვრების ამსახველ საჭირბოროტო საკითხებზე, რაც კი მრავალი წლის ნაყოფიერი შრომით შეუქმნია.

მისი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები 1911 წლიდან „გუგულის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა სხვადასხვა ქურნალ-გაზეთებში. მის საყოფაცხოვრებო თემებზე მახვილგონივრულად დაწერილ, იუმორით აღსავსე მოთხრობებს მკითხველმა საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაპყრო. ახალი ავტორის გამოჩენით დაინტერესებულან ქურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი ი. იმედაშვილი და „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორი ნ. კალანდაძე. მათ ახალგაზრდა ავტორისათვის თავიანთ ქურნალებში თანამშრომლობა შეუთავაზებიათ.

ამის შემდეგ „თეატრსა და ცხოვრებაში“ და „ეშმაკის მათრახში“ სისტემატურად იბეჭდებოდა გუგული ბუხნიკაშვილის იუმორისტული მოთხრობები, მრავალი გონებაამახვილური და სიცილის მომგვრელი სატირული ხასიათის სცენები და სკეტჩები.

დრამატურგს სამი წლის მანძილზე ორმოცდაათამდე მცირე ფორმის ნაწარმოები გამოუქვეყნებია. იგი წერდა შინაარსით აქტუალურ პიესებს და ყოველთვის თანამედროვე ადამიანის თვალთ ხედავდა და წყვეტდა ჩვენი დროის საჭირბოროტო საკითხებს. მის ნაწარმოებებს ავტორის მოქალაქეობრივი სითამამე და გულწრფელობა აძლევდა მიმზიდველობას და მხატვრულ ძალას.

იგი ქმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც იდგმებოდა ქართულ საბჭოთა თეატრის გარიჟრაჟზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ფართოდ განხილული პირველი კომედია „შეშინებული ანთიმონი“.

ეს იყო თანამედროვეობისადმი მიძღვნილი პირველი ქართული საბჭოთა პიესა, რომელშიაც აისახა საქართველოში მენშევიკური რეჟიმის დამხობისა და საბჭოთა წყობილების დამყარების დღეები. პიესამ უმაღლვე მოიპოვა პოპულარობა, იგი წარმოდგენილი და დაბეჭდილი იქნა მრავალჯერ. პირველად დაიდგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორი თვის თავზე 1921 წლის აპრილში ხაშურის სცენისმოყვარეთა წრის მიერ, მერე გორში, ცხინვალსა და თბილისში და ბოლოს მთელი საქართველოს სცენები შემოიარა. იგი ითარგმნა და დაიდგა აფხაზურ და ოსურ ენებზეც.

1922 წელს გუგული ბუხნიკაშვილმა დაწერა მეორე პიესა, მწვავე სატირული კომედია „მენშევიკები პარიზში“, რომელიც იმავე სეზონში დაიდგა გორში, როგორც იუმორისტულ-სატირული ხასიათის მუსიკალური კომედია. 1923 წელს ეს პიესა დაიბეჭდა კომკავშირულ ჟურნალ „მომავალში“. ამ სამმოქმედებიან პიესაში ავტორი მწარედ დასცინის ქართველ მენშევიკთა ემიგრანტულ მთავრობას, რომელიც, ყოველგვარ ნიადაგსა და თანაგრძნობას მოწყვეტილი, ავანტიურიზმის გზას ადგას. პიესაში ავტორმა მხატვრული საშუალებით ამხილა და დასცინა მენშევიკური ხელისუფლების სრულ განწირულებასა და უბადრუკობას.

კომედია დაიწერა თუ არა, უმაღლვე წარმოადგინეს გორში საზეიმოდ, სახალხო სახლის გახსნასთან დაკავშირებით. ამ სპექტაკლში ბენია ჩხიკვიშვილის როლს ანსახიერებდა თვით პიესის ავტორი გუგული ბუხნიკაშვილი.

გუგული ბუხნიკაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალრიცხოვანი სატირულ-იუმორისტული ხასიათის სცენები და პიესები,

რომელთა რაოდენობა 80-ს აღემატება. ძირითადად ეს აგიტაციურ-პროპაგანდისტული მიზანდასახულობის მქონე მცირე ფორმის პიესებია. ამ პიესებისა და სცენების უმრავლესობა თავის დროზე დაიდგა და ცალკე წიგნებადაც დაიბეჭდა: „გადატრიალება“, „ლენინის ანდერძი“, „კოლმეპრობის გზით“, „კულტურული რევოლუცია“, „სოციალისტური შეჯიბრება“, „კლუბის გამგე...“

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა დრამატურგის პიესების დადგმაზე მუშაობდნენ დიდი რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი: პიესა „ნაბიჭვარი ან სხვისი შვილი“ 1934 წელს დადგა რუსთაველის თეატრმა სანდრო ახმეტელის რეჟისორობით, ხოლო პიესა „კი, მაგრამ“ 1930 წელს ქუთაისში დაუდგამს კოტე მარჯანიშვილს. სპექტაკლში წამყვანი თეატრალური ძალები მონაწილეობდნენ და წარმატება ხვდა წილად.

„კოტე მარჯანიშვილთან მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, — იგონებს გუგული ბუხნიკაშვილი, — მისი ზემოქმედებით ჩამოყალიბდა ჩემი თეატრალური შეხედულებები“.

კოტე მარჯანიშვილის დაკვეთითა და უშუალო კონსულტაციით დაუწერია დრამატურგს პიესა „კი, მაგრამ“. კოტე მარჯანიშვილს პიესაზე მუშაობისას ბევრი კარგი და სასარგებლო რჩევა მიუცია ავტორისათვის.

პიესა „კი, მაგრამ“-ს პირველ ვარიანტში „დეპეშა“ ერქვა. იგი სატირული ხასიათისაა. ამხელს და ჰკიცხავს საბჭოთა დაწესებულებაში შეყუჩულ გაიძვერებს, ძველი რეჟიმის გადაჩენილ მოხელეებს, რომელთაც ფერი უცვლიათ, გარეგნულად საბჭოთა ხელისუფლების ერთგულნი გამხდარან, სინამდვილეში კი ბნელი ზრახვები და ანგარება ამოქმედებთ. დრამატურგი ოსტატურად ამხელს ქამელეონებს, ინტრიგანებსა და ბიუროკრატებს. ამ ნაწარმოების დაწერა სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, როგორც იმ დროისათვის უაღრესად დროული და სასარგებლო.

1934 წელს გუგული ბუხნიკაშვილმა გადმოთარგმნა რუსი დრამატურგის ვასილ შვარკინის პიესა „Чужой ребенок“, („სხვისი ბავშვი“). გადმოქართულებული პიესისათვის „ნაბიჭვარი“ შეუქმნევია. ეს პიესა დიდი წარმატებით დაუდგამს რუსთაველის სახელობის თეატრში გამოჩენილ ქართველ რეჟისორს სანდრო ახმეტელს.

მართალია, დრამატურგს ნაწარმოების სიუჟეტური ხაზი უვნე-

ბლად დაუტოვებია, მაგრამ პიესა ისე გადმოუქართულებია, რომ პერსონაჟებს ქართული ეროვნული თვისებები შესძინა, მოქმედება საქართველოში გადმოიტანა, ნაწარმოებში ქართული ნაციონალური კოლორიტი შეიტანა და ამით უფრო დაახლოვა იგი ქართველი მკითხველის მშობლიურ სამყაროსთან. ამიტომაც ასე ახლო მისულა პიესა ქართველ მაყურებელთან.

საყურადღებოა, რომ პიესა „ნაბიჭვარი“ დღემდე შემორჩა სცენას. 1961—1962 წლის სეზონში იგი დაუდგამს სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, ხოლო ერთი წლით ადრე ცხინვალში განუხორციელებიათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პიესას საფუძვლად დაედო ლიბრეტო ოპერეტისათვის, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინათ განუხორციელებია თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრს.

საბჭოთა კავშირის დაარსების 40 წლისთავისათვის განსაკუთრებული ინტერესით იხსენიებდნენ ყველა იმ ლიტერატურულ ნაშრომს, რომლებმაც დადებითი როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების აღმოცენება-განვითარების საქმეში. ჩვენი საუკუნის ოცინაი წლების ქართულ დრამატულ მწერლობის ასეთ ნაწარმოებთა რიცხვში შედის გუგული ბუხნიკაშვილის „შეშინებული ანთიმოზი“ და „კი, მაგრამ“.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 1914 წლიდან გუგული ბუხნიკაშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია ახალი თეატრის შექმნაში და დაუარსებია „წითელი თეატრი“.

იმავე წელს სათავეში ჩასდგომია აგრეთვე სატირის თეატრს, მის ბევრ პიესას აქ შესწმია ხორცი. სატირის თეატრს იმ დროისათვის დიდი როლი შეუსრულებია. თეატრმა ხუთი წელი იარსება, შემდეგ მის ბაზაზე გუგული ბუხნიკაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა მოძრავი სასოფლო თეატრი, რომელსაც საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში დიდი როლი შეუსრულებია სოფლად პროპაგანდისტული მუშაობის გაშლაში და საკოლმეურნეო შრომაში. თეატრს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სოფლები შემოუვლია.

1926 წელს, კოტე მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ, გუგული ბუხნიკაშვილი თეატრის დირექტორად ინიშნება.

1932 წლიდან 1938 წლამდე იგი სამხატვრო აკადემიის დირექტ-

ტორია, ხოლო 1938—1939 წლებში მეტეხის მუზეუმის ხელმძღვანელი.

გუგული ბუხნიკაშვილი საქართველოს მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელია. იგი მრავალი კარგი და სასახელო საქმის წამოწყების მოთავე იყო, მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს და ამიერკავკასიის დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოება.

1936 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ხელოვნების მუშაკთა სახლი, რომლის პირველი ხელმძღვანელიც თვითონ იყო. გუგული ბუხნიკაშვილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია.

გუგული ბუხნიკაშვილი ხელმძღვანელობდა აგრეთვე თბილისსა და რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, კლუბებისა და სამკითხველოების მოწყობის საქმეს. დაწერილი აქვს მეთოდური სახელმძღვანელო პოლიტსაგანმანათლებლო მოძრაობის შესახებ სოფლად. იგი საქართველოს პოლიტკულტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

ოცდაათიანი წლებიდან გუგული ბუხნიკაშვილი თავს ანებებს დრამატურგიას და თეატრების დარგით იწყებს მოღვაწეობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნარკვევი, გამოკვლევა, წერილები, რეცენზიები და კრიტიკული სტატიები. მის მრავალრიცხოვან ნაშრომს თეატრის ისტორიის საკითხებზე გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მომავალი მკვლევარი.

მრავალრიცხოვანი წერილი გამოუქვეყნებია ქართულ დადგმებზე, რეჟისორებსა და მსახიობებზე: გ. ერისთავზე, დ. ერისთავზე, ზ. ანტონოვზე, ა. სუმბათაშვილ-იუჟინზე, ვ. აბაშიძეზე, ლ. მესხიშვილზე, გ. დავითაშვილზე, ნ. გოცირიძეზე, აკ. ფალავასა და სხვებზე; ვრცელი ნაშრომი აქვს კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობაზე.

საყურადღებოა მისი წერილები ქართველი ხალხის მოძმე ხალხებთან თეატრალური ურთიერთობის საკითხებზე: „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“, „გოგოლი და ქართული თეატრი“, „რევიზორი“ ქართულ სცენაზე“, „დიდი რუსი მსახიობი ერმოლოვა“, „რუსული თეატრის დიდი ოსტატები“ (სტანისლავსკი), „რუსეთის პირველი რევოლუცია და ქართული სახალხო თეატრი“ და სხვა.

უამრავი გამოკვლევა აქვს ქართული თეატრის ისტორიიდან:

„ქუთაისის თეატრი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში“, „ბათუმის თეატრი“, „გორის თეატრი“, „ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე“, „ქართული თეატრი მენშევიკების დროს“, „ცხინვალის თეატრალური წარსულიდან“ და მრავალი წერილი თეატრის ცალკეულ დადგმებზე.

მისი მრავალი გამოკვლევა თეატრის ისტორიიდან ძვირფას განძს წარმოადგენს ქართული თეატრმცოდნეობისათვის. მათგან აღსანიშნავია შემდეგი წიგნები: „ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე“, „გაბრიელ სუნდუკიანი და სომხურ-ქართული თეატრალური კავშირი“, „ა. სუმბათაშვილი და ქართული თეატრი“, „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“ (ამ ნაშრომს რუსული თეატრის კორიფის ა. იაბლოჩკინას გულწრფელი მოწონება დაუმსახურებია), „ნ. გოგოლი ქართულ სცენაზე“, „გორის თეატრი“, „მახარაძის თეატრი“, „ჭიათურის თეატრი“ და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორმოცდაათიან წლებში შექმნილი მისი მონოგრაფია „გორი“ რამდენჯერმე დაისტამბა ქართულ, რუსულ, სომხურ, უკრაინულ და ოსურ ენებზე. ასევე მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა თეატრალურ ქუთაისზე შექმნილმა დიდმა ნაშრომმა.

გუგული ბუნნიკაშვილს, როგორც თეატრალურ მოღვაწეს, დიდი შრომა გაუწევია გასული საუკუნისა და ქართული თეატრის ისტორიის საკითხების შესწავლისა და სისტემატიზაციისათვის. მისი ნაშრომები რუსი, უკრაინელი და სომეხი თეატრალური მოღვაწეებისა და თეატრების შესახებ ქართული თეატრმცოდნეობის საყურადღებო შენაძენია.

გუგული ბუნნიკაშვილს ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაუწყია. იგი დაიბადა სურამში 1897 წლის 20 მაისს. მისი წინაპრები იმერეთის სოფელ სარგვეშიდან იყვნენ. ბაბუას, გრიგოლ ბუნნიკაშვილს, გუგული ძალზე ყვარებია. ნასიამოვნები ყოფილა, რომ მისი სახელი ერქვა. ზოგჯერ იტყოდა თურმე: „მამაშენმა დიდი პატივი დამდო, რომ უფროს ვიქნები ჩემი სახელი დაარქვა და ჩემი ხსენება არ დაკარგაო“. მწიგნობარი კაცი ყოფილა ბაბუა გრიგოლი, წერა-კითხვა თავისით უსწავლია. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად სცოდნია და მის აფორიზმებს ხშირად იმარჯვებდა თურმე საუბრის დროს.

ბუნნიკაშვილების ოჯახში რელიქვიად არის შემონახული ბაბუა

გრიგოლის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“. აქვე არის ქართული ქრესტომათია, ანუ ამოკრეფილი ადგილები ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან, შედგენილი და გამოცემული 1846 წელს პეტერბურგში დავით ჩუბინაშვილის მიერ. ეს წიგნი ბაბუა გრიგოლს თბილისში ყოფნისას შეუქმნია ვილაც უცხო პირისაგან. ბაბუას კი გუგულისათვის უჩუქებია. ბაბუა ხშირად ამბობდა ჩუბინაშვილის ქრესტომათიაზე: „ჩემი ცხოვრება და სალოცავი ეს წიგნი არისო“. წიგნს ბაბუა გრიგოლი სათუთად ინახავდა, მუდამ ნაქერში ახვევდა და როცა საქმეებს მოათავებდა, განჯინიდან გამოიღებდა და კითხულობდა, გუგულისაც გვერდზე მოისვამდა და აკითხებდა, 6 წლის გუგულის უკვე კარგად სცოდნია კითხვა. კითხვის დროს გაუგებარ სიტყვებს ბაბუა უხსნიდა.

გუგული ბუხნიკაშვილს პირველი დაწყებითი განათლება სურამის ორკლასიან სასწავლებელში მიუღია. 1907 წელს კი მშობლებს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გადაუყვანიათ, სადაც სამი წელი დაჰყო. 1910 წელს კი გორის პროფგიმნაზიაში მოწყობილა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, სასწავლებელში შეიმჩნეოდა ეროვნული მწერლობისადმი დიდი გატაცება. ამის დამადასტურებელია ხელთნაწერი ჟურნალი, რომელიც გ. ბუხნიკაშვილს შ. ალხაზიშვილთან ერთად გამოუტყია.

ბუხნიკაშვილს მერვე კლასში უსახსრობის გამო სწავლა მიუტოვებია და სამუშაოს საძებნელად თბილისში ჩამოსულა. პირველად იგი ერთ-ერთ სასტუმროში უბრალო მოხელედ მოწყობილა, შემდეგ ამიერკავკასიის სამმართველოში გადაუნაცვლია ჯერ ტელეგრაფისტად, შემდეგ მონაგარიშედ. აქვე დასწავებია ქართული და რუსული ლიტერატურის შესწავლას.

რკინიგზის სამმართველოში მუშაობას რევოლუციურად განუწყვია ჰაბუკი. აქ იგი დაკავშირებია ქართველ მუშებს. მათ დავალებებს აქტიურად ასრულებდა. პარალელურად კი ნაძალადევის მუშათა კლუბში მუშაობდა სცენისმოყვარედ და რეჟისორის თანაშემწედ.

აქვე უნდა ითქვას ის, რომ გ. ბუხნიკაშვილი ბავშვობიდანვე გაუტაცნია სათეატრო ხელოვნებას. 13 წლისას ხაშურისა და სურამის სცენისმოყვარეთა წრეში მიუღია სასცენო ნათლობა.

ამ დღიდან სისტემატურად მოღვაწეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, როგორც ხაშურში, ისე სურამში. ხაშურის სცენ-



ნისმოყვარეთა წრეს იმეამად ნიკო გვარამი რეჟისორობდა. თავის მოგონებაში იგი წერს: „1911 წელს საზაფხულოდ ვიყავი მიწვეული ხაშურში, სადაც სცენისმოყვარეთა წრეს ვხელმძღვანელობდი. ჩვენთან მუშაობდა აგრეთვე გუგული ბუხნიკაშვილი, ახალგაზრდა მოწაფე, რომელიც პატარ-პატარა როლებს შესანიშნავად ასრულებდა“.

ხაშურისა და სურამის სცენისმოყვარეებს დიდხანს ახსოვდათ ზოგიერთი სახასიათო როლის მისეული შესრულება.

1910 წელს გრ. სულიაშვილმა სურამის მოსწავლეთა და სცენისმოყვარე მოაგარაკეთა ძალებით დადგა ვალერიან გუნიას ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. ამ პიესაში მონაწილეობა მიუღია ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეს, შემდგომში ჩვენს სასიკაძულო მსახიობს, აკაკი ხორავას. სპექტაკლში მთავარი როლი შეუსრულებიათ აკაკი ხორავას, გრ. სულიაშვილსა და გუგული ბუხნიკაშვილს.

მოგვიანებით ნაძალადევის კლუბი პირველი ყოფილა, რომელმაც ახალბედა მსახიობ გუგული ბუხნიკაშვილს თეატრალური გზა დაულოცა. ამ დროს წრის რეჟისორად შაქრო ბერიშვილი მუშაობდა. ქართული თეატრის მსახიობმა, ენერგიულმა და სიცოცხლით სავსე კაცმა, პირველი დღეებიდანვე მიიპყრო წრის წევრთა ყურადღება. რეჟისორ შაქრო ბერიშვილს გუგული ბუხნიკაშვილი თავის თანაშემწედ დაუნიშნავს და თან პატარა როლების შესრულებაც დაუკისრებია.

მიუხედავად იმისა, რომ გუგული ბუხნიკაშვილს ყველა მონაცემი ჰქონია დრამატული მსახიობი გამხდარიყო (გარეგნობა, ხმა, სცენური მომხიბვლელობა), მან მოღვაწეობის სულ სხვა გზა აარჩია.

გუგული ბუხნიკაშვილმა, როგორც თეატრალურმა მოღვაწემ, დიდი შრომა გასწია გასული საუკუნისა და ქართული თეატრის ისტორიის საკითხების შესწავლისა და სისტემატიზაციისათვის.

ფრიად ნაყოფიერია მისი მუშაობა საქართველოს სათეატრო მუზეუმში 1938 წლიდან, ამ კერის გახსნის დღიდან, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე მუშაობდა, როგორც დირექტორი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული თეატრის კვლევასა და ისტორიის მასალების დამუშავებას მონაწილეობა.

თეატრის მუშაკებს დიდ სამსახურს უწევს მის მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად შექმნილი კატალოგი.

სიო ხიდისთაველი ქეშმარიტი პროლეტარული პოეტია, მისი პირველი შვილი. სიოს იდეალი ღარიბი და დაჩაგრული მშრომელი ზალხია, თვითონაც ამ წრიდანაა გამოსული; „ღარიბ ქოხში დავიბადე, შევეზარდე ღარიბ კერას და სიყრმითვე შევეჩვიე ჩვენს უკუღმართ ბედის წერას“.

„მე მას ვუმღერ, მას ვუგალობ და მას ეტრფის ჩემი გული, ვინც ბედისგან ჩაგრულია და ცხოვრებით წამებული. მისთვის მინდა ლექსი შევთხზა, მას მიუძღვნა ქებად ქება, ვინც მტერია მჩაგრელების და სურს დასცეს ბოროტება“.

ამ პირველივე ლექსებში ნათლად გამოიკვეთა მისი პოეტური მუხის დანიშნულება, მისი იდეალი.

სიო ხიდისთაველი დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ მეტიეთში 1888 წელს, უღარიბესი გლეხის ოჯახში. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა სიოს მამა არაჩვეულებრივი ადამიანი — მშრომელი, სპეტაკი გრძნობისა და სინდისის პატრონი იყო და აი, ასეთი კაცი ერთ დღეს მუხანათურად, ვერაგულად მოჰკლეს.

დარჩა სიო ობლად, უმალვე იგრძნო ობლობის საშინელება, სიცარიელე და მარტოობა. ამ ტრაგედიამ აუხილა მოზარდს თვალები, მთელი სიმძაფრით შეიგრძნო, თუ რა იყო ჩაგვრა, უსამართლობა და მონობა.

პ. ირეთელი წერს: „მე მინახავს იგი ტალახში, წვიმაში, ფეხშიშველა, ჩანთაგადაკიდებული მიეშურებოდა სოფლის სკოლისაკენ. ის მიდიოდა ჩუმად, დაღვრემილი, დასევდიანებული. ასევე დაღვრემილი ბრუნდებოდა იგი სკოლიდან. ის ვერ ჰპოვებდა მაშინდელ სკოლაში იმას, რასაც ეძებდა — თბილ მოპყრობას, ფაქიზ გრძნობას. მისი მასწავლებლები უკიდურესი ჩინოვნიკები იყვნენ. მათ არ აინტერესებდათ ბავშვის ფსიქოლოგია. მათ არ შეეძლოთ ჩასწვდომოდნენ მოზარდის გულს და გაეგოთ იქაური ამბავი. ეს იყო სწორედ სიოს სევდა-ნალღელის მიზეზი. ამიტომაც დაეწაფა იგი წერა-კითხვას და ბავშვობიდანვე მიხვდა, თუ რა გულქვა იყვნენ ადამიანები, თუ რა უსამართლობა იყო ყველგან გამეფებული — ერთისგან მეორეს ჩაგვრა“.

სიო იყო დაუშრეტელი ენერჯის პატრონი, მთელი მისი გრძნობა, მთელი მისი სულის ფეთქვა მიმართული იყო იქითკენ, რომ

კაცი გამოსულიყო, ამიტომაც დაეწაფა იგი ცოდნის წყაროს. მართალია, სიოს მამა მოუქლეს, მაგრამ ვერ მოუქლეს მისწრაფება და სწავლის წყურვილი.

ჯერ კიდევ 14 წლის სიომ მიზნად დაისახა უსამართლობას შებრძოლებოდა. სწავლის საშუალებას მოკლებული ახალგაზრდა თბილისში ჩამოდის და ყოველდღიურ ფიზიკურ შრომასთან ერთად თვითგანვითარებას ეწაფება. ებმება არაღეგალურ წრეებშიც, რისთვისაც მეფის მთავრობამ ირკუტსკის გუბერნიაში გადაასახლა. გადასახლების წინ სიომ დაწერა ლექსი, რომლითაც მშრომელთა გამარჯვების იმედს გამოთქვამს და უდიდესი გამბედაობით მოუწოდებს მეგობრებს ბრძოლისაკენ...

მისი ყოველი სიტყვა, თითოეული ბგერა თავს ევლება დაკოჟრებულ ხელებს, პოეტს უყვარს პროლეტარიატი და მისი მოწინავე ავანგარდი.

მისი პირველი ლექსი „იტირე, დედა მშობელო“ დაიბეჭდა 1915 წელს იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათახში“, რომელსაც ბეჩაევი ხალხის დიდი ყურადღება დაუშსახურებია: „იტირე, დედა მშობელო, ჩამოიწერე ქალარა; წყევლა და კრულვა ახალე, ვინც კაცთა სისხლი დაღვარა“.

აი, ასეთი გაბედულებითა და თავგანწირვით ილაშქრებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მსოფლიო ომით განადგურებული და გაჩანაგებული მიდამოების, მგლოვიარე დედების ნახვით გულმოკლული პოეტი. ამავე 1915 წელს პოეტი ტოვებს ქალაქს და მიდის სოფელში, სადაც ცრემლისა და ვაების მეტს ვერაფერს ხედავს. გახეთ „აზრში“ ათავსებს საკუთარ ლექსს სათაურით „სურათები სოფლად“; „წინ ჯურღმული მეშლებოდა — ყოფნა შესაზარი, და შესმოდა განწირულთა მწარე მოთქმა-ზარი: გზაზე ვნახე უბატრონო უბედურთა გლოვა, თითქოს მათზე ჯოჯოხეთსა კუპრი დაეთოვა“.

ამ ცრემლიან სტრიქონებში, უდაოა, რომ პოეტი სასოწარკვეთილებამდე არის მისული შექმნილი მდგომარეობის გამო.

სიო ხიდისთაველი სამოღვაწეო ასპარეზზე სასტიკი რეაქციის პერიოდში გამოვიდა, როდესაც ნიჭიერ ახალგაზრდობას თავისუფალი აზროვნების, თავისუფალი მოქმედების საშუალება წართმეული ჰქონდათ. მეფის გაბატონებული რეჟიმი აქრობდა მათში აბო-

ბოქრებულ სულსა და მიზნებს, გზას უხშობდა თავისუფალი ცხოვრებისაკენ.

ბრძოლა! ბრძოლა დიადი მომავლისათვის! წინ! მედგრად, მუშებო! — გაჰკივის პოეტი. „ჩვენ მოვდივართ... ჩვენი წინსვლა აპობს მედგრად ზვირთთა გორებს, აღქმის მხარეს მიგვატარებს; ძველი ყოფნის ბნელს გვაშორებს. ვტოვებ წარსულს, უქმურიანს, შორით გველის დღე ახალი, და წინ გვიწვევს საბრძოლველად რღვევის მძლავრი ქარიშხალი!...“

სიოს სევდის პოეტსაც უწოდებენ. მაგრამ მის ლექსებში ცოტა როდია სიყვარულისა და სიხარულის კოცონი. ეს კოცონი მომავლის იმედებით მოგიზგიზე კოცონია.

მართალია, მაშინდელი ბიუროკრატიული რედაქტორები მუშის ნაწერებს არ აქცევდნენ შესაფერის ყურადღებას, მაგრამ სიო ამას არ უშინდებოდა და მაინც განაგრძობდა წერას. როცა მშრომელ ხალხს თავისუფლება ეღირსა, სიოსაც მიეცა საშუალება თავისი ნაწერები საზოგადოებაში გაეტანა. მუდამ გამბედავი და შეუდრეკელი პოეტი თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში ათავსებს წერილებს.

რკინიგზის მუშათა კავშირმა მას დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა. 1934 წელს გამოვიდა სიო ხიდისთაველის წიგნები: „პროლეტარული პოეზია“ და მოთხრობა „წამების ჯვარი“, პრესამ დადებითი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებებს.

ამ დღიდან მისი მოთხრობები და პოემები მრავალჯერ დაიბეჭდა. ყველა მის ნაწარმოებში გამოსჭვივოდა უზომო სიფაქიზე და იმედი საუკეთესო მომავლისა. მართალია, ჩვენს ქვეყანაში ადრე გამეფებულმა უსამართლობამ სიოს ბევრჯერ ატკინა გული, მაგრამ მას იმედი მუდამ ჰქონდა, მომავალში ეს სევდა სიხარულით შეიცვლებოდა:

რევოლუციის შემდეგ სიომ მართლაც თავისუფლად ამოისუნთქა და აღფრთოვანებითაც წერდა.

„თავისუფლებამ ფრთები გაშალა, ახალი ყოფით განმტკიცდა ძალა, დაინგრა ზღუდე ბოროტებისა, ძველმა ცხოვრებამ ფერი იცვალა“.

1932 წლის ოქტომბერში საჯარო ბიბლიოთეკის ადგილკომისა (თავმჯდომარე ალექსანდრე შანიძე) და იქვე, ფურცელაძის № 5-ში მდებარე მეორე სტამბის ღირექციის ინიციატივით დაარსებულ

საუწყებო მრავალტირაჟიან გაზეთში „სოციალისტური ტემპები“ (რედაქტორი პოეტი ალექსანდრე შანიძე), ხშირად იბეჭდებოდა მუშა პოეტების სიო ხიდისთაველისა და ნიკო ასლამაზიშვილის ლექსები და მოთხრობები.

ხიდისთაველის პოეზიიდან გამოირჩევა შემდეგი ლექსები: „უსინათლო“, „ოქტომბერი“, „ათი წლის შთაბეჭდილება“, „ჩემს ქვეყანაში“, „წითელ ლაშქარს“, „თებერვალი“, „თბილისი“, „მოწოდება“, „გლეხის სიმღერა“, „წითელ მფრინავეებს“, „ლენინის ხსოვნას“, „ზაპესი“, „საპირველმაისო“, „შრომის შვილებს“, „1905 წელი“, „ოქტომბრის ათი წლის ზეიმი“ და სხვა.

სიოს ბედმა უმუხთლა და ვერ მიიღო სათანადო განათლება, მაგრამ მის ლექსებში და ყველა ნაწარმოებში ჩაქსოვილია წმინდა ადამიანური ნაზი და ფაქიზი გრძნობა, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული და ეს არის ყველაზე მეტად დასაფასებელი.

„ცხადია ერთი ორად მეტი და გამოცდილებით მაღალხარისხოვანი იქნებოდა ჩემი პოეზია, — წერს იგი გულისტყვივლით თავის ავტობიოგრაფიაში, — რომ ნორმალურ პირობებში მემუშავნა და ჭეროვანი აღზრდა-განათლება მიმეღო“.

## ივანე გიგოშვილი

ივანე გიგოშვილი მუშათა წრიდან გამოსულ იმ უანგარო თეატრალურ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ენერგიული და დაუცხრომელი მუშაობის მეოხებით მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან ფართო გასაქანი მიეცა მუშათა დრამატულ თეატრალურ თვითმოქმედებას.

ივანე (ვანო) გიგოშვილი დაიბადა 1891 წელს სოფელ ყანდაურაში, ღარიბი გლეხის ოჯახში, მამა ადრე გარდაეცვალა, და რადგან დედას ძალიან უჭირდა მისი შენახვა, სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1903 წელს, ვანო ჩამოსულა თბილისში და მუშაობა დაუწყო კამერმოხერის სტამბაში. თბილისში ყოფნის დროს აღძვრია ინტერესი თეატრისადმი. პირველ სპექტაკლს — მურაშკოს თეატრში დადგმულს, ვალერიან გუნიას „და-ძმას“, იმდენად დიდი

შთაბეჭდილება მოუხდენია ყმაწვილზე, რომ გადაუწყვეტია თავისი ბედი სამუდამოდ თეატრისათვის დაეკავშირებინა.

1906 წლიდან ვანოს მუშაობა დაუწყია ხალიჩების მაღაზიაში მრეწველ სამედოვთან, რომელსაც ბამბის ქარხანა ჰქონია პეტრე-პავლოვკაში (ბაქოს გუბერნია). გიგოშვილი ზაფხულობით თბილისში მუშაობდა, ზამთრობით კი პეტრეპავლოვკაში მიდიოდა. სწორედ იქ შეუსწავლია აზერბაიჯანული ენა.

1908 წელს მომხდარა მისი პირველი სასცენო ნათლობა, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“-ში, ჩვენს ცნობილ პოეტ იოსებ გრიშაშვილთან ერთად, ერთ-ერთი ყარაჩოხელის როლი უთამაშია. ამას მოჰყვა აკაკი წერეთლის პიესის „პატარა კახის“ დადგმა, სადაც ივანე გიგოშვილს მეორე გლეხის როლი შეუსრულებია. პიესას თ. ნასიძე რეჟისორობდა.

1914 წელს ივანე გიგოშვილმა დაწერა ხუთმოქმედებიანი დრამა „შურისძიება“. ავტორმა პიესის სიუჟეტად აიღო მშობლიურ მხარეში მომხდარი ამბავი — სოფლის მამასახლისის მკვლელობა, რაც გამოწვეული იყო მის მიერ გლეხობის აწიოკებით. „შურისძიება“ პირველად დაიდგა 1914 წლის 20 დეკემბერს მუსულმანთა აუდიტორიაში. ამ პიესის შემოსავალი გადაეცა ქართული თეატრის მშენებლობის ფონდს.

ამის გამო უკრანალი „თეატრი და ცხოვრება“ 1914 წ. № 41-ში წერდა: „ივანე გიგოშვილი მომავალ შაბათს 20 ქრისტეშობისთვის მუსულმანთა აუდიტორიაში ქართული თეატრის ფონდის სასარგებლოდ სდგამს ორიგინალურ ახალ პიესას „შურისძიებას“. ადგილების ფასი 60 კაპიკიდან 20 კაპიკამდე“.

უნდა ითქვას, რომ მაშინდელ პირობებში ასეთი პიესის დადგმა, როგორც არის „შურისძიება“, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა მისი დადგმა. პიესის დადგმა განახორციელა მსახიობმა და რეჟისორმა ს. პეპანოვმა. როლებს ასრულებდნენ: მაშო მარგველაშვილი, სანდრო ქსენაფონტოვი, არჩილ შათირიშვილი, იოსებ რევაზიშვილი, გიგო პეპანოვი, ვანო მგალობლიშვილი, მოსე ჭანველოვი, ოლლა ფეიქრიშვილი, ნიკო მირველოვი, ანა არჯევანიძე, ნატაშა ნადირაშვილი, თამარ ბეჟანიშვილი, სონა და სანდრო გოგაშვილები, ვანო ელიზბარაშვილი, ვერა მარგველაშვილი და სხვანი (მოკარნახე ვ. მამულოვი).

„შურისძიების“ პირველ დადგმას დიდძალი ხალხი დაესწრო,

მათ შორის იოსებ იმედაშვილი. მაყურებელი აღტაცებით შეხვდა პიესას. სპექტაკლის დასასრულს სცენაზე გამოიწვიეს რეჟისორი ს. პეპანოვი და პიესის ავტორი ი. გიგოშვილი.

ამის შემდეგ პიესა „შურისძიება“ ხშირად იდგმებოდა არაქსიანის თეატრში. ამ პიესაში ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ივანე გიგოშვილს. ერთხელ მამასახლისის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ქსენაფონტოვმა ვერ მოასწრო თეატრში დროზე მისვლა. თეატრი გაქედილი იყო მაყურებლებით. რეჟისორმა ს. პეპანოვმა პიესის ავტორს სთხოვა თავის პიესაში მამასახლისის როლი ეთამაშა.

პიესა „შურისძიების“ დაწერის შემდეგ ივანე გიგოშვილი უფრო დაუახლოვდა იოსებ იმედაშვილს, რომელიც ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორობდა და დროდადრო რეცენზიებსაც ათავსებდა ჟურნალში „მოგზაურის“ ფსევდონიმით.

პირველი წარმატებით გამოწვეულმა სიხარულმა ფრთები შეასხა გიგოშვილს, გული რაიმე ახლის შესაქმნელად მიუწევდა. სწორედ ამ დროს აქლერდა აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალანი“. ივანესთან მსახიობი შალვა გომელაური მისულა და უთქვამს, „ვანო, შენ ხომ კარგად იცი აზერბაიჯანული, მოდი ერთი ქართულად აამღერე ვალი და თელი, „არშინ მალ-ალანი“ გადმოთარგმნე“.

ივანეს მისი წინადადება ჰკუთავში დაუჭდა და გადაწყვიტა ეთარგმნა „არშინ მალ-ალანი“. თუმცა ამ დროის საოპერეტო ხელოვნებას ქართულ სინამდვილეში ეროვნული მუსიკალური ტრადიციების მხრივ თითქმის არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა მომზადებული. ეს გარემოება დიდად აფიქრებდა გიგოშვილს, მაგრამ მაინც უკან არ დაიხია და საქმეს შეუდგა.

ახლანდელ ლესელიძის ქუჩაზე იყო აზერბაიჯანული წიგნის მაღაზია. როცა ივანე ამ მაღაზიის ნაცნობ ნოქარს შეეკითხა, ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალანი“ თუ გაქვთო, გამყიდველმა გაუღიმა და მიუგო: — კი მაქვს, მაგრამ ქართველმა კაცმა აზერბაიჯანულ წიგნს რა უნდა გაუგო, ჩვენ მხოლოდ აზერბაიჯანული წიგნები გვაქვსო. გიგოშვილმა უპასუხა, ცოტა მესმის აზერბაიჯანულიო. „სასიამოვნოა, გურჯ ყარდაშ (ქართველო ძმაო), მაგრამ მაინტერესებს — რაში დაგჭირდა აზერბაიჯანული წიგნი?“ — ჰკითხა კვლავ სიცილით. „ვფიქრობ გადაეთარგმნო, ვნახოთ, თუ გამოძივა რაი-

მე“, — უპასუხა ი. გიგოშვილმა. ნოქარს ძალიან გაუხარდა და წიგნი გაუწოდა.

გიგოშვილი მეორე დღესვე შეუდგა თარგმნას.

დაახლოებით სამი თვის შემდეგ თარგმანი მზად იყო. შემდეგ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში იოსებ იმედაშვილთან მიიტანა. იმედაშვილი აღფრთოვანებულა ოპერეტის თარგმნით და გიგოშვილისათვის ურჩევია, წადი, დადგმის ნებართვა ითხოვეო. საჭირო იყო აგრეთვე ავტორის ნებართვაც. ამისათვის გიგოშვილი უნდა წასულიყო ბაქოში უზეირ ჰაჯიბეკოვთან, მაგრამ გაუშვებდა კი მისი უფროსი სამედოვი, ხალიჩების მალაზიის პატრონი, ვინათნაც ამ ხანებში გიგოშვილი ნოქრად მუშაობდა?!

კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, ერთ საღამოს, როდესაც სამედოვი კარგ გუნებაზე იყო (იმ დღეს ნავაჭრმა მაქსიმუმს მიაღწია), ივანე მივიდა მასთან და მოკრძალებით სთხოვა, რამდენიმე დღით გამათავისუფლე სამუშაოდანო. ივანე ბაქოში გაემგზავრა, ინახულა ჰაჯიბეკოვი.

ჰაჯიბეკოვმა ივანეს თარგმანი მოუწონა, მეგობრულად გადახვია ხელი და უთხრა: „არშინ მალ-ალანის“ დადგმის ნებართვას დიდი სიამოვნებით გაძლევთ. ეს ჩემი სურათიც სახსოვრად გქონდეთ, მომიგონეთ ხოლმე, იქნებ ამ სურათმა ჩემი სხვა ახალი ნაწარმოებების თარგმნის სურვილიც აღგიძრათ“. ჰაჯიბეკოვის ეს მეგობრული სიტყვები სამუდამოდ ჩარჩა გულში ივანე გიგოშვილს.

თბილისში დაბრუნებისთანავე გიგოშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში მივიდა. უჩვენა თავისი ძვირფასი საჩუქარი და ავტორის ნებართვა „არშინ მალ-ალანის“ ქართული თარგმანის დაბეჭდვის შესახებ. იმედაშვილმა დიდად გაიხარა, მთარგმნელს გამარჯვება მიულოცა. ივანე გიგოშვილს მეფისნაცვლის სამმართველოში უყოყმანოდ მისცეს დადგმის ნებართვა. ახლა საჭირო იყო მოლაპარაკებოდა შაქრო გომელაურს და მურაშკოსა და არაქსიანის მუდმივ სცენისმოყვარეებს. ყველამ მხარი დაუჭირა და როლებიც შემდეგნაირად განაწილდა: ასკარა — მ. ჯანველოვი, სულთანბეგი — ი. რევაზიშვილი, სულეიმანი — შ. გომელაური, ვალი — ნ. მირველოვი, გულჩორა — მ. მარგველაშვილი, ასია — ნ. ნადირაძე, ხალა — ო. ფეიქრიშვილი, თელი — გ. ურბნელი (ცნობილი მსახიობის, სახალხო არტისტის იუზა ზარდალიშვილის მეუღლე, საუცხოო ხმის პატრონი), მაგრამ არ ჰქონდათ სარეპეტი-



ციო ოთახი, დადგმისათვის საჭირო თანხა. გიგოშვილმა დაიჭირავა გამოჩენილი მეთარეები ნ. იბრაჰიმოვი, ს. ოშაყმაშვილი, მევილინე ა. სარიევი, დადგმასა და მუსიკოსებს ხელმძღვანელობდა ალექსეროვი. რეპეტიციები ეწყობოდა მთარგმნელის ბინაზე.

გიგოშვილმა ორთვენახევარი მძიმე შრომაში გაატარა. პატარა დასი თავგამოდებით მუშაობდა. მისი არც ერთი წევრი ძალ-ღონეს არ იშურებდა. მესამე თვის ბოლოს სპექტაკლი უკვე მზად იყო.

პრემიერის ჩატარებამდე სათანადო მუშაობა იყო საჭირო. დახმარებისათვის გიგოშვილმა მიმართა არაქსიანის თეატრის დირექტორს მსახიობ აბო ხარაზიანს. ხარაზიანი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქირას სპექტაკლის წინა დღეს შეიტანდა. რა გზა ჰქონდა ვანოს, როგორც იყო ქირაც მთლიანად გადაიხადა. სპექტაკლის ჩვენება აღდგომის დღეს დაინიშნა, 1916 წლის 11 აპრილს. ეს დღე ხელს არ აძლევდა, რადგან ამ დღეს ხალხი დღესასწაულს ზეიმობდა და ძალიან ცოტას თუ გაუწევდა გული თეატრისაკენ, მაგრამ აბო ხარაზიანმა თავის თეატრში სხვა დღე არ დაუთმო. „არშინ მალ-ალანის“ პრემიერის გამართვა ქართულ საზოგადოებას ეურნალ „თეატრი და ცხოვრებამ“ აუწყა: „ავლაბრის თეატრ-პალასში აღდგომის ორშაბათს, 11 აპრილს სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე ცნობილი ოპერეტა „არშინ-მალ-ალან“ ოთხ მოქმედებად. უზეირ ჰაჯიბეკოვისა, თარგმანი ვანო გიგოშვილისა. საზანდარი მეთარე ალექსეროვის მონაწილეობით. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. რეჟისორი ალექსეროვი, გამგე ვ. გიგოშვილი“.

უკვე ოთხი საათი სრულდება, დასის მთელი შემადგენლობა თეატრშია, სალაროში ჯერ ერთი ბილეთიც არ გაყიდულა, თითქოს მართლდებოდა ივანე გიგოშვილის შიში, მაგრამ ექვსი საათისათვის იმდენი ხალხი მოაწყდა, მალე არც ერთი ბილეთიც არ დარჩა, თეატრის დარბაზი გაიჟედა. კარის დაკეტვის შემდეგ დიდხანს ვერ მოახერხეს სპექტაკლის დაწყება. გარეთ დარჩენილნი მოსვენებას არ აძლევდნენ. მთარგმნელი და სცენისმოყვარეები ცრემლნარევი სიხარულს განიცდიდნენ, უხაროდათ, რომ საზოგადოება ასეთ ინტერესს იჩენდა სპექტაკლისადმი, მაგრამ. ამავე დროს შიშობდნენ, ვაითუ კარი მართლა შემოამტვრიონ და წარმოდგენა ჩაგვეშალოსო. ბოლოს, რაკი ხალხის მოზღვავება გასაქანს არ აძლევდათ, მიმართეს თეატრის დირექტორს აბელ ხარაზიანს და გა-

დაწყვიტეს შესასვლელი ბილეთები გაეშვათ. ამან ცოტა შელავათი მისცა და ფარდა აიხადა.

სპექტაკლი ბრწყინვალედ დაიწყო, ყველა მოქმედება ტაშის გრიალში მიმდინარეობდა. არ იცოდნენ, რას მიეწერებოდა ასეთი წარმატება. ცხადია, მსახიობები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ წარმატების მთავარი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ქართველი საზოგადოება მშობლიურ ენაზე პირველად ისმენდა ოპერეტას. წარმოდგენა გვიან ღამით დამთავრდა. ტაში ოვაციად იქცა. მთარგმნელის სცენაზე გამოსვლა მოითხოვეს. ხალხი კმაყოფილი შესტქეროდა ივანე გიგოშვილს, რომელიც გრძნობდა, რომ ქართველ მკითხველს თვალში გაიმარჯვა დიდმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა და მისმა მთარგმნელმაც.

თუ აქამდე ქართველ თეატრალთა შორის იყვნენ სკეპტიკოსები, რომლებიც ეჭვს გამოთქვამდნენ ამ წამოწყების მიმართ და „არშინ მალ-ალანს“ ქართულ სცენაზე უდავო მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა, პირველი სპექტაკლის დადგმის შემდეგ, ქართულ „არშინ მალ-ალანს“ უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. ამ დღიდან. „არშინ მალ-ალანი“ კვირაში სამ-ოთხჯერ იდგმებოდა თეატრებისა და კლუბის სცენებზე. სცენისმოყვარეებს ეს ოპერეტა ცხოვრების წყაროდ გადაექცათ. დასის სიამაყენი იყვნენ მაშინდელი სცენისმოყვარენი: შ. გომელაური, მ. ჯანველოვი, ი. რევაზიშვილი, ნ. მირველოვი, ს. სულთანიშვილი, მ. და ვ. მარგველაშვილები, ნ. ნადირაძე, ა. არჯევანიძე, ო. ფეიქრიშვილი, ა. შანშიაშვილი, ს. გოგაშვილი, დ. თვალჭრელიძე, ა. უმბრიევი, მ. სარაული, მ. სულთანიშვილი, გ. ფირუმიანი, ნ. ჩაგუნავა, ვ. კობელი, პ. ფრანგიშვილი და სხვები.

1916 წლის შემოდგომაზე მასწავლებელმა ს. მელაშვილმა ი. გიგოშვილს სთხოვა: ქართველ ქალთა ჭრა-კერვის საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ დადგმულიყო ოპერეტა „არშინ მალ-ალანს“. გიგოშვილმა დიდი სიამოვნებით მიიღო თხოვნა და სცენისმოყვარე დ. მელაშვილთან ერთად წავიდა საზოგადოების სკოლაში. ივანემ იმ დღეს ახლო გაიცნო საზოგადოების თავმჯდომარე, ჩვენი გამოჩენილი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი. ეკატერინემ თბილი, გულში ჩამწვდომი საუბარი გაუმართა მისულებს. შეთანხმდნენ, რომ გიგოშვილი, როგორც მთარგმნელი, დახმარებას აღმოუჩინდა მწერალ ქალს „არშინ მალ-ალანის“ დადგმით, რომლის

შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ უნდა გადარიცხულიყო. ეს სპექტაკლი იმავე წლის მიწურულს დაიდგა ოპერის თეატრში. საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. საზოგადოების სკოლას, ხარჯების დაფარვის შემდეგ, საკმაო შემოსავალი დარჩა. ამის გამო ეკატერინე გაბაშვილი დიდად ემადლიერებოდა ივანე გიგოშვილს.

მალე გიგოშვილი ჯარში გაიწვიეს. ამის აღსანიშნავად უურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ გამოაქვეყნა პატარა წერილი, რომელსაც უ. ჰაჭიბეკოვისა და ი. გიგოშვილის სურათი დაურთო („თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 35). ამრიგად ივანეს თეატრალური საქმიანობა დროებით შეწყდა, თუმცა მიწერ-მოწერის საშუალებით მან დასის ყოველი წვრილმანი მაინც იცოდა. დიდად გაიხარა, როცა გაიგო, რომ 1917 წლის აპრილის დამლევს თბილისს საგასტროლოდ ეწვია დასი, ძმების უ. და ზ. ჰაჭიბეკოვების ხელმძღვანელობით. 21 აპრილს ოპერის თეატრში დაიდგა უ. ჰაჭიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან“, ხოლო მეორე საღამოს მისივე ოპერეტა „აშულ ყარიბი“.

ამ დასმა მოიარა თბილისის ყველა გარეუბანი და გადაწყვიტა საგასტროლოდ გამგზავრებულიყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქუთაისში, სამტრედიისში, ხონში, ფოთში, ბათუმში.

1922 წელს ი. გიგოშვილს აღ. ოგანოვმა ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა: „ძვირფასო ვანო, ველისციხეშიც იხილეს შესანიშნავი ოპერეტა მშობლიურ ენაზე. ო, რომ იცოდე, რამდენი სიახლე შემოიტანა თქვენმა თარგმანმა ჩვენში. ჩვენ ხომ პატარა კულტურის კერაში გვიხდება მუშაობა. ესლა ჩვენს დასში, რომელიც მინდორში გადიოდა რეპეტიციებს, თამაშობდნენ გლეხის გოგონები, რომლებიც ადრე წარმოუდგენლად თვლიდნენ სცენაზე თამაშს. ახლა ისინი პროფესიონალები გეგონებათ, მათი თამაში უდაოდ დიდ სიამოვნებას მოგანიჭებდათ. დიდი სურვილი გვქონდა, ჩვენ პრემიერას დასწრებოდით, თხოვნაც გამოგიგზავნეთ, მაგრამ თქვენ არ ჩამობრძანდით, ალბათ, ვერ მოიცალეთ. ერთი კია, ჩვენი საზოგადოება კმაყოფილია თქვენი თარგმნით და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანში გვესტუმრებით, ზოგადად შესწორებას შეიტანთ ჩვენ დადგმაში და დაგვეხმარებით კიდევ ზოგიერთი სიმღერის დაძლევაში.“

მოგესალმებით და გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას იმ საქმეში, რასაც თქვენ ეწევით. პატივისცემით ალ. ოგანოვი“.

აღსანიშნავია, რომ ალ. ოგანოვის მიერ იქნა განხორციელებული უ. ჰაჭიბეკოვის მეორე ოპერეტა „მაშტი იბადი“ (გიგოშვილი-სეული თარგმანი).

ამ ხანებში თბილისის სახალხო თეატრების ცხოვრებაში სახალხო წარმოდგენების მართვა ისე შეფერხდა, რომ საქმე მათ დაშლამდე მივიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სახალხო თეატრის ბევრი მსახიობი თავის წრეს ჩამოშორდა და მთლიანად ოპერეტა „არშინ მალ-ალანის“ სამზადისში ჩაება. ერთი სიტყვით დადგა „არშინ მალ-ალანის“, „მაშტი იბადის“ და სხვა აზიური ოპერეტებისა და საზანდრების ხანა. არავის უნდოდა და არც აგონდებოდა ტრაგედიები და კომედიები. იშვიათი იყო თბილისში ისეთი საღამო, რომ ამა თუ იმ კლუბში, ან აუდიტორია-თეატრში „არშინ მალ-ალანი“ არ წარმოედგინათ. კერძოდ, ავლაბრის თეატრში თითქმის დღე და ღამე მიდიოდა ეს ოპერეტა როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე და თეატრი მუდამ გაჭედილი იყო მაყურებლით. შემოსავალი დიდი იყო და ეს იყო მიზეზი, რომ ყველა მსახიობს, განსაკუთრებით გაჭირვებულს და ნახევრად მშვიერ პროფესიონალ მსახიობსაც კი, მოუხდა მიეღო მონაწილეობა ოპერეტაში. საქმე იქამდის მივიდა, „არშინ-მალ-ალანში“ მონაწილეობა მიიღეს ვ. აბაშიძემ, ელ. ჩერქეზიშვილმა, ტ. აბაშიძემ, ა. იმედაშვილმა, ი. ყივიძემ, პ. ფრანგიშვილმა, ლ. კავსაძემ და სხვებმა.

ოპერეტამ თავისი უშუალოებით, მელოდიურობით, დიდი ჰუმანურობით მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. და დღეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრებში იდგმება. ოპერეტაში გამოდიოდა თვალსაჩინო მსახიობი ლადო კავსაძე. ამ ოპერეტით აღფრთოვანებული იყო დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი და აპირებდა კიდევ მის დადგმას, მაგრამ არ დასცალდა.

„არშინ მალ-ალანმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ დროს აზერბაიჯანული და ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. ხელი შეუწყო ორი მეზობელი ერის კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

ივანე გიგოშვილი წერს პიესას „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომელიც პირველად ზუბალაშვილების სახალხო სახლის სცენაზე დაიდგა, ხოლო 1921 წელს მედიცინის მუშაკთა კლუბში წარმოადგი-

ნეს ი. გიგოშვილის პიესა „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში“. ეს იყო საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი პირველი სპექტაკლი.

ამას მოჰყვა 1924 წელს გიგოშვილის მიერ დაწერილი ცნობილი წითელი პარტიზანის ილიკო. იმერლიშვილის ცხოვრების ამსახველი პიესა — „ილიკო იმერლიშვილი“. პიესა პლენარის სახელობის კულტურის სახლში დაიდგა 1925 წლის სექტემბერს, საქართველოს სახალხო არტისტის შალვა ღამბაშიძის მონაწილეობით.

ილიკო იმერლიშვილის როლს ასრულებდა შ. ღამბაშიძე, მარიამისას (იმერლიშვილის დედა) — ელ. ჩერქეზიშვილი, ლიზას როლს (ილიკოს მეუღლე) — ს. გოგაშვილი, ვარვარას (იმერლიშვილის ქალიშვილს) — ვ. კუდუხაშვილი, ჩინოვნიკ ფარესაშვილს (ილიკოს ამხანაგს) — ბ. ლითანიშვილი.

სპექტაკლს ესწრებოდა იმერლიშვილის მეუღლე ლ. ლებანიძე. მსახიობთა გულწრფელი თამაშით აღტაცებულმა ლიზამ ბევრი ცრემლი დაღვარა; მან წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დიდი მადლობა გადაუხადა როგორც პიესის ავტორს, ისე მონაწილე მსახიობებს.

1928 წელს ი. გიგოშვილმა გაერთიანებული ჯგუფკომისა და მუშაობსამსახურეთაგან ჩამოაყალიბა დრამწრე, რომელმაც მრავალი გამსვლელი სპექტაკლი გამართა.

1956 წლის 4 აპრილს თეატრალურმა საზოგადოებამ გულთბილად და საზეიმო ვითარებაში აღნიშნა ვანო გიგოშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

1920 წლის დასასრულს გვარდიელთა შტაბში (ნავთლული) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ძველი სცენისმოყვარის ვიქ. მატარაძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა პიესა „არსენა ჯორჯიაშვილი“. მონაწილეობდნენ: მ. სარაული, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. მატარაძე, გ. ივერიელი, მ. ჯანველოვი, ბ. ლითანიშვილი, დ. მუჟაია. საერთოდ პიესა „არსენა ჯორჯიაშვილი“ დიდი წარმატებით მიდიოდა, როგორც ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ისე სხვა თეატრებსა და ქალაქის გარეუბნებში. „არასოდეს დამავიწყდება ეს შემთხვევა, — გვიამბობს პიესის ავტორი ი. გიგოშვილი — როცა ნავთლულის კლუბში (რომელიც მაშინ გვარდიელებს ეკავათ) „არსენა ჯორჯიაშვილის“ დადგმა გადაეწყვიტეთ, იმ თავითვე ვგრძნობდი, რომ ასეთ ადგილას მისი დადგმა რალაც უსიამოვნებას

შეგვამთხვევდა, მაგრამ უკან აღარ დავიხიე. სპექტაკლზე დამსწრე მაყურებლები ძირითადად გვარდიელები და მისი ოჯახის წევრები იყვნენ. პიესის დასასრულს, როცა მეხუთე მოქმედებაში არსენა ჯორჯიაშვილის საფლავზე წითელი დროშები აღმართეს და ორატორმა ლაპარაკი დაიწყო, გვარდიელებს ეს არ მოეწონათ, რადგან ეს რევოლუციისაკენ მოწოდების გზად მიიჩნიეს, ხოლო არსენას საფლავზე დახრილი დროშები კი მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტად. ამიტომ წარმოდგენა შეაჩერეს, დროშები წაართვეს და დაჟინებით მოითხოვეს პიესის ავტორი. მათ წინაშე რეჟისორი ვ. მატარაძე წარსდგა, რომელსაც გვარდიელებმა თოფის კონდახი უთავაზეს. მე საჩქაროდ გამაპარეს ამხანაგებმა. მსახიობები აქეთ-იქით გაიფანტნენ და ბოლოს ავლაბრის მოედანზე შევიკრიბეთ. არასოდეს დამავიწყდება ელ. ჩერქეზიშვილის სიტყვები, ელისაბედი ფეხშიშველა გარბოდა და თან მეძახდა: „ვანო, შე სიყრმემკვდარო, ეგ სად წამომიყვანეო“.

ამრიგად, გვარდიის შტაბის კლუბში მომხდარი ინციდენტის შემდეგ პიესა „არსენა ჯორჯიაშვილის“ დადგმა სრულიად აუკრძალეს, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ და ურეკლამოდ, უაფიშოდ, ფარულად განაგრძობდნენ პიესის დადგმას. ასეთივე წარმოდგენა გაუმართავთ მუშებისათვის ტრამვაელთა კლუბში, სადაც დიდძალი ხალხი დაესწრო. სპექტაკლის შემდეგ მუშები აღიოდნენ სცენაზე და კმაყოფილების ნიშნად ხელს ართმევდნენ ავტორს და მადლობას უხდოდნენ.

მალე „არსენა ჯორჯიაშვილი“ თბილისის ფარგლებსაც გასცდა და შევიდა იმ დასის საგასტროლო რეპერტუარში, რომელიც ჩარკვიანის რეჟისორობით ჩამოყალიბდა. ამჯერად როლები ასე განაწილდა: არსენა ჯორჯიაშვილს ასრულებდა დ. ჩარკვიანი, არსენას დედას — ელ. ჩერქეზიშვილი, პუშკინას — მ. ჯანველოვი, ზაქრო ჯორჯიაშვილს — მ. სარაული, ლევანს — კორიშელი.

დასმა პირველი წარმოდგენა არტისტული საზოგადოების თეატრში უჩვენა. ეს დიდი მიღწევა იყო როგორც სპექტაკლისათვის, ასევე მისი ავტორისათვის. დასი საგასტროლოდ კახეთში გაემგზავრა სხვა შემადგენლობით და წარმოდგენები გამართა თელავში, გურჯაანში, სიღნაღში, ვაჟირში და სხვა მრავალ სოფელში.

„არსენა ჯორჯიაშვილის“ დადგმასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდური მინდა კიდევ მოგიხსროთ, — გვიამბობს ი. გიგოშვილი, —

ეს უკვე საჭარტველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. კვლავ დავდგით „არსენა ჯორჯიაშვილი“ — ძმები ზუბალაშვილების სახლში. პიესას ისევ მატარაძე რეჟისორობდა. სპექტაკლზე მოვიყვანეთ არსენას მამა პავლე ჯორჯიაშვილი მეუღლითურთ და არსენას და ვარა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას განიცდიდნენ ისინი, რომლებმაც დაღუპული შვილი და ძმა იხილეს სცენაზე. ცრემლებად იღვრებოდნენ... ვ. მატარაძეს, რომელიც არსენას როლს ასრულებდა, პავლე გადაეხვია და უთხრა: „ჩემი არსენა ხარ, შვილო, შენ გენაცვალოს ჩემი თავიო...“ მთელი შემოსავალი გადავეცით ჯორჯიაშვილების ოჯახს“.

1928 წელს ი. გიგოშვილმა თავისი ინიციატივით გაერთიანებულ ჯგუფკომთან ჩამოაყალიბა დრამატული წრე, რომელშიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ მუშა-მოსამსახურეები. მათი „რეზიდენცია“ იყო ახლანდელ ლესელიძის ქუჩაზე (№ 30, ყოფ. კერძო მაღაზიის დარბეზი). რამოდენიმე თვეში სახელდახელოდ მოამზადა ორი სპექტაკლი — „არსენა ჯორჯიაშვილი“ და „ძუნწი“ და განათლების კომისარიატის დავალებით იმავე წლის 7 მარტს გაემგზავრა სოფელ საკრამულაში. სპექტაკლების ჩასატარებლად აფიშა წინასწარ იყო გამოკრული, რომელიც იუწყებოდა: 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება „არსენა ჯორჯიაშვილი“. „ბევრი უსიამოვნება გვხვდებოდა ჩვენს მუშაობაში, — გვიამბობს ი. გიგოშვილი, — ვიდრე ხალხის შეგნებაში მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა თეატრისადმი სიყვარული. საკრამულაში მოგზაურობიდან ასეთ შემთხვევას მოვიტან. შევედით თუ არა სოფელში, გლეხებმა აღმაცერად შემოგვხედეს და ზურგს უკან წყევლა-კრულვას გვიგზავნიდნენ. ერთ-ერთმა გლეხმა კი პირდაპირ გაგვაგონა: „მოვიდნენ ჯამბაზები, ჩვენი წმინდა საკურთხევის შემლახველებიო“. გლეხობის ასეთმა ათვალისწინებულმა დამოკიდებულებამ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, მაგრამ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ჩვენს შესახვედრად გამოსულიყო, დაგვამშვიდა და გაგვაფრთხილა, „ყურადღებას ნუ მიაქცევთო“. პირველ რიგში საჭირო იყო ზრუნვა, თუ სად უნდა ჩაგვეტარებინა სპექტაკლი. სოფ. საბჭოს თავმჯდომარემ ეკლესიის შენობა შემოგვთავაზა. მე მაშინვე მიეხვდი მოხუცი გლეხის წყენის მიზეზს და მტკიცედ განვაცხადე უარი ეკლესიაში წარმოდგენის გამართვაზე. რა ფასი ექნებოდა მორწმუნეთა თვალში ჩვენს სპექტაკლს, თუ ეკლე-

სიაში ჩავატარებდით, და ვთხოვე ადგილობრივ ამხანაგებს, ეკლესიის მავივრად სკოლის შენობა მოემზადებიათ. ჩემი რჩევა მათაც კუეაში დაუჭდათ და ჩვენს საღამოს იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ფეხზე დასადგომი ადგილიც კი აღარ იყო. სპექტაკლი გლენობაჲ გულთბილად მიიღო, არსენას გამოჩენას ოვაციებით ხვდებოდნენ და დაძაბული ადვენებდნენ თვალს მისი ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს. ასეთი ფაქტით ვხელმძღვანელობდით სპექტაკლის ჩატარების დროს და, უნდა ითქვას, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდით: ჩვენს სპექტაკლებს ხალხი მასობრივად ესწრებოდა და სათანადო საპასუხო რეაქციასაც იწვევდა ჩვენი თამაში მაყურებელში“.

## გიორგი დარისპანაშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი მრავალ მხრივი შემოქმედია. იგი მსახიობობასთან ერთად აქტიურ სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. თავის შემოქმედებაში გარკვეულ ადგილს უთმობდა დრამატურგიას. მისი პირველი პიესები — „მატყუარა ექიმი“ და „1905 წელი“ 1923 წელს დაიწერა და დაიდგა კიდეც სცენისმოყვარეთა მიერ. დრამატურგი ეპოქის მაჩისცემას ეხმარებოდა და წარმატებაც ჰქონდა.

პიესა „სიყვარულმა რა ქმნა“ ავტორის რეჟისორობით მაყურებელმა პირველად შაითან ბაზრის ტერიტორიაზე, ქალთა ინტერნატის კლუბში იხილა. შემდეგ ავღაბრის მოსახლეობის თხოვნით მათ ტერიტორიაზეც დაიდგა.

უნდა ითქვას, რომ თეატრს საკმაოდ დიდი ფართობი გააჩნდა და დარისპანაშვილს, როგორც რეჟისორსა და დრამატურგს, საშუალება ეძლეოდა პიესა დიდი ექსტაზით წარემართა.

ამას მოჰყვა გიორგი დარისპანაშვილის შემდეგი პიესა „სამა ამხანაგი“, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის 10 წლისთავს მიუძღვნა მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა. ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირები იყვნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ობოლი, ღარიბი ბავშვები. პიესა თბილისელთა ცხოვრე-



ბაზე იყო აგებული, მოქმედება შაითან ბაზრის უბანში მიმდინარეობდა.

პიესის დადგმა გიორგი დარისპანაშვილს მიანდევს. სპექტაკლის მხატვრული და მუსიკალური გაფორმებისათვის რეჟისორმა მოიწვია ცნობილი მხატვარი ელენე ახვლედიანი და თეატრის მუსიკალური განყოფილების გამგე ვ. შავერდაშვილი.

გიორგი დარისპანაშვილი, როგორც თბილისელი და ისნის უბანში დაბადებული, მასპინძლობდა, მისი ახსნა-განმარტება მხოლოდ ვ. შავერდაშვილს ესაჭიროებოდა, თორემ ელენე ახვლედიანის ფუნჯს დიდი ხანია, რაც მოეხატა ამ უძველესი უბნის შუშაბანდები.

ნიჭიერმა მხატვარმა ელენე ახვლედიანმა შაითან ბაზრის რამდენიმე კონტური მოხატა. თეატრის დიდმა მოამაგემ ვ. შავერდაშვილმა „სამი ამხანაგისათვის“ შესანიშნავი მუსიკა დაწერა. პიესის პრემიერა 1931 წლის თებერვლის ბოლოს შედგა. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ ამ დადგმის შესახებ წერდა: „თეატრს უდიდესი როლის შესრულება შეუძლია მესამე თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მაგრამ ამისათვის ძირითადი ამოცანაა, რომ აღნიშნული თეატრი სიმაღლეზე იდგეს არა მხოლოდ იდეოლოგიური გამართლებით, არამედ მხატვრული ოსტატობის მხრივაც. ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს მოზარდ მაყურებელთა თეატრის დადგმა „სამი ამხანაგი“. ეს სპექტაკლი, სხვათა შორის იმითაც საყურადღებოა, რომ აქ მკვეთრადაა მოცემული ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის იდეა. „სამი ამხანაგი“ ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელთა ბავშვების პროლეტარული სოლიდარობის გადმოცემას ისახავს მიზნათ“.

როგორც კი მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარმოადგინა გიორგი დარისპანაშვილის ეს პიესა, სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორმა იგი წიგნად გამოსცა. ამის შემდეგ გიორგი დარისპანაშვილი ჯერ საქართველოს დრამსექციის, მერე კი ამ სექციის ბიუროს წევრი გახდა.

ბიუროს წევრებს ცალ-ცალკე დავალებები ჰქონდათ. გიორგი დარისპანაშვილის სექციაში დამწყები მუშა-დრამატურგები შედიოდნენ.

დრამსექციას ხელმძღვანელობდა გუგული ბუხნიკაშვილი. ამ კოლექტივთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე დრამატურგ სეზმან ერთაწმინდელს, რომელიც ადრე მსახიობობდა კიდეც.

გიორგი დარისპანაშვილი გვიამბობს: „რა დამავიწყებს ერთ იუმორისტულ წერილს, რომელიც პატივცემულმა გუგული ბუხნიკაშვილმა მწერალთა კავშირის გაზეთში გამოაქვეყნა. წერილი დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: სეზმან ერთაწმინდელს და გუგული ბუხნიკაშვილს დრამსექციის ბიუროს სხდომაზე დავა აუტყდათ: არა, მე მაქვს შენზე მეტი პიესები დაწერილი და არა მეო. ამ კამათში სეზმან ერთაწმინდელს გული მოუვიდა, როგორ თუ მჯობნი პიესების სიმრავლეშიო, ხელში კალამი აიღო და სხდომის დამთავრებამდე კიდევ ერთი ახალი პიესა დაწერა. ვისაც იმ წერილის შინაარსი ახსოვს, დამეთანხმება, რომ ძალზე კარგი იუმორი, ნიჭიერად დაწერილი სტატია იყო.

იმავე წელს მწერალთა კავშირთან ჩამოყალიბდა კომკავშირის უჯრედი. ამ უჯრედის წევრები იყვნენ: დ. თენაშვილი, გ. კაქახიძე, გ. ნატროშვილი, გ. ჯიბლაძე, ი. აბაშიძე, კ. კალაძე, კ. მელაძე, ა. ადამია, გ. შავგულიძე, მე და სხვ.

მწერალთა კავშირის დრამსექციასთან ახლოს ყოფნამ და მუშაობამ ბევრი კარგი ადამიანი შემძინა და მოხარული ვარ, რომ ისინი დღესაც ჩემი ახლო მეგობრები არიან“.

1927—1928 წლებში გიორგი დარისპანაშვილის ორი პიესა — „ბრძანება 104“ და „ხილქვეშ“ ნიკო გოძიაშვილის რეჟისორობით დიდი წარმატებით დაიდგა პლენანოვის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრში.

პიესაში „ხილქვეშ“ ნაჩვენებია ის ხარვეზები, ნაკლოვანებანი და მავნებლობა, რაც ხელს უშლიდა რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას, მის ნორმალურ მუშაობას. რესპუბლიკის სახალხო არტიისტი გიორგი დარისპანაშვილი იგონებს:

„ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გოძიაშვილს პირველად შევხვდი მუშათა სახალხო თეატრში. ეს თავმდაბალი და ნიჭიერი ახალგაზრდა იმ ძვირფასი ტრადიციების გამგრძელებელი იყო, რომლებიც თავის დროზე მუშათა თეატრში მოღვაწეობით დანერგეს ქართული თეატრის დიდოსტატებმა: მაკო საფაროვა-აბაშიძემ, ვასო აბაშიძემ, ვალერიან გუნიაშვილმა, ალექსანდრე იმედაშვილმა და მრავალმა სხვამ. იგი პროფესიული განათლებით მოვიდა ხალხურ შემოქმედებაში, მოიტანა სიცოცხლე, რწმენა და დიდი შემოქმედება, მას გაუგეს მუშა-მსახიობებმა და ერთობლივი შეხმატებლებული მუშაობით წარმართეს საქმე.

ამ წრემ ნ. გოძიაშვილის რეჟისორობით დადგა ჩემი ორი პიესა „ბრძანება 104“ და „ხიდქვეშ“.

ნიკოლოზ გოძიაშვილი სპექტაკლზე მუშაობისას გამოირჩეოდა არა მარტო ნიჭითა და გამომგონებლობით, არამედ დიდი მომთხოვნელობით, ინდივიდუალური მიდგომით. ამან განაპირობა ჩემი ორივე სპექტაკლის წარმატება. როგორც განხილვაზე იყო აღნიშნული, ეს იყო მუშათა კოლექტივის დიდი გამარჯვება“.

გიორგი დარისპანაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წიგნი „წარსულის სურათები“, რომელშიაც აღწერილია თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის, ავლაბრის მცხოვრებთა კოლორიტული სახეები, გადმოცემულია მათ სულში მომხდარი დიდი ძვრები.

დარისპანაშვილი ყურნალ-გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა წერილებს, ეხება მათში ახალგაზრდობის მორალს, სპორტის საკითხებს. საინტერესოა მისი რჩევები ქართული ჭიდაობის წესებისა და ილეთების სრულყოფისათვის.

1976 წელს გამოვიდა გიორგი დარისპანაშვილის წიგნი „მოგონებები“. ვის არ ახსოვს რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. დარისპანაშვილის ჭეშმარიტი ხელოვნება, მისი მოღვაწეობა, როგორც მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სცენაზე, ასევე რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრების სცენებზე. ასევე არაერთი შესანიშნავი დადგმის განხორციელება. ამ წლების ამბები ერთად აკინძა და გამოსცა ლეონტი მსახიობმა და „მოგონებები“ უწოდა.

გიორგი დარისპანაშვილი მეორე კაცია საქართველოში, მსახიობ ნიკო გოცირიძის შემდეგ, რომელმაც მუშის დაზვიდან აიღვა ფეხი და თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სახალხო არტისტის მაღალ საპატიო წოდებამდე აიტანა. ნიკო გოცირიძემ ხარფუხში დაიწყო თავისი აქტიორული გზა, მუშა გიორგი დარისპანაშვილმა კი ისანში აიყარა ტანი, როგორც ამქარმა და მსახიობმა.

გიორგი დარისპანაშვილი ღარიბი კაცის ოჯახში დაიბადა. ადრე დაობლებულმა 8 წლის ბიჭუნამ მძიმე შრომას მოჰკიდა ხელი. დაიწყო ტანჯვა-წამებით აღსავსე გზა ჰევარტილითა და კვამლით სავსე სამკვდლოში. ცოდნის წადილით შეპყრობილი ყმაწვილი ამ სიძნელეებს არ შეუშინდა, ქედი არ მოიხარა, შეეცადა ყოველდღიური ტანჯვისათვის თავი დაეღწია, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში. ავლაბრის სცენისმოყვარეთა წარმო-

დგენებზე სიარულს მოუხშირა, ამან კი ქაბუქს წიგნისადმი სწრაფვა განუვითარა და დიდი გავლენაც იქონია მის ზნეობრივ აღზრდაზე.

15 წლის არც კი იქნებოდა გოგი, როცა პირველად სცენისმოყვარეთა წარმოდგენას დაესწრო. ამ დღიდან თეატრზე ფიქრი არ ასვენებდა, შოულობდა პიესებს, იზეპირებდა როლებს და, რაც მოეწონებოდა, მაშინვე გაითამაშებდა ხოლმე. სცენას იგი პირველად 1920 წელს ეზიარა პურის ქარხნის სცენისმოყვარეთა სპექტაკლში „ყაჩაღ არსენაში“ სირაჯის ბიჭის როლის განსახიერებით.

უშუალოდ სცენაზე გიორგი დარისპანაშვილი ავლაბრის სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში გამოვიდა პიესაში „ბრძოლა არსებობისათვის“. ამ პიესაში ეპიზოდური როლი შეასრულა და თეატრის მცოდნეთა მოწონება დაიმსახურა. ამ წაქეზებამ ნიჭიერ ახალგაზრდა სტიმული მისცა. გადაწყვიტა თავისი ცხოვრება საბოლოოდ სცენისათვის დაეკავშირებინა. ჩამოაყალიბა დრამატული წრე და ახალგაზრდებთან ერთად წარმოდგენებს უჩვენებდა თბილისელ ბავშვებს, საშეფო ორგანიზაციებსა და სამხედრო ნაწილებს. პირადად მათი შეფი იყო ერთ-ერთი ქვეითთა ლეგიონი, რომელთანაც დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდათ. გადიოდნენ რაიონებსა და ახლო-მანლო სოფლებში. პატარა მსახიობებს დეკორაციები ზურგივთ გადააქონდათ. სპექტაკლის ჩასატარებელ ადგილზე ჭერ კოცონს დაანთებდნენ, მერე თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ.

ერთ დღეს გადაწყვიტეს წვევამდელებისათვის დაედგათ წარმოდგენა. დრამატული წრის ხელმძღვანელმა გიორგი დარისპანაშვილმა დაწერა პიესა, რომელიც მოუთხრობდა ჭაბუკების გამბედაობასა და მამაცობაზე, წვევამდელთა საზეიმო გაცილებაზე... სცენისმოყვარეებმა ისეთი ენთუზიაზმით გაშალეს შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ ეკლესიის პატარა სცენა მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ. ამიტომ იერიში მურაშკოსეულ თეატრზე მიიტანეს.

1921 წელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს მურაშკოსეული თეატრის შენობა აღადგინა და რუსულ ენაზე თავიანთი ძალებით წარმოდგენების დადგმა დაიწყო არმიის ერთ-ერთმა მეთაურმა.

ეს ის პერიოდია, როდესაც ავლაბარში, ტრადიციულად თეატრალურ რაიონში, აგრეთვე ხარფუხსა და ორთაქალაში, თითქმის

არც ერთი თეატრალური დასი არ მუშაობდა. ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა სცენისმოყვარის გიორგი დარისპანაშვილის წინადადებას — პარალელურად დაედგა ქართული წარმოდგენა ამ თეატრში — არმიის მეთაური სიამოვნებით შეხვდა. ფრთაშესხმული გიორგი მაშინვე უბანში დაბრუნდა, შეკრიბა ენთუზიასტი, ნიჭიერი ახალგაზრდები და გულმოდგინე, ხანგრძლივი მეცადინეობით შეკრა ერთიანი მიზანსწრაფვის კოლექტივი, წრის პირველი მერცხლები იყვნენ: გ. მჭედლიშვილი, ლ. სულთანიშვილი, შ. ჯაფარიძე, თვით დარისპანაშვილი და მისი უფროსი ძმა სულიკო.

დიდი მონღომებით ჩატარებული რეპეტიციები მალე დამთავრდა და აი, 1921 წლის ერთ კვირა დღეს დადგა პრემიერის დღეც. დარბაზი მაყურებლით აივსო. ყველა ღელავდა. სპექტაკლმა დიდებულად ჩაიარა. თეატრის უფროსი — წითელარმიელთა მეთაური სცენაზე ავიდა, მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა დარისპანაშვილს და სთხოვა, კიდევ დაედგა ახალი პიესა.

პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდებს და უფრო ენერგიულად განაგრძეს მუშაობა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ურწმუნო თომებიც კი, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ნორჩთა დასის საქმიანობას და არ სჯეროდათ მათი გამარჯვებისა, ულოცავდნენ წარმატებას.

როგორც კი ავლაბარში მურაშკოს თეატრის წარმოდგენის მაუწყებელი აფიშა გაჩნდებოდა, სპექტაკლს ესწრებოდნენ როგორც მუდმივი მაყურებლები, ისე ისინიც, რომლებმაც წინათ თეატრის გზაც კი არ იცოდნენ.

პატარა პიესებიდან ახალბედა სცენისმოყვარეები მალე დიდი მოცულობის ნაწარმოებებზე გადავიდნენ. დაიდგა აკაკი წერეთლის „პატარა კახი“. ამის შემდეგ კიდევ წარმოდგინეს რამდენიმე პიესა, მაგრამ მურაშკოსეული თეატრი სიძველის გამო თანდათან გამოდიოდა წყობიდან.

ამ დროს პურის ქარხანაში, სადაც გიორგი მუშაობდა, კონტროლიორად ინიშნება გამოცდილი სცენისმოყვარე ნიკო მირველოვი. ქარხნის მუშების თხოვნით, მირველოვმა ჩამოაყალიბა დრამატული წრე, რომელშიაც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები.

მირველოვის ხელმძღვანელობით, ქარხნის პირდაპირ, ანჩისხატის საყდრის გვერდით მდებარე ფაბრიკის სცენაზე დადგეს ერთ-

მოქმედებიანი ვოდვეილები და სკეტჩები. დაიწყეს ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი პიესის „არსენას“ მზადება. პიესის ჩვენება განზრახული იყო ავლაბრის მუშათა კლუბის (არაქსიანის თეატრი) სცენაზე. ამიტომ მეტი გულმოდგინეობით და პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით შეუდგნენ მზადებას.

მალე აფიშებმაც ამცნო ავლაბრის მცხოვრებთ, რომ მეორე პურის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, ნიკო მირველოვის რეჟისორობითა და გიორგი დარისპანაშვილის თანარეჟისორობით, წარმოადგენენ ალექსანდრე ყაზბეგის „ყაჩად არსენას“.

დაღმა პრემიერის დღეც მოზვავდა ხალხი. წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. ძველი სცენისმოყვარეები — ბ. მაისურაძე, დ. მელაშვილი, ე. კუკულაშვილი, გ. დავიდოვი და ამ რაიონის სხვა მოწინავე ადამიანები სცენაზე ავიდნენ და წარმატება მიულოცეს ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს.

ამის შემდეგ, მირველოვმა კიდევ წარმოადგინა რამდენიმე პიესა და დასიც დაიშალა. დაშლის მიზეზი იყო ქარხნიდან მირველოვის წასვლა შტატის გაუქმებასთან დაკავშირებით. მირველოვმა კი მარტო დრამატულ წრეში დარჩენა აღარ ისურვა. მასთან ერთად დარისპანაშვილიც დაითხოვეს, რადგან დირექტორს ეთქვა: „მაგ ბიჭის გზა არტისტობაა“. იმხანად ავლაბარში გახსნილი იყო სადურგლო სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც ეკუთვნოდა აღმშენებელთა პროფკავშირის გამგეობას. აქ სწავლობდნენ ამ რაიონის მოწინავე ახალგაზრდობა. ამ სასწავლებელში დარისპანაშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა დრამატული წრე.

მალე რაიონის ხელმძღვანელობის ზრუნვით, ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობა გადაკეთდა მუშათა კლუბად და მისი ხელმძღვანელობა აღმშენებელთა პროფკავშირების გამგეობას დაევალა.

დრამატული წრის რეჟისორად კი გამგეობამ გიორგი დარისპანაშვილი დანიშნა. უნდა ითქვას, მესამე რაიონში ასეთი დიდნი მასშტაბის კლუბი პირველი იყო. ყოველ წრეს სათავეში პროფესიონალი ხელმძღვანელები ედგნენ.

ამ კოლექტივმა თავის სიმღიერითა და დისციპლინით მალე გაითქვა სახელი მთელ რაიონში. წრის, ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ მე-4 შრომის სკოლის მოსწავლეები. დრამწრის მიზანი იყო წარმოდგენებიდან შემოსული ფული გადაეცათ საქველმოქმე-

ლო მოხმარების ფონდისათვის. ამ პერიოდში დაიდგა „ელენო-რა“, „შურისძიება“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვა.

უნდა ითქვას, სკოლის დრამატული წრის შემოქმედებითი მუშაობა იმდენად მაღალ დონეზე იდგა, რომ ძველი სცენისმოყვარის, ბესო მაისურაძის საიუბილეო საღამოზეც კი მიიწვიეს, რომელიც 1923 წლის 23 ივნისს ჩატარდა რუსთაველის სახელობის თეატრში.

დრამწრის ყველა წევრი დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდებოდა კეთილშობილურ, საზოგადოებრივ საქმიანობას.

რამდენიმე პიესის დადგმით მიღებულმა გამოცდილებამ მთელ კოლექტივს დიდი შემოქმედებითი ბიძგი მისცა.

თეატრალური წრის ზრდა-განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სპექტაკლი „ყაჩაღები“, რომელიც გიორგი დარისპანაშვილის რეჟისორობითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა. „ყაჩაღებმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, იგი რაიონის ფარგლებს გასცდა.

ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა ბუნებრივმა და გულწრფელმა თამაშმა საერთო აღიარება ჰპოვა. წარმოდგენაში განსაკუთრებით ისახელა თავი წრის ნიჭიერმა წევრმა, მოხუცი მოორის როლის შემსრულებელმა, შემდგომში მოზარდ მსახურებელთა და რუსთაველის თეატრის მსახიობმა შალვა გელიკაშვილმა. ამას აღიარებდა ყველა, ისინიც კი, ვინც სკეპტიკურად უყურებდნენ სპექტაკლის წარმატებას. ესენი იყვნენ მურაშკოსა და არაქსიანის თეატრის ძველი სცენისმოყვარეები, მეორე თაობის წარმომადგენლები. ახალგაზრდულმა უშუალოდამ, გმირთა ბუნების ხალასად გადმოცემის უნარმა, ტემპერამენტმა მოხიბლა სკეპტიკოსებიც. „ჩემთვის ყველაზე გასახარელი ის იყო, — გვიამბობს გიორგი დარისპანაშვილი, — რომ სცენაზე ამოვიდნენ, გამარჯვება მომილოცეს და წრეში მუშაობის სურვილი გამოთქვეს“.

დასის რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო და უნდა ითქვას, რომ ყველა პიესა შესანიშნავად იქნა განხორციელებული. ამის საფუძველი კი ახალგაზრდების ენთუზიაზმი და საქმის უსაზღვრო სიყვარული იყო.

კლუბში თავისი თავდადებული მუშაობით, სიბეჯითით ბევრი სცენისმოყვარე დავაუკაცდა, მიიღო სათეატრო გამოცდილება. ესენი არიან: ალ. გომელაური, გ. ჩახავა, გ. მრევლიშვილი (მრავლადე),

დ. ოქროსცვარიძე, გ. ჭახტალაძე, გ. პავლიაშვილი, შ. გელიკაშვილი, ვ. პეტრიაშვილი. აქედან ბევრმა მთავრობის ჯილდო და საპატიო წოდება დაიმსახურა და ქართული თეატრის მატრიანეში შევიდა.

1925 წლის 31 დეკემბერს აღმშენებელთა კავშირის კლუბმა (ავლაბრის მუშათა თეატრი) გიორგი დარისპანაშვილს ენერგიული შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავად დიდი საღამო მოუწყო. წარმოდგენილი იქნა ახალი დადგმით აექსენტი ცაგარლის ორმოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

როცა აღმშენებელთა კლუბის სცენაზე ხელი მიჰყვეს წარმოდგენების სისტემატურ გამართვას, ჯერ კიდევ „ნების“ პერიოდი იყო. გაძლიერდა ადმინისტრაციული მეთვალყურეობა და გაიშალა აგიტაცია ლოთობისა და ყომარაზობის წინააღმდეგ. დგამდნენ იმ დროისათვის შესაფერ პიესებს: „ლოთი მამა“, „ჯალათი ძმა“, „ყომარაზის ცხოვრება“, „სულით ავადმყოფი“. სპექტაკლს ესწრებოდა დიდძალი მაყურებელი. განსაკუთრებით თეატრს დიდ შემოსავალს აძლევდა „ლოთი მამა“. ეს სპექტაკლი აბრაზებდა მიკიტნებსა და ვაჭრებს. ღვინის სარდაფებიდან პროტესტის ნიშნად ისმოდა საყვედურის გამომხატველი სიმღერები.

თბილისის დარბაისელი მოქალაქეებისა და მაყურებლის მიზიდვის მიზნით, წრის გამგეობამ ასეთ ხერხსაც მიმართა: ყოველი წარმოდგენის დაწყებამდე ერთი საათით ადრე თეატრის წინ უკრავდა ზურნა. თუკი ახლომახლო ღვინის სარდაფებში მოქალაქენი ღვინით სავსე ჭიქებს ცლიდნენ, ზურნის ხმაზე ტოვებდნენ ბნელ, ქუჩყიან სარდაფს და თეატრისაკენ მიეშურებოდნენ. იმ დროს, როგორც აღვნიშნეთ, „ნების“ პერიოდი იყო და კერძო ვაჭრობა წარმოებდა. ზურნა, ისიც ასეთ უბანში, ერთგვარი სააგიტაციო საშუალებას წარმოადგენდა. მაყურებელი სცენიდან ისეთ სიმღერებს ისმენდა, რომელიც ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მაჩისცემას ეხმიანებოდა.

„ამ დროს პატარა კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი, — გვიამბობს წრის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი, — ავლაბრის აღმშენებელთა კლუბში მიდიოდა აექსენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. პიესაში მედოლე ხალხურ ბაიათებს მღეროდა. პარტერიდან შეძახილები გაისმა: „— საღოლ, გლახოჯან.. აი, იცოცხლე!“ ზოგიერთმა მაყურებელმა



ჩემად ფულიც კი აუგზავნა სცენაზე მედოლეს. თავისი რეპერტუარი შესთავაზა, მაგრამ მედოლეს ფულის აღების ნება არ ჰქონდა და არც შეეკეთილი იმღერა. დამკვეთნი მიხვდნენ, რომ თეატრსა და სამიკიტნოს შორის დიდი განსხვავება იყო და შეძახილებს თავი დაანებეს“.

„ხედავ, კაცო, ეს ლაწირაკი არტისტები როგორ გვართმევენ მუშტრებს? — იძახდნენ „ტრახტირჩიკები“. კაცო, წინათ მაგათზე დიდი არტისტები იყვნენ, მაგრამ თეატრის წინ როდი აჭყვიტიენდნენ ზურნას“.

ამ პერიოდში ლოთობის ლიკვიდაციის საქმეში მართლაც ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ბევრმა ახალგაზრდამ თავი მიანება ცუდ წრეში სიარულს და პატიოსან შრომას მოჰკიდა ხელი. ზოგმაც თეატრს მიაშურა არა მარტო წარმოდგენების საყურებლად, არამედ მონაწილეობის მისაღებად.

ღვინის სარდაფებში, გარდა იაფფასიანი მედოლეებისა და მემარმონეებისა, ახლადფეხადგმული აშუღებიც იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ახალგაზრდა მოლექსემ თავის თავს იეთიმ გარსო უწოდა. ასეთი კატეგორიის მოქალაქენი ბევრნი იყვნენ და ცდილობდნენ მიეზამათ იეთიმ გურჯისათვის ლექსების წერაში. აშუღობდნენ კიდევ, მაგრამ ცდა ერთი იყო და ნიჭი მეორე. ასეთი უნიჭო მიმბაძველები ისე გაჰქრნენ ასპარეზიდან, რომ მათი დაწერილი ტაეპიც კი არავის ახსოვს. იეთიმ გარსოსაც მობეზრდა უზარო ხეტიალი და სამუდამოდ ზურგი აქცია ღვინის სარდაფებს. ახალგაზრდა აშუღმა შინაარსიან ცხოვრებას მოჰკიდა ხელი და დრამწერეს მიაშურა. იგი ხედავდა, რომ ავლაბარში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა თავი ისახელეს და უბანში ცნობილი სცენისმოყვარეები გახდნენ. აღმშენებელთა პროფკავშირის მუშათა კლუბთან არსებულმა ქართული დრამწერის გამგეობამ იეთიმ გარსო მალე თავის რიგებში მიიღო. იგი პირველად ინტერმედიაში გამოიყვანეს. მასთან ერთად მონაწილეობდნენ გიორგი დარისპანაშვილი და ალექსანდრე გომელაური. იეთიმ გარსოს წრეში მიღებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მის ასეთ ნაბიჯს ყველა თავისებურად ხსნიდა. უმეტეს ნაწილს ძალიან მოსწონდა კენტად დარჩენილი აშუღის ახალ გზაზე დადგომა. სცენისმოყვარეები კი გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდნენ გარსოსადმი და ცდილობდნენ მისთვის უკეთესი მომავალი შეექმნათ.

ნახევრად პროფესიული დასის დაშლის შემდეგ გიორგი დარისპანაშვილმა დაიწყო წარმოდგენების დადგმა ავლაბარში ყოფილ მურაშკოსეულ თეატრში, შემდეგ მცხეთელ ახალგაზრდობის დრამწერს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1924 წელს საგარეჯოში ახალგაზრდულ დრამატულ წრეს აყალიბებს.

1926 წელს მას თბილისის მუშათა თეატრში იწვევენ მსახიობად. მუშათა თეატრს იმჟამად მიხეილ ჭიაურელი ხელმძღვანელობდა, ხოლო ხშირად კონსულტაციას უწევდა დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. ამრიგად, გიორგი დარისპანაშვილს რამდენიმე ისეთ სპექტაკლში მოუხდა მონაწილეობა, რომელიც დადგმული იყო უშუალოდ კოტე მარჯანიშვილის კონსულტაციით. ეს პერიოდი მსახიობისათვის დიდი სკოლა გამოდგა.

„ჩემი მუშათა თეატრში მუშაობის პერიოდიდან ერთი საგულისხმო ეპიზოდი მინდა გავიხსენო, — იგონებს გიორგი დარისპანაშვილი, — ერთ დილით დოდო ანთაძის რეპეტიციაზე მობრძანდა კოტე მარჯანიშვილი და პიესის „ყველას, ყველას“ მუშაობა მოისმინა. ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, ეს იყო დიდი სენსაცია, რომ ასე მოულოდნელად ასეთი დიდი რეჟისორი გვესტუმრა.

რეჟისორი დოდო ანთაძის გვერდით იჯდა და ყურადღებით ისმენდა ჩვენს რეპეტიციას. ნერვიულობისაგან ზოგს ხმა გაეზარა. კულისებში დიდი დაძაბულობა გამეფდა. ადმინისტრაცია ფეხზე დადგა, რომ არავის გაელო სადარბაზოს კარი. ერთი სიტყვით, სულ რამდენიმე წუთში მარჯანიშვილისებური დისციპლინა დამყარდა. თვითონ მარჯანიშვილი სკამზე ვერ ისვენებდა, თუთუნის წევას უმატა... მაგრამ ხმას არ იღებდა. არც დოდო ანთაძეს გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა, ისე დამთავრდა პიესის რეპეტიცია. პატარა ბჭობის შემდეგ, რეჟისორის ასისტენტმა ა. ციციშვილმა გვაცნობა, რომ ნახევარი საათის შესვენების შემდეგ ბატონი კოტე მარჯანიშვილი თვითონ ჩაატარებს მთელი პიესის რეპეტიციას.

დიდი მხიარულება გამოიწვია ციციშვილის განცხადებამ. დამთავრდა ნახევარსაათიანი შესვენება, სცენაზე ამოდიან კოტე და დოდო, სცენაზე დგას პირობითი დანადგარი — დეკორაცია, რომელიც წარმოდგენს რკინიგზის სადგურის ბაქანს. მეფის ჯარისკაცები ლელავენ, ერთი მათგანი გამოდის და მოითხოვს პურს: „გვშიან, მოგვეცით პური!“

ქ. მარჯანიშვილმა ჯარისკაცის როლის შემსრულებელი მსახიობი შეაჩერა და ჰკითხა: — ყმაწვილო, რას თხოულობ, რომ არ ვიცით?! ვერ გავიგეთ. ხომ იცით, რომ სიმღერა ოპერამ წაგვართვა, კინომ მიმიკა, დრამის თეატრს დარჩა სიტყვა — არტისტებს თუ მეტყველება არ უვარგა და სიტყვას მაყურებლამდის ვერ მიიტანს, ასეთი აქტიორი ვის რათ უნდა?!

მეფის ოფიცრის როლს ანსახიერებდა ტ. გაგუა. იგი სადგურის ბაქანზე იდგა და ახლადგაწვეული ჯარისკაცების მშობლებს იგერიებდა. კოტე მარჯანიშვილმა შეაჩერა და უთხრა — დედას ნუ უმიზნებ იარაღს, დედა შვილის სიყვარულისთვის თავს გაწირავს; არ მოგერიდება თუ გინდა, რომ დედა წინ აღარ წამოვიდეს, დაუმიზნე შვილს და დედას უთხარ — დაიხიე უკან, თორემ შენს შვილს მოვკლავო. ეს საოცრად კარგი მიზანსცენა გამოვიდა. დედის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ელ. ციმაკურიძემ ისეთი ოსტატობით შეასრულა ეს ეპიზოდი, რომ ყველა ალტაცებაში მოვედიო. აქვე მინდა პიესიდან „ყველას, ყველას“ ბატალური სცენების კიდევ ერთი მიზანსცენა მოვიგონო. რკინიგზის სადგურზე სამხედრო ნაწილია განლაგებული... ნაომარი ხალხია, მათში შიმშილი სუფევს... მოძრაობა უჩვეულოა. ორ ჯარისკაცს სადღაც არაყი უშონია. დამთვრალან; ბოთლში ჩარჩენილა ცოტა არაყი. მას მესამე ამხანაგისათვის ინახავენ. ეძებენ თავიანთ მესამე ამხანაგს, პეტიას... მარჯანიშვილს არ მოეწონა მათი უთავბოლო ბოდიალი და შეაჩერა. დიდმა რეჟისორმა მოითხოვა რუსული გარმონი. ერთ წუთში გაჩნდა გარმონი და გარმონის დამკვრელიც. ერთმა ჯარისკაცმა გარმონი გაწელა, ორივე გამხიარულდა. მღერიან და თან არ ივიწყებენ თავიანთ მეგობარს პეტიას, როგორც იქნა მოძებნეს...

— პეტია! შე პენძაში ჰიპნოზირილი! აბა, შეხედე რა მოგიტანეთ. — ბოთლით არაყს მიაჩეჩებს. მეგარმონე გარმონს უფრო მაგრად წელავს.. მაგრამ მეორე ამხანაგი გარმონზე ხელს დააფარებს და შეაჩერებს.

— შეჩერდი!..

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება...

— ხედავ, კოლია... აღარ არის ჩვენი პეტია... სული დაუღვია საწყალს.

ორივენი ქუდებს მოიხდიან და სამგლოვიარო მუსიკით მთავრდება ამ მოქმედების უკანასკნელი სურათი.

ასე ეხმარებოდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი თავის მოწაფეებს, როცა მათ უჭირდათ“.

1928 წელს, როცა დოდო ანთაძისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიორგი მიქელაძის მეტაურობით მსახიობთა კოლექტივი ჩამოყალიბდა და მოზარდთათვის წარმოდგენების მართვა დაიწყო, გიორგი დარისპანაშვილი მათთან დასის წევრად ჩაირიცხა. ხოლო 1929 წელს, პლენანოვის გამზირზე, სადაც ახლა გორკის სახელობის კულტურის სახლია, აღმშენებელთა კავშირის გამგეობამ საზაფხულო კლუბი რომ გახსნა, ამ შენობაში გიორგი დარისპანაშვილის რეჟისორობით დაიდგა: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „კომედიების საღამო“, „კჟუსისა მქირს“, „მატყუარა ვეჭილი“ და სხვა სპექტაკლები.

კლუბში ხშირად იმართებოდა აგრეთვე ოჯახური საღამოები, სადაც გიორგი დარისპანაშვილი ალექსანდრე გომელაურთან ერთად კუპლეტებით გამოდიოდა. ხოლო როცა იგი მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახლად ჩამოყალიბებული კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, იძულებული შეიქნა დატვირთვის გამო თავი დაენებებინა თავისი საყვარელი წრისათვის.

მონდომებული, ნიჭიერი და ზედმიწევნით პატიოსანი ახალგაზრდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალ. თაყაიშვილმა ჯერ რეჟისორის თანაშემწედ დანიშნა, შემდეგ კი რეჟისორად მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

1930 წელს კიტა ბუაჩიძის პიესის „აურიე რგოლო“-ს დადგმამ დებიუტანტ რეჟისორს დიდი გამარჯვება მოუტანა. გიორგი დარისპანაშვილმა დაამტკიცა, რომ მას, როგორც ნიჭიერ რეჟისორს, სპექტაკლის ოსტატურად დადგმის უნარი შესწევს. „აურიე რგოლო“ ავტორისა და თეატრის გამარჯვებაა“, — წერდა ერთ-ერთი რეცენზენტი პრესაში.

1932—1933 წლების სეზონში გიორგი დარისპანაშვილი დროებით ველისციხეში გაგზავნეს რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. აქ მან წარმატებით დადგა შანშიაშვილის „ანზორი“, რომელშიც მთავარ როლს თვითონ ანსახიერებდა. აქვე დაიდგა მისი პიესა „ხიდქვეშ“.

„ჭაბუკი უზვად იყო დაჯილდოებული იმ მონაცემებით, რაც ესოდენ საჭიროა მსახიობისათვის, — წერდა ერთ-ერთი გაზეთი, — სცენური გარეგნობა, ხმა, უზადო ღიქცია, ტემპერამენტი და, რაც

მთავარია, სცენისადმი დიდი სიყვარული. უდავო იყო, რომ ასეთი მონაცემებით აღჭურვილი ადამიანი, თეატრზე პირდაპირ შეყვარებული, ალრე თუ გვიან, მსახიობის სანუკვარ ულელს დაიდგამდა და თავის ბედს სამუდამოდ პროფესიულ თეატრს დაუტკავშირებდა“.

ასედაც მოხდა. ჩამოყალიბდა თუ არა მოზარდ მაყურებელთა ქართული დასი, გიორგი დარისპანაშვილი შეება მსახიობის სანუკვარ ჭაპანს, დაიდგა აქტიორის მძიმე ულელი, პირველი სეზონებიდანვე პასუხსაგები როლები ითამაშა. მტკიცედ მოიკიდა ფეხი რეპერტუარში და თეატრის ერთ-ერთ წამყვან ძალად იქცა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე მისი პირველი როლები იყო: რობინ ჰუდი ამავე სახელწოდების პიესაში, შპრიცის როლი „ფრიც ბაუერში“, პუგაჩოვი (ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“), აქტიორის მიერ ისეთი მხატვრული სახეები შექმნილი, რომლებიც მაყურებლის მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება. „რობინ ჰუდის“ დადგმის გამო პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები აღნიშნავდნენ, რომ „მოზარდ მაყურებელთა თეატრს საესეებით სწორად აქვთ შეგნებული თავისი ამოცანები და საკმაო შესაძლებლობაც მოეპოვება ჩვენი მოზარდი თაობისათვის მხატვრულ-აღმზრდებლობითი სამსახურის გაწვევისათვის, რომ სპექტაკლი მოქცეულია მხატვრულ მთლიანობაში და ყოველ წვრილმანს ემჩნევა დიდი ენერგიით, გემოვნებითა და ენთუზიაზმით დამუშავება. ხოლო რობინ ჰუდის როლში გ. დარისპანაშვილმა კარგი შესრულებით მაყურებელთა დიდი თანაგრძნობა დაიმსახურა.

ბევრი ძვირფასი სცენური სახე შექმნა დარისპანაშვილმა, მაგრამ მათგან მხოლოდ სამ როლს გამოვარჩევთ. ეს არის ინგლისელი უბრალო ადამიანების მოსარჩლე რობინ ჰუდი, გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი და კეთილშობილი პატრიოტი ბიძინა ჩოლოყაშვილი.

აუღელვებლად ვერ გაიხსენებ გიორგი დარისპანაშვილის მიერ შექმნილი ბიძინა ჩოლოყაშვილის სცენურ სახეს აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკიდან“.

ბიძინა ჩოლოყაშვილი — ისტორიული გმირი, დინჯი, შეუვალი, გონიერი, ახმეტის დიდი მებატონე, ფიცს სდებს: „ვიბრძოლებ, სანამ ძალა შემწვეს და პირში სული მიდგას“. ამის გაგონებაზე პარტერი იძაბებოდა, საერთოდ შეჩხაროდა ჩოლოყაშვილის ყოველ გამოჩენას ალავერდობაზე თუ შეთქმულთა თათბირებზე. რო-

ცა ფინალურ ეპიზოდში სცენაზე ქარიშხალივით შემოიჭრებოდა ჩაქანში ჩამჯდარი გმირი და თავის თანამებრძოლებთან: ბაში-აჩუკთან, ჭრილობებით დაჩეხილ ღვთისოსთან და ქრისტეს რჯულზე მოქცეულ აბდუშაჰილთან ერთად მუხლმოდრეკილი ემთხვეოდა ქართულ დროშას და მადლობას სწირავდა ქართველ ხალხს, სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით გულანთებული პატარა მაყურებელი ფეხზე წამოიჭრებოდა და თეატრს აზანზარებდა მქუხარე ოვაციით, ესალმებოდა ძია გიორგის, რომელიც მთელი მგზნებარებით ასრულებდა ამ როლს.

დარისპანაშვილის მიერ სწორად გააზრებულ ბიძინა ჩოლოყაშვილის როლს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მოზარდი თაობისათვის.

ასევე ბრწყინვალე იყო მის მიერ განსახიერებული ლადო კეცხოველი — მეტეხის ციხის საკანიდან თავისი შეუდარებელი მჭევრმეტყველებით, მაღალი პათოსით თავს ატყუებოდა ცარიზმის უანდარმერიას, ხოლო როცა გაისმოდა იმ საბედისწერო გასროლის ხმა; რომელმაც მუხანათურად გამოასალმა სიცოცხლეს, მსახიობი ხედავდა რისხვადქცეული, ბავშვების ბოლმით მოღეროილ პატარა მუშტებს.

ამ დიდი რაინდის სახის გამოძერწვაში დიდი დახმარება გაუწია მსახიობს ლადოს უმცროსმა ძმამ ვანო კეცხოველმა. პატივცემული ვანო კეცხოველის გადმოცემით ლადო დიდი არტისტული ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული.

„ — ერთხელ, — გადმოგვცემს ვანო კეცხოველი, — ბაქოში ჩავედი ლადოს სანახავად. იქ ლადო კონსპირაციულ მუშაობას ეწეოდა. მთელ დღეს ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვნახე. ერთბაშად ბაზრის ალაყაფთან შემხვდა ვიღაც აზერბაიჯანელი მუშა გამურულ ტანსაცმელში და აზერბაიჯანული აქცენტით მითხრა: „ — გამარჯობა, ვანოჯან! ვერ მიცანი?“ შეფეიქრიანდი, ალბათ, ვიღაც შანტაეს მიწყობს-მეთქი. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ მართლა ვერ ვიცანი, ერთი მაგრად ჩვენებურად, გორულად შემომიკურთხა და თან გამაფრთხილა: „ — ბევრს ნულარ მელაპარაკები... წადი პირდაპირ და მარჯვნივ შეუხვიეო“. თვითონ მოთხლი და თათრული ლავაში იყიდა, მუშურად ამოიღო ილღიაში და ისე გამომყვა შორი-ახლოს. საოცარი გარდასახვის უნარი ჰქონდა ჩემს ძმა ლადოს, ხან კნიაზის ტანსაცმელს მოირგებდა, ხან გლეხურად გამოეწყობო-

და და ასე, ვინ იცის, რამდენი მეფის აგენტი დაუტოვებია შპრალზე“.

შედგა პრემიერა „ლადო კეცხოველი“. ჩვენს ნორჩ მაყურებელს მეტისმეტად მიუტანია გულთან ლადო კეცხოველის ცხოვრების განვლილი გზა. მრავალი ცრემლი დაიდგარა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ლადო ციხის საკანში მოჰკლეს. ამ სცენას განსაკუთრებით ვერ იტანდა თურმე ვანო კეცხოველი და ყოველთვის, როცა კი უყურებდა, ლოყიდან გადიოდა. ხოლო როცა გიორგი დარისპანაშვილი სცენიდან კულისებში ჩამოდიოდა, იქ პირველი ვანო კეცხოველი ხვდებოდა და ლვიძლ ძმებივით ეხვეოდნენ ერთიმეორეს.

გიორგი დარისპანაშვილის ლადო კეცხოველი იმითაც გამოირჩეოდა, რომ თვით მსახიობი ამჟღავნებდა რევოლუციონერი ვაჟკაცის ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულს და თავისი შემართებით იმორჩილებდა მაყურებელს. როცა სპექტაკლს უყურებდნენ, დარბაზიკ მებრძოლი სულით იმსკვალებოდა. ის ერთ-ერთი საეტაპო დადგმა იყო ამ თეატრისა.

დარისპანაშვილს კარგად ესმოდა მსახიობის დიდი დანიშნულება, მთელი შეგნებით იცავდა და ცდილობდა სცენაზე შეექმნა ისეთ გმირთა სახეები, რომლებიც მისაბაძი იქნებოდნენ და ადამიანს ცხოვრების გზას გაუნათებდნენ. მისი ლადო კეცხოველი სწორედ ასეთი გმირი იყო.

გიორგი დარისპანაშვილს ჭიათურაში ალექსანდრე იმედაშვილთან ერთად მონაწილეობა მიუღია სპექტაკლ „ოტელოში“. იგი იაგოს როლს ასრულებდა და, როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, შესაფერი პარტნიორობაც გაუწევია სცენის გამოჩენილი ოსტატებისათვის.

ასეთივე დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე მის მიერ განსახიერებულ როლებიდან შამილს (იონა ვაკელის ამავე სახელწოდების პიესაში). 1936 წლიდან კი გიორგი დარისპანაშვილი საბოლოოდ უბრუნდება მოზარდ მაყურებელთა თეატრს, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

ესპანეთის სამოქალაქო ომს მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა ალ. კაჭკაჭიშვილის პიესა „ადელანტე“ უძღვნა. პიესაში ასახული იყო ესპანეთისა და მისი ბავშვების ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

აღნიშნულ სპექტაკლში გიორგი დარისპანაშვილს წილად ხედა ანტონიო დონეროს მამაცი კომანდორის როლის განსახიერება. პრესა აღნიშნავს რომ მსახიობმა ოსტატურად წარმოგვიდგინა ამ სახელოვანი კომანდორის სიმამაცე, სიმტკიცე და შეუპოვრობა.

გიორგი დარისპანაშვილს 1943 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1955 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. 1954 წელს საყვარელ მსახიობს ქართველმა ხალხმა სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე გადაუხადა.

„ჩემო გოგი! ხომ გახსოვს ბრძნული ანდაზა: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო, — უთხრა საიუბილეო საღამოზე ალ. ბურთიკაშვილმა, — შენი წინაპრები მინდორში თესდნენ პურს და ერთიასად იმკიდნენ მას. შენ კი ხალხში სთესდი სიყვარულს და ერთითათსად მოიმკე იგი“. საიუბილეო საღამოზე ასევე თბილად მიმართა მისმა პირველმა რეჟისორმა ე. კულულაშვილმა: „ჩემო უმცროსო ძმაო და საამაყო მოწაფე! სიხარულის გრძნობით მევესება გული, როდისაც შენს საპატივეცემულოდ მოზღვავებულ საზოგადოებას შეეცქერი.

ეს არის დაფნის გვირგვინი, რომელიც დიდების შარავანდელით მოსავს და ამკობს შენს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის მანძილს“.

ამ თეატრში დარისპანაშვილმა წლების მანძილზე მრავალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰაიავატა („ჰაიავატა“), ღურმიშხანი („სურამის ციხე“), ლორენცო („რომეო და ჯულიეტა“), მედოესკი („კიკვიძე“), არტემი („პავლე კორჩაგინი“), ძერჟინსკი („ნევის შევარდენი“) და სხვ.

გიორგი დარისპანაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაატარა, რომლის ჭირი და ღზინი, წარმოტება და მარცხი ორმოცდახუთი წლის მანძილზე მხრებით ატარა გოგი აბაშიძესთან, გოგუცა კუპრაშვილთან, თამარ თვალთაშვილთან. მერი ერგნელთან, ვახტანგ არეშიძესთან ერთად.

ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ამ თეატრის სცენიდან ისმოდა მისი მჭექარე, საოცრად ლამაზი ტემბრის გულში ჩამწვდომი ხმა. ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ყოველდღე გამოდიოდა აქ მისი შემოქმედების პატარა შემფასებელთა სამსჯავროზე. ამ სცენიდან ხედავდა მაყურებლის ფართოდ გახეილ თვალებს, რაღაც ჯადოსნური ძალით ანთებულ სახეებს. აშკარად ესმოდა პარ-



ტერის სულ ბოლო რიგში მჯდომი ბავშვის პაწაწინა გულის გამკლებული ბაგაბუვიც კი.

მან კარგად იცოდა, რომ დიდი და საპატიო მისია იყო საბავშვო თეატრის მსახიობობა, რომ მოზარდთა თეატრის მსახურს მოეთხოვება დიდი განათლება, მაღალი მოქალაქეობა, დახვეწილი კულტურა და ერუდიცია, ღრმა ტაქტი და ზომიერების გრძნობა და... სიყვარული, უსაზღვრო სიყვარული პატარა მაყურებლისა.

„მქონდა ბედნიერება — გვიამბობს გ. დარისპანაშვილი, — 1934 წელს ჭიათურის სახელმწიფო თეატრში სახელოვანი აქტიორის ალექსანდრე იმედაშვილის პარტნიორი ვყოფილიყავი და „ოტელოში“ იაგოს როლი შემესრულებინა“.

ახალგაზრდა მსახიობისათვის ალექსანდრე იმედაშვილის ყოველ რეპეტიციას აღმზარდლობითი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ყოველი სიტყვა, ლაპარაკის მანერა მომაჯადოებელი, წარმტაცო იყო და სმენას ატკობდა, ქართული სიტყვის დიდოსტატის ყოველი ფრაზა მაყურებლის გულს სწვდებოდა...

როცა არჩაღ ყორდანიამ „ოტელოს“ დეკორაციების ესკიზები მოიტანა, ყველას მოგვეწონა, თვით პატივეცემულ პაპაშასაც იმედაშვილს. (ჩვენი ახალგაზრდები სიყვარულით ასე უწოდებდით ალექსანდრე იმედაშვილს).

ალექსანდრე იმედაშვილს მხატვრისა და დამდგმელისათვის უთხოვია, მესამე მოქმედების დეკორაციაში საფეხურები შეემოკლებინათ, რადგან ამ დროს თვალში სინათლე ცოტათი ჰკლებია. მხატვარსა და რეჟისორს ეს თხოვნა შეუსრულებია. დამდგარა პრემიერის დღე... ჭიათურაში მრავალი სტუმარი ჩამოსულა იმედაშვილის ოტელოს სანახავად.

სალამოს ელვის სისწრაფით შემოჰკრილა ამბავი — ჩვენს სახელოვან ქირურგს სერგო ხუნდაძეს თბილისიდან სტუმარი სასახელო მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე სწვევია და ამჟამად ლოჯიაში ზისო. ამანე ახალგაზრდები ძალიან აღელვებულან, მაგრამ ყველაზე საცოდავ მდგომარეობაში დეზდემონას როლის შემსრულებელი ალექსანდრა სიხარულიძე ჩავარდნილა. კულისებში დადიოდა და თავისთვის ბუტბუტებდა: „ვამიე, რაღა ვქნა, ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე ჩამოსულა“.

ყველა დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. იმედაშვილი კი ამხნევებდა, უამბობდა, არიგებდა... პირველი მოქმედება რომ დამთავ-

რებულა, ყველას სიხარულით თვალები უბრწყინავდა თურმე, კულისებში კმაყოფილება სუფევდა და თვით იმედაშვილს წარმატება უხაროდა — ხომ გითხარით ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. მთავარი სიძნელე გადალახულია. შემდეგ სპექტაკლი უკეთესად წავაო, სპექტაკლი რომ დამთავრდა მაყურებელმა ტაშით დააჭილდოვა. განსაკუთრებული აღტაცება ოტელომ გამოიწვია. ახალგაზრდები მაინც ღელავდნენ, ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე სტუმრების აზრს მოისმენდნენ. პირველი სწორედ ვერიკო ანჯაფარიძე მივიდა და გულთბილად მიულოცა გამარჯვება, რასაკვირველია, პირველ რიგში ოტელოს, მაგრამ დიდ მსახიობს არავინ გამორჩენია, ყველას მოეფერა, თბილი სიტყვები უთხრა და გაამხნევა. ვერიკოს დანარჩენი სტუმრებიც მოჰყვნენ, მათი სიხარული ყველამ გაიზიარა...

იმ სეზონში „ოტელო“ კიათურის თეატრში ხშირად მიდიოდა, მაგრამ ერთხელ მომხდარა ის, რასაც იმედაშვილი ერიდებოდა.

„ოტელოს“ მესამე მოქმედებას მუდამ დიდი ყურადღებით იწყებდნენ. ყველას ეშინოდა, რომ იმედაშვილი საფეხურებზე ჩამოსვლისას რაიმე ხიფათს არ შეხვედროდა.

„აი, მე, იაგო — გვიამბობს ბატონი გოგი:“ ავანსცენაზე ვდგავარ, ოტელო სიღრმიდან გამოდის, ის მალალი ოსტატობით ქარგავს ექვიანობის სცენას, თავისი ხავერდოვანი ხმით ხიბლავს მაყურებელს... მაგრამ სამწუხაროდ, ხიფათი თანდათან ახლოვდება. მალალ რეგისტრში დაწყებულმა თვალთახედვის წონასწორობა დაუკარგა. სიფრთხილე დაეწყებას მიეცა. საფეხურზე ჩამოსვლისას ფეხი აუცდა და მთელი სიმძიმით დაეშვა ქვემოთ. მე ერთბაშად ნახტომი გავაკეთე და ზემოდან წამოსული ოტელო კისერზე გადამეკიდა... ყველაფერი ეს ისე ლამაზი გამოვიდა, რომ მაყურებელს ეგონა, რეჟისორის მოზანსცენააო და ტაში დაუკრეს“. მეორე დღესაც ოტელო მიდიოდა. როგორც კი მესამე მოქმედება დამთავრებულა, ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამხანაგი შემოსულა კულისებში და ხმამალა საყვედურით უთქვამს — ამხანაგებო, რატომ ხალტურობთ?! სხვა თუ არაფერი ლოქაში საპატიო სტუმარი ზის და ამის მაინც შეგრცხვეთო.

ყველანი გაოცებულა. იმ საღამოს „ოტელო“ არ მიდიოდა ცუდად! მაგრამ ამ ხელმძღვანელ ამხანაგს, როცა უნახავს, რომ მის საყვედურს გაუოცებია, თვითონ უთქვამს თავისი აღელვების მიზეზი.

— გუშინ რომ იაგომ შორიდან ნახტომი გააკეთა და ოტელო კისერზე გადაეკიდა... აი, ის ადგილი რატომ გამოტოვეთ? პავლე ფრანგიშვილს უხერხული მდგომარეობის გამო თავი ჩაუღუნია, ჩვეულებრივ ცხვირზე ხელი გადაუსვია და რატომღაც თავისთვის ჩაულაპარაკებია. იმედაშვილი კი მიმხვდარა, რომ თეატრის ხელმძღვანელი ვერ ბედავდა ქალაქის ხელმძღვანელი გაეწილებია და თვითონ შეპასუხია:

— რას ამბობთ, ჩვენ ყველანი გოგი დარისპანაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დღეს სცენაზე ვარ და ოტელოს ვთამაშობ. თუ არა გოგის სიმარდე, მე ალბათ ახლა საავადმყოფოში ვიქნებოდა!

არც მეორე ეპიზოდი გვინდა დავივიწყოთ. ქიათურის კოლექტივი გასტროლებზე წავიდა ქუთაისში. მათ ჩასვლას დიდი ზეიმით შეხვედრია მთელი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ალექსანდრე იმედაშვილს, რადგან მათი გასტროლების გვირგვინი მათი საყვარელი იმედაშვილი იყო. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე იმედაშვილი ქუთაისში ოტელოს სულ სხვა ხალისით თამაშობდა. ალბათ იმიტომ, რომ სპექტაკლზე ბევრი იყო მისი ძველი თაყვანისმცემელი, ისეთი მაყურებლებიც, სკოლის მერხიდან რომ იცნობდნენ ალექსანდრე იმედაშვილის შემოქმედებას.

როგორ შეიძლება დავივიწყოთ საგასტროლო „ოტელოს“ უკანასკნელი მოქმედების ბოლო სცენა, როცა ოტელო დეზდემონას ახრჩობს. უკანასკნელი მონოლოგი იმედაშვილის შემოქმედების გვირგვინი იყო. მისი ყოველი სიტყვა ანდამატივით იზიდავდა ადამიანის სმენას მის გულსა და სულს.

როცა წარმოდგენა დამთავრებულა, ახალგაზრდები ანლოს მისულა, მოეხვივნენ და ალტაცება გაუზიარეს: „დღეს თქვენი ოტელო რაღაც არაჩვეულებრივი იყო, — უთხრეს. მას სიტყვა გაუწყვეტინებია და უთქვამს: — ყმაწვილებო, დღეს მეაჲდ ვითამაშე ოტელო და ახლა ვიგრძენი, ოტელოს როლის შემსრულებელმა მსახიობმა უკანასკნელი მოქმედება როგორ უნდა განასახიერო.“

ასე რომ მსახიობისათვის სიბერე არ არსებობს, თუკი იგი ფიზიკურად, შემოქმედებით ძლიერია. — წერდა ჟურნალი „თეატრალური მოამბე“ 1973 წლის 30/II-ს.

ვასო კობელი (კობახიძე) ქართული თეატრის მოღვაწეთა იმ პლეადას განეკუთვნება, რომელიც შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე მტკიცედ ამოუდგა მხარში უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ვასო კობელი თავისი მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედებითი მოღვაწეობით 45 წელი ემსახურა თეატრალური ხელოვნების საპატიო საქმეს, როგორც დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი.

განსაკუთრებით დიდი ვასო კობელის ღვაწლი დრამატურგიაში. სწორედ ამ ქანრში გამოჩვენდა მისი მხატვრული ნიჭი, თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირის უნარი.

მისი პირველი ოთხმოქმედებიანი დრამა „სისხლი და ნეთი“ 1927 წელს დაიწერა და პირველ სეზონშივე დაიდგა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორის ნ. გოძიაშვილის მიერ თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბან ნაძალადევის მუშათა თეატრში. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი წლების მანძილზე სისტემატურად იდგმებოდა საქართველოს სხვადასხვა თეატრების სცენებზე.

ამას მოჰყვა მეორე პიესა, სამმოქმედებიანი კომედია „მანჩესტერი ანუ პროკლამაცია“, როგორც სათაური მიგვანიშნებს, ნაწარმოები რევოლუციური მოძრაობის საკითხებს ეხება. პიესა დაიდგა მუშათა კლუბების სცენებზე.

ვასო კობელის საბავშვო პიესა „გოჩა“, რომელიც განახორციელა საქართველოს სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ალექსანდრე თაყაიშვილმა, დიდი წარმატებით დაიდგა თბილისში ახლად დაარსებულ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. „გოჩა“ დიდხანს შემორჩა თეატრის რეპერტუარს. საგასტროლო მოგზაურობის დროს თეატრს პროგრამაში მულამ ეს პიესა შეჰქონდა. პიესა „გოჩა“ 1929 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში“.

დრამატურგის მეორე საბავშვო პიესა „წვიპა“ წლების მანძილზე იდგმებოდა თოჯინების ქართულ თეატრში. დარბაზიდან მუდამ აღფრთოვანებული გამოდიოდა პატარა მაყურებელი. ეს პიესა ჟურნალ „ჩირაღდანში“ დაიბეჭდა.

წარმატებებმა კიდევ მეტი სტიმული მისცა დრამატურგს და ახალ პიესებზე „არჩილ ბედისწერაძისა“ და „ნათურებზე“ დაიწყო

მუშაობა. ეს პიესებიც დიდხანს იდგმებოდა დრამატული წრის სცენებზე.

ვასო კობელის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ერთმოქმედებიანო პიესები და სკეტჩები. მათ შორის პოპულარულია „წითელი ფერი“, „წმიდა“, „მარჯვენა ხელი...“ ამ ჟანრის მისი ყველა ნაწარმოები საესტრადო თეატრების სცენებზე იდგმებოდა. წარმოდგენაში თვითონ ავტორიც იღებდა მონაწილეობას.

ასევე მოსწონდათ კობელის საესტრადო ნომრები და კუბლეტები. უურადლებას იპყრობდა მის მიერ ნათარგმნი პიესები „დიადი ერეთიკოსი“ და „ფლენგო“.

როგორც რეჟისორმა, ვასო კობელმა, 80-ზე მეტი პიესა განახორციელა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის მოთხრობებიდან გადმოქმედებული „გლახის ნამბობი“, ვიქტორ გაბესკირიას „გაზაფხულის დილა“, აექსენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, გრიგოლ ბერძენიშვილის „გულდაგულ“, რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, გაბრიელ სუნდლუკიანის „პეპო“, შირვანზადეს „პატროსნებისათვის“, ოპერეტები — „მეგობრები“, „არშინ მალ-ალან“ და სხვა მრავალი.

ვასო კობელის სარეჟისორო სარბიელი 1924 წლიდან დაიწყო, როცა იგი მუშაობას იწყებს რკინიგზის საქონლის სადგურის მუშათა კლუბთან არსებული დრამატული წრის ხელმძღვანელად. ერთი წლის მანძილზე მისი რეჟისორობით რამდენიმე წარმოდგენას შეესხა ხორცი.

ვასო კობელის მიერ სცენაზე დადგმული ყველა პიესა გამსჭვალული იყო რეალისტური ფორმით. ყველას დინამიურობა და ანსამბლურობა ახასიათებდა. ამიტომაც იყო, რომ მისი სპექტაკლებით მაყურებელი მუდამ მოხიბლული რჩებოდა.

1925 წლიდან ვასო კობელი სხვადასხვა დროს რეჟისორობდა და მსახიობობდა ჭიათურის, ბათუმის, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. იგი არ ივიწყებდა სცენისმოყვარეთა წრეებსაც. წლების მანძილზე მუშაობდა საბურთალოსა და რკინიგზის სატვირთო სადგურთან არსებულ თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივებში. მისი რეჟისორობით აქ დადგმულია ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, გაბრიელ სუნდლუკიანის „პეპო“, აექსენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ვიქტორ გაბესკირიას „გაზაფხულის დილა“.

იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა აგრეთვე ტრიკოტაჟის გაერთიანების კულტურის სახლში, სადაც არაერთი მუშა-ახალგაზრდა აზიარა ჭეშმარიტ ხელოვნებას. იქ მუშაობის პერიოდში არა მარტო თეატრალურ დასში ჰყავდა ჩაბმული მუშა-ახალგაზრდობა, არამედ მუსიკალურ კოლექტივშიც, რომელიც ვასო კობელმა დააარსა წარმოების ხელმძღვანელობის ხელშეწყობით. აქ არაერთ მუსიკალურ-დრამატულ დადგმას შეესხა ხორცი.

ვასო კობელის რეჟისორობით აქ მრავალი საინტერესო წარმოდგენა დაიდგა, მათ შორის უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან“, რომელმაც მაყურებლის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წინააღმდეგობა ელოებოდა წინ, მან მაინც შესძლო ამ კლუბის სცენაზე განხორციელებინა ეს ოპერეტა. „არშინ მალ-ალან“-ში ასკარას როლს ასრულებდა ვასო კობელის ძმა მსახიობი ვანო კობახიძე. ამ დადგმამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია, როგორც მაყურებელში, ისე პრესაში. გაზეთების „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა რეცენზია ამ შესანიშნავი დადგმის შესახებ. ეს იყო თვითმოქმედი კოლექტივის მიერ მუსიკალური სპექტაკლის განხორციელების პირველი შემთხვევა.

ვასო კობელის მიერ განხორციელებული დადგმები ავჭალის აუდიტორიაში, საბურთალოს მუშათა კლუბში, მედიცინის მუშაკთა კლუბში და სხვაგან, ნათლად მეტყველებენ მის მაღალ რეჟისორულ შესაძლებლობებზე.

ვასო კობელი ქართული საბჭოთა ესტრადის ერთ-ერთი პიონერთაგანია. აქაც წარმატებით გამოდიოდა ორ ამპლუაში, — როგორც რეჟისორი, ისე მსახიობი. 1945 წლიდან რამდენიმე წლის მანძილზე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა, როგორც ქართული ცირკის სცენარისტი. ცირკში მუშაობის დროს ვასო კობელმა დაწერა წიგნი „ქართული ცირკის ოსტატები“, რომელიც 1956 წელს გამოსცა თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

ვასო კობელს საერთოდ ისეთ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როცა ხელოვნებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ისეთი გასაქანი, როგორც დღეს.

ვასო კობელი, როგორც მსახიობი, სასცენო ხელოვნებამ მოწა-

ფეობიდან გაიტაცა, სცენაზე გამოსვლაც ამავე პერიოდთან დაიწყო.

ერთ დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოწაფეთა ლიტერატურული დილა გაიმართა, სადაც პატარა ვასო კობახიძეც მონაწილეობდა. ქართული ენის მასწავლებელმა მას ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ წაკითხვა დაავალა. ვასომ ლექსი ერთ დღეში დაიხეპირა და მასწავლებელს გამოთქმით წაუკითხა. მასწავლებელს ყმაწვილის მონაცემები ძალიან მოეწონა და ოპერის თეატრში ლიტერატურულ დილაზე მიადებინა მონაწილეობა. კვირა დილით, სუფთად ჩაძმული ბავშვები სკოლიდან ოპერის თეატრში წაიყვანეს. კულისებში მასწავლებელი ნ. ავალიანი პატარა ვასოს თავზე ხელს უსვამდა და ამხნევებდა. ვასოს გული კი ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. ამ დროს მისი გასვლის ჭერიც დადგა. იგირამპის წინ დააყენეს. როცა ვასომ მაყურებლით გაჭედოლ ღარბაზს გადახედა, შეკრთა, მაგრამ არ დაბნეულა, როგორც მასწავლებელმა დაარჩია, ისე მოიქცა. ერთხანს დუმდა, როცა ხმაური შეწყდა. ბავშვური რიხით, გატაცებით დაიწყო კითხვა, თანდათან როლში შედიოდა... კითხვა რომ დაასრულა, ტაშის ხმა შემოესმა, ეს იყო პირველი მისი ნაადრევი სასცენო ნათლობა, რომელმაც პირველ გამოსვლისთანავე გამარჯვება არგუნა, სცენის სიყვარულის პირველი ნექტარი გულში ჩააწვეთა...

სასწავლებელში, სადაც ვასო სწავლობდა, ყოველწლიურად იმართებოდა საღამო-კონცერტები, რომელშიც პატარა ვასოც დიდი ხალისით მონაწილეობდა.

მას მუდამ აჯილდოებდნენ მხურვალე ტაშით. ასეთმა წარმატებამ გაათამაშა ყმაწვილი, თეატრში სიარულს მოუწერა, ქართული წარმოდგენების ხშირი სტუმარი შეიქნა... სცენაზე იხილა ბევრი გამოჩენილი მსახიობის თამაში. მის თვალწინ გაივლეს ლადო მესხიშვილმა, ვალერიან გენიამ, ვასო აბანიძემ. კოტე ყოფიანმა... და იგი მოექცა თეატრის ტყვეობაში. მსახიობებთან ერთად იწვლია და განიცდიდა, ოცნებობდა და ხარბობდა... „ვიგორბენ“, რომ ჩემთვის აუცილებელია სცენა, რომ მის ვარჯიშე ჩემი ცხოვრება აუტანელი იქნებოდა და მტკიცედ გადაწყვიტე მსახიობი გამოვსულიყავი“. — ამბობდა ვასო კობელო.

16 წლის ვახუცი 1912 წელს სტატუსტად მოიწყო ზობაღ-შენიღებს სახალხო სახლთან არსებული სახალხო წარმოდგენებზე გამ-

მართველ წრეში. ზუბალაშვილის სახლში მისი პირველი როლი იყო მედუქნე ბიჭი ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“. პიესა დადგა ვალ. შალიკაშვილმა.

სპექტაკლმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. ეს იყო ღრმად რეალისტური, საოცრად თეატრალური წარმოდგენა. ამ სპექტაკლში სახალხო თეატრის მაყურებელმა პირველად იხილა მაშინ სრულიად ახალგაზრდა დამწყები მსახიობი. ეს იყო ბედნიერი შემთხვევა ჭაბუკის ცხოვრებაში. იგი თავის პირველ გამარჯვებას ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა. ამ დღიდან თეატრში 5 წლის მანძილზე თანამშრომლად ითვლებოდა, 1917 წელს კი მსახიობად იქნა მიღებული და აქედან დაიწყო მისი სამსახიობო კარიერა თეატრალურ ხელოვნებაში.

ვასო კობელმა შედგა თუ არა ფეხი სცენაზე, უმალვე იპოვა გზა მაყურებლის გულისაკენ. თეატრმაც შეითვისა და შეისისხლხორცა ნიჭიერი ჭაბუკი.

პირველად მასობრივ სცენებში გამოჰყავდათ, სულ მალე დამოუკიდებელი როლების შესრულებაც დააკისრეს. ვასო კობელი ახალ პროფესიას პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. სცენის დიდოსტატების თამაშსა და როლზე მუშაობას უკვირდებოდა, მათ რჩევა-დარიგებას გულმოდგინედ იმახსოვრებდა. კითხულობდა, სწავლობდა თეატრალურ ლიტერატურას და პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად პროფესიულ ცოდნასაც იძენდა.

პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ვასო ჯარში გაიწვიეს, თურქეთის ფრონტზე მოხვდა. თავისი საყვარელი საქმიანობა აკაც არ მიუტოვებია, გადაწყვიტა ჯარისკაცებისათვის კულტურული მომსახურეობა გაეწია, შეარჩია მსურველები და წარმოდგენების დადგმას შეუდგა. დადგა ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ და დ. აწყურელის ვოდევილი „ორი მშვიერი“.

ომის დამთავრების შემდეგ ვასო კობელი კვლავ თეატრს უბრუნდება. აქედან იწყება მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. მაყურებლის გულწრფელ მოწონებას იმსახურებენ პირველ ხანებშივე შესრულებული გიგო და მიხონ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“, ბარათაშვილი — ნ. შიუკაშვილის პიესაში „სულელი“, არსენა — ალ. ყაზბეგის „არსენაში“, კოტე ფანტიაშვილი — ავქსენტი ცაგარელის „ხანუმაში“, ბესო — ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატში“, კარლ მოორი შილერის „ყაჩაღებში“ და სხვა.



1918 წელს პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა იქაური თეატრის ცნობილი რეჟისორი გ. ჯაბადარი. მან თბილისში თავის ხარჯზე გახსნა დრამატული სტუდია-თეატრი. აქ თავი მოიყარა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, როგორც ქალებმა, ისე ვაჟებმა. დაიწყო მათი წვრთნა-მომზადება. მათი მონაწილეობით იმართებოდა საჯარო წარმოდგენები. ამ სტუდია-თეატრში მოხვდა ვასო კობელიც. მაგრამ კურსის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ დაიხურა. მენშევიკურმა მთავრობამ ამ სტუდია-თეატრს არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა. გ. ჯაბადარი თავისი საკუთარი სახსრებით ამ ფრიად სერიოზულ და საჭირო საქმეს ბოლომდე ვერ მისწვდა, ამიტომ იძულებული შეიქნა დაეხურა სტუდია და კვლავ პარიზში დაბრუნებულიყო სამუშაოდ.

ამის შემდეგ ვასო კობელი ზუბალაშვილების სახალხო სახლმა მიიწვია მსახიობად, სადაც 1924 წლამდე ამ თეატრის დახურვამდე, დარჩა.

ვასო კობელს, როგორც მსახიობს, ყოველთვის ახასიათებდა მომხიბლავი ღირიზმი და შინაგანი სითბო. სცენაზე ახალგაზრდული სიცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა და ამიტომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაყურებელში მას აღფრთოვანება არ გამოეწვია.

ცნობილი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი, რომლის რეჟისორობითა და ხელმძღვანელობით არაერთი როლი განუსახიერებია ვასო კობელს, აი, როგორ ახასიათებს მის აქტიორულ შემოქმედებას: „მასთან სასიამოვნო იყო მუშაობა, რადგან, გარდა ნიჭიერებისა, მას ჰქონდა მშვენიერი სასცენო მონაცემები: ტანადობა, ხმა, შესაფერი მიმიკა და უნარი როლის სათანადო გააზრებისა და მათი ხარისხოვანი შესრულებისა. ასეთი მონაცემების მსახიობი ვიწრო ჩარჩოებში ვერ ეტეოდა და ანსახიერებდა სხვადასხვა ხასიათის როლებს. იგი ერთნაირად ასრულებდა, როგორც დრამატულს, ისე კომიკურ და სახასიათო როლებს. მას 100-მდე სხვადასხვა ხასიათის როლი აქვს შესრულებული. გიგო და მიხა — „მსხვერპლში“, ბარათაშვილი — „სულელში“, მაკს — „ციცინათელაში“, კომბალა — „ამერიკელ ძიაში“, სირაჯი — „არსენაში“, კოტე ფანტიაშვილი — „ხანუმაში“, ავეტიკა, სოსანა და ფიჩხულა — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ში, ბესო — „ღალატში“, იასონი — „ქრისტიანი“-ში, ადიკო — „გუშინდელნი“-ში, სოსიკო — „მეზობლებში“ და მრავალი სხვ. ამ პერსონაჟების ჩამოთვლითაც კი ნათელი ხდება, თუ კობელი რო-

გორი ამპლუისა და შემოქმედებითი მონაცემების მქონე მსახიობი იყო. ვინ არ მიხედვება იმას, რომ ავეტიკასა და ბარათაშვილს შორის დიდი განსხვავებაა, ვინ ვერ გაიგებს იმას, რომ ბესო და კარლოსს შორის ხასიათის მიხედვით არაფერია საერთო, სად გიყუა ქართლელი და სად გურული იასონი“.

თუ როგორ ასრულებდა ამ როლებს კობელი, მოვიყვანთ ერთ ამონაწერს რეცენზიიდან, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა: „1923 წელს დეკემბრის უკანასკნელ დღეებში წარმოადგინეს ნ. შიუქაშვილის ცნობილი პიესა „სულელი“. ამ ნაწარმოების შინაარსი აგებულია 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ამბებზე. პიესის მთავარი პერსონაჟია რევოლუციონერი ბარათაშვილი, რომელიც მოხერხებით შეიჭრება მეფის ნაცვალის სასახლეში და იქ ტერორისტულ აქტის მოწყობას კისრულობს. იგი ყველას ბრიყვად და ქარაფშუტად მოაჩვენებს თავს და ამიტომ სასახლეში მყოფი მეფის მოხელეები სულელს ეძახიან. ფაქტიურად კი საქმიანია. მასზეა დამყარებული პიესის ყველა მოქმედება და ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს: ასეთი პერსონაჟისათვის სცენაზე ხორცის შესხმა და მისი სულიერი განწყობილების მაყურებლის წინაშე დამაჯერებლად მიტანა არც თუ ისე ადვილი საქმეა“. „კომუნისტის“ რეცენზენტი დიდი ქებით იხსენიებს საერთოდ სპექტაკლს და შემდეგ როლების შემსრულებლებზე გადადის და აი რას ამბობს: „ამ საღამოს ჩვენ ვნახეთ კობელი პასუხსაგებ სულელის როლში. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ისეთი როლია, რომლის იერი და მოქნილობა ვერც ავტორის მიერ აიწერება სავსებით და ვერც რეჟისორისაგან შეისწავლება. მსახიობს უნდა გააჩნდეს ნიჭი და შემოქმედებითი წვა. ეს თვისებები კობელმა თავისი შესრულებით დაგვანახა. იგი სცენაზე ყოველთვის თავისუფლად გრძნობს თავს, მოძრაობს უბრალოდ, მეტყველებს ძალდაუტანებლად, მაგრამ მალალი პათოსით, საჭიროების დროს ამჟღავნებს საკმაო ტემპერამენტს. ყოველი მის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ნამდვილი ცხოვრების წიაღიდანაა მოსული, სცენურად ხორცშესხმულ ადამიანს მოგვაგონებს. მისი თამაში მუდამ ზომიერების ეფექტებით იყო შეზავებული და მაყურებლის ემოციებს იწვევს“.

როცა თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის დადგენილებით გადაწყდა ქართული თეატრალური ტერმინოლოგიის დამუშავება, ამ კომისიის წევრად აირჩიეს ვასო კობელიც, რომელსაც

კარგად ჰქონდა შესწავლილი ცირკის საკითხები, საციკო ტერმინოლოგია და კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაება.

ვასო კობელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ახლად ჩამოყალიბებული ქართული კინოსტუდიის მუშაობაში. კინოში მას შესრულებული აქვს ეპიზოდური როლები ფილმებში — „წითელი ეშმაკუნები“, „კომუნარის ჩიბუხი...“

## ილია ზურაბიშვილი

ძველი ქართული თეატრის თითქმის ყველა დიდ მსახიობს თავისი მადლიანი ამაგი შეუტანია სახალხო თეატრების წინსვლის საქმეში, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ სახალხო თეატრს, მუშათა უბნებში ჩამოყალიბებულ აუდიტორიას ჩვენი დიდი თეატრისათვის არაერთი თვალსაჩინო სცენის მუშაკი და მსახიობი შეუმატებია. ასეთ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი, ქართული თეატრის თავდადებული მუშაკი ილია ზურაბიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ილია ზურაბიშვილს სოფელ ენისელის ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მერე დაწაფებია თვითგანვითარებას, იშვიათი სმენისა და ნიჭის წყალობით შეუქმნია მთელი რიგი საყურადღებო ნაშრომები: „ზაქარია ფალიაშვილი“, „ვანო სარაჯიშვილი“, „კახური მრავალყამიერი“, „ურმული“ და სხვანი.

ილია ზურაბიშვილი თბილისში ჩამოსვლისთანავე დაკავშირებია ჩვენს გამოჩენილ მსახიობებს — ვასო აბაშიძეს, ვალერიან გუნიას, კოტე მესხსა და სხვებს. მათთან ერთად ჩაბმულა თეატრალურ საქმიანობაში.

ჭერ კიდევ ახალგაზრდას გაზეთ „ივერიაში“ დაუწყია თანამშრომლობა და გამხდარა ილია ქავჭავაძის „ივერიის“ თეატრალური მიმომხილველი. თეატრალურ წერილებს „ინ-ზენის“, ზოგჯერ კი „ელეფთერიძის“ ფსევდონიმებით აქვეყნებდა. თარგმნიდა პიესებს და კლასიკოსთა მხატვრულ პროზას. დამეგობრებია ზაქარია ფალიაშვილსა და ვანო სარაჯიშვილს. ილია ზურაბიშვილი მათი მუ-

სიკალური ნაწარმოებების შემფასებელიც იყო. იგი ობიექტურად და მიუყვარძობლად წერდა რეცენზიებს ამა თუ იმ ნაწარმოებზე. მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდა ზაქარია ფალიაშვილი.

1905 წელს „ივერიის“ ბიბლიოთეკას ილია ზურაბიშვილის ორი მოთხრობა „გარდზვილი“ და „ორი მონადირე“ ცალკე წიგნად გამოუცია.

ზურაბიშვილი მხატვრული სიტყვის ოსტატიც იყო, მის ფილოსოფიურ ნოველებს, ესკიზებსა და მინიატურებს ალუფრთოვანებია ილია ქავევაძე და აკაკი წერეთელი.

ილია ზურაბიშვილის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დროს ქართული მუსიკისმცოდნეობის დონე ძალზე დაბალი იყო. ჩვენს პრესაში მუსიკის შესახებ შემთხვევითი ხასიათის წერილები და რეცენზიები თუ იბეჭდებოდა. და აი, ამ დროს გამოჩენილა გაზეთებში „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ ილია ზურაბიშვილის წერილები, რომლებსაც ცხოველი ინტერესი აღუძრავს მუსიკისა და ხელოვნების აქტუალური საკითხებისადმი.

1939 წელს ილია ზურაბიშვილმა დაწერა მონოგრაფია „ვანო სარაჯიშვილი“. ამ წიგნს აღტაცებით გამოხმაურებიან როგორც სპეციალისტები, ისე მკითხველთა ფართო მასები. ივანე ჯავახიშვილს აღფრთოვანებული წერილი მიუწერია ავტორისათვის. ასევე დიდი შეფასება მიუცია ივანე ჯავახიშვილს ილია ზურაბიშვილის მეორე წიგნისათვის, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერს“ ეხება.

ზურაბიშვილს ძალიან ჰყვარებია ზაქარია ფალიაშვილის გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“ და არც ერთ სპექტაკლს არ ტოვებდა უნახავს. ოპერას არ ჰყოლია ასეთი ენთუზიასტი მსმენელი, როგორც ილია ყოფილა.

ილია ზურაბიშვილი, როგორც ქართული მუსიკის მემკვიდრე და მეხოტბე, ვიწრო ეროვნულ ჩარჩოში არ ყოფილა მომწყვდელი. გლინკა, ჩაიკოვსკი, ვერდი, ვაგნერი მისი სათაყვანებელი კომპოზიტორები იყვნენ. როსინის „სევილიელ დალაქზე“ ხომ თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული. მისი უახლოესი მეგობრების, ტანო აბაშიძისა და დავით ჩხეიძის გადმოცემით, ილია ზურაბიშვილი როცა სახლში იყო, დონ ბაზილიოს, მეფისტოფელის, დემონისა და სხვა პარტიების შესრულებით ერთობოდა და მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდა. განსაკუთრებით ჰყვარებია ილიას პატეფონზე

ტიტო რუფის ფირფიტის დამღერება, მღეროდა ტიტო და ბანს აძლევდა ილია. სიმღერა ისე გაიტაცებდა თურმე, რომ ვერც კი ამჩნევდა, ოთახიდან როგორ გაეპარებოდნენ მეგობრები.

ვანო სარაჯიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი ილიკო ზურაბიშვილის სათაყვანებელი პირები იყვნენ. ამიტომაც მიუძღვნა ამ ორ დიდებულ ხელოვანს წიგნი, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს მუსიკის მოტრფიალის ჰიმნი.

ვის არ დაუწერია ძველი ქართული თეატრის ოთხ მსახიობზე (მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია და ლალო მესხიშვილი), მაგრამ ამ მსახიობთა ისეთი ნათელი სურათი არავის მოუცია, როგორც ილიას.

ნაყოფიერი ბელეტრისტი მუსიკის კარგი მცოდნე, საუკეთესო მოცეკვავეც ყოფილა. არაფერი ჯობნებია იმის ნახვას, როცა ილია და მისი და ქეთევანი (ანდრონიკაშვილისა) სცენაზე გამოსრიალდებოდნენ და „ქართულს“ ცეკვავდნენ. ეს ბრგე ვაჟკაცი როგორც ნიავი, ისე დაჰქროდა. განსაკუთრებით აღტაცებაში მოდიოდა ხალხი მისი დავლურით. საუკეთესო მოცეკვავე ილია ზურაბიშვილი ამ დარგის იშვიათი მეხოტბეც ყოფილა.

იგი, როგორც მსახიობი, ასევე შთამბეჭდავი იყო. დაუვიწყარია მის მიერ ოსტატობით განსახიერებული ოთარ-ბეგი („ლალატი“). ვალერიან გუნიას შემდეგ, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებდა ამ როლს, მემატრიანეთა გადმოცემით, მისი ერთადერთი ღირსეული შემცვლელი ი. ზურაბიშვილი ყოფილა. შესანიშნავი ქართული მეტყველება, მშვენიერი ხმის ტემბრი და როლის ღრმად გააზრება დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. სახალხო სახლის ქართულ დასში დიდი ექსპრესიით უთამაშნია გოროდნიჩი („რევიზორში“).

„როგორც სცენისმოყვარე, ილია ვნახე სახალხო სახლის გახსნის დღეს გოგოლის „რევიზორში“ გოროდნიჩის როლში. 1909 წლის 4 აპრილს, — იხსენებს ალექსანდრე ბურთიაშვილი, — თუ მანამდე ჩვენ, ახალგაზრდები, ავკვალის აუდიტორიის სცენისმოყვარეთაგან თამარ გოგოლაშვილის, სოსო რომანიშვილის, ნიკო გოცირიძის თაყვანისმცემელი ვიყავით, მათ რიცხვს ილიკო ზურაბიშვილიც მიემატა“.

ასევე შესანიშნავი ყოფილა ილია გიუყას როლში („რაც გინახავს, ველარ ნახავ“). მიუხედავად იმისა, რომ ამ როლს საუკეთესო

შემსრულებლები ჰყოლია გამყრელიძისა და იმედაშვილის სახით, ილია ზურაბიშვილიც ღირსეულად ამოსდგომია მათ გვერდში. მაგრამ არც ერთ წარმოდგენაში ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას არ ახდენდა თურმე ილია, როგორც „სამხედრო ბანაკში“ ვახმისტრის როლში. ამ როლის განსახიერებისას არც ერთ ნიჭიერ პროფესიონალ მსახიობს არ ჩამოუვარდებოდა. ეს როლი დიდი დრამატიზმით არის სავსე და შემსრულებლის დიდ დიაპაზონსაც მოითხოვს. ილია ზურაბიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სცენაზე მაღალმხატვრულ ოსტატობას იჩენდა და მაყურებელს აჯადოებდა, მისი გულწრფელი თამაში მთელ დარბაზს იმორჩილებდა.

ასევე მომხიბვლელი იყო იგი პეტუას როლში („ციმბირელი“), წარმატებით ანსახიერებდა თავად ვანო ფანტიაშვილს (ხანუმაში). ამ ოთხი სხვადასხვა ხასიათის როლის განსახიერებითაც კი ნათელი ხდება, თუ რა ძალა ჰყოლია სახალხო თეატრს ზურაბიშვილის სახით.

ილია ზურაბიშვილს ბედნიერება ჰქონდა, ჰაბუკობიდანვე დაახლოებოდა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. დიდი აკაკი და ვანო მაჩაბელი მისი პირადი მეგობრებიც კი იყვნენ. ილია ჰავჭავაძეზე ხომ პირდაპირ შეყვარებული ყოფილა ჰაბუკი. მას ბედნიერებად მიაჩნდა ის წუთები, როცა ეს დიდი მოაზროვნე მამულიშვილი მეგობრულად შეხვდებოდა ყმაწვილ კაცს და გამოელაპარაკებოდა. ზურაბიშვილს ძალიან ჰყვარებია ილია ჰავჭავაძის „განდეგილისა“ და აკაკის შედევრების ხმამაღალი კითხვა. ყველამ იცოდა ილიას ეს გატაცება და მეგობრები ხშირად სთხოვდნენ ამ ნაწარმოებთა წაკითხვას. ილიაც ჩვეული აღფრთოვანებით კითხულობდა იქამდე, ვიდრე არ მოიქანცებოდა.

ილია, გარდა კარგი მსახიობისა, საუცხოო იმიტატორიც ყოფილა, იგი ამხანაგებს უამბობდა ილია ჰავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის კამათს, როცა ქართული ბანკის გარშემო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ილია თითოეულ მათგანს ბაძავდა. მსმენელს არც ილია ჰავჭავაძე ენახა და არც მაჩაბელი. არც იცოდნენ მათი ექსტიკულაცია, ხმის მოდულიზაცია და სხვა, მაგრამ ილია ისეთი ოსტატობით ხატავდა თურმე ყოველივე ამას, რომ უაღრესად მკაფიო წარმოდგენას უქმნიდა მსმენელს მოკამათე დიდ ადამიანებზე. ილია ზურაბიშვილს ჰყვარებია ანტრაქტებში კამათი პიესის დადგმის ან ამა თუ იმ მსახიობის მიერ როლის შესრულებაზე. მისი მგრგვინავი ხმა

მთელს ფოიეში გაისმოდა და ყველას ყურადღებას იქცევდა. საჯარო გამოსვლებს კი გაუბოძდა, ბევრს არც კი სცოდნია, ზურაბიშვილი ორატორული ნიჭით რომ იყრ დაჯილდოებული. და აი, როცა გარეწრებმა დიდი ილია მოკლეს და საქართველოს მწუხრი გადაეფარა, ქართველი ერის ტრაგედიაში დიდად იმოქმედა თურმე ილია ზურაბიშვილზე. დაკრძალვის დღეს მისმა მგრძნობიარე სიტყვამ მოზღვავებულ ხალხს უსაზღვრო ცრემლი დააფრქვევინა. დიდი აკაკის მოთქმა და ილია ზურაბიშვილის სიტყვა დიდხანს ყოფილა თურმე მსჯელობის საგნად.

აი, ეს სიტყვა: „საქართველოს ჭირისუფალო, ილიავ. შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერს წილად ხვდა — თავის მხნე მკერდზე, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტს და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას, რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველი კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა...“

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ! რა უთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობლიურ ყვარელის მთებს? რითი ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჭირანხულე ლაბას, შენ ლაბას, როცა უენო. ვითა მეტყველი თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ! მაშ, მართალია!

თუ აგრეა — იგლოვეთ, იგლოვეთ! მდულარედ! შენ. ალაზანო, ზვრთი ზვრთზე აავორე, ამობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ, ყვარელის მთებო, ნისლით შეიმაგრეთ მწვერვალები — ეკიწება თქვენი ძაძა!

შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და. ლაბავ. მორთე გულსაკლავი ბღავილი! აღარ გეყავს ზრახვათა მესაიდუმლე, აღარ გეყავს გრძნობათა მოენე! შენ კი, საქართველოვ. ახლა მაინც ნიხვდი, რა ბედშავია შენი ხვედრი. დაე. ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა“.

## გიორგი შინატეხელი

თავისი შესანიშნავი ლექსებით ყურადღებას იპყრობდა მუშა-პოეტი და სცენისმოყვარე გიორგი შინატეხელი (მენტეშაშვილი). 1896 წლიდან იგი აქტიურად თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში შინატეხელის ფსევდონიმით. იგი ყოველთვის ახლოს იდგა მუშებთან და ძველ სცენისმოყვარეებთან.

1910 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა გიორგი შინატეხელის ლექსთა კრებული სათაურით „გლეხის ცრემლები“, რომელიც მეფის ცენზურამ მაშინვე აკრძალა და მოსპო. გადარჩა სულ რამდენიმე ცალი.

მუშა-პოეტს „მარცხმა“ გული არ გაუტეხა. იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პროლეტარიატს და უღიდესი რწმენით განაგრძო თავისუფლებისათვის ბრძოლის თემაზე წერა.

„... ის, ვინც დაამხო ძველი კერპები,  
ახალ ცხოვრებისქმნა ცისკარი,  
ვინც ფარისეველთ, მტარვალ-მჩაგვრელთა  
ამცნო ცოდვანი, დასცა თავზარი;  
ვინც მკენებად მოგვცა ჩვენ სათნოება,  
ძმობა, ერთობა და სიყვარული.  
ვინც თვით შეება ბოროტებასა,  
რომ ტანჯვისაგან ეხსნა ჩაგრული,  
ვისაც გამკემელთ ბოროტის ენით  
ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე,  
ვინც უსამართლო სამართლის ძალით  
სასიკვდილოთა გააქრეს ჭეარზე, —  
ღლეს იგი აღსდგა ძლევაშოსილი, —  
სიკვდილით ჰპოვა სიცოცხლე გრძელი,  
მაშვრალთ კერაო, გაგიხაროდენ,  
ბნელში წინ გიძღვის, ვითარც კანდელა.  
მიტომც გილოცავთ წმინდა აღდგომას, —  
ახალ მესიის ღლესასწაულსა;  
რომ მოეხმარათ ჭირთაგან ხსნაში  
ყველა ტვირთძიმებს და დაჩაგრულსა...“

„ღლეს იგი აღსდგა“.

გიორგი შინატეხელი დაიბადა 1868 წელს თბილისის მახლობლად, სოფელ ვაშლოვანში. შრომითი საქმიანობა ბავშვობიდანვე



დაუწყია. რაიმე კლასიკური განათლება არ ჰქონია, თუმცა ბევრს კითხულობდა. კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას — შოთას, ილიას, აკაკისა და სხვებს.

გიორგი შინატეხელს ადრე ასაკში დაუწყია ლექსების წერა. იგი წერდა შრომისა და ბრძოლის ამსახველ ლექსებს, რომლებსაც თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში აქვეყნებდა. მისი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, „მიზანში“ და სხვა კრებულებში.

მის ლექსებში ასახულია მუშათა ცხოვრება. მრავალ ლექსში მოჩანს თვითნაბადი კალმოსნის ნიჭი. სხვა მუშა-მწერლებთან ერთად იგიც შედის გაერთიანება „პროლეტკულტში“. საქართველოში „პროლეტკულტის“ დაარსება დროული იყო, იგი მოქმედებდა რუსეთის „პროლეტკულტის“ აღმასკომის საფუძველზე, რომლის რწმუნებული სანდრო ეული იყო.

მუშა-მწერლებს შორის საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა გიორგი შინატეხელი.

გავიხსენოთ ცნობილი პოეტის ალექსანდრე შანიძის მოგონება: 1924 წელს, როცა „პროლეტკულტში“ მიმიღეს, სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. ამ ლიტერატურულ გაერთიანებაში ხანდაზმული მუშა-მწერლებიც იყვნენ. მე მათ ყველას კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდი. განსაკუთრებით მინდა მოვიგონო გიორგი შინატეხელი, რომლის გვარი მანთაშოვი იყო. იგი თბილისში აღზრდილი კაცი იყო, ხელოსანი, მეწაღე. მისი სახელოსნო მდებარეობდა ახლანდელ ტელმანის ქუჩაზე, ტრამვაის პარკთან. იყო ყარაჩოხელთა დიდი მეგობარი. უყვარდა სუფრის გაშლა, ქეიფი, დარდიმანდობა. ამ მშვენიერი მასპინძლის მეგობრები იყვნენ: იროდიონ ევდოშვილი, ბ. ახოსპირელი, შიო მღვიმელი, იეთიმ გურჯი და სხვები“.

ერთ-ერთი მეგობრის მეშვეობით გალაკტიონ ტაბიძესაც გაუცვნია გიორგი შინატეხელი, მოსწონებია მისი კეთილი გული, სტუმართმოყვარეობა, გიორგის სიკვდილამდე არ შეუწყვეტია გალაკტიონთან მეგობრობა.

გალაკტიონ ტაბიძეს გიორგი შინატეხელისათვის ორი ლექსი მიუძღვნია: „რკინის მკვნეტელი“ და „კაცური კაცი“. ორივე ლექსი გალაკტიონმა შინატეხელს რვეულში ჩაუწერა. მოგვიანებით ეს

რვეული მუშა-პოეტის რძალმა ნ. გაბელაიამ ლიტერატურის მუ-  
ზეუმს გადასცა. ეს ნაწარმოებები საინტერესოა გალაკტიონის ლი-  
ტერატურული მემკვიდრეობისათვისაც.

ჩემს ძვირფასს წინაბეზელს

ცხოვრება შენი კარგი,

კეთილი...

არ გახსოვს ლუვრი, ნიუ-იორკი,

არცა პარიზი, ჩემო გიორგი.

არც საჭირთა. ის არის ცრემლი,

შენ კი ცხოვრების გისურვებს

გრდემლი —

და სიყვარული ყველაზე

ტკბილის

ახოსპირელის და ეედოშვილის.

რამდენჯერ ერთად ტიროდით ქეიფს,

რეჟიმებს მძიმეს, სასტიკ ზღუდეებს.

თქვენ სვამდით ღვინოს, რომ

სულმა იწყოს

ღელვა, რაც ვერვინ ვერ

დაგვიწყოს,

ებრძოდით მუქთახორობას

ბევრში, ვინ იცის, შენ ერთი

დარჩი —

სპეტაკი, როგორც ვანქი, სიონი,

შენ გესალმება გალაკტიონი.

რკინის მკვნეტელი, რკინის მტეხელი

აი, ვინ არის შინატეხელი.

მას უყვარს ღვინო ტკბილად

სასმელი,

ჩაქუჩი, წიგნი და ფეხსაცმელი.

როდესაც ხელში ჩაქუჩს

აიღებს,

თუ რომ წვიმაა — ის გადაიღებს.

როდესაც ხელში წიგნი ექნება,

იცის სიცოცხლის გზა და შეგნება.

მაგრამ როდესაც გადაჰკრავს ღვინოს,

მასთან რომელმა მოიღბინოს.

დასძახებს ლექსებს, მომეცით ხელი.

აი, ვინ არის შინატეხელი.

## ავქსენტი ცაგარელი

ცნობილი დრამატურგის, მთარგმნელისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის უკვდავი კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ სანიმუშო ქმნილებაა, თავისი მიმზიდველი ძალა დღესაც რომ არ დაუკარგავს და ქართული კლასიკური პიესების რიცხვში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

„რაც გინახავს, ველარ ნახავ“ ერთ-ერთი პირველი კომედია იყო, რომელიც ახლად აღორძინებული ეროვნული თეატრის სცენაზე დაიდგა და ამ დღიდან უწოდეს ავქსენტი ცაგარელს „ქართული კომედიის მეფე“.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთი წამყვანი დრამატურგი გახლავთ ავქსენტი ცაგარელი, მეგობრულ წრეში ასიკოდ წოდებული. ცაგარელის დრამატურგიას სწორედ ქართული ეროვნული თეატრის განახლებასთან ერთად აუდგამს ფეხი და მის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად ცქეულა.

ავქსენტი ცაგარელს „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ 1876 წელს დაუწერია. ამ დროს ბატონყმობა გაუქმებული იყო, მაგრამ მისი ნაშთები საბოლოოდ ჯერაც არ ყოფილა აღმოფხვრილი. და აი, სწორედ ამ დროს აღუმართავს ა. ცაგარელს თავისი პირველი მოურიდებელი მახვილი ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ.

ავტორმა შეძლო კომედიის ფორმებში მკაფიო. რეალისტური სურათი დაეხატა. ცხოვრების სინამდვილიდან აღებული სიტუაციები, მძაფრი კონფლიქტები, ცოცხალი დიალოგები და ტიპაჟის სრულყოფით წარმოსახვა საინტერესო ქმნილებად ხდის ამ კომედიას.

ა. ცაგარელმა დიდი მხატვრული ოსტატობით აგვისახა მაშინდელი თბილისის ცხოვრება. განსაკუთრებით საინტერესოა ხალხის დაბალი ფენის ცხოვრება. მან ქართულ დრამატურგიაში შეიტანა განსაკუთრებული ტიპაჟი და ხასიათის წერის მანერა. თავდაზნაურობა, ქალაქის ხელოსნები და ახალფეხადგმული სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია ნიჭიერად ასახა ავტორმა.

მის კომედიებს ახასიათებს ცხოველმყოფელობა, სიმხვილე, შინაგანი ძალა, ტემპერამენტი. ამიტომაც არის, რომ დღესაც გვხი-

ბლავს და აღტაცებაში მოყვავარტ ახლებურად წაკითხულ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავსა და „ხანუმას“.

კომედიას „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ პრესა ასეთ შეფასებას აძლევს: ...ეს კომედია ცოცხალი სცენური პიესაა. თავიდან ბოლომდე შეიძლება დაიყოს პატარ-პატარა სცენებად, ისე, რომ ერთმა მეორეს არ დაუშალოს. ყველა ეს სცენები ამოღებულია ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“.

ავქსენტი ცაგარელი 21 წლის ყოფილა, როცა ეს კომედია დაუწერია. იმ დროს დრამატულ კომიტეტს დაწესებული ჰქონია პრემია კარგ პიესაზე. როცა კომიტეტს ცაგარელის პიესა განუხილავს, ძლიერ მოსწონებია და ავტორისათვის პრემიის სახით 50 მანეთი მიუცია. ეს იყო ახალგაზრდა დრამატურგის პირველი პრემია და პირველი ჰონორარი.

პიესის ავტორმა ერთბაშად მოიპოვა ნიჭიერი დრამატურგის სახელი. პიესისათვის აღფრთოვანებული რეცენზიები მიუძღვნიათ. ამ თვალსაჩინო კომედიამ თეატრზე გულაცრუებული საზოგადოება ქართული სცენისაკენ შემოაბრუნა.

ილია ქავჭავაძე ამბობდა: „ა. ცაგარელი გვაჩუქებს ხოლმე პიესებს ცოცხლად ამოღებულს, აწმყოფის ცხოვრებიდან. ამ პიესებს საგნად აქვს სურათები დღევანდელი ცხოვრებიდან და ავქსენტი ცაგარელს ჩვენში ჯერ წინ ვერავინ წასწრებია“.

ავქსენტი ცაგარელს, შემოქმედებით ნაყოფიერებაში ქართველები ოსტროვსკის ადარებდნენ, როგორც დრამატურგს. თვით რუს დრამატურგს ა. ოსტროვსკისაც მოსწონებია ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. კომედიის პირველი მოქმედება ქართულ დასს მის საპატივცემლოდ წარმოუდგენია 1883 წლის 20 ოქტომბერს. გამოჩენილი დრამატურგი თავის დღიურში აღტაცებით აღნიშნავდა ქართველ მსახიობთა თამაშს მისივე პიესის „შემოსავლიანი ადგილის“ მეორე მოქმედების განსახიერებისას. ავქსენტი ცაგარელის პიესაზე კი წერს, ძალიან კარგი წარმოდგენა იყო.

რუსეთის გამოჩენილი მწერლისათვის ქართულ დასს დაფნის გვირგვინი მიუერთმევია, გვირგვინი ავქსენტი ცაგარელს გადაუცია. ახალგაზრდა ავტორისათვის კი ოსტროვსკის რამდენიმე თბილო სიტყვა უთქვამს: „მშვენიერია, სწორედ ასე განაგრძე წერა, კარგ გზას ადგიხარ“.

1902 წლის 2 იანვარს, ქართული თეატრის 50 წლისთავზე

ა. ცაგარელი გ. სუნდუკიანთან ერთად, ქართული დრამატული საზოგადოების საპატიო წევრად აურჩევიათ.

ავქსენტი ცაგარელის სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლის წინა პერიოდში ქართული თეატრი მძიმე მდგომარეობაში იყო. გ. ერისთავის მიერ 1850 წელს განახლებულ თეატრს მხოლოდ ორი წელი უარსებია.

გ. ერისთავის თეატრი ყოფილა საძირკველი, რომელზეც პროფესიული თეატრი აღმოცენებულა, მაგრამ ცარიზმის იმდროინდელი ჩინოვნიკები მტრულად შეხვედრიან დიდებულ წამოწყებას. ამ დღიდან ქართულ წარმოდგენებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია, ხოლო 1879 წლის 5 მარტი ქართული თეატრის ხელახალი დაბადების ოფიციალურ თარიღად ქცეულა. თეატრალურ დასს სეზონი ბარბარე ჯორჯაძის პრესით „რას ვეძებდი, რა ვიპოვე“ გაუხსნიათ.

სასწაულმოქმედი მსახიობების კ. ყოფიანის, ნ. გაბუნიას, ვ. აბაშიძის, მ. საფაროვას შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად საქირო იყო სათანადო რეპერტუარი.

და აი, ამ დროს რეპერტუარით ღარიბ ქართულ თეატრს მოევლინა ახალგაზრდა დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი და თავისი უკვდავი კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ 1879 წლის დეკემბერში სამჯერ დაუდგამს სცენაზე. რაც უჩვეულო მოვლენა ყოფილა თეატრის ცხოვრებაში.

სპექტაკლში თვით ავტორსაც მიუღია მონაწილეობა და გიჟუას მთავარი როლი შეუსრულებია. წარმოდგენა კარგად ჩატარებულა და მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ამ წარმატებით წახალისებულ ავქსენტი ცაგარელს შემდეგში კალამი ხელიდან არ გაუგდია.

კომედიას „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ საფუძვლად ნამდვილი ამბავი დაედო. ამაზე გაზეთი „დროება“ წერდა: „შინაარსი პიესისა, როგორც ამბობენ, ერთი ისეთი ფაქტია, რომელიც თბილისელებმა კარგად იციან, — ესაა შიოევის ისტორია, ქალი რომ მოსტაცა ვიღაცა დიღმელ გლეხს“ („დროება“, 1879, № 263).

პიესაში გადმოცემულია საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ამბავი. ავტორი აგვიწერს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ როგორი დამოკიდებულება დამყარდა ყოფილ მებატონესა და ნაყმევს შორის. ყოფილი მებატონეები კვლავ ცდილობდნენ ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებიათ

თავიანთი პრივილეგიები. მათ კარგად იცოდნენ, ოფიციალური კანონით განთავისუფლებული ყმა-გლეხი ეკონომიურად მაინც არ იყო თავისუფალი, ფაქტიურად ისევ მებატონეზე იყო დამოკიდებული. გლეხები თავის მხრივ ცდილობდნენ მებატონეებისაგან თავის დაღწევას და პიესის მოქმედი პირის, გიუჟას სიტყვები „რაც გინახავს, ველარ ნახავ, კნიაზ ჯან!“ აშკარა პროტესტის გამოხატვა იყო.

1882 წელს ა. ცაგარელს, თავისი მეუღლის, მალანჩიკიერი მსახიობის, ნატო გაბუნიას საბენეფისოდ დაუწერია მეორე კომედია „ხანუმა“, რომელიც იმავე წლის 1 დეკემბერს წარმოუდგენიათ. ამ კომედიას არანაკლები რეზონანსი ჰქონდა. არ დარჩენილა. საქართველოში ქალაქი, დაბა, კუთხე, სოფელი, რომ ეს კომედია არ წარმოედგინათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომედია „ხანუმა“ საფუძველზე ვიქტორ დოლიძეს დაუწერია თავისი პირველი ოპერის „ქეთო და კოტეს“ ლიბრეტო. ვიქტორ დოლიძე გაიტაცა ცაგარლის შემოქმედებამ და მისი ისტორიული დრამა „ლეკის ქალი გულჯავარი“ საფუძველად დაუდო თავის მეორე ოპერა „ლელას“.

კომიკურ ოპერა „ქეთო და კოტეს“ თუ დიდი წარმატება ხვდა წილად და მრავალი საოპერო თეატრის სცენაზე კარგა ხნის მანძილზე იდგმებოდა და დღესაც იდგმება ამაში ა. ცაგარელსაც მიუძღვის განსაკუთრებული წვლილი, როგორც სიუჟეტის ავტორს.

ავქსენტის ცაგარელის კომედიებს ჩვენ დროშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მისი ქმნილებანი „ხანუმა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ციმბირელი“ და სხვა ხშირად იდგმებოდა და იდგმება როგორც პროფესიონალური თეატრების, ისე მოყვარულთა კლუბების სცენაზე, ღია ცის ქვეშაც კი.

როცა დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი თავის შესანიშნავ პიესებს წერდა, მას ყოველთვის მხედველობაში ჰყოლია მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობები და როლებს მათ ინდივიდუალობას უფარდებდა. ასე მოქცეულა ავქსენტის ცაგარელიც და ნატო გაბუნიას საბენეფისოდ დაწერილ კომედია „ხანუმაში“ ხანუმასა და აკოფას როლების შექმნისას მისი უბადლო შემსრულებელი ნატო გაბუნია (ხანუმა) და ვასო აბაშიძე (აკოფა) ჰყოლია მხედველობაში.

„ა. ცაგარელის პიესების შესახებ შეიძლება მართლაც ითქვას

იგივე, რაც გონჩაროვს უთქვამს გრიბოდოვის პიესებზე: „იგი-  
ჰგავს ასწლოვან მოხუცს, რომლის გარშემო ყველაფერი ბერდება  
და კვდება, ის კი ნორჩი ჭაბუკივით დადის აკვნებსა და საფლავებს  
შორის და არავის ფიქრად არ მოსდის, რომ ოდესმე მისი აღსას-  
რულიც მოვა“.

„ხანუმაჲ“ გაუძღო დროს. ასევე გაუძღო ქაშთა სრბოლას  
ა. ცაგარელის სხვა პიესებმაც, „ციმბირელი“, „მათიკო“ და სხვა.  
ეს იყო, ი. გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალი სიოს  
ნებიერი ქროლვა ქართულ თეატრალურ საზოგადოების ხეივანში“.

აქვს. ცაგარელის პიესების გამძლეობა იმაში გამოიხატება, რომ  
მისი დედააზრი XIX საუკუნის ეპოქის ცხოველყოფელი გამოხა-  
ტულებაა, რომ მთელი მისი შემოქმედება სოციალურ მოტივებს  
ეყრდნობა. რეალური სინამდვილე ამდიდრებს, იმდროინდელი კო-  
ლორიტი აცოცხლებს და აკეთილშობილებს ყველა მის ქმნილებას.  
ამით აღვივებს წარსულის რომანტიკული ფერებით მოხიბლულ  
მაყურებელს და სევდასთან ერთად უჩენს ოპტიმიზმისა და სინა-  
ნულის გრძნობას.

საყურადღებოა აგრეთვე ცაგარელის მესამე პიესა „ციმბირე-  
ლი“. პიესა ეხება ახალფეხადგმული ბურჟუაზიის მტაცებლურ პო-  
ლიტიკას. ოდესღაც უბრალო ნოქარი ტიგრანა გამდიდრების შემ-  
დეგ ტრიფონ ბაღდანაჲ მახუთიანად იწოდება.

მახუთიანის მგლურ ბუნებას დრამატურგმა სათანადო რეალის-  
ტური ჩარჩო გამოუნახა და დამაჯერებელი სახე შექმნა. დრამა-  
ტურგს უნარი შესწევს ორი-სამი ფრაზით ცოცხალი ადამიანი და-  
გვანახოს, მცირე სიტყვიერი მასალით კოლორიტული სახეები შექ-  
მნას კატინა, სოსონა, ფიცხულა, მოურავი ნიკო ყურაშვილი და  
სხვანი ოსტატის ხელით გამოძერწილი სახეები არიან.

აქვს. ცაგარელი დაიბადა თბილისის ახლოს სოფ. დილომში  
მღვდლის ოჯახში. ასიკოს უფროსი ძმა იყო პეტერბურგის უნი-  
ვერსიტეტის ცნობილი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

პატარა ასიკოსათვის წერა-კითხვა დედას შეუსწავლებია. მამის  
სურვილის მიუხედავად და ძმის დაბეჯითებით წინააღმდეგობისა,  
8 წლის ასიკო თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეუყვანიათ.  
კურსის დამთავრების შემდეგ სწავლა გაუგრძელებია სასულიერო  
სემინარიაში. სწავლაში ყმაწვილს დიდი ნიჭი გამოუჩენია და იმავე  
დროს თვითგანვითარებასაც დაწაფებია. ფხიზელი გონებისა და

ლალი ბუნების ახალგაზრდა ვერ შერიგებია სემინარიის სასტიკ რეჟიმს, მის რეაქციულ ატმოსფეროს და სწავლის მოძველებულ მეთოდებს. მასწავლებლებს თავი თავმობეზრებული ჰქონიათ მისი ოხუნჯობით. მას განსაკუთრებით სადვთო სჯული სძულებია და გალობის გაკვეთილებზე ლოცვებს ბაიათის ხმაზე მღეროდა.

ამიტომ მოხდა, რომ კურსის დამთავრებამდე მან სასწავლებელს თავი გაანება. თუმცა დიდი სურვილი ჰქონია სწავლა განეგრძო, მაგრამ ვერ მოუხერხებია. იგი კვლავ ბევრს მუშაობდა თვითგანვითარებაზე და ცოდნის შეძენის სურვილს ამით იკმაყოფილებდა.

ამ პერიოდში ა. ცაგარელი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ჩვენს პრესას და საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩისცემას. იმ დროს სცენისმოყვარეთა წრეში თავისი უფროსი ძმა ვანო ცაგარელი მუშაობდა, რომლის მეშვეობით ახალგაზრდა აექსენტი გასცნობია ქართულ მწერლობას, საზოგადო მოღვაწეებს, დრამატული საზოგადოების წევრებს და დაუწყია მათ წრეში ტრიალი. ამის შემდეგ უფრო გაღვიძებია საზოგადოებრივი საქმისადმი ინტერესი, საჭირო ყოფილა ერთგვარი სტიმული (რომელიც დ. ერისთავს მიუცია), რომ იგიც ჩაბმულიყო საზოგადოებრივი საქმეების ფერხულში. აი, რას გვიამბობს თვითონ აექსენტი ცაგარელი:

„1876 წელს, შემოდგომის ერთ ჟღმურტლიან საღამოს, სასახლის ქუჩაზე მივიდიოდი; გზაში შემხვდა აწ განსვენებული ერისთავი და თავისებურად ფიცხად მკითხა: „სად მიდიხარ? მოდი, შევიდეთ როინიშვილის ფოტოგრაფიაში, რეპეტიციებს დავესწროთ? როინიშვილის ფოტოგრაფია მაშინ დავით სარაჯიშვილის ძველ სახლში იყო, ეზოში გავყევი განსვენებულს. წარმოდგენები თეატრში ათი წლიდან მენახა: შინაურ წარმოდგენებზედაც ხშირად დავსწრებივარ ბავშვობისას და ჩემ ტოლებთან ერთად მათში მონაწილეობაც კი მიმილია, მაგრამ დახელოვნებული მოთამაშენი არ მენახა. ამიტომ დიდი სიამოვნებით შევყევი ფოტოგრაფიაში. დავითმა წარმადგინა დიდ მსახიობებთან და ჩემი თავი გააცნო. ეს კარგად მახსოვს, რომ იმავე წამს დიდი ზრდილობით მომეგება ჩვენი სასცენო სამწერლო მოღვაწე ნიკო ავალიშვილი და ღიმილით მითხრა: „ყმაწვილო, უნდა დაგვეხმაროთ ჩვენს წარმოდგენაში. ვთამაშობთ „ძალად ექიმსო“! მე აბა, რას ვეტყოდი და დარცხვენით მოვახსენე, რომ თუ კი გამოვდგები, ვიკისრებთქო.



მომცეს „ძალად ექიმში“ გლეხი-კაცის როლი. სულ ზეპირად დავისწავლე ჩემიც და სხვისი როლებიც. წარმოდგენის დროს სცენაზე წავლუნე თავი (რადგან ხალხის მრცხვენოდა) გამოუქნელ მოზვერივით და თვალების ბრიალით ავტეხე განებირებული სიტყვების ქექა-ქუხილი... სხვა მოთამაშეებს ყურს არ ვუგდებდი და როგორც კი გავათავე ჩემი როლი, გავსწიე კარებისაკენ, მაგრამ ნ. შიშნიაშვილმა მტაცა ხელი: „ბიჭო, სად მიდიხარ, ჯერ ჩვენ ნახევარი არ გვითქვამსო“. მეორედ დამაბრუნეს და სხვებთან ერთად გამაგრძელებინეს ჩემი როლი. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა სცენაზე“.

ამის შემდეგ ა. ცაგარელი თეატრს აღარ მოშორებია. იგი მაშინვე ჩაურიცხავთ სცენისმოყვარეთა წრეში, ხოლო, როცა 1879 წელს აღდგენილი იქნა ქართული პროფესიული თეატრი, პირველ დასშივე მიუწვევიათ მსახიობად.

ასიკო ცაგარელი ძირითადად ყარაჩოხელების როლებს თამაშობდა. იმდროინდელ პრესას შემოუნახავს ჩვენთვის საინტერესო ცნობები მის აქტიორულ ნიჭსა და უნარზე: „ყველა მოქმედმა პირებმა საუცხოოთ შეასრულეს თავიანთი როლები. თვითონ ავტორი პიესისა ცაგარელი ხომ კინტოს როლისთვისაა დაბადებული, თითქოს კინტუათ გაუჩენია ბუნებასო, ისრე უწუნოდ, უმეტნაკლებოდ არდგენს გიჟუას როლს“.

ერთხელ აკაკისაც უთქვამს, რომ არ ვიცოდე, მღვდლის შვილი ხარ, კინტოს შვილი მეგონებოდიო.

ა. ცაგარელის ამპლუას ყარაჩოხელების გარდა გლეხი და კინტო წარმოადგენდა. 1879 წლიდან 1883 წლამდე მის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩეოდა გიჟუა („რაც გინახავს ველარ ნახავ“), გლეხი („ძალად ექიმი“), გიჟუა (აკაკის „კინტო“), ჩინჩა-ლა ლაპაჩი (ზ. ანტონოვის „ქორწილი ხევსურისა“), კაკულა „პეპო“ და სხვ.

გაზეთი „დროება“ წერდა, რომ „მისი (ცაგარლის) ზოგიერთი სცენა უზადო აღმასივით ბრწყინავს თავისი სიოხუნჯით“.

ა. ცაგარელი დიდად ვერ ამაღლდა, როგორც მსახიობი იქ, სადაც სცენის ბუმბერაზები ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ლადო მესხიშვილი ელვარებდნენ, ა. ცაგარელი მათ გვერდით ვერ დადგებოდა, მაგრამ ისეთი მაჩანჩალაც არ ყოფილა, როგორც იგი თავის თავზე ამბობდა.

ძველი გაზეთის ფურცლებზე მრავალჯერ აღნიშნულა ა. ცაგარელის მოხდენილი თამაში. „უფ. ცაგარელი კინტოს (კაკულას) როლში ორჯერ გვინახავს და იმის ცოცხალმა თამაშმა ორჯერვე თითქმის ალტაცებაში მოიყვანა მაყურებელი“, წერდა გაზეთი „დროების“ რეცენზენტი 1879 წლის № 223-ში.

გაზეთები ყოველთვის დადებითად აფასებდნენ ავქსენტი ცაგარელის გამოსვლებს დივერტისმენტებში. გაზეთი „დროების“ 1880 წლის 10 აგვისტოს ნომრიდან სისტემატურად ვხვდებით ამ გაზეთის ფურცლებზე ავქსენტი ცაგარელის იუმორისტულ სცენებს, ლექსებს, ფელეტონებს.

მაგრამ ასიკო დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა თურმე ამისთანა გამოსვლებს: „დავატყვე, არაფერი შვილი არტისტი ვიყავი, — წერს თავის მოგონებაში, — ჩამოვშორდი სცენას 1884 წელს, თუმცა სულით და გულით მასთან ვარ და ვიქნები“.

ავქსენტი ცაგარელი სუფლიორობაზე გადასულა. მის თანამედროვეთა თქმით კარგ სუფლიორად ითვლებოდა. ეფ. მესხი იგონებს თავის პირველ დებიუტს და დასძენს: „როლი სულ არ ვიცოდი, მაგრამ ისეთი კარგი სუფლიორი გვყავდა, ავქს. ცაგარელი, რომ ადვილად ვძლიე გასაჭირს და გამარჯვებული დავრჩი“.

გარდა კომედიისა ა. ცაგარელი დრამებსაც წერდა. მის კალამს ეკუთვნის ოთხმოქმედებიანი დრამა „ერთი ნაბიჯი წინ“, „ცისარტყელა“, „მათიკო“, „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“ და სხვ.

გადმოაკეთა და გადმოთარგმნა აგრეთვე შემდეგი პიესები: „ონიზაზი“, „ბაიყუში“, „ჭკუისა მჭირს“, „მიტო ანაშელი“, „ქართველი დედა“, „გულჯავარი“, „მშვენიერი ელენეს მაძიებელი“, „მკითხავი“, „მაჭანკალი“. თარგმნა: „ორი ობოლი“, „კარდინალი რიშელი“, „შემოსავლიანი ადგილი“, „მგლები და ცხვრები“, „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“, „მტერ-მოყვარე ძმები“, „ნორა“, „დავით რაბინი“, „ოქროსევა“, „ძიძეები“, „ძალღმა გადაარჩინა“, „მონასტრის ზღუდეთა შორის“, „სანატრელი ცოლი“. „ორი მეძებარი“.

იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო პიესების წერით, გადმოკეთებით და თარგმნით, მონაწილეობას იღებდა ჩვენს ეურნალ-გაზეთებში.

ა. ცაგარელის პიესები იბეჭდებოდა აგრეთვე სხვადასხვა კრე-

ბულებში და ცალკე წიგნადაც გამოდიოდა. 1936 წელს კი გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით.

ა. ცაგარელის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ძალზე საინტერესო მოგონება, რომელიც ქართული თეატრის ისტორიისათვის მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს. იგი პირველად გამოუქვეყნებია ი. გრიშაშვილს 1930 წელს.

დიდია სიყვარული თეატრისადმი. მეტად მიმზიდველი და წარმტაცია სცენა, მაგრამ ძნელია შიმშილობდეს. ძველად ქართული თეატრის სეზონი წელიწადში 5-6 თვეს გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაშიც თეატრის მუშაკი ისე მცირე გასამრჯელოს იღებდა, რომ მთელ წელიწადს თავს ვერ ირჩენდა.

მიუხედავად ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი მოღვაწეობისა, ა. ცაგარელი იძულებული გამხდარა ლუქმაპურისათვის სხვა სამსახურისათვის მიემართა.

ძველი ცხოვრების სიღუბეჭირემ შესაძლებლობა არ მისცა ნიჟიერ დრამატურგს მთელი თავისი ენერგია მწერლობისათვის შეეწირა, იძულებული გამხდარა სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. იგი ნიკო ნიკოლაძის დანმარებით თბილისის რკინიგზის სადგურის უფროსის თანაშემწედ მოეწყო. 1891 წელს კი დაუწინაურებით, ქურდამირში გადასულა სადგურის უფროსად, სადაც 1895 წლამდე უმუშავია. შემდეგ იმავე თანამდებობაზე ახალსენაკში იყო. ახალსენაკსა და ბანძის პატარა სცენებზე ა. ცაგარელის მეუღლე ნატო გაბუნია ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად მონაწილეობდა ა. ცაგარელის „ხანუმასა“ და სხვა სპექტაკლებში. როლების ბრწყინვალე შესრულებით აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი.

აქედან ა. ცაგარელი ქალაქადში გადაჰყავთ. მარტობაში მყოფი ნიჟიერი მწერალი, რომელსაც სულ სხვა სარბიელი იზიდავდა, მალე მოქანცა ასეთმა ხეტიალმა. გარდა ამისა, ფიზიკურადაც დაავადდა, ციებ-ცხელება შეეყარა. ბოლოს ამხანაგებმა თბილისში გადმოიყვანეს და გ. ლასხიშვილის დანმარებით „ცნობის ფურცელის“ რედაქციაში მოაწყვეს დეპეშების მთარგმნელად, რომლის რედაქტორ-გამომცემელი ცნობილი მოღვაწე ვალ. გუნია იყო. უკვე გვიანი იყო, მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა.

ის მცირე ხელფასი, რასაც რედაქციიდან ღებულობდა, არ იყო საკმარისი. მისი ჭანმრთელობა კი დღითიდღე უარესდებოდა.

და აი, 1902 წლის 12 (25) აგვისტოს მძიმედ დაავადებული 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია. ერთი კვირის განმავლობაში გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ სავსე იყო სამგლოვიარო წერილებით. მისი დაკრძალვა ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ ვერც დიდუბის პანთეონში მოახერხა და ვერც მთაწმინდაზე. იგი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კუკიის პანთეონში დაკრძალეს. აქ მას პირველს გაუჭრეს საფლავი. ასეთი დაკრძალვა და ხალხმრავლობა დიმიტრი ყიფიანის შემდეგ არავის ახსოვდა.

## ილიკო ქურხული

ილიკო ქურხული მრავალმხრივი შემოქმედი იყო. გარდა მუსიკოსობისა, იყო მუსიკის თეორეტიკოსი, პედაგოგი და ლექტორი, მას გააჩნდა მუსიკის სწავლების საკუთარი მეთოდიც. იგი იყო აგრეთვე ჟურნალისტი, მწერალი და პოეტი.

ილიკო ქურხულს 1918 — 1920 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოუცია საკუთარი გაზეთი „ჩემი საქმე“, რომლის ფურცლებზე გამოქვეყნებულია მისი წერილი „რად ვუკრავ ეზო-ეზო“.

გაზეთი „ჩემი საქმე“ სამი წლის მანძილზე მხოლოდ სამი ნომერი გამოსულა.

გაზეთი მკითხველებს მოუთხრობდა, თუ რა კეთილად მოქმედებს მუსიკა ადამიანებზე, უტკბობს მას სმენას, ამშვიდებს ყველა დაჩაგრულს, ყველას, ვისაც სურს გაინთავისუფლოს თავი ყოველდღიური ჭირ-ვარამისაგან.

რომელი მუსიკალური ნაზრდოთი იკვებებიან ისინი? შინ „გარმოშვას“ უკრავენ, ეზოში „შარჰანკას“ უგდებენ ყურს, ხოლო გასართობ ადგილებში კი — გრამაფონს. აი, ამ სამი სახის მუსიკის სფეროში ტრიალებენ დაბალი წრეები. აქ იბრუნებენ ისინი სულს, აქ იკმაყოფილებენ თავის სულიერ მოთხოვნილებებს.

ნუთუ დრო არ არის, მათ სულშიც ჩავიხედოთ?

ილიკო ქურხულს, როგორც მწერალს, 1924 წელს სოფიაში ბულგარულ ენაზე გაზეთ „ახალი საზოგადოების“ მეშვეობით გამოუცია წიგნი მუსიკის შესახებ. წიგნს ეწოდება „ვარსკვლავთა კაშკაშზე... ბულბულთა ენაზე... ლაყვარდ საქართველოზე...“ ამ წიგნისათვის წინასიტყვაობა დაურთავს გაზ. „ახალ საზოგადოების“ რედაქტორს. იგი წერდა: „მართალია, ქურხულის სიძლიერე ცოცხალ სიტყვებში და მუსიკაშია, მაგრამ არც ეს წიგნია სუსტი. არც ამას აკლია სილამაზე და აღმზრდელიობითი სიძლიერე“.

ამ ნაშრომს კრიტიკაც გულთბილად შეხვედრია. ერთ-ერთი რეცენზენტი პ. დოვიჩი აღნიშნავდა: „როდესაც ამ წიგნში ბულგარეთის შესახებ ქურხულის შთაბეჭდილებებს ვკითხულობთ, თავს დაბლა ვხრბი, გული მიწუხს და ყურებამდე ვწითლდები. აქ ავტორი ფრთხილად ჩაგვჩურჩულებს ყურში ბულგარეთის იმ უხეშობაზე და ყოფაქცევაზე, რომლის გაკეთილშობილებისათვის დიდი შრომა და სიბეჭითე გვეკირია. ამ წიგნიდან შეიგნებენ იმასაც, თუ როგორ უნდა ებრძოლოს შეგნებულ ადამიანს უხეშ პირობებს. ისწავლიან აგრეთვე იმას, თუ ადამიანს თანდათან როგორ უნდა გაუხსნა გული და შეასწავლო დიდებულზე დიდებული მცენება: „შეიყვარეთ ერთმანეთი, რომ თოფ-ზარბაზნებმა ხმა ჩაიწყვიტონ“.

ილიკო ქურხულის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წიგნი „მუსიკა“ (აქ ტირილი, აქ ყვირილი როგორ იქნება) ბავშვებისათვის. ილ. ქურხული, თავისი ჩვეულებრივი მეთოდით, დიალოგით, მსმენელ ბავშვებთან საუბრით მოგვითხრობს თავის ავტობიოგრაფიას. ასეთი ხერხით სურს გააღვიძოს ბავშვებში მუსიკის სიყვარული. აუხსნას მისი მნიშვნელობა. ამასთანავე ბავშვებს აცნობს საკრავებს, ინსტრუმენტების წარმოშობის ისტორიას.

მუსიკოსს დასაბეჭდად მზად ჰქონია წიგნი „გულთენა“, რომელშიც მოგვითხრობს მუსიკაში მეცადინეობის თავის პირველ საფეხურებს, თუ როგორ შეიყვარა და უკრავდა გუდასტვირზე. წიგნში უხვად არის გაშუქებული საქართველოს კუთხეების ზნე-ჩვეულებათა დამახასიათებელი თვისებები, ეთნოგრაფია. განსაკუთრებით ხაზს უსვამს მუსიკის საშუალებით ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლის ხერხებს.

ი. ქურხული პოეტიც ყოფილა. თუმცა მისი მხოლოდ ერთად-

ერთი ლექსია დაბეჭდილი, ისიც „ახალგაზრდა კომუნისტში“ მოთავსებულ წერილში ჩართული „მშიოდა არას მაკმევედნენ“.

მოვიტანთ ამ ლექსს:

„მშიოდა, არას მაკმევედნენ,  
კუტებს ვალბობდი წყალშია,  
თითონ ჩემს ბატკნებს ხრაკევენენ,  
ქვაბებს ახვევდნენ ალშია.  
დღესაც ვარ მწყემსი, ჩობანი,  
ხალხი მყავს ჩაბარებული,  
თავმჯდომარე ვარ, სოფლებსა  
გარს ვუვლი გახარებული.  
ფანდური მაინც თანა მაქვს,  
ჩემი ხელითა გათლილი,  
მას ახსოვს ჩემი ცრემლების  
კრიალოსანი დათვლილი.  
აეუბამ ძალებს, მოვმართავ,  
მალ-მალ ჩამოვკრავ თითებსა,  
ხან გავახარებ პატარებს,  
ხან ჩავაფიქრებ დიდებსა“.

იგი ხალხური მუსიკის დიდი პატრიოტი იყო. მუსიკის პროპაგანდას იგი არამარტო დაკვრითა და სიმღერით ეწეოდა ხალხში, არამედ სიტყვითა და წერილობითაც.

მის კალამს ეკუთვნის სათავედადასავლო, ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსი, რომელსაც კარგად იყენებდა ლექცია — საუბრებში.

ილიკო ქურხულს რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული თავის სახატე სამშობლოზე...

\* \*

მუსიკა, როგორც ობიექტური ხელოვნება, მიაშობდა ილიკო, ყოველთვის ემსახურებოდა მხოლოდ შეძლებულს, შეუძლებლისათვის კი მიუწევდომელ ოცნებას შეადგენდა, მაგრამ განა ეს ასე უნდა იყოს? განა მუსიკა ლოცვასავით არ უნდა იყოს? განა იმით არ უნდა ტკბებოდეს ყველა მომაკვდავი თანაბრად?

თუ არა და მაშინ სულაც არ ღირს მასზე ლაპარაკი, თუ პო, მაშინ ხომ საჭიროა განვიხილოთ ეს საკითხი. როგორ შევუწყოთ

ხელი ამ დიდ საქმეს... „მე პირადად ასე გადავწყვიტე: შემემზადებინა კლასიკური რეპერტუარი, რომლის გაგებასაც ადვილად შესძლებდა ხალხის ფართო მასა. დამეწყო სიარული ეზო-ეზო და ვიოლინოს მეშვეობით დამეტებო დაბალი ფენის ადამიანები.

გადაწყვეტილებაში არ შევმცდარვარ... შევნიშნე, რომ კარგ საქმეს ვაკეთებდი და ყოველი ღონე ვიხმარე, საკუთარ იდეისათვის ფართო ასპარეზი მიმეცა.

ზოგჯერ შევდივარ ჯურღმულებში, სადაც მზის შუქი იშვიათად აღწევს. მინახავს ღიმილი, სიხარული განაწამებ ადამიანთა სახეზე, მაგრამ ამ დიდ საქმეში მარტო მე ერთი, აბა, რას წარმოვადგენ?...

აქ საჭიროა საზოგადოების მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფების დახმარება, რომელნიც, წინასწარ შეიმუშავენ პროგრამას და შეუდგებიან ხალხის სამსახურს.

მარტო გამოსვლა კი არ არის სასურველი, არამედ ერთად. უნდა გაიმართოს ხან „დუეტი“, ხან „ტრიო“, სიმღერა „სოლო“, ვიოლინოს აკომპანემენტიც დიდად სასურველია.

ერთი სიტყვით, ეს უდიდესი საქმეა, რომელსაც უნდა მიექცეს ჩვენი შეგნებული საზოგადოების ყურადღება.

მჯერა, რომ ხალხი შეიგნებს „ნამდვილ მუსიკის არსს“ და შორს გასტყორცნის მდაბალ, უგემოვნო ქუჩურ შაირებს, რომლებიც უღვთოდ აქუჭყიანებენ და ამეძავენ მათ გემოვნებას“.

ილიკო ქურხული მოუწოდებდა კულტურის მოღვაწეებს: „მუსიკოსებო, მგოსნებო, მხატვრებო. დაუახლოვდით ხალხს, მოეპყარით ნდობით და სიყვარულით, მიუძღვენით ხელოვნების სიკეთე, ხალხი დაგიფასებთ ამ სიკეთეს და თქვენ კეთილ საქმეებს გადასცემს თქვენივე საქებ-სადიდებლად მარადისობას“.

\* \* \*

ილიკო პეტრეს ძე ქურხული დაიბადა ქ. თბილისში 1885 წელს. ქურხულების ოჯახი უაღრესად მუსიკალური იყო, ამიტომ ილიკო ბავშვობიდანვე ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას და სიკვდილის უკანასკნელ დღემდე აღარ მოშორებია. მან პატარაობიდანვე შეიყვარა დაკვრა ვიოლინოსა და ჩანგზე. იცოდა ძველი თბილისის აშულთა სიმღერები და ქართული ხალხური მელოდიები.

დედის დაჟინებით პატარა ილიკო ერთ-ერთ კერძო პანსიონატში მიუბარებიათ, შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში გადაუყვანიათ. ილიკოზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია „ურმულს“, რომელსაც დედამისი შესანიშნავად ასრულებდა. ამ სიმღერას ისე გაუტაცია, რომ „უბნის ბიჭებისაგან“ პატარა გუნდი შეუდგენია, რომელსაც საღამოობით ქუჩაში ამღერებდა, თურმე.

ი. ქურხული ასევე ყოფილა გატაცებული თეატრითაც.

იგი კლასში ხშირად მართავდა წარმოდგენა-ფოკუსებს. მისი სიყრმის ამხანაგები შემდგომში ხშირად იგონებდნენ თურმე ილიკოს მიერ დასვენების დროს სკოლაში გამართულ ამ თავისებურ წარმოდგენა-ფოკუსებს. — სასწავლებლის ეკლესიაში წირვის დროს ცეკვავდა. ამგვარ საქციელს, რასაკვირველია, არავინ მოუწონებდა და აკი გამორიცხეს კიდევ სკოლიდან. ზედამხედველმა პასკევიჩმა ასე მიაძახა თურმე — ახლა მიბრძანდი და რამდენიც გინდა იმდენი იცეკვე და იმღერეო.

და მეც საწყალ-საცოდავ ჩემს მასწავლებლებს მხოლოდ ეს სურვილი შევუსრულე პირნათლად, — იგონებდა ილიკო, — ახლა ჩემს სკოლად ქართული თეატრი გადაიქცა, მასწავლებლებად ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ლ. მესხიშვილი, ნ. გაბუნია, ვალ. გუნია, კ. ყიფიანი და მთელი სხვა ჩვენი ქართული თეატრის ქურუმნი.

რაკი არც ტანადობა და არც წლოვანება (იმხანად 13 — 14 წლისა იყო) ხელს არ უწყობდა, ილიკომ დიდ სცენას თავი მიაწვინა და მუშათა დრამატულ წრეებს მიაშურა. იგი მცირე როლებს ასრულებდა (ოლონდ გლეხისას) ავლაბრის მურაშკოს თეატრში, ავჭალის აუდიტორიაში და ნაძალადევის თეატრში.

ილიკოს გატაცება ხელოვნებით და მუსიკით არაფრად ექაშნიკებოდა თურმე მამას, რადგან უნდოდა მისი შვილი ვაჭარი გამხდარიყო. იგი ხშირად ვიოლინოსაც კი უმტკრევდა თავის შვილს. ერთხელ, როცა მამას მესამეჯერ განუზრახავს ვიოლინოს დამტკრევა, ილიკო სახლიდან გაქცეულა და სწავლის გაღრმავების მიზნით მოსკოვში ჩასულა. კონსერვატორიაში გამოცდებზე მსცოვანი პროფესორების დანახვისას დაბნეულა და კარგად ვერ დაუკრავს. მაგრამ პროფესორ სიბორს, რომელთანაც შემდგომში სწავლობდა, უკითხავს სადაური ხარო და როცა გაუგია, ქართველი იყო, ქართული მელიოდის დაკვრა დაუვალბია. ქურხულს ქართული პო-



პულარული სიმღერა „სულიკო“ შეუსრულებია და კონსერვატორიაში ჩაურციხავთ.

ამ დღიდან ილიკოს სწავლა კონსერვატორიაში პროფესორ სიბორთან დაუწყია. ეს მომხდარა 1904 წელს, როდესაც ილიკო 19 წლის ჭაბუკი იყო. ეს პერიოდი რუსეთის პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად მღელვარე ყოფილა. მზადდებოდა რუსეთის პირველი რევოლუცია. ამას მოჰყოლია გაფიცვები, დემონსტრაციები. იყო დიდი სამზადისი პირველი, 1905 წლის, რევოლუციისათვის. ილიკო ქურხულიც მოჰყოლია ამ მღელვარებაში. პირველი რევოლუციის დამარცხებას შავი რეაქცია მოჰყვა. კონსერვატორიის რეაქციულმა მოხელეებმა ილიკოსაც ეკვის თვალით დაუწყეს ცქერა. და 1907 წელს, არასაიმედო პირი, სხვებთან ერთად გაურციხავთ. იძულებული გამხდარა კერძო გაკვეთილებით განეგრძო მეცადინეობა პროფესორ სიბორთან, მაგრამ უსახსრობის გამო ისევ მალე შეუწყვეტია. პროფესორ სიბორს ილიკოსათვის რეკომენდაცია მიუცია, რომ ეს ნიჭიერი ახალგაზრდა კვლავ აღედგინათ კონსერვატორიაში, მაგრამ დირექტორს კატეგორიული უარი უთქვამს.

ამის შემდეგ საარსებო წყაროდ პაპიროსების კეთება გაუხდია. რათა როგორმე თავი ერჩინა და კერძოდ მიეღო მუსიკალური განათლება, მაგრამ ერთ შემთხვევას პაპიროსის კეთებაზე ხელი აუღებინებია. ამ ამბავზე თვითონ ქურხულს მოვუსმინოთ: „ერთ ახალი გაზაფხულის დღეს ჩემს ოთახში ვიჯექი. მოულოდნელად შემომესმა არღნის ხმა, გადავიხედე, არღანი დანჯღრეული ხმით აჟღერიალებდა ქუჩურ სიმღერა „მაგილას“. ერთი პატარა გოგო კი აკრელებულ ტანისამოსში ჩაცმული ყირამალას გადადიოდა დაგლეჯილ ფარდაგზე. თავში უცბად გამიელვა: რა კარგი იქნება, ამ არღნის ნაცვლად ლამაზი ვიოლინო ლამაზ ჰანგებს უკრავდეს. ნეტავ, როგორ მოუსმენენ მას? ასეთ კონცერტებს არც აფიშა უნდა, არც ბილეთები, შეხვალ, დაუკრავ, რაც გინდა და რამდენიც გინდა. ვისაც უნდა, დაგაჯილდოებს, რამდენიც შეუძლია. რამდენი თავისებურებაა, რამდენი სიცოცხლე, რამდენ ხალხს ნახავ.“ წამოუვლია თავისი ვიოლინოსათვის ხელი და გაუწევია. მთელ დღეს უვლია, მაგრამ ეზოში შესვლა ვერასგზით ვერ გაუბედა. მეორე დღეს ეს ამბავი თავის მეგობარ ვასო ბეჟანიშვილისათვის შეუჩივლია, რომელიც იმ დროს მოსკოვის განთქმული

მხატვარ-მებაღე ყოფილა. ბეჟანიშვილს თანაგრძნობა გამოუცხადებია მეგობრისათვის და მეორე დღესვე გაუწევიათ ერთი ეზოსაკენ. ი. ქურბულს ამოუღია ვიოლინო და ფრანგი კომპოზიტორის მსწენეს წყნარი მელოდია „ელეგია“ დაუკრავს. მსმენელები აღტაცებით შეგებებიან და მოუთხოვიათ იმ დროს მოდაში შემოდებული „მაგილას“ დაკვრა. ზედა სართულებიდან დურბინდებით ჩამოსტკეროდნენ თურმე ახლადმოვლენილ მუსიკოსს, რომელიც ქუჩური მოტივების ნაცვლად დიდი მონდომებითა და სერიოზულობით უკრავდა კლასიკურ მუსიკას. მუსიკოსი შემკრთალა, აკანკალებულა, აღარ დაუკრავს. რამდენიმე დღის შემდეგ გადაუწყვეტია, ქალაქს გასცლოდა და გარეუბნის აგარაკებიდან, სადაც ხალხი ნაკლები იყო, იქედან შესჩვეოდა ეზოებს. შემდეგ მუშათა რაიონებისათვის მიეშურებინა და გაბედულად დაეწყო ეზო-ეზო სიარული. გამოსულიყო ჩაგრულთა ბარაკებში, რათა მათ ესმინათ უკვდავი ჰანგი და დასწაფებოდნენ წმინდა მუსიკას.

ამგვარად, ხალხის თანაგრძნობას, მათ მუსიკისადმი დაინტერესებას, გულისყურს, მადლობის გრძნობას ი. ქურბული მიუხევედრებია, რომ იგი აკეთებდა კარგ საქმეს, რომ მტერთან ერთად ბევრი მოყვარე და თანამგრძნობიც გასჩენოდა, მიმზღდარა, რომ ხალხის დაბალ ფენას კარგი მუსიკის მოსმენა სიამოვნებდა, უყვარდა და მის ესთეტიკურ აღზრდას ხელს უწყობდა.

გარდა ამისა, თავისი ასეთი შრომის სურვილი გაუცხოველებია ბავშვების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას. ისინი გროვა-გროვად დასდედნენ თურმე ეზო-ეზო და ხელს უწყობდნენ აუდიტორიის შეგროვებაში.

ილ. ქურბულის ამ იდეას გაზეთებიც გამოეხმაურა და ცალკეული მსმენელთაგან მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. ნათელი გახდა, რომ მისი განზრახვა კეთილშობილური იყო. ხალხს გაეცნო გრიგის, ჩაიკოვსკის, შუმანის, შუბერტის, ბახის, ბეთჰოვენისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები.

ხალხმა იგრძნო, რომ ილიკო არ ჰგავდა ეზო-ეზო მოხეტიალე მაწანწალა მუარღნეებს, რომლებიც უღვთოდ აჭუჭყიანებდნენ. აბინძურებდნენ მათ გემოვნებას. ადამიანები ისმენდნენ საამურ ჰანგებს, ტაშით აჯილდოებდნენ და შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებდნენ კიდეც, კარგა შანძილზე მიაცილებდნენ და ემუდარებოდნენ, ხშირად ევლო მათ ეზოსა და უბანში.

აი რას წერდა ერთი: „ღთხოვთ, ნუ უკრავთ, თქვენ მე მატირებთ. მეტად ძნელია მოუსმინო კონსერვატორიის ყოფილ მოსწავლეს“. მეორე: „ღმერთი იყოს შენი მფარველი“. მესამე: „თქვენ ძალიან დამაინტერესეთ და თუ არ გეწყინებათ, ამოდით ზემოთ“. მეოთხე: „ძვირფასო მეგობარო, თქვენი სახელი არ ვიცი, მაგრამ მადლობას გწირავთ. თქვენ დამიწყნარეთ სული თქვენი შესანიშნავი დაკვრით. რა ბედნიერებაა, რომ ღმერთმა მოგანიკათ ნიჭი და მას უზიარებთ ხალხს. მე ავადმყოფი ვარ და სწორედ ახლა მაჩუქეთ თქვენ დიდი დღესასწაული. მე გულზე ლოდი მაწვა და ახლა კი გადამტყორცნეთ ოცნებაში“. „მადლობთ, ჩემო საყვარელო, შუბერტის „სერენადას“ დაკვრისათვის. მთელ წელიწადს ველოდი თქვენ ციურ ხმებს“; „ილიკო, მადლობელი ვართ, მუსიკისათვის, გულწრფელად გიძღვნი მადლობას ქართული სტუდენტები“.

მოსკოვის კონსერვატორიაში ი. ქურხული დიმიტრი არაყიშვილს დაახლოებია. იგი დიდ პატივს სცემდა თურმე ქურხულს. ილიკო ქურხულის პირად ცხოვრებაში მას დიდი როლი უთამაშია. 1907 წლიდან ილიკო დ. არაყიშვილის დიდი თაყვანისმცემელი გამხდარა. რამდენიმე სტატიაც კი მიუძღვნია მისთვის.

საინტერესოა ჩვენი საყვარელი კომპოზიტორის მოგონება ქურხულზე: „ერთხელ სასწავლებლიდან შინ ვბრუნდებოდი და ერთი ვიწრო ჩიხიდან ვიოლინოს მშვენიერი მელოდები შემომესმა. შევდექი, ყური დაუვადე და გავემართე იმ ეზოსაკენ, საიდანაც ეს მეტად ტკბილი ხმა გამოდიოდა. უფრო იმან დამაინტერესა, რომ პანგი ჩვენებური იყო, ქართული. გავოცდი. მიუახლოვდი ეზოს, შევიხედე შიგ და, რასა ვხედავ! დავინახე. კოხტა და ლამაზ კოსტუმში გამოწყობილი ჩვენი ილიკო ქურხული. წარმოიდგინეთ, მე თვითონ ისე გამიტაცა, რომ იქვე მივიმალე, — არ დამინახოს, არ შერცხვეს და ეს მშვენიერი დაკვრა არ შეწყვიტოსმეთქი. დაამთავრა, ტაშით დააჯილდოვეს და კვლავ გაამეორებინეს. მე სიხარულისაგან ცრემლები ჩამოვწვიოდა. დაამთავრა დაკვრა, ვიოლინო ბუდეში ჩაღო და გასწია ახლა სხვა ეზოსაკენ. რის შემდეგაც მე ვუწოდებ მოხეტიალე ქართველი მუსიკოსი და დღესაც ატარებს ჩემს მიერ შერქმეულ სახელს. ამ სახელით შემოიარა მან რამდენიმე უცხო სახელმწიფო და ხალხს გააცნო ქართული მუსიკა“.

ერთხელ მ. გორკის გულითადად მიუღია მოხეტიალე მუსიკოსი და უთქვამს: — „რა დიდებული წამოწყებაა! თქვენ თავზე მეტად მუსიკა გყვარებიათ. იშვიათი ამბავია. ეგ არის მოვლენა, რომელიც ჩემ ყოფილ მეგობარს შალიაპინს გაკვირვებისაგან ყველა რეგისტრის ხმას ჩააწყვეტინებდა“.

1924 წელს გორკი და ილიკო ქურხული კვლავ შეხვედრიან ერთმანეთს, ამჯერად უკვე საქართველოში. მომღერალს მწერლისათვის სახსოვრად გადაუცია სტვირი, რომელიც დღესაც, ამშვენებს გორკის სახელობის მუზეუმს მოსკოვში.

ქურხული ხშირად მონაწილეობდა „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ მიერ გამართულ „ქართული ჩაის საღამოებში, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოების გამგეობის ხელმძღვანელები: ა. სუმბათაშვილი (გამგეობის თავმჯდომარე), მ. ზანდუკელი (თავმჯდომარის მოადგილე), ნ. ხორავა (ხაზინადარი), ი. კობიაშვილი (მდივანი), კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, მ. ასათიანი, ი. კუპრაძე, გ. ჯაფარიძე, კ. მაყაშვილი და ბევრი სხვანი. ყველა მათგანთან ილიკო ქურხულს ახლო ურთიერთობა ჰქონია.

1913 წლის ზაფხულზე, ილიკო ქურხულს გადაუწყვეტია პეტერბურგსაც სწვოდა.

დილის 10 საათია, იგი შესულა ერთ ვეება, ოთხკუთხა ეზოში. ილიკოს ჭუფთად და ლამაზად ეცვა. დაუკრავს თავისი საყვარელი ჰანგები — მასნეს „ელეგია“, შუბერტის „სერენადა“, ნაწყვეტი გრიგის „პერ-გიუნტიდან“.

დაკვრა დაამთავრა თუარა, ვიოლინო ბუდეში ჩადო და მსმენელებმა ტაში დასცხეს, ქრიაშული და ვაშას ძახილი შექმნეს...

მეორე დღეს თურმე შესანიშნავი ამინდი იდგა და ილიკოც დილიდანვე შედგომია იზმაილოვის პოლკის პირველი ასეულის ეზოების შემოვლას. რამდენიმე ეზო რომ შემოტრუვლია, ვილაც უცნობი ინტელიგენტი მიახლოებია და გამოლაპარაკებია. ილიკოს გულწრფელად გაუნდვია უცნობისათვის თავისი მიზანი. ინტელიგენტს მადლობა გადაუხდია, თან თავისი მისამართიც შეუთავაზებია.

მესამე დღეს ილიკო ქურხულს გაუგია, რომ ეს უცნობი პეტერბურგის გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტის“ ერთ-ერთი საუკეთესო ფელეტონისტთაგანი ანდრე ზარინი ყოფილა, რომელსაც ამავე

გაზეთში (1913 წ. 4/VIII) მოუთავსებია სტატია, ვიოლინოთი ეზო-ეზო“, ზარინი წერდა:

„მე მივდიოდი იზმაილოვის პოლკის ერთ-ერთ ასეულში, როდესაც რომელიღაც ეზოდან შემომესმა ვიოლინოს მომხიბვლელი ხმა. ძალაუნებურად შევედი ეზოში. სულის შემხუთველ გახურებულ ქას წარმოადგენდა ეს ეზო, თავისი ოთხკუთხივ შემორტყმული ხუთსართულიანი კედლებით. ეზოში ხალხი ბლომად იყო. ფანჯრებიდან გამოეყოთ თავი მსმენელებს. განსაკუთრებულ მყუდროებას ავსებდა მღერა ვიოლინოსი. ეს იყო შუბერტის „სერენადა“. სმენად ვიქეცი. ჩემს გვერდით ამოიკენესა ხანში შესულმა მანდილოსანმა, ახალგაზრდა მოსამსახურე გოგონას ნეტარების ღიმილით აღეგზნო თვალები. ვიოლინოს დაკვრა შეწყდა. გამეფდა სიჩუმე — უდიდესი ჯილდო არტისტისა, შემდეგ ატყდა ტაში და აღფრთოვანებული ყვირილი, ჩამოყარეს ფულებიც. მე გონს მოვედი, წავიწიე წინ და შევჩერდი, ჩემს წინ იდგა ახალგაზრდა არტისტი. ეცვა სუფთა ხალათი, მაგარი შარვალი და ფეხსაცმელი. ხელთ ეპყრო, როგორც ეტყობა, ძვირფასი ვიოლინო, რომლის ბუდეც იქვე, ფერხითთ ედო. მისი ახალგაზრდა სახე იწვოდა ზესთაგონებით, ილიმებოდა და თავს უკრავდა მსმენელებს. მოწიწებით უგროვებდა ხალხი გადმოყრილ ფულს ბუდეში. ცოტა ამოისუნთქა მუსიკოსმა, მოიმარჯვა ვიოლინო და ამჯერად დაიწყო არია „ღონ-უჟანიდან“.

შევცქეროდი და მიკვირდა. იგი არაფრით ჰგავდა ეზოების მაწანწალა მუსიკოსს, მათხოვარ არტისტს. ამავე დროს კი ის უკრავდა ეზოში და აგროვებდა შაურიანებს.

გათავდა დაკვრა. ვიოლინო ბუდეში ჩადო და მხიარულად გამოსწია ეზოდან. ხალხი დაედევნა უკან, მე კი შევაჩერე.

— თქვენ ძალზე დამაინტერესეთ, — ვუთხარი მე, როცა ქუჩაში გამოვედით. — იქნებ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ, თქვენი ნიჭის პატრონს ეზოებში დაკვრა არ შეჰტყერის.

მხიარულად შემომხედა და მიპასუხა:

— დიდად გმადლობთ, რომ ჩემს დაკვრას ყურადღება მიაქციეთ, მაგრამ დახმარება სულაც არ მჭირდება. მე ჩემს საქმეს ვიკეთებ.

— ეგ თქვენი საქმეა?

— რასაკვირველია, ამ საქმეს დღეს განვაგრძობ, მაგრამ თქვენ-  
თანაც რომ მინდა ლაპარაკი!

— მაშინ შევხვდეთ სადმე!

— ძალიან კარგი.

ჩვენ შევთანხმდით, შევხვდით ერთმანეთს და აი, რაც მისგან  
გავიგე, ღირსია იმისა, რომ ყველამ შეიტყოს“.

ცხადია, მუსიკოსმა უთხრა ის, რასაც გულით ფიქრობდა, რა-  
საც პრაქტიკულად ახორციელებდა ხალხში მუსიკის გავრცელები-  
სათვის.

მიუხედავად აუტანელი სიცხისა, მუსიკოსს თითქმის ერთი თვის  
განმავლობაში მოუვლია პეტერბურგის უბნები, პროსპექტები, ქუ-  
ჩები. ცარსკოე სელოში, მოსკოვთან შედარებით უკეთესი პირობე-  
ბი დახვედრია მისი იდეის განხორციელებას. აქ არავინ უწევდა  
თურმე მძაფრ წინააღმდეგობას — არც მეფოვენი, არც სახლის  
პატრონები და არც პოლიციის მსახურნი.

მისი ვიოლინოთი იხიბლებოდნენ მშრომელი ადამიანები —  
გლეხები და მუშა-ხელოსნები. ისინი გულწრფელ აღტაცებას გამო-  
თქვამდნენ. ეს გარემოება არ გამოპარვია პრესის მუშაკებს, ისინი  
მცირე ფელეტონებით აცნობდნენ საზოგადოებას მუსიკოს ქურბუ-  
ლის ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს.

აი, ერთი მათგანი: პეტერბურგის ერთ-ერთ ლუდხანაში მყოფ  
ილიკოსთან შორიახლოს ვიღაც გლეხკაცი დამკდარა. ქაბუკი შეუ-  
თვალეირებია და მის მაგიდასთან გადასულა, ხელი გაუწოდა და  
მღელვარე ხმით მიმართა თურმე:

— მიბოძეთ, ძვირფასო, თქვენი ხელი, დიდი მადლობის თქმა  
მინდა, ისე კარგად უკრავთ, გული გამითბეთ, გული ამატყიეთ!

მეორე ამბავი! ეს უკვე სხვა უბანში მომხდარა... ეზოში შესულ  
მუსიკოსს მასნეს „ელეგია“ დაუკრავს, თან იქაურობა მოუთვლი-  
ერებია, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა. საიდანღაც, მძიმე ნაბიჯე-  
ბით გამოსულა ვიღაც ჯმუხი, ძონძებით მოსილი კაცი, მუსიკოსს  
ჩაუთარა და აღმაცერად შეხედა... მუსიკოსს გაუღიმიდა და თვალით  
უნიშნებია: „ნუ გამირბიხარ, მე შენთვის ვუკრავ, მისმინე!...“ ცო-  
ტა ხანიც და კაცი გარინდებული უსმენდა მუსიკას. გაუნძრევლად  
მდგარა ერთ ადგილას. მუსიკოსს დაკვრა დაუმთავრებია თუ არა,  
ეს კაციც შევარდნილა თავის ბინაში, გამოუგლეჯია მუთაქაში ჩა-

კერებულ-ჩაობებული ფულის რამდენიმე ცალი და მუსიკოსისათვის მიუბრუნებია...

შემდეგში ეს ფული ი. ქურხულს თავის სამოგზაურო და სამოღვაწეო ალბომის ფურცლებზე ჩაუკრავს.

ამ ალბომში უამრავ მსმენელის შთაბეჭდილებათა გამომხატველ პაწია ბარათებს, ნაჩქარევად თუ დინჯი ხელით ნაწერს, კონვერტის პირებს, ბანქოს თუ ეტიკეტების ქაღალდებს ნახავთ. ალტაცებას ვერ მალავენ მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, თბილისისა თუ ბულგარეთის მსმენელები. ალბომში მათი უამრავი ჩანაწერია.

მშრომელთა უსახლგრო ალტაცება, ამასთან დესპოტ ხელისუფლებისაგან ძალისძალად გამოგლეჯილი ნებართვა, მუსიკოსს თურმე ენთუზიაზმსა და ენერგიას კმატებდა. გატაცებით დაეხებებოდა ვიოლინოთი ხელში და ათრთოლებდა მსმენელთა გულებს.

მალე გაზეთებიც ალაპარაკდნენ: ერთმა ჩვენმა თანამემამულემ, — წერდა გაზეთი „იმერეთი“ (1913 წ. № 148) — ნიჭიერმა ვიოლინოზე დამკვრელმა დიდი სახელი მოიხვეჭა პეტერბურგ-მოსკოვში და ამრიგად მთელ რუსეთში გაითქვა სახელი. ეს ქართველი ილიკო ქურხულია“.

მოხეტიალე მუსიკოსს ი. ქურხულს თავისი მადლიანი დაკვირვებით პროფესიონალ მუსიკოსთაგან მრავალი თაყვანისმცემელი გასჩენია. ესენი იყვნენ: რუსი კომპოზიტორი შულცი. ძმები ანტონ და ნიკოლოზ რუბინშტიენები და სხვანი. ნიჭიერ მუსიკოსზე ბევრი დაწერილა სხვადასხვა ქალაქების პრესაში. ი. ქურხულს თავისი მუსიკალური ოსტატობით ისე მოუხიბლავს პეტერბურგის ბანკის დირექტორი ვარშავსკი, რომ მას ილიკოსათვის შეუთავაზებია დახმარება, გაგიწევ მეცენატობას, დარჩი პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ილიკოს სამშობლოში დაბრუნება ურჩევია.

მუსიკოსს რუსეთში ათზე მეტი ქალაქი შემოუვლია. გული სამშობლოსაკენ ეწეოდა, მით უმეტეს, მის მშობლიურ ხალხს აინტერესებდა თურმე უკვე საქვეყნოდ განთქმული თავისი შვილის ნახვა, მისი დაკვრის მოსმენა. ხალხი პრესის საშუალებით სთხოვდა ჩამოსვლას და სამშობლოში მოღვაწეობას.

1913 წელს ილიკო მოსკოვს დაბრუნებულა. იმავე წლის 20 აგვისტოს მოსკოვში შემთხვევით შეხვედრია ვახტანგ გულისოვი

(გულისაშვილი — შენიშნავს ი. ქურხული) იმხანად მოხეტიალე მუსიკოსის შესახებ უკვე აღაპარაკებულან მთელი ევროპიული რუსეთი. გულისაშვილი ილიკოს მიმართ სიმპათიით გამსქვეალულა და მრავალი წერილი მოუთავსებია მოსკოვის გაზეთებში. მრავალ ქურნალში დაუბეჭდავთ ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი ყოფილა ხალხით გარშემორტყმული ილიკო ქურხული.

ბევრი კომპოზიტორი, მუსიკოსი და ქველმოქმედი მოღვაწე დაინტერესებულა ქურხულის პიროვნებით, რომლებიც შულცისა და გულისაშვილის მსგავსად თავიანთ აღტაცებას გამოხატავდნენ.

1913 წლის ოქტომბერში, უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი, ათწელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სამშობლოს მოშორებული ი. ქურხული მოსკოვიდან საქართველოში ჩამოდის.

იგი პირველად თავის სოფელ საგარეჯოში წასულა, სადაც ბავშვობა გაატარა...

საერთოდ ქართველი მშრომელი ხალხი და ინტელიგენცია ილ. ქურხულს დიდი სითბოთი და სიყვარულით შეხვედრია. 1913 წელს გაზეთი „თემი“ თავის ფურცლებზე მისალმებია საქართველოში დაბრუნებულ ილიკო ქურხულს. გაზეთი აღნიშნავდა, რომ „ი. ქურხულმა თავისი საქმიანობით დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს. შორს გაუთქვა სახელი ქართულ სიმღერას და კეთილშობილური მისია შეასრულა“.

დღითი დღე იზრდებოდა ილიკო ქურხულის ავტორიტეტი დედაქალაქში. 1916 წლის 22 ოქტომბერს საზოგადოების სურვილით „ახალ კლუბში“ ილიკო ქურხულის პატივსაცემად გაუმართავთ საღამო. ამის შესახებ გაზეთ „ზაკავკასსკაია რეჩს“ გამოუქვეყნებია წერილი სათაურით: „ილიკო ქურხულის დღევანდელი კონცერტისათვის“, რომელშიც ვკითხულობთ: „...მოხეტიალე მუსიკოსმა, რომელიც ეზო-ეზო დადიოდა, უკრავდა შემოდგომის ცივი წვიმის ქვეშ და ქუდში ლითონის გროშებს აგროვებდა, მიიქცია მუსიკის კრიტიკოსთა ყურადღება. ილიკო ქურხული აკეთებდა კეთილ საქმეს. კარგ მუსიკას ნერგავდა იქ, სადაც არაფერი მოიძებნებოდა, გარდა უხამსი ხმებისა, ეს სიმპათიური ახალმოვლენილი მუსიკოსი საქმის პიონერია“.

„ახალი კლუბის“ სცენაზე ქურხულს მოუწყვია პეტერბურგის ეზონს ინსცენირება. მთავარ როლს — მეეზოვეს — ასრულებდა ვალ. გუნია. აიხადა ფარდა და ილიკოც გამოჩენილა სცენაზე.



ხალხით სავსე თეატრი მზურგალე ტაშით, თაიგულებითა და „ვაშას“ ძახილით შეგებებია.

ამ კონცერტიდან ზუთი დღის გასვლის შემდეგ, კიტა აბაშიძის მიწვევით ასეთივე ინსცენირება გაუმეორებია ილ. ქურხულს ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე.

ქუთაისიდან მუსიკოსი ბათუმში გამგზავრებულა. და აქაც, „რკინიგზის თეატრში“ შალვა დადიანისა და ელო ანდრონიკაშვილის ინიციატივით მოწყობილა ინსცენირება, რობელიც დიდი წარმატებითა და ოვაციებით ჩატარებულა.

ზოგჯერ მუსიკოსი ჩაფიქრდებოდა თურმე და იგონებდა თავის ახლო მეგობრებს, რომლებიც აგერ სამი წელიწადია, რაც დატოვა მოსკოვსა და პეტერბურგში. მათი სიყვარული უძლიერებდა სურვილს, რომ თავის სამშობლოში გარს შემოეკრიბა მათი მსგავსნი. და აი, ახალი მეგობრებიც გაუჩნდნენ, მათ შორის ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე, რომელიც დიდ შეფასებას აძლევდა ი. ქურხულის შემოქმედებას.

ასევე მაღალი შეფასება მიუცია ი. ქურხულის მუსიკალური ნიჭისათვის ია კარგარეთელსაც, როცა ეხებოდა ქურხულის რეპერტუარს, რომელიც მდიდარი იყო როგორც კლასიკური, ისე ხალხური მელოდიებით.

1917 წლის თებერვალში ილიკო ქურხულისათვის სახალხო სახლში სამუსიკო დილა გაუმართავთ. აქ დამსწრე ზ. ჩხიკვაძე აი რას მოგვითხრობს გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე:

„სწორედ მოგახსენოთ, მართლაც საინტერესო იყო ყველა ის, რაც გვიამბო პატივცემულმა ქურხულმა. როგორ ორქოფობდა თუ ყოყმანობდა, ვიდრე ქუჩაში გავიდოდა დასაკვრელად, როგორ დახვდა მას ეზოს ხალხი, რამდენი უსიამოვნება მიაცუნა მას, რამდენმა გული მოუღბო და გაამხნევა ამ ეკლიან გზაზე ხეტილის დროს...“

მართალია, ამ საქციელისათვის ზოგიერთმა პროფესორმა და ამხანაგმაც კი ზურგი შეაქციეს ქურხულს, პოლიციამაც დაუწყო დევნა“.

საქართველოში ახლად დაბრუნებულ ილიკო ქურხულს გაუცენია სახალხო მგოსანი გიორგი ქუჩიშვილი. მას თურმე ადრე სმენია, რომ იგი იმ მიზანს ემსახურებოდა, რასაც თვითონ...

მართალია, გიორგი ქუჩიშვილს, კეშმარიტად დიდ ხელოვანს,

ქარხნებში, სახალხო სახლებში ხვდებოდნენ, მაგრამ ქუჩაში იგოჯერ კიდევ არ იყო გამოსული.

ხელოვნების ეს ორი უანგარო მუშაკი, მოხეტიალე მუსიკოსი ილ. ქურბული და პოეტი გიორგი ქუჩიშვილი შეერთებული ძალით შეიჭრნენ ქუჩის ხმაურიან გარემოში. ილიკო გატაცებით უკრავდა ვიოლინოზე, ქუჩიშვილი კი პოეტური აღმაფრენით კითხულობდა საკუთარ ლექსებს, — თუმცა პირველ ხანებში მიუჩვეველ გიორგის ძლიერ უჭირდა ქუჩებსა და ეზოებში ხეტიალი. მეზოვის მოღუშული სახეებიც აფრთხობდა, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ქუჩა ისეთივე მადლიანი ნიადაგია ნამდვილი შემოქმედებისათვის, როგორც სცენა...

ზმირად წააწყდებოდი ასეთ სურათს: გაისმის ვიოლინოს გულში ჩამწვდომი სერენადა შოშენისა, რომელიც ნაზად ეაღერსებოდა დამკვარტლულსა და დამტვერილ გარემოს... გასაწყრომად გამზადებული მეზოვე თავს დაბლა ხრის, თვლებში სასოება ეხატება... ადამიანები საქმეს თავს ანებებენ და მოხეტიალეთა გარშემო იკრიბებიან. ირგვლივ სიჩუმე მეფობს, მხოლოდ ვიოლინოს ნაზი ხმები ეფინება არლიონების კრიალით დაჩლუნგებულ ადამიანთა სმენას...

თბილისის მოქალაქეები: კინტოები საცხე თაბახებით, ხილისა და მწვანის გამყიდველები, მგზავრები ნელ-ნელა თავს იყრიან ეზოებში.

მუსიკა აღელვებს მგოსანს, მისწვდება თუ არა ადამიანთა ზეშთაგონების „ფაქიზ სიმს“, პოეტიც არ აყოვნებს და მაშინვე დასახებს ლექსს თავისი ძლიერი ხმით.

ქუჩიშვილის საყვარელი ლექსები, ზღვის მშფოთვარე ტალღასავით აზვირთებული, გაისმოდა ერთი ქუჩიდან მეორეში, ეზოდან ეზოში... მადლიანი მსმენელები უხვად აჯილდოებენ სიცოცხლისა და ბედნიერების ამ პირველ მერცხლებს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი გენია ხალხის სამსახურს მოახმარეს.

მოხეტიალეთა გარშემო მსმენელები მრავლდებიან... იწვევენ სადილად, მაგრამ ვერ თანხმდებიან, მათ ელით ახლა სხვა ეზო, ქუჩა და ასე დაუსრულებლად ტკებებიან ადამიანთა სიყვარულით, ხოლო ხალხის ურიცხვი ბრბო ეზიარება პოეზიისა და მუსიკის შემოქმედთა ქეშმარიტ წვას...

გიორგი და ილიკო ერთად აწყობდნენ გეგმებს, თუ რა ლექსი უნდა წაეკითხა გიორგის, რა ნაწარმოები უნდა შეესრულებინა ილიკოს, როგორ უნდა მოეწყოთ საღამო-კონცერტები და რარიგად უნდა გამოსულიყვნენ ხალხის წინაშე ეზოებში... ამ დროს რუსეთში მოხდა ოქტომბრის რევოლუცია...

— ახლა კი შევიხსნით ხელფებიდან ცარიზმის ბორკილებს და თავისუფლად გავეშლით ფრთებს! — იმედოვნებდა ხალხი.

„ქართულ კულტურას ფართე, ასპარეზს მივცემთ. მალე ევროპას ვეწვევი!“ — ფიქრობდა ილიკო და ოცნებით მსოფლიოს შორეულ ნაპირებს სწვდებოდა. მალე ასრულდა ილიკოს ოცნება... მოსკოველმა ამხანაგმა სერგო ქავთარაძემ ილიკოს ვიზა გადასცა და ასე უთხრა: „აჰა, ძმაო, აიღე ვიოლინო და იხეტიალე იქ, სადაც შენ გინდა“.

დადგა ბედნიერი დღე... ილიკომ პირველად ბულგარეთში წასვლა გადაწყვიტა. დაღონებული გიორგი ქუჩისშვილი ასეთი ლექსით გამოეთხოვა:

„ნახვამდის, სულის მეგობრებო, აწ კი ნახვამდის, გულდაწყვეტილი გეთხოვებით ჟუანასკნელად, არ დაგივიწყებთ, მეხსოშებით ვიდრე ცოცხალ ვარ, მხოლოდ ვსტირი, რომ ობლად ვრჩები ჩემდა მტანჯველად... გზა მშვიდობისა, საყვარლებო, გზა მშვიდობისა, თქვენს შესახვედრად ცად აღვავლენ ლოცვასა ჩემსა, ვწუხვარ, ძვირფასო, რომ შავ ზღვამდე ვერ მიგაცილებთ, მხოლოდ ოცნებებს დავადევნებ მიმავალ გემსა... მშვიდობით, ტკბილო მეგობრებო, კიდეც მშვიდობით, გემშვიდობებით თბილი ალერსითა და ნაზი გრძნობით, მშვიდობით, კარგნო, გულისწორნო, გემშვიდობებით, არ დაივიწყოთ საქართველო, სამშობლო თქვენი“...



ბულგარეთის ერთ-ერთი ღარიბთა უბანი. ალაყაფის კარი მოკრძალებით იღება და ეზოში თავდახრილი, მორჩილი ტანის, სიმპათიური მამაკაცი მიაბიჯებს, გულში ჩახუტებულ მოგრძო საგანს მოიმარჯვენებს და ჯადოქრული ენით აამეტყველებს.

მუსიკოსს მკვიდროდ შემორტყმია ადამიანების რკალი. მსმენელებს ანცვიფრებს მუსიკოსის უცხოურობა. გრძნობენ, რომ იგი არც აღნაგობით, არც იერით ბულგარელს არ ჰგავს. ყველას სწადია

მუსიკოსი მათი თანამემამულე იყოს, მშობლიურ ენაზე შეკითხვებს აძლევენ.

ამ დღიდან ბულგარელებმა გულით შეიყვარეს ქართველი მუსიკოსი ილიკო ქურხული. ამ დღიდან ყოველი ბულგარელი სიამოვნებით ისმენდა თურმე მის გრძნეულ ჰანგს.

ბულგარეთის გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ი. ქურხულის მოღვაწეობას. ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი წერდა: „მოხეტიალე მუსიკოსი გავიცანი ხელჩამოურთმევლად, სრულიად უცერემონიოდ. ის მოვიდა ჩვენს ეზოში. თავის „ვიოლინოს“ ბუდე წინ დაიღო, შუბლი თეთრი ცხვირსახოციტ მოიწმინდა, ფანჯრებს თვალი შეავლო და მძიმედ, დინჯად, მაგრამ გაბედულად აიღო „ვიოლინო“. გაბედულად იმიტომ, რომ მას არავინ მიეგება, მის შესახვედრად არავინ გამოვიდა.

დაუკრა მძიმე, მელოდია, რომელიც ძველ ბულგარულ სიმღერას ჰგავდა.

— უცხოელია, — გავიფიქრე, მისი ტანსაცმელი სიდა და ღარიბია. სასიამოვნოა მისი მკრთალი სახე, სახის სწორი წაკეთები, უნაოჰოდ დიდი შუბლი, მაგრამ სრულიად მშვიდი. მუსიკოსი თავისი წყნარი პოზით მაგონებს განდევილს, რომელიც ქვეყნის ამბოებას გაქცევია.

როდესაც სიმღერა დაიწყო, ფრინველები დაჩუმდნენ. მძიმე მელოდის შემდეგ უცნობმა ჩაიკოვსკი დაუკრა. ცნობისმოყვარეობამ ფანჯარა გამაღებინა. სამწუხაროდ, დაღონებულმა მუსიკოსმა ჩემს წინ გაიარა, ასე ეგონა, არავინ უსმენდა.

— თქვენ შესანიშნავად უკრავთ!

— დიახ! ვუკრავ ისე, როგორც შემიძლია, მაგრამ ვუკრავ ხალხისათვის. მე მოხეტიალე მუსიკოსი ვარ, თუმცა ქუჩურ მუსიკას ვებრძვი. მოსაუბრეს ვთხოვე, ერთმანეთს შეეხვედროდით და უფრო კარგად გველაპარაკა.

ისტორიიდან ვიცნობთ ძველ ბერძენ რაფსოდიებს, პროვანსელ ტრუბადურებს, მაგრამ ქუჩაში არასოდეს — არც ჩვენში, არც უცხოეთში — არ მომისმენია ასე ყურადღებით გრიგი და ჩაიკოვსკი.

უცხოელი მუსიკოსი მეორე დღეს მოვიდა. მის მოსვლამდე შევიტყვე, ვინ იყო იგი. გაზეთებში წავიკითხე მისი სტატია, რომელიც დაწერილი იყო კარგად, მუსიკის ღრმა ცოდნით, გავიგე, რომ მოხეტიალე მუსიკოსი იყო მოსკოვის კონსერვატორიის ყოფილი

სტუდენტი, ბულგარელი ოპერის მომღერალის სტეფან მაკედონსკის თანაკურსელი, პროფესორ მიშაკოვის მეგობარი, იცნობს ბევრ ჩვენ გამოჩენილ ადამიანს. მოხეტიალე მუსიკოსი დაბადებით ქართველია.

რა თავგანწირვაა მუსიკის პოპულარიზაციისა და დემოკრატიზაციისათვის. რა დიდი ძალა უნდა ჰქონდეს ამ ქართველ მეგობარს, დიდი მუსიკალური კულტურის მქონეს, რომ იაროს ქუჩებსა და ეზოებში, ასწავლოს ხალხს და შეასწავლოს წმინდა მუსიკა“...

\* \* \*

ი. ქურხული წარმოდგენელი სიტბოთი და აღფრთოვანებით მიუღია ბულგარეთს. იგი თავისი მუსიკით გადაქცეულა რაღაც ახლის მოციქულად. ილიკოს ნახვის სურვილი გაცხოველებია თითქმის ყველა სოციალური ფენისა და ასაკის ადამიანს — ქალსა და კაცს, დიდსა და ბავშვს, მუშას, გლეხს, ინტელიგენტს, როგორც გულითად ნათესავს თურმე, ისე უღებდნენ სახლის კარს.

ერცელი და მრავალფეროვანია ილიკო ქურხულის მოღვაწეობა ბულგარეთში. ამ ქვეყანაში მას დიდი გამარჯვება მოუპოვებია. ბულგარეთში ქალაქების, ქუჩებისა და ეზოების შემდეგ ილ. ქურხულის ყველაზე ფართო სამოქმედო ასპარეზი იქაური სკოლები და სოფლები ყოფილა. ბულგარელ ბავშვებში გამოწვეულმა აღფრთოვანებამ, მათმა დიდმა ინტერესმა, შეკითხვებმა ილ. ქურხულს გამომუშავებინა ლექციური მეთოდი, რომლითაც სიკვდილამდე სარგებლობდა. არა მარტო სკოლებსა და კოლმეურნეობებში მუშაობის დროს, არამედ ეს მეთოდი თავის მიერ დაწერილ წიგნშიაც კი გამოიყენა.

იხუთი წელი დაუყვია ილ. ქურხულს ბულგარეთში. პირველად სწორედ აქ გამოუყენებია ქართული მდიდარი ფოლკლორი, ლეგენდები, ხალხური ლექსები. თხრობა — იმპროვიზაციით, რეჩიტატივით აცნობდა იგი ბულგარელებს საქართველოს ისტორიას, მოწინავე ქართველი მწერლების შემოქმედებას.

ილიკო მუსიკის ე. წ. გაკვეთილების ჩატარებისას ან კონცერტის დროს სარგებლობდა დიალოგებით, — კითხვა-პასუხით, ლექციებით, ლეგენდებით, თხრობით, დაკვრით და სიმღერით. ამ მეთოდით დაუნერგავს მას ბულგარეთის ხალხში დიდი სიყვარული

მუსიკისადმი და, კერძოდ, ქართული მუსიკისადმი. ეს დაინტერესება იმდენად ღრმა და მნიშვნელოვანი გამხდარა, რომ ბულგარეთის განათლების სამინისტროს ისეთი მანდატი მიუცია, რომლის ძალითაც ქურხულს უფლება ჰქონოდა შემოეღო თითქმის ყველა სკოლა და, თუ საჭირო იქნებოდა, ამ სკოლებში გაკეთებულ იქნა მოეხსნათ და ი. ქურხულს ლექციებისა და დაკვრა-სიმღერებისათვის დაეთმოთ.

ცნობილ პროფესორს პეტრო ცონევს ილიკო ქურხული საგანგებოდ მიუწვევია უნივერსიტეტში და თავისი ლექციების სამი საათი დაუთმია მეოთხე კურსის ფილოლოგიის სტუდენტებისათვის. ამავე ხანებში მუსიკოსს დამეგობრებია გაზეთ „ახალი საზოგადოების“ რედაქტორი სტოიან ბაიროვი. მისი მიწვევით ქურხული ხშირად თანამშრომლობდა ამ გაზეთში. ს. ბაიროვი იმდენად მოხიბლულა ქურხულის პიროვნებით, რომ 1924 წლის 1 ივნისს მას სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომელშიც წერდა: „ილიკო ქურხული სახელია ჩვენი ქართველი მეგობრის; ეს არის მსოფლიო მოხეტიალე მუსიკოსი... იგი დადის ხალხში და ღვთიური სიყვარულის სიტბოთი და სინათლით ალაგზნებს მსმენელთა გულსა და სულს. ეს სინათლე და ეს სიყვარული ერთხელაც იქნება მოეფინება მთელ დედამიწას და ზედ მცხოვრებ კაცობრიობას, დაჩრდილავს კაცურ სიაცესა და ბოროტებას. და აი, ჩვენც სწორედ ამ მოღვაწეობისათვის ვაფასებთ ქურხულის ცოდნასა და ნიჭს.

ქურხული მთელ ქვეყანას უვლის გარშემო და თავისი ხელოვნებით, რომელსაც თვითონ ადამიანის სულისა და ლამაზ ღმერთთა ენას უწოდებს, ერთა შორის ძმობა-ერთობას ქადაგებს... ილიკო ქურხული დადის მთელ მსოფლიოში და თანაბარი სიყვარულით და თანაგრძნობით შრომობს ყველა ეროვნებისათვის. მას უვლია და უბუშავნია საქართველოში, რუსეთში, ფინეთში, ოსმალეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში. არსად არც ერთი ერისათვის მას უპირატესობა არ მიუნიჭებია, რადგან მისი სამშობლოა მთელი მსოფლიო, ხოლო მსოფლიოში მცხოვრები ყველა მშრომელი მისი ძმია“.

ბულგარეთში ილ. ქურხულს შემოუვლია 600-მდე ქალაქი და სოფელი. 300-მდე სკოლა და უთვალავი ეზო-ქუჩა. ის, როგორც ზემოთ ითქვა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. ილ.

ქურხულს შემორჩენილი ჰქონია ერთი სქელტანიანი ჟურნალი, რომელშიც ჩაწერილია ბულგარულ მსმენელთა აზრი მისი დაკვირისა და ქართული ხალხური მუსიკის შესახებ. ამ ჩანაწერებიდან 660 წერილია, რომელიც ვრცელ და მეტად სერიოზულ შეფასებას აღწევს ილიკოს მოღვაწეობას. ბულგარეთის ერთ-ერთი განთქმული პედაგოგი და მწერალი, რომლის ფსევდონიმიც იყო ვიოლინოპრიმო (გვარად ცონკო პოპოვი) წერს: „ილიკო ქურხული ვის არ გაუგონია, ვის არ წაუკითხავს ცოტაოდენი რამ მაინც მასზე, მაგრამ ვინ არის ეს ადამიანი? ვინ არის ეს უცხოელი ასეთი უცნაური სახელით? იგი ქართველია, იგი მოხეტიალე მუსიკოსია — ამბობს ყველა. ილ. ქურხული, მუსიკოსთა შორის ერთ-ერთი მოციქულია ნამდვილი მოციქული, დიადი იდეისა: მუსიკა ხალხისათვის.

ქურხული არის მსოფლიო მოხეტიალე, რომელიც ქუჩაში გამოაგდო დიდმა იდეამ, რომ ასწავლოს ხალხს ღვთაებრივი მუსიკის სიტყვების კითხვა, რომ აამაღლოს ხალხის სული მუსიკის იმ ძალით, რომელიც ყველა ენაზე ლაპარაკობს. ქურხულის სულში გატარებული მუსიკა ხდება გრძნეული, აღმზრდელით ძალად, რომლის ძლიერი განათლება მოქმედებს ადამიანის სულსა და კერძოდ კი ცელქ, უდარდელ მოუსვენარ ბავშვებზე.

რასაკვირველია, ილ. ქურხული არის მუსიკოსი, ნიჭიერი, მაგრამ ის უფრო ნიჭიერი პედაგოგი და დიდი ოსტატია სიტყვის. როგორც მუსიკა, ისე მისი ლეგენდები იპყრობს ძალუმად, როგორც ბავშვებს, ისე მოზარდებს. მუსიკითა და სიტყვებით ის აღვიძებს მაღალ გრძნობებს, აკეთილშობილებს და აწყნარებს მსმენელის სულს.

იმ მასწავლებლებისაგან, რომელნიც თავიანთ თავს თვლიან წამდვილ მასწავლებლებად, ილ. ქურხული უნდა იყოს მიღებული, როგორც თავგანწირული მოციქული, როგორც მკურნალი ბავშვების სულისა და როგორც ადამიანობისა და სამართლიანობის მებუყე.

კოტელი იყო ბედნიერი, რომ თავის საწყალ და ღარიბ წრეში ჰყოლია ილ. ქურხული მთელი საბი დღის განმავლობაში და ტკებოდნენ მისი მუსიკითა და სიტყვებით“.

ასევე საინტერესოა მეორე წერილი, კახანლიკის (ვარდის ველი) ციხიდან გამოგზავნილი ივანე ვლადევიცისა. ი. ვლადევიცი ცანკოვის თარეშის დროს მომხდარი აჯანყების მეთაური ყოფილა და

იმ დროს ციხეში მჯდარა. ილიკო ქურხულს მოუხერხებია ციხეში შესვლა. პატიმრებს უამბო თურმე ჯერ გ. ქუჩიშვილის ლეგენდა: „მომღერალი“, ხელმწიფემ თუ როგორ ჩაყარა ხალხი ორმოში, როგორ მიდიოდა იგი საფლავზე და როგორ ტკებებოდა იგი ხალხის ტანჯვა-კვნესით, თითქოს მუსიკას უსმენდაო. ილ. ქურხულმა ამ ლეგენდის მოთხრობის შემდეგ დაუკრა და იმღერა. რითაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პატიმრებზე. ვლადეევი წერს: „მუსიკა და მშვენიერი ლეგენდის სიტყვები შეიქმნითა ჩემს სულში... ეს გავიგე ადამიანისაგან, რომელიც, არასოდეს არ მინახავს და არც არაფერი გამიგია მასზე, მაგრამ რა მშვენიერია, რა სასიამოვნოა დანახო ადამიანი, იგრძნო, რომ ის არის მზე, რომელსაც მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ. მე ბრმა ხომ არა ვარ? ყველაფერი გავიგე! ყველაფერი მოვისმინე! მე მოვიგონებ ქურხულს გულით და სულით კიდევ დიდხანს, მე მინდა მოვისმინო ლეგენდები და მუსიკა ქურხულისა ჭირშიც და ლხინშიც. შემეძლება? ქურხული ცოცხლობს ჩემს გულში.

კახანლიკის პოლიტიკური პატიმარი ივ. ვლადეევი“.

თუ რამდენად პოპულარული იყო ილიკო ქურხულის სახელი მთელ ბულგარეთში, ამას ადასტურებს აგრეთვე ერთ-ერთი ეპიზოდით.

ზამთრის ერთ თოვლიან ღამეს ილ. ქურხულს 25 კილომეტრი ფეხით გაუვლია და დელი-ორმანში (ბულგარეთის მივარდნილი სოფელი) ჩასულა.

ღამე დაუსვენია და მეორე დღეს სკოლაში მისულა. უჩვენებია მინისტრის მიერ მიცემული მანდატი. დირექტორს გაოცებულა: „ჩვენი მინისტრი ავად ხომ არ იყო, რომ მუსიკას უთმობს გაკვეთილების საათებს?“. დირექტორს, პოლიციისათვის მიუმართავს, რომ ქურხული დაეტუსალებინა, როგორც არამზადა, მატყუარა, რომელიც ვითომდა უალბო დოკუმენტით დადიოდა. ილიკოს არ სჯეროდა, რომ ბულგარეთში არსებობდა ისეთი სოფელი, სადაც არ გაეგოთ მისი სახელი, ან არ წაეკითხათ მასზე რაიმე დაწერილი ბულგარულ ქურნალ-გაზეთებში. ერთი ვინმე მაინც უნდა აღმოჩენილიყო, რომელიც მის სიმაართლეს დაადასტურებდა. ამიტომ მან მოითხოვა რამდენიმე წუთით ეზოში შეეკრიბათ მოწაფეები. დიდი თხოვნისა და ხვეწნა-ვედრების შემდეგ, როგორც იქნა, სურვილი შეუსრულეს. როცა მოწაფეებს ჰკითხეს გაუგიათ თუ



არა რაიმე ძია ილიკოზე, მოხეტიალე მუსიკოსზე, ერთხმად დაუყვირიათ. „გაგვიგია და კიდევ წაგვიკითხავსო“. „რა წაგიკითხავთ“? — შეკითხვიან. — საბავშვო ჟურნალი „სინათლე“. ბავშვს ჟურნალი შინიდან მოატანინეს და ხმამალლა წაუკითხავთ: „ძვირფასო ძია მზეო (სწერდა რედაქტორს), ჩვენი სოფელი მდებარეობს რკ. გზის ცენტრში — სოფია ვარნა, მაგრამ იშვიათად გვევლინებიან მუსიკოსები და არტისტები, მხოლოდ ლაპარაკი გაგვიგონია კარგ სიმღერებსა და კარგ დაკვრაზე. მოვავიწყდით ჩვენ, სოფლები ბატონ ილ. ჭურხულს, რომელმაც თავისი ვიოლინოთი და ლეგენდებით გვაგრძნობინა და გაგვაგებინა მუსიკის ძალა. თავისი მუსიკით შესძლო მონადირეებინა მისი მსმენელების, 300 ბავშვის გული. ჩვენ დიდად კმაყოფილნი ვართ ილ. ჭურხულით და გვინდა სხვა მუსიკოსებმა და არტისტებმაც მოკვხედონ.

ჟიკა ბ. ნიკოლოვა, მოწაფე, მეოთხე კლასელი გოგონა.  
სოფ. გორნი, დუბიანიკი, პლევენის ოლქი“.

როცა კითხვა დასრულდა, ყველამ ერთმანეთს შეხედა თურმე, პოლიცია მიმალულა. „მეც გამიგია, მეც გამიგია“. — გაისმა ხმები აქეთ-იქიდან.

ილ. ჭურხულს მაშინვე დაუთმეს სკოლა და იმ სოფელში მთელი კვირა მუშაობდა, მოაწყვეს საჯარო ლექცია. დარბაზი მორთეს ყვავილებითა და ხალიჩებით, პოლიცია გამოვიდა წესრიგის დასაცავად. სახალხო ზეიმს ემსგავსებოდა თურმე იმ სოფლის მხიარულება. ილ. ჭურხული მახლობელ სოფელში გაისტუმრეს მარხილით, სთხოვდნენ ხელმეორედ მოსვლას. იგი ყველაზე მეტად ბავშვებს უყვარდა. წერდნენ წერილებს, ლექსებს, ხატავდნენ კედლის გაზეთში, ხშირად ხატავდნენ გულაპერჩიდან გაკეთებული ბიჭივით ტიტკელას, — დიდი თავით, ვიოლინოთი ხელში.

1922 წლის თებერვალს ქ. სოფიის ერთ-ერთ ეზოში ი. ჭურხულს დაუკრავს ბახი, ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი, გრიგი, კონცერტის დასასრულს კი ჩვეულებრივად „ნანა“, არა კლასიკური, არამედ ქართული სამხმინი „ნანა“. ის იყო მუსიკოსს კონცერტი დაუშთავრებია, ვიოლინო ხელში აულია და გარეთ გამოსვლა დაუპირებია, რომ მეხუთე, თუ მეექვსე სართულიდან ძახილი შემოესმა:

— მუსიკოსო, მუსიკოსო! მოიხედეთ აქეთ! — ეძახდა თურმე ვილაც ბულგარულად.

— რა გნებაეთ, ქალბატონო? — შეკითხვია მუსიკოსი.

— თუ შეიძლება, ამობრძანდით მაღლა!

მუსიკოსი შეყვანებულა.

— თქვენ რომ იცოდეთ რისთვის გეძახით, ამაზე მაღლა ამოფრინდებოდით. თუ შეიძლება, ამობრძანდით!

დაინტერესებულ ილიკოს მასპინძელი დერეფანში შემოხვდა, თავაზიანად გაუღო კარი და შეიყვანა ერთ-ერთ ოთახში.

— რა ქვია თქვენს სამშობლოს?

— საქართველო!

— ოო! მე ვიცნობ საქართველოს, წამიკითხავს ლერმონტოვი, პუშკინი! აქებენ თქვენი ქალების სილამაზეს.

— ჩვენს ხალხს კი წაუკითხავს თქვენი გამოჩენილი მწერლის ივანე ვაზოვის „დამონებულნი“ თავიანთ ენაზე. აქებენ თქვენს რევოლუციონერებს. გნებაეთ ცოტაოდენი გაგაცნოთ ჩემი სამშობლო?

... აქ მუსიკოსმა დაინტერესებულ ბულგარელ ქალს მოკლედ გააცნო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორია.

— გმადლობთ. ახლა კი წარმოდგენა მაქვს თქვენს ქვეყანაზე. გაგიგიათ — ქალი ცნობისმოყვარეაო! მე ცოდნის მოყვარეც გახლავართ, — განაგრძო ბულგარელმა ქალმა, — ისიც მინდა გავიგო, — უკანასკნელად რომ დაუკარით, რა იყო? რა ჰქვია იმ მელოდიას?

— რატომ დანარჩენებზე არ მკითხეთ?

— დანარჩენის სახელები ვიცი. კვლავაც ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ, აი, ის კი, თქვენ რომ უკანასკნელად დაუკარით, ჯერ არსად მომისმენია, პირველად მესმის, რა იყო?

— თქვენ ალბათ მუსიკოსი ბრძანდებით!

— არა, მაგ ბედნიერებას ძალიან ვარ დაშორებული. მე უბრალო მოხელე ქალი ვახლავართ, მაგრამ მუსიკა ისე ძალიან მიყვარს, რომ, თუ საიდანმე კეთილი ნიავე ჩვენს ქვეყანაში ვინმე გამოჩენილ მუსიკოსს გადმოაფრენს, ლუკმას გამოვიღებ პირიდან და ბილეთს კი შევიძენ. კუბელიკი, კოციანი, ისაია, მარინ ჰუბერმანი და სხვა ამისთანა პირველხარისხოვანი ვირტუოზები არაერთხელ მომისმენია, ვიოლინოს დამკვრელთა შორის ყველაზე ძალიან ჰუბერმანი მომწონს. მას ნაზი, ელანტიური და ამავე დროს ხავერდითობით რბილი და მსუბუქი მარჯვენა აქვს. ღირიყორებიდან, რასა-

კვირველია, ნიკიშს ვეთაყვანები. ნიკიშს დიდი მებსიერება აქვს. სულ ზეპირად იცის, ყველაფერს თავისი გაგებაც აქვს.

ილიკო ქურხული მარტო ზეპირსიტყვიერებითა და მუსიკით არ დაკმაყოფილებულა — ბულგარულ ენაზე წიგნი გამოუცია ქართული მუსიკის შესახებ. წიგნის სათაურია „ვარსკვლავთა კაშკაშზე... ბულბულთა ენაზე... ლაყვარდ საქართველოზე...“

ილ. ქურხულს ბულგარეთში ბევრი რამ შეუსწავლია თავისი პრაქტიკული მუშაობისათვის. დიდი შთაბეჭდილებაც მიუღია და მორალურადაც ამადლებულა. ილიკო ქურხულის გამოცდილება თურმე ზეიმს ჰგავდა. მას ბულგარეთის დატოვება ენანებოდა, მაგრამ იქ აღფრთოვანებულს სხვა ქვეყნის შემოვლის სურვილიც ჰქონია. ი. ქურხული ბულგარეთიდან საფრანგეთისაკენ გამგზავრებულა.

როგორც მგზავრობის დროს, ისე პარიზში, ილ. ქურხულის შემოქმედებით ცხოვრებაში საგულისხმო არაფერი მომხდარა. ბურჟუაზიული პარიზი მას აფასებდა თურმე, როგორც ბედგადამტყდარ მუსიკოსს, თავის საარჩენად ქუჩაში გასულ უბედურ კაცს. ბულგარეთის შემდეგ პარიზში უსულგულო დახვედრებით გულგატეხილი მოხეტიალე მუსიკოსი 1927 წელს უკვე დიდად სახელმოსხვეპილი, შთაბეჭდილებებით მდიდარი, გამოცდილებითა და იდეურად ამადლებული დაბრუნებულა საქართველოში.

თუ ბულგარეთში ყოფნისას ი. ქურხული აგიტაციას უწევდა ქართულ ხალხურ მუსიკას, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი მიზანი ყოფილა ხალხისათვის გაეცნო არა მარტო კლასიკური მუსიკის შესანიშნავი ნიმუშები, არამედ ბულგარული ხალხური მუსიკის სილამაზე და თავისებურება. ვისაც ილიკო ქურხულის მიერ შესრულებული მაკედონური ხალხური სიმღერები მოუსმენია, იგი ღრმად განიცდიდა ამ მუსიკის სინატიფეს.

ბულგარული ზღაპრებითა და თქმულებებით, ბულგარული მელოდიებით იგი ქართველ ხალხს აცნობდა ბულგარელი ხალხის ცხოვრებას. მღეროდა ქურხული და მღეროდა მისი ვიოლინო, ქართველი ხალხიც სულგანაბული უსმენდა, ინტერესით ეცნობოდნენ მუსიკოსის მიერ მოწოდებულ ცნობებს.

1932 წელს, განათლების სახალხო კომისარიატის დახმარებით შეიქმნა ი. ქურხულის „მოდრავი ოთახი“. კამეჩებზემპული ამ უჩვეულო „კლუბით“ დადიოდა თურმე მოხეტიალე მუსიკოსი.

1939 წელს „კლუბი“ გაუუმჯობესებიათ, გამოუყვიათ რკინიგზის სპეციალურად დამზადებული ვაგონ-სალონი, რომელშიც მოწყობილი ყოფილა, როგორც საძინებელი ოთახი, ისე სამუშაო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, შაგიდები, სკამები, ტელეფონი და სხვადასხვა სახის საკრავები. „ამ კლუბს“ მატარებელზე მიბმულს, დიდუბის სადგურიდან ქალაქებსა და რაიონებში „საგასტროლოდ“ გადაჰყავდა ი. ქურხული და მასთან მყოფნი. მუსიკით დაინტერესებულადამიანებს აყვარებდა სამშობლოს ისტორიას, აცნობდა მდიდარ ქართულ ხალხურ შემოქმედებას, იგი ლექცია-საუბრის საშუალებით კარგად იყენებდა თურმე სათავგადასავლო ქართულ მოტივებს.

1930 წელს ქურხულს გამოუცია საბავშვო წიგნი „მუსიკა“. გამოსაცემად მოუზადებია ამ ნაშრომის გაგრძელება.

ილიკო ქურხული ამ პერიოდში გასცნობია ნიკო სულხანიშვილის მიერ ნოტებზე გადატანილ მესტიურულ მელოდიებს, დაინტერესებულა გულდასტვირით. გადაუწყვეტია გამგზავრებულოყო გულდასტვირის სამშობლოში რაჭაში. აქ, სოფელ ფარახეთში, ილიკოს გაუცვნია ცნობილი სახალხო მუსიკოსები — მესტიურეები: ზაქარია ერადე, სიმონ ტოგონიძე, ბეჟან (ბიჭია) ბურდილაძე.

იმ დროისათვის სტვირი რაჭაშიც კი მივიწყებას ეძლეოდათურმე. ქურხულს რაჭველ მესტიურეებთან ერთად გადაუწყვეტია ეზრუნა სტვირის კულტურის შესანარჩუნებლად. მას ბურდილაძის დახმარებით შეუსწავლია სტვირზე დაკვრა და მშვენიერად დახელოვნებულა სტვირის კეთებაშიც. ქურხულს ძირფესვიანად შეუცვლია სტვირის მასალა. დაუხვეწია და გაუმარტივებია საკრავის კონსტრუქცია. ი. ქურხულის ინიციატივითვე გადმოუნერგავთ ყიზიხიდან თბილისის ბოტანიკურ ბაღში სტვირის უმთავრესი ნაწილაკის — ლულის დასამზადებელი იშვიათი მასალა. ლერწმის ერთ-ერთი თვითნაკეთი გულდასტვირი ილიკო ქურხულს მაქსიმ გორკისათვის მიუძღვნია საჩუქრად.

სტვირის შესახებ ი. ქურხული აი, რას ამბობდა: „სტვირი ვინ იცის სად დაიბადა, მაგრამ ის, როგორც სალამური, ყველა ერს აქვს, მხოლოდ სხვადასხვა სახით. ერთი ყანწიანი სტვირი კი საქართველოშია დამზადებული. იგი ურწმუნოა, არავის მოუნათლავს, დარჩენილია ისევე გაუთლელი, ხეპრე და ტეტია, როგორც იყო ძველად, მაგრამ რა მშვენიერია, რა ლამაზია მისი ღიღინი“.

ილიკო ქურხულს სახალხო შემსრულებელთა საკავშირო და ამიერკავკასიის ხალხთა ოლიმპიადებშიც კი მიუღია მონაწილეობა. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ჩანგის გაუმჯობესების საქმეშიც. ერთ-ერთი თავისი გასტროლების დროს სვანეთში ვინმე მოხუც სვანს მისთვის ჩანგი და ქიანური უჩუქებია. თან უთხოვია, რომ ამ საკრავებს გაუმჯობესებაზეც ეზრუნა. ქურხულს ბევრი უმუშავია საკრავებზე და ხეზე მომუშავე ოსტატის კოტე ბოტკოველისა და ლადო გუდიაშვილის შემწეობით წარმატებით მიუღწევია მიზნისათვის. ქურხულის მიერ გაუმჯობესებულ ჩანგს მაღალ შეფასებას აძლევდნენ თურმე კომპოზიტორები დ. არაყიშვილი და კ. მელვინეთხუცესი.

ჩანგის გაუმჯობესებისათვის ილიკო ქურხულს სახალხო მუსიკოსის წოდება მიანიჭეს.

1932 წელს ილიკო ქურხულის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით საქართველოს განსახკომისა და ამიერკავკასიის სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის დარგის მთავარი სახელოსნოს შემწეობით თბილისში დაშაბდებულა სპეციალური მუსიკალური ვაგონი, შემდეგში მოძრავი მუხეუმ-კლუბი წარწერთ: „მსოფლიო მომავალი მეგუთნე“.

ილიკო ქურხულის მოძრავი საგუთნო (ი. ქურხული მუსიკას ეკუთვნის ენას უწოდებდა, ვაგონს კი — მეგუთნეს) ვაგონი წარმოადგენდა საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფილ პრიმიტიულ მოძრავ კლუბს, რომელსაც თვით ილიკო ემსახურებოდა და განაგებდა. იგი ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გადადიოდა თურმე ერთი სადგურიდან მეორეში. სადაც, როგორც თვითონ წერდა, აჩალებდა „მუსიკის ყოცონს“, ამხიარულებდა მოსახლეობას. ილიკო ქურხულს თავისი დიდი სურვილი შეუსრულებია. 1941 წელს იგი თავისი განუყრელი მეგობრის მესტვირე ბიქია ბურღილაძესთან ერთად გამგზავრებულა მოსკოვში საგასტროლოდ მატარებლის ბოლო ვაგონზე მიბმული თავისი „საგუთნოთი“. მაგრამ დიდხანს არ დაცლიათ მათ რუსეთში ყოფნა. მალე სამამულო ომი დაწყებულა, ილიკო ბიქიკო ბურღილაძესთან ერთად სამშობლოში დაბრუნებულა, „საგუთნო“ კი პრელეცკის რკინიგზის სადგურისათვის ჩაუბარებია. მაგრამ მას ამით გული არ გაუტეხია. იგი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ანტიფაშისტურ საუბრებსა და კონცერტებს

ატარებდა... საქართველოს სტუმრად სწევნია ხელოვნების ოსტატები ბულგარეთიდან. ამ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. იოსიფოვი წერდა: „მუსიკისადმი სიყვარული პირველად ქართველმა გამიღვიძა. ცნობილი ქართველი მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურჩული ჩემი პირველი მასწავლებელია. როგორ მინდა, რომ მან იცოდეს ჩემი აქ ყოფნა. ალბათ ვედარც კი მიცნობს, ჩვენ ხომ 30 წელია ერთმანეთი არ გვინახავს“.

რა იცოდა ბულგარელმა მომღერალმა, როცა ის ამ მოგონებას წერდა, მისი მასწავლებელი, ილიკო ქურჩული უკვე გონებადაკარგული სიკვდილს ებრძოდა.

1953 წელს ილიკო ლოგინად ჩავარდა და 1954 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა. ხალხმრავალმა საზოგადოებამ იგი დიდი პატივით დაკრძალა.

## იოსებ გრიშაშვილი

პოეტ-აკადემიკოსს იოსებ გრიშაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ სცენისმოყვარეთა წრეების საქმიანობაში, გარდა იმისა, რომ ყარგა ხნის მანძილზე მოკარანახედ მუშაობდა, წერდა მათთვის ვოდევილებს, სკეტჩებს, სცენებს ქალაქური ყოფიდან. ასე, მაგალითად, იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით. გრიშაშვილის ნაწარმოებთაგან ყველაზე საინტერესოა ორმოქმედებიანი ვოდევილი „ბოიკოტი“. თუმცა მისი სიუჟეტური ქარგა მეტად სადა და მარტივია, იმდროინდელი მაყურებელი დიდი ინტერესით და გულისყურით ადევნებდა თვალს მის მსვლელობას სცენაზე. პიესა მეტყველებს მშრომელთა კლასობრივი აქტიობის ზრდაზე. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მისი მეორე პიესა „ტიმოთეს ლელი“ (ერთმოქმედებიანი ვოდევილი).

ი. გრიშაშვილი თავის მოგონებაში წერს: „მოვიდა ჩემთან ჩვენებური სომეხი მსახიობი დავით გულაზიანი და მეუბნება: — ჩვენი ბიჭების სასარგებლოდ „მურაშკოს თეატრში“ წარმოდგენებს ვდგამთ ოთხ ენაზე. ქართულ პიესაში სუფლიორი არა გვყავს. გა-

ვიგე, რომ შენ ქართულ წიგნებს კარგად კითხულობ და დროა, რომ მედუქნეების გარდა ახლა ჩვენც წაგვიკითხოო. დავთანხმდი.

თეატრში პირველად ვიყავი და სუფლიორის ხულა ფანტასტიკური ვარსკვლავი მეგონა. ქართულად დგამდნენ — „ადვოკატ მელაძეს“, რუსულად „წინადადებას“, თათრულად „კრთ-კრთის“ და სომხურად „ხეჩუას ლედვს“.

თეატრიდან სულ სხვა ეშხით დავბრუნდი სახლში. გადავწყვიტე ასეთი წარმოდგენები ჩვენს უბანშიც გაგვემართა. თეატრიდან დავბრუნდი თუ არა, მაშინვე დაუწერე „ტიმოთეს ლედვი“ (ე. ი. სომხურად მოსმენილი პიესა ჩემი მეხსიერების წყალობით იმ სალამოსვე ზეპირად გადავთარგმნე).

„კაქაანთ ეზოში ავირჩიე ერთი ფართო აივანი და ვინაიდან „ტიმოთეს ლედვში“ სულ ორი მოქმედი პირია და არც ქალი იყო საჭირო, წარმოდგენა სხარტად გათამაშდა და ერთმოქმედებიანი „ტიმოთეს ლედვი“ ერთ საღამოს ორჯერ ზედიზედ ვითამაშეთ“. ამას მოჰყოლია სხვა პიესებიც. მომატებიათ უბნის მეგობრებიც და, ხარფუბის გარდა წარმოდგენებს დგამდნენ კამფეტების ქარხანაში (ორთაქალაში) და ზაფხულობით კი იქვე — „ნადკუროის ბაღში“.

წარმოდგენები, რასაკვირველია, ხშირად კურიოზული ყოფილა. ი. გრიშაშვილს ოტიას როლში („და-ძმა“) მეგრული ჩოხის ნაცვლად ყურთმაჯებიანი კაბა ეცვა...

სულ მოკლე ხანში იგი ქართული წარმოდგენების ბუნებას უფრო გასცნობია. მათი წარმოდგენების სკოლა არაქსიანის თეატრი ყოფილა, სადაც კვირაში ერთხელ გამოუკლებლივ დადიოდა და ხარბად ისმენდა მსახიობთა გამონათქვამებს და თვალყურს ადევნებდა პიესების მსვლელობას.

მაშინ ავლაბრის არაქსიანის თეატრში ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ლ. ბაღაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, დ. მელაშვილი, ნ. მირველოვი, ბ. მაისურაძე, გ. ფირუშნიანი, ი. რევაზოვი, ს. პეპანოვი, გ. გელიკურაშვილი, რ. სალაყაია, შ. გომელაური, ქაღებიდან — თ. აფხაზიშვილი, დრ. რჩეულიშვილი, ე. ბუჩუკური, ნ. საყვარელიძე, მ. ქართველიშვილი და სხვანი.

ერთ ადგილზე წარმოდგენების შართვა რომ მოსწყინდათ, ზაფხულობით გასტროლები დაიწყეს: მათი მარშრუტი განისაზღ-

ერებოდა შემდეგი სოფლებით: დილომი, წყნეთი, აკქალა, მცხეთა. შემოემატნენ სცენისმოყვარეები: ვ. მარგველაშვილი, გ. დავილოვი და სხვანი. სოფლებში წასასვლელად წინა დღით ურმებს ქირაობდნენ, ნაშუალამევს თბილისიდან გადიოდნენ, რომ დილით დანიშნულ ადგილას ყოფილიყვნენ. ერთხელ ასეთი მოგზაურობის დროს წყნეთის ქუჩაზე ყველა მონაწილე დაუტყვრიათ და ხარკამეჩებიანად პოლიციაში წაუყვანიათ. ისინი არწმუნებდნენ, რომ მსახიობები ვართ და წყნეთში საგასტროლოდ მივემგზავრებოდითო. მაგრამ საქმის მოგვარებამდე კარგა ხანს დასჭირდათ მოცდა. საქმე იმას უფრო გაუმწვავებია, რომ პიესისათვის წამოღებული ჰქონიათ პარიკები და ფარდები, რომელიც თავდასხმის შესანიღბავად მიიჩნიეს და ყაჩაღებად მონათლეს, ვითომ სახეშეცვლილნი ვერავის ეცნოთ. მეორე დილით განთავისუფლებულები თბილისში დაბრუნებულან.

როცა გრიშაშვილი უფრო მეტად ჩაწედომია თეატრის რაობას, ხარფუხის აივნები უკვე აღარ აკმაყოფილებდა, გადაუწყვეტია ხარფუხსაც ჰქონოდა ისეთივე თეატრი, როგორიც თბილისის სხვა განაპირა უბნებს, ამ მიზნით, შეუტკრებია ამ უბნის „მონიტელიგენტო“ ხალხი. ხარფუხიდან სათავადაზნაურო სკოლაში მხოლოდ ხუთი ოჯახი სწავლობდა: ელ. შათირიშვილი, კ. მეტრეველი, იოსებიძეები, თითბერიძეები და თვით გრიშაშვილი. მათ გამოიტანეს დადგენილება, რომ რჩევისათვის ავლაბრის ქართული წრისათვის მიემართათ. ი. გრიშაშვილი და გ. ჩოჩიაშვილი არაქსიანის თეატრში მისულან, გაუგებინებიათ თავიანთი განზრახვა. მეორე დღეს წრეს ხარფუხში გაუგზავნია სცენისმოყვარე ბესო მაისურაძე, რომელსაც უნდა დაეთვალთქრებინა მიდამოები სცენის მოსაწყობად და აერჩია ნიჭიერი სცენისმოყვარეები.

ბ. მაისურაძე მართლაც სწვევია ხარფუხს, მაგრამ გრიშაშვილი უკვე აღარ დახვედრია. გ. ფირუმინს იგი ავლაბრის თეატრში სუფლიორად დაუნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით დავით მელაშვილი წერს: „1905 წლის ბოლოს, ერთ კვირა დილას, რეპეტიციას გავდიოდით. მე თეატრის შესავალთან ვიდექი. ამ დროს ჩემთან მოვიდნენ სცენისმოყვარენი დაროშვილი და ნ. მირველოვი და მესამე პირზე მიმითითეს, რომელსაც ლურჯი ხალათი ეცვა, ყელზე ყაბალახი ჰქონდა გადადებული, წელზე ეკრა თითის სიბრტყე ვერცხლის ქამარი,



თმა გვერდზე ჰქონდა გადავარცხნილი და თავზე კოხტა კანგარის ქუდი ეხურა. სახის გამომეტყველება მეტად ცოცხალი ჰქონდა და მოძრაობა კი—როგორც მერცხალს; ერთი სიტყვით, 16—17 წლის ახალგაზრდა გრიშაშვილი სიცოცხლით იყო სავსე, ხელში დახვეული რვეულები და ჟურნალ-გაზეთები ეჭირა. მირველოვმა მითხრა, ეს ამხანაგი ჩვენს წრეში აპირებს მუშაობას და გაიცანიო. ზრდილობიანად მომესალმა, ჩამომართვა ხელი და მითხრა, — იოსებ მამულაშვილი ვარ, თანაც „ფირუნას“ მეძახიან. მაგრამ ლიტერატურაში გრიშაშვილად ვეწერებო. იქვე გამოვეიცხადა, რომ სომხურიდან ქართულად გადმოაკეთა 1 მოქმედებიანი ვოდევილი „ხეჩოი თუზ“, დაარქვა „ტიმოთეს' ლედვი“ და დიდი სურვილი აქვს, რომ ჩვენთან წაიკითხოს. წავედით იქვე მოედანთან „კარპუშას“ ტრაბტირში, დავიწყეთ ჩაის სმა და თანაც „ტიმოთეს ლედვი“ წავიკითხეთ... მე მაშინ, როგორც სტამბის მუშა ასოთამწყობი და მასთან სცენისმოყვარე, ძლიერ გატაცებული ვიყავი ლიტერატურით და კერძოდ დრამატული ლიტერატურით (პიესებით), „ტიმოთეს ლედვი“ რომ წაიკითხა, მე აშკარად დავინახე ახალგაზრდა კალმოსნის ტალანტი და ამის შემდეგ ის ძლიერ შემიყვარდა, იგი ხშირად მიკითხავდა ხოლმე თავის ახალდაწერილ ლექსებს“.<sup>1</sup>

მეორე დღეს გრიშაშვილი თეატრში მისულა. ის-ის იყო რეპეტიცია უნდა დაეწყოთ, მაგრამ სუფლიორს დაუგვიანია, რის გამოც რეჟისორი დავით ჩარკვიანი ძალიან დელავდა და ნერვიულობდა. დ. მელაშვილს დამშვიდება დაუწყია და ბოლოს გრიშაშვილზე მიუთითებია, რომ ეს ამხანაგი კარგად კითხულობს და გამოვიყენოთ. დავითს უკმაყოფილოდ შეუხედავს მელაშვილისთვის და შეუყვირია:

მელაშვილი გაჩუმებულა, რადგან შეუტყვია, რომ გრიშაშვილის გარეგნობას ჩარკვიანზე თეატრალური შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია, მაგრამ რაკი ნახა, რომ მათი სუფლიორები გ. მელაშვილი, შ. გომელაური და ი. ხუციშვილი არ გამოცხადდნენ და რეპეტიციის გადადება არ შეიძლებოდა, ჩარკვიანს იოსებ გრიშაშვილი პარტერიდან სცენაზე გამოუძახია. იოსები მაგიდას მიჯდომა და პიესის კითხვა დაუწყია. დ. ჩარკვიანის გაკვირვებას სა-

---

<sup>1</sup> დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“, 1965, გვ. 7.

ზღვარი არ ჰქონია, რადგან გრიშაშვილი პიესას კითხულობდა თურმე არა როგორც დიაკვანი „სახარებას“, არამედ თეატრალურად. ამ პირველი შეხვედრისა და მეცადინეობის შემდეგ ჩარკვიანს ძლიერ მოსწონებია გრიშაშვილი და როგორც კარგს და ახალ სუფლიორს თავიდან აღარ იშორებდა. ამნაირად მიუღია სასცენო ნათლობა გრიშაშვილს არაქსიანის თეატრში სუფლიორობით და შიგადაშიგ პატარა როლებიც შეუსრულებია სცენაზე, მაგრამ შემდეგ, როდესაც ქართული თეატრის მსახიობები პერიოდულად არაქსიანის თეატრში მართავდნენ წარმოდგენებს, ერთ-ერთი წარმოდგენის დროს სუფლიორს (ბეგლარ ახოსპირელს) დაუგვიანია და ვალ. გუნიას თხოვნით პირველ მოქმედებაში ი. გრიშაშვილს უსუფლიორია. ვალ. გუნიას მოსწონებია გრიშაშვილის სუფლიორობა და იგი ქართულ თეატრში წაუყვანია.

რა იყო მიზეზი ქართული თეატრის კორიფეების მუშათა რაიონებში მოღვაწეობისა? ამის შესახებ აი რას გვიამბობს ი. გრიშაშვილი: „იმ ხანებში თბილისის დიდ ქართულ თეატრში აიკრძალა წარმოდგენები. დარბაზში კედლები გაირღვა და ბანკის მმართველობამ, რომელიც თეატრის ბატონ-პატრონი იყო, დროებით დახურა სცენის კარი და შეუდგა რემონტს. ეს რემონტი გაკიანურდა, სამ წელიწადნახევარს გაგრძელდა... ჩვენი სცენის ნიჟიერი მსახიობები (ვ. გუნია, ლ. მესხიშვილი, ნ. გაბუნია, ს. მესხი, ვ. აბაშიძე და სხვები) აქეთ-იქით წანწალებდნენ ლუკმა-პურის საშოვნელად. ერთ ასეთ წარმოდგენას, მაშასადამე, მეც დავესწარი. ეს იყო 1907 წელს. ისანში თამაშობდნენ „სამშობლოს“. აქ მოხდა ერთი რამ, რამაც გადაწყვიტა ჩემი მომავალი. მათი სუფლიორი ბეგლარ ბეგლარის ძე, არ ვიცი რა მიზეზით, არ გამოცხადდა წარმოდგენაზე. წარმოდგენას ხომ ვერ გადადებდნენ, მოითხოვეს ადგილობრივი სუფლიორი. მომძებნეს, წამიყვანეს და ჩამსვეს ალაჩოხში (ე. ი. სუფლიორის ბუღკაში), ორმა გრძნობამ დაუთმო ერთიმეორეს ადგილი: ჯერ ერთი ის მიხაროდა, რომ დიდ არტისტებს ვუკარნახებდი და მეორე კი — შიშის ზარს ვგრძნობდი. ვაითუ დავიბენი და ისინიც დავაბნო-მეთქი. როლი მხოლოდ სოსო ივანიძემ იცოდა, რომელიც სოლომონ ლიონიძეს თამაშობდა. ეს იმით შევატყვე, რომ მან სცენის იატაკს ფეხი დაჰკრა, ე. ი. — ნუ მაწვდი და ნუ მიშლი, როლი ზეპირად ვიციო. ეს შენიშვნა ზელად შევიშვნიე. „ყურად ვიღე და დავღუმდი“ — აღექსანდრე ჭავჭავაძე-

ძის ლექსისა არ იყოს. დანარჩენებისათვის კარგი ჩამხურხულებელი გამოვდექი. მე, რასაკვირველია, — ჩემი მეხსიერების წყალობით — როგორც სხვა პიესები, ისე „სამშობლოც“ ზეპირად ვიცოდი, რადგან „სამშობლოს“ ჩვენ, მურაშკო-არაქსიანის სცენისმოყვარენი, ხშირად ვდგამდით სცენაზე. ხალხს უყვარდა ისტორიული პიესები: აფეთქება, დამბახის ხმა, ხანჯლის ტრიალი, დროშის ფრიალი“.<sup>1</sup>

დ. ერისთავის პიესა „სამშობლოს“ დიდი გავლენა ჰქონია ქართველთა გათვითცნობიერების საქმეში. საერთოდ მურაშკოს თეატრის მუშა-სცენისმოყვარენი, „სამშობლოს“ კარგად თამაშობდნენ. როლებიც ასე ყოფილა განაწილებული: ხიმშიაშვილი — ლ. ბაღაშვილი, სვიმონ ლიონიძე — ი. მკედლიშვილი, შახაბაზი — რ. სალაყაია, გოგია, სტამბის მუშა — ბ. მაისურაძე, ქეთევანი — დ. რჩელიშვილი, დაუდბეგი — გ. გელიკურაშვილი, ბიჭი — შ. გომელაური, ჯალათი — გ. ფირუმიანი, დადიანი — მარკოზაშვილი, ისრაფილი — ი. რევაზიშვილი, სუფლიორი — ი. გრიშაშვილი.

როცა სპექტაკლი „სამშობლო“ დამთავრებულა, გრიშაშვილს უსწარგებლია შემთხვევით და ჭიხურიდან ამოხტარა. ჭიხურიდან პირდაპირ ვალ. გუნიასაკენ გაუწევია, ვითომდა შემთხვევით. ვალ. გუნია დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გუნია — არტისტი, გუნია — დრამატურგი, გუნია — საზოგადო მოღვაწე, გუნია — შეზღვეული „საქართველოს კალენდრისა“, რომელიც გოგებაშვილის „ბუნების კარის“ შემდეგ საკითხავ წიგნად ყოფილა გადაქცეული, გუნია — „ცნობის ფურცლის“ რედაქტორი და სხვა. ი. გრიშაშვილი ხომ ამ დროს დამწყები მწერალი იყო, წერდა ლექსებს, შაირებს, საფლავის ქვაზე ამოსაჭრელ ეპიტაფიებს: ვისაც ვინ მოუკვდებოდა, მასთან გარბოდნენ სამგლოვიარო ლექსების დასაწერად. „რაც მე ლექსები მაქვს გაბნეული — ერთი მოზრდილი ტომი გამოვა. ბოლოს, ასაკში რომ შევედი, მკვდრები მივატოვე და ცოცხლებზე დავიწყე წერაო“, — ამბობდა მგოსანი.

ვალ. გუნიას გრიშაშვილი რომ დაუნახავს, თავზე ხელი გადაუხსვია. გამოუკითხავს მისი მდგომარეობა და მეორე დღისათვის დაუბარებია მსახიობთა კანტორაში, სასახლის ჭურჩაზე, მისვლის-

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საქართველო“, 1965, გვ. 151-152.

თანავე გულთბილად მიგებებია ვალ. გუნია და სრულიად ახალ-გაზრდისა და გამოუცდელისათვის ჩაუბარებია ეურნალი „ნიშადური“.

ვალ. გუნიას ახალბედისათვის უსწავლებია კორექტორობა, ხელისმომწერთა მიღების წესი, ლექსების გასწორება, შეკრება-შემოკლება, კარიკატურებზე ლექსების მიწერა, მასალების მიღება და განაწილება, მერე წაკითხვა, დასაბეჭდად გამზადება, რიგზე დაწყობა...

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ვალ. გუნია თავის კვირეულ იუმორისტულ ეურნალ „ნიშადურს“ სცემდა. გრიშაშვილი ჯერ კორექტურას ასწორებდა ეურნალში, შემდეგ კი დაუწყია ლექსებისა და სხვა იუმორისტული წერილების წერა „გრი-გრის“, „ფირუზას“ და სხვა ფსევდონიმებით.

ასე რომ, გრიშაშვილი მურაშკოსა და არაქსიანის თეატრის სკოლიდან გადასულა ქართულ თეატრში, როგორც არა ერთი და ორი მსახიობი.

ერთი სიტყვით, დ. ერისთავის „სამშობლო“ გამხდარა. ი. გრიშაშვილისათვის საბაბი მისი დიდ თეატრში და დიდ არტისტებთან მოხვედრისა, რაც შემდეგში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის უნივერსიტეტად გადაიქცა.

ი. გრიშაშვილი დიდი თეატრის მსახიობებს მოუცილებიათ ავღაბრის თეატრიდან და ვალ. გუნიას წინადადებით, დაუნიშნავეთ სუფლიორის თანაშემწედ ქართულ მსახიობთა ამხანაგობაში.

ი. გრიშაშვილი ყოველთვის გამბედავი ყოფილა, მაგრამ სუფლიორობას დიდ ხალხთან ადვილად ვერ შესჩვევია, ხშირად რომელიმე მოქმედი პირის როლს თვითონ თამაშობდა თურმე საბუდარში და მის „ბუტკიდან“ ზან გაფარჩხულ ხელებს ხედავდა მაყურებელი, ხან კი თავზე წამოყირავებულ „ბუტკას“, რის გამოც დაუთხოვიათ.

გრიშაშვილმა, როგორც პოეტმა, ძირითადად „ნიშადურში“ აიდგა ფეხი და აქ დაუწერია პირველი ლექსი ილიას სიკედილის გამო. ლექსს ილიასავე სიტყვები უწოდა სათაურად, ოღონდ შეცვლილი სახით „ტყეს სცვივდება ფოთოლი“ (ეს ლექსი დაიბეჭდა 1907 წ. „ნიშადურის“ № 9), რომელსაც ნ. გაბუნია-ცაგარელისა მღეროდა კიდევ.

გრიშაშვილს სცენაზე თამაში ძალზე მყარებია, ალბათ ეს ახალ-

გაზრდობის საერთო სენია და გრიშაშვილსაც, თავისი სცენური მოღვაწეობა გადაუტანია ავლაბრის აუდიტორიაში, პარალელურად იგი „ნიშადურში“ კორექტურას აკეთებდა, კარიკატურებს ხატავდა და შაირებს წერდა, ხან კი წარმოდგენებს მართავდა და თვითონაც მონაწილეობდა.

დაუბრუნდეთ ხარფუხის წარმოდგენებს... ი. გრიშაშვილმა თავის პატარა დასში გულაზიანიც მოიწვია, როგორც გამოცდილი მსახიობი. მას „პეპოს“ დადგმა შეუთავაზებია გრიშაშვილისათვის, რომელიც მანამდე მარტო ვოდევილებს დგამდა („ადვოკატი მელაძე“, „ორი მშვიერი“, „კატა აწონა“ და სხვ.) „პეპოს“ როლები ასე გაანაწილეს: ზიმზიმოვის როლს ასრულებდა დ. გულაზიანი, კაკულის — ი. გრიშაშვილი, ეფემიას — თ. გულაზიანი, შუმანას როლი, რადგან ქალები არ ჰყავდათ, მამაკაცს მიანდევს (გოგი ჩოჩიაშვილს), გიქოს — გაფრინდაშვილი, ხოლო პეპოს დის — ეკელას როლს ასრულებდა ი. გრიშაშვილის და — ე. მამულაშვილი. რადგან პეპოს მოთამაშე დასში არ აღმოჩენიათ, ავლაბრიდან მოუწვევიათ ცნობილი სცენისმოყვარე — ლ. ბაღაშვილი (კინომსახიობ სპარტაკ ბაღაშვილის მამა). ეს წარმოდგენა ხარფუხელ მაყურებელს ისე მოსწონებია, რომ გადაუწყვეტიათ „მურაშკოს თეატრშიც“ ეჩვენებინათ. ყველაზე მეტად ხალხს მოსწონებიათ ლ. ბაღაშვილი და დ. გულაზიანი, დანარჩენი მონაწილეები, მათ შორის გრიშაშვილიც, არაფრით არ განსხვავდებოდნენ თურმე ერთმანეთისაგან, მაგრამ „ანსამბლს“ ხელს უწყობდნენ, როგორც ამას მაშინდელი რეცენზენტები აღნიშნავდნენ.

დ. გულაზიანს შეუტყვია, რომ ი. გრიშაშვილს კალამი უჭრიდა, შეაჩვია სომხურიდან ქართულად პიესების (ვოდევილების) თარგმნას: ის სომხურად კითხულობდა, გრიშაშვილი კი ქართულად წერდა.

დავითს გრიშაშვილი არაქსიანის თეატრში დაჰყავდა, სადაც სომეხ — ქართველ სცენისმოყვარეთა ამხანაგობის წარმოდგენები იმართებოდა. ეს საჭირო იყო მათი შთაბეჭდილებების გასამდიდრებლად.

პირველი პიესა, რომელიც მათ არაქსიანის თეატრში უნახავთ, იყო „არშაკ მეორე“. ეს ისტორიული დრამა გრიშაშვილს მაინც და მაინც არ მოსწონებია. სპექტაკლში ბევრი სროლა ყოფილა, თანაც სომხური ლაპარაკი გრიშაშვილს არ ესმოდა, სამაგიეროდ

აღტაცებული ყოფილა ვოდვეილით. ძველად, როგორც წესი, ტრაგედია-დრამის შემდეგ ყოველთვის მხიარული ვოდვეილებით უმასპინძლებოდნენ მაყურებელს.

გრიშაშვილს პატარაობიდანვე ყვარებია ინიციატორობა. ამიტომ იყო, რომ თავისი ხარფუხელი სცენისმოყვარეებით (რეჟისორი დ. გულაზიანი) დადიოდა ახლო-მახლო სოფლებშიც, ორ ტახტს ერთმანეთზე მიაკრავდნენ, ზეწრებს ფარდებად ჩამოაკიდებდნენ. დეკორაციებად დამტვრეული ტოტებიც საკმარისად მიაჩნდათ და ამრიგად წარმოდგენებს მართავდნენ ავჭალაში, დილომში, წყნეთში და სხვა ადგილებში. დილომში და წყნეთში მანამდე არც ერთი წარმოდგენა არ გამართულა. მათ ეს ეძაყებოდათ. დილომში კანცელარია დაუთმიათ, ხოლო წყნეთში, ბებუთოვების საგვარეულო მამულში, დიდი აივანი ამოურჩევიათ. აქ ადგილობრივ გლეხებს პირველად უხილავთ ხარფუხელი სცენისმოყვარეების მიერ დადგმული წარმოდგენები. ეს მომხდარა 1907 წლის 17 სექტემბერს. აფიშა და პროგრამები (სტამბურად დაბეჭდილი) ეხლაც ინახება ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში.

ამავე ხანებში გრიშაშვილს ავლაბარში გაუცვნია ქართული დრამის მსახიობები: ი. ბარელი, ი. ივანიძე, ბ. ახოსპირელი, ქალებიდან ო. ლეჟავა, რომლებიც მაშინ არწრუნისეული თეატრის შეკეთების გამო, კვირაში თითო წარმოდგენას, სახაზინო თეატრის გარდა, ავლაბარშიც დგამდნენ. გრიშაშვილის მონაწილეობით წარმოდგენებს დგამდნენ აგრეთვე ავჭალის აუდიტორიაში, ვეტცელის თეატრში, რენესანსის ბაღში, რუსული დრამატული სტუდიის დარბაზში, ხოლო იშვიათად ვერის აუდიტორიაში, სადაც გამგეობის წევრად ითვლებოდა გ. ყურაშვილი. ამ დროს დასში ირიცხებოდნენ: ა. და ს. გოგაშვილები, მ. ლელაშვილი, პ. ფრანგიშვილი, ქურხული. ოპერის თეატრის მსახიობი ვ. კუდუხაშვილი, ცალქალამანიძე და სხვები. აქ უმთავრესად იდგმებოდა გრიშაშვილის პიესები.

ი. გრიშაშვილის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია კაჭულა („პეპოში“), ბოლდანა („ჭკუისა მჭირს“), თავის მიერ გადმოქართულებულ ვოდვეილში „ბებრების დარიგება“ იგი ასრულებდა გეუას, ნიკას („ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“), სოსანას („რაც გინახავს, ველარ ნახავ“), გიორგის („და-ძმა“), მოლას („ქოროლი“), აპოლონს („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწი-

ნეს“), ლორუსას („ციმბირელი“), კარაპეტას („ძუნწი“), სოსიას („დატრიალდა ჯარა“), დესეტნიკს („საცოლე ორი საათით“), სატრიოს მედუქნეს („არკადიას სადილი“) და სხვა როლებს.

„გულწრფელად უნდა ვთქვა, — ამბობს გრიშაშვილი, — რომ მსახიობთა წრეში ყოფნამ აღმზრდელობითი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. არც ერთ წიგნს არ შეეძლო ჩემთვის იმდენი სულიერი საზრდო მოეცა, რაც მომცა ამ მოგზაურობამ საქართველოს სწვადასხვა კუთხეებში, რომელიც იმართებოდა კ. მესხის, ლ. მესხიშვილის და ვალ. ჯუნიას ინიციატივით.

აქ თბილი გრძნობა, ამხანაგური მოპყრობა უმაღლეს წერტილამდე აღიოდა, თუ გინდ მაშინ, როცა რომელიმე ქალაქში, სასტუმროების სივიწროვის გამო, ქალები და კაცები ერთ ოთახში ვიყავით... ქუდს ვიხდნი ამ ძველი მეგობრების წინაშე, რომლებმაც თავიანთი უნარი შესწირეს სახალხო წარმოდგენების იდეას. არ გადავიდნენ რომელიმე დიდ სამსახურში, აირჩიეს პატარა ასპარეზი, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობით განათებული, მგონსური სალაში სახალხო თეატრის მსახიობებს“<sup>1</sup>.

„რამდენჯერ მითქვამს და ვამბობ, რომ ქართული თეატრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი განვითარების კერა იყო. რაც სკოლამ დამაქლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემი გულის სინასკნელში რაიმე კარგი სუფევს, ეს ჩვენი კორიფეების სიახლოვის ნაყოფია. როგორც დაკვირვებული ბალდი, დავეურებდი ხოლმე ჩვენს არტისტების სიტყვა პასუხს, და გონების ფირფიტაზე გადამქონდა მათი ავკარგი. რა ბუმბერაზ მსახიობთა შორის ეტრიალებდი: მაკო საფაროვა! ვასო აბაშიძე! ლადო მესხიშვილი! კოტე ყიფიანი! კოტე მესხი! ვალერიან გუნია! ნატო გაბუნია!.. რა ბედნიერი ვყოფილვარ და არ ვაფასებდი... განსაკუთრებით მიყვარდა ვასოს ღიმილი და ლადოს ცრემლები. თუ ჩემს პოეზიას რაიმე მგრძნობიარობა ახასიათებს, ეს ლადოს შესანიშნავი გრძნობის მონაბერია. ის სცენაზე იყო, მე — სუფლიორის ნიჟარაში, ის თამაშობდა კინს, აკოსტას, ჰამლეტს, მე კი ვაწვდიდი იმ გრძნობიერ სიტყვებს, მაგრამ, არა! ხშირად ისე გამიტაცებდა ხოლმე მისი თამაში, ისე დამატყვევებდა ლადოს სახის ნაკეთთა ათამაშება, მი-

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საქართველო“, 1965, გვ. 246.

სი ფაფუკი ხმის მინანქრიანობა, რომ მავიწყდებოდა ჩემი მოვალეობა, მავიწყდებოდა, რომ მე „გაკირვების ტალკვესი“ ვიყავი და მსახიობებისათვის სიტყვები უნდა მიმეწოდებინა. მე ვიმსკვალეობდი მისი ფსიქოლოგიური განცდებით და მხოლოდ თვალებში შევციცინებდი უხმოდ.

ლადოს სახის შეტყველება მეც ძალაუნებურად გადამქონდა სახეზე. ის ხშირად გამიჯავრდებოდა, როგორც კინი უჯავრდება თავის სუფლიორს — სოლომონს, მაგრამ ფარდა დაეშვებოდა თუ არა, ლადო მომვარდებოდა და მომეხვეოდა, როგორც კინი იმავე სოლომონს მოეფერებოდა ხოლმე.

მე ვიტანჯებოდი ლადოს ტანჯვით, მე ვტიროდი მისი ცრემლებით<sup>1</sup>.

ი. გრიშაშვილის შესახებ შ. გომელაური გვიამბობს:

„არაქსიანის თეატრშივე ყოფნის დროს სოსო, როგორც პოეტი, დევის ნაბიჯებით მიდიოდა წინ და მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. სულ მოკლე ხანში იგი პოპულარული პოეტი გახდა. გრიშაშვილის მონაწილეობა დივერტისმენტში საკუთარო ლექსების კითხვით აუარებელ ხალხს იზიდავდა. ტაშის გრიალს დასასრული არ ჰქონდა და ისეთ ოვაციებს უმართავდა ხალხი, გეგონებოდათ, მესხიშვილს ან სარაჯიშვილს ეგებებიანო. მე არ ვლაპარაკობ ისეთ ანბანურ ჰუმპარიტებაზე, თუ როგორი პოეტია სოსო გრიშაშვილი, ანდა არც კომპეტენტური ვარ ამ საკითხში: ის საკმაოდ დიდად არის შეფასებული ხალხის მიერ. მე მინდა მხოლოდ მას შევეხო, როგორც მეგობარს, უანგარო ადამიანს, გულთბილ, თავაზიან და შესანიშნავ მოსაუბრეს, როდესაც ჩვენ ძველი ყოფილი სცენისმოყვარეები, შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს, სიამაყით ვიხსენებთ ჩვენი ბუდიდან — არაქსიანის თეატრიდან — აფრენილ სოსო გრიშაშვილს. განა შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს მუშა სცენისმოყვარეები: ლევან ბაღაშვილი, ბესო მაისურაძე, გიგო გელიკურაშვილი, დარო რჩეულიშვილი, ვარა ბუჩუკური და მრავალი სხვანი, რომელთა დიდი მოღვაწეობა ესოდენ ნაყოფიერი იყო მუშათა გათვითცნობიერების საქმეში.

იოსებ გრიშაშვილი — ეს ხომ მათი მოღვაწეობის ცოცხალი

---

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ნარკვევები, ტ. V. გამომც. „საქართველო“, 1965, გვ. 246.



მემატიანეა. ვინ არ დამტკბარა სოსო გრიშაშვილის წერილებით ამ მოღვაწეთა შესახებ. ყოველივე ბჭკარი დიდი სიყვარულით არის გაშუქებული. ამიტომ უყვართ მუშებს სოსო გრიშაშვილი. მე მაგონდება, როდესაც ძველ სცენისმოყვარე დავით მელაშვილს ვასაფლავებდით, ყველა გაიძახოდა: სად არის სოსო, დავიჯერო, რომ არ მოვაო! და, მართლაც სოსოს ბორჯომი დაეტოვებინა, ჩამოვიდა, რათა უკანასკნელად გამომშვიდობებოდა მუშათა თეატრების ერთ-ერთ უანგარო მოღვაწეს — დავით მელაშვილს. გრიშაშვილი არასოდეს ივიწყებს თავის ძველ მეგობრებს, იმ მშრომელთ, რომელთა წიაღიდანაც არის გამოსული. არ შემიძლია არ გავიხსენო მის მიერ ყოველ წელს გამართული საღამოები, რაც ტრადიციულად გადაიქცა და დაკანონდა. განა შეიძლება აღამიანმა დაივიწყოს იმ საღამოების მაღალმხატვრული დონე! ვინ არ ღებულობდა მონაწილეობას ამ საღამოში! საღამოს პროგრამა დიდის გემოვნებით დგებოდა: აქ მონაწილეობას ღებულობდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ვასილ კახალავი, გერმანოვი და მხვანი დიდი აკაკის მეთაურობით, და მიხარია, რომ ამ ბუმბერაზებთან მეც რამდენჯერმე მომეცა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო და მერი ახვლედიანთან ერთად წამეკითხა „ზღაპარი ჰამაკში“, რომელიც . ი. გრიშაშვილის ლექსის ინსცენირება გახლდათ. ერთი პატარა კუროზი: გაბმულია ჰამაკი, წამოწოლილია მერი ახვლედიანი და როდესაც მე წარმოვსთქვი: ჩაწექ შიგა და გიამბობ, ჰამაკი გაწყდა, მერი ახვლედიანი ძირს დაეცა და დარბაზში ხარხარი ატყდა. მაგრამ ამ პატარა კუროზმა სრულიადაც არ დაჩრდილა საღამოზე მიღებული შთაბეჭდილება და მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ასეთი გამოჩენილი პოეტის ერთ-ერთი მეგობარი და სცენის მონაწილე ვარ“<sup>1</sup>.

## ნიკო ასლამაზიშვილი

მწერალი და პოლიგრაფისტი ნიკო სოლომონის ძე ასლამაზიშვილი დაბალი წრიდან გამოსული მწერალია. თხუთმეტი წლი-

<sup>1</sup> შ. გომელაური, მოგონებანი, გამომც. „საქართველო“, 1961, გვ. 167.

სამ სტამბაში დაიწყო მუშაობა და სიკვდილის უკანასკნელ დღემდე დაზვას არ მოშორებია. ამ ხნის მანძილზე ფრიად დიდი გამოცდილებაც შეიძინა. იგი მუშაობდა თბილისში, ბაქოში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. ამ დროს ქაბუკი უშუალოდ იყო დეკავშირებული ცნობილ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და ქართული პრესის მუშაკებთან.

ნ. ასლამაზიშვილი 1872 წელს დაიბადა. მისი პირველი გზის გამკვლევი ლიტერატურაში იყო გაზეთ „ივერიის“ მდივანი გიგო ყიფშიძე, რომლის წაქეზებით ახალგაზრდა მუშამ დაიწყო პატარა-პატარა კორესპონდენციების გამოქვეყნება და ამ დღიდან კალამი ზელიდან აღარ გაუგდია.

ნიკო ასლამაზიშვილმა მალე მოთხრობების წერაც დაიწყო. მისი ნაწარმოებების თემა მშრომელი ხალხის ცხოვრება იყო. ეს თემა მწერალმა კარგად იცოდა.

სადაც და გულისტკივილით დაწერილმა მისმა მოთხრობებმა კარგად ასახეს მშრომელთა ცხოვრების სიდუხჭირე.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა მისი მოთხრობების კრებული „ნაძალადევის არწივნი“.

ასევე საყურადღებოა მისი სხვა ნაწარმოებებიც: „რევოლუცია“, „უკანასკნელი საათი“, „პატიმარი“, „მოლოდინი“, „სიხარულის ზოლი“, „ციხის დარაჯი“, „უცნობი კაცი“, „ზანგი და თურქი“, „უცნობი შეშანა“ და სხვ.

ასლამაზიშვილის მოთხრობები მოკლე და დინამიურია. მისი თემატიკის მრავალფეროვნებაზე ნაწარმოებების სათაურთა ჩამოთვლაც მეტყველებს: „ანტანტა რალა ეშმაკია“, „ჩვენები მოდიან“, „ხმელი პური და წყალი“, „ძირს თვითმპყრობელობა“, „არიქა, ვილუპებით“.

ნ. ასლამაზიშვილი უაღრესად პროდუქტიული მწერალია. გარდა მოთხრობებისა, წერდა პიესებს, მინიატურებს, ლმერთის მგმობელი (ამბავი ანჩისხატის უბნიდან), „პირველი მერცხალი“, „რაქს არ შემიტყვენია“ (ნამღვილი ამბავი), „საიდუმლო სტამბა“ (ბერლინში მომხდარ ამბავზე), „ბრძოლა უკრაინაში“, „წერილი ბრძოლის ველიდან“, „პატარა გმირი მარუსია“, „მუშა კაკულას ტრაგედია“, „თურქებმა ქალაქი დაცალეს“, „რას წარმოადგენს წითელი არმია“, „ბრძოლა ბარიკადებთან“, „ხალხის ზეიმი“ და მრავალი სხვა.

ნ. ასლამაზიშვილი თავის მოთხრობებს ხშირად აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში. ცნობილი იყო, აგრეთვე, როგორც ბრწყინვალე პოლიგრაფისტი. მან რამდენიმე წელი იმუშავა ლენინგრადის სტამბაში ასოთამწყობად. შემდეგ თბილისის მეორე სტამბაში (ფურცელაძის ქ. № 5-ში) საამწყობო საამქროს უფროსად.

მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე ნ. ასლამაზიშვილს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი წარმოებებთან. უკანასკნელ ხანებში იგი მუშაობდა „კომუნისტის“ სტამბაში. ამ პერიოდის მოთხრობებიდან აღსანიშნავია „ქარხნის დარაჯი“, „ლუკმა პურის ძებნაში“, „ახალი ცხოვრების დასაწყისი“, „თეთრი ჯვარი“, „ჩვენები მოდიან“, „სოფელი ზეიმობს“. „მართლმსაჯულების მოლოდინში“, „ბაქოს საიდუმლო“, „ბედნიერი მამა“, „ქურქიანი კაცი“ და სხვები. ამ მუშა-მწერლის მოთხრობის ენა სადა და დახვეწილია, ფრაზა მოკლე და ტყეადი.

ნიკო ასლამაზიშვილი, როგორც მოქალაქე, აღსავე იყო კეთილშობილებით, გულისხმიერებით. იყო უანგარო და ენერგიული მუშაკი.

როგორც თავისი საქმის მაღალკვალიფიციური მუშაკი, ყოველთვის ზრუნავდა ახალგაზრდების დაოსტატებაზე. ეხმარებოდა მათ, უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას, ხელს უწყობდა მათ დაწინაურებას.

ნ. ასლამაზიშვილს გამოუქვეყნებელი დარჩა ვრცელი მემუარები — „სამოცი წლის მანძილზე“.

ეს ნაწარმოები ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, თავისი წმინდა ლიტერატურული ღირსებით და ცხოვრების რეალისტური ასახვით. მასში გადმოცემულია თბილისის მცხოვრებთა ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ეპიზოდები, რომელთაც ჯერ ქართულ ლიტერატურაში მწერლის კალამი არ შეხებია.

მემუარები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მის ავტორს ნამდვილი ბელეტრისტული თვალი და ალღო აქვს.

„კარგი იქნება, — ვკითხულობთ ნეკროლოგში. — თუ ჩვენი სახელმწიფო გამოცემლობა ითავებს ამ წიგნის გამოცემას. ეს იქნება საჭირო და დიდად სასარგებლო საქმე ჩვენი ლიტერატურისათვის, დამსახურებული პატივისცემა ენერგიული, დაუღალავი მუშა-მწერლის ხსოვნისადმი. ნეკროლოგს ხელს აწერენ: ა. გომელაური, გ. ნატროშვილი, შ. წივწივაძე, ზ. ჯამასპიშვილი, გ. ჯაბა-

დარი, გ. ჩხაიძე, ვ. მენტეშაშვილი, გ. ბერიკაციშვილი, გ. ლლონ-ტი, ა. ელიაძე, ვ. წულუკიძე, ერ. ასტაფეა-ცატუროვი და სხვები.

აი რას იგონებს ცნობილი პოეტი ალექსანდრე შანიძე: „უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში მასობრივი განყოფილების გამგედ. საჯარო ბიბლიოთეკას შეფობა ჰქონდა აღებული მეორე სტამბასთან. ამ სტამბის შენობა მდებარეობდა ბიბლიოთეკის წინ, მოპირდაპირე მხარეს, ფურცელაძის ქ. № 5-ში. სტამბასა და ბიბლიოთეკას ახლო ურთიერთობა გვქონდა. ბიბლიოთეკისა და სტამბის დირექციის მიერ დაარსებული იქნა მრავალტირაჟიანი გაზეთი „სოციალისტური ტემპები“. ამ გაზეთს მე ვრედაქტორობდი. რედკოლეგიის წევრები იყვნენ სტამბიდან დ. წერეთელი, ნიკო ასლამაზიშვილი, საჯარო ბიბლიოთეკიდან: სიო ხიდისთაველი (კალანდაძე), ვასო გოზალიშვილი და ენია შავგულიძე.

ნიკო ასლამაზიშვილი ამ გაზეთშიც ბეჭდავდა თავის პატარა-პატარა მოთხრობებს, რაც საინტერესოს ხდიდა გაზეთის შინაარსს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომდევნო წლებში პროლეტარიატი, ეს იყო ახალი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა მუშა მწერლებსა და მუშა ახალგაზრდობას, რომლებსაც მწერლობისაკენ ჰქონდათ მისწრაფება.

ეს ორგანიზაცია მოთავსებული იყო ჯორჯაძის ქ. № 4, კომუნარების ბაღში (ყოფილი ალექსანდროვის), ცალკე მდგარი შენობის მესამე სართულზე.

აქ, ერთ დიდ დარბაზში იკრიბებოდნენ მუშა მწერლები: შაქრო ნავთლუღელი, გიგო ხეჩუაშვილი, სეზმან ერთაშვინდელი, იონა ვაკელი, ნოე ზომლეთელი, ნიკო ასლამაზიშვილი, სიო ხიდისთაველი, გიორგი შინატეხელი და სხვ. ამ ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელი იყო სანდრო ეული (ქურდიძე).

კვირაში ერთხელ ტარდებოდა მეცადინეობა. იხილებოდა მუშა მწერლების ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები და სხვ.

პროლეტკულტში ლექციებს კითხულობდნენ: ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე კაპანელი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები. აქ, ხშირად მოდიოდნენ და საქართველოს ისტორიულ წარსულზე

საუბრებს ატარებდნენ ზაქარია კიკინაძე, იოსებ იმედაშვილი და პეტრე მირიანაშვილი.

ნიკო ასლამაზიშვილი, სიო ხიდისთაველი მე და ზემოთ ნახსენები მუშა მწერლები 1925 წელს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრები ვიყავით.

1926 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობას ვესწრებოდით, როგორც დელეგატები. ეს ყრილობა 1926 წელს 6 მაისს თბილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით გახსნა ნოე ზომლეთელმა ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქ. № 13). ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ: აკოფ აკოფიანი, იოსებ გედევანიშვილი, სილიბისტრო თოდრია, ვლადიმერ კირშონი, იური ლიბედინსკი, შაქრო ნავთლულელი. არკადი სიტკოვსკი.

ყრილობას სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით მიესალმება გრიქორ აბოვი, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით—ყანგო ლოლობერიძე, ხელოვნების მუშაკთა სახელით („რაბისიდან“) — სანდრო ეული (ქურიძე), სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის (ვაპკ) სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იური ლიბედინსკიმ. საქართველოს მთავრობის სახელით ყრილობას მიესალმა და მიმდინარე მომენტსა და პროლეტარულ მწერალთა ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ. მან პროლეტარულ მწერლობას ამოცანად დაუსახა, ჰეგემონიას ვერ მიაღწევთ, თუ არ აიმაღლებთ მხატვრულ ოსტატობასო. ისინი ამ მხრივ დაბალ დონეზე იდგნენ.

მეორე სხდომაზე პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის ბიუროს წევრმა დრამატურგმა ვლადიმერ კირშონმა ისაუბრა ასოციაციაში არსებულ წინააღმდეგობებზე. პროლეტარულ მწერალთა თბილისის ასოციაციის საქმიანობაზე გამოვიდა ნოე ზომლეთელი. მან აღნიშნა ასოციაციის გზის სიძნელე. დამთავრება მისი ორგანიზაციული პერიოდისა.

პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი შეუერთდა პროლეტკულტს, შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა კავშირი. ჯგუფობრიობა მაინც დარჩა, „პროლემადი“ („რამი“, მუშა მწერლები).

ცხოვრება აღმავლობის გზით წავიდა, რომელიც ახალ სრულყოფილ შემოქმედებით ძალებს ითხოვდა. პროლეტარულ მწერ-

ლობას ბევრი ნაკლი და ტენდენციურობა გააჩნდა. მუშა მწერლები ვერ გასცილდნენ თავიანთ პრიმიტიულობას. მაგრამ ყოველივე ეს გამოსწორებული იქნა 1934 წ. მოწვეულ საბჭოთა კავშირის პირველ საკავშირო მწერლების ყრილობის შემდეგ.

მუშა მწერლები ვერ პასუხობდნენ მწერლობის წინაშე დასმულ ახალ ამოცანებს. ისინი საბჭოთა მწერლობის ახალ თაობას თანდათან ჩამოშორდნენ, მაგრამ მათ შემოქმედებამაც სათანადო კვალი დააჩნია საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზას.

მინდა ერთი მოვიგონო მუშა მწერლის ნიკო ასლამაზიშვილის ცხოვრებიდან. იგი ცხოვრობდა ელბაქიძის დაღმართზე № 15-ში. მას ამ სახლში პირველ სართულზე ჰქონდა ერთი ოთახი. ოთახში ედგა პატარა საწერი მაგიდა. მრგვალი მაგიდა და რამდენიმე წიგნის თარო, რომელიც გაქედილი იყო წიგნებით. მასთან რამდენჯერმე ვიყავი სტუმრად. მან მეტად დინჯი და მომხიბლავი საუბარი იცოდა. განსაკუთრებით უყვარდა ამბავის მოყოლა თბილისელ ყარაჩოხელებზე. ასევე უყვარდა ქართული კლასიკური და რელიგიური ლიტერატურის კითხვა. იყო მეგობრების დიდი მოყვარული. მეუღლედ ჰყავდა ვიღაც რუსის ქალი, რომელსაც განათლება არ ჰქონდა და მისი მწერლობის არაფერი გაეგებოდა.

1937 წელს, ამავე სახლში, მწერალთა კავშირმა მომცა ერთი ოთახი, სადაც მარტო ვცხოვრობდი. ნიკოს ახლო მეზობელი რომ გავხდი, იგი დიდად მოხარული იყო ამით. ხშირად მეძახდა, ჩავდიოდი მასთან და ვსაუბრობდით.

ბოლო ჟამს ნიკო რევმატიზმით დაავადმყოფდა, ვეღარ დადიოდა და ლოგინად ჩავარდა. ერთხელ ნიკომ მიხმო, ძლიერ შეწუხებული ვნახე, ვატყობდი, რომ დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. ჩემი მისვლა ძლიერ გაეხარდა. და აკანკალებული ხმით მითხრა: — ალექსანდრე, პატრონი არა მყავს, გთხოვ, როგორც მეზობელსა და მწერალს, აი, ამ პაპკებში ჩემი ნაწერებია და შენ გეზარებოდეს. როცა გარდავიცვლები, ჩემი ცოლი ყველაფერს გადაყრის და მიფანტ-მოფანტავს. ის წიგნები, რომელიც მაგიდაზე დევს, ჩემდა სახსოვრად მომიცია, წაიღეო“. ნიკომ სახსოვრად გადმომცა ცხრაასიან წლებში გამოცემული ჯიბის ვეფხისტყაოსანი. ამ წიგნს სამამულო ომის განმავლობაში ფრონტზე უბით ვატარებდი. ომიდან დაბრუნების შემდეგ, სხვა მასალებთან ერთად, გადავეცი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, სადაც ახ-

ლაც ინახება. ვეფხისტყაოსანთან ერთად სახსოვრად მივიღე „ღა-  
ვითნი“, „სახარება“ და „ფსალმუნი“. ამ წიგნებს ახლაც. სათუ-  
თად ვინახავ.

ნიკოს გარდაცვალების შემდეგ მისმა ოჯახობამ წიგნები ერთ  
კვირაში გაანიავა. ზოგი მაკულატურას ჩააბარა, ხოლო ნიკოს მიერ  
დატოვილი საქალაქდებები, რომელშიაც მისი ხელნაწერები იყო  
თავმოყრილი, მე წავიღე, როგორც წესი მოითხოვდა, სია შევად-  
გინე და ლიტერატურულ მუზეუმს ჩავაბარე.

ნიკოს ოჯახობაც მალე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემ-  
დეგ მისი ოთახიც მწერალთა კავშირმა მე გადმომცა, რამდენიმე  
წელი იყო ჩემს განკარგულებაში, შემდეგ ისევ მწერალთა კავშირს  
დავუბრუნე, მათ მიერ ახალი ბინის მიღებასთან დაკავშირებით“.

## ეკატერინე გაბაშვილი

„ქალი! იცი რა არის ქალი ჩვენი ერისათვის, ქალის ხმა, ქალი  
მწერალი?!! რა დიდი რამ არის საქართველოსათვის, რამდენ აღქ-  
მას შეიცავს იგი! წერდა პეტრე უმიკაშვილი.

ჩვენი ერის სასიქადულო შვილი, ცნობილი საზოგადო მოღ-  
ვაწე, დეაწლმოსილი პედაგოგი ეკატერინე გაბაშვილი პირველი  
მწერალი ქალია, რომელიც სამშობლოს სასახელოდ იღვწოდა  
ბუმბერაზ შემოქმედთა ილიას, აკაკის, ი. გოგებაშვილის, ალ. ყაზ-  
ბეგის, ვაჟას გვერდით და აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ  
საქმიანობაში“.

1870 წელს, როცა „დროებაში“ 19 წლის ეკატერინე გაბაშვი-  
ლის ნაწარმოები „გლეხკაცების აზრი სასოფლო სკოლაზე“ და-  
ბეჭდილა, ამ ესკიზს ერთსულოვანი მოწონება დაუქმსახურებია  
მოწინავე მკითხველ საზოგადოებაში.

პეტრე უმიკაშვილს ეს მოვლენა იმით აღუნიშნავს, რომ თა-  
ვისი გამოცემული „ვისრამიანი“ მიუძღვნია შესანიშნავი წარწე-  
რით: „პირველ ქართველ ქალს, ბელეტრისტს“. და თან დაულოც-  
ნია სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა: „მხოლოდ გახსოვდეს,  
წერისათვის საჭიროა შეუფერხებელი თვითგანვითარება. ეცადეთ,

ემზადეთ, დედაკაცის მწერლობა ფრიად სასახელო და საამაყო მოვლენა იქნება ქართველებისათვის“<sup>1</sup>.

ივანე მაჩაბელი მწერალ ქალს ჯერ ეამბორა და მერე უწინას-წარმეტყველა, მე თქვენში მომავალ ბელეტრისტს შევხარო. დიდ ილიას მეუღლისათვის — ოღლა გურამიშვილისათვის უთქვამს, თუ ეკატერინე გაბაშვილის რაიმე შეგზვდეს გაზეთში ან ჟურნალში, გადაშალე და ჩემს მაგიდაზე დადევ, რომ არ გამომჩიესო.

ილია ჭავჭავაძე დიდ პატივს სცემდა ეკ. გაბაშვილს, რომელიც იმ დროს ქალთაგან ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე იყო. საერთო საქვეყნო საქმეში იგი მამაკაცებთან ერთად თანაბარ მონაწილეობას იღებდა. არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელშიც მას თავისი წვლილი არ შეეტანოს.

როდესაც ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსებულა, ეკატერინე გაბაშვილი მისი გამგეობის წევრად აურჩევიათ. იგი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. ამ კომისიაში გაბაშვილის გარდა შედიოდნენ გრიგოლ ორბელიანი (თავმჯდომარე), ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე; რაფიელ ერისთავი, იონა მეუნარგია და სხვა გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები. პოემას კომისიის სხდომაზე ერთი ხმამალლა კითხულობდა, სხვებს წინ გადაშლილი ჰქონიათ სხვა ეგზემპლარები და გულმოდგინედ თვალყურს ადევნებდნენ. თუ რომელიმეს ცალკეული ადგილები საჭოკმანოდ მოეჩვენებოდა. მაშინ თავის მოსაზრებას გამოსთქვამდა, დაასაბუთებდა და კენჭის ყრის საგნად გახდიდა.

ეკატერინეს არა ერთი მნიშვნელოვანი წინადადება შეუტანია. მას თითქმის ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და კარგად ერკვეოდა მის ხალხურ ვარიანტებში, რომლებიც ფართოდ იყო და არის გავრცელებული ხალხში. ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში განუზომლად დიდი მოვლენა იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ილია. ეს

<sup>1</sup> კაკაბაძე ი. „ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, თბ., „ნაკადული“, 1981 წ. გვ. 1.



იყო ერთადერთი წმინდა ქართული დაწესებულება, რომლის გარშემო თავს იყრიდა ყველა ქართველი, ვისაც კი ადარდებდა რუსთა ზელმწიფის ხელში თავისი ერის კვნესა და ვინც ცდილობდა ამ ერის სატკივრისათვის ეშველა რამე.

„ეკატერინე გაბაშვილი ერთი იმათგანი იყო, ვინც მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა, თავისი წვლილი შეეტანა საზოგადოების საქმიანობაში“ (თ. სახოკია). იგი ეკუთვნოდა იმ ქალთა რიცხვს, რომელიც, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, თავისი ნიჭით, შრომით და იშვიათი მხნეობით საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს ეკლით მოსილ გზას არ გაუბრბოდა, თავისი წვლილი შექმნდა იმ სალაროში, რომელიც ხალხის კეთილდღეობისა და წინმსვლელობისათვის დიდ განძად არის მიჩნეული“.

ცნობილია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე ეკ. გაბაშვილი სიტყვით გამოვიდა და ქალთა პროფესიული სკოლის გახსნის საკითხი დააყენა. ეკ. გაბაშვილის წინადადებამ ილია ჭავჭავაძისა და გამჯობის სხვა წევრთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

ეკატერინე მშვენიერი მოლაპარაკე ყოფილა და ამ გამოსვლით ყველა მოუხიბლავს. ანასტასია თუმანიშვილი იგონებს: „ეკატერინემ მართლაც ისეთი გრძობითა და საბუთიანათ წარმოსთქვა სიტყვა, რომ ბევრი ცრემლმორეულნი ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ — ქალების სკოლის გახსნა სამართლიანი მოთხოვნაა“.

ეს სკოლა მუშათა და ღარიბ მოქალაქეთა ქალიშვილებს ვიწრო სპეციალობასთან ერთად ზოგად განათლებასაც აძლევდა. ამ სკოლას დიდი სახელი მოუხვეჭია მთელ საქართველოში. იქ შორეულ პროვინციებიდანაც მოუყვანიათ ბავშვები. შემდეგ მისი წაბაძვით ასეთივე სასწავლებლები და წრეები გახსნენ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ილია ყველას მრჩეველი და გზის მაჩვენებელი იყო. არ შეიძლებოდა რაიმე ახალი საქმის წამოწყება ილიას გარეშე. როცა რაიმეს გაკეთებას განიზრახავდნენ, ყოველთვის ილიასათვის უნდა ეკითხათ რჩევა-დარიგება. ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა და მუდამ მხარს უჭერდა ქალთა ამა თუ იმ წამოწყებას. როდესაც ეკატერინე გაბაშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე ქალთა პროფესიულ სკო-

ლის გახსნის საკითხი დააყენა, დიდებული მწერალი მაშინ აღფრთოვანებით მისალმებია ამ მნიშვნელოვან წინადადებას.

და სულ მალე ეკატერინე გაბაშვილის ბრწყინვალე ჩანაფიქრი რეალურად გადაქცეულა და 1887 წელს ეკატერინე გაბაშვილის ბინაზე გახსნილა ქალთა პროფესიული სკოლა. ეკატერინე გაბაშვილი წერდა: „რომ პროფესიული სკოლები საჭიროა და ხალხში პატივისცემით არის მიღებული, ამის დასამტკიცებელი საბუთია აგრეთვე სკოლების დაარსება ქართველთა საზოგადოებისაგან ქ. ქუთაისში, თელავში, კიათურაში, გორში, ხაშურში და ათას სხვაგან, სადაც მომეტებულად მოღვაწეობენ ჩვენს სკოლაში დამთავრებული ხელოსნები და წარჩინებით ასრულებენ თავიანთ საპატიო საქმეს“.

მწერალი აგრეთვე იგონებდა: „შემდეგში უფრო დავახლოვდით მე და ოლღა, როდესაც ჩემს სახლში და ჩემი ზედამხედველობით დაწესდა ქალთა პროფესიული სკოლა და რომლის თავმჯდომარეც იყო ოლღა ჭავჭავაძე. ეს ნაცნობობა საერთო ინტერესებით და საქმით შეერთებული თითქმის მეგობრობად იქცა ჩვენს შორის“<sup>1</sup>. ილია ჭავჭავაძის ასეთი დახმარებით გამხსენებულნი ქალები ყოველთვის დიდი მოწინებით მიმართავენ ხოლმე მას და უსიტყვოდ, უკამათოდ იღებდნენ მის რჩევა-დარიგებას. ილიას თაყვანისმცემელი ეკატერინე გაბაშვილი მის გარეშე არასოდეს ნაბიჯს არ დგამდა. ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი და სხვები თავიანთი მხრივ დიდად აფასებდნენ ეკატერინეს მხატვრულ მიქს, მისი პრაქტიკული მოღვაწეობის უნარს. იგი ითვლებოდა უგანათლებულეს ადამიანად, ქართული ენის იშვიათ მცოდნედ.

1898 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პერიოდიკაში გაფანტული ეკ. გაბაშვილის საბავშვო მოთხრობები ცალკე კრებულის სახით გამოსცა და მას „საყმაწვილო მოთხრობები“ უწოდა. კრებულში მოთავსებული იყო 16 მოთხრობა. წიგნმა მაშინდელი კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა, „ცნობის ფურცელში“ (1899 წ.) ვკითხულობთ: „ქალბ. ე. გაბაშვილისა ნამდვილი ცხოვრების ამსახველი მწერალია. მის ნაწერებში, როგორც სარკეში, გამოსჩანს ნამდვილი რეალური მხარე ცხოვრე-

<sup>1</sup> ეკატერინე გაბაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, 1953, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 482.

ბისა“. კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ ამ წიგნს „მოამბეში“ (1899 წ. № 12) საგანგებო წერილი მიუძღვნა. „... ეს კრებული მოთხრობათა, გადაათვალიერეთ, — წერდა კ. აბაშიძე, — და აქვე ნახავთ მრავალ მაგალითს ავტორის ცხოველმყოფელი გულისა და სულისა, მის ფხიზელმა, ლობიბიერებით აღსავსე და კეთილშობილებით დაგვირგვინებულმა ნიჭმა სად არ მიაგნო ადამიანობასა და სულის სიძლიერეს... ვისაც კი შეეხო მისი კეთილმოსურნე ხელი, ყველა გაადამიანა, ყველას ღვთაებრივი სული ჩაჰბერა“...<sup>1</sup>

1881 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ეკ. გაბაშვილის ვრცელი ნაწარმოები „რომანი დიდ-ხევში“, რომელმაც დამსახურებული აღიარება მოუტანა მწერალს. სწორედ ამ რომანის სტილი შეუდარებელია ილიას ვიქტორ ჰიუგოს სტილისათვის.

დიდი ილია მაღალ შეფასებას აძლევდა ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებთა სტილს. „ამ ქალს, — უთქვამს მას, — უთუოდ ზეპირად აქვს შესწავლილი ჰიუგოს რომანები, რომ ამგვარად მიულწევეია იმისი სტილის მიმსგავსება“. ხოლო იაკობ გოგებაშვილი მიმოიხილავდა რა 900-იანი წლების ქართულ საგანმანათლებლო ლიტერატურას, წერდა: „უკანასკნელ ნაწარმოებთა შორის შესანიშნავია საყმაწვილო ამბები ლუკა რაზიკაშვილისა, რომელიც პოეტისა და ბელეტრისტის საკვირველი ნიჭის პატრონია, და ეკატერინე გაბაშვილისა, დიდად განათლებულის და ნიჭიერი მწერლისა, რომლის მოთხრობებს განასხვავებს გულმხურვალება, ღრმა კაცთმოყვარეობა, ფსიქოლოგიური ალლო და ერთფეროვანი მხატვრობა“<sup>2</sup>.

სიღუბსჭირითა და სიბეჩავით სავსე სინამდვილეს ეკ. გაბაშვილი მაღალ-მხატვრულ ფერებში აშუქებდა და წერის სტილითა და მანერით 60 — 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელთა შემოქმედებას ეხმიანებოდა; თავისი საზოგადოებრივი საქმეებითაც იგი მხარში ედგა თერგდალეულებს, ხალხოსნებს ჩვენი სამშობლოს ნათელი მომავლისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და ბრძოლაში. ამის შესახებ თვით ეკატერინე წერს: „60 — 80-იანი წლები ჩვენი ეროვნული გამოფხიზლების დრო იყო. მწერლობა, ბანკი, ქართული სკოლა

<sup>1</sup> ეკ. გაბაშვილი, რჩული თხზ., ტ. 1, 1953 წ. გვ. 482.

<sup>2</sup> ი. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ. თბ., ნაკადული. 1881 წ. გვ. 48.

და მრავალი სხვა კულტურული დაწესებულებანი, როგორცაა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება, ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის გამოღვიძებას. ილიას თაობის ამ წამოწყებაში მეც მომიგონეს, გამომიწვიეს, გამომიხმეს საბრძოლველად, სამუშაოდ“<sup>3</sup>.

ეკატერინე გაბაშვილი განიცდიდა გორელი ხალხოსნების ს. მგალობლიშვილის, ნ. ლომოურის, გ. ყიფიანისა და სხვთა გავლენას და მთელი არსებით იზიარებდა მათ მოძღვრებას, ზრუნავდა მაშინდელი გლეხობისათვის, რომელსაც ცალკე ცარიზმისა და ცალკე მემამულის უღელი სულს ხდიდა, მშველელს, პატრონს, გაჭირვების მიმფრინებელს ეძახდა და აი, ერთი ასეთთაგანი ეკატერინე გაბაშვილი ყოფილა, როგორც კალმით, ისე მთელი თავისი არსებით.

მწერალი თითქოს ჩასწვდა ხალხის სულს. გულწრფელად უყვარს იგი და მათი მძიმე ხვედრი აწუხებს. თანაგრძნობითა და სიყვარულით ხატავს მათ მძიმე ყოფას და აღძრავს გულში უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.

ეკ. გაბაშვილი, ბუნებით დემოკრატი, სულ იმის ცდაში იყო, რომ ხალხთან ახლოს ყოფილიყო და რითაც შეეძლო ხელი შეეწყო მშრომელთა ყოფის გაუმჯობესებისათვის. ეს სიყვარული მშრომელებისადმი კიდევ უფრო გაღრმავებულა პანსიონში სწავლის პერიოდში, როცა მოწინავე მასწავლებლების შთაგონებითა და დახმარებით ეკატერინეს შეუხისხლნორცებია პროგრესული იდეები და მიზნად დაუსახავს ხალხში განათლების შეტანა.

ეკ. გაბაშვილი დაუცხრომლად იბრძოდა სოფელში განათლების შეტანის საქმისათვის. ეძებდა ისეთ ძალას, რომელიც პრაქტიკულად დაეხმარებოდა გლეხკაცს გაჭირვებასა და ჩამორჩენილობის დასაძლევად. ეკატერინე გაბაშვილს ხალხოსნების მსგავსად სწავლა-განათლება მიაჩნდა ამის უპირველეს საშუალებად.

ეს აზრი განავითარა ეკ. გაბაშვილმა თავის პირველ ნაწარმოებში — „გლეხკაცების აზრი სასოფლო სკოლაზე“. მწერალი ფრიად მტკივნეულ საკითხს ეხება. ესაა განათლების აუცილებლობა, რათა გლეხკაცს სიბნელისა და ცრუმორწმუნეობის ტყვე-

<sup>3</sup> იქვე, გვ. 8.

ობიდან თავი დაედწია. პროპაგანდას უწევდა სწავლასა და ცოდნას, რათა აემიღლებინა გლეხის შეგნება, შთაეგონებინა მისთვის, რომ საჭირო იყო უმეცრებასთან ბრძოლა და პატრიარქალური დრომოჭმული ტრადიციების უარყოფა.

მისი აზრით „სწავლას ბევრი რამ შეუძლია... მარტო სწავლას შეუძლია გამოიყვანოს ჩვენი ხალხი იმ უმეცარ მდგომარეობიდან, რომელშიც აქამდისინ ყელამდე იყო ჩაფლული“.

ნაროდნიკული იდეებითაა შეფერილი მისი „სოფლის მასწავლებელი“. ეს მოთხრობა აგვიწერს საქმიანობას მთელი ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს ხალხში გასვლის ცნობილ იდეას. მოთხრობის მთავარი გმირი ნინო, მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, მასწავლებლად მიდის მიყრუებულ სოფელში. „პირველი ნაბიჯები — განათლების შეტანა ხალხში. — ნათქვამია ამ მოთხრობაში — „რა საშუალებით? ან ჩვენს ქალებს რა შეგვიძლია? — ქალებს?! ყველაფერი და ყველაზე ბევრი. ქალი საუკეთესო გამყვანია სინათლისა უკუნეთში... წადით ხალხში. გაიფანტეთ ყოველ კუთხივ, შეიტანეთ ეს შუქი, თქვენ დაკმაყოფილდებით და საქმეც წინ წაიწევის“.

მოთხრობაში ავტორი „ხალხში გასვლის“ იდეას ქადაგებდა, ეს იდეები უფრო მკვეთრადაა გამოთქმული „სოფლის მეგობრებში“. ამ მოთხრობის გმირი ამბობს: „იმ დროს რუსეთის მწერლობაში და ახალგაზრდობაში ის აზრი ტრიალებს, რომ ინტელიგენცია დატრიალებულიყო სოფლად და სოფლის სიბნელით მოცულ ცხოვრებაში სინათლე შეეტანა“.

მისი პირველი ნარკვევები „გლეხკაცების აზრი სასოფლო სკოლაზე“, „გაბედნიერება“ 1870 და 1871 წლებში დაბეჭდილია. მაგრამ ეს თარიღი არ შეიძლება ჩაითვალოს მწერლის ინტენსიური შემოქმედების დასაწყისად. აქედან მოყოლებული მთელი ათი წლის მანძილზე ეკატერინეს არაფერი გამოუქვეყნებია. იგი რთულ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ყოფილა ჩაბმული, ხალხში განათლება შეჰქონდა. სოფლის მეურნეობის კულტურული მუშაობის პროპაგანდას ეწეოდა. ამასთან ერთად ფართოდ დასწავებია თვითგანვითარებას. ბევრს კითხულობდა, ღრმად უკვირდებოდა ცხოვრების მოვლენებს, ესწრებოდა ლიტერატურულ საუბრებს, კონცერტებს, ისმენდა საჯარო ლექციებს. მონაწილეობას იღებდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ოჯახებში გამარ-

თულ სჯა-ბაასში ლიტერატურ საკითხებზე და სამშობლოს ჭირ-  
ვარამზე.

1868 წელს დაუმთავრებია თუ არა პანსიონი, თავის თავში  
ღრმად დარწმუნებული ეკატერინე მთელი არსებით ჩაბმულა სა-  
ქვეყნო სამსახურში და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დამ-  
დგარა. მას მასწავლებლობის მძიმე პროფესია ამოუჩრჩევია. გორ-  
ში დაბრუნებული ეკ. გაბაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას შეს-  
დგომია.

ქართველ მოწაფეებს იგი იმ სახელმძღვანელოთი ამეცადინებ-  
და, რომელიც დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს უჩუ-  
ქებია: იაკობ გოგებაშვილის მეთოდით ბავშვებისათვის სულ მოკ-  
ლე ხანში შეუსწავლებია, როგორც ქართული, ისე რუსული წერა-  
კითხვა. იგი ისე გაუტაცნია მასწავლებლობას, რომ მთელ დღეებს  
მოსწავლეებთან ატარებდა. მოსწავლეებს ესაუბრებოდა სამშობ-  
ლოს წარსულსა და მიმდინარე დუხჭირ ცხოვრებაზე, ყმაწვილებს  
მომავლის იმედით აღანთებდა.

ასეთი გულმოდგინე შრომითა და მიდგომით ახალგაზრდა  
მასწავლებელს მალე მოუხვეჭია სახელი. მშობელთა უმეტესობას  
მასთან მიჰყავდა თავისი შვილი და ევედრებოდა, უარი არ ეთქვა  
მიღებაზე. ერთ დღეს ეკატერინეს მოქალაქეთა მთელი დეპუტა-  
ცია სწვევია ქალთა სამრევლო სკოლის გახსნის თაობაზე. იგი სი-  
ხარულით შეგებებია წინადადებას და ერთი თვის შემდეგ მოუწყ-  
ვია სკოლა, სადაც 50 მოზარდი მიუღია. ეს ეკ. გაბაშვილის ხელ-  
მძღვანელობით შექმნილი პირველი ქალთა სკოლა იყო გორში.

იმ დროს გორში სწავლა-განათლების საქმე მეტად ჩამორჩენი-  
ლი იყო. არ არსებობდა ქალთა სასწავლებელი. მთავრობა კი თავს  
არ იწუხებდა სასკოლო ქსელის გაფართოებაზე. უმეტესობა თა-  
ვიანთ შვილებს კერძო პირებთან ასწავლიდა წერა-კითხვას. ეკა-  
ტერინეს მეთოდს, რომელიც უფრო იოლი ყოფილა, სწრაფად გა-  
უჩუქევია მეტოქეობა „შინაოსტატებისათვის“. „გორში შემოვიღე  
სწავლების ახალი მეთოდი — იგონებდა იგი, — და დიდად გაუ-  
ადვილე ჩემს მოსწავლეებს წერა-კითხვის შესწავლის საქმე. საგა-  
ზაფხულო დათხოვნებამდე ჩინებულად შევასწავლე არამც თუ  
ქართული, არამედ რუსული ენის საქმეც“.

როცა ეკ. გაბაშვილს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-  
გადოების წინაშე ქალთა პროფესიული სკოლის გახსნის საკითხი

დაუყენებია, როგორც ზემოთ ითქვა, ილია აღფრთოვანებულნი შეგებებია და შისალმებია ამ შესანიშნავ წინადადებას. ილია ხომ მუდამ ყველას შრჩვეული და გზის მაჩვენებელი იყო და არ შეიძლებოდა რაიმე ახალი საქმის წამოწყება მის გარეშე. იგი მუდამ განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა და ამა თუ იმ წამოწყებას მუდამ მხარს უჭერდა. ამ სკოლაში უსწაველია მარიამ დემურისა და ნატო გაბუნიას. ეკატერინე გაბაშვილს მასწავლებლობა იმიტომ კი არ იტაცებდა, რომ ეს იმ დროს ერთ-ერთი სამოღვაწეო სარბიელი იყო, არამედ პანსიონში მან ღრმად შეისწავლა საგანმანათლებლო იდეები და წერა-კითხვის გაერცელების უდიდესი მნიშვნელობა. ამიტომაც იყო, უკატერინემ დაამთავრა თუ არა პანსიონი, სამოღვაწეოდ გორს მიაშურა. თუმცა ამ სურვილს დიდი წინააღმდეგობა გადაეღობა წინ ბებია ბარბარეს სახით, რომელიც პანსიონატ დაამთავრებულ ქალს გასათხოვრად ამზადებდა. მას ვერ წარმოედგინა ახალგაზრდა ქალის ხალხში გასვლა და მამაკაცებთან ერთად სიარული, არ უნდოდა ამას შეგუებოდა. ხშირად უკეტავდა კარებს და გარეთ არ უშვებდა, მაგრამ ეკატერინეს თავის გადაწყვეტილებაზე ხელი არ აუღია, ჩემი ბუნება ამგვარ სამუშაოს მოითხოვდაო, — წერდა იგი. ამ მტკივნეულ საკითხს მწერალმა შეზღვევებში არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „ფრთებდაგლეჯილი“, რომელსაც საფუძვლად პირადი ამბავი უდევს. იგი ავტობიოგრაფიულია. ამ მოთხრობის მთავარი გმირი, განათლებული და ნიჭიერი ქალი, ქეთო, გატაცებულია მწერლობით. იგი ისწრაფვის მთელი არსებით ჩაებას გონებრივი შრომის ფერხულში, მაგრამ მის მისწრაფებებს ფრთებს ჰკვეცენ, უხეშად შეურაცხყოფენ, ტრადიციის მონად აქცევენ. მის ხელნაწერებს ბუხარში ჰყრიან. განსაკუთრებით მძიმე ყოფილა მისთვის გაბაშვილების ოჯახში გამეფებული სამარცხვინო ტრადიცია, რაც ბოქავდა და წინ ელობებოდა ეკატერინეს ლალ ბუნებას, მის შემოქმედებით გაქანებას. ისინი ძრახავდნენ ქალის მწერლობას და მის საზოგადოებრივ საქმეში აქტიურ მონაწილეობას. მეუღლეს კი, რომელიც გატაცებული იყო ხალხოსნური შეხედულებებით, ქალის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის წინააღმდეგი ყოფილა.

„საშინელი ბრძოლა იყო საჭირო, — გვიამბობს იგი, — რომ ამ

ორ ძალას, კონსერვატული საზოგადოების ძრახვასა და ოჯახის მტარვალებს რომ არ გავეტეხე“.

როგორც ჩანს, ეკატერინე შეჩვეული ყოფილა დაბრკოლებებთან ბრძოლას. რაც არ უნდა ძნელი ყოფილიყო ეს წინააღმდეგობანი, ეკატერინეს შიში და უკან დახევა არ სჩვეოდა.

ხალხის უსაზღვრო სიყვარულს მიუცია ეკ. გაბაშვილისათვის ის დაუშრეტელი სულიერი ენერგია, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე ნიჭით, შრომითა და იშვიათი მხნეობით გამოუმუშავებია.

80-იან წლებში ეკ. გაბაშვილი ისევ ხელს ჰკიდებს კალამს და უკვე ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მქონე მწერლად და სინამდვილის მრავალფეროვნებაში გადმოცემის ოსტატად გვევლინება.

ცნობილ პუბლიცისტებს სერგი მესხსა და ვლადიმერ მიქაძეს „რომანი დიდ-ხევში“ ხელნაწერში წაუყითხავთ, თავიდანვე მალალი შეფასება მიუციათ მისთვის და ახალგაზრდა ავტორში ნიჭიერი მწერალი შეუცვნიათ.

მწერლის დამსახურება ის არის, რომ მან შეუფერავი სახით ცხოვრების წიადიდან აღებული მართალი სურათები გვიჩვენა.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ვითარებაში, ქალის ბედი მძიმე და საშინლად აუტანელი იყო. უფლებააყრილს, დაშინებულ ქართველ ქალს გასული საუკუნის 70-იან წლებში ეკ. გაბაშვილის სახით მოვლენია გულისხმიერი მოსარჩლე, შესანიშნავი ქომაგი, რომელსაც გაბედულად აუმაღლებია ხმა მშრომელი ქალის უფლებათა დასაცავად. მწერალმა დაგვიხატა პატრიარქალურ ტრადიციებს დამორჩილებული ტყვე ქალი და საჯაროდ აიმაღლა ხმა მის უფლებათა დასაცავად, მისი უწმინდესი გრძნობისადმი პატივისცემა მოითხოვა. სწორედ ეს აღუნიშნავს ალ. ხახუნაშვილს, როცა ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედებას ეხებოდა: „ეკ. გაბაშვილი იმ აზრისაა, რომ ადამიანი ბედნიერებისათვის არის დაბადებული, თვით გარეშე მშვენიერი ბუნება ხელს უწყობს ამ მიზნის მისაღწევად... ეკ. გაბაშვილის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე დედა აზრით არის გამსჭვალული. იგი გამოვიდა სიყვარულის მქადაგებლად. ამ გრძნობის თავისუფლად გაფურჩქვნის მომხრედ, მისი შეურაცხყოფის მგმობელად“.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობა გზას უხშობდა, კლავდა



ახალგაზრდების გულწრფელ სიყვარულს — აი, დედააზრი ე.კ. გაბაშვილის ნაწარმოებისა „რომანი დიდ-ხევში“, ამ ნაწარმოებში ქალ-ვაჟთა უბედური სიყვარულის მწარე ამბავია მოთხრობილი. მაროსა და პავლეს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მათ ბედნიერებას ათასი გადაულახავი დაბრკოლება ელოდება წინ. „ჩემი სულის ამოცლა შეიძლება და მაროსათვის თავის დანებება კი არა“, — გაიძახის პავლე. „მე იმის მეტს არავის შევირთავ, რა ვქნა, რომ ღარიბია, ერთ ლუკმა პურს როგორ ვერ ვიშოვიო“, — გაიძახოდა მაროც. მაგრამ მათ მისწრაფებას ყოველ ნაბიჯზე ფრთა ეკვეცება, მათ წინააღმდეგაა დახავსებული ტრადიციებიც და მეფის სასამართლოც. ბევრისაგან ბევრს ეცადნენ უბედურნი, მაგრამ სულ ტყუილადაო — გულისტყვილით ამბობს მწერალი.

გლეხი ქალის მძიმე ხვედრი მწერალმა ტრაგიკულ ფერებში გადმოგვცა. ასევეა მოთხრობაში „ორ-ენა და ქუჩე“. ნაწარმოების დასაწყისში ვეცნობით ახალგაზრდა მაისის ვარდივით გადაშლილ ქუჩეს; ეს ახალგაზრდა ქალი ბუნების მიერ მართლაც ბედნიერებისათვისაა დაბადებული, მაგრამ უსამართლო წყობილების პირობებში ფეხქვეშ თელავენ მის უწმინდეს გრძნობებს და მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცევა.

ე.კ. გაბაშვილის მთავარი თემა, ყველაზე მღელვარე კითხვა, რომელსაც იგი მრავალი გზის უბრუნდება, იყო ქართველი ქალის მძიმე ხვედრი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ე.კ. გაბაშვილი თავის მოთხრობებში ქართველ ქალს გვიხატავს, როგორც ორმაგი მონობის მსხვერპლს, საზოგადოებაში უუფლებოსა და ოჯახის, ტრადიციების მონას. მწერალი ამავე დროს კიცხავს უსაქმურ, ქარაფშუტა, მოდის მაძიებელ გონებაშეზღუდულ თავადის ქალებს. ის მწარედ დასცინოდა „მალაღი წოდების ბინძური“ ცხოვრების მოტრფიალე ქალებს. მოთხრობა „ჩიტუნიაში“ წარმოგვიჩინა თავადთა უსაქმური ქალების წრე.

მოთხრობას „რომანი დიდ-ხევში“ მოჰყვა მხატვრული პროზის მთელი რიგი შედეგები: „მაგდანას ლურჯა“, „როგორ მიეგება სიმონიკა ახალ წელს“, „ოქროს ბურჯი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „უსინათლო ლექსო“, „დათიკოს მონოლოგი“, „მეურმია ფიქრები“, „თამროს ნუგეში“, „ბეჩავეის სიყვარული“. ამ მოთხრობების ძირითადი თემაა სოფლისა და გლეხის დუხჭირი ცხოვრება. ამ ნაწარმოებებმა უმაღლეს მოიპოვეს ფართო მკითხველის აღიარება.

ქართულ საბავშვო ჟურნალებში გამოქვეყნებულ მოთხრობები-  
დან განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მიიპყრო ეკატერინე გა-  
ბაშვილის „მაგდანას ლურჯამ“.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობებსა და სურათებში მთავარი თემა  
საზოგადოებრივი სოციალური სინამდვილის მწვავე პრობლემების  
გადმოცემაა. მის ყოველ ნაწარმოებში შეიგრძნობა ცხოვრების  
ცოდნა და მხატვრული აზროვნება.

ეკატერინე გაბაშვილი (ქმრის გვარით — გაბაშვილით არის  
ცნობილი) 1851 წლის 11 ივლისს დაიბადა გორში. ბავშვობა კი  
სოფელ ფლავში გაატარა. ეკატერინეს დედა, სოფიო ბაგრატიონი,  
დავითაშვილის ასული შეძლებული ოჯახიდან ყოფილა გამოსულ  
და შინაურული აღზრდა ჰქონია მიღებული. იგი თავისი სილამა-  
ზითა და მომხიბვლელობით, ხასიათის სიმტკიცითა და მუსიკალო-  
ბით აოცებდა თურმე ყველას.

ეკატერინეს მამა რევან ბადურის ძე თარხნიშვილი (თარხან მო-  
ურავი), მეთვრამეტე საუკუნის მწერალთა შედეგებზე აღზრდილი,  
ნაკითხი და თავისუფალი მოაზროვნე, სახელმძღვანელო იურისტი,  
გორის სამაზრო სასამართლოში მუშაობდა.

რევანმა დიდი როლი ითამაშა ეკატერინეს სულიერად ჩამო-  
ყალიბების საქმეში. იგი პატარა კატოს წერა-კითხვასთან ერთად  
ასწავლიდა ჩვენი ერის ისტორიას, უხსნიდა ბუნების საიდუმლო-  
ებას, აყვარებდა ისტორიულ ძეგლებსა და მხატვრულ ლიტერა-  
ტურას. ესაუბრებოდა სამშობლოს მღელვარე დღეებზე, გმირულ  
წარსულზე. „მამა, — აღნიშნავდა ეკატერინე გაბაშვილი, — ჩვენი  
საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი იყო, ის გვასწავლიდა, გვარი-  
გებდა, გორის ციხე-გალავანს არაერთხელ შემოგვატარებდა, გვიამ-  
ბობდა ციხის აგების მიზეზს უწინდელ დროში. სწავლა-მეცნიერე-  
ბისათვის სამზადისის საკვებებს გვინერგავდა.

მამაჩემმა გულში კაცთმოყვარეობის ლამპარი ამინთო“.

ეკატერინეს დედიდან მემკვიდრეობით ნებისყოფა და ხასიათის  
სიმტკიცე დაჰყოლია, რამაც, ვინ იცის, რთული ცხოვრების გზაზე  
რამდენი დაბრკოლება და სიძნელე გადააღაზინა!

პატარა კატოს თავისი ცხოვრების პირველი წლები დედასთან  
ახალქალაქში, თარხნიშვილების მამულში გაუტარებია. დედის გარ-  
დაცვალების შემდეგ ხუთი წლის კატო დიდდასთან წაუყვანიათ  
გორში აღსაზრდელად. ბარბარე დესპოტი ხასიათის ქალი ყოფი-

ლა. მწერალი თავის მოგონებაში „ჩემი სიყმაწვილე“ აგვიწერს დიდებასთან გატარებულ უღიმღამო დღეებზე და იმ ოჯახურ გარემოზე, რომელშიც იგი ცხოვრობდა.

პატარა კატოსათვის ბედნიერი წუთები მხოლოდ მაშინ დგებოდა, როცა მამა მისი თბილისიდან გორში თავისი ქალიშვილის სანახავად ჩადიოდა, ასეთივე ბედნიერი წუთები იყო მისთვის მაშინაც, როცა თავის ძმასთან ერთად ზაფხულს დედუღეთში ატარებდა და გლეხურ ცხოვრებას მისდევდა. სწორედ ასეთმა გარემოებამ გააცნო მომავალ მწერალს ხალხის ყოფისა და მდგომარეობის მწვავე სინამდვილე, გლეხკაცის ცხოვრების სიდუხჭირე.

ბავშვობისდროინდელ მძლავრ შთაბეჭდილებებს წარუშლელი კვალი დაუტოვებია მწერლის შეგნებაზე და როცა ეკატერინეს თავისი შესანიშნავი ნაწარმოებების გამოქვეყნება დაუწყია — იმდროინდელი არაერთი სურათი დაუხატავს მათში.

ექვსი წლის ეკატერინეს მამის წყალობით ისე შეუსწავლია წერა-კითხვა, რომ იგი გატაცებით, თავისუფლად კითხულობდა პატარ-პატარა მოთხრობებს.

ეკატერინესათვის ახალი ხანა მაშინ დაწყებულა, როცა მამას იგი ქალაქ თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელში, მადამ ფავრის პანსიონში მოუწყვია. პანსიონს დიდი როლი შეუსრულებია ახალგაზრდა ქალიშვილის ცხოვრებაში, მისი მსოფლმხედველობისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამომუშავების საქმეში. აქ მოსმენილ ლექციებს გაუმდიდრებია მომავალი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გონებრივი პორიზონტი მგზნებარე პატრიოტიზმით აღუნთია და ხალხისადმი უანგარო სულისკვეთებით განუწყვია.

ფავრის პანსიონში ეკ. გაბაშვილი გაუტაცნია საგანმანათლებლო იდეებს, ძლიერ დაინტერესებულა საშობლოსა და ხალხისადმი თავდადებულ მოღვაწეთა ცხოვრებით. პანსიონი, აღზრდის პროგრესული ხასიათითა და მაღალკვალიფიციური პედაგოგებით იქცევდა ყურადღებას.

მოსწავლეები აქ კლასიკურ ცოდნასთან ერთად პოლიტიკურ გამოცდილებასაც იძენდნენ. პანსიონთან ახლო კავშირი ჰქონიათ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს, კერძოდ, იაკობ გოგებაშვილს. იგი რჩევა-დარიგებას არ აკლებდა მასწავლებლებს და მოსწავლე-

ებს. იაკობ გოგებაშვილი ეკ. გაბაშვილის გამოსაშვებ სალამოს დასწრებია. დიდ ქართველ პედაგოგს ახალი მეთოდით შედგენილ-თავისი უკვდავი „დედა ენა“ დაურთიებია უფროსი კლასელებისათვის და უსაუბრია იმ დიდ მოქალაქეობრივ მოვალეობაზე, რომელიც ახალგაზრდა ქალს უნდა შეესრულებინა ხალხში ცოდნისა და განათლების შეტანის საქმეში. „იაკობ გოგებაშვილმა დაგვირიგა მოწაფეთათვის მის მიერ გამოცემული პირველი დაწყებითი წიგნი, რომლითაც, ვხელმძღვანელობდი შემდეგ ჩემის მასწავლებლობის დროსაც“, — წერდა ეკატერინე გაბაშვილი.

სასწავლებელში იაკობ გოგებაშვილის მგზნებარე საუბრებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ეკატერინე გაბაშვილზე, ხოლო მის მიერ ნაჩუქარი სახელმძღვანელო მისი ცხოვრებაში გამოსვლიანამდე ილ საგზურად გადაქცეულა.

პანსიონში ეკ. გაბაშვილს სხვადასხვა დროს ქართულ ენას ნიკო დედაბრიშვილი. ნიკო ინანიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი ასწავლიდნენ. სწორედ მათ შთაუწერა ეკატერინეს სამშობლოს უდიდესი სიყვარული და ხალხის უანგარო სამსახურის გრძნობა.

იგი აღტაცებით იგონებდა აგრეთვე იმ სახელოვან ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, რომელთა შორისაც ტრიალებდა და რომლებიც მისთვის გზის მაჩვენებელ შუქურად იქცნენ.

პანსიონში ეკატერინეს ზედმიწევნით კარგად შეუსწავლია რუსული, ქართული და ევროპული ენები, რამაც დიდი გავლენა იქონია მწერლის სულიერი ფორმირების საქმეში.

რუსული და ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი მწერალი ქალი თავის მოგონებაში დიდი სასიყვარულო და თაყვანისცემით იხსენიებდა პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის სახელებს. ამ მწერალთა ნაწარმოებებმა მისი გონებრივი პორიზონტის გაფართოებაში დიდი როლი ითამაშეს.

მწერალ ქალს ღრმად ჩაჩენია მეხსიერებაში თავისი მასწავლებლის, პოლონელი პროფესორის, გულიაკის საჯარო ლექცია თემაზე: „შოთა რუსთაველის“ ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მას 1886 წელს წაუკითხავს პანსიონში. პროფესორ გულიაკს ლექცია შემდეგი სიტყვებით დაუმთავრებია: „რუსთაველის პოემა საკაცობრივ პოემაა; მოვა დრო, როდესაც კაცობრიობა ხარბად დაეწაფება ამ უკვდავ წყაროს. ვწუხვარ, რომ თვით ქართველ ახალგაზრდობას ნაკლებად ასწავლიან დედა ენას და დიდი დაგვიანე-

ბით მოუხდებათ შეისწავლონ თითქმის დაეიწყებას მიცემული ეს საკაცობრიო ძეგლი“<sup>4</sup>.

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რა მაღალი პოზიციებიდან უდგება იგი უკვდავი ქმნილების შეფასებას. ასევე მაღლიერების გრძნობით იგონებდა ეკ. გაბაშვილი რუსული ენის მასწავლებელს იუშკოვს, ფრანგული ენის მასწავლებელს მადამ ფაერის... „ყოველივე მათი სიტყვა, — როგორც მწერალი ამბობდა, — გრძნობით იყო გამთბარი, სხივმომფენი, მანუგეშებელი და შთაგონებულნი.“

მთელ ჩემს არსებას იპყრობდა ის პატრიოტული ანდერძი, რომელიც ქართული ენის მასწავლებლისგან მომისმენია. ეს ანდერძი — ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები იყო, რომლებსაც დაუცხრომლად ნერგავდნენ სამოციანი წლების შესანიშნავი მოღვაწენი“.

ასეთ ატმოსფეროში იზრდებოდა და მწიფდებოდა მწერალი ქალის შეგნება.

1871 წელს მწერალ გ. წერეთლის სალონში მოეწყო ლიტერატურული შეკრება, სადაც ილია ჭავჭავაძეს თავისი „კაცია ადამიანი?!“ უნდა წაეკითხა. კითხვას მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. გ. წერეთელს იმ საღამოზე ოცი წლის ეკატერინეც მოუწვევია, რომელიც ჯერ მხოლოდ ორი ნარკვევის ავტორი იყო. ამ საღამოს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრეებზე. დიდი ილიათი ისედაც გატაცებული ეკატერინე, რომლის სიყვარული სკოლის მერხიდან გამოჰყვა, უდიდესი შთაბეჭდილებით გაოგნებული, მისი მშვენიერი ხმის ბგერებით მოხიბლული, ფანტიკოს მოსწავლედ ქცეულა. „მგზავრის წერილებით“ მოხიბლულსა და ილიას სიტყვებით, „როგორ შევხვდები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემხვდება მე იგი“, შთაგონებულ ახალგაზრდას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რომ ერთხელ მაინც შეხვედროდა და საკუთარი თვალით ენახა ეს დიდებული ადამიანი, რომლისაგანაც ასე ძლიერად იყო ანთებული და სხვებსაც აღანთებდა სამშობლოს უზომო სიყვარულით.

„ჩემს ოცნებას საზღვარი არ ჰქონდა, — წერდა ეკ. გაბაშვი-

<sup>4</sup> კაკაბაძე ი. ეკ. გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., „ნაკადული“, 1981 წ. გვ. 5.

ლი, — რომ მისრულდებოდა უდიდესი ნატვრა „მგზავრის წერილების“ ავტორის ნახვისა“.

იმავე წლის ზამთარში თბილისს ეწვია პეტერბურგის პროფესორი ივანე თარხნიშვილი. თბილისის მთელი ინტელიგენცია რუსი, ქართველი, სომეხი აღტაცებული შეხვედრია დიდი ცოდნით აღჭურვილსა და ორატორული ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერს. ეკ. გაბაშვილს არც ერთი მისი ლექცია არ გამოუტოვებია.

ამ ორ შეხვედრას ეკ. გაბაშვილი უფრო მეტად დაუკავშირებია თბილისის მოწინავე საზოგადოებასთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, გიორგი წერეთელთან, ანტონ ფურცელაძესთან და სხვებთან. მათთან ყოველი შეხვედრა ახალგაზრდა ქალისათვის ნამდვილი სკოლა იყო, რამაც ცოდნის გაღრმავებაში დიდად შეუწყობ ხელი.

სწორედ გ. წერეთლის ბინაზე „კაცია-ადამიანის?“ კითხვის დროს ეკატერინე გაბაშვილს გაუცენია ხალხური იდეებით გატაცებული ალექსანდრე გაბაშვილი. საგულისხმოა, რომ ეკ. გაბაშვილს თავისი მეორე სტატია „გაბედნიერება“ ალ. გაბაშვილისათვის გაუგზავნია. ალექსანდრესა და ეკატერინეს შორის გაბმულა მიწერ-მოწერა. ეკატერინეც იღებდა თურმე ალექსანდრესაგან ჟურნალ-გაზეთებს, სადაც იბეჭდებოდა მისი ნაწერები სოფლის მეურნეობის მტკიცეულ საკითხებზე. იგი ზრუნავდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე.

როგორც ცნობილია, გაბაშვილის ბინაზე თავს იყრიდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული რევოლუციონერები და მოწინავე ახალგაზრდობა, რომლებმაც იქვე დააარსეს ნახევრად საიდუმლო ბიბლიოთეკა. აქ მიმდინარეობდა გაცხოველებული სჯა-ბაასი მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდობას. იგი „ივანოვის“ სახელს ატარებდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ბიბლიოთეკა შეუქმნეველი არ დარჩენია მეფის მთავრობას. რამდენიმე ხნის შემდეგ აქი გაუჩხრეკიათ კიდევ და დაუხურავთ.

ალექსანდრე, როგორც ხალხური იდეებით გატაცებული, ეკატერინესაც ხალხში გასვლას უქადაგებდა. „ყველაფერი სოფლისათვის“, ასეთი იყო მისი ლოზუნგი და მოწოდება. ალექსანდრეში ეკატერინემ სულიერი მეგობარი დაინახა და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა მას. 1872 წელს შეუღლებულან კიდევც ახალ-

გაზრდა ქალი მთელი გატაცებით ჩაბმულა ოჯახურ საქმიანობაში, ცხრა შვილის დედა გამხდარა.

ეკატერინე გაბაშვილს თავისი წვლილი თეატრი განვითარების საქმეშიც შეუტანია. იგი ქართველ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილა, რომელსაც თავისი პირადი მაგალითით გზა გაუხსნია და წაუქეზებია ნიჭიერი ქალები ეროვნული თეატრის ასაყვავებლად. მას უთამაშნია არა მარტო თბილისის სცენაზე, არამედ რაიონის სცენებზეც: გორში, სურამში, ახალქალაქში და ქარელში გამართულ წარმოდგენებში.

მისი მოწოდება არ ყოფილა მსახიობობა, მაგრამ მონაწილეობდა იმიტომ, რომ ქართული თეატრისათვის ზელი შეეწყო, ხოლო როცა სცენაზე ჩვენი ერის ვარსკვლავების ნატოსა და მაკოს ნიჭი აელვარებულა, თეატრს მოქალაქეობა დაუმკვიდრებია და საზოგადოებაში ქალებს აღარ ეთაკილებოდა სცენაზე გამოსვლა, ეკატერინე მაშინვე ჩამოშორებია სცენას.

მართალია, ეკატერინე ჩამოშორდა სცენას, მაგრამ თეატრთან კავშირი არ გაუწყვეტია. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე უხილავი ძაფით ყოფილა მასთან დაკავშირებული.

სწორედ თეატრის სიყვარულმა დააწერინა პიესები რეპერტუარის გასამდიდრებლად. ესენია: ვოდვეილი „სურათი ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან“, რომელიც 1897 წელს დაუბეჭდავთ პირველად „დროებაში“, მეორედ 1910 წელს ი. იმედაშვილის უურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“.

სპექტაკლი პირველად დაუდგამთ ახალქალაქში, ეკ. გაბაშვილის ხელმძღვანელობითა და სცენისმოყვარეთა ძალებით, აღსანიშნავია, რომ ამ ვოდვეილში მოცემულია ცხოვრება ჩვენი გასათხოვარი ქალებისა, რომლებიც ძველი დროის დედაკაცების ხელში იმყოფებოდნენ. ამ პატარა სცენით, მწერალს თვალნათლივ უჩვენებია, თუ როგორ უშლიდნენ ხელს უფროსები ახალგაზრდა განათლებულ ქალს წიგნების კითხვას, ხალხში გასვლას, საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობას. ეს არის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები, სადაც მწერალს გამოყვანილი ჰყავს საკუთარი თავი და ბებია, ანჩხლი, კაპასი ბებია, რომელიც შვილიშვილს ყოველგვარ მისწრაფებას უხშობს. სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულება დაედო საფუძვლად ამ ნაწარმოებს. სპექტაკლის მთავარი გმირი ქალის როლი თვით ეკატერინე გაბაშვილს

ვანუსახიერებია. ამ წარმოდგენას დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. ავტორზე ათასგვარი კორები შეუთხზავთ. მიუხედავად ამისა ეკატერინეს გული არ გაუტეხია და სპექტაკლი რამდენჯერმე გაუმეორებიათ.

მეორე პიესას „ბედი მუხთალი“ ეკ. გაბაშვილის „მოთხრობა „რომანი დიდხევში“ დაედო საფუძვლად. ქვესათაურად ინსცენირებისათვის“ „გლებთა ცხოვრება“ დაურქმევია. პიესა პირველად ქართულ დრამატულ დასს დაუდგამს 1897 წლის 8 ნოემბერს, კ. მესხის რეჟისორობითა და ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ, რასაც ფართოდ გამოხმაურებია იმდროინდელი პრესა „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“. დაიწერა ზუთი რეცენზია გ. წერეთლის, კ. აბაშიძის, ძველი კლასის (მიხეილ ნასიძე) და სხვათა ავტორობით.

როგორც მოთხრობაში, ისე ინსცენირებაში ავტორს გამოხატული აქვს გულისტკივილი დრომოქმეული და მანე ადამ-წესების ბატონობის გამო.

„ბედი მუხთალი“ პირველი პიესაა ქართულ რეპერტუარში, სადაც ყველა მოქმედი პირი სოციალურად დაჩაგრული კლასის — გლებობის წარმომადგენელია.

სპექტაკლი რეჟისორული და აქტიორული თვალსაზრისით დიდ ზემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე. მონაწილეობდნენ ელ. ჩერქეზიშვილი, ალ. კარგარეთელი, ვიქ. გამყრელიძე, ივ. მჭედლიშვილი და სხვები. პიესას ეკ. გაბაშვილიც დასწრებია, რითაც საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დარჩენილა და ვაშა-ვაშას ძახილით მრავალჯერ გამოუწვევიათ სცენაზე. უდიდესი პატივისცემის და მაღლიერების ნიშნად საყვარელ მწერალს საზოგადოება ფეხზე ადგომით მისალმებია.

გამოჩენილი ქართველი მსახიობი ნინო ჩხეიძე გვიამბობს: „დიდი მოწინებით, დიდი სიყვარულით ვიგონებ ჩემს ტკბილ ეკატერინე გაბაშვილს. რამდენი სიტბო, რამდენი გულისხმიერება იყო მის გულში... ეკატერინეს განსაკუთრებით უყვარდა ქართული თეატრი, ქართველი მსახიობები... ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვა თეატრისა და მისი მუშაკების სიყვარული, მათ რიცხვში ვიყავი მეც. რამდენი ალერსი, ტკბილი სიტყვა, გონივრული რჩევა მახსოვს მისგან. უკვე ღრმა მოხუცებული. მხრებში მოხრილი შე-



მომხვედებოდა ხოლმე ქუჩაში, უსათუოდ გამაჩერებდა, მომეხვე-  
ოდა და გამომკითხავდა თეატრის ამბავს“.

საგულისხმოა რეჟისორ მიხეილ გიჟიმყრელის მიერ მოწოდე-  
ბული საინტერესო ფაქტიც:

თბილისის პირველ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ძალებით  
გამართულ საინტერესო სპექტაკლზე ღრმად მოხუცებული ეკა-  
ტერინე გაბაშვილი დიდი ხალისით მისულა, წარმოდგენის დამ-  
თავრების შემდეგ მთავარი როლის, პუშკინის როლის შემსრულე-  
ბელი თვით მიხეილ გიჟიმყრელი სასწავლებელში მიუხშია და  
ბევრი გამამხნეველი და მადლობის გამომხატველი თბილი სიტყვა  
უთქვამს. ეს ყველაფერი დასტურია იმისა, თუ როგორ შემორჩა  
სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მას თეატრისადმი ინტერესი.

ეკ. გაბაშვილის მესამე პიესა „ნილილისტიკა“ 1911 წლის 27  
იანვარს წარმოუდგენია ქართული დიდი თეატრის დასს თბილის-  
ში ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ. პიესას გაზეთი „სინათლე“  
გამომხაურებია: „ეფექრობ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს  
წარმოდგენა ერთ-ერთი იყო მთელ სეზონში, რომელმაც მაცურე-  
ბელი ყოველმხრივ დააკმაყოფილა და ნასიამოვნები დატოვა“,  
რეცენზიის ავტორი ამასთან აღნიშნავდა პიესის მაღალ იდეურ  
მხატვრულ დონეს: „პიესა მოხერხებულად, მხატვრულადაა დაწე-  
რილი. აზრი მთლიანადაა დაცული და ის მეტად შინაარსიანია,  
მობენეფისეც არ შემცდარა, რომ ეს პიესა აურჩევია“.

პიესა „ნილილისტიკაში“ ნათლად არის დახატული ერთიმეორის  
საწინააღმდეგო ბანაკი, ერთი გამსჭვალულია მომავლის იმედე-  
ბით, მუდამ მოუსვენარი და მებრძოლია. მეორე — დახვეწებული,  
დრომოკმული, რომელსაც ფეხი სამარეში უდგას, დღეს თუ ხვალ  
უნდა მოკვდეს, მაგრამ ამ მწვავე სინამდვილეს ვერ შეგუებია. მას  
სიჭმარში ჰგონია თავისი თავი და ამგვარად საშინელ ტრაგიკულ  
მდგომარეობაში ჩავარდნილა.

ძველი პატრიარქალური ურთიერთობის რღვევა და ახალი ეტა-  
პის დასაწყისი — აი რას წარმოადგენს პიესა „ნილილისტიკის“  
ძირითადი იდეა, რომელსაც ქართულ დრამატურგიაში ეკ. გაბა-  
შვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება.

1890 წელს „ჭეჯილის“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა ეკ. გა-  
ბაშვილის მოთხრობა „ღვთის შვილი“. იმდროინდელ კრიტიკას  
მაღალი შეფასება მიუცია მოთხრობისათვის. 1890 წლის „ივერი-

აში“ ვკითხულობთ: „ვაჟა-ფშაველას შემდეგ „ჭეჯილის“ მეორე ძვირფასი მარგალიტია „ღვთის შვილი“, ქ-ნ ეკ. გაბაშვილისა... ამ ქალბატონის ყველა ნაწერს ერთი დიდი ღირსება აქვს. ეს ღირსება გახლავთ მოთხრობის ამბების სინამდვილე, ხალხის ცხოვრების ცოდნა, მისი ვარამისა და ჭირის გაგება. ყველა ამას გაუზვიადებლად, მარტივად მოგვითხრობს ეს ბელეტრისტი ქალი“.

ამას მალე მოჰყოლია ჟურნალ „ჭეჯილში“ დაბეჭდილი ეკ. გაბაშვილის „საახალწლო სურათი“, „გიგოლას სიზმარი შობის დამეს“ და მის მიერ თარგმნილი მოთხრობა „ვაშლების ქვეყანაში“.

ეკ. გაბაშვილმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა სახელმძღვანელოებში. იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში“ მოუთავსებია მისი „ჩვენი კაკლის ხე“; „მაგდანას ლურჯა“, „თინიას ლეკური“, „ღვინია გადაიჩეხა“ სკოლაში ისწავლება.

„მაგდანას ლურჯას“ პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ეკრანმაც.

„ღვინია გადაიჩეხა“ დღესაც ამშვენებს მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოს. მოთხრობაში მოცემულია სახალხო რეფორმის შემდგომი დროის სოფელი. ასევე მძალმხატვრული ფორმით, სიუჟეტითა და ტიპაჟით ყურადღებას იპყრობს მოთხრობა „თინიას ლეკური“.

1880 წელს გიორგი წერეთლის თაოსნობით ეკ. გაბაშვილისათვის შინაურული იუბილე გადაუხდიათ გელათში, რის შესახებაც ეკატერინეს წინასწარ აჩაფერი არ სცოდნია. თვითონ ეკატერინე ასე აღწერს ამ მოვლენას: „ნადიმი გაცხოველდა, ტოლუმბაშობა თვით გიორგიმ იკისრა. პირველად რომ ჩემი სადღეგრძელო დალია, გავოცდი, რა დროს ჩემი სადღეგრძელოა, როდესაც ამდენი პატივსაცემი ხალხია მეთქი. სწორედ ამ დროს გიორგიმ მოხდენილი სიტყვა გაშალა და მიმახვედრა, რომ დღესასწაული ჩემი სტუმრობის გამო იყო გამართული. მთლიანად დავიბენი. ესოდენ უსაზღვრო ბედნიერება არასოდეს განმიცდია. რით? ვეკითხებოდი აღელვებული. გიორგი ენაწყლიანობდა: „თქვენი ქალობით, ქართველ ქალობით, თქვენი კალმით... ქართველ ქალებში თქვენ პირველმა აიღეთ ხელში კალამი. ეს უკვე საკმარისია, რომ თაყვანისცემით მოგეგებოთ“...

1911 წელს საზეიმო ვითარებაში აღუნიშნავთ ეკატერინე გაბა-

შვილის დაბადების 60 წლისთავი. ამ საიუბილეო საღამოში მონაწილეობა მიუღიათ ცნობილ მწერლებს: აკაკი წერეთელს, ნიკოლოზოვს, ნოე ჩხიკვაძეს, იოსებ გრიშაშვილს, გიორგი ქუჩიშვილსა და სხვებს, რომელთაც გულმხურვალე სიტყვებით მიუმართათ იუბილარისათვის.

ჩვენ სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს ხალხის წინაშე გამოუყვანია იუბილარი. თავ-თეთრი ეკატერინე მიდიოდა თურმე მღაბლურად, მორცხვად გაღიმებული. პატარა გოგონები მას ფეხქვეშ ყვავილებს უფენდნენ. მომღერალთა გუნდი საგალობელს უგალობდა.

დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი თავიანთს სცემდა ეკატერინე გაბაშვილის ნიჭს. მას იუბილეზე მისასალმებელი სიტყვა წარმოუთქვამს.

ნიკოლოზოვს ვერცელი მოხსენება გაუყვებია ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედებაზე. საფუძვლიანად გაუშუქებია ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობა.

ცნობილ პოეტს ირ. ვედოშვილს ეკ. გაბაშვილისათვის ლექსი მიუძღვნია სათაურით „დედა“, რომელიც 1911 წლის 11 მარტს დაუწერია. სახელოვან მწერალს, პოეტს საქართველოს დედად დაუსახავს მწერალი ქალი.

იუბილარისათვის ასევე მიუძღვნიათ ლექსები ნოე ჩხიკვაძეს და იოსებ გრიშაშვილს.

იუბილეს შემდეგაც გრძელდება თურმე მილოცვები. სამოცდახუთი წლის ეკატერინეს უკრაინაში მყოფმა ქართველებმა ასეთი ბარათი გამოუგზავნეს: „სალამი შენდა ქართული ლიტერატურის ღირსეულ მსახურს: სალამი შენდა, ქალაქით მოსილო ივერიის ასულ“...

ეკ. გაბაშვილის 1911 წელს 60 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ქართველ მსახიობებს ელ. ჩერქეზიშვილს, ე. მატარაძეს, ნ. ციციშვილს, ნ. ჯავახიშვილს, პ. მდივანს, ი. მამფორიას, ზ. ბერძენიშვილს, მ. ხონელსა და სხვებს მწერლისათვის გამოუგზავნიათ მისალოცი ღია ბარათები ავტოგრაფებით...

იმავე წელს ხონის მოწინავე ქალებს იუბილარი თავისთან მიუწვევიათ. ამ თაონობას სათავეში ჩასდგომია დიდად განათლებული მანდილოსანი ეფრო ნიკოლაძე (ხონის სემინარიის დირექტორის ალექსი ჭიჭინაძის მეუღლე), ეკატერინე ბახტაძე, ანა ქუ-

თათელაძე — ივანოვისა, დარიკო წერეთელი-ქუთათელაძისა და სხვანი.

ეკატერინე გაბაშვილი სიამოვნებით სტუმრებია ხონელ მანდილოსნებს. მათაც ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვიათ მწერლისათვის. ქალთა წარმომადგენლები ქუთაისშივე შეგებებიან საპატიო სტუმარს. შემდეგ ხონის სახალხო თეატრში გაუმართავთ საიუბილეო საღამო. საღამოს დიდძალი საზოგადოება დასწრებია. მისი შემოქმედების თავყანისმცემლებს ამაღელვებელი სიტყვებით მიუმართავთ მწერლისათვის. საკუთარი ლექსები მიუძღვნიათ მოსწავლე ქალებს, ვაჟებს კი თაიგულები მიუერთმევიათ. თეატრის მსახიობებს მწერლის მოთხრობებიდან წაუკითხავთ ნაწყვეტები.

საღამოს დიდებულად ჩაუვლია. დამსწრე საზოგადოება ოვაციებით მისალმებია იუბილარს.

საღამოს დამთავრების შემდეგ ზონის ცნობილ ქველმოქმედისა და განათლებული პიროვნების ივანე შარაშიძის ბინაზე ვახშამი გაუმართავთ, რომლის სული და გული ქალები ყოფილან. ისინი ფარვანასავეით ევლებოდნენ თავს დიდებულ სტუმარს. აქაც მკვევრმეტყველებით ანთებული სიტყვებით შეუმკიათ მწერლის ღვაწლი.

მეორე დღეს ხონელ ქალთა ჯგუფს ეკატერინე გაბაშვილთან სამახსოვრო სურათი გადაუღიათ, მერე კი საყვარელი მწერალი ქუთაისამდე გამოუცილებიათ.

ბედნიერმა ეკატერინე გაბაშვილმა ხონში კიდევ ერთხელ იხილა, თუ რა უსაზღვროდ უყვარდა იგი ხალხს, იხილა თავისი საზოგადოებრივი ღვაწლის ჭეშმარიტი დაფასება.

## ანასტასია თუშანიშვილი-წერეთელი

არ არსებობს სხვა უფრო კეთილშობილური საქმე, ვიდრე სამშობლოსა და ხალხის სამსახურია! საჭიროა პირადი ბედნიერება ანაცვალო ამ დიდ იდეალს! სამშობლოსათვის თავდადება, ფიქრი მის ბედსა და უბედობაზე პატარა მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა! — ასე ასწავლიდა საყმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი“ სამშობლოს სიყვარულს ნორჩ ქართველ შვითხველებს.

დიდია ჟურნალ „ჭეჭილის“ როლი ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების საქმეში. ვინ მოთვლის, რამდენ ქართველ ბავშვს შეასწავლა „ჭეჭილმა“ დედაენა, გაუხსნა გონება, შეაყვარა და დაინტერესა ლიტერატურით, თავისი ქვეყნის ცხოვრებით, გააცნო სხვა ხალხების ზნე-ჩვეულებანი, შეაყვარა თავისი სამშობლო და სხვა ხალხთა პატივისცემა.

იმხანად ჟურნალისა და, კერძოდ, საბავშვო ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღება, არც ისე იოლი ყოფილა, მაგრამ ანასტასია თუმანიშვილის დიდ ენერგიასა და მტკიცე ხასიათს უნდა მიეწეროს „ჭეჭილის“ დაარსება. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში მას მხარს უჭერდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და მისი განუყრელი მეგობრები ეკატერინე გაბაშვილი, კეკე მესხი, სოფიო ციციშვილი და სხვები.

ბევრი სიმწარე გადაუტანია ანასტასია თუმანიშვილს, რომ შეუჩერებლად გამოსულიყო ბავშვების აღმზრდელი, მისი გონების მასაზრდოებელი ჟურნალი „ჭეჭილი“.

ანასტასია თუმანიშვილის გზა არ ყოფილა ვარდ-ყვავილებით მოფენილი ხან ცენზორის სისასტიკე — ამა თუ იმ მასალის აკრძალვა, ხან უსახსრობის გამო ჟურნალის დახურვის შიში აბრკოლებდა ჟურნალსა და მის რედაქტორს, ბევრ წინააღმდეგობას უქმნიდა მას. თუ არს მართლაც, უანგარო მოღვაწეობა რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიისა, ჟურნალი, ალბათ, მალე შეწყვეტდა არსებობას.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საბავშვო მწერალი და მთარგმნელი ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა მრავალფეროვანი მოღვაწე იყო. იგი არა მარტო მონაწილე ყოფილა თავისი დროის მრავალი კულტურული ღონისძიებისა, არამედ სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი მთელი რიგი ისეთი საქმეებისა, რომელთაც თვალსაჩინო კვალი დაუტოვებია მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

იმ დროს ქართული საბავშვო მწერლობის შექმნა-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია საბავშვო ჟურნალების არსებობას.

ეს კარგად სცოდნია მაშინდელ ლიტერატურულ საზოგადოებას და იბრძოდა ჟურნალის დასაარსებლად. და აი, 1881 წელს გამოჩენილა პირველი საბავშვო ჟურნალი „წყარო“. მისი მხოლოდ

ოთხი ნომერი დაბეჭდილა. „წყაროს“ რედაქტორ-გამომცემელი ანთიმოზ ჯუღელი ყოფილა. მართალია, ჟურნალს დიდხანს არ უარსებია, მაგრამ მის გამოსვლას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას ნიადაგი მოუმზადებია მეორე ჟურნალ „ნობათის“ ხანგრძლივი დამკვიდრებისათვის.

ჟურნალ „ნობათს“ ორი წელი (1883 — 1885 წ.წ.) უარსებია ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ჟურნალისტის ანდრია ლულაძის რედაქტორობით. ჟურნალი მეტად საინტერესო ყოფილა. ან. ლულაძე ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა ჟურნალი, როგორც გარეგნულად ისე. შინაარსობრივად მიმზიდველი ყოფილიყო.

ჟურნალი „ნობათი“ პირველ რიგში მიზნად ისახავდა წერა-კითხვის გავრცელებას, ბავშვთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, სამშობლოს სიყვარულითა და სხვა ჰუმანური გრძნობებით მათ აღზრდას.

ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი მწერლების ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, ანდაზები, ლეგენდები, იგავები, გამოცანები, რებუსები, რომლებშიაც ასახული იყო გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები, გეოგრაფიული აღმოჩენები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევები, ხალხის ისტორიული წარსული და სხვა მრავალი რამ.

ჟურნალ „ნობათის“ პირველ ნომერს, რომელიც 1883 წლის დეკემბერს გამოვიდა, ამშვენებდა რაფიელ ერისთავის ლექსი „სწავლობს გიგლა ტიტინა“,

ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „საახალწლო ფეშქაში“, აკ. წერეთლის ლექსი — „ყმაწვილი და ჰეპელა“, ილია ჭავჭავაძის ლექსი — სიმღერა „ნანა“ — ნოტებზე და სხვა მასალები.

ეპიგრაფის სახით ჟურნალს თავფურცელზე წამძღვარებული ჰქონია შოთა რუსთაველის სიტყვები: „დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან“.

ჟურნალ „ნობათში“ თანამშრომლობდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ეკ. გაბაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ს. მგალობლიშვილი და სხვა ნიჭიერი მწერლები, რომელთა ნაწარმოებებს დღესაც არ დაუკარგავს აღმზრდელითი მნიშვნელობა. მიუხედავად ჟურნალის არსებობის ხანმოკლეობისა, მას ბავშვებისათვის სულიერი საზრდო არ მოუკლია.

ბავშვების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდა, სამშობლო ქვეყნის ბუნებისა და ისტორიის გაცნობა, დედენის დამკვიდრება ჟურნალ „ნობათის“ პროფილს განსაზღვრავდა.

მიუხედავად ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერისა და დახმარებისა ჟურნალმა მაინც ვერ შეძლო დიდხანს არსებობა, ვერ გაუძლო სისტემატურ ხელმოკლეობას და მკაცრ ცენზურას. 1885 წელს ჟურნალს არსებობა შეუწყვეტია და მთელი საბავშვო ლიტერატურა ხუთი წლის მანძილზე უყურადღებობას განიცდიდა. საბავშვო ლიტერატურის, მისი ჟურნალის არსებობა კი აუცილებელი იყო.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ქართველ მოღვაწეთა შორის კვლავ მომწიფებულა აზრი, რომ გამოეცათ სპეციალური საბავშვო ჟურნალი, მაგრამ მისი გამოსვლა 1890 წლამდე მთავრობის უნებართვობის გამო მაინც ვერ მოხერხებულა. ბოლოს ამ საქმისათვის ანასტასია თუმანიშვილს მოუყიდა ხელი და 1889 წლიდან დაუწყია ზრუნვა ჟურნალის გამოსაცემად.

ამ დროისათვის ან. თუმანიშვილი საკმაოდ ცნობილი მთარგმნელი და საბავშვო მწერალი ყოფილა. მას უკვე ცალკე წიგნებად დაბეჭდილი ჰქონია რუსულიდან და ფრანგულიდან თარგმნილი: საბავშვო მოთხრობები „ხატაურა“ (1881 წ.), „ხუთი ამბავი“ (1883 წ.), „მოლალური“ (1887 წ.).

პირველ რიგში ან. თუმანიშვილს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის მიუმართავს თხოვნით, რათა მის მიერ გამოცემული საბავშვო მოთხრობები დაეშვათ ოლქის სასკოლო ბიბლიოთეკაში. ამის საფუძველზე 1889 წლის 8 აგვისტოს სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიას შეუტყობინებია, რომ ანასტასია თუმანიშვილის საბავშვო წიგნები „მოლალური“ და „ხუთი ამბავი“ მიღებული და ნებადართულია ოლქის სასკოლო ბიბლიოთეკისათვის.

იმის მიუხედავად, რომ ანასტასიას ყველა პირობები ჰქონდა საბავშვო ჟურნალის გამოსაცემად, 1890 წლის 3 აგვისტომდე მაინც ვერ მოხერხებულა მისი გამოშვებება. ცნობას ჟურნალის დაარსების თაობაზე ქართველი საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეხვედრია.

ან. თუმანიშვილს ხელში ჩაუგდია თუ არა ნებართვა, მაშინვე შესდგომა რედაქციის თანამშრომლების შეგროვებას. ისინი დაუ-

ყოველივე ამოუდგნენ მხარში და ენერგიას არ ზოგავდნენ საქმის ღირსეულად დაგვირგვინებისათვის.

ანასტასია თუმანიშვილი დაიბადა 1849 წელს საზოგადო მოღვაწისა და მწერლის მიხეილ თუმანიშვილის ოჯახში. სადაც თავს იყრიდნენ იმ დროს გამოჩენილი მოღვაწეები. პატარა ანასტასია გაფაციცებით ყურს უგდებდა თურმე მათ საუბრებს პოლიტიკურ, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

იმ კულტურულ წრეს, რომელშიც ანასტასიას ბავშვობიდანვე უხდებოდა ყოფნა, დიდი როლი შეუსრულებია მისი ინტელექტუალური ინტერესებისა და განვითარების საქმეში.

ანასტასიას მამა მიხეილი განსაკუთრებული ინტერესით ექცეოდა შვილების აღზრდას. ცდილობდა ისინი გულისხმიერნი და შრომისმოყვარენი გამოსულიყვნენ. იგი არა მარტო წიგნის სიყვარულს უნერგავდა მათ, არამედ ხელმძღვანელობდა და სწორ მიმართულებას აძლევდა მათ სწავლა-განათლებას.

სწორედ ასეთი აღზრდის შედეგია ანასტასიას ხასიათის სიმტკიცე, კეთილსინდისიერება და შრომისადმი დაუცხრომელი ინტერესი.

7 წლის ანასტასია მშობლებს თბილისში მადამ ფავრის პანსიონში შეუყვანიათ, სადაც ქართული ენის პედაგოგებად მადამ ფავრის მოწვეული ჰყოლია ცნობილი ქართველი პედაგოგები ალ. ცაგარეიშვილი, იაკ. გოგებაშვილი და სხვანი. ამ პანსიონში ბევრი კარგი ოჯახის შვილი აღზრდილა, როგორცაა ეკატერინე გაბაშვილი, კეკე მესხი და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი.

ანასტასიას მადამ ფავრის პანსიონში ცოტა ხანი დაუყვია, რადგან ადგილის განთავისუფლების გამო იგი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში გადაუყვანიათ. ამ სასწავლებლის აღზრდის მიზანი, მოსწავლეების ქცევისა და მანერების გამომუშავების გარდა, ფრანგული ლაპარაკი და ფორტეპიანოზე დაკვრა ყოფილა.

15 წლის ანასტასიას სასწავლებელი წარჩინებით დაუმთავრებია, მაგრამ ინსტიტუტიდან მას არავითარი ცოდნა არ გამოუტანია. სწავლის პერიოდის ეს სულიერი განწყობილება ანასტასიას თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში გამოუხატავს, რომელიც 1881 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოუქვეყნებია.

ის წრე, რომელშიც ანასტასია თუმანიშვილი ტრიალებდა, მიხეილ თუმანიშვილის ქალისაგან სულ სხვანაირად მოელოდა.



ამიტომაც იყო, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ანასტასია ოჯახში დაბრუნებულა თუ არა, გატაცებით დასწაფებია კითხვას, საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისათვის მზადებას. და აი, 1972 წლიდან აქტიურად ჩაბმულა შრომით საქმიანობაში. ამიერიდან არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დარგი, სადაც მას არ ეთანამშრომლოს, ეს იქნებოდა ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქალთა სკოლის ორგანიზაცია, თუ საქველმოქმედო საღამოების მოწყობა.

ანასტასიას მუდმივი მონაწილეობით ჩამოუყალიბებია ამხანაგობა „სხივი“, რომელსაც ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია და წლების მანძილზე მრავალი საინტერესო წიგნი მიუწოდებია დაინტერესებული მკითხველისათვის. მისი თაოსნობით დაარსებულა აგრეთვე ქალთა ახალი სკოლა, რომელიც ყაზბეგის სახელს ატარებდა. ამ სკოლაში ყველა საგანი ქართულად ისწავლებოდა.

1872 წელს ანასტასია თუმანიშვილის ხელმძღვანელობით შემდგარა ქალთა პატარა წრე, რომელიც ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. ამ წრის წევრები ქართულ ენაზე თარგმნიდნენ სხვადასხვა წერილებს, მოთხრობებსა და ცალკეულ წიგნებად ბეჭდავდნენ საერთო სათაურებით: „თარგმანი საამურთა საკითხავად (თხზულებათა) თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისაგან“.

წრეში მონაწილეობდნენ კეკე მელიქიშვილი (კეკე მესხი), ეკატერინე გაბაშვილი, ელენე ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი), რომელიც სცენისმოყვარეთა წრეში ღებულობდა მონაწილეობას და ხალხოსნობდა.

ქალთა წრე სათარგმნელად არჩევდა ისეთ მოთხრობებსა და ამბებს, რომლებიც მომავალ თაობას სარგებლობას მოუტანდა, განავითარებდა მათ გონებას, გააცნობდა ქალთა მონური უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდს და პატრიოტულ სულისკვეთებას გაუღვივებდა.

ანასტასია თუმანიშვილს პედაგოგიური მოღვაწეობა იტაცებდა. მის პედაგოგიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში დიდი როლი უთამაშია ალფონს ესკიროსის წიგნს: „XIX საუკუნის „ემილი“, რომელიც გამოსულა პეტროგრადში და მალე თუმანიშვილის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა.

ან. თუმანიშვილი გაუტაცნია ესკიროსის მოძღვრების პროგ-

რესულ მხარეს და ევროპაში წასვლა გადაუწყვეტია. იმ დროს ციურინში იმყოფებოდნენ ოლლა გურამიშვილი და კეკე მელიქიშვილი (კეკე მესხი). შვეიცარიაში და საფრანგეთში ანასტასია ოთხი თვე დარჩენილა. აქ გაუცვნია მას არა მარტო აღზრდის თეორიები, არამედ ისიც, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდებოდა ესა თუ ის თეორია. აინტერესებდა ბავშვთა აღზრდის, კერძოდ სკოლამდელის საკითხების შესწავლა. აქ რამდენიმე სკოლა დაუთვალა იერებია, გაუცვნია აქაური პედაგოგებიც, მაგრამ საზღვარგარეთ დიდხანს არ დარჩენილა, რაზედაც თვითონ გვიამბობს: „ვიგრძენი, რომ საქმეს ბოლომდე ვერ გავიტან, მიზანს ბოლომდე ვერ მივალწევ, ვმიშობ, ვაი თუ ვერ შევძლო უმაღლესი განათლების მიღება და სხვებივით სწავლა დაუმთავრებელი დავბრუნდე. ნაღვლიანი და მწუხარე დედის მიტოვება რამდენიმე წლით ცოდვად მივიჩნეე და ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ ოჯახს დაეუბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინვე გამოირკვა ჩემი ტკივილების მიზეზი: „მუშაობა, მუშაობა, შეუწყვეტლივ, მუშაობა ხალხისათვის“...

და, მართლაც ანასტასია თუმანიშვილს პირნათლად შეუსრულებია თავისი მიზანი, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე, ხალხის სამსახურისათვის შეუწირავს. იგი სამშობლოში დაბრუნებისთანავე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1884 წელს 35 წლის ან. თუმანიშვილს „ქალთა შორის წერაკითხვის საზოგადოების“ გამგეობის წევრად ირჩევენ. და იგი იმავე წელს ამ საზოგადოების დახმარებით აარსებს თავის მშობლიურ სოფელ ხელთუბანში პირველ დაწყებით სკოლას, რომელიც იმავე წელს საზეიმოდ გახსნილა. აკაკი წერეთელს სოფლელებისათვის სკოლის გახსნა მიულოცია. მუშა-პოეტს იოსებ დავითაშვილს კი თავისი ხელით დამზადებული სახაზავებით დაუსაჩუქრებია. ხოლო ანასტასიას თავისი ძვირფასი ნივთები გაუყიდია შენობის მოსაწყობად. იქვე ობოლ ბავშვთა თავშესაფარიც გაუხსნია.

1890 წლიდან ან. თუმანიშვილს მხარში ამოდგომია ცნობილი საბავშვო მწერალი, ჩვენი ხალხური სიტყვიერების პირველი შემკრები თედო რაზიკაშვილი, რომელიც 15 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა თურმე სკოლასა და მოსწავლეებს, ზრდიდა მათ პატრიოტული სულისკვეთებით. თედო რაზიკაშვილს ანასტასია თუმანიშვილთან მუდამ ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა.

იგი წერილობით ატყობინებდა სკოლის წარმატებებსა და წარმატებლობას. ამ დროს იგი, როგორც საბავშვო მწერალი, თანამშრომლობდა კიდევ ერთხელ „ჭეჭილში“.

როგორც წერილებიდან ირკვევა, თედო რაზიკაშვილს ბევრი ბრძოლა დასჭირებია სოფლის სკოლის შესანარჩუნებლად.

ერთხელ „ჭეჭილის“ პირველი ნომერი გამოსულა 1890 წელს. იგი თავისი მიმართულებით, შინაარსითა და ფორმით „ნობათის“ გაგრძელებას წარმოადგენდა. დაარსებულა თუ არა ერთნაირი, მის რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიას დიდი მუშაობა გაუწევია, რათა ერთნაირს გამართლებინა ქართველი საზოგადოების იმედი.

პირველ ხანებში ერთნაირი ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, 1896 წლიდან კი — ყოველთვიურად. ამ პირველი საბავშვო ერთნაირების მხატვრულ ტრადიციებზე იზრდებოდა საქართველოს ნორჩი თაობა. საბავშვო ერთნაირებს განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენი ერის ცხოვრებაში, იგი გახდა საძირკველი, რომელზედაც შენდებოდა მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა.

„ჭეჭილი“ მრავალფეროვანი პროგრამით გამოდიოდა. მის ირგვლივ დაირაზმნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და პოეტები. „ჭეჭილში“ იბეჭდებოდა, როგორც ორიგინალური და ნათარგმნი, ისე ისტორიული ხასიათის მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, არაკები...

1890 წლის დამდეგს ხელმოწერით საჩუქრად მიუღიათ ლამაზად გაფორმებული „ჭეჭილის“ პირველი ნომრები. ერთნაირს საქართველოს საამაყო მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სახელები ამშვენებდნენ. აქ იყო ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, აკაკის პოემა „მერცხლისა და ქივჭავის ომი“, ვაჟას „ჩემი მამალი“, იაკ. გოგებაშვილის „სპილო და ქიანჭველა“, შიომღვიმელის „ჭეჭილი“, რ. ერისთავის „შვიდნი ვართ“ და სხვა წარმოებები.

უკვე ნათელი წარმოდგენა გვექმნება, თუ როგორი გულმოდგინეობით უმუშავიათ ჩვენს სახელოვან მწერლებს ნორჩების ერთნაირში. მათ ყარგად ესმოდათ მისი დიდი მნიშვნელობა. თვით გოგებაშვილსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ კეთილშობილური საქმისათვის მოუხმარებია.

მართლაც ამ ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ სასიქადულო-მამულიშვილებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით მომავალი თაობე-ბისადმი. აკაკი წერეთელი „ჭეჯილის“ გამოსვლისთანავე გამზდარა ამ ჟურნალის მეგობარი და ასე დარჩენილა ბოლომდე.

„ივერიას“ ილიას მეთაურობით დიდი ამბით მიულოცნია 1890 წლის 31 დეკემბერს ქართველი საზოგადოებისათვის საბავშვო ჟურნალის დაბადება: „სასიამოვნო ამბავი უნდა ვახარო ჩვენს მკითხველს: „ღღეს დაურიგდა ხელმომწერთ პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჯილისა“, რომელიც ამის შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოვა ანასტანია თუმანაშვილის რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალ-საჩინოებისათვის. არც გული და. კეუა დავიწყებული. ერთისა და მეორესათვისაც სამკალია საკმარად შიგ. ყდა წიგნიცა, სურათები, ქალღი, ნაბეჭდობა, შინაარსი — ყოველივე თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება, ერთმანეთს არას უთმობს სიკეთითა და სილამაზით. „ჭეჯილის“ რედაქციას კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენი მოზარდი თაობებისათვის... დიდი სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახალი დაბადებულისა და ნორჩი ჟურნალისა. და უნდა ვთქვათ, რომ გულით და სულით ვისიამოვნოთ, დავტკბით, დავტკბებით და უფრო ტკბილად დავებრდებით, ვიდრე მამა-პაპის ნაანდერძევი „აბრამიანი“ და „გოზინაყი“ დავაბერებდა“.

ჟურნალის პირველი ხელისმომწერი, მისი რედაქტორის ახლო მდგომი ოლდა ჭავჭავაძე ყოფილა. მას აღუთქვამს, „ილიას რაიმეს დაეაწერინებო“. მართლაც, როგორც ცნობილია, „ჭეჯილის“ პირველი ნომრისათვის ო. ჭავჭავაძეს მოუტანია ლექსი „ბაზალეთის ტბა“.

ჟურნალის პირველი ნომერი იხსნებოდა ცნობილი საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის ლექსით „ჭეჯილი“.

„ზამთარი გაღის, სუყველგან  
ღნება თოვლი და ზეაია,  
ია იშლება, ჭეჯილსაც  
ამოუყვია თავია...“

შემდეგ ეს ლექსი მომავლის იმედის მომცემი სტრიქონებით მთავრდება:

„ჩერ პატარა, ქორთა,  
თანდათან გაიზრდებო,  
დაისხამს ოქროს თაეთასა,  
ზღვასავით აღელდებო“.

ჩენი სასიკადულო მწერლების დახმარებით ყურნალი იმთავითვე გამხდარა მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო. ყურნალს უამრავი მკითხველი გამოჩენია. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. სიამოვნებით კითხულობდნენ, როგორც ბავშვები, ისე დიდები. ყურნალი ლამაზად ყოფილა გაფორმებული და მოხატული. მას წამძღვარებული ჰქონია ეპიგრაფად ი. დავითაშვილის ლექსიდან „იხარე მწვანე ჩეჯილო“:

„იხარე მწვანე ჩეჯილო“:  
დაპური, გახდი ყანაო“.

ყურნალისათვის „ჩეჯილი“ იაკ. გოგებაშვილს შეურქმევია, რომელიც სავსებით ამართლებდა თურმე აკაკი წერეთლის შეხედულებას: „ბავშვებს ის ახარებს, რაც დიდებსაც არ აწყენს“. ან. თუმანიშვილს, როგორც რედაქტორსა და გამომცემელს, თავიდანვე მოუხვეჭია პოპულარობა. ყურნალი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში იბეჭდებოდა ნაწარმოებები მცირეწლოვანთათვის, ხოლო მეორეში — მოზრდილთათვის. ყურნალის ნომრები, როგორც ზემოთ ითქვა, თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანი ყოფილა. აქ გაშუქებული იყო მეცნიერების სხვადასხვა საკითხები, ნარკვევები გამოჩენილ ადამიანთა შესახებ, თარგმანები უცხო და კლასიკური ლიტერატურიდან, მის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა ქართულ ფოლკლორს, გამოცანებსა და სხვა საინტერესო მასალებს. „ჩეჯილის“ სარედაქციო კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას.

ერთ პერიოდში იაკ. გოგებაშვილს სდომნია ანასტასია თუმანიშვილისათვის ჩამოერთმია რედაქტორ-გამომცემლობა, დაეჭვებულა, რომ ქალი ვერ გაუძღვებოდა ამ რთულ საქმეს. მაგრამ ეს დიდი მისია ან. თუმანიშვილს ბრწყინვალედ უტარებია 30 წლის მანძილზე.

ყურნალ „ჩეჯილის“ ათი წლისთავს აკაკი წერეთელი გამოხმაურებია: „ჩეჯილი“ შედარებით სხვებთან ნიჭიერად გამოდის, მაგ-

რამ მკითხველი მაინც ცოტა ჰყავს და ამის მიზეზიც ადვილი მისახვედრია: ჩვენში ყოველთვის ჯერ კიდევ მეტზე და მეგანგაშე ექირვება, თავის თავად ავ-კარგის გარჩევას ველარ ახერხებს დღევანდელი ქართველობა“ (1893 წ. № 12).

ამ დაუსრულებელ ტექნიკურ მუშაობაში, ცხადია, შემოქმედებისათვის ვის ეცალა, მაგრამ არ გამოსულა არც ერთი ნომერი, რომ ანასტასიას თარგმანი ან ორიგინალური ნაწარმოები არ ყოფილიყო დაბეჭდილი. მას ეურნალთან ერთად მრავალი წიგნიც ჰქონია ამ დროისათვის გამოცემული.

ეს გასაოცარი უნარი ორგანიზატორობისა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს ბოლომდე შემორჩენია. ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გიორგი წერეთელი ამით მოხიბლულა. ჯერ კიდევ შეუღლებამდე 1891 წელს იგი წერდა: „მე მინდა ისეთი ამხანაგი, რომ თანაბარი შრომა გასწიოს ჩემთან, როგორც საზოგადოებრივსა და ლიტერატურის ასპარეზზე, ასევე ჩემი მამულის მართვაში. ამ შემთხვევაში მე ამ ქვეყანაზე თქვენზედ უკეთეს მეგობარს ვერ ვიშოვნო. ამ მოსაზრებას ამ ბოლო დროს დაერთო გულწრფელი და ღრმა სიყვარული“...

ან. თუმანიშვილი ხელს უწყობდა დღეს უკვე ცნობილსა და სახელმოხვეცილ ბევრ პოეტსა და მწერალს, რომელთათვისაც მას ეურნალში თანამშრომლობისათვის ფართოდ ჰქონია გაღებული კარი. ანასტასია დიდი კმაყოფილი ყოფილა ვაჟა-ფშაველასი, შიომღვიმელისა, გიორგი ქუჩიშვილისა, დავით თურდოსპირელისა, იოსებ გრიშაშვილისა, გიორგი ლეონიძისა, ანა ხახუტაშვილისა და სხვათა, რომლებიც უანგაროდ იღებდნენ მონაწილეობას ეურნალში.

ანასტასია თუმანიშვილის აზრით საჭირო ყოფილა საფუძვლიანი კრიტიკის დაცვა, რომელიც ობიექტურად მსჯავრს დაადებდა მის საყვარელ ეურნალს და აღნიშნავდა მის როგორც ნაკლს, ისე მნიშვნელობასა და ღირსებას. ამიტომ მას ილია ჭავჭავაძისათვის მიუმართავეს: დაეწერა რაიმე, მაგრამ ილიას უარი უთქვამს: „ქალების თავი არ მაქვსო, აყაყანდებით და სხვა არაფერიო“... რუმცა ეურნალი უკრიტიკოდ მაინც არ დარჩენილა. სამი წლის არსებობის შემდეგ მისი პირველი შემფასებელი ნიკო ნიკოლაძე ყოფილა. ეურნალში გარდა მოსაწონისა, ბევრ საგულისხმო ნაკლსაც აღნიშნავდა. მის კრიტიკულ გამოსვლას ეურნალზე საგრძნობი გავლენა.

მოუხდენია. ეურნალში დათესილი ბრწყინვალე მარგალიტებით ხარობდა თურმე ნორჩი თაობა. „ჩეჭილის“ ყოველ გამოსვლას მოუთმენლად ელოდა საზოგადოება. ეურნალმა დაახლოვა კლასიკოსი მწერლები ბავშვებთან, ისინი მათი ახლობლები და მეგობრები გახადა.

აი, როგორ იგონებს ამ შესანიშნავ ურთიერთობასა და სიყვარულს იაკობ გოგებაშვილი: „ჩვენი გამოჩენილი პოეტები თანაუგრძნობდნენ ამ ეურნალს. აქ წაიკითხავდით აკაკის, ვაჟასა და ბევრ სხვათა ლექსებსაც. ჩვენი შიო მღვიმელი ნამღვილი შიოს მარანი იყო: უხვი, პურადი, გულადი. არ გამოსულა ნომერი „ჩეჭილისა“ შიოს თავისი ძღვენი, ნობათი არ მიერთმია პატარა მკითხველებისათვის... მთელი გულისყურითა და სიყვარულით ეპყრობოდა ბავშვების ამ სულიერ საზრდოს აკაკისთან ერთად დიდებული ვაჟა“.

ოცი წლის მანძილზე არ გამოსულა არც ერთი ნომერი „ჩეჭილისა“, რომ ანასტასია თუმანიშვილს არ ერბინოს სტამბაში მისი ყოველი ფორმის დასაბეჭდად.

„ჩეჭილის“ ოცი წლის თავი არა მარტო გაზეთს აღუნიშნავს, ან. თუმანიშვილის ღვაწლზე, არამედ ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს მწერალს ადა საზოგადო მოღვაწეს ალექსი კიკინაძეს ჯერ ხონის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ტაძარში.

ასევე მისალმებია ოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს თავისი ახლო მეგობარი ივლიტა ნაკაშიძე და პირადი მრწამსი მშვენივრად გამოუხატავს საიუბილეო საქმიანობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეურნალის ფუძემდებლისა და რედაქტორისადმი: „იქნებ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდნენ მეორე იმისთანა, სადაც წინმსვლელობის პროგრესის გზა ისე იყოს სავსე ნარითა და ეკლით, როგორც ახლანდელ საქართველოში. ამ გზის გაკაფვა შეუძლია იკისროს ხალხის მხოლოდ იმისთანა რჩეულმა შვილმა, რომელსაც თავისი თავი დავიწყებული აქვს და სულდგმულობს მხოლოდ ქვეყნის სიკეთით. საუბედუროდ, უკუღმართი აღზრდის გამო გუნდი ამისთანა მადლით მოსილი მოღვაწეებისა საქართველოში მეტად მცირეა და იმ მცირე გუნდში თქვენ ღირსეულად და სამართლიანად გიჭირავთ ფრიად საპატიო ადგილი.“

თქვენი ღვაწლი ხალხის განათლების ასპარეზზე დაუფასებ-

ლია. „ჩეჩილის“ დაარსებით თქვენ შექმენით ახალი ხანა ქართველთა განათლებაში, შექმენით საკუთარი მხნეობით, დაუღალავი ენერგიით მთელი ოცი წლის განმავლობაში, თქვენ აჩუქეთ საყმაწვილო ლიტერატურას მრავალი წიგნი, სავსე მრავალფეროვანი შინაარსითა.

თქვენმა „ჩეჩილმა“ გააღვიძა და გამოიყვანა ამ მეტად საპატიო ასპარეზზე არა ერთი ქართველის ნიჭი, რომელიც უამისოდ უქმად და უნაყოფოდ დაქცნებოდა. ამითაც არ დაკმაყოფილდით, თქვენ შექმენით მეორე კერაც სწავლა-განათლებისა. დააარსეთ ახალი საზოგადოება „განათლება“, რომელმაც გახსნა ფრიად სასარგებლო სასწავლებელი ღარიბ ქართველთათვის, სადაც ნორჩი მოსწავლენი მშობლიური ატმოსფეროს გავლენას განიცდიდა.

თქვენ მიეცით და აძლევთ ქართველ ქალებს ბრწყინვალე მაგალითი თავდაბლობისა, გარჯისა, დაუმკნარი მხნეობისა, ქვეყნის სიკეთის იშვიათი ერთგულებისა.

ამ მაგალითით უნდა მოიხიბლოს მრავალი ქართველი ქალი და გახდეს თქვენი მიმდევარი.

ქება და დიდება თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობას, ლოცვა და კურთხევა მადლიერის მშობლების, მასწავლებლებისა და მათი ნორჩი მოწაფეებისაგან“.

ანასტასია თუმანიშვილთან, როგორც აღვნიშნეთ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ივლიტა ნაკაშიძეს. იგი ერთ-ერთი პირველი ლეჩხუმელი ქალი ყოფილა, რომელსაც საშუალო განათლება მიუღია. მას ოქროს მედალზე დაუმთავრებია ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი და ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა იმ მცირე ჯგუფს, რომელიც ჯერ კიდევ მეფის პერიოდში მოსულა საზოგადოებრივ ასპარეზზე და აქტიურად ჩაბმულა საერთო საქმეებში.

ივლიტა ნაკაშიძე ყოფილა ქალთა საზოგადოება „განათლების“ მიერ დაარსებულ ქალთა სკოლის დირექტორი, სადაც მონაწილეობდნენ ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: ზაქარია ფალიაშვილი, ნიკოლოზ კავსაძე, ივანე გომელაური, ანტონ ფალავა და სხვები.

„ჩეჩილის“ ოცდაათ წლისთავზე ანასტასია თუმანიშვილი ბავშვებს მიმართავდა:

„ბავშვებო!



ათი წლის წინათ, როცა ოცი წლის თავზე „ჭეჯილის“ ზემი იყო, მე ისე უძლური მეგონა ჩემი თავი, რომ ვფიქრობდი, რომ ორიოდ წელსაც ვერ ავიტან შრომას. მაგრამ ხედავთ, ბავშვებო, ათი წელიწადი გავიდა მას აქეთ და მე კი ისევ მედგრად, სულითა და გულით ვემსახურები „ჭეჯილს“. იცით რატომ, ჩემო პატარებო, რა მაცოცხლებს და მამაცად მხდის? საქმის სიყვარული, მარად სიყვარული...

„ჭეჯილი“ კიცხავდა უქნარებსა და ზარმაცებს. თავის ნორჩ მკითხველს იგი შთააგონებდა, რომ კარგი და პატიოსანი ადამიანი ის არ არის, ვინც ზარმაცია და სხვის ნამოქმედარს შეჰყურებს, არამედ ის, ვინც სასარგებლო შრომას ეწევა; კაცის ღირსება შრომაშია და თანაც ისეთ შრომაში, რომელიც ქვეყანასა და ხალხს გამოადგება“.

ანასტასია თუმანიშვილის დამსახურება მარტო „ჭეჯილით“ როდი ამოიწურება, მას დაუარსებია აგრეთვე ყოველკვირიული სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი „კვალი“.

ან. თუმანიშვილისა და გ. წერეთლის ურთიერთ ხელშეწყობითა და დანშარებით 1895 წელს გამოსულა „კვალი“, რომელიც ჟურნალ „ჭეჯილის“ დამატებად ითვლებოდა. „ჭეჯილს“ კარგა ხანს ამოფარებია ქართული აზროვნების მოზარე, დიდი პოლიტიკური ჟურნალი „კვალი“. იგი 1904 წელს დაუხუტრავთ და „ჭეჯილიც“ თან მიუყოლებიათ. რვა თვის ბრძოლის შემდეგ ან. თუმანიშვილს კვლავ მიუღია „ჭეჯილის“ გამოცემის უფლება.

ქართული საბავშვო მწერლობა 900-იანი წლებისათვის იმდენად მოღონიერებულა, რომ 1904 წელს შესაძლებელი გამხდარა მეორე ჟურნალის „ნაკადულის“ დაარსებაც. ამ დროისათვის საქართველოში ორი საბავშვო ჟურნალი არსებულა, რაც თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია.

„ნაკადულს“ სათავეში ჩასდგომია მწერალი და საზოგადო მოღვაწე მარიამ დემურია. მას დიდი ამაგი დაუდევს „ნაკადულისათვის“, რომ მკვიდრ ნიადაგზე დაეყენება. 1910 წლამდე, სიცოცხლის დასასრულამდე, მარიამ დემურიას ჟურნალისათვის ზრუნვა არ დაუკლია. მისი გარდაცვალების შემდეგ „ნაკადულზე“ ზრუნვა ნინო ნაკაშიძემ იკისრა. იგი დიდი რულუნებით მუშაობდა ამ საშვილიშვილო საქმეზე.

საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და ჟურნალისტს ანასტასია თუმანიშვილს, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა თარგმანებით დაუწყო. 1876 წელს „დროების“ 76-ენომერში გამოუქვეყნებია თავისი პირველი თარგმანი ალფონს დოდეს „მარშლის გულმტკიცუნელობა“. ამას მოჰყოლია ოთხმოცამდე ორიგინალური საბავშვო მოთხრობა და უფრო მეტი თარგმნილი ნაწარმოებები. თარგმნიდა რუსულ და ფრანგული ენებიდან. ან. თუმანიშვილს მოთხრობები, რომლებიც გამორჩეულად მოსწონდა და ყვარებია, სამ კრებულში მოუთავსებია, „თაიგული“, „კონა“, „ყვავილი“.

თუ თვალს გადავავლებთ ამ მოთხრობებს და, საერთოდ, მის მთლიან შემოქმედებას, დავინახავთ, რომ ანასტასია თუმანიშვილის საბავშვო მოთხრობების თემა მრავალფეროვანია, მაგრამ ანასტასიას ძირითადი თემა ხელმოკლე ოჯახის ცხოვრებაა, განსაკუთრებით ისეთი ოჯახის, სადაც ბავშვი მამით ობოლია. დედა დაობლებულ ბავშვებს სწირავს თავის ახალგაზრდობას, სიცოცხლეს. იგი დღე და ღამე შრომობს, რათა ლუკმა-პური არ მოაკლდეთ მის ობლებს. ანასტასიას ასეთი დედები მომავლის იმედით ცხოვრობენ.

ასევე მრავალფეროვანია მისი წიგნების თემაც: „ხატაურა“, „რობიზონ კრუზო“, „ცრინი“, „გუსტავ ვაზა“, „თეთრი და ზანგი“, „მოლაღური“, „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“ და სხვ.

ან. თუმანიშვილს რომ არაფერი დაეწერა და არაფერი ეთარგმნა, მის სახელი ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში მაინც დარჩებოდა, როგორც „ჯეჯილის“ ამაგდარი რედაქტორის, საბავშვო მწერლების გამომზრდელის, ჩვენი ნორჩი თაობების სულიერი მასაზრდოებელისა და საბავშვო მწერლობის დაუღალავი მსახურისა.

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს პირნათლად შეუსრულებია თავისი მიზანი — მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ქართველი ხალხის სამსახურს შეწირა.

## მარიამ გარიყული

მწერალსა და მსახიობს მარიამ ლუკას ასულ გარიყულ-რატიანს, გარდა იმისა, რომ თეატრაჰინო წვლილი შეჰქონდა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, აქტიურად ყოფილა ჩაბმული მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

მარიამ გარიყულს საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლა სცენაზე მოღვაწეობით დაუწყია. თეატრალური ნათლობა ჯერ კიდევ ბავშვობაში მიუღია. ქუთაისში ტოლ-ამხანაგების დახმარებით რამდენიმე საბავშვო წარმოდგენა გაუმართავს. აკაკი წერეთლის პიროვნებისა და მისი შემოქმედების ღრმა პატივისმცემელს „პატარა კახისა“ და „ბუტიანობის“ დადგმა განუზარაზავს, რაც მალე მოუყვანია სისრულეში.

მარიამ გარიყული დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრს, როგორც ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციას, რომელსაც დიდი როლი უნდა შეესრულებინა ჩვენი ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში. ამიტომაც ერთგულად და უანგაროდ ემსახურა სახალხო თეატრებსა და თვითმოქმედ წრეებს ორ ათეულ წელზე მეტი, მაგრამ ძირითადად მარიამი მწერლად იყო დაბადებული.

იგი თავდაპირველად ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მოთხრობების პიესებად გადაკეთებას შესდგომია. იმ დროს ქუთაისის თეატრში მოღვაწე შალვა დადიანის რჩევით ახალგაზრდა მარიამს დამოუკიდებელი ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია. წერდა პატარა მოთხრობებს, ესკიზებს, მაგრამ კალმის ამ პირველმა ცდებმა ვერ მოიკიდეს ფეხი პრესაში.

1905 წლის რევოლუციამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც რუსულ, ისე ქართულ ლიტერატურაში. მარიამ გარიყული მ. გორკის ზეგავლენით წერდა „ცნობის ფურცლის“ კვირეულ სურათებიან დამატებაში ათავსებს თავის პირველ მოთხრობას „ცხოვრების გმირი“.

ამ გაზეთს მაშინ რედაქტორობდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი და გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი. ლიტერატურულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ლიტერატორი ილია აგლაძე, ახალბედა მარიამის პირველი კონსულტანტი და მრჩეველი.

ამ მოთხრობას მკითხველთა ყურადღება იმით მიუქცევია, რომ ავტორი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს ეხებოდა. ამას მალე მოჰყოლია იმავე „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაბეჭდილი მიხი მეორე მოთხრობა „ჩვეულებრივი ამბავი“. მოთხრობა ასახავდა მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობას, მის მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში, და მეფის მთავრობის აგენტების თარეშს რევოლუციურად განწყობილთა დასამორჩილებლად.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ მარიამ გარიყული ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. მისი ნაწარმოები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთებსა და ჟურნალებში: „ცნობის ფურცლის“, „სახალხო ფურცლის“, „დროების“, „თემის“, „ერის“, „კლდისა“ და სხვა გამოცემათა ფურცლებზე.

მას ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია საბავშვო ლიტერატურის განვითარებაშიც, მუდმივად თანამშრომლობდა ჟურნალ „ნაკადულსა“ და „ჯეჯილში“...

როგორც ჩანს, მარიამ გარიყულის არსებაში პატარაობიდანვე ჩასახულ ინტერესს წიგნისადმი და აგრეთვე შემდეგ გავლივებულ მიდრეკილებას მწერლობისადმი თავისი ნიადაგი უკვე მშობლიური ოჯახის გარემოცვაში ჰქონია.

მარიამ გარიყული 1883 წლის 20 მარტს დაიბადა ქუთაისის მაზრის პატარა სოფელ გუბში, მწიგნობრისა და ხალხური მოღვაწის ლუკა თათეიშვილის ოჯახში, რომლის პოეტური ლექსები დროდადრო თურმე, იბეჭდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე“ გუბის ფსევდონიმით. გარდა ლექსებისა იგი პოემებსაც წერდა. მათ შორის ცალკე წიგნად გამოსულა პოემა „სიყვარული“, ხალხში გვიის წიგნად წოდებული. ლუკა თათეიშვილს, როგორც მწიგნობარსა და ლიტერატურის მოყვარულს, იცნობდნენ იმდროინდელი ქართული ლიტერატურის წრეებში აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იროდიონ ევდოშვილი. აკაკი წერეთელსა და რაფიელ ერისთავს მისთვის წერილებიც მიუწერია:

სოფელში სკოლა არ ყოფილა. მარიამისათვის წერა-კითხვა გუბში მცხოვრებ სოფლის ჟიჩინარ მოღვაწეს, ინტელიგენტსა და ჰუმანურ ადამიანს ლოლობერიძეს უსწავლებია, რომელიც თავისი სურვილით, უფასოდ ამეცადინებდა სოფლის ბავშვებს.

დიდებისა და დედის დახმარებით მარიამს პატარაობიდანვე სკოლნია ნაწყვეტები აკაკის „პატარა კახიდან“, ილია ჭავჭავაძის

„სახარობელადან“, დ. კონქაძის „სურამის ციხიდან“ და ხალხურ „ეთერიანიდან“.

1892 წელს მარიამი მშობლებს ქუთაისის პირველ ქალთა დაწყებით სასწავლებელში მიუბარებიათ. სწავლამოწყურებული ქალიშვილი ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით მშობლიურ ქართულ ლიტერატურას ეწაფებოდა. მასზე დიდი გავლენა მოუხდენია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს.

სამსახურობრივი მდგომარეობის გამო მარიამის მამა თბილისში გადაუყვანიათ. მას, როგორც რკინიგზელს, ხშირად უხდებოდა ადგილის შეცვლა. მარიამისათვის ძნელი გამხდარა საცდელ საშუალო სკოლაში მოწყობა და იგი სწავლის გარეშე დარჩენილა. თუმცა სწავლამოწყურებულ მარიამისათვის ამას ხელი არ შეუშლია, რადგან ამ დროს იგი დაახლოებია მოწინავე მოღვაწეებს, რომელთა გავლენითაც ფართოდ დაწაფებია ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა, გასცნობია რუსულ ლიტერატურასაც და ხელი მოუკიდნია საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

როცა მშობლები საცხოვრებლად თბილისში გადმოსულან, ხელონებით გატაცებულ გოგონას ქართული დრამის სპექტაკლები უნახავს და აი, სწორედ მაშინ გადაუწყვეტია, თავისი ბედი ქართული თეატრისათვის დაეკავშირებინა, მსახიობი გამხდარიყო. ამ მიზნით 1900 წელს 17 წლის გოგონა გასცნობია სახალხო თეატრის ცნობილ მოღვაწეს — საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორს მარიამ დემურჩას და თავისი სურვილი გაუზიარებია. მაშინ თეატრი ქალების ნაკლებობას განიცდიდა. მარიამ დემურჩას გახარებია ახალგაზრდა ქალისაგან ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა და მარიამი „ავჭალის აუდიტორიასთან“ არსებულ სახალხო თეატრის საქმიანობაში ჩაუბამთ.

ამ თეატრის სცენაზე სცენისმოყვარეები და მაყურებლები ძირითადად მუშები და ხელოსნები იყვნენ. დიდი წარმატებით დგამდნენ ქართული და რუსული კლასიკოსების დრამატულ ნაწარმოებებს.

მარიამი პირველად სცენაზე კლასიკურ პიესაში გამოსულა და სცენის გამოჩენილ მოღვაწეთა ყურადღება დაუქმნახურებია. ამის შესახებ მარიამი გვიამბობს: „როცა იქ პირველად მივედი, „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. მზადდებოდა, — ყვავილების გამყიდველ გოგონას კლოდინეს როლი მომცეს. ამ წარმოდგენის დროს გავი-

ცანი ვასო აბაშიძე. ის რეპეტიციებზე არ დადიოდა, მის მაგივრად სხვა სცენისმოყვარე ვადიოდა რეპეტიციებს. წარმოდგენის დღეს კი ვასო მოვიდა. ის ასანთებს ჰყიდდა სცენაზე: დაატარებდა კისერზე დაკიდებულ საწვრილმანო ყუთს. ის ასანთს ჰყიდდა, მე ყვავილებს, და სცენაზე რომ ორჯერ შევეფეთე, ჩუმად ჩამილაპარაკა: — ოო, ქაჯან, ფეხებში ნუ მედებო... ამ წარმოდგენის შემდეგ ავკალის ქუჩაზე გავლა მიძნელდებოდა. მედუქნეები და ქუჩაში მოთამაშე ბავშვები მომძახოდნენ „ყვავილები, ყვავილებო“.

მარიამი ამ როლის შესრულებისთანავე დასში ჩაურიცხავთ. აქ უხილავს მას პირველად სცენის დიდი კორიფეები: ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, სვ. სვიმონიძე. აქ გაუცვნია მას პოეტი ირ. ევდოშვილი, რომელიც სახალხო თეატრის მარჯვენა ხელი იყო, იგი მსახიობობასთან ერთად ტექნიკურ სამუშაოსაც ასრულებდა, სცენისათვის დეკორაციებს აკეთებდა.

თეატრში ხშირად იყრიბებოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. თეატრის ხშირი სტუმრები იყვნენ და თეატრის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ შიო არაგვისპირელი, ილია ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძე, ილია აგლაძე და სხვები. თეატრში საგასტროლოდ მოდიოდნენ სახელგანთქმული მსახიობები ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, კ. ყიფიანი.

1900 წელს, როცა ვალ. გუნიაშვილმა თეატრში მსახიობობის მსურველთა გამოსაცდელი სპექტაკლი მოაწყო, გამოცდაზე 18 ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამოცხადდა, მათ შორის ყოფილა მარიამ გარიყულიც. მან კარგი შეფასება მიიღო და 1901 წელს მოიწვიეს კიდევ ქუთაისის დრამატულ წრეში მსახიობად. თეატრს ხელმძღვანელობდა ჩენი სახელგანთქმული მსახიობი ლადო მესხიშვილი. ლ. მესხიშვილს იმ დროს თეატრის შემოქმედებითი მუშაობა ძირფესვიანად გარდაექმნა. მაყურებლისათვის უჩვენებია მხატვრულად მაღალხარისხოვანი იდეური სპექტაკლები. ამავე დროს სცენის კარები ფართოდ გაუღო ახალგაზრდა მსახიობებს და მათ აღზრდას მიჰყო ხელი.

მ. გარიყულს ლ. მესხიშვილთან სამი სათეატრო სეზონი დაუყვია და თავისი შემოქმედებითი ნიჭი გამოუვლენია. ამავე დროს სასცენო ხელოვნებაში თვალსაჩინო ცოდნაც შეუძენია. ქუთაისის თეატრში მრავალი სხვადასხვა როლი განუსახიერებია: ნინო ალ. ყაზბეგის „არსენა“, ტურფა — ავ. წერეთლის „პატარა კახი“,

იდა — ჰაუფმანის „ავადმყოფი ხალხი“, მარინე — ვალ. გუნიას „და-ძმა“, ქვრივი პერნელი — მოლიერის „ტარტიუფი“, ფაიხომი დ. ერისთავის „საშობლო“, დეზდემონა შექსპირის „ოთლო“, ესთერი — კ. გუცოვის „უჩიელ აკოსტა“.

როგორც ჩანს, მარიამ გარიყულის მიერ ამ პერიოდში შექმნილი სცენურ სახეთა გაღერება მრავალფეროვანი ყოფილა. ქართულ გლეხ ტურფასა და ფრანგ ქვრივ ქალ პერნელს შორის საერთო არაფერია, ასევე ძლიერ დაშორებულია ერთმანეთს თამარ ცბიერი და დეზდემონა. მაგრამ სცენაზე ახლად ფეხადგმულ მარიამს დაბრკოლებები დაუძლევია და მაყურებლის სიმპათია დაუმსახურებია.

მარიამ გარიყული, რატომღაც, თავის სამსახიობო მონაცემებზე სწორი წარმოდგენის არ ყოფილა. ჩანს, მას ეგონა სცენაზე შედგამდა თუ არა ფეხს, ერთბაშად დაიპყრობდა სასცენო ხელოვნების მწვერვალებს, ქარიშხალს დაატრიალებდა. ასეთ წარმატებისათვის ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობა რომ იყო საჭირო, ეს ვერ გაუთვალისწინებია და პროფესიულ თეატრს ჩამოშორებია.

ხანდაზმულობაში მყოფი მარიამი პროფესიული თეატრიდან წასვლის ამბავს გულისტკივილით იგონებდა: „ორ ნახევარი სეზონი დავრჩი თეატრში და ბოლოს ვარჩიე მისი დატოვება. ვატყობდი, რომ ოდნავ თვალსაჩინო ადგილსაც ვერ მოვიპოვებდი სცენაზე და ისე სხვათა შორის მაჩანჩალად ყოფნა არ მინდოდა. უკანასკნელად ვეაშბორე დეკორაციის მტვრიან ჩარჩოს და მოვედი მწერლობასთან. ორმოცდაათი წლის განმავლობაში მუდამ მეკითხებთან, თუ რად დავირქვი ფსევდონიმი „გარიყული“. ზოგიერთს ჰგონია, რალაც საშინელი ტრაგედიის გამო. ნამდვილად კი ჩემს ფსევდონიმში სცენიდან წასვლა გამოვხატე“.

თეატრიდან წასვლის შემდეგ იგი ლიტერატურულ მოღვაწეობას შესდგომია. 1904 წლის მიწურულში, 1905 წლის რევოლუციამდე, მ. გარიყული ისევ თბილისში ჩამოდის. ლიტერატურითა და სცენის სიყვარულით გულანთებული, ვერ სძლებს თეატრის გარეშე და კერძო სამსახურთან ერთად „ავქალის აუდიტორიის“ სახალხო თეატრში იწყებს მუშაობას. იგი მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ავლაბრის სახალხო თეატრების წარმოდგენებშიც. ამითაც არ დაკმაყოფილებულა და თბილისის რკინიგზის აუდი-

ტორიასთან აარსებს სცენისმოყვარეთა წრეს და მართავს იაფფასიან წარმოდგენებს: იბსენის „ექიმი შტოკმანი“, ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

1905 წელს ცოლად მიჰყვება აგრონომ მელქისედეკ რატიანს და იწყებს თავის ახალ ცხოვრებას. ამავე წელს იბეჭდება მის პირველი მოთხრობა და ამით საფუძველი ეყრება მის ხანგრძლივ ლიტერატურულ შემოქმედებით მოღვაწეობას.

1907 წელს წიგნად გამოსულა მ. გარიყულის მამხილებელი წინაარსის მოთხრობა „ჯაშუში“, რომლის შინაარსი 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას ეხება. წიგნს მკითხველი საზოგადოების მოწონება დაუმსახურებია, კრიტიკასაც ქება შეუსხამს, რითაც ახალბედა ავტორისათვის ნიჭიერი მწერლის სახელი დაუმკვიდრებია. მოთხრობა მეფის ცენზურას აკრძალული ლიტერატურის სიაში შეუტანია.

ამის შემდეგ მ. გარიყული ოჯახური მდგომარეობის გამო სამტრედიისში გადასულა. იგი სამსახურის პარალელურად მონაწილეობას ღებულობდა საქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგენებში.

1916 წლიდან მ. გარიყული ისევ ბრუნდება თბილისში და სატირის თეატრში მსახიობად იწყებს მუშაობას. სატირის თეატრიდან იგი კინოში გადადის და აქაც მრავალ ეპიზოდურ როლებში ღებულობს მონაწილეობას. მაგრამ იგი მაინც ვერ ღალატობს თავის სასცენო მოწოდებას და ისევ თეატრალურ წრეში ბრუნდება. კვლავ აქტიურად მონაწილეობს გორის, სამტრედიის, ქუთაისის თეატრალურ საქმიანობაში.

1920 წელს მარიამი გორში დასახლებულა და 1921 წლიდან აქტიურად ჩაბმულა გორის მუშა სცენისმოყვარეთა წრეში.

ამ წრის ხელმძღვანელი და რეჟისორი საქართველოს დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ჯაყელი იგონებს: „ერთ-ერთი პირი, რომელიც გვერდში გვედგა, იყო მწერალი მარიამ გარიყული-რატიანისა. მაშინ მარიამი ოჯახით იყო დატვირთული. მაგრამ მაინც სიამოვნებით გვეხმარებოდა და ერთხელაც არ ჩამოშორებია სცენას... ბავშვებს დააძინებდა თუ არა, რეპეტიციებზე გამორობოდა“...

მიუხედავად ამისა, მას მწერლობა ერთი წუთითაც არ მიუტოვებია, რათა თავის მღელვარე ეპოქას კალმით გამოხმაურებოდა.



სრულიად ახალგაზრდამ, მართლაც, შესძლო თავისი წარმატებებით ცხოვრების მართალი ანარეკლი დაეტოვებინა თაობებისათვის. თანამედროვე მისი რომანები: „ახალი ვანთიადი“, „ანარეკლი“, „გარღვეული მიჯნა“ — მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც დიდი ინტერესით იკითხება.

მარიამ გარიყულის ადრინდელ ნაწარმოებთა შორის შეიძლება დავასახელოთ ისეთი მოთხრობები, როგორებიცაა: „ჩვეულებრივი ამბავი“, „ბოჩკილი“, „ჩინოვნიკი“, „სოფლის მსუნაგები“, „ღმერთად მოწამე“, რად ვერ იცნო“, „სარდაფში“, „ღარიბთა ქერ-ქვეშ“, „ლიმილი“, „საიდუმლო“, „მწერლის კაბინეტი“, „ყვავილთა ქვეყანა“, „ვერ მიღწია“, „ახალი მასწავლებელი“ და სხვანი.

ამ რომანში ავტორმა გვიჩვენა ცხოვრებისეული სინამდვილის სურათები, ჩვენი სოფლისა და ქალაქის თანამედროვე ყოფა, ახალი ურთიერთობანი, ახალგაზრდების ცხოვრება, ფიქრები და განცდები. მისი რომანის გმირები თამრო, ტატე, დილმიანთ ნიკო და სხვანი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ცოცხალი სახეებია.

მარიამ გარიყულის შემოქმედებაში მნიშვნელოვან განძად უნდა ჩაითვალოს დიდი ოსტატობით შესრულებული მისი მემუარული ნაწარმოები „განვლილი გზა“, რომელიც ობიექტურად, საზოგადოებრივად გვიხატავს ჩვენი ხალხის წარსულისა და აწმყო ცხოვრების სურათებს. გვაწვდის მრავალფეროვან ცნობებს, ფრიად საინტერესოს და გამოსადეგს ჩვენი ქვეყნის წარსულის მკვლევართათვის.

პოეტური გატაცებით იგონებს თავის ბავშვობას შვიდ ათეულ წელს გადაცილებული მწერალი და მოხუცის თვალთ შეჰყურებს სოფელ გუბში მამისეულ კარ-მიდამოში გატარებულ დღეებს. ხანდაზმული მწერლის მოგონებებში განსაცვიფრებელი სიცხადით და ფერადოვნებით ცოცხლდება მშობლიური გარემო, ახლობელთა და ნათესავთა პორტრეტები, იმერეთის პეიზაჟი, მისი ზნე-ჩვეულების ეთნოგრაფიული ჩანახატები, ქართული კულტურის იმდროინდელ მოღვაწეთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები. ყოველივე ეს ბელეტრისტული ოსტატობით არის შესრულებული მემუარებში „განვლილი გზა“. ეს მემუარებიც კარგად მიუღია მკითხველ საზოგადოებას. იგი ორჯერ დაუბეჭდავთ (1949 და 1955 წ.წ.).

მარიამ გარიყულის „განვლილ გზას“ ქართულ მემუარულ ლიტერატურის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სამოცდათექვსმეტს გადაცილებული ვარ“. — აღნიშნავდა მწერალი ქალი მოგონებათა დასასრულს. მაგრამ ეს არ არის გავლილი გზის უბრალო აღნუსხვა. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები.

1928 წელს დაბეჭდილა მ. გარიყულის პატარ-პატარა მოთხრობების კრებული, რომელშიც შესულა „უსინათლო ალექსი“, „იმ დღეს“, „ახალი მასწავლებელი“, „ნინიკო“.

მწერლის ადრინდელ ნაწარმოებებიდან მკითხველის ყურადღებას იპყრობდა მოთხრობები: „ჩვეულებრივი ამბავი“, „ბორკილები“, „სოფლის მსუნაგები“, „რად ვერ იცნო“, „ჩინოვნიკები“, „სარდაფში“, „ღარიბთა ჭერ-ქვეშ“, „ლიმილი“, „საიდუმლო“, „ვერ მიალწია“, „უფლება“ და სხვ.

მ. გარიყულის სამამულო ომის დღეებში დაწერილი მოთხრობებიდან მკითხველის ყურადღებას იმსახურებდა „შემთხვევა“, „დედა“, „დღურგალი მიხეილი“, მწერალი ამ მოთხრობებში ეხმაურება ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლასა და თავდადებას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში.

აღსანიშნავია, რომ „დღურგალი მიხეილი“ მოძმე უკრაინელი ხალხის ცხოვრებაზეა დაწერილი. მოხუცი უკრაინელი მიხეილი ომის დროს შეუპოვრად იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ, როგორც შეეფერება გმირსა და სამშობლოსათვის თავდადებულ შვილს. მოხუცი ქედს არ იხრის შემოსეული მტარვალების წინაშე. ის წარბ-შეუხრელად შეებრძოლება მტერს, ჰკლავს მტრის ორ ჯარისკაცს და ამ ბრძოლაში თვითონაც იღუპება. ამ მოთხრობაში მწერალმა გამოკვეთა მოხუცი პატრიოტის დამაჯერებელი სახე.

მ. გარიყულმა ბოლოდროინდელ ნაწარმოებებშიც რეალისტური მხატვრის თვალთ მოგვცა ჩვენი სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის ცხოვრება. მოგვცა ამ ცხოვრების კოლორიტული სურათები აღსავსე შრომით, ბრძოლითა და ენთუზიანზმით.

მარიამ გარიყულის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნარკვევებს, რომლებიც ეხმაურება თანამედროვე ყოფა-ცხოვრების, სოფლის მეურნეობისა და წარმოების თემებს.

მწერალს ბევრი უმოგზაურია საქართველოს სხვადასხვა კუ-

თხეში, კოლმეუნეობებსა და წარმოებებში, ქარხნებსა და მაღარო-  
ებში, რის შედეგადაც დაუწერია: „ქუთაისის პირველი ქარხანა“,  
„ბახვის მეურნეობა“, „წინანდლის მეურნეობა“, „ძველი და ახალი  
სამტრედია“, „ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა“, „რკინიგზის მთავარი  
დეპო“, „ტყიბული“, „ლაითურის მეურნეობა“, „ზუგდიდის ჩაის  
ფაბრიკა“...

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე დიდი გემოვნებით მოხატული  
ლიტერატურული პორტრეტები ეკატერინე გაბაშვილზე, რაჟდენ  
გვერტაძეზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, ქეთევან ირემაძეზე, იმ ღირს-  
შესანიშნავ ადამიანებზე, რომელთა წრეშიც ტრიალებდა, ცხოვ-  
რობდა მწერალი ქალი.

იგი იყო მხნე, ახალგაზრდული და ეს ენერგია ჩქეფდა მისეულ  
მოთხრობებში, ნარკვევებში, რომანებში. მას, როგორც დაკვირვე-  
ბულ მწერალს, კარგად ჰქონია შესწავლილი ჩვენი ქვეყნის ცხოვ-  
რება. ეხერხებოდა საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენების  
შემჩნევა.

მარიამ გარიყული მკიდროდ იყო დაკავშირებული ლიტერატურ-  
რულ საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან და ხელს უწყობდა მი-  
სი მუშაობის გაშლა-განმტკიცებას.

1953 წლის 7 დეკემბერს ქართველ მწერლებს ვადაგადაცილე-  
ვით მარიამ გარიყულისათვის დაბადების სამოცდაათი და სამწერ-  
ლო-თეატრალური მოღვაწეობის 50 წლისათვის აღსანიშნავი საღა-  
მომო მოუწყვიათ. საღამოზე მის გვერდით მწერალთა სასაზღუოში  
მსხდარან გ. ტაბიძე, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი,  
გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ნ. ნაკა-  
შიძე, მარიჩანი და ბევრი მომღვენო ახალგაზრდა თაობის მწერა-  
ლი და საზოგადო მოღვაწე. მოხსენებით გამოსულა ლევან ასათი-  
ანი. მოხსენება „მნათობში“ დაიბეჭდა. იუბილარს სიტყვებით მი-  
მართეს: შ. დადიანმა, ნ. ნაკაშიძემ, გ. ლეონიძემ, ს. გერსამიამ,  
პ. ბახტურიძემ. იუბილარისათვის ი. ნონეშვილს, ხ. ბერულავას,  
თ. ჭანგულაშვილსა და სხვებს წაუკითხავთ მისდამი მიძღვნილი  
ლექსები. საღამომ მეტად გულთბილ ვითარებაში ჩატარებულა.

იუბილარს თავისი სიტყვა ასე დაუსრულებია: „მე ჭერ კიდევ  
მინდა თქვენთან ერთად, ჩემო მეგობრებო, ადამიანთა ბევრ სიხა-  
რულს შევესწრო და გთხოვთ სიხარბეში ნუ ჩამითვლით. ამ ქვეყ-

ნიერების იქეთ არაფერი არ არის და ამიტომ რამდენი ხნის სიცოცხლეც არ უნდა ერგოს ადამიანს, სხვის წილ სიცოცხლეს მანაც ვერ მიითვისებს...“

1954 წლის დეკემბერში მ. გარიყული მოსკოვში მწერალთა საკავშირო ყრილობას დასწრებია. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენებს ოლგა ფორშს: „შეხვედრა ოლგა ფორშთან, ეს ჩვენი მეორე შეხვედრა იყო. პირველად მას შევხვდი 1923 წელს, როცა სხვა რუს მწერლებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, ახლოს გავიცანი იგი ანა ხახუტაშვილის ბინაში გამართულ ვახშამზე, სადაც ესწრებოდნენ პ. პავლენკო, ვ. გოლცევი და სხვები. ქართველი მწერლებიდან იყვნენ მარიჯანი, ბესარიონ ჟღენტი, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. ოლგა ფორშს ლენინგრადში დაბრუნებისას ჟურნალ „ზვეზდაში“ გამოუქვეყნებია საკმაოდ დიდი წერილი სათაურით — „ქართველი მწერალი ქალები“.

1959 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მ. გარიყულის „თეატრალური მოგონებანი“. ეს არის მწერლის უკანასკნელი ლიტერატურული ნაწარმოები.

მხატვრულ აღდგომა და მწერლის ოსტატობას შესაძლებლობა მიუცია მარიამ გარიყულისათვის გაეცოცხლებინა ქართული თეატრის ისტორიის ფურცლები. „თეატრალური მოგონებანი“ მოგვითხრობს იმ ადამიანებზე, რომლებიც გარდასული დროის მეტად რთულ პირობებში როგორ ერთგულად ემსახურებოდნენ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას.

მარიამ გარიყულს ხშირად უხდებოდა მუშაობა და მოგზაურობა თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან. სწორედ ამ დიდი ნიჭისა და ფართო დიპლომატიის მქონე ადამიანებს, ბრწყინვალე ოსტატებს მიუძღვნა ეს წიგნი ავტორმა.

როგორც უკვე ითქვა, მარიამ გარიყული ჯერ კიდევ „ავქალის აუდიტორიაში“ გასცნობია ნათო გაბუნია-ცაგარლისას, ვასო აბაშიძეს, პოეტ ირ. ევდოშვილსა და სვ. სვიმონიძეს. იგი შესანიშნავად გადმოსცემს ცალკეულ მოღვაწეთა პორტრეტებს.

საინტერესო ცნობას გვაწვდის მწერალი ლადო მესხიშვილზე. ავტორს მოჰყავს მრავალი საინტერესო ეპიზოდი ქართული თეატრალური ხელოვნების კორიფეს ცხოვრებიდან. მხატვრული ოსტატობით დაწერილ ეპიზოდში ნათლად არის გამოკვეთილი დიდი

მსახიობის სახე. „თამაშის დროს, — გვიამბობს მარიამი, — ამ კაცის სულში სტიქიური ქარიშხალი დაიძვრებოდა ხოლმე. წამით ხან აბობოქრებულ ოკეანედ იქცეოდა, ხან ჭოჯოხეთის ცეცხლს დაანთებდა, ზოგჯერ პირიქით, ზეციურ წმინდანად გადაიქცეოდა, სიყვარულის ზვარაკად დაიწვევებოდა. ერთი სიტყვით თვით ცხოვრობდა სცენაზე, და მით სიცოცხლის ძალას ამკვიდრებდა...“

ავტორის შთანაფიქრის სიღრმე, მგზნებარე ტემპერამენტი, ემოციური ზემოქმედების უდიდესი ძალა ლაღო მესხიშვილის მიერ შექმნილი ყოველი სახის განუმეორებელ თვისებას წარმოადგენდა. მიმიკით ან უბრალო ჟესტით მას შეეძლო მაყურებელამდე მიეტანა ადამიანის სულის სიღრმეში დამალული გრძნობები.

მარიამ გარიყულს ნახევარ საუკუნეზე მეტხანს უზიღია მსახიობისა და მწერლის მძიმე ტვირთი. მრავალი სიძნელის დაძლევა მოუხდა გამორჩენილ ქართველ მწერალთა გვერდით, მძიმე წლებში უტვირთია, ერთი ხელით აკვანი ერწია, მეორე ხელში სკეროდა კალამი. მისი ნაწარმოებების პოპულარიზაციას ხელს უწყობდა ცხოვრების მართალი, რეალისტური ასახვა, ჰუმანიზმი, სუფთა და ძარღვიანი ქართული ენა.

მარიამ გარიყული ყოფილა ნათელი გონების, სათნო და კეთილი გულის ადამიანი. მის სახელს მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს მკითხველი. როდესაც სამოცდაჩვიდმეტი წლის მარიამ გარიყულს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში კრძალავდნენ, დემნა შენგელაიას ასეთი სიტყვები წარმოუთქვამს: „შენ დიდებულად განვლე შენი სიცოცხლის არცთუ ისე ხანმოკლე გზა. მაგრამ მარიამ, მარიამ, ვინ მოუზომა ადამიანს, და ისიც ისეთ ადამიანს, როგორიც შენ იყავი, სიცოცხლის მანძილი.“

შენ მიდიხარ ვალმოხდილი და თუ რომელიმე ქართველ ქალს, მეუღლეს, ქართველ დედას უტარებია ეს სახელი ღირსეულად, მათ შორის შენი სახელიც ბრწყინვალეა. შენ ვაჟკაცივით უღეჭი შენს ოჯახს და ქართულ მწერლობას.

ქეშმარიტად, რომ ასე იყო“.

... გაიქროლეს უდარდელმა ბავშვობის წლებმა. ნიჭიერი გონა მშობლებმა თბილისში წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში შეიყვანეს. სწავლა წარჩინებით დაამთავრა. ერთი წლის შემდეგ კი მარიამ ტყემალაძე-მარიჯანი, ექიმ ალექსანდრე ალექსიძეს გაჰყვა ცოლად და ოჯახურ საქმიანობაში ჩაება.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მეუღლე, როგორც სამხედრო ექიმი, ჯერ ავსტრიის, შემდეგ თურქეთის ფრონტზე გაამწესეს. მარიამი მეუღლეს თან ახლდა. პოეტური სულის ახალგაზრდა ქალი პატარა პირმშოს მზრუნველობაში და ლექსების წერაში ჰპოვებდა შევებას. მისი სადებიუტო ლექსი „ტბა“ 1916 წელს დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმეში“ — მარიჯანის ფსევდონიმით.

ამ ლექსის გამოქვეყნების თაობაზე იოსებ გრიშაშვილი იგონებს: „ვიცოდი, მარიჯანი ლექსებს რომ წერდა, მაგრამ მისი გამოქვეყნება არასოდეს უფიქრია. ალბათ არ იყო დარწმუნებული თავის ლიტერატურულ ძალაში და თავისი ლექსების საზოგადოებაში გამოტანისა ერიდებოდა. მასთან შეთანხმებისა და ნებართვის გარეშე ყივჩაღივით დავეცი მის პირველ ლექსს „ტბას“ და იგი რედაქციას გადავეცი გამოსაქვეყნებლად. არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდა ავტორი ამ ჩემს სულწასულობას... მაგრამ რისი პოეტი ვიყავი, ლექსი მომწონებოდა, აღსავსე ქალური გულწრფელობით და არ გამომეკვეყნებინა იგი?!“

აი ეს ლექსიც:

„ტბავ — ზურმუხტო, მშვენიერო,  
ჩამწყვდეულო მალალ მთებში,  
შენ მაგონებ სულს ძლიერსა,  
ძლიერ რკინის ბორკილებში.  
შენ ოდესღაც კლდის თხემიდან  
მთის ცელქ წყაროდ ჩამოსახლდი  
და ნიავსა, მობუტბუტეს,  
მის ლეგენდებს უამბობდი,  
შენ წმინდა ხარ, ტბავ, ანკარავ,  
ვით ყვავილი, ვით ცისკარი,  
მე შეენატრი იმ მზის სხივსა,  
შენ რომ გულში ჩაიკარი.

მზე რომ ჩავა — შენ მოიწვენ,  
თავს გვეღება ნისლთა კრება,  
ჩაიძინებ, ჩაჩუმდები  
და წარსული გესიზმრება!

ფრონტული ცხოვრება დასრულდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ მარიჯანი სწავლას განაგრძობს სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში პოეტი ქალი კვლავ აქვეყნებს ლექსებს, მაგრამ მათ ეტყობათ გულგატეხილობა, თემატიკური და იდეური შეზღუდულობა. მაგრამ იგი ბეჭითი მეცადინეობით, დაუღალავი შრომით აღწევს ოსტატურ სრულყოფილებას. ახალმა ეპოქამ ოპტიმისტური სული შთაბერა, მხნეობა შემატა მის ლექსებს. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს დაწერილ თავის პირველ ლექსში („ნედლი მასალა“) მარიჯანი ასე ამბობდა:

— „მე ხელთ მიპირავს მშვენიერი ნედლი მასალა,  
თუ ამ წვეულმა დაპრილ გულმა ცოტა მაძალა“.

მოგვიანებით კი გულგამთელებული პოეტი შექხარის საქართველოს ცას და ამბობს:

„მე შევხარი ვარსკვლავების  
აღ დაღურსმულ ოქროს მძივებს,  
მათ ფერსულში მეც ჩავები,  
არ მარუხვებს წელთ სიმძიმე“.

1921 წელს გამოდის მარიჯანის ლირიკული ლექსების წიგნი, 1926 წელს კი მარიამ ალექსიძე საბავშვო ლიტერატურაში იწყებს მუშაობას. სწორედ იმ წელს ეურნალ „ოქტომბერში“ დაიბეჭდა მისი ცნობილი პოემა „ნელი ცირკში“, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად.

პოეტი ქალის საბავშვო ნაწარმოებებში ჩანს პატარების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, ლექსები „ლეოს დაბადების დღე“, „პარაშუტი“, „ცელქი გიგლა“ „ბელურების კვება“, „საპნის ბუშტები“, „ბავშვის მიბაძვა“ და სხვები, უშუალოდ გადმოგვცემენ ბავშვის უმანკო და ნაზ გრძნობებს. მწერალი საგანს უბრალოდ კი არ აგვიწერს, არამედ ცდილობს შექმნას ისეთი სახე, რომელიც ბავშვის

ჯულსა და გონებაში ღრმად ჩაიბეჭდება, ზეგავლენას მოახდენს მათ ფორმირებაზე.

შვილებით გახარებული დედა მოზარდთა საერთო მზრუნველი გახდა, დედის ნანას შეუერთდა თავისი ფაქიზი პოეტური ხმა.

მარიჯანმა ერთმა პირველთაგანმა დაწერა დიდი მოთხრობა მოზარდების ცხოვრებაზე — „ბედნიერი თაობა“. მას მხედველობიდან არ გამოჩენია ბავშვთა შრომითი აღზრდის უდიდესი მნიშვნელობა. შემდგომ სახელოსნო სკოლის მოსწავლეთა ყოფაცხოვრებაზე ქმნის დიდ მოთხრობას „გელა“.

პირველი საბავშვო მოთხრობა „ზურა ატმის ქალაქში“ მარიჯანმა დაწერა 1933 წელს. ამის შემდეგ მრავალი ნოველა გამოაქვეყნა, რომელთა შორის აღსანიშნავია „როგორ გავაგები-ნო“. „ბევრზე ბევრი“, „ბექემოტი“, „ამანათი“, „ცუდი ზღაპარი“, „გემრიელი ხილი“ „შავი თვლები“, „ფისო დაგვეხმარა“, „ამდენი ბევრი“, „როცა წვერულვაშიანი იქნები“, „ლამარას მამიდა მიემატა“ და სხვა. ისინი დაწერილია ცოცხლად, ხალისიანად, ეხმარებიან ყმაწვილებს გაერკვნენ კარგსა და ცუდში.

მწერალი ბავშვის ცხოვრებიდან იღებს ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც დამახასიათებელია, როგორც სკოლამდელ, ისე საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდებისათვის, როდესაც ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება, ყალიბდება მისი ხასიათი. ამ დროს მას ჯერ კიდევ ესაჭიროება უფროსების დახმარება, შთაგონება. ეს დახმარება შეუძლია გაუწიოს მას კარგმა, მართალმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან მარიჯანის მოთხრობები: „სადურგლო სახელოსნოში“, „მამიდა თვოს მარანი“ და სხვა. ეს წიგნები ბავშვებში ნერგავენ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, სამშობლოსადმი სიყვარულს, ოპტიმისტურ განწყობილებებს...

ქართული მწერლობისათვის თეატრალური ხელოვნება ყოველთვის იყო მეტად ახლობელი, მშობლიური, ღვიძლი საქმე. იგი თეატრს მიიჩნევდა ეპოქის მოწინავე იდეების ტრიბუნად, ყველა დროისა და ყველა ხალხის მაღალი აზროვნების მქადაგებლად. ჩვენმა მოწინავე მწერლებმა თეატრს მიანიჭეს მაღალი მოქალაქეობრივი მნიშვნელობა, იგი აქციეს ხალხის სულის აღზრდის კერად. ამიტომ იყო, რომ მწერლობა იმთავითვე თეატრის მესვეურის, ხელმძღვანელის, წარმმართველის როლში გამოდიოდა. ახალ-



მა თეატრმა განაგრძო და განავითარა ადრინდელი თეატრის სა-  
უკეთესო ტრადიციები. თეატრში შემოქმედებით მუშაობას სა-  
ფუძვლად დაედო სცენის მუშაკთა მკვიდრო და განუყრელი კავში-  
რი მწერლობასთან.

მარიჯანი ის ერთ-ერთი ქართველი მწერალთაგანია, რომელმაც  
არ დაიშურა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი უნარი მშობლიური  
თეატრის წინსვლისათვის. იგი ქართული თეატრებში თანამშრომ-  
ლობდა, როგორც პიესების მთარგმნელი. თარგმნიდა როგორც  
კლასიკურ, ისე თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო ქმნი-  
ლებებს და ამით ხელს უწყობდა ქართული თეატრის რეპერტუ-  
არის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებას.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრისათვის  
სიტყვის ოსტატის მიერ შესრულებულ თარგმანებს. კარგი თარ-  
გმანი მსახიობს უადვილებს ღრმად ჩაწვდეს პიესის დედააზრს,  
ავტორის ჭეშმარიტ სტილს, ხორცი შეასხას მასში მოცემულ  
მხატვრულ სახეებს, როდესაც თეატრი უცხოურ კლასიკურ თუ თა-  
ნამედროვე პიესას დგამს, კარგი თარგმანი უკვე ნახევარ გამაჯვე-  
ბას უდრის. ამიტომაც იყო, რომ კოტე მარჯანიშვილი პიესის თარ-  
გმანს ყოველთვის ანდომებდა მხატვრული სიტყვის ოსტატებს,  
მოწინავე პოეტებსა და მწერლებს.

მარიჯანი სწორედ ისეთი მთარგმნელია, რომელიც დიდი პასუ-  
ხისმგებლობის გრძნობით, საქმის ცოდნით, ქართული სიტყვის  
სიყვარულითა და ავტორის აზრის ღრმა გაგებით, მისი სტილის,  
ნიუანსების ზუსტი და ნათელი გადმოცემით თარგმნის პიესას. მის  
მიერ შესრულებული თარგმანები წლების მანძილზე შერჩა სცე-  
ნას, მაყურებელი მათ აღიქვამს, როგორც ქართულ ენაზე დაწე-  
რილს. ასეთებია: რუსთაველის თეატრში — ნ. პოგოდინის „თო-  
ფიანი კაცი“ (თარგმანი ი. გრიშაშვილთან ერთად; პიესა დადგა  
აკაკი ხორავამ 1939 წელს), ბორის ლავრენიოვის „ამერიკის ხმა“  
(დადგა დ. ალექსიძემ 1950 წელს), მარჯანიშვილის თეატრში —  
ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“ (თარგმანი ი. გრიშაშვილთან ერ-  
თად, დადგა ვ. ყუშიტაშვილმა 1937 წელს), კ. სიმონოვის პიესა  
„მელოდე“ (თარგმანი ი. გრიშაშვილთან ერთად. პიესა დადგა  
ვ. ყუშიტაშვილმა 1944 წელს). პოეტს მშვენივრად აქვს თარგმნი-  
ლი მ. ალიგერის პიესა „ზღაპარი სიმართლეზე“, რომელიც წარმა-  
ტებით იდგმებოდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში.

მარიჯანი გულმოდგინედ მუშაობდა ესტრადის რეპერტუარზეც, ცნობილი ნიჭიერი მსახიობის ნინო ალექსი-მესხიშვილის დავალებით. ამ მსახიობის საღამო — კონცერტები, სადაც იგი ასრულებდა მარიჯანის მიერ დაწერილ სექტჩებსა და სიმღერებს, ახლაც ახსოვს მაყურებელს.

მარიჯანი არა მარტო ცნობილი მწერალია, იგი შესანიშნავი ქართველი დედაც იყო, რომელმაც სამშობლოს აღუზარდა ხელოვნების შესანიშნავი მოღვაწეები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი დოდო ალექსიძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირინე და მოქანდაკე ნელი ალექსიძეები.

ასეთ გულისხმიერ, ბავშვის სულის გამგებ, სულში ჩამწვდომ დედას მართლაც შეეძლო გაეკვია თითოეული შვილის მოწოდება, მაფი ნიჭის შესაბამისად განევითარებინა ისინი, დაეყენებინა ხელოვნების ფართო გზაზე...

1957 წლის 28 იანვარს ღვაწლმოსილ მწერალ ქალს სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

მარიჯანი დიდხანს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის კონსულტანტად. მის სამუშაო ოთახში ხშირად იკრიბებოდნენ ლეო ქიაჩელი, აკაკი ბელიაშვილი, როდიონ ქორქია, გიორგი ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, გიორგი შატბერაშვილი, ლილია მეგრელიძე, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი) და, საერთოდ, ყველა თაობის საბავშვო მწერალი.

მარიჯანი, ეს მოხიბვლელი, ტკბილმოუბარი და სანდომიანი ქალი, ყველას დედობრივი მეგობრული ალერსით ხვდებოდა.

საბავშვო ლექსების გარდა მას შესანიშნავი, მშფოთვარე, ნატიფი და ლამაზი „სადილო“ ლექსებიც აქვს.

„მე მოკვდები, თუ არ ვიმღერ  
მას, რაც გულზე მაწევს,  
მე მოკვდები სწორედ იმ დღეს,  
როცა ლექსს ვერ დავწერ“.

ვინ იცის, მართლა ასე მოხდა და უთქმელობამ გასწირა ეს შესანიშნავი ადამიანი?! მაგრამ შაინც, ასეთი იყო ქვეშარიტი პოეტის მრწამსი.

გამოჩენილი საბავშვო პოეტი და მთარგმნელი არნო ონელი (ალექსანდრე ბურდილაძე) თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით ემსახურა ქართულ პოეზიას:

არნო ონელი საკუთარი თვალთახედვის მქონე მწერალი იყო. იგი ამაყობდა ერის მშვენებით, ერის სუნთქვას უწოდებდა ბავშვებს. მას უნდოდა ისინი საუკეთესონი ყოფილიყვნენ ყველგან, სკოლაში და სკოლის გარეთაც. ესწავლათ ბეჭითად და ჰყვარებოდათ სამშობლო.

არნო ონელი მისი დაბადების სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს ახალგაზრდული ენერჯითა და შემართებით შეხვედრია:

„რა სიბერე, რის სიბერე,  
წინ სავალი გზებია,  
პოეტები სიბერეშიც  
ახლად იბადებიან...“

არნო ონელის პირველი ლექსი „შემოღამების ესკიზი“ 1922 წელს დაუბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძეს თავის ჟურნალში და ამ დღიდან მოყოლებული იგი სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

პოეტი არნო ონელი 1901 წელს დაიბადა ონის რაიონის სოფელ მოედანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ამ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეს მიუცია შთაგონება მომავალი პოეტისათვის.

„აქ დავიბადე ამ საუკუნის დამდეგს — 1901 წელს, 1 მარტს“ — წერდა პოეტი თავის გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში. ამ მეტად საინტერესო ნაწერებში ქებათა-ქებას მიუძღვნის იგი სოფლის ზღაპრულ ბუნებას. ამიტომაც აურჩევია ალბათ პოეტს ფსევდონიმად ამ ულამაზესი და უძველესი ქალაქი ონის პატივსაცემად არნო ონელი.

სწავლამოწყურებულმა ახალგაზრდამ 1918 წელს დაამთავრა ონის სამოქალაქო სასწავლებელი, ხოლო უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელების სურვილი განუხორციელებელი დარჩა და იძუ-

ლებული გახდა სოფლის სკოლაში დაეწყო მასწავლებლობა. 1922 წლიდან კი დიდმის სკოლებში გადაუნაცვლებია სამუშაოდ.

1921 წელს ლიტერატურით გატაცებული ჭაბუკი თბილისში ჩამოდის და მწერალთა წრეში იწყებს ტრიალს. მალე აქვე იწყებს ლიტერატურულ ნათლობას გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალში გამოქვეყნებული ორი ლექსით და აქედან იწყება მისი მეგობრობა და ურთიერთობა ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს პოეტთან გალაქტიონთან.

მის საიუბილეო სადამოზე ხუტა ბერულავამ<sup>1</sup> გაიხსენა: „არნო ონელი პირველად გალაქტიონ ტაბიძესთან ერთად ვნახე რუსთაველზე მიმავალი. რატომღაც გამიკვირდა — ვინ არის ეს ახოვანი ვაჟკაცი, ასე ახლობელივით რომ ესაუბრება ჩვენს გენიოს პოეტს-მეთქი.

გატაცებით საუბრობდნენ... ჩანდა, გალაქტიონი რალაცას საინტერესოს მოუთხრობდა თანამგზავს, რომელიც დინჯად, დარბაისლურად უკრავდა თავს. მალე გავიგე, რომ გალაქტიონის თანამგზავრი არნო ონელი იყო. რა თქმა უნდა, შემდეგ არც გამკვირვებია მათი ახლობლობა და მეგობრობა“.

„ერთ მშვენიერ დღეს, ახალგაზრდობაში, გადავწყვიტე, — გვიამბობს არნო ონელი, — მწერალთა სასახლეს ვწვეოდი, სადაც მეგულებოდა გალაქტიონ ტაბიძე, ვოცნებობდი მის პირად ხილვაზე.

მოკრძალებით შევადე მეორე სართულზე ერთ-ერთი დარბაზის კარი. გალაქტიონი ღიმილით შემომეგება.

— მობრძანდით, ყმაწვილო!

მორცხვად მოვახსენე ჩემი ვინაობა.

— რაქველი? სასიამოვნოა! — და გამიბა მეტად გულწრფელი და ხალისიანი საუბარი.

— თქვენ ალბათ ლექსებსაც წერთ, არა?.. — მკითხა მოულოდნელად.

უმაღ უბისაკენ გამექცა ხელი. ცოტა ხნის შემდეგ გალაქტიონი ხან ღიმილით, ხან წარბების აწევ-დაწევით ათვალეირებდა ჩემს ლექსებს.

— უნდა დამიტოვოთ. უსათუოდ დაგიბეჭდავთ ჩემს ჟურნალში, რომლის გამოცემას ახლო მომავალში ვაპირებ. უსათუოდ დაგიბეჭდავთ... ახლა ის მითხარით, სად და როგორ ცხოვრობთ?

— დიღომში ვმუშაობ მასწავლებლად, ვცხოვრობ... არც ასე, არც ისე...

— შეც ვიყავი ერთ დროს სოფლის მასწავლებლად შორაპნის მაზრაში, დიდად მიყვარდა ეს კეთილშობილური პროფესია... და გულახდილად რომ გითხრათ, არცთუ ცუდი პედაგოგი ვიყავი, მაგრამ პოეზიის ცეცხლოვანმა ეტლმა ქალაქისაკენ გადმომისროლა...

პირველი შეხვედრა და გაცნობა თითქოს ამით დამთავრდა. დავემშვიდობე, გულთბილად ჩამოვართვი ხელი და ბედნიერი, იმედიანი, გამამზნევებელი სიტყვა მითხრა:

— მინახულეთ ხოლმე, ნუ მომერიდებით. ლექსებს უსათუოდ დაგიბეჭდავთ... ჩემს ჟურნალში დიდ ადგილს დავუთმობ ახალგაზრდობას.

აღფრთოვანებული გამოვედი ქუჩაში. ათიოდე ნაბიჯიც არ გამეგლო, რომ სახლის აივნიდან მისი ხმა შემომესმა. გალაკტიონი უკანვე მიხმობდა. როცა ავედი, დიდმა პოეტმა კარადიდან თავისი მგორე წიგნი გამოიღო, მაგიდას მიუჭდა და წააწერა: „ჩემს ახლად გაცნობილ რაჭველ პოეტს ა. ნაქერალელს. გალაკტიონ ტაბიძე. 1922.21.5“. (მაშინ ჩემი ფსევდონიმი ეს იყო).

შერე მკითხა:

— სოფელს ან სკოლას ბიბლიოთეკა თუ აქვს?

— არც სოფელს, არც სკოლას. საკუთარი წიგნებიც ჯერჯერობით ცოტა მაქვს.

— აი, ხომ ხედავთ ამ კარადას... აქ სულ ჩემი წიგნებია. როცა გენებოს, შეგიძლია ისარგებლო...

მან კარადიდან ორი წიგნი გადმოიღო და გადმომცა.

მოწიწებით გადაუხაღე მადლობა, დავემშვიდობე და კიბეზე ფრენით დავეშვი. გულში ვამბობდი: რა გულთბილია, რა ფაქიზი და მოსიყვარულენი ყოფილან ეს პოეტები-მეთქი.

• • •

ერთხელ დიდმელმა გლეხმა იაგორა კოტორაშვილმა ბარათი გადმომცა — ქალაქიდან გამომატანეს, მასწავლებელს გადაეცია.

ბარათი გავხსენი და... თვალს არ დავუჭერე, გალაკტიონი

მწერდა: გადავწყვიტე ლიტერატურული სალამო დილომში გავმართოთ. შემატყობინე, შესაძლებელია თუ არაო.

შეორე დღეს თბილისში წავედი, ენახე გალაკტიონი და სალამო თოთხმეტი ივნისისათვის დავთქვიტ.

ხუთი დღე სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ გავმასპინძლებოდი საპატიო სტუმრებს. ოთახში ერთი პატარა მაგიდა და ორი სკამი მედგა. ვერც ჯიბით მოვიწონებდი იმხანად თავს.

შუადღის თორმეტ საათზე ჩემი ოთახის ზღურბლთან იდგნენ სტუმრები — გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სეზმან ერთაწმინდელი და ვახტანგ ფხალაძე.

— ჩვენს განდევნილს გაუმარჯოს! — დაიძახა გალაკტიონმა.

გიორგი ქუჩიშვილმა თავი მდაბლად დამიკრა და ყარაჩოდულად ჩამომართვა ხელი. სეზმანმა ომახიანად დალოცა მარტოხელა ქაბუკის ჭერი და თითქოს ძველი ნაცნობი ყოფილიყოს, ისე შინაურულად გადამეხეცა.

სოფელში ერთი სასადილო, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ, სამიკიტნო იყო. მისი პატრონი — ბადალა, ენაწყლიანი მოხუცი, მწიგნობრობაზე სდებდა თავს. გამოწერილი ჰქონდა მაშინდელი ყველა ყურნალ-გაზეთი.

მასთან ვისადილეთ... წინ საქმიანი სალამო გვქონდა და მოკრძალებულად ვსვამდით, უფრო მეტს ვლაპარაკობდით. პოეტების ხუმრობამ და ლექსების კითხვამ აღტაცებაში მოიყვანა ბადალა.

რვა საათზე კლუბში ვიყავით. დარბაზი ხალხით იყო გაქვდილი.

იმ დღეს გალაკტიონს თეთრი შარვალი და თეთრქამრიანი ხალათი ეცვა. გადაკეცილ საყელოზე შავი, ჯვარედინად განასკვული ბაბთა ეკეთა. გვერდზე გადავარცხნილი წაბლისფერი თმა უწვეურულვაშო სახის იერს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა. დინჯად წამოდგა. ფოთოლივით თრთოდა. პირველად „მთაწმინდის მთვარე“ წაიკითხა, მერე „მერი“ და „მესაფლავე“.

\* \* \*

1923 წელი. ზამთარი. დიღმიდან თბილისს გადმოვედი. ვცხოვრობდი ვარდისუბნის ქუჩაზე. ხშირად ვხვდებოდით მწერლებს, გალაკტიონიც დადიოდა ჩვენთან.

— შენი ლექსები უკვე სტამბაშია! — მომახარა ერთ დღეს. მოუთმენლად ველოდი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ გამოსვლას. მალე ამიხდა ოცნება, ვნახე ჩემი პირველი დასტამბული ლექსი „ელეგია“. შემდეგ ნომერში დამიბეჭდა „შემოდგომის ესკიზი“.

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი! როგორ მინდოდა შენი ნახვაო, აუცილებლად მოიტანე ლექსები „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში, იოსებ იმედაშვილთანო, — მითხრა.

და კიდევ რამდენიმე ლექსი დამიბეჭდა.

ასე, რომ გალაკტიონ ტაბიძის დახმარებით გადავდგი პირველი პოეტური ნაბიჯები... ჩვენ განუყრელი მეგობრობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან“.

1925 წელს არნო ონელს ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სანდრო ეულის ხელშეწყობით ჟურნალ „ხელოვნების დროშის“ რედაქციაში დაუწყია მუშაობა.

1927 წელს დაბეჭდილა არნო ონელის ლირიკული ლექსების პირველი კრებული „მთები“ და მაშინვე მიუპყრია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ახალგაზრდა კრიტიკოს ალექსანდრე სულაეას გულთბილი რეცენზია დაუბეჭდავს „ახალგაზრდა კომუნისტში“.

არნო ონელს ოცდაათიანი წლებიდან საბავშვო ლიტერატურაში დაუწყია მუშაობა. იგი მალე გამხდარა ნორჩების საყვარელი პოეტი. ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა მის ახლო მეგობრობას შიო მღვიმელთან. მის პოეტურ ქმნილებებს: „დილის ქუჩასა“ და სხვებს მოწონებით შეხვედრია ქართული სალიტერატურო კრიტიკა და მკითხველი საზოგადოება.

არნო ონელს მშვენიერი ლექსი მიუძღვნია თავისი მეგობრისა და გზის გამკვლევისათვის — შიო მღვიშელისათვის:

სპეტაკი და მომხიბლავი.  
ყველას გულთან მიღის იგი,  
როგორც სიბრძნე სათნოების  
და სიყეთის დიდი წიგნი.  
მის სტრიქონში მაისია —  
ჩვენი ყრმობის ოქროს ხანა,  
ჰყვავის ია და ენძელა,  
გაზაფხულს რომ მოჰყუა თანა.

მის სტრიქონში ნიავის და  
ნაკუდლის ისმის ნანა,  
ბულბული სტვენს ხმანარნარი,  
გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა.  
ყაყაჩოს რომ ფრთებით ჰკოცნის,  
უალერსებს მწვანე ყანას —  
ეს კუდრაჰა მერცხალია,  
გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა...

„ჩემი დიდი მეგობარი და მასწავლებელი შიო მღვიმელი პირველად „ნაკადულის“ რედაქციაში გავიცანი, — გვიამბობს არნო ონელი, — ნინო ნაკაშიძესთან 1927 წელს. ნინოს ხელთ ეჭირა ჩემი პირველი საბავშვო ლექსი „პირველი თოვლი“ და კითხულობდა. ამ დროს დაბალი, შავთვალა კაცი ფეხაკრეფით შემოვიდა, ჯერ ნინოს მიესალმა და ხელი ჩამოართვა, მერე მე გამიღიმა. ნინომაც ღიმილით მომმართა:

— გავიცანით, შიო მღვიმელი!

აბა, ვინ არ იცნობდა ძია შიოს! მაგრამ პირადად გაცნობამ დიდი სიხარული განმაცდევინა.

ნინომ ჩემი ლექსი შიოსაც წააკითხა. შიომ, ალბათ, მოწონების ნიშნად, მეორედ ჩამომართვა ხელი. რამდენიმე წუთის შემდეგ რედაქციიდან ერთად გამოვედით. დიახ, იმ წუთიდანვე დაიწყო ჩვენი მეგობრობა!

უდრესად სათნო და სპეტაკი, კეთილი ფიქრით შთაგონებული, კაცთმოყვარე, ნორჩი თაობის მომღერალი და ფიქრთამპყრობელი, დიდად პოპულარული და ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება — ასეთი იყო ძია შიო — მღვიმელი. მართლაც: ციდან მოვლინებულს ჰგავდა: ძველ საუკუნეებში რომ ეცხოვრა, წმინდანად გამოაცხადებდნენ.

ქუჩაში გავლილი უნდა გენახათ, ძია შიოს თუ როგორის მოწიწებით უკრავდა თავს ყველა — დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ნაცნობი თუ უცნობი. ყმაწვილები ძია შიოს რომ დაინახავდნენ, გარს შემოეხვეოდნენ, ლექსებს უკითხავდნენ, ყვავილებს სთავაზობდნენ.

... ერთხელ შიო მღვიმელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, პოლიო ირეფელი და ამ სტრიქონების ავტორი ახალი წლის დღეს სტუმრად ვიყავით ვაკეში ისაკო ბახტაძის ოჯახში.



ისაკო ბახტაძე თბილისის საბჭოში მუშაობდა მიწისმზომლად. შე-  
სანიშნავი კაცი იყო, ცოლ-შვილის დიდად მოყვარული. ისაკოს  
თორმეტი შვილი ჰყავდა — ყველაზე უმცროსი აკვანში იწვა. სა-  
ახალწლო სუფრას შემოევუსხედით. ძია შიომ „განკარგულება“  
გასცა: ჩემი „მრევლი“ მომგვართო. შემოიყვანეს თერთმეტი ერთ-  
მანეთის მომღვენო ბიჭი და გოგო. ვგონებ, ბიჭები მეტნი იყვნენ.  
სუფრას შემოუსხდნენ. უყეთესს ვერაფერს ნახავდა კაცის თვალი!

სუფრა, როგორც პატრიარქმა, ძია შიომ დალოცა: მრავალი  
ახალი წელი უსურვა ოჯახს. ჩვენ, სტუმრებმა, ერთმანეთს ჩუ-  
მად გადავულაპარაკეთ და თამადად ძია შიო ავირჩიეთ. თამადამ  
პირველად, რა თქმა უნდა, ოჯახის ბურჯები აღდგერძელა. ჯერ  
დიასახლისს ემთხვია ხელზე და უთხრა: შენისთანა დედები რომ  
ბლომად ჰყავდეს საქართველოს, უფრო ბედნიერი ვიქნებოდით.  
დაილოცოს შენი ქალობა!..“

1887 წელს დაისტამბა არნო ონელის პირველი საბავშვო წიგ-  
ნი: „ნოდარის ოცნება“, რომელსაც მალე მოჰყოლია „უბედური  
მელა“, „ფრიადოსნები“, „ჩიორას სიმღერა“.

ჩიტი ხომ ძალზე უყვართ ბავშვებს, ხის კენწეროზე რომ შე-  
მოჯდება, ყოველი პატარა შესციციენებს, ნეტავი ხელი მომაკი-  
დიაო. სწორედ ეს ლამაზი არსება შემომძღვარა გივის ფანჯარაზე,  
მღერის ტკბილად და პოეტი კითხულობს:

„ნეტავ რას ამბობს ჩიტი-ჩიორა,  
ასე გულბოლად ვის ეფერება?  
და აი, თურმე ვის?  
ვინც კარგად სწავლობს და  
კარგი სწავლთ  
ქვეყნისთვის შოაქვს ბედნიერება“

არნო ონელის ბევრი ლექსის თემატიკა ბავშვის სწავლა-აღზრ-  
დას ემსახურება. აგერ ეზოში შემოვიდა მესამე კლასში გადასუ-  
ლი დალი. მიულოცა დედამ, მამამ, ძმამ, დამ.

მიულოცეს... ჩიტბმაც კი,  
სტვენა მორთეს ბაღნარიდან,  
— ჩვენი დალი მესამეში  
სასახელოდ გადავიდა!

პატარებისათვის წერა უაღრესად რთულია და ამდენად მწერლის პასუხისმგებლობაც დიდია. სწორედ აქ მქლავნდება არნო ონელის მაღალი ოსტატობაც. მას კარგად ჰქონია შეგნებული საბავშვო ლიტერატურის ის უდიდესი მნიშვნელობა და მთელ მის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს მომავალი თაობის სწორად აღზრდის პრინციპი.

არნო ონელის ლექსები პატარაობიდანვე აყვარებს ბავშვს შრომას. ისინი გვერდში უდგანან მოზარდებს და თავიანთი ნორჩი ხელებით რგავენ ხეებს, უვლიან ბოსტნებს, შინაურ ფრინველსა და ცხოველებს. მათი ნორჩი ხელებით გაწეული წვლილითაც მშვენივრდება ჩვენი ქვეყანა. რა ლამაზადაა ერთი ასეთი ეპიზოდი ლექსში „თინა და ცაცხვი“.

„თინას ნერგი გაიფოთლა  
და ნელი ხმით აპყუა სიოს,  
სულითა და გულით უნდა  
ზრდაში თინას დაეწიოს.  
პა. გავიდა სამი კვირა,  
ყველამ დიდად გაიკვირვა:  
— ამისთანა სასწაული,  
გაგონილა სადმე ვანა?  
ცაცხვის ნერგი პაწაწინა,  
თინას ქოლგას დაემგვანა“.

აი, რას ათქმევენებს ნაკადულს პოეტი მეორე ლექსში: „არ შცალია, — მივიჩქარი, მინდა საქმე გავაკეთო, მთელა სოფლას გასახარად“.

არნო ონელის ლექსების წიგნში ბევრი ბავშვი შეიცნობს თავის თავს. შეიცნობს ბეჭითი და გაეხარდება. შეიცნობს ზარმაცი და დაფიქრდება. სწორედ ამ მიზანს ისახავს წიგნი, რომ ბეჭითი წაახალისოს, ზარმაცი დააფიქროს. შრომისა და სწავლის ქება ბევრ მის ლექსში, რომლებსაც პოეტი სიყვარულით უძღვნის ბავშვებს.

ონელის ნაწარმოებებს ახასიათებს თემატიკის მრავალფეროვნება და თვით ამ თემების თავისებური გადაწყვეტა, ლექსის კონკრეტულობა, მჭიდროდ შეკრული სიუჟეტი პატარებისათვის ადვილი ასათვისებელია. მისთვის მთავარი საზრუნავი, შთაგონების წყარო და სიხარული ნორჩი თაობაა.

„სკოლა და სკოლის გარეთ“ — ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც შეტანილია ლექსის ციკლები „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად“, „ჩვენი გაზაფხული“, „მეგობრობაც ამას ჰქვია“, „ზამთრის სიმღერები“, „ჩვენი ახალი სახლი“ და სხვა. მარტო ამ ციკლების ჩამოთვლაც ნათელს ხდის, თუ რა მრავალფეროვანია პოეტის თემატიკა, რამდენად უხვია იგი.

წიგნში „მოდის გია თუხარელი“ ასახულია ბავშვის ამბავი ფეხის ადგომიდან სკოლის მერხამდე, ხოლო „სოფლის სურათებიდან“ — გაიგებთ, თუ როგორ გაატარა ქალაქიდან სოფლად ჩასულმა სამმა მეგობარმა საზაფხულო არდადეგები.

პოეტი ნათელი ფერებით, ცოცხალი საღებავებით ხატავდა ბუნების სურათებს, გარემოს. ცოცხლად და ხელშესახებად აღწერდა სამყაროს. თავისი ზანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ უღალატნია საყვარელი საქმისათვის. იგი ბოლომდე ერთგულად და უანგაროდ ემსახურება მას.

აქტიურ ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად არნო ონელი მოღვაწეობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, რადიოკომიტეტში, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციისაში, რომლის ბიუროს წევრად არაერთხელ ყოფილა არჩეული თანამოკალმეთა მიერ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობებშიც იყო მთარგმნელ-სტილისტად, გაზეთ „მილიციელის“ პასუხისმგებელ მდივნად და სხვა.

პოეტის კალამს ლექსებთან ერთად პოემებიც ეკუთვნის. მისი პირველი შესანიშნავი პოემაა „ცრემლი და სიხარული“, რომელიც ცალკე წიგნადაა გამოცემული. ამას მალე მოჰყვა სხვა წიგნებიც. ისინი მოზარდებს უღვიძებს სამშობლოს სიყვარულს, შთააგონებს სიმართლესა და პატიოსნებას.

წიგნი „სწავლა და შრომა სკოლაში და სკოლის გარეთ“ — აზიარებს შრომის მადლს და მოზარდს მიუთითებს იმ კეთილ გზაზე, რომელსაც პოეტმა უწოდა „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად“. თავადაც ხომ ამ გზით უვლია შემოქმედებისა და ცხოვრების გზებზე. ყოველთვის მისაბადი იყო მისი დარბაისლობა, მოკრძალება, გულწრფელობა და შრომისმოყვარეობა, ერთი შეხედვით მშვიდს ყოველთვის აღელვებდა ბავშვების ავ-კარგი, მეგობრის სიხარული თუ მწუხარება.

ასევე საყურადღებოა პოეტის არნო ონელის მთარგმნელო-

ბითი საქმიანობაც. მაღალი ოსტატობით თარგმნა ლომონოსოვის, დერჟავინის, ჟუკოვსკის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები.

პოეტს სამოცდაათი წელი რომ შეუსრულდა, გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა მისი თხზულებების ორტომეული. „მერანმა“ დასტამბა რუსულად თარგმნილი ლექსების კრებული, „განათლებამ“ გამოაქვეყნა არნო ონელის მიერ თარგმნილი რუსი პოეტების რჩეული ლექსების კრებული.

პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში მოეწყო მწერლის შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა საბავშვო სექციის ბიუროს თავმჯდომარე ხუტა ბერულავა. არნო ონელის შემოქმედებაზე ფართოდ ისაუბრა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა სიმონ სხირტლაძემ. იუბილარს მიესალმნენ მწერლები გ. კაჭახიძე, ვ. გორგანელი, ლ. ჭიჭინაძე, ზ. ბოლქვაძე, გ. წერეთელი, აკადემიკოსი — ა. ბოჭორიშვილი, პროფ. ს. ხუციშვილი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე.

არნო ონელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო მოეწყო პოეტის მშობლიურ კუთხეში ქ. ონში. „ნაკადულის“ წიგნის სახლში, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სოფელ გამარჯვებაში...

მის სიკვდილს ღრმა მწუხარებით შეხვდა ქართული მწერლობა, მისი მადლიერი მკითხველები.

„ძვირფასო არნო! — ასე მიმართავს სამარის პირზე არნო ონელის ძვირფას ნეშტს ქართული მწერლობა — გულისტკივილით გემშვიდობებით. მოსაგონრად გვრჩება სათუთი გრძნობით შექმნილი თქვენი საბავშვო კრებულები, რომლითაც გამოხატეთ სიყვარული ნორჩი თაობისა. თქვენი მოქალაქეობრივი მრწამსი, სიყვარული ქართული სიტყვისა.

თქვენი კრებულები „მოდის გია თუხარელი“, „სკოლაში და სკოლის გარეთ“ და სხვა ამშვენებენ უმცროსი ასაკის ბავშვების წიგნის თაროს და არა მარტო ამშვენებენ, არამედ ასწავლიან პატარებს სიკეთეს, მეგობრობას, შრომის მადლს და აყენებენ იმ კეთილ გზაზე, რომელსაც შენ უწოდებ „გზა, რომელიც ბრწყინავს.

მარად“. თავადაც ამ გზით იარე. ვალმობდილი მიდიხარ ძვირფასო მეგობარო... სიცოცხლის გზაზე ახლა შენი ლექსის ნაკადული განაგრძობს არსებობას, რომელსაც მოჰყვებიან თაობები. მოდის გია თუხარელი, იზრდება ქალი ნიორა“...

## აღექსანდრე შანიძე

„აღექსანდრე შანიძე მომღერალი პოეტია, და, ამავ დროს სასიმღერო პოეტია. მის ლექსებს მღერიან ყველგან, სადაც ადამიანის გული ღიაა სიკეთისათვის, სილამაზისათვის, სამშობლოსათვის, ჭეშმარიტად ფართო და გულწრფელი ნიჭის პოეტია. არსად მის ლექსებს არ ეტყობა ხელოვნურობა, დაძალება... ემღერება და მღერის“... — წერდა გამორჩენილი მწერალი როდიონ ქორქია.

„ქვეყნად სიცოცხლის ვარ მომღერალი,  
მინდა, ოცნების ღმერთებს ვეწვიო.  
მინდა აუფრინდე, რომ მწვერულამდე  
დილის ნიაიცი ვერ დამეწიოს.

მინდა, ყოველი ლექსი და სიტყვა  
გულმა იმღეროს, გრძნობამ და ბაღოს,  
ხალხს მსახურებდეს, რაც ქვეყნად მიტყვამს  
და ლაქვარდებად ენთოს კაბადონს“.

აღ. შანიძის ლექსების სტრიქონები მართლაც რომ ლაღი და ფრთიანია, რომელშიც პოეზიის სუნთქვა ძალუმად იგრძნობა. სწორედ ამიტომაა საინტერესო და მიმზიდველი მისი ლექსები.

აღბათ არ არის ისეთი ქართველი, რომელსაც თავისთვის არ წაიგმღეროს „ჩემო ტკბილო მეგობარო“, რომელიც დაწერის დღიდან ხალხმა აიტაცა, შეიყვარა და მის შემდეგ მღერის. განუსაზღვრელია ლექსის პოპულარობა, რითაც პოეტმა აღექსანდრე შანიძემ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ამ სიმღერას ხშირად ვისმენთ რადიოთი და ტელევიზიით, აღსანიშნავია, რომ მისი მელოდია იქცა მარშად.

სიმღერა ადამიანის სულის სარკეა, მისი სევდისა თუ სიხარულის გამომხატველი. ამ სარკეში პირველად პოეზიის ნაზი სტრი-

ქონები ჩაიხედავს, შემდეგ კომპოზიტორის მიერ მელორდიად აღებული მსმენელს სიამესა და სიხალისეს აგრძნობინებს.

რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრის მიერ ახლახან გამოცემული ნოტების კრებულში სათაურით: „ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები“ ვკითხულობთ:

... ალ. შანიძე იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელიც ძალზე პოპულარულია. ქართველი მკითხველი მისი სახელის გაგონებისას ადვილად მოიგონებს ხალხში სიმღერად გადასულ ლექსებს: „დაილოცოს საქართველო“, „თბილისური ლაქვარდები“, „საოცნებო ვარდები“, „მოხევე ქალი“, მათ შორის ყველაზე საუკეთესოს — „ჩემო ტკბილო მეგობარო“.

ალ. შანიძის უშუალოდ გულიდან დაძრული სიტყვა არ იყარებს უცხოს, არაორგანულს; იგი სიტყვას ფასსა სდებს, ცდილობს პირვანდელი სურნელი და სიანკარე არ დაუკარგოს; ლაკონურობა და სინატიფე მის ლექსს აცოცხლებს, პლასტიკურს ხდის.

ამღერებელი ინტონაცია ქმნის ამღერებულ ლექსს. ასეთი ლექსი ადვილად იქცევა მელორდიად და სიმღერის მადლიანი ჰანგით ხალხის გულს ეუფლება. ყველაფერი ეს იზიდავდა და კვლავაც მიიზიდავს ქართველ მუსიკოსთა ძალებს. ალ. შანიძის ლექსებზე შექმნილი აქვთ სიმღერები ბევრ გამოჩენილ კომპოზიტორს: კ. ფოცხვერაშვილს, ალ. ბუკიას, შ. მილორავეს, ლ. იაშვილს, ბ. კვერნაძეს, ს. მირიანაშვილს, ო. თევდორაძეს, ვ. ჭუმბურიძეს და ნწევებს. სიმღერამ უფრო დიდი აუდიტორია შესძინა პოეტს. ერთი სიტყვით, ლექსმა ფრთა გაშალა, ზალხმა აიტაცა და გაითავისა. ვიდრე ლექსი და სიმღერა ატკობს და ახარებს ქართველი კაცის სულსა და გულს, პოეტის ღუღუნა ლექსის მელორდიებიც მაცოცხლებელ სიოდ მოფენება ჩვენს მომავალ თაობებს“.

როგორც უკვე ითქვა, პოეტ ალ. შანიძის მრავალ ლექსზე დაიწერა მუსიკა, რომელიც ხალხმა შეიყვარა და შეისისხლხორცა. პოეტმა ქებისა და დიდების სტრიქონები უძღვნა შრომის გმირ ქალებს, ქართველ დედას. ესენია „სიყვარულმა მათქმევიწია“, „ქართველო დედავ“, „მოხევე ხალხს“... ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მარიამ არჯვენიშვილმა ისინი სიმღერებად აქცია და ხალხს კიდევ უფრო შეაყვარა.

გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა შოთა მილორავემ მის პატრიოტულ ლექსზე „სამშობლო ჩემო“ დაწერა მელორდიური სიმ-

დერა სოლოსათვის: მასვე ეკუთვნის სიმღერები „ფარაჯიანი გონა“, „დედის ხსოვნას“ და სხვ.

პოეტის ლექსებზე შექმნეს სიმღერები აგრეთვე კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა „ჭაბუკთა სიმღერა“, „შავვერემანი და თვალემაყვალა“, ვ. კუმბურიძემ „რა ლამაზია, რა კარგია“ და სხვ.

კომპოზიტორმა ა. ბუკიამ ალ. შანიძის ლექსის „საოცნებო ვარდების“ ტექსტზე დაწერა ამავე სახელწოდების ლირიკული საესტრადო სიმღერა, რომელსაც ხშირად ვისმენთ ჩვენი ესტრადის გამოჩენილი მსახიობების შესრულებით. ეს ნაწარმოები „მუსიკალურმა ფონდმა“ გამოსცა ნოტების სახით.

მელოდიურია და სასიამოვნოდ უღერს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის სიმღერა „თბილისური ლაყვარდები“, რომელიც სრულდება ესტრადაზე. მრისხანე დღეებში გამოჩენილმა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა მისი ლექსის „მებრძოლის სიმღერის“ მიხედვით დაწერა ამავე სახელწოდების სიმღერა. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა ქართველი მებრძოლის გმირული სული და პატრიოტიზმი ჩააქსოვა. ქართველმა ჯარისკაცმა იგრძნო და შეიყვარა მასზე დაწერილი სიმღერა, რომელსაც მეომრები იერიშის წინ მღეროდნენ. ეს სიმღერა ადამიანებს ამხნევებდა, ძალასა და ენერჯიას მატებდა ძნელბედობის უამს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ალექსანდრე შანიძის ახალი ლექსთა კრებული „დაბინდებამდე“, ხოლო „ნაკადულმა“ საბავშვო ლექსთა კრებული „ვარსკვლავეთის სავანე“.

ალექსანდრე შანიძის ახალი ლექსების კრებულს გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „მერანი“, რომელშიც შესულია ასზე მეტი ლირიკული ლექსი.

ლექსები თემატურად მრავალმხრივია. პოეტის ნატვრათ, პარველ ყოვლისა, მისი სამშობლოს კეთილდღეობა, მისი ნათელი მომავალი, მშობლიური მიწის ლაღი სუნთქვა. ამ წიგნში შესული ლექსებიც ალბათ მალე იქცევა ჩვენი კომპოზიტორების მუსიკის თემად.

პოეტი ალ. შანიძე სამწერლო ასპარეზზე ადრე გამოვიდა. იგი ჩვიდმეტი წლის იყო, როცა პირველი ლექსი „აფერადლა სამყარო“ დაიბეჭდა გაზეთ „მოწაფის ხმაში“. ეს გაზეთი იმ პერიოდში

დისათვის ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის ერთ-ერთი რეს-  
პუბლიკური მნიშვნელობის გაზეთი იყო, სადაც ქვეყნდებოდა  
მათი შემოქმედებითი ნიმუშები.

ამის შემდეგ ალ. შანიძე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას  
ეწეოდა პერიოდულ გამოცემებში.

1926 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში დედას სწერს:

„დედაე, ძვირფასო, მშობელო ესმა,  
წუხელ ფიქრებმა ისე გამართო,  
რომ შენი ტკბილი ხმა შემომესმა  
თბილისის ბაღთან შოარულს, მარტოს...“

ამავე ლექსში ვკითხულობთ:

„ახლა კი ვიცი, რომ გაგონდები  
და შვილის ნახვა გულს დაისახე.  
მაგრამ, გთხოვ, ჩემთვის ნუ დაღონდები,  
მე არ შევარცხენ შენს წმინდა სახელს...“

ვარ და ეიქნები ჩემი მამულის  
მუღამ ერთგული, მისი დამცველი,  
ისევ შევხედები მზიურ მომავალს.  
ლხენით, სიმღერით და ალტაცებით...“

პოეტი ხშირად იგონებს დედის ნათელ სახეს, მის რჩევა-და-  
რიგებებს, ჭაბუკობაში რომ აჩვევდა ხალხთან თანადგომას, სამ-  
შობლოს სიყვარულს.

ალექსიანდრე შანიძე ყოფისეული პოეტია. მისი პოეზია ცხოვ-  
რებისაგან განყენებული როდია. იგი მშრომელი ხალხის შუა  
გულში დგას და, როგორც მაცნე, მოუწოდებს:

„ხვალინდელ დღეთა იმედი გქონდეს,  
იყავ მებრძოლი,  
სიტყვით ფრთოსანი.  
სულით ამაღლი, არ დამიღონდე  
მომე დალოცე  
ჯამით, ფიალით.  
ასე იარე ამ წუთისოფელში  
გაზაფხულიდან  
გაზაფხულამდე.“



მიწამ გაკმობს ნაწი სერნელი  
ედემ-ბალებს,  
ვარდის, ჭეჭილის.  
კლდენი გაპურლე გასაბურლეღი,  
მთა-ბარს მოპფინე  
ფარჩა, ჭეჭიმი.  
ახალ ოცნებით ისე ამაღლდი,  
გულ რომ არ დარჩეს  
განუკურნელი“.

მისი პირველი ლექსთა კრებული გამოიცა 1928 წელს. ამ წიგნში უმთავრესად მისი მომავალი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ძიების გზაა მოცემული.

პოეტი გადმოგვცემს: „ამ პერიოდისათვის საქართველოში სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა შეხედულებანი არსებობდა, რომელთა გავლენას ნაწილობრივ მეც განვიცდიდი და ამიტომაც მაშინდელ ჩემს ზოგიერთ ლექსს წარსულის იდეალიზაციის ელფერი ადევს, რაც შემდეგ გამოსწორებული იქნა“.

ალექსანდრე შანიძე 1926 წლიდან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი იყო, ხოლო 1934 წლიდან საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი.

პოეტის კალამს ეკუთვნის ოცდაათზე მეტი ლექსთა კრებული. ამათგან აღსანიშნავია: „სიყვარულმა მათქმევინა“, „რა ლამაზია, რა კარგი“, „ჩემი ოცნების ცისკარი“, „გულისნადები“, „რაც მი-ნატრია“, „ჩემი სამშობლო“, „სანატე მზის და ვარდისა“, „ნატვრისთვალი“, „დაბინდებამდე“, „არ დავიწყება“ (საფრონტო ლექსები). ცალკე წიგნებად გამოცემულია გამოჩენილ კომპოზიტორთა სიმღერები ალექსანდრე შანიძის ლექსებზე და სხვ.

ალექსანდრე ილარიონის ძე შანიძე დაიბადა 1907 წლის 15 აგვისტოს, სამტრედიის რაიონის სოფელ ზემო ნოლაში (ბეგა). დაწყებითი განათლება მიიღო სამტრედიის რკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში 1922 წელს, რომელიც შემდეგ მეორე შრომის სკოლად გადაკეთდა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1926 წელს, სოფ. გურჯაანში წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

1929 წელს იგი მისაღებ გამოცდებს აბარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტ-

ზე, რომელსაც 1932 წელს ამთავრებს წარჩინებით. ამავე წლის ოქტომბერში კი მუშაობას იწყებს ქ. თბილისის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მასობრივი განყოფილების გამგედ, სადაც 1939 წლამდე დაპყო. ამავე წელს გადაყვანილი იქნა განათლების კომისარიატთან არსებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკურ სამეცნიერო მეთოდკაბინეტში მეთოდისტად. აქედან 1941 წელს გაწვეული იქნა ომში, სადაც ასეულს მეთაურობდა.

ალექსანდრე შანიძე მეცნიერი მუშაკიცაა: ის ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარია. წიგნს უძღვება ხალხისაკენ თავისი მეთოდური სამეცნიერო შრომებით. ესეც ერთი დიდი დამსახურებაა.

ალექსანდრე შანიძე თავმდაბალი მოქალაქეა, სამეგობრო ადამიანია. ამ დიდი ღირსებითაც შემკულია ის, და ამშვენებს არა მარტო თავის ბიოგრაფიას, არამედ მთელ ქართველ მწერლობას.

ალ. შანიძე ომიდან დაბრუნების შემდეგ ისევ განაგრძობს მუშაობას ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკურ სამეცნიერო მეთოდკაბინეტში მეთოდისტად. აქ ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ დარგში. გამოცემული აქვს ოცამდე მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელო.

1954 წელს პოეტი ინიშნება საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 მაისის ბრძანებულებით ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა.

1964 წლიდან იგი გადაიყვანეს გამომცემლობა „განათლებელში“ უფროს რედაქტორად ენისა და ლიტერატურის დარგში, სადაც მოღვაწეობდა 1967 წლის სექტემბრამდე. შემდეგ გადადის პერსონალურ პენსიაზე. ალექსანდრე შანიძე ათეული წლების განმავლობაში არის საზოგადოება „ცოდნის“ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და ახალგაზრდობის შორის მომუშავე კომისიის თავმჯდომარე. ამავე დროს იგი არის აღნიშნული საზოგადოების საქალაქო და რესპუბლიკური გამგეობის წევრიც, სადაც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს.

ორმოც წელზე მეტია, რაც რესპუბლიკის ფარგლებში კითხულობს ლექციებს ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებზე, რისთვისაც დაჯილდოებულია სსრ კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის მიერ წარჩინებული ლექტორის სამკერდე მედლით.

პოეტი ალ. შანიძე მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. სამამულო ომის დაწყებამდე იგი ზელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ გაერთიანებას, რომელიც თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან იყო ჩამოყალიბებული. ამ წრეში იყვნენ გაერთიანებულნი და დიდი ლიტერატურისაკენ გზას იკაფავდნენ შემდგომში გამოჩენილი მწერლები: რ. ჯაფარიძე, მ. ლებანიძე, ვ. გორგანელი, ო. კელიძე, შ. ფორჩხიძე, ვ. ფხოველი და სხვანი. ისინი ალ. შანიძის დახმარებით გაზეთებში აქვეყნებდნენ თავიანთ პირველ ქმნილებებს.

ალექსანდრე შანიძის ინიციატივით გორკის სახელობის კულტურისა და ტექნიკის სახლთან შეიქმნა პოეზიის მრგვალი მაგიდა. აქ სისტემატურად ხდებოდა ქართველი მწერლების შეხვედრები რაიონისა და თბილისის მოწინავე მშრომელ და მოსწავლე ახალგაზრდობასთან...

არიან ადამიანები, რომლებიც საოცარ საქველმოქმედო საქმეებს აკეთებენ იმ მშობლიური კუთხისა თუ რაიონისათვის, სადაც შობილა და ბავშვობის წლები გაუტარებიათ ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე შანიძე. მან ჯერ კიდევ ადრე, 1948 წელს, თავისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნა და დააარსა სამტრედიის სოფელ ზემო ნოღაში სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელსაც თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან 1000 ცალი წიგნი გადასცა საჩუქრად. ამ ბიბლიოთეკის დაარსების 40 წლისთავი 1980 წლის აგვისტოში დიდი ზემოთ გადაიხადეს სოფლის მშრომელებმა. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება შანიძის ქველმოქმედება. მან ხელი შეუწყო სოფელს ელექტროგანათების, წყლის გაყვანისა და სხვა გადაუდებელი საკითხების მოგვარებაში.

ალექსანდრე შანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკუთარი სახსრებით გახსნა ორი რაიონის გამოჩენილ ადამიანთა, საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმი.

მუზეუმისათვის მოიპოვა ხუთასამდე ორიგინალური ექსპონატი. შეაგროვა და დაამუშავა მრავალი საინტერესო მასალა. საცხოვრებელი სახლის საგამოფენო დარბაზად ქცევა შეეძლო მხოლოდ ასეთ ადამიანს, რომელიც უპირველესად თავად არის შემოქმედი, ახლო ურთიერთობა აქვს არა მარტო ქართველ მწერლებთან, არამედ ქართველი მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან.

ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა შეეძლო კაცს, რომლისთვისაც ქედი ვერ მოუდრეკია რვა ათეულწლის სიმძიმეს და ენერგიულად დგას მშობლიური ერის სამსახურში. იქნებ დედის, ესმა ბერძენიშვილის, ნათელმა სახემაც უქარნახა ჩვენს საყვარელ პოეტს ალექსანდრე შანიძეს სწორედ თავის ძველ ბინაზე მოეწყო ორი რაიონის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმი.

ფართოდ არის წარმოდგენილი ნოლაში დაბადებული აკადემიკოს აკაკი შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები.

დანარჩენი განყოფილებების ექსპოზიციებში თანამიმდევრობით განლაგებულია დიდი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ნიკო მარი, ნიკო ბერძენიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ფილიმონ ქორიძე, სერგო ჟღენტი, დავით კობიძე, მოსე გოგიბერიძე, შალვა ნუცუბიძე, ქსენია სიხარულიძე და სხვანი.

ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილებაში წარმოდგენილია ძველი და ახალი თაობის თვალსაჩინო მოღვაწენი: კოლა ლომთათიძე, სოლომონ თვავაძე, ნოდარ დუმბაძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, სანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, ნოე ჩხიკვაძე, გიორგი კაჭახიძე, ანდრო თევზაძე და ბევრი სხვანი.

ფართოდ არიან ნაჩვენები გამოჩენილი პედაგოგები, საინჟინრო დარგის მოღვაწენი. დიდ ყურადღებას იქცევს შინ მოუსვლელთა სტენდებიც.

გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმი დიდ დახმარებას უწევს რაიონის მშრომელებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას. იგი აცნობს მათ მოწინავე და გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თუ როგორ ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდნენ ისინი სამშობლოს, მათი ცხოვრება და საქმიანობა მაგალითი იქნება ახალი თაობისათვის.

ალექსანდრე შანიძე რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და

სხვა რესპუბლიკათა მრავალ მწერალს იცნობდა, ბევრთან მეგობრობდა კიდევ.

ბელორუსიაში გამოვიდა კრებული: „მოგონებანი იანკა კუპალაზე“. წიგნი შეადგინეს ალექსი კალიკოვსკიმ და ნინა ცვირკამ.

კრებულში დაბეჭდილია ალექსანდრე შანიძის ვრცელი მოგონება ბელორუსიის გამოჩენილ პოეტებზე. სათაური „ჩვენი მეგობრობა“ მეტყველებს იმ სიახლოვეზე, რომელიც ორი მოძმე ხალხის პოეტებს ჰქონდათ.

ეს მოგონება ერთი მცირე, მაგრამ ნათელი შტრიხია ალექსანდრე შანიძის ცხოვრებისა, მისი მეგობრული, ადამიანური სულის ნათელი გამომზეურებისა.

### ჩვენი მეგობრობა

როცა იხსენებ განვლილ ცხოვრებას, მეხსიერებაში ყოველთვის ამოტივტივდება ყველაზე ძვირფასი, საოცნებო, ჩემთვის ეს იყო შეხვედრები ადამიანებთან, ვისი შემოქმედება, სახე, ხასიათი და ადამიანებთან დამოკიდებულება მე ყოველთვის მიტაცებდა და მაჭადოებდა.

1937 წ. 24 დეკემბერს თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში მიმდინარეობდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მე-5 პლენუმი, რომელიც შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. დარბაზი გაჭედილი იყო. ქართველი საზოგადოებრიობა მქუხარედ ესალმებოდა მოძმე რესპუბლიკების მწერლებს. პოეტმა და მთარგმნელმა მიქელ პატარიძემ ყურში ჩამჩურჩულა: „მომისმინე, რაღაცას წაგიკითხავ“. მან ჯიბიდან ამოიღო ფურცელი და ლექსი წამიკითხა. სუნთქვაშეკრულმა აღელვებულმა გამოეთქვი აზრი, რომ ეს არის რუსთაველისადმი მიძღვნილი ყველაზე საუკეთესო ლექსი, რომელსაც მე ვიცნობ. მიქელმა მიმანიშნა კაცზე, რომელიც მის გვერდით იჯდა და მითხრა, რომ ეს ლექსი ამ კაცს, ბელორუსიის სახალხო პოეტს იანკა კუპალას ეკუთვნისო. იანკა კუპალა ერთი შეხედვით იქცევა ადამიანის ყურადღებას. მე ძალიან მომინდა მისი გაცნობა. ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ ერთი დღის შემდეგ მომეცა.

26 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული იყო იანკა კუპალას ლექსი „მზიურ შოთა რუსთაველს“. გაზეთი ვიყიდე, მხნეობა მოვიკრიბე და გადავეცი იგი პოეტს. მიქელმა ჩვენ ერთმანეთი გაგვაცნო. მახსოვს ის აღფრთოვანება, რაც ამ ლექსმა გამოიწვია ქართველ ხალხში.

1938 წელს ვისვენებდი ქალაქ ნალჩიკის სანატორიუმში. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ბელორუსმა გოგონამ გამაცნო იანკა კუპალასა და იაკუბ კოლასის შემოქმედება, მიაშრო თავის ხალხზე, თავის მშობლიურ ქალაქ მინსკზე. მე მომაჯადოვა იანკა კუპალას ლექსებმა „გლეხი“, „გუგული კი იძახდა გუგუს“, „მშობლიური სიმღერები“. პოემამ „Бонидарадия“ ნამდვილად შემაყვარა ბელორუსია, მისი ბუნება, მისი შრომისმოყვარე ხალხი და ამიტომ დიდი სიხარულით წავედი მინსკში. ეს შესაძლებლობა კი მაშინ მომეცა, როცა მოსკოვში გამომიძახეს პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ბელორუსიის მწერალთა კავშირის სახლში მოულოდნელად შევხვდი იანკა კუპალას. მან მიცნო და გაიხარა. პოეტი აპირებდა წყალტუბოში დასასვენებლად წასვლას და შემომთავაზა ერთად გამგზავრება. პეტრუს ბროკვას სთხოვა აეღო ორი ბილეთი ერთ კუპეში. იმავე საღამოს შინ ვეწვიე იანკა კუპალას. პოეტის პატარა ერთ სართულიანი სახლი მდინარის მახლობლად იდგა. სახლის წინ უზარმაზარი დაბურული ხის ქვეშ იდგა მაგიდა და გრძელი მერხი.

იანკა კუპალამ მიმიწვია თავის სამუშაო კაბინეტში. პირდაპირ დამისვა რბილ სავარძელში და მამაშვილურად თბილი და გულთაღი საუბარი გამიბა. მელაპარაკებოდა საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

— რას ნიშნავს სიტყვა „გენაცვალე“? მკითხა მან. შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, დამაბნია და ყოყმანით ვუპასუხე, რომ მისი სიტყვისიტყვით თარგმნა შეუძლებელია, რომ ეს არის ქართველების ყველაზე უკეთესი მოფერებითი სიტყვა.

ვლადისლავა ფრანცის ასულმა სუფრა გაბინეტში გამალა. მოგვართვა ყავა, მურაბა, ნამცხვარი. ცოცხალმა ენერგიულმა ქალმა სწრაფად აიტაცა ჩვენი საუბარი და გამომკითხა, ცოლიანი ვარ თუ არა. პასუხი რომ გაიგო, იხუმრა, ე. ი. თქვენ არაფრად

არ ვარგისხართ. ქალი ამშვენებს მამაკაცს. საქართველოში თუ გი-  
ჰირთ საცოლის მოძებნა, ჩვენ შეგვიძლია აქ შევეცადოთ. ამ საქ-  
მეში თქვენ იანკა დაგეხმარებათ.

იანკამ ყავა დალია, გაიცინა და თქვა:

— ჩემი აზრით ამ ყმაწვილისათვის ახალგაზრდა პოეტესა ავ-  
ნეცვეტი ყველაზე შესაფერი იქნებაო. თუ ისიც დაგვეთანხმება,  
მაშინ პოეტესას ხვალვე წამოვიყვანო, ქორწილს კი საქართვე-  
ლოში გადავიხდით.

სალამომ მხიარულად ჩაიარა. გამომშვიდობებისას იანკა კუპა-  
ლამ თაროდან ჩამოიღო წიგნი: „რუსი პოეტები — პუშკინის თანა-  
მედროვენი“, ანთოლოგია და ჩვენი შეხვედრების სამახსოვროდ  
მაჩუქა.

ჩვენ ერთად გავემგზავრეთ წყალტუბოში. გზაში კიდევ უფ-  
რო დავუახლოვდი იანკა კუპალას, იგი ბევრს კითხულობდა, უყ-  
ვარდა ოცნება. როცა რამე არ მოსწონდა, მაშინვე სახეზე შე-  
ეტყობოდა ხოლმე. იგი რამეს ყვებოდა ნაწყვეტ ნაწყვეტად, მაგ-  
რამ გამომეტყველებით და შინაარსიანად. ბევრი ლაპარაკი არ  
უყვარდა. მისი პასუხები ყოველთვის სავსე იყო ცხოვრებისე-  
ული სიბრძნით და სიღრმით, ყოველთვის იმას ესწრაფვოდა,  
რაც შეიძლება მეტი და მეტი გაეგო ირგვლივ მყოფი ადამიანე-  
ბისაგან. თუ რაიმე საინტერესოს გაიგებდა, მაშინვე იწერდა უბის  
წიგნაკში. ღამით მატარებელში ცუდად ეძინა, ხშირად იღვიძებდა,  
ყველაზე ადრე დგებოდა, პირს იბანდა და ფანჯარასთან მდგომი  
განთიადის ხილვით ტკებებოდა, მგზავრობის მეოთხე დღეს, როცა  
ბაქოს ვუახლოვდებოდით, იანკა კუპალამ მთხოვა, იქნებ მეშოვა  
ბორჯომის წყალი, როგორც კი მატარებელი გაჩერდა, მე გავემუ-  
რე ვაგონ-რესტორნისკენ. აქ შეეხვდი ჩემს მეგობარს, ხეცური-  
ანს, რომელიც ჩემთან ერთად ფრუზესს სახელობის მე-2 მსრო-  
ლელ დივიზიაში მსახურობდა. ის ამ ვაგონ-რესტორნის გამგე  
აღმოჩნდა. როცა გაიგო საქმის ვითარება, მან განკარგულება  
გასცა, სუფრა გაეწყოთ. მალე იანკა კუპალა მოვიწვიეთ. ხეცური-  
ანი იყო მაღალი, ვაჟკაცური აღნაგობის კაცი. იანკამ რომ დაინახა  
იგი, თქვა:

— კურთხეული იყოს ქართული მიწა, რა ვაჟკაცები გაუჩე-  
ნია!

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ ბუფეტიდან მოიტა-

ნეს შემწვარი წიწილები, თხელი ლავაშები, მწვანელი; კახური ღვინო, ბორჯომი და ლიმონათი. იანკა ძალიან გაოცდა. ოფიციალტს უთხრა: — ალბათ, შეგეშალათ, ჩვენ ამდენი რამ არ შეგვიკვეთია! ხეცურიანმა გაიცინა და მობოდიშებით თქვა:

— არა, პატივცემულო იანკა, თქვენ ჩვენი სტუმარი ბრძანდებდით, ნუ გავკვიცხავთ ასეთი მცირედი მასპინძლობისათვის.

როცა სუფრა გაიშალა, პოეტმა ხელში აიღო ღვინით სავსე ჭიქა და მხიარულად თქვა:

— ჩვენ მალე ჩავალთ მზიურ საქართველოში. სანამ მე ცოცხალი ვარ, ყოველთვის მეყვარება თქვენი ნათელი, სიცოცხლით სავსე სტუმართმოყვარე ქვეყანა.

იანკა კუპალასათვის ნომერი უკვე დაჯავშნული გვექონდა სასტუმრო „თბილისში“. დაბინავდა. მეორე დღის დილას 9 საათზე უკვე იქ ვიყავი. იანკა ფანჯარასთან იდგა და მზით სავსე მთაწმინდისა და სოლოლაკის — ჩვენი დედაქალაქის ულამაზესი ადგილების ხილვით ტკებოდა.

— იცი, — მხარზე ხელი დამადო და მითხრა, — საქართველო ჩემთვის მეორე სამშობლოა, მე ისე მიყვარს მისი ადგილები, დიდებული ბუნება, როგორც ჩემი სამშობლო.

მისი გრძნობით ნათქვამი ეს სიტყვები გულში ჩამრჩა.

იანკა კუპალამ მთხოვა, ეგებ მისთვის მეშოვა წიგნები — საქართველოსა და თბილისის ისტორიაზე. აგრეთვე მთხოვა, წყალტუბოში გამგზავრებამდე მეჩვენებინა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო ნ. ი. ჰელიძე, საოცრად გულისხმიერი კაცი, ლიტერატურის დიდი მოყვარული. დიდი სიამოვნებით დამეხმარა წიგნების შერჩევაში და მანქანაც კი მომცა ჩვენს განკარგულებაში.

პირველად მთაწმინდის პანთეონი მოვინახულეთ. გრიბოედოვის საფლავისაკენ გავემართეთ, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი. იანკა კუპალამ საფლავს დახედა და სახე მოეღრუბლა. რამდენიმე წუთი მდუმარედ იდგა. შემდეგ კი უბის წიგნაკში ჩაიწერა გრიბოედოვის ცოლის, ნინო ჭავჭავაძის მიერ გაკეთებული წარწერა — „შენი გონება და საქმეები უკვდავია რუსების ხსონაში, მაგრამ მე რატომ ვცოცხლობ უშენოდ, ჩემო სიყვარულო?“.



იანკამ პანთეონი დაათვალიერა, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ყველა საფლავი მოიარა. უფრო დიდხანს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის საფლავებთან შეჩერდა. ილიას საფლავთან კარგა ხანს იდგა, თვალს არ აშორებდა „მწუხარე საქართველოს“ დიდებულ ქანდაკებას. ქუდმოსდილი ერთხანს მღუპარებდა, შემდეგ თქვა:

— აი ნამდვილი სიმბოლო მარადიული ნაღველისა, დიდება თქვენ, ქართველი ხალხის გულო და გონებავ!

პანთეონის მცველი, რომელიც ერთი წუთითაც არ მოგვეშორებია, ყურადღებიანი, თავაზიანი კაცი იყო, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული. ეშმაკურად გაიცინა და თქვა: —

— როცა მოვკვდები, მეც აქ დამასაფლავებენო.

ეს რომ გავიგონე, გულიანად გავიცინე, იანკამ გაოცებით შემომხედა, პანთეონის მცველს ხელი მოკიდა და უთხრა:

— სიკვდილი ყველასათვის ერთია, ვინც მთელი ცხოვრება ხალხის სამსახურის მაღალ იდეალებს მოახმარა, სადაც არ უნდა იყოს მისი საფლავი, სახელი არ დაეკარგება, მაღლიერი ხალხი ყოველთვის დააფასებს.

მეორე დღეს მცხეთაში, ჰეგტიცხოვლის ტაძრის სანახავად გავეშურეთ. იანკა კუპალამ ყურადღებით დაათვალიერა ძველისძველი ფრესკები, ერეკლე II, გიორგი VII და სხვა დიდებულთა საფლავები. განსაკუთრებით მოიხიბლა მონასტრის გალავნის ხუროთმოძღვრებით. აქედან სამთავროში გავემგზავრეთ, სადაც ჩემს მეგობარს, მეცნიერ მუშაკს ა. კალანდაძეს შევხვდით. იგი მცხეთაში არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა. დაწვრილებით გვესაუბრა ჩვენი ძველი დედაქალაქის ისტორიის შესახებ. გვიჩვენა შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის სიამაყე ჯვრის მონასტერი, რომელსაც უკვდავმა ლერმონტოვმა თავისი შესანიშნავი პოემა „მწირი“ მიუძღვნა. დავათვალიერეთ სამთავრო და სხვა ადრეულ შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლები. შემდეგ კალანდაძემ დაწვრილებით გავვაცნო სამთავროს მახლობლად წარმოებული გათხრების მიზანი, ამოცანები და მნიშვნელობა. მასთან განშორებისას იანკა კუპალამ თქვა:

— ყველაფერს გავაკეთებ, რომ გავიცნო თქვენი საოცარი მხარე. სულ უფრო ღრმად ვრწმუნდები, რამხელა შემოქმედებითი

ძალა და სიდიადე გააჩნია თქვენს ხალხს. მე ვიქნები მისი აწმყოს, წინსვლისა და მომავლის მუდმივი პატივისმცემელი.

იანკა კუპალას კიდევ შეეძლო სამი დღე დარჩენილიყო თბილისში, მაგრამ რატომღაც აჩქარდა და წყალტუბოში გაემგზავრა. დანპირდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის წიგნებს წაკითხვისთანავე გამომიგზავნიდა, თან მთხოვა, წყალტუბოში უთუოდ მინახულყო.

მალე მისი წერილი მივიღე და მეც რამდენიმე დღით წყალტუბოში გავემგზავრე. სანატორიუმში რომ მივედი, ექთან ვერა სიზიაკინის შევხვდი, რომელმაც იანკასთან მიმიყვანა. იანკამ რომ დამინახა, ძლიერ გაეხარდა, ხელი მომხვია, პალატაში შემიყვანა და მითხრა:

— სიტყვის კაცი ყოფილხარ, დიდი მადლობა, რომ მომინახულე. ამ თქვენ გულითადობას არასოდეს დავივიწყებ.

საწერ მაგიდაზე, რომელიც მისი საწოლის გვერდით იდგა, ხელნაწერები და წიგნები იყო დახვავებული. იანკა ახალ წიგნს ამზადებდა გამოსაცემად. მითხრა, რომ ამ წიგნში საქართველოში დაწერილი ლექსებიც შევიღოდა. ღრმა ემოციური შთაბეჭდილება მოუხდენია წიგნებს, რომლებიც თბილისიდან წამოიღო, ამ წიგნებიდან ბევრი რამ ამოუწერია.

თბილი და მზიანი ამინდი იყო, პალატიდან დერეფანში გამოვედი. უცებ დავინახე ჩემი ნაცნობი ექიმი ელადიმერ კიკნაძე, რომელიც თეთრხალათიან ქალს ელაპარაკებოდა. მალე ერთმანეთს შევხვდით და ჩვენთან ერთად გამოისეირნა ხეივანში. აქ ვგრძელ მერხზე ჩამოვსხედით. საუბარში რომ ვიყავით, ერთი შავგვრემანი კაცი მოგვიახლოვდა. ბოშას ჰგავდა. მხატვარი ყოფილიყო. გვთხოვა, ნება მომეცით თქვენი პორტრეტები დაეხატო. სწრაფად ხატავდა. სულ რაღაც რამდენიმე წუთის შემდეგ სურათები მზად იყო, კმაყოფილები დავრჩით და მხატვარი დავასაჩუქრეთ.

როცა პალატაში დავბრუნდით, იანკამ მაჩვენა სურათი, რომელზეც დამსვენებელთა და ექიმთა შორის იანკა კუპალას გვერდით იდგა ის თეთრხალათიანი ექიმი ქალი, რომელსაც დერეფანში კიკნაძე ელაპარაკებოდა. ეს იყო იანკას მკურნალი ექიმი ელიკო მეტეხელი.

ელიკო მეტეხელი იყო ქერათმიანი, ტანმორჩილი, ცისფერთვალეა. ლამაზ სახეზე ხალი შევენოდა. ახალგაზრდობის მიუხე-

დავად კარგი სპეციალისტი გახლდათ. დამსვენებლები და თვით იანკა კუპალაც მოხიბლულები იყვნენ ავადმყოფებთან მისი გულთბილი დამოკიდებულებით. სწორედ ამ ქალმა ალაფროთოვანა იანკა კუპალა, შეექმნა მშვენიერი ლექსი „გენაცვალე“.

სანატორიუმის მთავარ ექიმ კიკნაძესთან მოვილაპარაკეთ, იანკა კუპალასათვის გვეჩვენებინა სათაფლია — სახელგანთქმული გეოლოგიური და წინარე ისტორიული ძეგლი.

კვირა დილას წყალტუბოდან სოფელ ბანოჯაში მივედით. შევხვდით პეტრე ჭაბუკიანს, ცნობილ პედაგოგსა და ნატურალისტს, რომელმაც სათაფლიას ძეგლი აღმოაჩინა. მან საქმის ცოდნითა და დიდი სიამოვნებით გვიამბო წარსულზე, მდიდარ საბადოებზე და მის გათხრებზე. ჩვენ ვნახეთ აქ უკვე ცნობილი მრავალი მილიონი წლის წინანდელი დინოზავრების ნაკვალევი. დავათვალიერეთ სათაფლიას დიდებული ადგილები, დავტყბით ბუნების მშვენიერებით. აქედან მოჩანდა აჭარა-გურიის მთები, მათი მშვენიერი ფერდობები, მთელი კოლხეთის დაბლობი ლამის შავი ზღვის სანაპირომდე. ქვემოთ რომ ვეშვებოდით, დავინახეთ ჩამქრალი ვულკანის კრატერი, საიდანაც გამოდიოდა წყარო „პრასკურა“. იანკა კუპალას აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ნახა სტალაქტიტებით მორთული მღვიმეები, სათაფლიის მდიდრული პარკი.

თითქმის ნახევარი დღე დავყავით სათაფლიაში. იანკას დალღა არ უგრძენია. აქედან ქუთაისში გავემგზავრეთ. სტუმარი განსაკუთრებული ყურადღებით იყო გარემოცული. საზეიმო სადილზე დაპატივებულები იყვნენ: ერთ-ერთი ფაბრიკის დირექტორი ნოე თევზაძე, საფინანსო განყოფილების გამგე სევერიან გიორგაძე, პოეტი ვლადიმერ გუგუშვილი და პედ-ინსტიტუტის მე-3 კურსის რამდენიმე სტუდენტი, რომელთა სიმღერებსაც ჩვენ სიამოვნებით ვუსმენდით.

იანკა კუპალას ძალიან მოსწონდა ქართული სიმღერები, განსაკუთრებით: „ბატონები“ და „საყვარელი მყავს და მიყვარს“.

მასპინძელთა ალერსიან მოპყრობას რომ გრძნობდა, იანკა თავისუფლად იყო. მოსწონდა ქართული სამზარეულო, გურიიდან ჩამოტანილი ტკბილი ღვინო ალადასტური, მოხიბლული იყო ქართული სუფრის წეს-ჩვეულებებით. როცა მას სიტყვა მისცეს, ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და მედიდური ხმით წაიკითხა ლექსი

„საქართველო“. ლექსმა ყველა მოგვხიბლა. პოეტის სახით ჩვენ ქართველი ხალხის დიდი მეგობარი დავინახეთ.

ქალების სადღეგრძელო კი ასე წარმოსთქვა:

— მე მგონია, არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც პატივს ასე სცემდნენ და აღმერთებდნენ ქალებს, როგორც საქართველოში. სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდა და ოჯახის სიწმინდის შენახვა იყო და არის ქართველი ქალის უცვლელი თვისება. ქართველი ქალის სახე მე ღრმად აღმებეჭდა სულში და მარად მათი პატივისმცემელი ვიქნები!

ლამით დავბრუნდით წყალტუბოში. მეორე დღეს მე თბილისში წამოვედი, იანკა კი კისლოვოდსკოი გასამგზავრებლად მოემზადა. ჩვენ გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს იმ იმედით, რომ მომავალში კვლავაც არაერთხელ შევხვდებოდით ერთმანეთს.

იანკა კუპალამ საქართველოს უძღვნა ლექსი, რომელიც თარგმნა ალ. შანიძემ.

ვის არ ხიბლავს საქართველოს მთა-გორები,  
მზის სხივებზე მოციმციმე ბალჩა-ჭერებით.  
რომ გახედავ ნათელ ფიქრით და გონებით,  
მის ხატოვან ლავვარდებში იძირები.

ასეულ წლებს მიარღვევდნენ მამაკები,  
ბინადარნი მიუწვდომელ მთის და ველის,  
უმღეროდნენ აქ გმირობას ალტაცებით,  
აქ აღზარდეს დიდებული რუსთაველი.

ციდან მოჰქუხს მკვირცხლად ოქროს ნაკადული,  
ოქრო ბუდობს საქართველოს წიაღებშიც-  
ოცნებით რომ თეთრ მწვერვალებს გადაუვლი,  
იძირები სიყვარულის სიმღერებში.

აქ ვენახებს თავს ევლება მზე დიადი,  
ლიმონებთან ილიმება მანდარინი,  
აქ ნიადაგ შესახვედრად განთიადის —  
ხეივანებში მდინარენი მზად არიან.

ნორჩ რტოებზე წითელკაბა ბროწეულებს  
დაუხრიათ მძიმედ მწიფე ლალის გული,  
ჩაის ბუჩქი მწვანე ფარჩის ძოწეულით  
დგას საამო ყვავილებთან განაბული.

ალარ ისმის ვაების და ტანჯვის ხმები,  
მწუხარების ალარ დარჩა კვალი მცირე,  
დღეს აქ ყველა შემოქმედი არის ახლის,  
იციინან ვარსკვლავები მოციმციმე.

ჩქედს ცხოვრება გალაღებულ შვის მხარეში,  
თვალს ვერ მოსწევდო სასახლეებს ცაში აკრილს,  
ხარობს ხალხი, მადლიანი გამრჩე ხალხი,  
დგას სურნელი შემოდგომით ხილის, მაქრის.

კიუხებზე ლალად დაქპრის ნაზი სიო,  
სად არწივი თავს ევლება ზრუნვით მართვეს,  
გორის ციხე რომ გასცქერის კავკასიონს,  
სიამაყეს აგრძნობინებს ყოველ ქართველს.

ვის არ უყვარს, ვის არ ატკბობს საქართველო,  
უყურებ და სიმღერებად დაიღვრები;  
დაილოცოს თვალწარბტაყი მწვერვალები,  
მათი ცქერით არასოდეს დაიღლები.

## მოსე თოიძე

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს თბილისში ფართოდ იყო ცნობილი მთავარი სახელოსნოების სასწავლებელი. აქ ერთმანეთს ხედებოდნენ და ეცნობოდნენ მშრომელთა წრიდან გამოსული ახალგაზრდები.

მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი — პროგრესულად განწყობილი ინტელიგენცია, დიდ დახმარებას უწევდა ამ ახალგაზრდების განვითარებისა და სწავლა-განათლების საქმეს.

ამ სახელოსნო სასწავლებელთან იმ ხანებში თავისი საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული მომავალში ჩვენი სასიქადულო მხატვარი მოსე თოიძე. იგი ამკარად თანაუგრძნობდა მუშათა მოძრაობას. ბავშვობიდანვე მუშათა შორის აღზრდილმა, თავისი ნიჭი და ენერჯია იმთავითვე ხალხის სამსახურში ჩააყენა.

ახალგაზრდა მოსე თოიძე იყო ამ სახელოსნო-სასწავლებლის ფარულ ხელნაწერი ჟურნალის „ანკარასა“ და პიესების პირველი

მხატვარი. ეს იყო მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისი, რომელსაც მხატვარი მხატვარი შემდგომში სასობითა და სიყვარულით იგონებდა ხოლმე.

იგი არა მარტო მხატვრულად აფორმებდა სახელოსნო სასწავლებელში არაღეგალურად გამოცემულ ხელნაწერ ჟურნალს, არამედ მასში საკუთარ ლექსებსაც ათავსებდა.

ჟურნალ „ანკარას“ ყდა თოიძის მიერ იყო დახატული. დაზგასთან იდგა მუშა, ქვეშ მხატვრისავე ლექსი იყო წაწერილი:

„მუშის გული, ჰირნახული,  
ჯერ ვერ დაღრღნა ისე ყანგმა,  
რომ იგი ვერ ააღეღოს  
ხელოვნების უკვდავ ჰანგმა“.

სასწავლებელში ფარულად დიდი საგანმანათლებლო მუშაობაც იყო გაჩაღებული — მოსწავლეები იმხანად საქართველოში ფარულად გავრცელებული წრეების მუშაობაში მონაწილეობდნენ. მათ თითქმის ყველა გარეუბანში ნახავდით: კუკიაზე, ჩულურეთში, ავლაბარში... წარმოდგენასაც მართავდნენ. ამ სპექტაკლებში მ. თოიძე მსახიობებთან ერთად (ქალების როლს ასრულებდა), ძირითადად დეკორატიულ მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობდა.

მოწაფეები ფარულ საქმიანობას კარგად ახერხებდნენ. თვით მხატვარი მ. თოიძე ისე ოსტატურად მუშაობდა, ადმინისტრაციას ეპვიც ვერ მიჰქონდა. სამაგიეროდ კარგად ხედავდნენ მის ნიქს, შრომისმოყვარეობას, ამიტომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1887) იგი იქვე დატოვეს ზეინკალ მასწავლებლად.

იმ დროს საქართველოში საკმაოდ გავრცელებულმა ხალხსნურმა მიმართულებამ სახელოსნო სასწავლებელშიც მოიკიდა ფეხი. ამ სასწავლებლის მოწაფეებთან ახლოს იდგნენ და ახალგაზრდობაზე იდეურ ზეგავლენას ახდენდნენ შიო და გოლა ჩიტაძეები, ანტონ ფურცელაძე და სხვანი.

მ. თოიძე სახელოსნო სასწავლებლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ყოფილა. მას, როგორც მხატვარს, აქ მიუღია პირველი ნათლობა, ჩაფიქრებულა რას ნიშნავდა საზოგადოებისათვის სამსახური, მისთვის თავდადება და მისდამი სიყვარულის დიდი გრძნობა.

იმ დროს, როდესაც მომავალ მხატვარს სახელოსნო სასწავლებელი წარჩინებით დაუმთავრებია, თბილისში მ. გორკის, გ. ჩიტაძის, ა. ქოქრაშვილის და პ. ლევაეას ხელმძღვანელობით დაარსებულა ე. წ. „კრასნოგორსკის კომუნა“, რომელიც მიზნად ისახავდა ლარიზ გლეხობასთან კავშირსა და მისთვის სამსახურის გაწევას.

აქ გაუცვნია მოსე თოიძეს ძმები ჩიტაძეები, დაახლოებია მაქსიმ გორკისაც. სწორედ მათ შთაუგონებიათ პეტერბურგის აკადემიაში სასწავლებლად გამგზავრების იდეა. „ერთხელ, როდესაც მაქსიმ გორკი ჩემს ფერებით ნახატებს ათვლიერებდა, — მოგვითხრობს მხატვარი, — განსაკუთრებით დაინტერესდა ერთ-ერთი ნახატით და გამოკითხვა დამიწყო. მე გამახარა იმ შთაბეჭდილებამ, რაც მას ჩემი სურათით მიეღო და ტრამახით ვთქვი, რომ ნახატი სულ თხუთმეტიოდე წუთში მქონდა შესრულებული. მაქსიმ გორკის სახეზე უკმაყოფილების გრძნობა გამოიხატა, მომიბრუნდა და მითხრა: „Напрасно! Почему не работали в продолжении двух недель?! Ведь выдержки, знак настоящего дарования?!“

ამ სიტყვებმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. და იმ დღიდან ბევრ რამეზე შემეცვალა შეხედულება. თუ მანამდე ჩემ ტოლ მხატვარ ამხანაგებთან იოლად და სწრაფად ხატვაზე ლაპარაკი სიამაყით შემეძლო, ამ მომენტიდან ამისი მრცხვენოდა კიდევ“<sup>5</sup>.

ბოლოს გორკის ერთხელ კიდევ უთქვამს, რომ ბევრი შრომა იყო საჭირო და უსათუოდ უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში დიდ მხატვართან, ილია რეპინთან სასწავლებლად. ამ დღიდან ეს იდეა თურმე აღარ აძლევდა მოსვენებას მოსე თოიძეს და სწავლის გაგრძელების სურვილი თანდათან ეზრდებოდა.

ამ პერიოდში (1887 — 1896) წლებში მოსე თოიძეს არა ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჰქონია შექმნილი. დახატული ჰქონდა ქართული მწერლების პორტრეტთა მთელი სერია, რომელიც ლითოგრაფიული წესით დაბეჭდილი სწრაფად ვრცელდებოდა მოსახლეობის ფართო ფენებში. ეს ყოფილა ქართული მწერლების პოპულარიზაციისათვის მხატვრული საშუალებებით გადაღებული „იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამავე პე-

<sup>5</sup> ო. ფირალიშვილი „მოსე თოიძე“, თბილისი, 1953, გვ. 10 — 11.

რიოდს ეხება მ. თოიძის აღრინდელი მოღვაწეობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თოიძის ამაგი გაზეთ „კვალის“ მხატვრული გაფორმების საქმეში. თოიძე ყოფილა ამ გაზეთის პირველი მხატვარ-გამფორმებელი და რუსეთში გამგზავრებამდე — 1896 წლამდე — „კვალში“ თითქმის განუწყვეტლივ მომუშავე. „კვალის“ პირველი ნომერი გამოსულა 1893 წლის 3 იანვარს.

„კვალის“ ფურცლებზე თოიძეს დიდძალი პორტრეტული გამოსახულებანი და შედარებით რთული კომპოზიციები ჰქონია წარმოდგენილი.

1896 წელს გაზაფხულზე სწავლამოწყურებული ახალგაზრდა პეტერბურგში გამგზავრებულა. ღარიბი ოჯახის შვილს სად შეეძლო უცხო ქალაქში თავის რჩენა, მაგრამ საქმის სიყვარულმა და საკუთარი ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის შეგნებამ ჰაბუკს ძალა შემატა. წლების მანძილზე ნანატრი სანუკვარი ოცნება 25 წლის ჰაბუკს სინამდვილედ ექცა. იგი გულმოდგინედ შედგომია მისადები გამოცდებისათვის მზადებას, მაგრამ დარჩენილი მცირე დრო ამისათვის საშუალებას არ აძლევდა. თოიძეს კარგად ესმოდა, რომ აკადემიაში გამოცდების ჩაბარებისათვის საჭირო იყო მხატვრული განათლების მქონე ადამიანები, რომელთაც წლების მანძილზე ესწავლათ სამხატვრო სკოლაში, ან ვინმე ცნობილ მხატვრის სახელოსნოში. მან მოძებნა იმ დროს პეტერბურგში სკოლა-სახელოსნოს მქონე მხატვარი დიმიტრიევ-კავკაზსკი, რომელსაც ერთ დროს საქართველოში ეცხოვრა, იცნობდა ჩვენს ხალხს, უყვარდა და პატივს სცემდა ქართველებს. ამით ბევრი სარგებლობდა თურმე ჩვენი ქვეყნიდან წასული ახალგაზრდები. მას მიაკითხა მოსე თოიძემაც და შესდგომია საშემოდგომო გამოცდებისათვის მზადებას.

თოიძისათვის ბედს არ გაუღიმა. მაინცდამაინც გამოცდების დღეებში გამხდარა ავად და ნახატი დაუმთავრებელი დარჩენილა, რის გამოც აკადემიის გარეთ დაუტოვებიათ.

„უზომო იყო ჩემი მწუხარება — იხსენებდა ბ-ნი მოსე, — იმდენად ძლიერ ვიყავი შეწუხებული, რომ ჩემი მწუხარება დიმიტრიევ-კავკაზსკისაც გადაედო და საგონებელში ჩააყენა. ამ დროს მე მომაგონდა დიდი რუსი მხატვარი ილია რეპინის სახელი, რომელსაც ასე ხშირად მიხსენებდა ჩემს საქართველოში ალექსი პეშ-



კოვი (მაქსიმ გორკი). რეპინის გახსენებამ დიმიტრიევ-კავეკაჰსკის მაშინვე ჩაუსახა მასთან ჩემი გაცხადების იდეა. იგი ფიქრობდა, რომ რეპინი ჩაწვდებოდა ზემოხსენებულ გაუგებრობის შინაარსს, მოიხიბლებოდა ჩემი ბუნებრივი მონაცემებით და სამხატვრო აკადემიის მოსწავლეთა ჩარიცხვაში დამეხმარებოდა. მე ბევრი არ მიფიქრია. ავკრიფე ჩემი ჩანახატები, ეტიუდები და გავიქეცი ილია რეპინის სახლის მოსაძებნად. რეპინი სახლში არ დამხვდა, ძლიერ დავლონდი, მაგრამ სახლს არ მოვშორდი. დიდხანს, ძალიან დიდხანს ველოდე...”

დალლილსა და ფიქრებში გართულ ქაბუქს ფეხის ხმა შემოესმა. კიბეებზე ვილაც მორჩილი ტანის მამაკაცი ამოდიოდა. მოსე შეგებებია და უკითხავს, ხომ არ იცით, როდის მობრძანდება რეპინიო. კაცს თურმე ამაზე არაფერი უპასუხნია, მხოლოდ უკითხავს, თუ რისთვის კითხულობდა რეპინს. მოსეს აღფრთოვანებითა და აჩქარებით სულ რამდენიმე წამში უამბნია ყველაფერი, რაც გადახდომია. გამოუტყდა, ამის გასაზიარებლად და საკითხავად რომ იყო რეპინთან მისული. უცნობს კარგა ხანს არ უთქვამს, თუ ვინ იყო, მხოლოდ მოუთხოვია იქვე კიბეებზე ეჩვენებინა მისი ნახატები. თოიძემ ყველაფერი გადაუშალა და აღელვებული თვალყურს ადევნებდა თურმე უცნობის უმცირეს მოძრაობასაც კი. **Браво!** — რამდენჯერმე გაუმეორებია უცნობს. დახედავდა რომელიმე მის ნახატსა თუ ეტიუდს, მაშინვე შემოხედავდა ყმაწვილს და ჩუმად თავისთვის იმეორებდა „ბრავო“. თოიძეს ვერ გაეგო, თუ რაში იყო საქმე. რას ნიშნავდა ეს „ბრავო!“ შემდეგ ამ უცხო კაცს იგი შეუყვანია ბინაში და აქ გამოცნაურებია, რომ თვითონ იყო რეპინი. მოულოდნელად შემობრუნებულა და ყმაწვილისათვის უკითხავს: **Тбилиси нет художественной школы?**. თოიძეს უარყოფის ნიშნად თავი გაუქნევია. აი, აი, აი უთქვამს რეპინს და რამდენიმე წუთის შემდეგ კონვერტი გადაუცია და უთქვამს სამხატვრო აკადემიაში მიეტანა აკადემიის ვიცე პრეზიდენტის, გრაფ ივანე ივანეს ძე ტოლსტოისათვის. თან დაუძენია, რომ იგი წერდა ტოლსტოის „მალიავინის ჯგუფში“ მისი ჩარიცხვის შესახებ.

მ. თოიძეს მეორე დღესვე გადაუცია ბარათი და ასე მიუღიათ იგი აკადემიაში. მ. თოიძეს შემდეგ გაუგია, რომ „მალიავინის ჯგუფი“ თურმე უშუალოდ რეპინს ექვემდებარებოდა. იგი დაარსებული ყოფილა ისეთი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც განსა-

კუთრებით გამოირჩეოდნენ ნიჭით და წინასწარი განათლება არ ჰქონიათ, ასეთებს ისინი „სამოროდკებს“ ეძახდნენ თურმე.

ამრიგად, მ. თოიძე 1886 წლის 21 დეკემბერს რეპინის დახმარებით სამხატვრო აკადემიის მოსწავლე გამხდარა. მისთვის ფართოდ გახსნილა დიდი მხატვრის სახელოსნოს კარი. რეპინი მზრუნველობას არ აკლებდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა. „ქართველოდან ჩამოსულ ნიჭიერსა და ღარიბ მხატვარს, რომელშიც ხალხის მომავალი, უანგარო მსახური დაუნახავს.

რეპინის გულისხმობიერი ყურადღების მიუხედავად საქართველოსა და ოჯახს მოწყვეტილ ჰაბუკისათვის მძიმე ყოფილა პეტერბურგის წლები. მას თავისი და ოჯახის მდგომარეობა კარგად ჰქონდა შეგნებული და მთელი ძალღონით ცდილობდა მაქსიმალური ცოდნა შეეძინა აკადემიაში, მორალურად გამარჯვებული დაბრუნებულიყო საქართველოში. ამ მტკიცე გადაწყვეტილების ნათესაყოფად მისი სწრაფი წინსვლა, რასაც ადასტურებენ აკადემიის კედლებში შექმნილი ნამუშევრები.

მოსე თოიძის სტუდენტობის წლების ნამუშევრებს შორის დღეისათვის გადარჩენილი და დაცული ყოფილა „რუსი გლეხი“ (1886), „თანამოსწავლე ანუ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტის პორტრეტი“ (1887) და „მზარეული“ (ეტიუდი „მცხეთობის“ სურათისათვის, 1889).

მასწავლებლის რჩევითა და მითითებით მოწაფე სხვადასხვა პირთათვის თუ დაწესებულებისათვის დიდი მხატვრის ცნობილი სურათების პირებს აკეთებდა.

ამგვარმა მუშაობამ, ცხადია გარკვეული გავლენა იქონია მომავალი ფერმწერის ჩამოყალიბებაზე. რეპინს ურჩევია მ. თოიძისათვის საშუალო სკოლის დამთავრება. მისივე რჩევითა და მოთხოვნით შეუყვანიათ თოიძე იმ დიპლომატთა სიაში, რომელთა საზღვარგარეთ მივლინებაც ჰქონია აკადემიას გადაწყვეტილი.

მ. თოიძეს პეტერბურგის აკადემიის მთლიანი კურსი გაუვლია, ახალგაზრდა მხატვარს თავისი სადიპლომო შრომისათვის მცხეთობის თემა აურჩევია.

2. თოიძე მცხეთობისათვის გულდასმით და სიყვარულით ემზადებოდა თურმე. მრავალი ეტიუდი შეუქმნია და ბოლოს, როცა „მცხეთობა“ დაუსრულებია, აკადემიისათვის წარუდგენია. მაგრამ მას დიპლომის დაცვა ვერ მოუსწრია. თითქოს ყველაფერი

რიგზე ყოფილა, მაგრამ მალე მას სტუდენტთა პოლიტიკურ დემონსტრაციაში მიუღია მონაწილეობა და პოლიციის ძეზნის საგანი გამხდარა. თოიძე ვასილიევის კუნძულზე აღმოუჩენიათ და პეტერბურგიდან თბილისში ეტაპით გაუგზავნიათ. „ბუნტში“ მონაწილეობისათვის მ. თოიძე „არა საიმედო პირთა“ სიაშიც მოხვედრილა.

თბილისის „ოხრანკას“ იგი უკვე მიზანში ჰყოლია ამოდებულ. ეს გარემოება თოიძეს ყველა კარს უკეტავდა და არა ებობის შესაძლებლობას ართმევდა. მისი სამსახურში შესვლის საკითხი საექვო ხდებოდა.

ამის მიუხედავად იმავე 1901 წელს თავისი სადიპლომო ნამუშევარი მაინც გამოუტანია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც გახსნილა თბილისში, ე. წ. „მუშტილის სანახებში“. სხვა ექსპონატთა შორის ყიურიმ ერთ-ერთ სურათს, როგორც საუკეთესოს, ოქროს მედალი მიაკუთვნა. სურათის ავტორი იყო რეპინის მოწაფე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა გაფიცვის აქტიური მონაწილე, ახალგაზრდა მხატვარი მოსე თოიძე. სურათს „მცხეთობა“ ერქვა.

## იერემია გულისაშვილი

მწერალი, პუბლიცისტი, თვალსაჩინო თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი იერემია გულისაშვილი იმ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობა მთლიანად შესწირეს ქართველი ხალხის კეთილდღეობას.

იერემია გულისაშვილი „იერემიას“ ფსევდონიმით აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს გაზეთ „ივერიაში“, „სახალხო გაზეთში“, მას ეგნატე ხრამელაშვილთან ერთად 1909 წელს სახალხო გაზეთი დაუარსებია ღარიბი მოსახლეობისათვის.

იგი ქართული წიგნების გამომცემლობის ამხანაგობის დაარსების ინიციატორი იყო. აღექსანდრე ჯაბადაართან და ლადო აღნიაშვილთან ერთად დაუწყია ორიგინალური და ნათარგმნი წიგნების

გამოცემა. თავდაპირველად ბაჩანას პიესები დაუბეჭდავთ. სულ მალე ჟურნალი „ნობათი“ დაუარსებია, რომლის რედაქტორად მოუწვევიათ ლიტერატორი აკაკი ჭყონია. გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად ჟურნალში ი. გულისაშვილიც თანამშრომლობდა.

იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში მოღვაწეობასთან ერთად იერემია გულისაშვილი პიესებსაც წერდა. პიესები „დრონი მეფობენ“ (1890 წელი) და „ცხოვრება ბრძოლაა“ (1882 წელი) ერთ წიგნად გამოვიდა 1895 წელს. ორივე პიესამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ მაყურებელში.

დრამატურგმა ამ ნაწარმოებებში დაგვიხატა მცონარა თავდაზნაურთა ტიპები, რომელთაც ცხოვრებას ალღო ვერ აუღეს და ცხოვრებასთან ბრძოლაში დამარცხდნენ.

ეს პიესები თავის დროზე ლაღო მესხიშვილსაც არაერთხელ დაუდგამს სცენაზე. სწორედ ამას გვამცნობს ლაღო მესხიშვილის წერილი: „ძნაო იერემია! ზვალ წარმოდგენა გვაქვს და დილით რეპეტიცია გვექნება. სამ თებერვალზე ადრე ვერ ვითამაშებთ. მაინც და მაინც ზვალ დილით თერთმეტ საათზე შემოიარე თეატრში და იქ მოვილაპარაკოთ. წამოიღე პიესები, რომ დაურიგო სასწავლებლად ზვალვე. შენი ლაღო მესხიშვილი 1896 წ. 20 იანვარი“.

იმჟამინდელ თბილისის საზოგადოებას არ ჰქონდა თავშეყრის ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეების გაშლა. ი. გულისაშვილი ინჟინერ ანდრონიკაშვილთან და თომა ნასიძესთან ერთად სათავეში ჩადგომია ქართული კლუბის გახსნის საქმეს. ნებართვაც აუღიათ, სახსრები შეუგროვებიათ და ახლანდელი გრიბოედოვის სახელობის თეატრის ბაღში მოუწყვიათ კიდევ კლუბი, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლომოური, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე და სხვები. იმართებოდა წარმოდგენები, ლექცია-მოხსენებები საინტერესო-სამეცნიერო პოპულარულ საკითხებზე. ხანში შესულნი „პრეფერანსით“ ირთობდნენ თავს, ახალგაზრდობა — ესტრადითა და ცეკვა-თამაშით.

სწორედ აქ გაუცვნია და დაახლოებია იერემია გულისაშვილი ილიას, აკაკის და „ივერიის“ რედაქციაში გამართულ „ხუთშაბათობის“ ხშირი სტუმარი გამხდარა. ი. გულისაშვილი იგონებს ილიას

„ხუთშაბათობაზე“ პირველ სტუმრობას. „თბილისში ყოფნისას, — წერს იგი, — ვაჟა-ფშაველა თითქმის მუდამ ჩემთან ჩამოხტებოდა ხოლმე ბინად. ერთხელ ჩარგალიდან მესტუმრა; ხურჩინით ნაწერები ჩამოიტანა და ილიას „ხუთშაბათობაზე“ წასვლა დააპირა. მეც შემეპატიჟა. ვიუარე — ჩემისთანა წვრილკალმოსანს „ივერი-აში“ რა ფეხი შეედგმება-მეთქი. გამიწყრა, ხელი დამავლო და წამიყვანა. რედაქციის ოთახში უკვე შეკრებილიყვნენ: ნიკო სულხანიშვილი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ფრონელი, არტემ ახნაზაროვი და სხვანი. ვაჟამ ჩემი ნათქვამი ილიას გადასცა, დიდმა მგოსანმა გაიცინა და თავისებურად დინჯად მითხრა:

— რუსთაველი ერთი გეყავდა, დანარჩენები ერთნაირი ვართ, ლუკას მართალი უთქვამს. ცხარე ბაასი გაიბა. იმ დღეებში, ილიას „ქვათა ღაღადი“ დაიბეჭდა და იმ ხანად ის ჰქონდათ სალაპარაკოდ. იქ დამსწრენი აღფრთოვანებულნი იყვნენ და უხაროდათ, რომ ილიამ შესანიშნავი პასუხი გასცა არამკითხე მოამბეს. ულოცავდნენ ილიას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების წიგნსაცავებიდან სპეციალურად გამოწერილ საბუთებს უკითხავდა მათ.

ხანგრძლივი ბაასის შემდეგ სუფრასთან მიგვიწვიეს. თამადად ნიკო ხიზანიშვილი აირჩიეს. ოხუნჯობას, მკვრამეტყველებას, ვაჟას ლექსების კითხვას ბოლო არ უჩანდა და კინაღამ შემოგვათენდა“.

ამის შემდეგ ილიას სიტყვებით გათამამებული ი. გულისაშვილი ხშირად დადიოდა რედაქციაში და საინტერესო პუბლიცისტურ სტატიებს ათავსებდა „იერემიას“ ფსევდონიმით „ივერიასა“ და „სახალხო გაზეთში“ და სხვაგან. ერთხელ ილიას დაუვალეზია ჟურნალისათვის დაეწერა რაიმე. გულისაშვილს დავალეზია შეუსრულებია და დაუბეჭდავს წერილი ასეთი სათაურით: „გარე კახეთის რამე-რუმე“, სადაც გაკრიტიკებული იყო თავად-ახნაურობა. ერთხელ რომელიღაც წერილის გამოქვეყნებისათვის სტავროპოლის გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვიტეს, ილია გამოქომაგებია, მაზრის უფროს ვანო ჯანდიერთან წასულა შუამდგომლობით. ილიას ავტორიტეტს უხსნია გულისაშვილი.

„კარგად მახსოვს — იგონებდა ი. გულისაშვილი, — თავადაზნაურთა ყრილობა ბანკის მუშაობის საკითხებზე, სადაც ივანე მაჩაბელს ილიასთან მოუხდა შეჯახება. ვანო იშვიათი კეთილშობილი, ყოვლად პატიოსანი, უმწიკვლო და ნიჭიერი მოღვაწე იყო,

მაგრამ სუსტი ხასიათი ჰქონდა. ერთხელ ბანკის სხდომაზე, რომელსაც ნიკო დიასამიძე თავმჯდომარეობდა, ილიას გულქვა უწოდა — რატო გაუყიდე თავადებს მამულიო. ილია დინჯად წამოდგა და ხალხს მიმართა: „შეიძლება მე გულქვა ვიყო და მაჩაბელი გულკეთილი, მაგრამ საქმეს ანგარიში უყვარს. ყოველი უანგარიშოთ გადადგმული ნაბიჯი ბანკს დიდ ზარალს მიაყენებს, დაუშვებელია აქ გულკეთილობის გამოჩენა. თუ ერთს დააცლი და სარგებლის შეუტანლობის გამო დაგირავებულ მამულს არ გაუყიდი, მეორეც მალე მიბაძავს მას, მესამეც, მეოთხეც და უეჭველად უმრავლესობა, რადგან მეცა და თქვენცა კარგად ვიცნობთ ჩვენს თავად-აზნაურობას, რომლებიც საქმიანობას გაურბიან, ქეიფს ენაცვლებიან. თუ ერთი შესახვედრი სარგებლის შემოტანა გაუჭირდა, მალე მეორეც თავს დაატყდება და ამას რა მოჰყვება, ძნელი მისახვედრი არ არის. აი, მე გულქვა კაცი, დაუთმობ მაჩაბელს ჩემს ადგილს და თავისი „გულკეთილობით“ რა დაემართება ბანკსაც და დაგირავებულ მამულების პატრონთ, მალე ნახავთ“. ილიას სიმართლეში დარწმუნებულმა ხალხმა მას ბანკიდან წასვლა არ დაანებეს. (შეიძლება სიტყვა სიტყვით ვერ გავიხსენე, მაგრამ აზრი სწორია)“.

იერემია გულისაშვილის სახელი, როგორც ზემოთ ითქვა, მკვიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ თეატრთან. მას ახლო ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა ქართული თეატრის მესვეურებთან ვლ. მესხიშვილთან, ვალ. გუნიასთან, შ. დადიანთან და სხვა თეატრალურ მოღვაწეებთან.

იერემიას ბავშვობიდანვე ჰყვარებია თეატრი და ღრმა მოხუცებულობაშიც არ იზარებდა თურმე რეპეტიციებზე სიარულს და სცენაზე თამაშს. ბიჭის პატარა როლით დაიწყო მისი სასცენო ნათლობა დ. ერისთავის „სამშობლოში“. შემდეგ ი. გრიშაშვილის ვოდოვილში „ტიმოთეს ლელვი“. ტიმოთეს როლის შესრულებით დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. ი. გულისაშვილი მსახიობობასთან ერთად რეკვიზიტორის მოვალეობასაც ასრულებდა. დადიანთა ნათესავ-ნაცნობებში და ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს, სცენისათვის საჭირო ნივთებს აგროვებდა. ამით ხელს უწყობდა მსახიობებს წარმოდგენის გამართვაში. ამასთან იგი აგიტაციას ეწეოდა მუშებსა და დიასახლისებში, დასწრებოდნენ წარმოდგენებს.

რეჟისორ ს. ივანიძეს ა. ყაზბეგის „არსენაში“ ზაქროს საპასუხისმგებლო როლი ი. გულისაშვილისათვის მიუხედავად. ჭაბუკს გაუმართლებია ნდობა და მაყურებლისა და კოლეგების სამართლიანი მოწონება დაუშინაზრებია, ერთხელ არსენას როლის შემსრულებელ მსახიობს გ. ყანჩაველს შემთხვევით დაუჭრია ზაქროს როლის შემსრულებელი ი. გულისაშვილი. იგი თვენახევარი წოლილა საავადმყოფოში, ხოლო იქიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ თეატრს მიაშურა და ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას.

რეჟისორ ს. ივანიძეს მურაშკოს თეატრში მისულ ი. გულისაშვილისათვის უთქვამს შენ კარგი ძალა ხარ და დღეიდან ჩემი მოწაფე უნდა იყო. ამ დროს თეატრი დ. ერისთავის „სამშობლოს“ ამზადებდა. ამ პიესაში ს. ივანიძემ ი. გულისაშვილს ისკანდერბეგის როლი დააკისრა. ახალგაზრდამ ამ როლშიც კვლავინდებურად ისახელა თავი და ივანიძე გაახარა. ამას მოჰყვა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“. ამ პიესაში გულისაშვილს უსუფის პასუხსაგები როლის შესრულება მიანდევს. საღამოს კარგად ჩაუვლია და მას შემდეგ გულისაშვილი ყოველთვის მონაწილეობდა წარმოდგენებში.

ბონში სწავლისას იერემიას გულით მოუნდომებია გ. ერისთავის „გაყრის“ დადგმა, მაგრამ სემინარიის დირექტორის სტრელეცკის ნება არ დაურთავს. თავი დაანებე მაგ მასხარაობასო, — მკაცრად დამუქრებია, მაგრამ, როცა შეჰპირდა შემოსავლის ნახევარს, ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად შემოვიტანო, დათანხმებულა.

დამპყრობთა მიერ გაპარტახებულ აჭარაში, 1916 წლამდე, მხოლოდ ბათუმში არსებობდა სამი დაწყებითი ქართული სკოლა. ერთი — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ და ორი — ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მიერ გახსნილი. სამაგიეროდ აჭარის სოფლებში მრავლად ყოფილა „მედრესეები“ და ბავშვებს აიძულებდნენ გაუგებარ ენაზე ეხეპირებიანთ ლოცვები.

აჭარაში მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების მიღებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ასეთი უნუგეშო მდგომარეობა ძალზე აწუხებდა ჩვენს ხალხს, რომელიც მუდამ ზრუნავდა აჭარის მოსახლეობის, ეროვნული გათვითცნობიერებისა და მისი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

1915 წლის მიწურულში „ქართველთა საქველმოქმედო საზო-

გადოებას“ თბილისიდან ბათუმში მიავლინეს იერემია გულისაშვილი. ამის საილუსტრაციოდ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე ჰაიდარ აბაშიძის წერილიდან აი რას ვკითხულობთ: „იერემია გულისაშვილი ბათუმში ჩამოსვლისთანავე მოვიდა ჩემთან და მომახარა — აჭარაში მშობლიური სკოლების გახსნის საკითხზე ვარ გამოგზავნილიო. ამის გაგონებაზე სიხარულით აღფრთოვანებული მივევარდი მას და დიდი მადლობის ნიშნად მაგრად გადავკოცნე. იერემიას თვალები ცრემლებით აევსო, თვითონაც გადამკოცნა და მითხრა — „დაკარგული ძმები გვიპოვნინხართ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ აჭარას დაუმტკიცოთ ნამდვილი ძმობა და ჩვენი სიყვარულიო“...

ი. გულისაშვილის სახელი ადრეც ხშირად გამეგონა, მაგრამ პირადად ახლა შევხვდი. ამ შეხვედრისას ქართული ხალხის მიერ უკეთილშობილეს საქმეზე წარმოგზავნილი იერემია მხსნელად მენახებოდა და არც ვცდებოდი, რადგან მისი ხელმძღვანელობით უნდა განხორციელებულიყო ჩვენი დიდი ოცნება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა აჭარაში ქართული სკოლის გახსნით.

იერემიამ ქართული, დარბაისლური, მამულიშვილური მიდგომით ყველა სიძნელე გადალახა. გვერდში ამოიყენა პროგრესული მოღვაწენი და მალე აჭარაში მისი ხელმძღვანელობით „ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების“ ხარჯზე გაიხსნა ექვსი სკოლა ყოდორისთავში, ხუცუბანში, ალამბარში, ქვემო აჭარაში (ქედა), ჩხუტუნეთში და ზემო ხულოში.

სკოლა გაიჭედა გოგო-ბიჭებით და „მედრესეების“ გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. მშობლიური სკოლების ასეთმა წარმატებამ ლახვარი ჩასცა ხოჯებს, მოლებს, ხალხის მოღალატე ბეგებს და ყველა რეაქციონერს.

მაშინ აჭარაში სკოლების გახსნა იოლი საქმე არ იყო, რადგან სამი საუკუნის მანძილზე სკოლების ადგილას ხოჯა-მოლები „მედრესეებს“ ხსნიდნენ, მათ ზურგს უმაგრებდნენ პანთურქისტები და საშობლოს მოღალატე რეაქციონერები, არც მეფის მთავრობა ზრუნავდა ბეჩავი ხალხის განათლებაზე.

ამიტომ არ შეიძლება სიყვარულით არ მოვიხსენიოთ სამშობლოს სასიქადულო მოამაგე იერემია გულისაშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვოდა 1916 წელს აჭარაში ქართული სკოლე-



ბის დაარსებულ საქმეში. მისი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც თურქ დამპყრობთა მიერ გათიშული ქართველი ხალხის ძმობა-ერთობის განმტკიცებისათვის თავდადებულის“.

უსიხარულო ბავშვობა გაუტარებია იერემია გულისაშვილს. მთვრალი დიაკვნის როზგები საგარეჯოს სამრევლო სკოლაში, კარცერი და ზედამხედველის უმოწყალო მუჯლუგუნები შშობლიურ ენაზე დალაპარაკებისათვის თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ინსპექტორისა და მასწავლებლის მიერ აბუჩად აგდება სამოქალაქო სასწავლებელში და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი დამცირება ახსოვს სწავლის სურვილით ქალაქად ჩამოსულ ღარიბი მღვდლის შვილს.

მოხუცებულობაში ი. გულისაშვილი მწარე გულისტიკივლით იგონებდა თურმე ყრმობის პერიოდს. ზოგჯერ გულთბილი ღიმილიც გაუცისკროვნებდა სახეს, როდესაც გაიხსენებდა საყვარელ მასწავლებლებს — ალექსანდრე ცხვედაძესა და იაკობ გოგებაშვილს: „მე მათ ქართული წიგნი და შშობლიური ენა შემეყვარესო“ — იტყოდა თურმე თვალცრემლიანი მოხუცი და მოგონებების ბურუსში ჩაიძირებოდა.

მერე ობლობა... უბატრონოდ დარჩენილი უმწეო ბიჭი გადასახლებიდან დაბრუნებულ პუბლიცისტს დავით კეზელს და საზოგადო მოღვაწეს სტეფანე ჭრელაშვილს შეუყვედლებიათ. ზამთრის გრძელ ღამეებში კუთხეში მობუზული თორმეტი წლის ცნობის-მოყვარე ბიჭუნა გატაცებით უსმენდა მოწინავე იდეებით გამსჭვალული ახალგაზრდების კამათს. იმჟამად ჭერაც რომ გაუგებარი იყო მისთვის, მაგრამ ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვისა და სხვათა სახელები ღრმად ჩარჩენია მეხსიერებაში.

1886 წელს იერემია გულისაშვილს ზუგდიდში დაუდგამს გ. ერისთავის „ძუნწი“, შემდეგ კი ვასო აბაშიძის „ცოლი თუ გინდა, ეს არის“. მონაწილეობდნენ გამომძიებელი კვირკველია, მაზრის სამამულოს მდივანი ალ. წერეთელი, მასწავლებელი ქალი ფ. მხეიძე, მომრიგებელი მოსამართლე ლევან ჩიჩუა და სხვანი. „ძუნწში“ კარაპეტას როლი ი. გულისაშვილს შეუსრულებია. წარმოდგენას კენიანა სალომე მიურატი დასწრებია ქმარ-შვილით. ძალიან მოსწონებია და ბევრიც უცინია, და რაც მთავარია, უხვად შემოუწირავს ფული. ნაჩუქარი ფულითა და წარმოდგენის შემოსავლით ზუგდიდში დაუარსებიათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ი. გულისაშვილი ყოფილა აგრეთვე პირველი სახალხო თეატრის „ავჭალის აუდიტორიის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. იგი დიდხანს მუშაობდა თურმე ამ სახალხო თეატრში და ორი წლის განმავლობაში რეჟისორობდა კიდევ. მის მაშინდელ დადგმებიდან გამოირჩეოდა გ. ერისთავის „გაყრა“, აექს. ცაგარელის „ხანუმა“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვ. ამ წარმოდგენებში თვითონაც მონაწილეობდა ი. იმედაშვილთან, ნიკო გოცირიძესთან, გ. ჯაბაურთან და სხვებთან ერთად.

აღბათ ამ დროს მიუწერია მისთვის ჩვენს დიდ მსახიობა და რეჟისორს ლადო მესხიშვილს ზემოაღნიშნული ბარათი, რომელსაც იერემია მოხუცებულობაში ხელის კანკალით ამოიღებდა პასოვებით და, ვინ იცის მერამდენედ, გადაიკითხავდა სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს.

საზაფხულო არდადეგებს მშობლიურ საგარეჯოში ატარებდა. გარს შემოიკრებდა სცენისმოყვარეებს და წარმოდგენას მართავდა. 1913 წელს საცხოვრებლად სოფელში გადასვლის შემდეგ მუდმივი წრე ჩამოაყალიბა და ორი წლის შემდეგ მთელი ორმოცი წლის განმავლობაში საგარეჯოელები ტაშით ხვდებოდნენ სცენაზე ი. გულისაშვილის გამოჩენას.

იმ დროს არც ერთი საქველმოქმედო თუ საზოგადოებრივ-სასარგებლო წამოწყება არ ყოფილა; გულისაშვილს რომ არ მიეღო მონაწილეობა. სამეგრელოში იქნებოდა, აჭარაში, ქვემო ქართლსა თუ გარე კახეთში.

1915 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ი. გულისაშვილი ახლად განთავისუფლებულ აჭარაში სკოლების ზედამხედველად გაუგზავნია და ოთხი წლის განმავლობაში ხულოში, ქობულეთსა და ბათუმის რაიონებში 40-მდე ქართული სკოლა გაუხსნია.

მოწაფეობისდროინდელი მოგონებებიდან ყველაზე მკაფიოდ ჩარჩენია მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი ლუკა რაზიკაშვილი. მას ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და მოწიწებით იხსენიებდა იგი.

„...1878 წლის აგვისტოში ლუკას თელავის სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, თბილისში ჩამოსულა და სამოქალაქო სასწავლებლის მეექვსე კლასში ჩაუბარებია გამოცდებით, —

გვიამბობს იერემია გულისაშვილი თავის მოგონებებში, — მეც ის იყო ჩამოვედი სოფლიდან და სკოლაში შევიარე, მეხუთე კლასში ვიყავი და სახელმძღვანელოების შონა მინდოდა. სკოლის ეზოში ანაფორაგახსნილი სოფლელი გლეხი და ტალიკა მოზარდი შევნიშნე. მოხუცმა მიმიხმო და რომ ნახა ქართველი ვიყავი მითხრა: „ე ბიჭი ჩამოვიყვანე სწავლად, ბინა არ გვაქვს, ეგების გეგულებოდესო“.

მე ავჭალის ქუჩაზე გაზეთ „ივერიის“ რედაქციის პირდაპირ ეზოში ერთ ქვრივ დედაკაცთან ვიდექი და ახლადგაცნობილი მამა-შვილი იქ წავიყვანე“.

სახლის პატრონს — კეკელას გახარებია ახალი „ნახლებნიკის“ შონა და თვეში 8 მანეთი დაუფასა. ასე შეახვედრა ბედმა ი. გულისაშვილი დიდ ქართველ პოეტს — ვაჟა-ფშაველას და მომავალში სახელგანთქმულ მსახიობებს დავით (აწყურელი) და ვიქტორ გამყრელიძეებს. ამგვარად, მათ ერთ ჰერქვეშ ორი წელიწადი გაუტარებიათ. ჰაბუკები დამეგობრებულან, მათ ერთნაირი გასაჰკირი ადგათ — ოჯახური ხელმოკლეობა. ამიტომ იყო ბევრს ვერაფერს აწვდიდნენ მშობლები და ისინიც, რომ იტყვიან, „ღვთის ანაბარად“ ცხოვრობდნენ... ლუკა ხშირად თავის ლექსებს უკითხავდა ამხანაგებს, მათაც ავიწყლებოდათ შიმშილი, სულმოუთქმელად უსმენდნენ.

ლუკას მამა შვილს ათასში ერთხელ თუ ჩამოაკითხავდა ჩარგლიდან, ორიოდე გროშს დაუტოვებდა და გულდათუთქული ბრუნდებოდა მთაში. ზოგჯერ გამყრელიძეებს ბარაქიანი ძღვენი ჩამოსდიოდათ თელავიდან და ისიც ერთ ჰერქვეშ მყოფ თანაკლასელებს უნაწილებდნენ საჰმელ-სასმელს.

საგაზაფხულო არდადეგებს მეგობრები სოფელ გიორგიწმინდაში ატარებდნენ. იქაური მოხუცები თაობიდან თაობას ლეგენდასავით გადასცემდნენ აღდგომის სწორზე, კვირაცხოვლობას, მათი განთქმული ფალავანი ტერიკა არჩეაჰე ფშაველმა მელექსემ როგორ დააფერთხა. ი. გულისაშვილს ასევე გუშინდელ დღესავით ახსოვდა ვაჟას სტუმრობა და გაკვირვებული იტყოდა ხოლმე „კაცი კი არა, ცეცხლი იყო ლუკა“. ერთ დღეს ამტყდარა, გინდა თუ არა, გარეჰში უნდა წავიდე სანადიროდო. ბევრი უშალეს — შორია, ვერაფერს ისიამოვნებ, გაწვალდებო, მაგრამ ამაოდ. ცხენიც კი არ წაუყვანია, ფეხით გაუწევია. საღამოს დაბრუნებულა

ნანადირევით, ყველას გაკვირვებია, 60 კილომეტრი როგორ გა-  
არაო.

ორი წლის შემდეგ ამხანაგების გზები გაყრილა. ვაჟას გორის  
საოსტატო სემინარიისათვის მიუშურებია, ზოლო მის მეგობარს  
ახლად გახსნილ ხონის საოსტატო სემინარიისათვის. ზშირად მო-  
იკითხავდნენ თურმე ერთმანეთს და არ ივიწყებდნენ. წერილებ-  
საც სწერდნენ.

წლებთან ერთად ბავშვობაც წავიდა, უკან დარჩა საოსტატო  
სემინარია. კაბუკური იმედებით აღსავსე მასწავლებელს ი. გული-  
საშვილს ზუგდიდის ორკლასიან სასწავლებელში სამუშაოდ გზავ-  
ნიან და მას შემდეგ მთელი სამოცდახუთი წლის განმავლობაში  
უანგაროდ ემსახურებოდა რესპუბლიკის დამსახურებული პედა-  
გოგი იერემია გულისაშვილი სახალხო განათლების საქმეს. ოთხი  
წელი ზუგდიდში, ოცდახუთი წელი თბილისში, ოთხი წელი აჭა-  
რაში, უკანასკნელი ოცდათხუთმეტი წელი მშობლიურ სოფელ სა-  
გარეჯოში.

1913 წელს ი. გულისაშვილმა ილიას რჩევით თბილისში გაყი-  
და სახლი და გიორგიწმინდაში დასახლდა, თუმცა აჭარაში მოღვა-  
წეობის გამო იქ დამკვიდრება 1919 წლამდე ვერ მოახერხა. აჭა-  
რიდან დაბრუნების შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე გიორგიწმინ-  
დაში ცხოვრობდა.

ი. გულისაშვილს შრომასა და გარჯაში მეტად შინაარსიანი და  
მჩქეფარე ცხოვრება გაუტარებია. მისთვის განსაკუთრებით ნა-  
ყოფიერი ყოფილა თბილისში საზოგადოებრივი მოღვაწეობის  
წლები, იგი გერმანელების კომერციულ სასწავლებელში მასწავ-  
ლებლობდა. მრავალრიცხოვანი და სტუმრიანი ოჯახის პატრონს  
ხელფასი არ ჰყოფნიდა. მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა. სამუ-  
შაო საათების შემდეგ ბინიდან ბინაში კერძო გაკვეთილებზე  
დარბოდა, მაგრამ დაღლილ-დაქანცული საღამოობით მაინც პოუ-  
ლობდა დროს საზოგადო საქმეებისათვის.

1919 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მშობლიურ საგა-  
რეჯოში — ჯერ სკოლების გამგედ, შემდეგ საშუალო სკოლის დი-  
რექტორად.

ახლაც ახსოვთ გულისხმიერი მასწავლებელი მის ყოფილ, ამჟა-  
მად ჰალარა ნამოწაფრებს. დროგამოშვებით გაიხსენებდნენ. მოკი-  
თხვის ბარათებს მისწერდნენ, თანაც ზოგიერთი მათგანი რამდენი-

მე დღით ესტუმრებოდა კიდეც. ცოცხლებს მოიგონებდნენ, გარდაცვლილების შესანდობარს შესვამდნენ და ასე დაემშვიდობებოდნენ ერთმანეთს ახალ შეხვედრამდე.

საქართველოს რომელი კუთხიდან არ მოსდიოდა ბარათები მხცოვან პედაგოგს. წერდნენ სრულიად უცხოებიც, რომელებსაც სხვისი გადმოცემით გაუგიათ ი. გულისაშვილის შესახებ. თხოვდნენ დარიგებებს ან რაიმე ფაქტის დადასტურებას. შეილიშვილები იცინოდნენ თურმე — დიდი პაპას ხელმოწერილ ბარათებს ხელმწიფის ფირმანის ძალა აქვსო. მართლაც ვინ მოთვლის მის მიერ ხელმოწერილი ცნობით, რამდენ პედაგოგს აღუდგინეს მუშაობის სტაჟი, ან რამდენმა მკვლევარმა შოიშველია მისგან მინაწერი ბარათი ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

ჩვენს სახელოვან პოეტ აკადემიკოსებს გიორგი ლეონიძესა და იოსებ გრიშაშვილს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნის პერიოდის ქართული ლიტერატურის რამდენი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში დახმარებია — კერძოდ, ფსევდონიმების უკანამოფარებულ მოღვაწეთა ვინაობის დადგენაში, რომელთა სახელებს ჟამთა მტვერით დაფარვა ემუქრებოდა.

ბათუმიდან პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გრიგოლ ბაბილოძე წერდა: — გავიგე, აჭარაში გიმუშავიათ განათლების დარგში, ახლა ვწერ შრომას — სახალხო განათლების ისტორიაზე, აჭარაში. იქნებ რაიმე მასალები მოგეპოვებათ, მომაწოდოთო.

პირველი ქართული სკოლები ხომ თვითონ გახსნა ხულოში, ქედაში, ქობულეთსა და ბათუმში და კიდეც ცხრა სოფელში. ყველაფერი ეს დაწვრილებით ჩამოუწერა, არც პირველი მასწავლებლების გვარები და სახელები დავიწყებია.

უხუცესი თანამოსაქმე საგარეჯოს რაიონის კულტურის სახლის სცენისმოყვარეებმა დასასვენებლად მხოლოდ 1947 წელს გააცილეს.

მაგრამ განცხრომას როდი მისცემია უბერებელი მოხუცი. იგი ჩვეული მუყაითობითა და საქმის სიყვარულით განაგრძობდა შრომას. უსაქმურს ვერასოდეს ნახავდით. საკუთარი ხელით გაუტეხია ყამირი და ვენახი გაუშენებია. თითოეულ ვაზს შვილივით ელოლიავებოდა, მზრუნველობით დასტრიალებდა ყოველ ბუჩქსა და ხეს. მოსავლის აღების დროს ქარვის მტევნებს ხელში ათამაშებდა თვალტრემლიანი.

ბოლომდე ახალგაზრდული სიცოცხლით ცხოვრობდა საუკუნის ქარბორბალაში გამოვლილი კაცი. იგი მუდამ სიცოცხლისა და ახალგაზრდობის მოტრფიალე იყო. იერემია გულისაშვილი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„გულისხმიერი, მეგობრების მოყვარული, სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე, თავისი ქვეყნის დიდი მოტრფიალე, იგი ვალმობილი გაგვშორდა“ — წერდნენ ნეკროლოგში შ. დადიანი, გ. ლეონიძე, მ. ბარათაშვილი, ს. მთვარაძე. ნ. გვარაძე, ალ. ბურთიკაშვილი და სხვები“.

## სოკრატ სულთანიშვილი

სოკრატ სულთანიშვილი მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედებით ხუთი ათეული წელი ემსახურა თეატრალურ ხელოვნებას, როგორც დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი.

გატაცებული იყო ლიტერატურული მოღვაწეობითაც, წერდა ლექსებსა და სახუმარო სცენებს. მის კალამს ეკუთვნის სკეტჩი „ათი შცნება“, სცენები „მალხაზა და ზარმაცა“, „ბერუა საწყალიშვილი და ფრენა“... სულთანიშვილის რამდენიმე ლექსს კითხულობდნენ ესტრადის მსახიობები სცენაზე, გადასცემდნენ რადიოთი.

საკოლმეურნეო მოძრავი თეატრისათვის ს. სულთანიშვილმა დაწერა ლექსები, სკეტჩები, შაირები და პატარა პიესები, რომლებსაც თეატრის სხვადასხვა რაიონში მოგზაურობისას იყენებდა. მისი მრავალი მცირე ფორმის პიესა და საესტრადო ნომერი წლების მანძილზე არ ჩამოსულა სცენიდან.

სოკრატ სულთანიშვილი 1889 წელს დაიბადა საგარეჯოში. 15 წლისამ მუშაობა დაიწყო თბილისის მექანიკურ ქარხანაში. 1904 წელს პირველად შედგა ფეხი ავლადობის სახალხო თეატრის სცენაზე და მას შემდეგ ხელოვნებას აღარც ჩამოშორებია.

1905 წელს მოეწყო შეგირდების გაფიცვა. გაფიცულთა კომიტეტში სოკრატიც შედიოდა და ქარხნის მეპატრონეც სხვა მუშებთან ერთად დაითხოვა სამუშაოდან.

ქარზანასა და ავლაბრის მუშა-სცენისმოყვარეთა შორის ყოფნამ სოკრატს რევოლუციური ბრძოლისაკენ სწრაფვა გაუღვიძა. იმჟამად ავლაბარში, ვარდის მოედანზე, არსებობდა საჩაიე „იალტა“. სადაც იკრიბებოდნენ ფაბრიკა-ქარხნების რევოლუციურად განწყობილი მუშები. ამ „საიდუმლო შტაბში“ სხვებთან ერთად პროკლამაციები ს. სულთანისშვილსაც მოჰქონდა. ვარდის მოედანზე იყო აგრეთვე ბიბლიოთეკა, რომლის გამგე ნ. ფოცხვერაშვილი არაჩვეულებრივი კონსპირატულობით გამოირჩეოდა და პროკლამაციებს ს. სულთანისშვილთან ერთად ავრცელებდა.

თბილისში. გოლოვინის პროსპექტზე, პოლიტიკურ მუშათა დიდ დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, პროკლამაციების გავრცელებისათვის ისედაც შემჩნეულ სულთანისშვილს, ყაზახებმა მაგრად სცემეს, რის გამოც კარგა ხანს მოუხდა წოლა. გამოჯანმრთელების შემდეგ სოკრატი მუშაობას იწყებს ვანო ხირსელოვის სახელოსნოში ზეინკლად.

1907 წლის ზაფხულში დამით სულთანისშვილის სახლს თავს დაესხა პოლიცია და „ოხრანკა“. ჩხრეკამ დილამდე გასტანა, მაგრამ ვერაფერი უპოვეს. წაიღეს მხოლოდ სოკრატის რამდენიმე ლექსი და სცენები. გადაჩენილი ლექსი „ჩემი სიმღერა“ და სცენა „ბერუა საწყალიშვილი და ფრენა“, შემდგომში (1913 წელს) ეურნალ „ალმანახში“ ს. გარეჯელის ფსევდონიმით დაიბეჭდა.

სოკრატი ხშირად ჩადიოდა გორში თავის დასთან. აქ მან გაიცნო რევოლუციურად განწყობილი სასადილოს მეპატრონე ს. მთვარაძე.

უანდარმერამ მალე მიაგნო გორის საიდუმლო ორგანიზაციას, სხვებთან ერთად მთვარაძეც დააპატიმრა, 1908 წელს სოკრატი, როგორც პოლიტიკური პატიმარი, მეტეხის ციხეში მოათავსეს, რაკი ვერაფერი დაუმტკიცეს, ერთი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

ს. სულთანისშვილი თავის მოღვაწეობას აგრძელებს თეატრში. სცენაზე მან ორასამდე როლი შეასრულა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ერეკლე — „დალატში“, გაიოზი „და-ძმაში“, შალვა „თამარ ბატონისშვილში“, კარლ მოორი „ყაჩაღებში“, კასიო „ოტელიოში“, ბენ-იოხაი „ურთიელ აკოსტაში“... განსაკუთრებით ეხერხებოდა გლეხის როლები ქართულ ორიგინალურ პიესებში. 1912 წელს ლადო მესხისშვილის რეჟისორობით არაქსიანის თეატრში

დაიდგა პიესა „ისმინე, ისრაელ“! მონაწილეობდნენ ლადო მესხი-შვილი და ვალერიან შალიკაშვილი. სოკრატ სულთანიშვილი ამ პიესაში ეხმან იაკობის როლს ჩინებულად ასრულებდა.

შემდგომშიც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სპექტაკლებში ვალერიან გუნიასთან, კ. მესხთან, ა. იმედაშვილთან, ნ. დავითა-შვილთან. ს. ივანიძესთან, ტ. აბაშიძესთან ერთად.

1916 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ფოსტა-ტელეგრაფის ქარ-თულ დრამატულ დასს თბილისის მთავარ ფოსტაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ამავე შენობაში (ახლანდელ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე) გაიხსნა თეატრი, სადაც დგამდა ქართულ სპექტაკლებსა და მარ-თავდა კონცერტებს.

თბილისში, მელიქ კაზარიაძის შენობაში მოთავსებული იყო თეატრი „სოლე“. 1921 წელს ს. სულთანიშვილმა აქ ჩამოაყალიბა ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს თანამშრომლე-ბისაგან ძლიერი დრამატული დასი.

სამამულო ომის წლებში ს. სულთანიშვილს აგზავნიან თიანე-თის რაიონის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად სადაც მან განახორციელა ორი დადგმა „ქართველი დედა“ და „იმ დროის გმირები“. შემდგომში, არაქსიანის თეატრში დააარსა რე-ჟისორთა კოლეგია, სადაც ნ. მირველოვთან და ე. კულულაშვილ-თან ერთად სულთანიშვილსაც ნიშნავენ რეჟისორად. ს. სულთანი-შვილი თავს ანებებს კავშირგაბმულობის უწყების დასს და მუშაო-ბას აგრძელებს საკოლმეურნეო მოძრაე თეატრში.

1958 წელს სოკრატ სულთანიშვილს საქართველოს თეატრა-ლურმა საზოგადოებამ სახელმწიფო დაწესებულებების მუშათა პროფკავშირის კლუბში წასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღ-სანიშნავად შემოქმედებითი საღამო გაუმართა, სადაც სიტყვით გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი.

დაუვიწყარია სოკრატ სულთანიშვილის ღვაწლი, რომელიც მან ქართულ სახალხო თეატრს მიუძღვნა ალალი გულით, მხურ-ვალე გრძნობით.

სოკრატ სულთანიშვილი დიდი მსახიობის, რეჟისორისა და დრამატურგის ვალ. გუნიას 80 წლისთავთან დაკავშირებით იგო-ნებს: „1933 წლის ზაფხულში ვალ. გუნიას ხელმძღვანელობით შესდგა პატარა დასი აღმოსავლეთ საქართველოში სამოგზაუროდ.



დასწი შედიოდნენ ქალები: ს. ანკარა, თ. ყიფშიძე თავიანთი ქალიშვილებით, რომლებიც სცენაზე იღებდნენ მონაწილეობას. კაცები: ვალ. გუნიას, ს. სულთანისშვილი, ი. თარალაშვილი, ვ. ფერიაშვილი, გ. გრანტიანისშვილი.

რეპერტუარში გვქონდა „ქრისტიანე“, „ხანუმა“, და „გაჭირვების ტალკვესი“. წარმოდგენები გურჯაანიდან დავიწყეთ. ვ. გუნიას გამოსვლას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა, ყოველ წარმოდგენაზე თეატრი გაჭედილი იყო მაყურებლებით. იყო მისაღმებები და სიტყვები.

შემდეგი წარმოდგენები ჩაეატარეთ თელავში. აქაც დიდი ოვაციებით შეხვდნენ ჩვენს სასიქადულო მსახიობს; სამივე სპექტაკლი ანშლავით მიდიოდა.

უკანასკნელი წარმოდგენის მეორე დღეს ყვარელში უნდა ვყოფილიყავით, სადაც აფიშები უკვე გამოკრული იყო. ამიტომ დამის ორ საათზე საბარგო მანქანით გავედით თელავიდან, მაგრამ ამ მგზავრობისას მოულოდნელ დიდ ხიფათს გადავურჩით.

დამის ბანდიტებს გავგოთ, რომ გურჯაანში და თელავში კარგი შემოსავალი გვქონდა, ახლა სამი პიესის გარდერობი და ჩვენი პირადი ნივთები და ამას დახარბებულებს გადაეწყვიტათ ჩვენი გაძარცვა, მაგრამ ეს გარემოება არ გამოპაჩვია მილიციასა და შინსახკომს.

ნახევარი გზა არც კი გვქონია გავლილი, რომ ჩვენს მანქანას საბურავი დაეშვა. ამის შეკეთებამ კარგა ხანს შეგვაჩერა გზაში, რამაც დიდ უსიამოვნებას გადაგვარჩინა. ამავე დროს ყვარლიდან „ლინეიკით“ წამოსულიყვნენ მილიციელები ჩვენს მოსაშველებლად. ყაჩაღები სოფელ შილდის ასაქცევთან ყოფილიყვნენ ჩასაფრებულნი ჩვენზე დასაცემად. მაგრამ ჩვენზე წინ მილიციონერებით „ლინეიკას“ გამოევლო ამ ადგილას. ბნელი ღამე იყო, ბანდიტებს მგზავრები გონებოდათ, ალბათ იფიქრეს ჯერ ამათ მოჟაროთო და შეეძახათ... გაჩერდით!.. მილიციელებმა ახლო მიუშვეს და მერე ტყვიის ცეცხლი დააყარეს. ხუთი მძარცველიდან ერთი იქვე მოკლეს. ორი დააპატიმრეს, ხოლო ორმა მოასწრო გაქცევა.

ჩვენ ის ადგილი დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გავიარეთ. რას წარმოვიდგენდით, რომ ეს ადგილი ჩვენთვის საუბედურო მახე იყო; მანქანას რომ საბურავები არ დაშვებოდა შეიძლება

ადრე გაგვევლო ეს ადგილი მილიციელთა მოშველიებამდე და რა მოხდებოდა ეს ალაჰმა უწყის...

გათენდა და ჩავედით ყვარელში. აქ ერთი ალიაქოთი იყო, ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა და მშვიდობით გადარჩენას გვილოცავდა. მხოლოდ მაშინ გავიგეთ, თუ რა უბედურებას გადავრჩით. ქალები შეშინებულები ცრემლმორეულნი კანკალებდნენ, მხოლოდ დიდბუნოვანი და მრავალჭირნახული ვალერიანი ოლიმპიური სიმშვიდით იდგა და აწყნარებდა ქალებს, ჩვენ კი გვტუქსავდა; არ უნდა აჩქარებულყავით და ასე გვიან ღამით არ უნდა წამოვსულიყავით თელავიდან.

მძარცველები სოფელ შილდის მცხოვრებლები აღმოჩნდნენ, ყველანი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულები. მოკლული მძარცველი მე თვითონ ვნახე მილიციის ეზოში.

ყვარელში დიდი ოვაციები მოუწყეს ჩვენს სასიქადულო მსცოვან მსახიობს, წარმოდგენების დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოაწყეს მშვენიერი ბანკეტი, წარმოსთქვეს მრავალი შესანიშნავი სიტყვა გუნიას მიმართ, აღინიშნა მისი თავდადებული შრომა, როგორც რეჟისორის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის ქართული თეატრის აღორძინების საქმეში.

შემდეგ მოვიარეთ ლავოდები, წნორის წყალი, კარდანახი, ანაგა, ნუკრიანი და სიღნაღი. ყველგან დიდის სიხარულით და ზეიმით ხვდებოდნენ გუნიას სცენაზე გამოჩენას, ზოგნი მახლობელ სოფლებიდანაც კი ჩამოდიოდნენ, რომ თვალთ ენახათ და მოესმინათ ამ სცენის ბუმბერაზისთვის.

ანაგაში ერთ ადგილობრივ გლეხს რომ გაეგო, დიდი მსახიობი გუნია ჩამოვიდაო, მოადგა თეატრის კარს. ილღიაში პატარა ღვინით სავსე ტიკტორა ჰქონია ამოჩრილი, მეორე ხელში კი ლიტრიანი არაყი ეჭირა, დიდი ბოდიშით შესთავაზა გუნიას, თავისებურად შეაქო და დღეგრძელობა უსურვა. ვალერიანმა თავის მხრივ მიიპატიჟა ოჯახით დასწრებოდა წარმოდგენას. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ამ გლეხმა სთხოვა ოჯახში წაყოლოდა მოსასვენებლად, მაგრამ გუნიათ კატეგორიული უარი განუცხადა; სადაც ჩემი ამხანაგები არიან, მეც იქ უნდა ვიყოვო და თხელ საბანში გახეული სცენაზე მოთავსდა, თავით კი პატარა ბოხჩა ამოიღო.

მოგზაურობაში ჩვენი მსცოვანი რეჟისორი დიდი ამტანი იყო. მას ერთხელაც არ დაუჩივლია მრავალ უხერხულობაზე, რომელიც მოგზაურობის დროს გვხვდებოდა. ოჯახში მიწვევის დროს ვალერიანი ყოველთვის მტკიცე უარს ეუბნებოდა, და ჩვენთან რჩებოდა თეატრში დასაძინებლად. მიუხედავად ხანდაზმულობისა, კარგად გრძნობდა თავს, მუხლიც მშვენიერად უჭრიდა. აი, პატარა მაგალითიც: კარდანახში დავამთავრეთ წარმოდგენები, როგორც იყო ერთი „ლინეიკა“ ვიშოვეთ, სადგურზე უნდა ჩამოვსულიყავით. ჩვენ პირველ რიგში გუნიას შევთავაზეთ დაჯდომა, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა... „ქალები დასხით, თქვენც ფეხით გაჰყევით, მე კი აი ასე მოკლედ ჩავალ და სადგურზე დაგხვდებიო“. მუდარამ არ გასჭრა, წავიდა ფეხით, ვიდრე ჩვენ ჩავიდლოდით, მას უკვე კარგად დაესვენა კიდევ სადგურზე,

მოგზაურობამ ერთ თვეს გასტანა და ყველანი კმაყოფილნი დავბრუნდით თბილისში.

ვალერიან გუნია შემდეგ როლებს თამაშობდა ამ პიესებში: თავად ლევანს „ქრისტიანეში“ (უკანასკნელ მოქმედებაში), მიკერ ტუილყოტრიანს „ხანუმაში“, არუთინ სერგეიჩს „გაჭირვების ტალკვესში“.

ქართული თეატრის დიდი მოამაგე, მისი აღორძინებისათვის დაუდევარი მებრძოლი და შესანიშნავი მსახიობი ვალ. გუნია დიდად უწყობდა ხელს, ახალგაზრდა ნიჟიერი ძალების მომზადებასა და დაწინაურებას. უყვარდა მათთან მუშაობა. თავისი უანგარო შრომითა და მონაწილეობით ხელს უწყობდა სახალხო თეატრების განვითარებას. პირადად მე მქონდა ბედნიერება ორჯერ შეთარგმნა „ლალატი“ ერეკლე. (ვ. გუნიას, ვ. აბაშიძის, კ. მესხის, ნ. დავითაშვილის მონაწილეობით).

რამდენადაც მახსოვს, ეს იყო უკანასკნელი მოგზაურობა დაუცხრომელი მოღვაწის, მშობლიური თეატრის დიდი შემოქმედის, იმ თეატრის, რომლის აყვავებას შესწირა თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლე“.

უნდა ითქვას, რომ პრესაში და, საერთოდ, პუბლიცისტიკაში ძალიან ნაკლები ადგილი ეთმობოდა კავშირგაბმულობის როგორც წარსულ, აგრეთვე აწმყო მუშაობის ამსახველ საკითხების გაშუქებას. ამ ხარვეზის შესავსებად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მუშაკმა მიხეილ სულთანნიშვილმა რამდენიმე ნაშრომი შესძინა ჩვენს ლიტერატურას.

ძველ სცენისმოყვარეს, ქართული თეატრალური კულტურის ტრფიალს მ. სულთანნიშვილს თავიდანვე დაჰყვა ჟურნალისტიკისადმი სწრაფვა. მან თავისი მოღვაწეობა პირველად გაზეთ „მუშაში“ დაიწყო 1924 წელს, შემდეგ კორესპონდენციებს აწვდიდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს.

1965 წელს კი დაისტამბა მისი პირველი წიგნი სათაურით: „წერილები და აზნათები“, რომელშიც გაშუქებულია საფოსტო დამუშავების ყველა ციკლი წერილობით კორესპონდენციის მიღებიდან ჩაბარებამდე. ნაწარმოებს მოთხოვნების სახე ჰქონდა და იგი მოსწავლეთა მიერ რამდენჯერმე იყო ინსცენირებული ტელევიზიით. უნდა ითქვას, რომ ავტორმა სადა და მიმზიდველი ენით გააცნო მკითხველს ფოსტის მუშაკების ფასდაუდებელი შრომა. საინტერესოა, რომ მან ამ „პროზაულ“ თემას მხატვრული კუთხე მოუძებნა და უფრო მიმზიდველი გახადა თხრობა...

ამას მოჰყვა 1968 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული მისი მეორე ნაშრომი „საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მომსახურეთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიიდან“. ეს არის ნარკვევი, რომელშიც ასახულია ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად შეუსწავლელი რევოლუციური გამოსვლები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1905-1907 წლებში.

ავტორი საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიას განიხილავს სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიის ფონზე, მასთან განუყრელ კავშირში.

ქართული თეატრისა და ცალკეული მსახიობების საქველმოქმედო მოღვაწეობის ძირითადი აზრი იყო მატერიალურად დახმარებოდნენ ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოსამსახურეებს. ამ მიზნით მართავდნენ წარმოდგენებს, კონცერტებს თბილისის სა-

ხალხო თეატრის სცენისმოყვარენი სტამბის ძველი მუშის დავით მელაშვილის ხელმძღვანელობით, ქუთაისის დრამატული თეატრის მსახიობის ლადო მესხიშვილის მეთაურობითა და მისი უშუალო, აქტიური მონაწილეობით.

მიხეილ სულთანისშვილის კალამს მიეკუთვნება აგრეთვე პირველი ფუნდამენტური ნაშრომი: რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული „კავშირგაბმულობის ტერმინოლოგიური ლექსიკონის“ შედგენა, რომელიც გამომცემლობა „განათლება“ დასტამბა 1982 წელს.

საქართველოში სახელმწიფო ფოსტის დაარსების საიუბილეო თარიღის, 170 წლისთავის, აღსანიშნავად, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დაკვეთით, მ. სულთანისშვილი აშკამად მუშაობს „საქართველოს საფოსტო კავშირის განვითარების ისტორიის“ შედგენაზე, რომელიც მოიცავს პერიოდს ქართველთა სამეფოდან დღემდე.

მასვე ეკუთვნის კავშირგაბმულობის დარგის რამდენიმე ტექნიკური ლიტერატურის და სახელმძღვანელოს რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმანი და რედაქტირება.

კავშირგაბმულობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მას მიენიჭა „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მუშაკის საპატიო წოდება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი მოტრფიალე და თავყვანისმცემელი მ. სულთანისშვილი ასლთივე სიყვარულთა და ენთუზიაზმით ემსახურებოდა სახალხო თეატრების სცენებსაც.

მიხეილ სულთანისშვილის მოღვაწეობა სახალხო თეატრში რეჟიზიტის მიტანით დაიწყო. ის გარემოება, რომ ავლაბრის თეატრი მისი სახლის მახლობლად იყო, მიხეილს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა სამოღვაწეოდ.

ავლაბრის თეატრი თავდაპირველად მეტად დარიბი და მოუწყობელი იყო. პარტერში მოქველებული, ზურგიანი ძელური სკამები იდგა. ჰერიდან რამდენიმე ნათურა იყო ჩამოშვებული, ნათურები ხშირად ქრებოდა კერძო ელექტროსადგურის წყობიდან გამოსვლის გამო. სცენაზე სულ ორი-სამი დეკორაცია იდგა, ერთი დეკორაცია წარმოადგენდა ტყის პეიზაჟით მოხატულ უკანა

ფარდას და მეორე — ხელოვნური ბუჩქის ხედს. წარმოდგენისათვის საჭირო ნივთები: „ბუტაფორია, ტანსაცმელი, იარაღი თუ სხვა რამ თეატრს არ გააჩნდა. პოლიციის მოხელეთა ჩაცმულობას ქირით შოულობდნენ, რის გადასახდელ ფულს თეატრის შემოსავალი ვერ ფარავდა და სცენისმოყვარენი თანხას საკუთარა ჟიბიდან დებდნენ. ამ უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ ერთ გარემოებას შეეძლო, ოჯახებიდან ერთი ღამით ეშოვათ სცენისათვის საჭირო ნივთები.

— ვგონებ, დედაჩემის სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბა, ლეჩაქი და ჩიხტიკოპი; მამაჩემის ყარაჩოხული ჩოხა, ჩექმები, ევრცხლის ქამარი და გარიბალდი თავის პატრონებს იმდენჯერ არ სცმიათ, რამდენიც სცენისმოყვარეთ, — გვიამბობს მიხეილ სულთანისშვილი — მიშა! მიყვიროდნენ, გაიქეც სახლში, მეორე მოქმედებისათვის სასწრაფოდ ესა და ეს საჭირო ნივთები მოგვიტანე. ჩამომითვლიდნენ და მეც სიხარულით გავბობოდი სახლში, ვეზიდებოდი ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნდა. ზოგჯერ აღუღებულები სამოვარიც კი მიმიტანია ჭურჭლით“.

ამ საქმეში მიხეილი იშველიებდა თავის უმცროს ძმას ლადოს, რომელიც შემდგომ ავლაბრის თეატრის ცნობილი სუფლიორი გახდა (იგი ძალზე ნიჭიერი იყო, თითქმის ყველა პიესა ზეპირად იცოდა).

როცა მიხეილი წამოიზარდა, თავისმა ძმამ სოკრატმა ჯერ სტატისტის როლში გამოიყვანა, შემდგომში კი ბიჭის პატარა როლით მიაღებინა სასცენო ნათლობა. მალე მისი გვარიც გაჩნდა აფიშებზე, ხოლო როცა მისმა ბიძაშვილმა მ. სულთანისშვილმა (შემდგომში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი), ავლაბრის თეატრის სცენაზე ფეხი შედგა, უკვე აფიშაში სამი სულთანისშვილის გამოცხადება უხერხულობას ქმნიდა და ამიტომაც მიხეილმა გარეჯელი დაირქვა ფსევდონიმად.

ახლაც კარგად ახსოვს უკვე ხანდაზმულ მიხეილს მაშინდელ სცენისმოყვარეთა გვარები, რომლებიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ დასში. ესენი იყვნენ: მ. ქართველისშვილი, დები ვ. და მ. მარგველაშვილები, ე. კულულაშვილი, გ. ყუყუნაშვილი და სხვები.

მას წილად ხვდა ბედნიერება 14-15 წლის კაბუქს ავლაბრის თეატრის სცენაზე შეხვედროდა და ორი სიტყვა ეთქვა ვ. და ტ.

აბაშიძეებთან, ვალ. გუნიასთან, ნ. ჩხეიძესთან, შ. დადიანთან და ქართული თეატრის სხვა სიამაყეებთან ერთად.

იმ დროს, როდესაც ავღაბრის თეატრის სცენისმოყვარეები სოსო ივანიძის რეჟისორობით „მურაშკოსეული“ თეატრის სცენაზე წარმოდგენებს მართავდნენ, მიხეილიც მათ წრეში იყო და მონაწილეობას იღებდა როგორც რეჟეზიტორი და სცენისმოყვარე.

ამ პერიოდში მის მიერ განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია: ახალგაზრდა ტყვე („დე-ძმა“), სოსანა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), სერჟანტი („ქართველი დედა“), ადოლფი („ორი დარაჯი“), ისკანდერ-ბეგი („სამშობლო“), მეორე მგზავრი („ყომარბაზის ცხოვრება“), მუშა („დამარცხებულნი“), ჯარისკაცი („კონსტანტინე ბატონიშვილი“), მიკიტნის ბიჭი („ქრისტიანე“) და სხვ.

1918 წელს 18-19 წლის ქაბუჯი მ. სულთანისშვილი ზესტაფონში გადაჰყავთ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ქსელის ზედამხედველად.

სასცენო სელოვნებაზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ მალე გაიცნო ადგილობრივი სცენისმოყვარენი: უ. ჩხეიძე, დ. ანთაძე, შ. ლამბაშიძე, რეჟისორი ვ. ურუშაძე და მისი მეუღლე მ. მღვიანი. ხშირად მიხეილი მათ რეპეტიციებსა და წარმოდგენებს ესწრებოდა. ერთხელ ვასო ურუშაძემ შენიშნა მიხეილის სცენისადმი გაცაცება და პიესა „კრეჩინსკის ქორწინებაში“ ერთ-ერთი ეპიზოდური როლი შესთავაზა.

ახლა ძლიერ ნანობს მიხეილი, რომ მაშინ ქართული თეატრის კორიფეების წრეში მოხვედრა ვერ გამოიყენა თავისი ცხოვრების გზის ასარჩევად. ან კი როგორ გამოიყენებდა, როცა 1919 წელს იგი ჯარში გაიწვიეს და ჩამოაშორეს ამ დიდებულ მსახიობებს.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მ. სულთანისშვილი თბილისში ფოსტა-ტელეგრაფის თეატრ „სულეიში“ იწყებს მუშაობას, იქ სადაც თავისი უფროსი ძმა სოკრათი რეჟისორობდა თეატრალურ წრეს.

1921 წლის დამდეგს მ. სულთანისშვილი ინიშნება თიანეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ზედამხედველის თანამდებობაზე.

ამ დროს თიანეთში ერთადერთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას ერთი პატარა თეატრი წარმოადგენდა, რომელიც კერძო მფლობელის გრძელიშვილის სახლში იყო მოთავსებული.

სცენისმოყვარეთა დასი ადგილობრივი ინტელიგენციისაგან,

ძირითადად მასწავლებლებსაგან შედგებოდა. მათ ძველი, გამოცდილი და ღირსეული ერუდირებული მასწავლებელი ვ. ჯიბლაძე ედგასათავეში.

დასის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლ. ჩიბალაშვილი, ლ. და ს. დოლიაშვილები, შ. ჩოლოყაშვილი, გრ. გამრეკელი, გ. გელოვანი, მ. სულთანისვილი-ფიცხელაური, მ. ჩოლოყაშვილი, ე. გონჯილაშვილი და თვით მ. სულთანისვილი.

ამრიგად, დასის შემადგენლობა და მათი სცენური მომზადება მაღალ სამსახიობო დონეზე იდგა და შესაძლებლობა ჰქონდათ დაედგათ ისეთი პიესები, როგორც იყო: დ. კლიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ა. ყაზბეგის „არსენა“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“ და „ქრისტიანი“, აქვს. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ვალ. გუნიას „და-ძმა“, გ. ერისთავის „გაყრა“ და სხვა პიესები. მაგრამ შენობის სიმცირე დიდ დაბრკოლებას უქმნიდა თეატრის კოლექტივს, მათი ერთადერთი სანატრელი საკითხი თეატრის გაფართოება იყო, თიანეთში კი არ მოიძებნებოდა სათანადო ფართობის, თეატრისათვის გამოსადეგი მოზრდილი შენობა. და აი, ამ დროს მიხეილ სულთანისვილს ებადება მეტად გაბედული აზრი თეატრისათვის შენობის აგების შესახებ.

XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე საქართველოს სწვევია, სამგზავრო გეგმაში თიანეთის ნახვაც ყოფილა შეტანილი. თიანეთიდან 3 ვერსის დაშორებით, ერთ-ერთ გორაზე, რომელსაც თიანეთელები ხაწირს ეძახიან, იმპერატორისა და მისი ამალისათვის უშენებიან ერთსართულიანი შენობები. დროთა განმავლობაში ეს შენობები გაჰოუყენებელი ყოფილა და ადგილობრივ და შორიანლო მდებარე სოფლების გლეხობას ხელი მიუყვიათ შენობების დაშლისათვის და სამშენებლო მასალის დატაცებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიღებული იქნა ზომები შენობების თვითნებური ნგრევისა და სამშენებლო მასალების დატაცების წინააღმდეგ.

გ. სულთანისვილს გაუგია თუ არა ეს ამბავი, დასათვალისწინებლად წასულა ხაწირზე, სავალალო სურათი გადაშლია თვალწინ: ნახევრად გადახდილი სახურავები, აყრილი იატაკი და დატაცებული კარ-ფანჯარა. სწორედ მაშინ მოსვლია აზრად დარჩენილი მასალით თეატრის აშენება. თავისი მოსაზრება ადგილობრივი:



ხელმძღვანელობისათვის გაუზიარებია, რომელთაც მოსწონებიათ და მიზანშეწონილად უცვნიათ მისი წინადადება. მუშაობა გაზაფხულზე დაუწყიათ და 1923 წლის ბოლოს დაუმთავრებიათ.

თეატრისათვის დიდი დახმარება აღმოუჩინია დრამატურგ შ. დადიანს. მისი შემწეობით დეკორაციებისათვის საჭიროა ტილოები და მზა ნახატი დეკორაციები რუსთაველის სახელმწიფო თეატრიდან და სხვა თეატრებიდან მიუტანიათ.

ამრიგად 1924 წლიდან წარმოდგენები იმართებოდა ახალ თეატრში, რომლის დარბაზი 500 მაყურებელს იტევდა. იდგებოდა აექს. ცაგარელის „ციმბირელი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, ა. ყაზბეგის „ყაჩაღი არსენა“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, და სხვა მრავალი. რეჟისორებად მუშაობდნენ მჭავია და ჭიბლაძე. შემდეგ მ. სულთანიშვილი თიანეთიდან თბილისში გადადის სამუშაოდ, ხოლო 1925 წლის გაზაფხულზე მოსკოვში მიემგზავრება სასწავლებლად. იქიდან დაბრუნების შემდეგ მიხეილი ინიშნება პასუხსაგებ თანამდებობაზე, რამაც ხელი შეუშალა თეატრალურ ასპარეზზე გაეგრძელებინა მოღვაწეობა.

„მამაჩემი იოსებ სოლომონის ძე სულთანიშვილი, — გვიბობს მ. სულთანიშვილი, — უსწავლელი ქაბუკი ყოფილა, როცა საგარეჯოდან მის მამას თბილისში ჩამოუყვანია და ავლაბარში, სირაჯხანაში მოჯამაგირედ მიუბარებია სირაჯისათვის.

როცა მამა წამოზრდილა, თვითგანვითარებისათვის მიუყვია ხელი, წერა-კითხვა შეესწავლია, ხალხში გამოსულა და ბუნებრივ ნიჭს სამწერლო ასპარეზზედაც გამოუყვანია. მისი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ლექსები და მოთარობები დღესაც შემონახულია ოჯახში.

მამას ძალიან უყვარდა თეატრი და მსახიობები, ხშირად ესწრებოდა ავლაბრის ქართული თეატრის წარმოდგენებს, იცნობდა მსახიობებს და ჩემი უფროსი ძმის მსახიობ სოკრატ სულთანიშვილის თბოვნით, მის მეგობარ მსახიობებს ეპატიჟებოდა სავანშობოდ ჩვენს სახლში.

მახსოვს, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სტუმრად გვეწვეოდნენ ხოლმე ვ. აბაშიძე, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ს. ივანოძე, ს. ჟივიძე, ნ. გოცირიძე და სხვები.

მამა სტუმართმოყვარე იყო, მოქეიფე, უკრავდა აზიურ გარ-

მონზე და სპარსულ და ქართულ ენებზე ასრულებდა სიმღერებს. კარგად მღეროდა ბაიათებსა და შიქასტას. სტუმრები ხშირად აკვრევიანებდნენ გარმონს, ზოგჯერ საკუთარ ლექსებსაც აკითხებდნენ, რაზედაც განსაკუთრებით შალვასა და იოსებ გრიშაშვილის ქებას იმსახურებდა. სუფრაზე ყოველთვის მამაჩემი იყო თამადად და თავისი მოსწრებული, მახვილგონივრული იგავეებით სპარსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სიამოვნებას გვრიდა სტუმრებს.

მაგონდება ერთი შემთხვევა. სტუმრების შესახვედრად ძველებური ორკალთიანი მაგიდა გავშალეთ. შალვა დადიანი სუფრის თავში იჯდა, რამდენჯერ იდაყვი დააყრდნო მაგიდას, იმდენჯერ ღვინო გადმოიღვარა ჭიქიდან, მაგიდა კოჭლობდა. გაბრაზებულმა შალვამ ჯიბიდან რაღაცა ამოიღო და მაგიდას ფეხქვეშ ამოუდო. სასიამოვნო დროსტარების შემდეგ რომ დაიშალნენ და სუფრა ალაგდა, მაგიდის კალთების დაკეცვისას მის ფეხქვეშ ვერცხლის მანეთიანი ვიპოვნე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შალვას მალე ვეღარ შევხვდით, რომ ფული გადაგვეცა, მე ჩუსტები არ მქონდა და თუმცა უხერხული იყო, მაგრამ დედამ იმ მანეთიანით ჩუსტები მიყიდა.

როცა დავვაჟაკადი, ჩემი დის მარიამ ფიცხელაურის ოჯახში, თიანეთში შევხვდი შალვას. გავახსენე მივიწყებული დროსტარება ავლაბარში, ჩვენს ოჯახში დაკოჭლებული მაგიდის „გამოჯანმრთელება“ და ნაპოვნი მანეთიანი.

ბევრი იცინა. ესიამოვნა მონაგონი ამბავი და ოხუნჯობით მანეთიანის დაბრუნება მომთხოვა სარგებლით“.

ამჟამად მ. სულთანიშვილი პერსონალური პენსიონერია, იგი 95 წლისაა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა კულტურის სარბიელზე. იგი დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით ხელმძღვანელობდა საინფორმაციო ბიუროს „ქართულ ფილმში“. ბიურო მოწოდებულია ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ფილმების გადამღებ ჯგუფებს მათთვის საჭირო ილუსტრირებული და დოკუმენტური მასალების შერჩევასა და შემოქმედებით ინფორმაციის მიწოდებაში.

ბიუროს კოლექტივის მუშაობა მიმართულია სისტემაში მოიყვანოს ჯგუფებიდან მიღებული დეკორაციებისა და კოსტუმების

ესკიზების პლანშეტები, ფოტო-ალბომები, სცენარები, სამონტაჟო ფურცლები.

მ. სულთანისვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა კინოსტუდიასთან დაეარსებიათ მუზეუმი. ამ პატრიოტულ საქმეს ბევრი კინორეჟისორი მიესალმა. კინორეჟისორი სიკო დოლიძე ამბობდა: „მე ვფიქრობ, დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, სამწუხაროდ, ბევრი დაიკარგა წარსულში, მაგრამ რაც დარჩა, ამისათვის მ. სულთანისვილი ქებისა და დიდების ღირსია“. „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე რ. ძნელაძე: „დიდი მადლობა საინფორმაციო ბიუროს განყოფილებას და პირადად ბ-ს მ. სულთანისვილს ასეთი დიდი საქმისათვის, რომელიც ეხება კინოს განვითარების ისტორიას“. კრიტიკოსი პაატა იაკაშვილი: „დღეს მომეცა შესაძლებლობა, უფრო ახლოს გავცნობოდი საინფორმაციო ბიუროსა და მის საქმეებს. აღფრთოვანებას ვერ ვმაღავ იმ დიდი მამულიშვილური საქმის ხილვისას, ბ-ნ მ. სულთანისვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით რომ გაკეთდა“.

ასეთივე თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის აგრეთვე მ. სულთანისვილს კავშირგაბმულობის მუზეუმის დაარსების საქმეშიც. მან სრულიად მოკლე დროში შექმნა ძვირფასი მუზეუმი თავისი მშვენიერი ექსპონატებით.

ტიტანური შრომაა გაწეული ამ ექსპონატების დაგროვებაში, რომელიც გვამცნობს ჩვენი წარსულის კიდევ ერთ, დღემდე ნაკლებად ცნობილ, მაგრამ დიდმნიშვნელოვანსა და საყურადღებო ფურცელს კავშირგაბმულობის ისტორიიდან.

ბატონი მიხეილ თბილისის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატის ფართო კიბეზე ისე სწრაფად ამოდიოდა, გაკვირვება ვერ დავფარე. მართლაც, დაუჭერებელია, რომ ასე მკვირცხლი, მოძრავი, ნათელი გონებისა და შემოქმედებითი ენერჯით აღსავსე კაცი 95 წლისაა. შეგვიძლვა თავის „ერთოთახიან“ ბინაში, მუზეუმად ქცეულ თავის მყუდრო სავანეში, რას არ ნახავთ აქ გამოფენილს: ვარდ-ყვავილებს, ხის ფოთლებისა და ფესვებისაგან შექმნილ პარმონიულ სურათებს, აპლიკაციებს. ბუნების წიაღში მოპოვებული მზამზარეული მასალით ჩამოქნილ ფიგურებს, ზღაპრულ პერსონაჟებს, რომლებიც მხატვრის ქადონსური ხელით გაციხროვნებულან და სხვადასხვა პანგზე ამეტყველებულან.

ამ ორიგინალურ გამოფენაზე სხვა უნარიც ჩანს. ეს არას „მაკრატილის ხელოვნება“. ფერადი ქაღალდებისაგან მიხვილ სულთანიშვილს დიდი რაოდენობით გამოუჭრია მრავალსახოვანი ორნამენტები, ზოგი მათგანი ძველ ქართულ ჩუქურთმებს ემსგავსება და სახვითი ხელოვნების მამაპაპურ ტრადიციებს აცოცხლებს.

მიხვილ სულთანიშვილმა კავშირგაბმულობის კულტურის სახელში მოაწყო მშვენიერი გამოფენა, ექსპონატებმა — ქაღალდისაგან გამოჭრილმა არშიებმა — განცვიფრება გამოიწვია თავისი აუტორული ქსოვითა და სინაზით.

ბატონი მიხვილი კვლავ რუდუნებით აგრძელებს საყვარელ საქმეს, წერს წიგნს, აკეთებს საოცარ ნაკეთობებს და კვლავ მხნედ დგას აქტიურ მოღვაწეთა რიგებში. მრავალი ჩანაფიქრი აქვს დანერგოს ადამიანს, ვუსურვოთ, არასოდეს მოკლებოდეს ეს შემართება.

## ივანე შილაკაძე

უნივერსიტეტის ხალხური საგუნდო ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ენერგიულ ორგანიზატორს, მრავალი ანსამბლის წევრს პროფესორ ვანო შილაკაძეს. მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები (სტუდენტობიდან სიცოცხლის დასასრულამდე) უნივერსიტეტში გაატარა. მეცნიერული მუშაობის პარალელურად იგი აქტიურად იყო ჩაბმული უნივერსიტეტთან არსებულ მომღერალთა გუნდში.

1949 წელს გამოვიდა მისი მეთოდური ხასიათის წიგნი სათაურით „მომღერალთა და მეჩონგურე-მეფანდურეთა თვითმოქმედი წრეების მუშაობა საკლუბო დაწესებულებაში“.

ერთი წლის შემდეგ ამას მოჰყვა ვ. შილაკაძის მეორე ნაშრომი „ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის“. წიგნი მთლიანად გამოჩენილი ლოტბარის მეგრელიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

1959 წელს დაისტამბა ვ. შილაკაძის ახალი წიგნი — „მეტყველება და მუსიკა“. აქ განხილულია ქართული ხალხური სიმღერების თავისებურებანი, „სიტყვიერი ტექსტისა და მუსიკის ურთიერთობა,

უცხოური მუსიკის გავლენა ქართულ ხალხურ მუსიკაზე, ფორმა და შინაარსი მუსიკაში, მუსიკის განვითარების დიალექტიკური გზა და საკითხები“.

1961 წელს გამოვიდა ვ. შილაკაძის წიგნი „ხალხური მუსიკის მოამაგენი“, რომელიც ძირითადად ძმების მახარაძეების მოღვაწეობას მიეძღვნა.

1976 წელს ვანო შილაკაძემ დაამთავრა და გამომცემლობას გადასცა ვრცელი ნარკვევი: „ხალხური ქორეოგრაფიისა და მუსიკის გამოჩენილი ოსტატის გ. სალუქვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ“ ვ. შილიკაძემ მრავალი წერილი მიუძღვნა მუსიკის სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა.

მისი სიმღერით გატაცება ბავშვობიდანვე დაიწყო. ვანოს ბაბუა შესანიშნავი მგალობელი მღვდელი იყო, ასევე შესანიშნავი მომღერალი და მოკრიმანჭულე იყო ვანოს მამა — ისიდორე შილაკაძე, რომელიც სამუშაოდან სახლში დაბრუნებისას შეილებს გარს შემოიკრებდა და სიმღერას ასწავლიდა; ტუბილხშოვანი მელოდიებით ატკობდა ეს ოჯახი გარემოს.

ვანოს მუსიკით გატაცებაში მამის გარდა გარკვეული წვლილი მამის რვა და-ძმასაც მიუძღვის. მღეროდა ყველა. მათში ყველაზე სახელგანთქმული და პოპულარული მომღერალი ბიძა — კოწია შილაკაძე იყო. მის შესახებ სიმღერების მცოდნესა და უბადლო შემსრულებელს — ძმები ერქომაიშვილების მამას, 93 წლის გიგო ერქომაიშვილს უთქვამს: „ჩვენ. მე და ჩემი ცოლისძმა გიგო ბაბილოძე და სხვები, მაკვანეთიდან წითელ მთაში დავდიოდით სიმღერების შესასწავლად კოწია შილაკაძესთან“. ამასვე ამბობდა ცნობილი მომღერალი, 89 წლის ივანე კეჭელაძეც.

იმ დროს მუსიკალური საკრავები, კერძოდ ჩონგური, ჯერ გაქმობებული არ იყო.

ისიდორეს ქვრივი და — ივდითი მათ სოფელში ჩამოსახლებულა საცხოვრებლად. ივდითი ვირტუოზულად უკრავდა ჩონგურზე. შემოესმებოდა თუ არა ისიდორეს თავისი დის მიერ ჩონგურზე ამტყველებული ჰანგები, მყისვე იქ გაჩნდებოდა და თავისი ხავერდოვანი ხმით ბანს აძლევდა.

პატარა ვანომ სწავლა თავის სოფელში დაიწყო, სკოლაში სხვა საგნებთან ერთად გალობის სწავლებაც იყო სავალდებულო, მაგ-

რამ ამ დარგის სპეციალისტები ნაკლებად მოიძებნებოდნენ, ისე რომ, სიმღერის გაკვეთილებს კვირაში ერთხელ თუ ჩაატარებდა საგნის მასწავლებელი დავით ერქომაიშვილი. იგი თავისებური მეთოდით ასწავლიდა ბავშვებს.

გულისხმიერი პედაგოგი მოსმენილ სიმღერებს იწერდა და ასე ავსებდა თანდათანობით რეპერტუარს.

სოფელ შემოქმედში, შვიდწლედში სწავლის დროს მუსიკის მოტრფიალე ახალგაზრდა ვანო შილაკაძის მისწრაფებას ფრთები შეესხა — სკოლაში შესანიშნავი გალობის მასწავლებელი ჰყავდათ — ნიჟა ლომინაძე. მის გუნდში 20 — 30 მოსწავლე ირიცხებოდა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დემონსტრაციებზე რაიონის ცენტრისაკენ მიმავალ კოლონებს გუნდი წინ მიუძღოდა მშვენიერი სიმღერებით. „ამის შემყურეს, — გვიამბობს ვანო შილაკაძე, — ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ამაზე უკეთესი არც სიმღერა წარმომედგინა და არც სანახაობა. ჩემი ოცნება ამ გუნდში მოხვედრა იყო“.

ყმაწვილის ოცნება ჯერჯერობით განუხორციელებელი რჩებოდა, რადგან გალობის მასწავლებელი გუნდს უფროსი კლასელები-საგან აკომპლექტებდა. სულ ცოტა ორი წელი მაინც იყო საქირო ზიზნის მისალწვეად, მაგრამ მოულოდნელად მასწავლებელი ლომინაძე სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილზე ცნობილი მომღერალი ვარლამ სიმონიშვილი დანიშნეს. ახალი მასწავლებელი თავისებური მეთოდით შეუდგა მუშაობას. მისვლისთანავე ჯგუფებს გაეცნო, გადაარჩია მუსიკალური მონაცემების მქონეები და განურჩევლად ასაკისა, ყველა ჩარიცხა გუნდში. გუნდის წევრთა რიცხვი 80-მდე გაიზარდა. მათ შორის მოხვდა ვ. შილაკაძეც, რომელიც მალე გუნდის ორგანიზატორად დაინიშნა.

ვ. სიმონიშვილი დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას. ბავშვებს ხალისი რომ არ განელებოდათ, ანტირეჟის უღვივებდა: „კარგ სიმღერებს მოვამზადებთ, კონცერტებს გავმართავთ და შემოსავალი მოხმარდება სკოლის ღარიბ მოსწავლეებს და სხვა საქველმოქმედო საქმეებს“. ამ ღონისძიებამ მალე გამოიღო ნაყოფი.

გუნდი ოთხხმიანი იყო. მის რეპერტუარში მხოლოდ დაწერილი ან ნოტებზე გადატანილი სიმღერები შედიოდა, მაგალითად, „სამშობლო“ (არაყიშვილის), „ცანგალა და გოგონა“, „დაკრძალვის

მარში“ და თვით სიმონიშვილის სიმღერები: „დილა“ (დ. ერისთავის ლექსზე) „გაზაფხული“, „ლაქვარდ ცაზე“, (რატილის რეპერტუარიდან).

გუნდი სანიმუშოდ მომზადდა და მალე გამართა ორგანოფილებიანი კონცერტი. შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ შესაძლებელი გახდა მხოლოდ მთელი გუნდისათვის სურათის გადაღება. ამ ფოტოსურათის ერთი ცალი ეხლაც ინახება სკოლის არქივში.

ვ. სიმონიშვილმა ძირითადად ოთხხმიან სიმღერებში გაწვრთნა ახალგაზრდები.

მშობლიური გურული სიმღერებით დაინტერესებული ახალგაზრდობა ახერხებდა მარტივი გურული სიმღერების შესწავლას: „დელი-დელა“, „აქარული მაყრული“, „ოთხი ნანა“, „აბადელი“... ნამდვილი რთული პოლიფონიური სიმღერების ათვისებას ყმაწვილებმა შეიძწლედში. სწავლისას ვერ მიაღწიეს, ხოლო საშუალო სკოლაში გალობას საერთოდ არ ასწავლიდნენ. ამიტომ იყო, რომ ვ. შილაკაძე თავის უახლოეს ამხანაგებთან ერთად სიმონიშვილს ბინაზე აკითხავდა და მეცადინეობას იქ განაგრძობდნენ.

იმ ხანებში ვ. სიმონიშვილი გუნდს სპეციალურად გურულ სიმღერებში წვრთნიდა. გურული სიმღერების შესასწავლად მოსულ თავის ყოფილ მოსწავლეებს მუდამ გულისხმიერებით ხვდებოდა და გუნდს რამდენჯერმე ამეორებინებდა ამა თუ იმ სიმღერას, რომ ყმაწვილებს ჰქონოდათ მათი ათვისების შესაძლებლობა.

გურული ხალხური სიმღერები არა მარტო მრავალხმოვანებით, სიმკვრიცხლითა და შესრულების სირთულით, არამედ შინაარსითაც მეტად თავისებური და რთულია. ასეთებია ძველი ხალხური სიმღერები „შიდკაცა“, „ვახტანგური“, „ხელხევი“, „შავი შაში“ „ხასანბეგურა“.

1935 წელს მაქსიმ გორკიმ ქალაქ მოსკოვში, გამოჩენილი ფრანგი მწერლის რომენ როლანის პატივსაცემად გამართულ საღამოზე მიიწვია გურულ მომღერალთა ჯგუფი (ვლადიმერ ბერძენიშვილი, ერმალო სიხარულიძე, თეოფილე ლომთათიძე, ძმები მიხეილ და ევგენი კოროშინაძეები).. მათ მიერ შესრულებულ გურულ სიმღერებს აღტაცებაში მოუყვანია რომენ როლანი.

მერვე კლასიდან ვ. შილაკაძე თბილისშია. ცნობილ მომღერალსა და ლოტბარს მიხეილ კავსაძეს იმხანად მიაქნევია სა-

ხელობის კლუბში კარგად მომზადებული და ორგანიზებული ხალხური სიმღერების გუნდი ჰყავდა. და აი, ერთ დღეს, ახალბედა ჰაბუკი ვ. შილაკაძე, კუთხეში მიმჯდარი, ჯულდასმით უსმენდა სიმღერებს. ყმაწვილის დაინტერესება მიხეილ კავსაძეს არ გამოპარვია და მეცადინეობის შემდეგ ვინაობა გამოუკითხავს. გაირკვა თუ არა, რომ ახალგაზრდას გურიაში ვ. სიმონიშვილი ასწავლიდა გალობას, ლოტბარმა უმაღვე გუნდში ჩარიცხა. რამდენიმე თვე ამ გუნდში მეცადინეობა ყმაწვილისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა.

ვ. შილაკაძეს სწავლის გაგრძელება მშობლიურ ოზურგეთში მოუხდა. საშუალო სასწავლებელში კი გალობის სწავლება, როგორც აღვნიშნეთ, აღარ ტარდებოდა. ამიტომ ყმაწვილმა სხვა გზა გამონახა — ოზურგეთის ტექნიკუმში არსებულ სიმღერის გუნდს მიაკითხა, ჰადაც მისი ყოფილი მასწავლებელი ვ. სიმონიშვილი ასწავლიდა. ამავე გუნდის წევრები იყვნენ მისი ბავშვობის მეგობრები — ნ. ერქომაიშვილი და გ. სვანაძე. სამივე ახალგაზრდა, სამი წლის განმავლობაში, ვ. სიმონიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ოზურგეთის ეთნოგრაფიული გუნდში მონაწილეობდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. შილაკაძე ხულოს რაიონში გაგზავნეს მასწავლებლად, საიდანაც 1930 წელს მიაღწინეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ბათუმში. იმ დროს იქ მოღვაწეობდა მეღიტონ კუხიანიძე, რომელსაც აკადემიური გუნდი ჰყავდა. ამ გუნდის არსებობის 10 წლისთავისათვის დიდი გულმოდგინებით ემზადებოდა ღვაწლმოსილი ლოტბარი. იგი ხალხში ეძებდა მუსიკალური მონაცემების მქონე ახალგაზრდებს: მასწავლებელთა კურსებსაც ესტუმრა და ახალგაზრდებს სმენა და ხმები შეუმოწმა. ვ. შილაკაძემ ერთმა პირველთაგანმა დაიმსახურა ლოტბარის მოწონება.

მან გუნდში ერთი წელი ნაყოფიერად იმუშავა. 1932 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე შევიდა, რის გამოც იძულებული გახდა საყვარელ გუნდს ჩამოშორებოდა.

თბილისში ვ. შილაკაძემ კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ აკადემიურ გუნდში დაიწყო მოღვაწეობა და 1935 წლამდე ე. ი. მის დაშლამდე, მისი უცვლელი წევრი იყო. კ. ფოცხვერაშვილს უნივერსიტეტშიც ჰყავდა პატარა გუნდი,



რომლის აქტიური წევრიც ხდება ვ. შილაკაძე. ასევე აქტიურად მუშაობდა იგი შემდგომშიც ცნობილ ლოტბარ იუსტინე კალანდაძის გუნდშიც.

1937 წელს ვ. შილაკაძემ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და, სპეციალობის შესაბამისად, წალენჯიხის რაიონში, სოფელ ჭგალის საშუალო სკოლაში გაგზავნენ მასწავლებლად. სკოლაში სიმღერის მასწავლებელი არ ჰყავდათ; ბავშვები შესვენებაზე თვითონ მღეროდნენ მეგრულსა და ქართლ-კახურ სიმღერებს. გული არ უთმენდა ახალბედა მასწავლებელს და ხანდახან თვითონაც ჩაერეოდა ხოლმე მოსწავლეთა ამ თავისებურ თვითმოქმედებაში.

სკოლაში ხელმძღვანელობას ახალგაზრდა მასწავლებლის ასეთი სწრაფვა მუსიკისადმი შეუმჩნეველი არ დარჩენია და როდესაც რაიონში მხატვრული ღვითმოქმედი კოლექტივების დათვლიერება დაიწყო, სადაც ყველა სკოლას უნდა მიეღო მონაწილეობა, ამ საკითხის მოგვარება სკოლის დირექტორმა ვ. შილაკაძემ შეიძინა.

ორი თვის მუყაითი და თავდადებული შრომის შემდეგ საქმე მშვენივრად წარიმართა. სარაიონო დათვლიერებაზე სოფელ ჭგალის საშუალო სკოლის გუნდი, ვ. შილაკაძის ხელმძღვანელობით, კარგად მომზადებული პროგრამით გამოვიდა. რეპერტუარში ჰქონდა „უტუს ლაშქრული“, „ცელო, მოუსვი ბალახსა“, „გაფრინდი შათ მერცხალო“. „საბოდიშო“, „დელა“ და სხვა მრავალი. გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო ხელმძღვანელი მადლობითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

1938 წლიდან ვანო შილაკაძე უნივერსიტეტის ასპირანტია. ინტენსიურმა მეცადინეობამ დროებით მოსწყვიტა თავის საყვარელ სიმღერას. შემდეგ სამამულო ომი დაიწყო და მხოლოდ 1944 წელს მიეცა საშუალება თავის სანუკვარ საქმეს დაბრუნებოდა.

იმ დროს თბილისში მრავალი მომღერალთა გუნდი არსებობდა, მაგრამ ვ. შილაკაძის არჩევანი აექსენტი მეგრელიძის ანსამბლზე შეჩერდა (რომელსაც ამ დროს რადიოკომიტეტთან გუნდი ჰყავდა ჩამოყალიბებული).

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. შილაკაძე ამ ანსამბლის აქტიური წევრი ხდება. ანსამბლში მისი მუშაობა ამ პერიოდში მეტად ნაყოფიერი გამოდგა. აქ თავმოყრილი იყვნენ საქ-

მაოდ ცნობილი მომღერლები. ავქს. მეგრელიძე ჯერ პროგრამას შეადგენდა კონცერტისათვის და მერე ამღერებდა გუნდს ამა თუ იმ სიმღერას, შეახმატებლებდა მომღერლებს და მერე ნიუანსებს ხვეწდა. მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა გურული სიმღერების დამუშავება ანსამბლში. გუნდის მომღერლების უმეტესობა გურიის სხვადასხვა სოფლებიდან იყო. ჩამოსული, მათ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სტილი და მანერა ჰქონდათ გამომუშავებული. გუნდში მღეროდნენ ვ. და ლ. მახარაძეები, ნინო ერქომაიშვილი, მ. და ე. კოროშინაძეები, გარს. სიხარულიძე, ილ. ჯაყელი, თ. ლომთათიძე, დ. მდინარაძე. ზოგიერთი მათგანი სიმონიშვილისა და ჩავლეიშვილის ნამოწაფარი იყო. ამ გუნდში იყო აგრეთვე გურული სიმღერის სრულიად სხვა სტილით შემსრულებელი ნ. ერქომაიშვილი. ამიტომ ამა თუ იმ სიმღერის შესრულებისას ხშირად მწვავე კამათი იმართებოდა, თუ რომელი ასრულებდა სწორად — სიმონიშვილი თუ ჩავლეიშვილი. მეცნიერული ძიებით აგზნებული ჭაბუკი ვ. შილაკაძე მოწმე იყო ამ „ბრძოლის“, ბევრ გამოთქმასა და ფაქტებს თავისთვის ინიშნავდა, რაც შემდგომში გამოადგა.

1948 წელს მას ესტუმრა ზელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავქს. მეგრელიძე და სთხოვა კულტსაგანმანათლებლო კომიტეტის დაკვეთით დაეწერა მეთოდური სახელმძღვანელო მეჩონგურე-მეფანდურეთა ანსამბლებისათვის. დაიწყო დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა. იმ დროს პრესაში ქართულ ენაზე არამცთუ რაიმე წიგნი, საგაზეთო სტატიაც კი არ მოიძებნებოდა მუსიკის ამ ჟანრში; სამაგიეროდ ძველი პრესის ფურცლების დათვალიერებისას ვ. შილაკაძემ საკმაოდ უხვად იპოვა სხვადასხვა ხასიათის სტატიები და მასალები.

შილაკაძეს უამრავი მასალა დაუგროვდა, მაგრამ ჩონგურის გაკეთებისა და მოვლის შესახებ ვერაფერი ნახა. მან რუსულ პრესაში აღმოაჩინა ბევრი რამ ხალხური სიმღერების გუნდის-შექმნა-ჩამოყალიბების შესახებ.

ვ. შილაკაძე შეუდგა სახელმძღვანელოს წერას, რომელშიც დაასურათა ქართული ხალხური მუსიკის ბუნება, განვითარების გზები, წარმოადგინა მოსაზრებები, რომლებიც იხსნიდა მას დალუპვისაგან. ამ შესავალ ნაწილს დაუმატა გუნდის ჩამოყალიბების, მისი დაკომპლექტების, ჩონგურისა და ფანდურის მოვლისა და

სხვა საკითხები. ნაშრომი, ერთ მთლიანობაში, ჩინებულად გამოსაყენებელი მეთოდური სახელმძღვანელო გახდა, რომელმაც კოტე ფოცხვერაშვილისა და ა. ბუკიას დადებითი რეცენზიები დაიმსახურა. 1949 წელს ეს წიგნი დაიბეჭდა ასეთი სახელწოდებით: მომღერალთა და მეჩონგურე-მეფანდურეთა თვითმოქმედი წრეების მუშაობა საკლუბო დაწესებულებაში“.

ვანო შილაკაძე ავტორია 80-მდე ნაშრომისა (მათ შორის 5 ცალკე წიგნად არის გამოქვეყნებული).

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან ორგანიზაცია გაუკეთა არმენოლოგიურ სემინარს, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში, სხვადასხვა ადგილას მომუშავე სპეციალისტების გაერთიანებას. სხდომები რეგულარულად ტარდებოდა. განიხილებოდა არმენოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები. ამ სემინარებში მომიჯნავე დარგების სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

მისი ენერგიული მუშაობის წყალობით არმენოლოგიის კათედრის ბიბლიოთეკა შეივსო უნიკალური სპეციალური ლატერატურით, ბევრი ისეთი წიგნით, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. სხვათა შორის, მან თავისივე სიცოცხლეში საკუთარი ბიბლიოთეკის ნაწილი (1200 ერთეული) გადასცა მშობლიური სოფლის ბიბლიოთეკას, ხოლო არმენოლოგიური ლიტერატურის გადაცემა უნდოდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის, რაც ვერ მოასწრო, მაგრამ მისი ეს სურვილი შეასრულა მისმა მეუღლემ და 700-ზე მეტი ერთეული გადასცა არმენოლოგიის კათედრას.

ვანო შილაკაძის დიდი გატაცება მუსიკით ქართული ხალხური სიმღერის აქტიური ცოდნით ამოიწურებოდა. იგი ეხმაურებოდა ღმრთობაში სფეროში ყოველ ახალ მოვლენას. როდესაც 70-იან წლებში გაჩაღდა კამპანია კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ, მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა და დაიბეჭდა წერილი („საბჭოთა ხელოვნება“ 1974 № 4) სათაურით „ქართული ხალხური სიმღერა — კულტურის უნიკალური ძეგლი, რომელსაც ხელს აწერდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები (ა. შანიძე, ვ. ბერიძე და სხვ.). მასში დასმული იყო საკითხი ქართული სიმღერის კვლევითი დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში ვ. შილაკაძე აქვეყნებდა წერილებს

პერიოდულ პრესაში, სადაც დასმული იყო ბავშვთა და, საზოგადოდ, ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის პრობლემები. მისი აზრით, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა უნდა დაფუძნებოდა მშობლიურ მუსიკას, ქართულ მუსიკალურ აზროვნებას.

მან არაერთგზის დასვა საკითხი საგაზეთო წერილებში ქართული მუსიკალური ფოლკლორის მეცნიერული კვლევის ცენტრის შექმნის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რადგან კონსერვატორია ძირითადად მაინც ამზადებდა არა სამეცნიერო, არამედ შემსრულებელთა კადრებს.

ვ. შილიკაძის წიგნები, ქართულ მუსიკას და მის მოამაგეთ რომ შეეხება, შესაძლოა, კიდევ მოძველდა გარკვეული თვალსაზრისით და ზოგი მისი დებულებაც არ არის გასაზიარებელი, მაგრამ მასში დაცულია მასალა, რომელსაც დღეს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.

ვანო შილაკაძე სტუდენტობის წლებიდანვე იყო გატაცებული დიალექტოლოგიით, ფოლკლორისტიკით და ეთნოგრაფიით. მის მიერ იმ წლებში (1937-1938 წწ.) შეკრებილი მასალები (გურიისში) 40-იან წლებში ჩააბარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას, რომელსაც აკად გ. ჩიტაია ხელმძღვანელობდა. ეს მასალები იქცევა ყველა ეთნოგრაფის ყურადღებას, ვინც გურიის რეგიონს და შესაბამის საკითხებს იკვლევს.

## მურმან კიკვაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მურმან კიკვაძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო: მკვლევარი, მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი, მსახიობი, ორატორი...

მის თარგმანებს ეკუთვნის შექსპირის „მეფე ლირი“ და რამდენიმე სონეტი, გადმოქართულებული აქვს ინდური ეპოსი „თეთრი ლოტოსი“.

1966 წელს „მეცნიერებამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მისი ნაშრომი „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის სტილის ბუნებისათვის“,

რომელსაც მალე მოჰყვა ისტორიული დრამა „ცისკრის ვარსკვლავი“.

1967 წელს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივით გამოვიდა „დრამატული ქრონიკები“ თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივებისათვის. დაწერა პიესა „პერმის კამეჩი“.

მურმან კიკვაძე, როგორც მსახიობი და ორატორი, ზშირად გამოდიოდა ზეპირი თხრობით როგორც რადიო-ტელევიზიით, ისე სხვადასხვა დაწესებულებასა და კულტურის სახლის სცენებზე.

„ზეპირი თხრობის“ სადამოხს ჩატარება ერთი აქტიორის მონაწილეობით ქართულ სცენაზე, ისიც არაპროპროფესიონალი მსახიობის მონაწილეობით, თითქოსდა დიდი ხნის ოცნებათა განხორციელება უნდა ყოფილიყო.

რუსულ სცენაზეც ამგვარი სახის თეატრალიზებული წარმოდგენების გამართვა არცთუ ისე ზშირი იყო. წარსულში არსებობდა „იახონტოვის“ ერთი აქტიორის თეატრი, რომელმაც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე, ავტორის გარდაცვალებამდე იარსება. ასე რომ იქაც ტრადიციულად ვერ დამკვიდრდა ეს საქმე. ამ მიმართულებით კარგა ხანს წარმატებით მოღვაწეობდა ჩვენი თანამემამულე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზეპირმოქმედი და მსახიობი ირაკლი ანდრონიკოვი. მანაც მცირე სცენაზე დაიწყო თავისი მოღვაწეობა და დღესდღეობით ცნობილია მისი სახელი ამ მეტად საინტერესო ენარში (სატელევიზიო გადაცემებით, რეცენზიებით).

ერთი შეხედვით მეტად გაბედული ჩანს ასეთი ღონისძიების განხორციელება „თვითმოქმედი“ ძალების ბაზაზე. კულტურის სასახლის დირექციამ, გამგეობამ, საგანგებოდ იმსჯელეს ამ საკითხის შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება და დაასკვნეს, რომ გორკის სახელობის კულტურის სახლთან შეიძლებოდა ასეთი მეტად საინტერესო ღონისძიების განხორციელება.

კულტურის სახლის გამგეობამ 1974 წლის სექტემბერში ერთი აქტიორის თეატრის შესაქმნელად მოიწვია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მურმან კიკვაძე.

გორკის კულტურის სახლის დირექციას ჰქონდა იმედი წარმატებისა, განსაკუთრებით იმ გამოსვლების შემდეგ, რომელიც მეცნიერმა და ორატორმა მრავალჯერ ჩატარა ფართო აუდიტ-

რის წინაშე. პრესის მაღალი შეფასებაც იძლეოდა წარმატების გარანტიას.

აი, რას წერდა გაზეთი „თბილისი“ გულწრფელობითა და ალალ გრძნობით გამსჭვალული მცირე წერილში, რომლის სათაურია „გადასცემს მურმან კიკვაძე“:

„კრიტიკოსი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს პოეტი და მხატვარი, რომ ერთდროულად პოეტის სიტყვიერ ნაწარმოებზე იმსჯელოს... სამწუხაროდ, კონსტანტინე სტანისლავსკის ამ სიტყვების ქეშმარიტებას ზშირად პრაქტიკულად ვერ ადასტურებენ. ეს აღამიანები, რომლებსაც აკლიათ ესთეტიკური შეფასების უნარი და პოეტური სული. მეტიც, ზოგჯერ ესთეტიკისა და პოეზიის შერსახებ დაწერილი ნაშრომის ავტორი თავის წიგნის სათაურშივე „პოეტურ პრელუდიებს“ და „ესთეტიკურ ნარკვევებს“ უწოდებს და არა „წერილებს პოეზიაზე“ ან „ნარკვევებს ესთეტიკაზე“.

ქართველი ორატორის ლექციებისა და მოხსენებების თემა ითვალისწინებს როგორც ქართულ, ასევე დასავლეთ-ევროპული პოეზიის ნიმუშების წარმოდგენას. განსაკუთრებული სიყვარულითა და სასოებით მოამზადა ორატორმა საუბარი ჩვენი უკვდავი გალაკტიონის შესახებ, რომელიც ღრმა პრინციპულობით, მხატვრულობით გამოირჩეოდა.

რაზედაც უნდა საუბრობდეს მ. კიკვაძე, რუსთაველის ესთეტიკა იქნება ეს, შექსპირის პოეზია თუ გალაკტიონის ლირიკა, თვით მისი ბექედვითი ან ზეპირი სიტყვიერი თქმა, პოეტურობითა და ლირიზმით ხასიათდება.

ამის ნათელი დადასტურებაა ტელეეკრანიდან გადმოცემული მისი ზეპირი საუბარი „ცოტა რამ გალაკტიონის ლირიკის შესახებ“.

ამჯერად ტელესპეციფიკის შესატყვისი ახალი მონაცემებით წარმოგვიდგება მურმან კიკვაძე.

ქართველი საზოგადოებაც გულუხვად აჯილდოებდა ორატორს თავისი გულისხმიერებით, აღტაცებული ტაშით. მაღლიერი „მთხრობელი“ მურმან კიკვაძე დიდად პატივსაცემი მეცნიერის შეგონებით „სიყვარულსა და აღერსს“ არ აკლებს ქართველ მაცურებელს, პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულს.

კიკვაძის „ზეპირი თხრობით“ მოზიბლული ქართველი საზოგადოება ოვაციებითა და გულწრფელი გრძნობით უმასპინძლდება

მას და ელოდება მისგან კიდევ ახალ შემოქმედებით წარმატებებსა და გამარჯვებებს.

როგორ მიიღწია „თვითმოქმედების“ გზით მეცნიერმა და ორატორმა ესოდენ დიდ წარმატებას, როგორ დაიმსახურა მან ესოდენი მაღალი შეფასება. არა მარტო ორატორული ნიჭით, არა მარტო ფენომენალური მეხსიერებით, არამედ პატრიოტული სიყვარულით ქართველი ერისადმი და საქართველოსადმი მთლიანად.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მურმან კიკვაძე სწორედ იმ ლიტერატორთაგანია, რომელიც აგერ ორ ათეულ წელიწადზე მეტია ზელოვნებაზე ხატოვანი სიტყვით იზიდაეს ჩვენს საზოგადოებას.

კამერის წინ ბუნებრივი თავდაპერის მანერა, ცოცხალი ემოციური მეტყველების კულტურა, აზრების საზოვანი გადმოცემა — აი, ეს ძირითადი არსენალი, რომელიც შესანიშნავად გამოიყენა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის გასაშუქებლად.

განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია ის შეფასება, რომლის ავტორი გახლავთ სახელოვანი მამულიშვილი, თეალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, აკადემიკოსი ავლიბ ზურაბიშვილი.

იგი წერდა: „მე მქონდა ბედნიერება და სიამოვნება, მომესმინა ბატონი მურმანის ლექციები — მოხსენება უკვდავი გალაკტიონის შესახებ, რომელიც მან ასათიანის სახ. სამეც. კვლევითი ფსიქიატრიის ინსტიტუტში ჩვენი თანამშრომლებისათვის წაიკითხა.

ჩემი შთაბეჭდილებანი და აღტაცება პატრიოტულად გაღრმავდა და გაძლიერდა, როდესაც მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში მე მოვისმინე ბატონი მურმანის ბრწყინვალე ლექცია, საჯარო გამოსვლა ტელევიზიით.

ვიქნები გულახდილი, მისმა მეტყველების უნარმა, საქმეში ჩაწვდომამ და ღრმა ცოდნამ, ამასთან ერთად მისმა ბუნებრივმა ორატორულმა ნიჭმა განსაკუთრებით მასიამოვნა და გამახარა.

მე ვთხოვ ბატონ მურმანს, რომ ასეთი გამოსვლები გაიმეოროს როგორც რადიოთი, ისე სამეცნიერო დაწესებულებებში, პირველ რიგში ჩვენი ახალგაზრდობისათვის, სტუდენტთა ფართო წრეებში. თავის ბრწყინვალე გამოსვლებში ბატონი მურმანი იძლევა არა

მარტო მდიდარ მასალას, არამედ წარმოდგენილი საკითხის, მე ვიტყვი. პატრიოტულ დასაბუთებასა და მნიშვნელობას. მე აშკარად განვუცხადე ბატონ მურმანს, მისი ასეთი ბრწყინვალე გამოსვლები აიხსნება არამარტო მისი ღრმა ცოდნით, არა მარტო მისი დიდი ორატორული ნიჭით, არამედ პატრიოტული სიყვარულით ქართული ერისადმი და საქართველოსადმი მთლიანად. მის მგზნებარე გამოსვლებს სხვა განმარტებაც მე ვერ მივცემ.

მინდა ბატონ მურმანს ვუსურვო დიდი და დიდი შემოქმედებითი გამარჯვებანი და ვთხოვო თავისი სიყვარული და აღერსი ქართველ საზოგადოებას არ მოაკლოს<sup>1</sup>.

საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი სევერიან ჯაში მ. კიკვაძეს წერდა: „უნდა გამოგიტყდეთ, თქვენი ლექციის შემდეგ სიმშვიდე დავკარგე. თქვენ სიტყვის ჯადოქარი ხართ: მომხიბვლელი, მიმზიდველი, მსმენელის მომჯადოებელი.“

მჭევრმეტყველება მიმზიდველი ხელოვნებაა, უდიდესი ნიჭია. აბა, რა გითხრათ, ბევრი გამოჩენილი ადამიანის სიტყვა მომისმენია, კვლავ ვიმეორებ, არ მეგონა, თუ შალვა ნუცუბიძის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის და ნიკოლოზ კანდელაკის შემდეგ, თუ ვინმე შეძლებდა ჩემი გულის დაპყრობას.

17 დეკემბერს, თქვენს მიერ წაკითხულმა ლექციამ გალაკტიონ ტაბიძეზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ნუ დაუკარგავთ ერს ამ განძს. მოახერხეთ ჩაწერონ. ვინ იცის, ერთ დროს სიტყვის ხელოვნებამ დაიქუხნოს და თქვენი სახელი შარავანდედით შემოსოს. ვინ იცის, რამდენი მარგალიტები დაგვიკარგავს დაუდევრობით და ვნანობთ კიდეც. თუ გინდა, რატომ არ უნდა იყოს სრულმეტრაჟიანი კინო, ჩვენი ეპოქის დიდ ადამიანებზე გადაღებული: გალაკტიონ ტაბიძეზე, შალვა დადიანზე, კონსტანტინე გამსახურდიასა და გოგლა ლეონიძეზე. აწი ხომ დაგვიანებულია. რამდენი რამ დაგვაკლდებოდა, ვასილ ამაშუკელის 1980 წელს აკაკის იუბილე რომ არ გადაედო? ვალდებული ვართ მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ ერის განძს. უსაზღვრო მადლობა სულიერი სიამოვნების მონიჭებისათვის“.

სახელოვანი მეცნიერისა და თვალსაჩინო მოღვაწის ესოდენ მაღალი შეფასება იძლევა იმის გარანტიას, რომ დიდი შრომით,

<sup>1</sup> გაზ. თბილისი, 1977 წ. 23/11



ბეჯითობით, ძიებით, დაულალავი ენერგიით, საქმისადმი უსაზღ-  
ვრო სიყვარულით მურმან კიკვაძე მიადწევს თავის სასურველ მი-  
ზანს, როგორც მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი და მსახიობი-ორა-  
ტორი.

სცენაზე (თუნდაც სატელევიზიო კამერის წინ) ბუნებრივი  
თავდაპირის უნარი, ცოცხალი ემოციური მეტყველების კულტუ-  
რა, აზრების სახოვანი გადმოცემა, ეს ძირითადი არსენალი, რომ-  
ელსაც შესანიშნავად იყენებს მკვლევარი და ორატორი, ასე იო-  
ლად როდი შეიქმნებოდა.

ამ ელერადი „წიგნის“ შექმნას წინ უძღოდა დიდი შრომა და  
საქმისადმი უანგარო, უსაზღვრო სიყვარული. როცა ვეცნობით  
სცენისმოყვარის და თავის საქმეზე ფანატიკურად, რომანტიკულად  
შეყვარებული, ჩუმი, თავმდაბალი მოღვაწის მ. კიკვაძის ცხოვრე-  
ბის გზას, ყველაფერი ნათელი ხდება. რთული გზით მოვიდა იგი  
„სცენისმოყვარეთა“ სცენაზე დამაშვრალ მოღვაწეთა რიგებში.

ზეპირი თხრობის (ერთი აქტიორის თეატრის) ეს ჩუმი, მოკრ-  
ძალებული, დაულალავი, მუდამ მაძიებელი, მოუსვენარი მოლ-  
ვაწე, ასე ჰაბუკური ენერგიით რომ ეძიებს „რამე ახალს“, ამ-  
ჯერად, ასაკით თავისი ცხოვრების შუაგზას უახლოვდება. იგი და-  
იბადა 1927 წელს, 23 აპრილს ქ. თბილისში. მისი მამა თბილისე-  
ლი მოქალაქე იყო, ბუნებით ინტელიგენტი, ენაწყლიანი, მჭევრ-  
მეტყველი, მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო  
აკადემიურ თეატრში საამქროს გამგედ და ხანდაზმულობის მიუ-  
ხედავად, სამაბულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა  
მოქმედ არმიაში. ქართველმა მეომარმა ქერჩისა და სევასტოპო-  
ლის სანგრებიდან ბერლინამდე გაიარა საბრძოლო დიდების გზა.

მ. კიკვაძე 1942 წელს 15 წლის ასაკში წარჩინებით (ოქროს  
მედალით) ამთავრებს ქ. თბილისის ნიკო გოცირიძის სახელობის  
საშუალო სკოლას და არსებული წესის თანახმად უგამოცდოდ  
ირიცხება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. სამედიცინო ინს-  
ტიტუტი ვერ იზიდავს მომავალ „თეატრალს“. იგი გადაწყვეტს  
მამის კვალს გაჰყვეს და ასევე მოხალისედ წავიდეს მოქმედ არ-  
მიაში. ასაკი კი ხელს არ უწყობს. იგი, ცხადია, რჩება თბილისში  
და სწავლას აგრძელებს (1942 წლიდან) თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე (ხელოვნების ისტორი-  
ის განხრით). ომის პერიოდში ოჯახური პირობების გამო იგა

სწავლობს უნივერსიტეტში ექსტერნად (უხდება ფიზიკური შრომა, რომ სწავლასათვის ნორმალური პირობები ჰქონოდა).

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა „თეატრალი“ ექსტერნად ამთავრებს უნივერსიტეტში სწავლას და ოცნებობს ისევ ხელოვნების ასპარეზზე იმოღვაწეოს. თეატრთან კვლავ ცხოველი ურთიერთობა აკავშირებს მას — ამ დროს უკვე ომიდან ბრუნდება მამა, რომელიც კვლავ მშობლიურ თეატრს უბრუნდება, სადაც იგი მუშაობს 1964 წლამდე. შემდეგ გარდაცვალებამდე მუსკომედიის სახელმწიფო თეატრშია.

ასე რომ, კაბუკი მურმანი თეატრალურ საზოგადოებაში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე ტრიალებს. ამ მდგომარეობამ განაპირობა კიდევ მისი ცხოვრების შემდგომი გზა.

1947 წელს მ. კიკვაძე უკვე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია. მისი პირველი მასწავლებლები ინსტიტუტში იყვნენ: იმ ხანად პირველი სკოლის დირექტორი, მწერალი და პედაგოგი ჯაჭუ ჯორჯიკია, რომელმაც მომავალ თეატრალსა და მეცნიერ-მკვლევარს ასწავლა ფრანგული ენა. თეატრის ისტორიას ასწავლიდნენ პროფესორები აკაკი ფაღავა და დიმიტრი ჯანელიძე, რეჟისურას კი პროფესორები — საბჭოთა. კავშირის სახალხო არტისტები: აკაკი ხორავეა და აკაკი ვასაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. ლიტერატურის ისტორიას კი პროფესორები: აკაკი გაწერელია, დიმიტრი ბენაშვილი, მიხეილ კვესელავა, ოთარ ჯინორია.

მ. კიკვაძე სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე იყო და დანიშნული ჰქონდა მარჯანიშვილის სახელობის სპიტენდია მალალი აკადემიური წარმატებისათვის.

ინსტიტუტში სწავლისას მან დაამთავრა ბავშვობისას დაწყებული პიესა „დიმიტრი თავდადებული“ და საპაექროდ წარმოადგინა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა გაერთიანებულ დისპუტზე.

1950 წლიდან ვ. კიკვაძე თავს ანებებს კულტურის სამინისტროში მუშაობას. ეს იმიტომ რომ „თავდადებულ თეატრალს“ მოსვენებას არ აძლევს ადრინდელი მისწრაფება — მაცნიერული კვლევის წყურვილი.

1952 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცი-

ით მ. კიკვაძე მიავლინეს მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის მიზნობრივ ასპირტანტურაში ხელოვნების თეორიის სპეციალობით. მოსკოვში ის ვერ აგრძელებს სწავლას ოჯახური პირობების გამო, ბრუნდება თბილისში და იწყებს პრაქტიკულ-შემოქმედებით მუშაობას, საქართველოს კულტურის სამინისტროში ხელოვნების მთავარ სამმართველოში.

1957 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით და თაოსნობით თბილისში მოეწყო შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. თეატრმა ჩამოიტანა უკანასკნელი სეზონის საუკეთესო დადგმები, მათ შორის მ. კიკვაძის მიერ გადმოქართულებული ინდური ეპოსი „თეთრი ლოტოსი“ და მისივე ისტორიული დრამა „ღიმიტრი თავდადებული“. ეს პიესა ავტორმა შექმნა ზუგდიდისა და სხვა რაიონის თეატრებთან თანამშრომლობით და ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად ითვლებოდა რაიონულ თეატრებში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მ. კიკვაძის მოღვაწეობა თეატრალური თვითშემოქმედების დარგში. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში სათავეში ჩაუდგა „სახალხო თეატრების“ საქმიანობას. მისი ინიციატივით და თაოსნობით (ეს საქმე მას ოფიციალურად დაევალა) ჩამოყალიბდა მრავალი სარაიონო სახალხო თეატრი. იგი აქტიურად მონაწილეობს კონსულტაციებით, რჩევა-დარიგებით და თვითონვე იღვწის რეპერტუარის დასახვეწად. მისი ორიგინალური პიესები თუ გადმოქართულებული დრამები ხშირად იდგმება სარაიონო თეატრებში.

მურმან კიკვაძემ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო ცაგერისა და ღუშეთის სახალხო თეატრებს. აღნიშნულმა თეატრებმა მისი პიესებით გახსნეს თავისი მშობლიური თეატრების ახალი სეზონი. ახალგაზრდა ავტორი სარაიონო სახალხო თეატრებს დახმარებას უწევდა მთელი მონდომებითა და მოწადინებით.

ამ საქმეში მან ჩააბა პროფესიონალი მსახიობები, თეატრალუბი, რეჟისორები, თეატრმცოდნეები. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია ერთი რეცენზია, რომელიც გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა. რეცენზენტი წერდა: „მუხრან-ღუშეთის გზაზე მჭადჭკრის ციხიდან შევარდენი წამოფრინდა და ბაზალეთის ტბის მახლობლად კამარა შეჰკრა... ბინდი ღუშეთის მისასვლელთან შემო-

გვეგება, პატარა ქალაქი საზეიმო განწყობილებით ცხოვრობდა...  
ლაშქრონების შუქს მიჰყვება მანქანები და მოულოდნელად  
კავკასიური ვერძის ტყვეობაში აღმოეჩნდით...

სიმღერა წამოიშალა ადგილმრავალ ავტობუსში, რომელსაც  
მიჰყავდა თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, დრამა-  
ტურგები სხვადასხვა თეატრის მსახიობები, კულტურის სამინისტ-  
როს, პრესის, ტელეხედვის მუშაკები. ამ დღეს იხსნებოდა დუშეთის  
სახალხო თეატრი, რომელმაც თავის პირველ წარმოდგენად აირჩია  
კიკვაძის ისტორიული დრამა „ციცკრის ვარსკვლავი“ (დიმიტრი თავ-  
დადებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი პიესა).

საერთო აღიარება და მოწონება დაიმსახურა დუშეთის სახალ-  
ხო კოლექტივინ მთელი სიყვარულით შექმნილმა წარმოდგენამ.

ვუცქერით მ. კიკვაძის „ციცკრის ვარსკვლავს“ და ახლებურად  
ისახება დიმიტრი თავდადებულის ხელქმნილი მეტეხის ტაძარი,  
რომლის საძირკველმა უამთა სიავეს დიდებულად გაუძლო.

ის ბერძუხა ბევრი ამბის მოწმეა,  
ბევრი ავის, ბევრი კარგის მომსწრე არის,  
ჩვენი დროის ნიშანსვეტის წამკითხველი,  
მის ტანზეა ნახმაღვეიც და ნატყვიარიც...

ვუცქერთ პიესას, რომლის ქარგაზე თვალნათლივ არის ამოკვე-  
თილი ქართლის ცხოვრებაში ჩაწერილი მემათიანის სვედიანი სი-  
ტყუები: „მზემან თავისი შარავანდელი უჩინო ჰყო. მწუხრმა შემო-  
სა ბნელი, რამეთუ წარჰკვეთეს მეფესა დემეტრეს თავი“... (წერი-  
ლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი; აწ გან-  
სვენებული აღ. აფხაიძე). ამ წარმატებას ასულდგმულებდა მურ-  
მან კიკვაძე.

პროფესიონალმა თეატრალმა სახალხო თეატრების დარგში  
პირუთვნელი მუშაობით იმ წლებში იმას მიაღწია, რომ ერთ-ერთ  
რეცენზენტს ათქმევინა კიდევ მთელი გულწრფელობით: „სახალხო  
თეატრის, თვითმოქმედთა ძალებით წარმოდგენილ მ. კიკვაძის პიე-  
საში ყველანი ისე აზრიაანად მოქმედებენ, რომ უნებურად გავიწყ-  
დებათ — ეს კულტურის სახლის დრამატული კოლექტივის წარ-  
მოდგენაა თუ რომელიმე პროფესიონალური თეატრისა... ყველა  
მიზანსცენა გააზრებული და სრულყოფილია, წარმოდგენის მთავა-

რი მომენტები და საკვანძო საკითხები წინა პლანზეა წამოწეული, რაც წარმოდგენის აღქმას დიდად უწყობს ხელს“.

მ. კიკვაძის ინიციატივით შექმნილი დრამატული კოლექტივები ახლაც ჭანსალი და კარგი მონაცემებისაა, ბევრჯერ გაგვახარეს თავიანთი გულწრფელი ნამუშევრებით.

ასეთივე წარმატება ხვდა ცაგერის სახალხო თეატრის პირველ დადგმას, რომელმაც აგრეთვე წარმოადგინა მ. კიკვაძის პიესა „დიმიტრი თავდადებული“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველოც“ მიესალმა ამ დადგმას და ერთ-ერთ რეცენზიაში ცაგერის სახალხო თეატრის პირველი სპექტაკლი მომავალ გამარჯვებათა საწინდრად მიიჩნია (რეცენზიის ავტორია ილია კაპანაძე, გორკის სახ. კულტურის სახლის დირექტორი).

მ. კიკვაძის მოღვაწეობა სახალხო თეატრის მოქმედების საქმიანობაში მომავალ გამარჯვებათა საწინდრად უნდა მიგვეჩინა, მისი პიესები ითარგმნა სხვადასხვა ენებზეც: რუსულად, სომხურად, აფხაზურად, ოსურად, თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად მისი პიესის, „დიმიტრი თავდადებული“, დადგმა გადაწყვიტა მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრის სამხატვრო საბჭომ (საბჭოს სხდომაზე ერთსულოვანი დადებითი აზრი გამოთქვეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა ვერიკო ანჯაფარიძემ, ვასო ჯიძიაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა პიერ კობახიძემ, კაკო კვანტალიანი, ალ. გომელაურმა, შაქრო გომელაურმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ ეგაძემ).

ეს პიესა დადგა თბილისის შაუმიანის სახელობის სომხურ დრამატულმა თეატრმა. დადგმის შესახებ არსებობს დადებითი რეცენზიები გაზეთებში: „ზარია ვოსტოკა“, „სოვეტკან ვრასტან“. 1960 წლამდე მ. კიკვაძე ასრულებს ადმინისტრაციულ დავალებებს. სხვადასხვა დროს იყო მთავარი რედაქტორი თეატრალური რეპერტუარის დარგში და ამავე პერიოდში ერთხანს ეურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ თეატრალური განყოფილების გამგე.

ამავე პერიოდში პრაქტიკულ-ადმინისტრაციულ მუშაობას განუყრელად უკავშირებს სწავლას. აღრმავებს ფრანგულ ენაზე მუშაობას და სწავლობს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში საღამოს განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1956 წელს და მიიღო ფრანგული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. მისი მასწავლებელი ინსტიტუტში გი-

ორგი გეგელია იყო. საყვარელმა მასწავლებელმა პირველი თარგმანი რომენ როლანის „კოლა ბრუნიონი“ მოწაფეს მიანდო სარედაქციოდ. მოწაფემ კარგად გაართვა თავი ამ დიდ, საპატიო საქმეს და მასწავლებლის მადლიერება დაიმსახურა (ეს თარგმანი უკვე ცალკე წიგნად არის გამოცემული). მისი ორიგინალური პიესები თუ გადმოქართულებული დრამები ხშირად იდგმება სარაიონო თეატრებში, რის გამოც მან მრავალჯერ დაიმსახურა მშრომელი გლეხობისა და თეატრალური საზოგადოების მადლობა.

1960 წლიდან მ. კიკვაძე თავს ანებებს კულტურის სამინისტროში მუშაობას. ეს იმიტომ რომ „თავგადადებულ თეატრალს“ მოსვენებას არ აძლევენ ადრინდელი მისწრაფებანი (მეცნიერული კვლევის წყურვილი). ამიტომ, იგი 1960 წელს წარმატებით აბარებს საკონკურსო გამოცდებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული საბჭოთა ლიტერატურის სპეციალობით.

ასპირანტურაში მუშაობის 3 წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა სამეცნიერო მუშაობის სარბიელზე. 1963 წელს იგი ასევე წარჩინებით ამთავრებს ასპირანტურას და ამზადებს დისერტაციას ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იგი დისერტაციას იცავს 1965 წელს, ხოლო 1966 წელს გამოიმკვმლობა „მეცნიერება“ ცალკე წიგნად გამოსცემს მის ნაშრომს.

პროფესიონალმა თეატრალმა ერთხანს დატოვა თეატრალური სარბიელი მეცნიერული ინტერესებისათვის შემდეგ კი იმავე მეცნიერული ინტერესებისათვის უბრუნდება „თვითმოქმედ“ სცენას, რათა ამ სცენაზე განახორციელოს დიდი მოაზროვნის, მისი სათაყვანებელი უილიამ შექსპირის მეცნიერული, პოეტური და სასცენო პრინციპები...

მაგრამ იგი, სამწუხაროდ ძალიან ადრე წავიდა ცხოვრებიდან. წავიდა ახალგაზრდა, აღსავსე მაღალი შემოქმედებითი ენერგიით, როდესაც იფურჩქნებოდა მისი იშვიათი ნიჭი.

ჩვენ გულისტკივილით ვიგონებთ მის უდროოდ ჩამქრალ სი-  
ოცხლეს.

## ვანო კობახიძე

თავისი ბიოგრაფიის თხრობას ასე იწყებს ვანო კობახიძე:

„ისეთ რეჟისორებთან მუშაობა, როგორებიც იყვნენ: ალ. წუწუნავა, ვ. შალიკაშვილი, ვლ. შუმსკი, თეატრალური სკოლის გავლას უდრიდა, მაგრამ მე მომიწია აგრეთვე ვყოფილიყავი ისეთი დიდი თეატრალური მოღვაწის მოწაფე, როგორიც გიორგი ჯაბადარი გახლდათ. ჯაბადარის სტუდიაში სწავლობდნენ: გ. გელოვანი, მ. ქიაურელი, ვ. ანჯაფარიძე და სხვები. რაც შეეხება თეატრალურ ჟანრს — ვმონაწილეობდი როგორც ოპერეტებში, ისე საოპერო დადგმებში. პაჭიბეკოვის „არშინ მალ-ალაში“ ასკარას როლი შევასრულე, 1938 წელს დავამთავრე კონსერვატორიის საოპერო სტუდია და რამდენიმე საოპერო პარტიაც მაქვს შესრულებული ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.“

დიდია მსახიობისა და რეჟისორის ვანო კობახიძის ღვაწლი დრამატურგიაშიც, თუმცა მას მწერლობის არავითარი პრეტენზია არ ჰქონია. იგი იყო თვითნასწავლი, იმპროვიზატორი, ქართულ-რუსული ლიტერატურის კარგი მცოდნე. დრამატურგების ვასო კობელისა (კობახიძე) და ს. მთვარაძის დახმარებით უადვილდებოდა ორიგინალურ პიესებზე მუშაობა.

მისი პირველი ერთმოქმედებიანი პიესა: „ქალი და აჩრდილი“, რომელიც გადმოკეთდა მწერალი ე. ახვლედიანის მოთხრობების მიხედვით, პირველად დაიდგა ქ. გორში. მთავარ როლებს ასრულებდნენ ძველი სცენისმოყვარეები: დ. რჩეულიშვილი, ვ. ვახტანგიშვილი და სხვები. პიესა იგივე შემადგენლობით განმეორდა სოფ. გომში, ოღო 1925 წელს — საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე.

1921 წელს კობახიძემ ოთხ მოქმედებად გადმოაკეთა „რევოლუციის წუთებში“, ხოლო შემდგომ სამ მოქმედებად წარმოადგინა თბილისში მესანგრეთა კლუბში (ძნელადის ქუჩაზე). იგივე სპექტაკლი ვანო კობახიძის რეჟისორობით განმეორდა 1922 წელს ქ. ქუთაისში, სახელმწიფო თეატრის სცენაზე. მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობები: ა. მუსყერიძე, ნ. ჩიხლაძე, ა. სპირანდი, ჯ. სვანიძე, ვ. ლაღიძე, ვ. ადამია. პიესა 1923 დაიდგა ქუთაისში.

ვ. კობახიძემ თარგმნა და მუსიკალურად გააფორმა ოპერეტა:

„ვანო წამებული“. პიესა უჩვენებს საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე.

„ამას მოჰყვა მრავალი ერთმოქმედებიანი და ორმოქმედებიანი პიესები, მაგრამ მეხსიერებამ ყველაფერი ერთნაირი სიძლიერით როდი შემოინახა. რას იზამ — 90 წელი მაინც 90 წელია. — თხრობას განაგრძობს ბატონი ვანო, — მიყვარდა სიმღერა, მიზიდავდა სანახაობები, იმიტაციის ნიჭი მქონდა და სულ სცენისაკენ მეჭირათვალი. ერთი სიტყვით, მთელი ჩემი ცხოვრება თეატრთან ვიყავი დაკავშირებული.“

თუმცა შემდგომში მოხდა ისე, რომ ცხოვრებამ სულ სხვა სფეროს დამაკავშირა: შევიცვალე სამუშაო პროფილი, მაგრამ სცენასთან კავშირი არ გამიწყვეტია. სადაც არ უნდა მემუშავა, ყველგან ვაყალიბებდი სცენისმოყვარეთა დასს და ვდგამდი სპექტაკლებს, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა როგორც სცენისმოყვარეებს, ისე მაყურებელს.

დაუვიწყარია ჩემთვის დიდი აკაკი წერეთლის იუბილეზე დასწრება. აკაკი ძირითადად თავის მამულში ცხოვრობდა, საიუბილეოდ რომ ჩამოვიდა თბილისში, მთელ ქალაქი სადგურში დახვდა, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, მიიღო საზოგადოებრიობამ. წილად მხვდა ბედნიერება, დავსწრებოდი იუბილესაც ოპერის თეატრში.

როგორც ცნობილია, იუბილეზე აკაკის დიდი ვაჟაც ეწვია და ლექსი წაუკითხა. სხვა ცნობილ და სახელოვან ადამიანებზე აღარას ვამბობ. მონაწილე და დამსწრე ვარ კოტე ყიფიანის, ვალ. გუნიას, ვასო აბაშიძის, შალვა დადიანისა და სხვათა იუბილეებისა და საინტერესო შეხვედრების...“

ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარე, მსახიობი და რეჟისორი ვანო კობახიძე იმ ადამიანთა რიცხვშია, რომელთაც თავიანთი შრომითი საქმიანობით მოკრძალებული, მაგრამ დიდად საჭირო წვლილი შეიტანეს ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

ქართული თეატრების ეს დაუღალავი მუშაკი თითქმის ხუთი ათეული წელი დიდი ენთუზიაზმითა და ღრმა სიყვარულის გრძნობით ემსახურა სახალხო თეატრების სცენას. ამ ხნის მანძილზე ნიჭიერ სცენისმოყვარეს მრავალ წარმოდგენაში მიუღია მონაწილეობა, მრავალი საინტერესო სახე შეუქმნია, მთავარი და ეპიზოდუ-



რი როლები მოუმზადებია და მუდამ მაყურებლის გულწრფელი აღიარება დაუმსახურებია. იგი გამოსულა მაკო საფაროვა-აბაშიძესთან, ნიკო გოცირიძესთან, ლადო მესხიშვილთან, მ. ჭიაურელთან, ნ. გოძიაშვილთან და სხვებთან.

საყურადღებოა მის მიერ ხორცშესხმული პარიზელი ბიჭი ეოზეფი—„პარიზელი ბიჭი“, გოგია—„ქრისტინე“, ქურდი ვანიუტკა—„უმუშევარი“, ილუა—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, შაქრო—„მსხვერპლი“... ყოველი ახალი სპექტაკლის განხორციელება თუ მასში რომელიმე როლის შესრულება ზრდიდა მას, როგორც ხელოვანს.

სცენისადმი მისწრაფება ვანო კობახიძეს 11 წლიდან აღეძრა, როცა 1911 წელს ზუბალაშვილის სახალხო საბლში სცენისმოყვარედ მიიღეს. თავდაპირველად სახელი ლექსების მხატვრული კითხვით გაუთქვამს, ამით დაუმსახურებია სპეციალისტების ყურადღება, მალე ვანო ბავშვთა სიმღერის გუნდში გადაუყვანიათ, რომელსაც კომპოზიტორი გიორგი ჩუბინიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ ხმა ნიკო სულხანიშვილისა და მიხელ კავსაძის გუნდშიც გამოუცდია. მაგრამ მისი გატაცება მაინც თეატრი იყო. სურვილი მალე ახდომია, რეჟისორ ალ. წუწუნავას მოსწონებია ვ. კობახიძის მიერ შესრულებული სიმღერა „ურმული“ და იგი ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ მეურმე ბიჭის როლში გამოუყვანია. სიმღერას ვანო კულისებში ასრულებდა, მაგრამ ის დღე მის სადებიუტო დღედ იქნა აღიარებული. ეს იყო და ეს, მან სახალხო თეატრის სცენაზე მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი.

ცნობილ მწერალსა და დრამატურგს შ. დადიანს იგი „დიდი თეატრის“ სცენაზეც გამოუყვანია, მონაწილეობა მიაღებინა ნაკაშიძის პიესაში „ვინ არის დამნაშავე“.

ამის შემდეგ ცნობილ მსახიობებს ხშირად დაჰყავდათ იგი საბენეფისო წარმოდგენებზე. მათ შორის მის მეხსიერებაში ყველაზე მეტად აღიბეჭდა ქართული თეატრის მოამაგის—კოტე ყიფიანის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამო. საღამოზე მონაწილეობას იღებდა ქართული სცენის ვარსკვლავი მაკო საფაროვა-აბაშიძისა, რომელიც პიესა „ხათაბალაში“ ნატოს როლს ასრულებდა. ვანოს ამ დღეს ბარათაშვილის „მერანი“ წაუკითხავს და საზოგადოების დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია.

მსახიობი ვ. კობახიძე მსოლოდ თავისი ბუნებრივი მონაცემე-

ბითა და ხელოვნების დიდი სიყვარულით იკაფავდა გზას. თბილისში სახალხო სახლის რუსული დრამატული სექციის მოწვევით ჩამოსულმა მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობ-რეჟისორმა ვლადიმერ შუმსკიმ დიდი როლი შეასრულა ვანოს აქტიორულად დაოსტატების საქმეში. მოსკოველ რეჟისორს სახალხო სახლის სცენაზე დაუდგამს სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“, „ნაპოლეონი და ჟოზეფინა“ და სხვა. სპექტაკლებში ვანომ უმნიშვნელო როლები შეასრულა, მაგრამ დაკვირვებულ ვ. შუმსკის მხედველობიდან არ გამოპარვია ვ. კობახიძის კარგი მონაცემები. განსაკუთრებით ვანოს ხმა და დეკლამაციის უნარი მოსწონებია და შესდგომია მის დაოსტატებას მხატვრული კითხვის ხელოვნებაში. შრომას შედეგიც გამოუღია. — სულ მალე ჭაბუკ ვანოს თავისი კარგი ხმის წყალობით სახალხო სახლის სცენიდან მოუხიბლავს სავსე აუდიტორია. ტემპერამენტით წაუკითხავს გოგოლის „შეშლილის წერილები“.

1915 წლიდან ვ. კობახიძეს საპასუხისმგებლო როლებში ვხედავთ. გ. ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით და ბეგლარ ბეგლარიძის რეჟისორობით დადგმულ ჯორჯაძის კომედია „პარიზელ ბიჭში“ ჟოზეფის როლში გამოსულა.

ამის შემდეგ, ერთი წლის მანძილზე, ზედიზედ მრავალი როლი განუსახიერებია.

ვანო დიდი აღტაცებით იგონებს ერთ შემთხვევას: 1915 წელს მოსკოვიდან თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულა ლადო მესხიშვილი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო პიესაში „ურიელ აკოსტა“. სპექტაკლი სახალხო თეატრის სცენაზე დაუდგამთ. ურიელის როლს ქართული სცენის მშვენიერება ლადო მესხიშვილი ასრულებდა, ურიელის უფროს ძმას—იოველს—ვანო კობახიძე, ხოლო უმცროსი ძმის როლს—შაქრო გომელაური, მოკარნახედ პოეტი ახოსპირელი ყოფილა. ვანოს პირველად უხდებოდა ლადო მესხიშვილთან ერთად სცენაზე გამოსვლა. რა თქმა უნდა, ვანოსათვის ძნელი იყო პარტნიორობის გაწევა ისეთი დიდი ტემპერამენტისა და განცდების მქონე მსახიობთან, როგორც ლადო მესხიშვილი იყო. ლადოსეულ ურიელს უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია ახალგაზრდა პარტნიორზე, თავბრუ დაუხვევია ლადოს შეუღარებელ თამაშს და საქმე იქამდე მისულა, რომ იგი როლიდან გამოთიშული, ენა ჩავარდნილი, გარინდული, შეკყურებდა თურმე ლადოს დიდრონ და მღელვარე თვალებიდან ლაპალუპით გადმონადენ

ცრემლს. „მას იტაცებდა ამ დიდი მსახიობის მიერ სცენაზე დატრი-  
ალებული ქარიშხალი. მთავარი კი ის იყო, რომ ვანოს აღარ ახ-  
სოვდა თავისი როლი, თავისი სათქმელი და თავდავიწყებამდე მი-  
სული. ველარ გრძნობდა იმ უადგილო პაუზას, რომელიც მან და-  
უშვა. სწორედ ამ დროს გაისმა მოკარნახის მკექქარე ხმა „ფეხის ხმა  
ისმის, ივლითი მოდის“. ამ ხმას გამოურკვევია, აუმეტყველებია  
იგი.<sup>1</sup>

1917 წლის იანვარს რეჟისორ ალ. წუწუნავასა და უფროს კო-  
ლეგებთან (ა. ქიქოძე, ა. ჩხიკვაძე, ი. ციმაკურიძე, მ. ჭიაურელი, მ.  
გელოვანი, გ. არადელ-იშხნელი, შ. გომელაური, ნ. გოძიაშვილი,  
გ. ფრონისპირელი) ერთად იგი მიწვეული ყოფილა ბათუმის ქარ-  
თული დრამატული საზოგადოების მიერ.

სეზონის დახურვის შემდეგ ვანო თავის მეგობრებთან მ. გელო-  
ვანთან, ნ. გოძიაშვილთან ერთად ბათუმში დარჩენილა და მონაწი-  
ლეობა მიუღია, როგორც საკრებულო დარბაზის, ასევე მახლობელ  
რაიონებსა და სოფლებში გამართულ სპექტაკლებში.

იმავე წელს ბათუმში საგასტროლოდ ჩამოსულა საოპერეტო  
დასი ნ. ჩაგუნავას ხელმძღვანელობით. დასს წარმოუდგენია უ. ჰა-  
ჯიბეკოვის პიესა „არშინ მალ-ალან“. ვანოსათვის უფხოვიათ ამ  
ოპერეტაში ასკარის როლის შესრულება. მოკლე დროში მოუშა-  
დებია ეს როლი და წარმატებითაც გამოსულა.

სცენისადმი უსახლერო სიყვარულს, თავის თავზე ხანგრძლივ  
და ნაყოფიერ მუშაობას და რაც მთავარია, ნიჟს, მალე გამოუღია  
შედეგი და 1917 წელს უკვე საკმაოდ პოპულარული მსახიობი გა-  
მხდარა. 1917 წლის სექტემბერს იგი დრამატულ საზოგადოებას  
ქართული დრამის მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ მოუწვე-  
ვია. ამ დროს რეჟისორად ცნობილი დრამატურგი და მსახიობი  
ვალერიან შალიკაშვილი ყოფილა. აქ ვანოს პირველი როლი იყო  
პატარა კახი—პიესაში „პატარა კახი“. ამ როლს ერთხმად აულაპა-  
რაკებია როგორც სპეციალისტები, ისე სცენისმოყვარეები. ჩვენ  
სასიქადულო მსახიობს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვასო  
გოძიაშვილს აი, როგორი შეფასება მიუცია ვანო კობახიძის პატა-  
რა კახისათვის: „ვანო კობახიძის მიერ განსახიერებულმა პატარა  
კახმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. ჯერ ისედაც ხელოვ-

<sup>1</sup> ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ 1961 წ. გვ. 28.

ნებით გატაცებულს უფრო მეტი სიყვარული ჩამენერგა გულში, პატარა კახით განცდილი სიამოვნების ცეცხლი დიდხანს მიმყვე-  
ბოდა აქტიორულ დაოსტატებისაკენ“.

ქართული დრამის თეატრის სცენაზე ვანოს მრავალი როლი გა-  
ნუსაპიერებია. ასეთებია: ვალოდია—„ფიშში“, ექიმი, გრუნტერი—  
მეეტლე პენშელი, ფიზიკოსი, პეტრუშკა—„დღენი ჩვენი ცხოვრე-  
ბისა“, ივანე—„დავა“, თეიმურაზი—„ქეთევან წამებული“ და სხვა.

1918 — 1919 წლებში ვანო დრამის თეატრის პარალელურად  
ავჭალის აუდიტორიაში მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად,  
გამოცდილება, რომელიც ახალგაზრდა მსახიობმა რეჟისორ ვ. შა-  
ლიკაშვილთან მიიღო, უადვილებდა დამოუკიდებელ რეჟისორულ  
მუშაობას. აქ ვ. კობახიძეს კონსულტაციას უწევდა რესპუბლიკის  
სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი.

ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეთა წრემ ვანო კობა-  
ხიძის რეჟისორობით და მონაწილეობით პირველ სპექტაკლად  
წარმოადგინა ი. ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა“ („გლახის ნაამბობი-  
დან“ გადმოკეთებული). გაბროს თამაშობდა ვ. კობახიძე, დათი-  
კოს ნ. გოცირიძე, პეპიას ვ. კობელი.

ამის შემდეგ მისი მონაწილეობითა და რეჟისორობით განა-  
ხორციელეს ავქს. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ მოუ-  
რავს ანსახიერებდა ვ. კობახიძე, ნ. გოცირიძე — ავეტიკას.

ამას მოჰყვა ვ. კობახიძის მონაწილეობითა და რეჟისორობით  
დადგმული ავქს. ცაგარელის „ხანუმა“ და აკ. წერეთლის „პატარა  
კახი“, ხანუმას როლი შეუსრულებია — ელ. ჩერქიზიშვილს, აკო-  
ფას როლი — ვ. კობახიძე. პატარა კახი — ვ. კობახიძეს, გელა —  
უშ. ჩხეიძეს.

იმავე ხანებში აგრეთვე მისი მონაწილეობითა და რეჟისორო-  
ბით დაიდგა მთელი რიგი პიესები, როგორცაა ვ. კობელის სამ-  
მოქმედებიანი დრამა „არჩილ ბედისწერაძე“, გ. სუნდუკიანის  
„პეპო“, ვალ. გუნიას „და-ძმა“, ალ. ყაზბეგის „არსენა“ და გ. არა-  
დელ-იშხნელის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით განხორ-  
ციელებული, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

1919 წლის 3 მაისს ქართული დრამატული წრის გამგეობამ  
ვანო კობახიძენ თავისი ენერგიული და დაუცხრომელი მოღვაწე-  
ობის აღსანიშნავად გაუმართა ბენეფისი. მისი მონაწილეობითა და

რეჟისორობით წარმოადგინეს შილერის „ყაჩაღები“. ფრანც მო-  
ორს ასრულებდა ვ. კობახიძე, პეტრეს — მისი ძმა ვ. კობელი.

ვ. კობახიძე 1920 წელს ვიქ. მატარაძესთან ერთად თელავის  
ადგილობრივ დასს მიუწვევია სპექტაკლებში მონაწილეობის მი-  
საღებად. „პატარა კახში“ კახის როლი შეუსრულებია, ხოლო „და-  
ძმაში“ — გაიოზ ფაღავა. ცხინვალში განუხორციელებია „ქარ-  
თველი დედა“, „არშინ მალ-ალან“, „ადვოკატი მელაძე“ და „პა-  
ტარა კახი“. ამის შემდეგ ისევ თბილისში დაბრუნებულა და სახე-  
ლოსნო კლუბში დაუდგამს ავქს. ცაგარელის „ხანუმა“, სადაც  
ხანუმას ელ. ჩერქეზიშვილი თამაშობდა.

აქვე ვ. დოლიძის დახმარებით ოპერეტად გადაუკეთებია „ბაი-  
ყუში“, რომელშიც მთავარი როლები შეუსრულებია გ. მიჭელა-  
ძეს, ო. დოლიძეს და თვით ვ. კობახიძეს.

1922 წლიდან ვ. კობახიძეს მუშაობა დაუწყია ქართული დი-  
ვიზიის პოლიტსაგანმანათლებლო განყოფილებაში. მას აქაც არ  
განელებია ხელოვნებისადმი სიყვარული და სათავეში ჩადგომა  
სამხედრო ნაწილების დრამატულ კოლექტივებს თბილისში, ბათუმ-  
სა და ქუთაისში. ამ პერიოდში განსაკუთრებით ნაყოფიერი ყო-  
ფილა ვანოს მუშაობა ქუთაისის დრამატულ სტუდიაში. მას თავის  
გარშემო შემოუყრებია გამოცდილი და კარგი მონაცემების მქონე  
მსახიობები: ა. მურუსიძე, ნ. ჩინჩალაძე, ჭ. აბაკელია, ვ. ლალი-  
ძე, ვ. აღამია, ა. არჯევანიძე, ი. ქანთარია, ზ. ურუშაძე, სტუდიას  
მოუშზადებია და მაყურებელს სამსჯავროზე გამოუტანია ცაგარე-  
ლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ავეტიკას როლი ვ. კობახიძეს  
პირველად აქ უთამაშია. ვანო აქ ყველა დადგმის რეჟისორი და  
მონაწილე ყოფილა. შ. დადიანის პიესაში „როს ნადიმობდნენ“  
მთავარ როლში გამოსულა. ვალ. გუნიას „მონადირეში“ არჩიბალ-  
დის, ხოლო შილერის „ყაჩაღებში“ ფრანცის როლი შეუსრულებია.

წარმოდგენები ქუთაისის სახელმწიფო თეატრში იმართებოდა.  
ვანო საქველმოქმედო კონცერტების ორგანიზატორი ყოფილა,  
რომელშიაც აკაკი ვასაძეც იღებდა მონაწილეობას.

ქუთაისიდან ვ. კობახიძე ისევ თბილისს დაბრუნდა. მას ნახე-  
დით დივიზიის ქართული კლუბის (ამჟამად გრიბოედოვის თეატ-  
რის), სახალხო სახლის, წითელი თეატრისა და ნაძალადევის კლუ-  
ბის დრამატულ კოლექტივებში.

1925 წელს საგარეჯოს სახალხო თეატრის გამგეობას ვ. კობახიძე თეატრის ხელმძღვანელად მიუწვევია. მას თავისი წვლილი შეუტანია საგარეჯოს სახალხო თეატრის რეპერტუარის გამდიდრებასა და დადგომის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. ვანოს განსაკუთრებული სიყვარულითა და მონდომებით განუხორციელებია ქართული ავტორების პიესები, რომელშიაც თვითონაც მიუღია მონაწილეობა.

1928 წლიდან ვ. კობახიძე ჩაბმულა საქართველოს სახალხო არტისტის პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ქართულ მსახიობთა მოგზაურ დასში, სადაც ვანოს წამყვანი როლები შეუსრულებია.

მისი მოღვაწეობა შემდგომ წლებშიც უწყვეტი ქრონოლოგიური ჩაკვით დაკავშირებია ჩვენი თეატრალური სამყაროს ძლიერ მაჯისცემას. იგი თეატრით სუნთქავდა, სცენით არსებობდა და ახალ-ახალ როლებში პოულობდა სიცოცხლეს უშრეტ ძალასა და ენერჯიას.

1929 წლიდან იგი სამრეწველო კოოპერაციის თეატრალურ კოლექტივში გადასულა. 1930-1934 წლებში მუშაობა დაუწყო საქართველოს ფილარმონიაში ესტრადის მსახიობად ძირითადად თავის ძმასთან — ვახო კობელთან ერთად. მონაწილეობდა საქართველოს სახალხო არტისტ ტასო აბაშიძისა და ვ. კობელის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ მოგზაურ დასში. 1935 წელს შესულა კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში და ამავე დროს ვოკალურ განყოფილებაზე დოცენტ ა. მიხელსკაიას კლასში, რომელიც 1938 წელს დაუმთავრებია. საოპერო სტუდიაში მოუშადადებია თანდარუხის პარტია (ოპერა „აბესალომ და ეთერი“, უმღერია ოპერებში: „ევგენი ონეგინი“ და „სევილიელი დალაქი“). მონაწილეობა მიუღია კონსერვატორიის მიერ გამართულ სტუდენტთა კონცერტებში, როგორც ანსამბლში, ასევე სოლისტად.

ბატონი ვანო ამჟამად 90 წლისაა.

## ერმილე ნაკაშიძე

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დამსახურებული აგრონომი ერმილე კაციას ძე ნაკაშიძე გაცული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოსულა სამოღვაწეო ასპარეზზე და, როგორც მრავალი დარგის გამოჩენილმა სპეციალისტმა, დიდი ამაგი დასდო ჩვენს ხალხს. მას პირნათლად აღუსრულებია ის დიდი ვალი, რომელზედაც დიდი ილია წერდა:

დაე, თუნდ მოვევდე, არ მეშინიან.  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ელიან.  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალია.

ერმილე ნაკაშიძე ერთ-ერთი პირველი აგრონომი გახლდათ საქართველოში, რომელსაც სპეციალური აგრონომიული განათლება ჰქონდა მიღებული. მან 1887 წელს პოლონეთში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ახალკურსდამთავრებული ახალგაზრდა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ილია წინამძღვრიშვილს მიუწვევებია წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სამუშაოდ.

ერმილე ნაკაშიძე 1887 წლიდან 1892 წლამდე დიდი მონდომებით გადასცემდა ახალგაზრდებს თავის ცოდნას, უნერგავდა მშობლიური მიწის სიყვარულს. იგი იყო პირველი გამგე და სამეურნეო საგნის მასწავლებელი იმ სკოლისა, რომელსაც სოფლის მეურნეობის მრავალი სპეციალისტი აღუზრდია. სწორედ მისი აქ ყოფნის დროს მომხდარა ამ სასწავლებლის პირველი გამოშვებაც. ეს სკოლა დაუმთავრებია შემდგომში ისეთ ცნობილ სპეციალისტებს, როგორებიც იყვნენ: თედო მეგრელიშვილი, სიმონ ხუნდაძე, გიორგი ნახუცრიშვილი, აპოლონ წულაძე და სხვები.

ამ სკოლის დიდი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა, იმ დროს, როდესაც რუსეთის იმპერიის ყველა სკოლაში რუსული ენა იყო გაბატონებული.

ერ. ნაკაშიძის მოღვაწეობის პერიოდში წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში დიდი მუშაობა იყო გაჩა-

ღებული სკოლის სასწავლო მეთოდური საკითხების სრულყოფისა და მატერიალური ბაზის შესაქმნელად. სკოლის ზედამხედველს სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისა, სახელოსნოსა და ლაბორატორიების მოწყობისა და სასწავლო პროგრამების გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა.

ერ. ნაკაშიძე ყოველთვის მოწიწებით იხსენიებდა ილია წინამძღვრიშვილს და დიდ შეფასებას აძლევდა მის მიერ დაარსებულ სკოლას.

ილია წინამძღვრიშვილიც ასევე დიდად კმაყოფილი ყოფილა ერმილე ნაკაშიძისა. იმ წლებში მევენახეობას თავს დასტყდომია დიდი უბედურება — ფილოქსერა. ვაზის ეს მავნებელი უმოწყალოდ აწანაგებდა ზვრებს. საჭირო. გამხდარა გადამჭრელი ზომების მიღება. ამ კეთილშობილურ საქმეში, როგორც სპეციალისტ აგრონომს, დიდი წვლილი შეუტანია ერმილე ნაკაშიძეს. იგი კავკასიის ფილოქსერის კომიტეტში მიუწვევიათ ექსპერტად, სადაც ოთხი წელი უმუშავია. ამ ხანებში ფეხით შემოუვლია იმერეთის სოფლები. გარდა ფილოქსერის კვლევისა, ერ. ნაკაშიძეს სასარგებლო რჩევა-დარიგება მიუცია გლეხებისათვის. უსწავლებია ვაზის საშიში დაავადების — ნაცრისა და ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, ერმილე ნაკაშიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გურიისა, სამეგრელოში, აჭარასა თუ აფხაზეთში, მევენახეობა-მელვინეობის განვითარების საქმეს. ამ საკითხზე მას მრავალი სტატია და ცალკე წიგნი აქვს გამოქვეყნებული.

მართალია, ერ. ნაკაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ვენახების ფილოქსერისაგან ხსნის საქმეში, მაგრამ მის სახელთან ძირითადად მაინც საქართველოში მეჩაიეობის ჩასახვა და განვითარებაა დაკავშირებული. იგი ამ საქმეს ერთ-ერთი ინიციატორი და ქომაგი ყოფილა. ერ. ნაკაშიძეს 1896 წლიდან 1905 წლამდე აგრონომ ინსტრუქტორად უმუშავია. ჩაისათვის არჩევა და გამოსადეგ ადგილებს. თვალყურს ადევნებდა საცდელი პლანტაციების გაშენებას, ამ კეთილშობილურ საქმესაც იგი მთელი ვატაცებით შესდგომია.

აგრონომ ნაკაშიძეს შეუსწავლია გურიის, სამეგრელოსა და სამურზაყანოს ის ადგილები, სადაც ჩაის გაშენებისათვის საჭირო ნიადაგი და კლიმატური პირობები იყო. პირადად მას საცდელი



პლანტაციები 23 ადგილას გაუშენებია. არ ერინდებოდა შავ სამუშაოს, საკუთარი ხელით აკეთებდა ყველაფერს: ბარავდა, თესავდა, რგავდა, ხოლო როცა ჩაის ბუჩქები 3-4 წლის ასაკს მიღწევდა, მოსახლეობას ასწავლიდა ჩაის ფოთლის შინაურული წესით დამუშავებას, აგრეთვე პლანტაციების შემდგომ მოვლა-პატრონობას. იგი გრძნობდა ჩაის დიდ მომავალს, რომ ეს კულტურა მოსახლეობისათვის ძირითად შემოსავალ წყაროდ გადაიქცეოდა. ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო საქართველოში ჩაის პლანტაციების განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ერმილე ნაკაშიძის მეუღლე ივლიტა ფარსადანის ასული ასათიანი-ნაკაშიძისა დამსახურებული პედაგოგი, ჟურნალ „ჩვეჯილისა“ და „ნაკადულის“ აქტიური თანამშრომელი იყო. მას ახლო მეგობრობა ჰქონდა ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, მწერალსა და ჟურნალისტთან ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან, რომლის ინიციატივით დაარსებულა ქალთა საზოგადოება „განათლება“. ივლიტა დიდი ინტერესით მუშაობდა ამ საზოგადოებაში. იგი დირექტორი ყოფილა ამ საზოგადოების მიერ დაარსებული ქალთა სკოლისა, სედაც მასწავლებლობდნენ ცნობილი მოღვაწეები და პედაგოგები: ზაქარია ფალიაშვილი, ნიკოლოზ კავსაძე, ივანე გომელაური, თამარ შარაშიძე, ანტონინა ფაღავა და სხვები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივლიტას უფროსი და, ლუბა, მეუღლე ყოფილა ფრანგი აგრონომის ემილ ჟანისა, რომელსაც დაუტოვებია თავისი სამშობლო, ჩამოსულა საქართველოში და ქორწინების შემდეგ სამუდამოდ დასახლებულა სიმამრის მამულში, სოფელ დარჩში (ლეჩხუმში), ემილ ჟანი სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტი ყოფილა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იმდროინდელ ქართველ აგრონომთა და მშრომელ მოსახლეობას შორის. მას ახლო მეგობრობა ჰქონია ერმილე ნაკაშიძესთან და ამ მეგობრობის შედეგად მომხდარა ერმილესა და ივლიტას გაცნობა-დაახლოებაც.

ერ. ნაკაშიძე გურიის მკვიდრი შვილი იყო. სოფელ მაკვეთში დაბადებულა და ცხოვრების დიდი ნაწილიც იქ გაუტარებია. მას სოფელში პირველს შემოუტანია ბევრი ახალი კულტურული მცენარე, რომელიც შემდეგ მთელს გურიაში გავრცელებულა. ამიტომაც დღესაც წმინდად ინახავს თურმე სოფელი ერმილე ნაკაშიძის

ხსოვნას. ახლაც შემორჩენილი ყოფილა ' მისი ხელით დარგულ' ხეები.

ხანშიშესულები სიამოვნებით იგონებენ ზაფხულის იმ დღეებს, როცა ერმილე ნაკაშიძე თავისი ოჯახით ჩადიოდა ნაკვეთში. მათი ჩასვლით სოფელი გამოცოცხლდებოდა, სწავლაში ჩამორჩენილი ბავშვები ერმილეს ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. ბავშვებს დილიდანვე ჩაუჯდებოდა და ამეცადინებდა ივლიტა. საღამომობით ერმილეს შვილები აწყობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო გასართობებს: ლიტერატურული გმირების გასამართლებას, პატარ-პატარა წარმოდგენებს. ყოველ კვირას სააგარაკო სახლის დიდ ეზოში (ნაკაშიძის გორაზე) იკრიბებოდა დიდძალი საზოგადოება. აქ ეწყობოდა ხალხური შემოქმედების კონცერტები. მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობდნენ ახლო მეზობლები, ძმები ერქომამიშვილები. ამ გართობებს ესწრებოდნენ არა მარტო მაკვეთის, არამედ ახლომახლო სოფლის მცხოვრებლებიც.

თვით ერმილესთან კი თითქმის ყოველ საღამოს თავს იყრიდნენ გლეხები. იმართებოდა ჭაინტერესო საუბრები პოლიტიკაზე, სართაშორისო მდგომარეობაზე, უფრო მეტად კი სასაუბრო თემად სოფლის მეურნეობის საკითხები ჰქონდათ, ერმილეს დამოკიდებულება გლეხებისადმი უადრესად თბილი და მეგობრული ყოფილა...

ნაკაშიძეს დაწყებითი განათლება ლიხაურის სასოფლო სკოლაში მიუღია, შემდეგ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში გადასულა, ხოლო 1879 წლიდან სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გაუგრძელებია. მასთან, ჯერ ოზურგეთში, ხოლო შემდეგ ქუთაისში უსწავლია ექვთიმე თაყაიშვილს, შემდგომში სახელოვან მეცნიერსა და აკადემიკოსს. ექვთიმე ერმილეს მკვიდრი მამიდა-შვილი გახლდათ. ქუთაისის გიმნაზიაში ერმილესთან ერთად უსწავლია აგრეთვე ნიკო მარს, ისინი განუყრელი მეგობრები ყოფილან.

ერ. ნაკაშიძეს ნიკო მარის შესახებ დაუტოვებია მოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მოგონება: „ნ. ი. მარს შეეხვდი პირადად 1879 წ. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელშიც მე-4 კლასში შევედი. იგი მაშინ იმყოფებოდა ამავე კლასის პანსიონში. ნიკო იყო შავგვრემანი ბიჭუნა, შავთმიანი, ჯმუხი, ჩუმი, გამუდმებით კითხულობდა, მაგრამ გაკვეთილებს არასოდეს ამზადებდა, თუმცა ყოველთვის ბრწყინვალედ პასუხობდა. იგი დაინტერე-

სებული იყო ფილოსოფიითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებით. პანსიონში მეგობრობდა ვანო გურიელთან და ნიკოლოზ გოგიტიძესთან. ხოლო პანსიონის გარეთ — ჩემთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, ყარამან ჩიქოვანთან, იასონ ლორთქიფანიძესა და ილია ნაკაშიძესთან. იკრიბებოდნენ ყოველ კვირას, კითხულობდნენ რეფერატებს სხვადასხვა თემაზე, უმეტესად საქართველოს ისტორიიდან, ნიკო (ასე უწოდებდნენ მას) ათავსებდა გაზეთებში სტატიებს და აგრეთვე ლექსებს. შესანიშნავია მისი ლექსი — პასუხი აკაკი წერეთელს 1881 წ. 1 მარტის ამბებთან დაკავშირებით, რომელიც თვითმპყრობელური იმპერიალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

... ჩვენ გიმნაზია უნდა დაგვემთავრებია 1883 წელს, მაგრამ ნიკომ არ მოინდომა ჩვენთან დამთავრება იმ მოტივით, რომ იგი ჯერ მზად არ იყო სიმწიფის ატესტატისათვის. მას ბერძნულში 4 ჰქონდა. დაანება თავი გიმნაზიას და თბილისში წავიდა ჩვენ საერთო ამხანაგთან ყარამან ჩიქოვანთან, რომელიც მე-7 კლასიდან თბილისში გადავიდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ნიკომ თბილისში ჩასვლისთანავე ვერ იპოვა ჩიქოვანის ბინა და მას რამდენიმე ღამის გათევა ალექსანდროვის ბაღში მოუხდა. გიმნაზიის დირექტორი სტოიანოვი და მთელი პედაგოგიური კოლექტივი ძალიან აფასებდა ნიკოს ბრწყინვალე ნიჭს და პატიობდნენ ყველა თინებს. ამჯერად დირექტორმა სტოიანოვმა მოავლინა თბილისში ფრანგული ენის მასწავლებელი მარის მოსაძებნად და გიმნაზიაში დასაბრუნებლად. ნიკო მეორე წელსაც დარჩა და ბრწყინვალედ დაამთავრა 1884 წელს ოქროს მედლით გიმნაზია.

ნიკო განაგრძობდა მეგობრობას ილიკო ნაკაშიძესთან და ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელთანაც გაემგზავრა პეტერბურგში. მათ აირჩიეს საერთო ნაპეციალობა, მე კი სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში შევედი და ჩვენი გზები დაშორდნენ ერთმანეთს“.

ერ. ნაკაშიძეს 1863 წელს დაუმთავრებია გიმნაზია და მიუღია სიმწიფის ატესტატი. დიდად დაინტერესებული ყოფილა უმაღლესი განათლების მიღებით. ამ დროს სახბანკს ხუთი სტიპენდია დაუნიშნავს იმათთვის, ვინც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძობდა სწავლას. აქედან ერთი სტიპენდია ერ. ნაკაშიძეს ხვდა წილად, მაშინვე გამგზავრებულა პოლონეთში და ნოვო-ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შესულა. აღ-

ნაშენი ხუთი სტიპენდიანტიდან მხოლოდ ერთილე ნაკაშიძეს გაუმართლბოა.

მის მიერ ამ დარგის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მას თურმე ბავშვობიდანვე აინტერესებდა აგრონომობა. იგი ჯერ კიდევ 10-12 წლის ყოფილა, როცა თავის სოფელში სანერგე მოუწყვია.

იმ დროს ნოვოალექსანდრიის ინსტიტუტში ერ. ნაკაშიძე არაპც თუ საქართველოდან, არამედ მთელ ამიერკავკასიიდან ერთადერთი სტუდენტი ყოფილა და აკი სასურველი ნაყოფიც გამოიღო მისმა მოწოდებამ, სწავლამ და შემდგომ სამშობლოში მისმა ნაყოფიერმა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ.

ერ. ნაკაშიძის პროგრესული მსოფლმხედველობის ნათელსაყოფად მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება. პირველ რიგში აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი პროექტი სამიწათმოქმედო კოლონიის, ანუ კოოპერაციის დაარსების შესახებ, რომლისათვისაც გაზეთ „ივერიას“ სპეციალური წერილი მიუძღვნია.

ერ. ნაკაშიძე აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა საქველმოქმედო საზოგადოების მუშაობაში. არ ზოგავდა საკუთარ სახსრებს, ცოდნასა და გამოცდილებას საქმის წინსვლისათვის. იგი გულისხმიერებას იჩენდა ჩაგრული გლეხებისადმი. ცდილობდა მათში სწავლა-განათლების შეტანასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ასევე ერ. ნაკაშიძის სახელთან ყოფილა დაკავშირებული მშობლიურ სოფელ მაკვანეთში პირველი სასწავლებლის გახსნა. მას თავის მამულიდან გამოუყვია მიწის ნაკვეთი და სოფლის სკოლის მოსაწყობად უფასოდ გადაუცია საზოგადოებისათვის. იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა სკოლისადმი და აკი სკოლის მზრუნველაც აურჩევით თანასოფლელებს. სკოლას სოფელი ინახავდა. ამიტომაც ერმილე ხშირად თავისი სასხსრებიდან უხდიდა ჯამაგირს მასწავლებლებს, თვითონ კი უფასოდ ასწავლიდა. სკოლის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ აძლევდა წიგნებს, უწერდა ჟურნალ-გაზეთებს და სხვა.

როგორც 1895 წლის № 27 გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა: „ერ. ნაკაშიძის მეთაურობით სკოლასთან მოეწყო ბოსტანი და საფუტკრე“. ასევე დიდი მუშაობა გაუწევია ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად. მას პირველს წამოუყე-

ნებია ამ სკოლის დაარსების იდეა. შეუმუშავებია პროექტი, შეუდგენია სასწავლო გეგმა და პროგრამები.

სკოლაში შემდეგი საგნები უნდა ესწავლათ: მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, ბალოსნობა, მევენახეობა, მეღვინეობა, საქონლის მოვლა-მოშენება, მემინდვრეობა და სხვ. სკოლასთან უნდა შექმნილიყო სასწავლო მეურნეობა მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლებისათვის.

აღნიშნული პროგრამისა და სასწავლო გეგმის შედგენის დროს ერ. ნაკაშიძეს გამოუყენებია წინამძღვრიანთჯარისა და სხვა სასაფლო-სამეურნეო სკოლების გამოცდილება. მის მიერ შედგენილი პროექტითა და აქტიური დახმარებით დაუწყო მუშაობა ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს.

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას 1892 წლის 8 თებერვალს ერმილე ნაკაშიძე თავის წევრად აურჩევია.

ერ. ნაკაშიძე ყოფილა აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა მრავალი სასწავლო და სამეურნეო ორგანიზაციის საბჭოს წევრი. აღნიშნულ საზოგადოებასა და ორგანიზაციებში უბრალო წევრის მოვალეობას კი არ ასრულებდა, არამედ მათ საქმიანობაში ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა.

ერ. ნაკაშიძეს პირადი ინიციატივით ოზურგეთში დაუარსებია გურიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც თვითონ დაუდგა თავმჯდომარედ.

ამ საზოგადოებას თავის დროზე საკმაოდ ნაყოფიერი ჰუმანობა ჩაუტარებია გურიაში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ერ. ნაკაშიძე მოწმე ყოფილა 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობისა გურიაში. თუმცა ამ მოძრაობაში იგი უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მშრომელთა ინტერესების დამცველთა რიგში კი გამოდიოდა.

ერმილე ნაკაშიძე გამოირჩეოდა არა მარტო იმით, რომ იგი იყო დიდი სპეციალისტი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, არამედ იმითაც, რომ მან შექმნა საუკეთესო ოჯახი. შვილებისათვის მიუცია კარგი აღზრდა და უმაღლესი სპეციალური განათლება.

ერმილეს უფროს ქალიშვილს, რუსუდანს, დაუმთავრებია უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და მუშაობა დაუწყო გეოქიმიისაში.

იგი მეუღლე გახლდათ ცნობილი გეოლოგიის პროფესორ ალექსანდრე ჯანელიძისა. ერმილეს ვაჟს გერმანიაში ავიაკონსტრუქტორის სპეციალობით დაუმთავრებია პოლიტექნიკური ინსტიტუტი. საქართველოში დაბრუნებისთანავე დაუწყია მუშაობა უნივერსიტეტში, მაგრამ, სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაცვლილა. მას დარჩენია ქალიშვილი, რომელსაც სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია და ამჟამად წარმატებით მუშაობს კერამიკაში.

ერ. ნაკაშიძის ქალიშვილი ლილი ნაკაშიძე-ყუბანეიშვილისა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, თვალსაჩინო ფსიქიატრი, მრავალი მეცნიერული შრომის ავტორი, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი მუშაკი. ლილის ქალიშვილები მერა და მარია ყუბანეიშვილებიც დიდ წარმატებას აღწევენ მეცნიერებაში. თინათინი — გამოჩენილი ბიბლიოთეკათმცოდნე, საქართველოს სსრ წიგნის პალატის მთავარი ბიბლიოგრაფი გახლავთ. ლუბა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი, ნიადაგმცოდნე.

ერ. ნაკაშიძის ახლო ნათესავი ყოფილა პეტრე ნაკაშიძე, სამოციანელთა ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი. ცნობილია, რომ დიდ ილიას თავისი პოემები: „დიმიტრი თავდადებული“ და „ქართველის დედა“ პეტრე ნაკაშიძისათვის მიუძღვნია.

პეტრეს შვილები ილია, ნიკოლოზი, ივანე, ალექსანდრე, ლევანი ერმილე ნაკაშიძეს ლულიერ ძმად თვლიდნენ. მათ ერთმანეთთან ყოველთვის კავშირი ჰქონიათ.

ილია ნაკაშიძე და მისი მეუღლე ნინო ნაკაშიძე, ცნობილი არიან როგორც გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, მწერლები და პუბლიცისტები, ლევ ტოლსტოის ახლო მეგობრები. მათ თბილი მოგონებები აქვთ დატოვებული ერმილესა და მის ოჯახზე.

ერმილეს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ახლო ნათესავები მეგობრები, მოწინავე ინტელიგენცია; მეცნიერები, მწერლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები... აი ისინიც ილია და ნინო ნაკაშიძეები, ძმები ექვთიმე და ვარლამ თაყაიშვილები, პროფ. გრიგოლ წერეთელი (ივლიტას მკვიდრი ბიძაშვილი), გიორგი ახვლედიანი, აგრონომები: პეტრე წულუკიძე, ევგენი ვაწაძე, გიორგი ჯაფარიძე, მიხეილ ქარცივაძე, სტეფანე ტიმოფეევი, პროფესორი

ადოლფ როლოვი და სხვა მრავალი იმ დროს გამოჩენილი ადამიანი. იკრიბებოდნენ საზოგადო საქმეებს არჩევდნენ და ბევრ სასარგებლო საქმესაც წყვეტდნენ, განსაკუთრებით იმ საკითხებს, სოფლის მეურნეობაში სიახლის შეტანას რომ ეხებოდა.

ერ. ნაკაშიძეს ბევრი ახალგაზრდისათვის შეუწყვია ხელი აგრონომიული განათლების მიღებაში. ისინი სოფლიდან თბილისში ჩამოჰყავდა და გზავნიდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში. მათ შორის გამოირჩეოდნენ სიო ბაბილოძე, ივანე ვაშალომიძე, ალექსანდრე წივწივაძე... ესენი შემდგომში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გახდნენ და მათი ხელმძღვანელობით ოზურგეთის მაზრაში მრავალ ადგილზე ჩაისახა და გაშენდა ციტრუსების პლანტაციები.

აგრონომ ერმილე ნაკაშიძეს მრავალი ნაშრომი აქვს გამოცემული სოფლის მეურნეობაზე, ამ დარგის მრავალ საკითხზე. მათი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ დღესაც დიდი ინტერესით იყენებენ როგორც სოფლის მეურნეობის მუშაკები, ისე საშუალო სპეციალური სასწავლებლები და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები.

ქართული ესტრადა ქართული თეატრის წიაღში წარმოიშვა. ესტრადის ფუძემდებლები იყვნენ თეატრის დიდი კორაფეები: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე — აი, ვისგანაც აღმოცენდა ქართული ესტრადა.

ესტრადა და თეატრი ხელიხელჩაკიდებული მოდიოდნენ. ესტრადის თვალსაჩინო ძალა ამავე დროს თეატრში მთავარ ფიგურას წარმოადგენდა. შემდგომში მოვიდნენ ესტრადაზე ქართული თეატრის აღიარებული მოღვაწენი — აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ვასო გოძიაშვილი... მათ დანერგეს ესტრადაზე მხატვრული კითხვის კულტურა.

ვისაც კი მოუხმენია სცენიდან ვაჟას ლექსების კითხვა ა. ვასაძისა და უ. ჩხეიძის მიერ, დიდხანს ვერ დაივიწყებენ განცდილ სიამოვნებას.

ქართული ესტრადა დიდად არის დავალებული რუსთაველის თეატრის მსახიობის ემანუილ აფხაძისაგან, რიპონის „აჯაბსან-დალმა“ ბიძგი მისცა ესტრადაზე სატირა-იუმორის განვითარებას. თეატრადან მოვიდნენ ოლღა დოლიძე, გიორგი სალარიძე, სტიფანე ჯაფარიძე, ალექსანდრე გომელაური, ნიკო ილურიძე...

ამევე შვიდროდ არის დაკავშირებული ესტრადასთან ალექსანდრე გიორგობიანისა და გრიგოლ ჩიქვილაძის სახელები. „ისინი 1937 წელს მოვიდნენ, როგორც მსახიობები კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან. მათ სცენაზე მოიტანეს „სიახლე და სიცოცხლე, სხარტი სახუმარო, თანამედროვეობასთან შეხამებული თემები, რითაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს ფართო აუდიტორიის წინაშე. ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას საპასუხისმგებლო კონცერტებში. რეპერტუარს თვითონვე ქმნიდნენ, რითაც გაითქვეს სახელი, როგორც ავტორ-იუმორისტებმა“. — წერდა ფილარმონიის მაშინდელი დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლადო კავსაძე.

თვითმოქმედი კომპოზიტორი, ფანდურზე დაკვრის შესანიშნავი ოსტატი და იუმორისტული ავტორი ალექსანდრე გიორგობიანი ბავშვობაშივე ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას თავისი მამის თენგიზისა და ნათლიას — ისიკო დვალის ხელმძღვანელობით.



ისინი ცნობილი იყვნენ აშბროლაურის რაიონში, როგორც რაჭული სიმღერების უბადლო შემსრულებლები.

გიორგობიანის ოჯახი 1930 წელს გადმოდის თბილისში საცხოვრებლად და აქედანვე იწყება ჭაბუკი ალექსანდრეს ლტოლვა ხალხური სიმღერისადმი. 15 წლისა მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით არსებულ მომღერალთა გუნდის სოლისტი ხდება და მაშინვე იქცევა ყურადღებას, როგორც საუკეთესო ხმა პატრონი.

1938 წელს, დაამთავრა თუ არა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, გულმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ თეატრალურ სტუდიაში გაუწია. სტუდია ოთხწლიანი იყო. აქ ასწავლიდნენ სახელოვანი პედაგოგები ვასო ყუშიტაშვილი (სარეჟისორო ხელოვნება), დიდიმ მირცხულავა (მუსიკა და ღირიყორობა). აქ შან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებისაგან — ნიკო ილურიძისა და ალექსანდრე გომელაურისაგან ისე კარგად შეისწავლა ფანდურზე დაკვრა, რომ სტუდიის დამთავრებისთანავე საკუთარი სიმღერებისაგან შეადგინა რეპერტუარი და გრიგოლ ჩიქვილაძესთან ერთად დაიწყო კონცერტებზე გამოსვლა. პროგრამაში ჰქონდა შაირები საკუთარი მუსიკით და ტექსტით: „ქუთაისო“, „გოგოვ, გოგოვ, გულქანა“, „შაბათი რომ დაღამდება“, „ჭერი. ბიჭო“, „ბულალტრებისა და მოანგარიშებებს სიყვარული“, „აგანგალა, განგალა“, „ნიკას ნატვრა“ და სხვ.

ფილარმონიამ ორივე მსახიობებად მიიწვია, პარალელურად ისინი მომღერალთა გუნდში, რომელიც ქართლ-კახურ სიმღერებს ასრულებდა, მარო თარხნიშვილმა სოლისტებად ჩარიცხა. ალექსანდრე გიორგობიანი ამ გუნდში იყო სოლისტი — მომღერალიც, სოლისტი — მოცეკვავეც და ქორეოგრაფიც. დგამდა ცეკვებს და დადიოდა გასტროლებზე, მოვლილი აქვს აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო. იყო საგასტროლო რუსეთის სხვადასხვა ქალაქში; ყველგან დიდ წარმატებას იმსახურებდა.

არ ყოფილა ოლიმპიადა და საპასუხისმგებლო კონცერტი, სადაც ალ. გიორგობიანს აღიარება არ რეგებოდა. მას ჰყავდა თავისი მომღერალთა გუნდიც, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოსთან არსებული. ამ გუნდით სამოგზაუროდ დადიოდა კახეთში. მაშინ, როცა ომი გამოცხადდა, ალექსანდრე მაშინვე გაიწვიეს ჯარში. მართალია, ფრონტზე მიდიოდა, მაგრამ თავისი საყვარელი ფანდურიც თან გაიყოლა. ვინაიდან ალექსანდრე იყო სახელმწი-

ფო უნივერსიტეტის დაუწერებელი კურსის სტუდენტი, ჩარიცხეს ბაქოს საარტილერიო სასწავლებელში, აქ მან ჩამოაყალიბა მოძღვრალთა გუნდი (კურსანტებისაგან) და გამოდიოდნენ კონცერტებით როგორც სასწავლებელში, ისე ქალაქშიც. 1942 წლის ივნისში დაამთავრა სასწავლებელი, შიილო ოფიცრის წოდება და წავიდა პირდაპირ ბრძოლის ველზე. ფრონტზე ბევრი თავგადასავლები აქვს გადახდილი, მაგრამ მე ყველაზე შეტად დამაინტერესა ფანდურის ბედმა, ამიტომ გთხოვთ მოუსმინოთ თვითონ ალექსანდრეს მონათხრობს.

„მე ჩემს ფანდურს, აირწინაღობას და ავტომატთან ერთად ვატარებდი ზურგზე აკიდებული. ხანდახან იყო მომენტი — ბრძოლა შეწყდებოდა, ცოტას შევისვენებდით, თუ რამე გეჭონდა, დაენაცურდებოდით, და წყნარად, ზოგჯერ შრისხანედ, ავაქლერებდი ჩემს ფანდურს — ჭარისკაცები სულგანაბულნი მისმენდნენ, იუღინთებოდნენ სამშობლოს სიყვარულით და მტრის სიძულვილით (სხვათა შორის ჩემს ფანდურს აგიტატორსაც ეძახდნენ). ვმღეროდი პატრიოტულ საგმირო სიმღერებს და ჰიტლერს ვამკობდი როგორც შეეფერებოდა. ასე მაგალითად; —

კავკასიას მოადეჭი,  
წინ მოიწევ როგორც მგელი,  
თავს შთა დაგქუხს, ტყვია გაწვიმს,  
სულს ამოგხდით როგორც გველი,  
ვაი შენს პატრონს ტრაბახით  
მთელი მსოფლიო შესძერი.

გასართობებსაც ვმღეროდი;

ქერჩის სრუტე გადავლახეთ,  
ბრძოლები გადაგვხდა ცხელი,  
ჩვენ პლენები მოვიყვანეთ,  
სტარშინამ უკუღო ცხენი.

რუსულ შაირებსაც ვმღეროდი, ასე მაგალითად: ეი, ტულა-ტულა-ტულა ნემცა ნაზად პოვერნულა და სხვა მრავალი. ჩემთან იბრძოდნენ, თბილისელი არამ არუთინოვი და სამტრედიელი ვალოლა გეგეშიძე, ისინი რუს ჭარისკაცებს უთარგმნიდნენ ჩემს

სიმღერებს. ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, ფრონტზე ფათერაკს რა გამოლევს, მაგრამ შე მინდა გულის ტკივილით მოვიგონო, თუ როგორ დაიღუპა ჩემი ფანდური ბრძოლის ველზე, როგორც მებრძოლი ჯარისკაცი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

1924 წელს საბჭოთა ჯარები დამარცხდნენ და დატოვეს ქერჩი, ისიც ცნობილია, რომ აქ უმეტესად დაიღუპნენ ქართველები, 1944 წელს კონსტანტინე ლესელიძის არმიამ გაანთავისუფლა და დაიბრუნა ქალაქი ქერჩი. ამ არმიაში როგორც კომბატი ვიბრძოდი მეც და ჩემი ფანდურიც. ქერჩის სრუტიდან გადაგვსხეს დესანტად და შევეუტიეთ ვოიკოვის ქარხანაში — გამაგრებულ ნემცებს, რომელთაც ეკავათ ხელსაყრელი პოზიცია და დიდ ზიანს გვაყენებდნენ. ამ ბრძოლის დროს ბევრი დაიჭრა, მოგვიკლეს სერჟანტი კუმანეიქინი, მეც ამ გაცხარებულ ბრძოლის დროს თქმის არეში ვიგრძენი დარტყმა და მტვრევის ხმა. ფანდური ზურგზე მეკიდა. მარჯვენა მხარეს ცარიელ პისტოლეტთან ერთად, ხელში კი მეჭირა ავტომატი და მივიწვიედი წინ. ტყვია მოხვედროდა ფანდურს და დაემსხვრია. ტყვია შეეჩერებინა პისტოლეტის კორპუსს. ფანდური გადასაგდები შეიქნა. მე გადამარჩინა, თვითონ კი დაიღუპა. ბიჭებმა ფანდურის გადაგდება არ დამანებეს და თქვეს, რომ დაევსაფლავოთ ისე, როგორც მებრძოლი ჯარისკაციო, და მართლაც ასე მოვიქეცი, ქერჩში, ვოიკოვის ქარხნის ძირში ძმათა სასაფლაოზე შევახვიეთ ბრეხენტის ნაჭერში და სალიუტის თანხლებით დაევსაფლავეთ ჩვენი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი საყვარელი ფანდური. სასაფლაოზე წარწერის გაკეთება გვინდოდა და ზედ დაგვეწერა, რომ აქ განსვენებს ქართული სიმღერათქო, მაგრამ გადავიფიქრეთ. არა! ქართული სიმღერა არასდროს არ მოკვდება, ქართული სიმღერა უკვდავია და მუდამ იცოცხლებს ისე როგორც იცოცხლებს ქართველი ერი“. აქ ამთავრებს თხრობას ბატონი ალექსანდრე. მისმა პარტნიორმა გრიგოლ ჩიქვილაძემ მარჯვენა ხელი დაკარგა ფრონტზე, თვითონ ორჯერ დაიჭრა. უნგრეთში კონტუზია მიიღო და მძიმე მდგომარეობაში მყოფი არტილერიის კაპიტნის ჩინით დაბრუნდა თბილისში.

ცოტა რომ გამოკეთდა, ალექსანდრემ მუშაობა სამეურნეო დარგით დაიწყო, რადგან ხელოვნებისათვის კარგა ხანს აღარ გამოდგებოდა. გადიოდა დრო და გული მაინც სიმღერისაკენ მიუწევდა. ბოლოს მოიკრიბა ძალ-ღონე და ზურაბ კერვალიძესთან

ერთად მღეროდა (მუსიკა და ტექსტი საკუთარი იყო). მალე კვლავ მიიწვიეს ფილარმონიაში ესტრადის მსახიობად: პარალელურად კი კირილე პაჭკორიასა და დათაშკა კავსაძესთან მომღერალთა გუნდში ირიცხებოდა.

ალ. გიორგობიანმა ფილარმონიაში 1952 წლამდე დაჰყო, შემდეგ მარტო დაიწყო მოღვაწეობა. იგი 50 წელი ემსახურა ხალხური სიმღერებისა და ფანდურზე დაკვრის საქმეს. უყრავდა და მღეროდა როგორც საკუთარ, ისე ქართველი პოეტების ლექსებზე შექმნილ სიმღერებს.

„საქართველო“ (ი. ნონეშვილი), „სადა თქმულა უთბილისობა“ (ბ. ბერიშვილი), „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო“, (ი. გრიშაშვილი), „მირზა გელოვანის ხსოვნა“, (ი. ნონეშვილი), „საქართველო ერთია“ (ევ. ბართაია), „სიმღერა მშვიდობაზე“ (ალ. გიორგობიანი) და სხვ.

დამუშავებული აქვს 60 ქართული სიმღერა, ხოლო რადიოს ფონდში დაცულია მისი 40-მდე სიმღერა, რომელსაც ხშირად რადიოთი გადმოსცემენ. იგი გამოდის ტელევიზიითაც.

ალექსანდრე გიორგობიანს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ხალხურ მეთოდურ ცენტრთან. წერს ლექსებს და თანამშრომლობს „ნიანგის“ რედაქციასთან. არის რესპუბლიკური კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი, გამოვიდა მისი სიმღერების ორი ფირფიტა, რეგისტრირებული. იგი იყო რუსთავის საქალაქო კულტურის სახლის დირექტორი. მისმა ხალასმა ნიჭმა და ოსტატობამ ღირსეული ადგილი დაიკავა ესტრადის მსახიობთა სრულიად საქავშირო კონკურსზე.

მომღერალსა და კომპოზიტორს, კომპოზიტორთა კავშირის წევრს, ალექსანდრე გიორგობიანს 70 წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავაც ნაყოფიერად, ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს მუშაობას. ღვაწლმოსილის შემოქმედებას ნურმც შეჰპარვია სიბერე!

## „წვიმა და იასამანი“

ვერიკო წერეთელი ქართული სიდარბაისლის, სათნოების, სიკეთის, უბრალოებისა და უანგარობის განსახიერება იყო: მის გულთბილ ღიმღში სიწრფელე და ადამიანის სიყვარული ამო-

იყიბებოდა. ნაზ, ნათელ, გრძნობიერ ლექსებს წერდა და თვითონაც თავის შემოქმედებას ჰგავდა — სიკეთითა და სისადავით ბრწყინავდა.

შემთხვევით არ იყო, რომ ვერიკო წერეთლის ხსოვნაა ეურნალ „საქართველოს ქალმა“ მთელი გვერდი მიუძღვნა — თან წაიღო ყველასათვის დაუზოგავი წრფელი ღიმილი, სიმართლის სიყვარული, დიდისა და პატარას წინაშე მოკრძალებულობა, უბრალოება და სისადავე, კულტურა და თავაზიანობა, რომელიც სწავლამ კი არ ჩაუნერგა, არამედ გულში ჰქონდა ჩაქსოვილი სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჭდარი... ალბათ, სწორედ ამის წყალობა იყო რომ მარტო იმათ კი არ ზიბლავდა, ვინც დიდი ხანია იცნობდა, არამედ იმითაც ვისაც თუნდაც მარტო ერთხელ ეხილა თვალთ. ან ვინც თუნდაც ერთხელ დაელაპარაკებოდა, — ვკითხულობთ ეურნალში.

პოეტი სოფლად დაიბადა, ზემო იმერეთის თვალწარმტაც ბუნებას იყო შეზრდილი და თვითონაც სოფლური სიწმინდე და უმწიკვლოება მოსდგამდა.

მინდა, მხარე დიდი მგოსნის,  
თავი შენ განაცვალო  
საქართველოს კრიალოსნის  
ერთი ქარვის მარცვალო.

ასე მიმართავდა თავის გამზრდელ მხარეს, საქართველოს ერთ-ერთ მშვენიერ კუთხეს — იმერეთს. უყვარდა ბუნება, ნეტარებით იგონებდა და ეტრფორდა გამზრდელ სოფელს — ბოსლევს. ბევრი ლექსი დაწერა სოფლის თემაზე: „ყვირილა“, „ციცინათელა“, „ბილიკი“, „სოფლის დილა“, „ჩემო ბოსლევო“, „წვიმა სოფელში“, „შემოდამება სოფელ ანაგაში“ და სხვები...

„მიდიხარ, მიდიხარ და მაინც აქა ხარ, დაუსრულებლო შენ შენ სიცოცხლესავით“, — ეუბნებოდა პოეტი მდინარეს. რა კარგი, რა აზრიანი, რა მოხდენილი ნათქვამია. ლექსთა კრებულში, რომელთა დატოვებაც პოეტმა მოასწრო, გაბნეულია მშვენიერი პოეტური სახეები, შედარებები, მეტაფორები...

... ნიჭთან ერთად ნათელი გონება, ტაქტი და სიღარბისლე ამშვენებდა. გრძნობის ადამნი იყო: თუ რამე აღაფრთოვანებდა, —

მუდამ მოკრძალებული და თავდაპირილი, აღტაცებას ვერ ფარავდა და ბავშვური სიწმინდით ხარობდა.

პოეტ ვერიკო წერეთლის ლექსების პირველი წიგნის ყდაზე ამწვანებული ტოტები და დამსკლარი კვირტებია გამოსახული. წიგნსაც „კვირტების სიცილი“ ჰქვია. ნიჭიერი პოეტი ნუშების, ტყემლების, ატმების თოვლისფრად და ვარდისფრად აყვავებას კვირტების სიცილს უწოდებდა. რა მოხდენილი შედარებაა!

და ვაგლახ, გაზაფხულის, ხალისის, სიცოცხლის მომღერალი, ზემო იმერეთის აქოჩრილი მთების უბეში შობილი, მშვენიერ ბუნებას შეზრდილი და ბუნებისავე მეხოტბე. თვითონაც სწორედ კვირტების სიცილის ყვამს გამოგვეთხოვა.

სიცოცხლე ახლა სწყუროდა, ათასი ფიქრი ჰქონდა გულს ჩასახული და გულსატკენია, რომ წიგნი — „წვიმა და იასამანი“, რომელიც ისე გამოვიდა, ავტორმა თვალთაც ვერ იხილა.

როდესაც სიკვდილს მოვენატრები,  
სულ არ ვინაღვლეთ იმ წამს,  
ბელტად ვიქცევი, მივემატები  
ჩემი სამშობლოს მიწას.

სიკვდილს არ ვინაღვლებ, ჩემი სამშობლოს მიწას მივემატებით!  
დიახ, ასე უყვარდა საქართველო, ასე უყვარდა ხალხი, რომელმაც  
წრფელი ცრემლითა და სიყვარულით დაიტირა ნიჭიერი პოეტი და  
ძვირფასი ადამიანი.

ერთ მის ლექსს „ნატვრა“ ჰქვია. ქალური სინაზით აღბეჭდილი  
ლექსია:

სულ პატარა რამე მინდა,  
სულ პატარა რამე მსურს,  
ყვავილებთან ყოფნა მინდა,  
ბალახებთან დავლევ სულს,

არ მიმტყუნოს ადრე გულმა,  
ეს მალონებს და ეს მსურს,  
.ოცნებამ და სიყვარულმა  
მდიოს ქვეყნის დასასრულს.

ადრე უმტყუნა გულმა, მაგრამ ყვავილებთან ყოფნის ნატვრა კი აუსრულდა: სოფელ ანაგაში. გზისპირას, მთის კალთაზე, ტოტებით შემორჩრდილულ ლამაზ ადგილას განისვენებს ვერიკო წერეთელი, რომელსაც ყველა უყვარდა და რომელიც ყველას უყვარდა, ვინც კი იცნობდა უგულისტკივილოდ ვერ მოიგონებს ნიჭიერ პოეტსა და იშვიათ ადამიანს.

1987 წ. „სოფლის ცხოვრება“ 4/IV

## არასოდეს დაიბინდება

ვის არ აუტაცნია მის ლექსებზე დაწერილი სიმღერები, ვის არ გაუთავისებია ისინი? მართლაც და საყოველთაოდ არის აღიარებული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სატელევიზიო ფესტივალების ლაურეატის, პოეტ-დრამატურგის პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლირიკული პოეზია, მომხიბვლელი და გულში ჩამწვდომი, სპეტაკი და ღრმა, ხალასი აზრებით გამსჭვალული, ქართველი კომპოზიტორებისა და მომღერლების შთაგონების წყარო... მისი ამღერებული ლექსები, შთამბეჭდავად ქადაგებს მამულის სიყვარულს, თბილისის ტრფობას. მთელი სიცოცხლის მანძილზე პოეტის ხატი იყო სამშობლო „მე შენზე ლოცვით ავიდგი ენა, მიწას ვკოცნიდი ხარბად და სხვა ღმერთები არ მყვარებია, სამშობლოს გარდა“.

რევან ლალიძის უკვდავი „სიმღერა თბილისზე“, რომელიც კომპოზიტორმა გრუზინსკის ლექსზე შექმნა, დედაქალაქის პიზნად იქცა. მასში პოეტმა ამაღლებულად შეასხა ხოტბა საყვარელ ქალაქს: „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“.. ასევე დიდი მომხიბვლობით ქლერს პეტრე გრუზინსკის ლექსებზე დაწერილი კომპოზიტორ შოთა მიროლავას „ყვავილებში დამეკარგე“, გიორგი ცაბაძის „მე რა მამღერებს“, ან თუნდაც „სადაც გინდა, იქ ილოცე“.

პეტრე გრუზინსკის ლექსმა „ობელისკმა“, რომლის მუსიკის ავტორია ოთარ თევდორაძე, რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირანს სპეციალური პრემია დაიმსახურა.

პოეტი თავისი საუცხოო პოეზიით ადამიანებს მხნეობას მატებს, ტივილებს უყუჩებს, საუკეთესო განცდებით ავსებს, მისი ცხოვრების ყოველი დღე იყო მღელვარე, შემოქმედებითი წვა, საახლეთა ძიება.

— „პეტრე გრუზინსკის ლექსების გარეშე წარმოუდგენელი მეჩვენა ქართული სიმღერების აღქმა“, — უთქვამს კომპოზიტორ სულხან ცინცაძეს. „ჩემი შემოქმედება ვერ წარმომიდგენია პეტრე გრუზინსკის თანაავტორობის გარეშე, — ამბობდა გიორგი ცაბაძე. — ჩემი ყველა პოპულარული სიმღერა პეტრეს საუკეთესო ლირიკულმა ლექსმა განაპირობა. იგი იყო მშვენიერი მომღერალი მგოსანი, თბილისის კოლორიტული პიროვნება, რომელიც თავისი ლირიკული შემოქმედებით უკვდავია“.

ა. გრუზინსკის კალამს, გარდა ლექსებისა, ბევრი ოპერეტის ლიბრეტო ეკუთვნის, რომელთა მიხედვით შექმნილი სპექტაკლები ამშვენებენ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრს. ესენია: „საყვარელი დისშვილი“, „იცოცხლე, მრავალჯამიერ“, „შურისმძიებელი“, „შავი ურჩხული“ და სხვა.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლების „კავკასიური ცარცის წრისა“ და „ხანუმას“ სასიმღერო ტექსტებიც პ. გრუზინსკის ეკუთვნის, ხოლო მუსიკა კომპოზიტორ გია ყანჩელს.

დღეს იშვიათია ფილმი, სადაც სიმღერები პეტრე გრუზინსკის ტექსტზე არ უღერდეს: „ბაში-აჩუკი“, „აბეზარა“, „მანია წყნეთელი“, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „კეთილი ადამიანები“, „რაჭა, ჩემი სიყვარული“, „მიმინო“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“...

საქართველოში არ ჩატარებულა თითქმის არც ერთი მასობრივი ზეიმი, რომლის სცენარისა და სასიმღერო ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკი არ ყოფილიყოს. ასევე ქართულ ესტრადაზე არ გვეგულება ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, რომელთა რეპერტუარებში პოეტის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს არ ასრულებდნენ.

დიდი დეაწლი მიუძღვის პ. გრუზინსკის „რეროს“, „ორერას“, „ივერიას“ და, საერთოდ, ქართული ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლების პოპულარიზაციის საქმეში.

1976 წელს პეტრე გრუზინსკის გიორგი ცაბაძესთან ერთად მიანიჭეს სატელევიზიო ფესტივალის ლაურეატის წოდება სიმღერისათვის — „სიყვარულის საგალობელი“. ხოლო ორი წლის შემდეგ



გია ყანჩელთან ერთად მეორედ მოიპოვა სატელევიზიო ფესტივალის ლაურეატის დიპლომი კინოსურათ „მიმინოში“ სიმღერის ტექსტისათვის. მას 40-მდე კინოფილმისათვის აქვს შექმნილი სასიმღერო ტექსტი. მის მიერ თარგმნილი პიესები წარმატებით იდგმება რუსთაველის, მარჯანიშვილის, მოზარდ მაყურებელთა, ქუთაისის ლაღო მესხიშვილის თეატრებში.

პეტრე გრუზინსკი ბავშვობიდანვე დაეწაფა ლექსების წერას. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა მისი პირველი ლექსები ჟურნალ „ოქტომბრელსა“ და გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ თამარაშვილის ფსევდონიმით დაიბეჭდა.

როგორც ხელოვანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიწრთო. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (ინგლისური ენის განხრით) სწავლობდა. მესამე კურსის სტუდენტი მშობლიური ენის საფუძვლიანად შესწავლამ გაიტაცა და ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე გადავიდა. ამ პერიოდში უნივერსიტეტის დრამატურგ ღასს სათავეში ედგა საქართველოს სახალხო არტისტი პიერ კობახიძე.

სტუდენტთა თეატრის სცენაზე პეტრე გრუზინსკის პირველი როლი იყო სატო „გენერალ კონსულში“, რომელსაც შემდეგ თანმიმდევრულად მოჰყვა მთელი რიგი როლები სპექტაკლებში „პირისპირ“, „ცხვრის წყარო“, „იმედის დაღუპვა“ და სხვ. რომლების კარგად შესრულების გარდა სტუდენტი — სცენისმოყვარე განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა რეჟისურისაკენ. ამიტომ იყო, რომ დრამწერის ხელმძღვანელმა პიერ კობახიძემ იგი რეჟისორის თანაშემწედ დანიშნა და ხშირად დადგმებსაც ანდობდა.

თეატრალურმა ხელოვნებამ პეტრე გრუზინსკი იმდენად გაიტაცა, რომ უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტმა გადაწყვიტა სწავლის პარალელურად თეატრშიაც ემუშავა. ამ გადაწყვეტილებით მივიდა იგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და ითხოვს უფასოდ, შტატგარეშე დაუშვან სამუშაოდ. მას თანამშრომელთა აღრიცხვის ჟურნალი ჩააბარეს და დაავალეს ყოველდღიურად აღენიშნა გამოცხადებულნი თუ დაგვიანებულნი. იმხანად შკაცრი სასჯელი იყო დაწესებული დაგვიანება-გაცდენისათვის. მოკრძალებულ ახალგაზრდას ამგვარი „მისიის“ შესრულება უჭირდა. მალე ხელმძღვანელებმა ტექნიკურ რეჟისორად გადაიყვანეს. რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა კი დიუმას „მარგარიტა გოტიეს“

დადგმაში მიაღებინა მონაწილეობა. მასთან ერთად დაიწყო პიესის დამუშავება და მის ასისტენტად დანიშვნა. პეტრე მუდამ დიდი სიყვარულით, ღრმა პატივისცემით იგონებდა შესანიშნავ მოქალაქე-სა და ღვაწლმოსილ რეჟისორს „სიკვდილამდე მის მეგობრად დავ-რჩი და არასოდეს არ დამავიწყდება მასთან მუშაობა და მეგობრო-ბა წლების მანძილზე, რომელმაც ჩემში ღრმა კვალი დატოვა. ყუ-შიტაშვილთან მუშაობა ჩემთვის მთელი აკადემია იყო“.

პ. გრუზინსკიმ, მარჯანიშვილის თეატრის პარალელურად უნი-ვერსიტეტში დამოუკიდებელი დადგმებზე დაიწყო მუშაობა. მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი იყო სტუდენტთა სცენაზე, გან-ხორციელებული (როგორც ქართულ, ისე რუსულ დასში). მენეჯე-ნისა და ვებერის პიესა „ჩემი მეგობარი“, პიესაც თვითონვე გად-მოთარგმნა. ამას მოჰყვა ლერმონტოვის „დემონის“ დადგმა, რო-მელსაც დიდი წარმატება ხვდა. ყოველი სპექტაკლი ანშლავითა და ოვაციებით მიდიოდა. დაიდგა მრავალჯერ და დარბაზი მუდამ გა-ქედილი იყო მაყურებლით. პეტრემ სპექტაკლს შესანიშნავი რეჟი-სორული გადაწყვეტა მოუხანა და გაიმარჯვა კიდევ.

ამის შემდეგ პ. გრუზინსკის ხელმძღვანელობითა და რეჟისორო-ბით წარმოადგინეს პუშკინის „ქვის სტუმარი“.

სამამულო ომის პერიოდში მისი თეატრალური დასის წევრებმა აგიტბრიგადების სახით საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნ-ჭული შემოიარეს. თავადაც სამხედრო ჰოსპიტლების ხშირი სტუ-მარი იყო. ჭაბუკი პოეტი დაჭრილებს უმსუბუქებდა ტკივილებს, აღანთებდა მათ იმედით და სიყვარულით. პრესაში კი რუბრიკით „ხიშტი და კალამი“ ქვეყნდებოდა მისი პატრიოტული, რწმენით გამსჭვალული ლექსები.

სასცენო საქმიანობაში გათვითცნობიერებული ახალგაზრდა პეტრე გრუზინსკი ხაშურის ახლად ჩამოყალიბებულ თეატრში მთავარი რეჟისორად გაიგზავნა, რასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი. აქ ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ კვლავ დაბრუნდა თბილისში და განაგრძო შემოქმედებითი მოღვაწეობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპოზიტორ გეგაძესთან ერთად პ. გრუზინსკიმ დაწერა ოპერა „სიკვდილმისჯილი“, ჩლაიძესა და რეჟისორ ნიკოლაძესთან ერთად კი ოპერეტა — გოგოლის „რევი-ზორის“ მიხედვით.

აღრე დასრულდა პეტრე გრუზინსკის მოღვაწეობა ლიტერატუ-

რულ, თეატრალურ და მუსიკალურ ასპარეზზე, მაგრამ ის შთამბეჭდავი შემოქმედება, რომელიც მან თავის ხალხს, თავის საშობლოს დაუტოვა, არასდროს დაიბინდება, მარად იხშიანებს ყოველი ქართველის გულში.

წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიამ!  
მე შენთან მოვედი, მელოცვა მწამდა;  
ვიცი უჩემოდაც აქ ბევრნი დადიან,  
მაგრამ შენ ვერ ნახავ ჩემსავით დარდიანს.  
წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიამ!  
რა გაოცებული თვლებით მიცქერი?!  
ვიცი არ მელოდი...  
მე მხოლოდ ღვინოს და ვნებას ვუმღერდი  
ვიცი არ მელოდი...  
და მაინც მოვედი, ნაძარცვი, შიშველი  
ჩემთვის არაფერს გთხოვ, მე რაღას მიშველი,  
როსკიპი ქალივით ათასჯერ გაყიდულს  
სულიდან ხორცამდე...  
ბევრჯერ მიტირია, ბევრჯერ მინანია,  
მაგრამ ჩემ ცოდვათა მონანიებაზე  
ფიქრიც გვიანია...  
მეტად გვიანია...  
და მაინც რატომღაც დღეს ლოცვა მწაღია —  
წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიამ...  
მე განწირული ვარ, ლოცვა ვერ მიშველის,  
მე დაღუპული ვარ — შენდობა არ მინდა...  
ვიცი ჩემს შეცდომებს კვლავ გავიმეორებ.  
ისევ რომ დავიწყო სიცოცხლე თავიდან...  
და მაინც რატომღაც დღეს ლოცვა მწაღია —  
წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიამ!...  
მე შენთან მოვედი ნაძარცვი შიშველი...  
ჩემთვის არაფერს გთხოვ, ველარას მიშველი.  
მე იმას გავედრებ — ჩემს სახელს კი არა  
ვინც ჩემთა ტყვიელთა სევდას ეზიარა,  
ჰფარვიდე მას ჩემი ნაღველით დარდიანს  
წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიამ!...

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, ექიმთა დახელოვნების თერაპიის განყოფილების ექიმმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს აქტიურმა წევრმა ცინუკი (ნინო) დავითის ასულმა დადიანმა 1941 წელს დაამთავრა თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა, და, მუხედავად კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელების დიდი სურვილისა, სიმღერის ნიჭით დაჯილდოვებულ გოგონას სამედიცინო ინსტიტუტში მოუხდა შესვლა.

1945 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ც. დადიანმა მუშაობა დაიწყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში თერაპიის განყოფილების ექიმად. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ განშორებია სიმღერას. სიმღერა იყო მისთვის მთელი ცხოვრების თანამგზავრი, ამიტომაც მიანიჭეს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

„მთელი ჩემი ცხოვრება ვმღერი. მე მგონი სიმღერით დავიბადე, ჩვენს ოჯახში (დედამ, მამამ და მე) შევადგინეთ ოჯახური ტრიო, ვმღეროდით ჩვენთვის, ჩვენი მეგობრებისა და ნაცნობებისათვის“. — გვიამბობს ცინუკი დადიანი.

ძნელად თუ დავსახელებთ მომღერალს, რომელსაც თავისი „ქარიერა“ ხუთი წლის ასაკში დაეწყო. ჩვეულებრივ, ამ ასაკში ბავშვმა არც კი იცის რა არის მუსიკა, არამცთუ მომღერლობაზე ოცნება. მისი ხმა გამოირჩეოდა თანატოლი ბავშვებისაგან. იგი ხმას უცვლიდა სიძლიერესა და ელფერს, განასხვავებდა სიმღერის სტილს, მაღალ ნოტებს, ისე მგზნებარე ემოციურობით, ფრაზის მუსიკალური გააზრებით რომ მსმენელის მხურვალე ინტერესსა და სიყვარულს იმსახურებდა. ამიტომაც იყო, რომ მუსიკის ნიჭით დაჯილდოვებული გოგონა მშობლებმა 1941 წელს მოსკოვში ორ სახელგანთქმულ პროფესორ-ვოკალისტს ვერა სვანცევასა და ნიკოლოზ კრუჩინინს მიუყვანეს მოსამზადებლად კონსერვატორიაში შესასვლელად. ისინი განაცვიფრა ქალიშვილის ვოკალურმა მონაცემებმა, კამერული ნაწარმოებებისა და პოპულარული რუსული რომანსების შესრულებამ.

ამავე დროს მთელი მონდომებით ეწაფებოდა ფორტეპიანოს კლასს, თუმცა ოცნებობდა პროფესიონალი მომღერალი გამხდ-

რიყო. მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო დიდი სამამულო ომი და გოგონას გატაცებას ფრთები შეეკვეცა. იგი საქართველოში დაბრუნდა.

და აი, ამ მრისხანე დღეების შთაგონებით დაწერა მან თავისი პირველი მუსიკალური ნაწარმოები „სიონში შევალ, სანთელს დავანთებ, დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად“. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ ტექსტიცა და მუსიკაც ცინუკი დადიანს ეკუთვნის, ბევრს ეს სიმღერა ხალხური ჰგონია, ხალხის მიერ გათავისებული. იმ ხანად ლექსმაც და მელოდიამაც ძალზე დიდი პოპულარობა მოიპოვა. მღეროდა ყველა, დიდი და პატარა...

გადიოდა წლები, სიმღერით მისი გატაცება თანდათან გზას იკვლევდა პროფესიონალიზმისაკენ.

იგი ახლაც მღელვარებით იხსენებს თავის პირველ სასცენო ნათლობას: ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის ნადეჟდა ხარაძისადმი მიძღვნილი საღამო. მომღერალმა გამოთქვა სურვილი, რომ საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობა მიეღო რომელიმე სიმღერით მოყვარულს. არჩევანი წილად მხვდა მე. საშინლად ვღელავდი, რადგან ერთია იმდერო შენი კოლეგების — ექიმების წინაშე და სულ სხვაა როცა გისმენენ სპეციალისტები, პროფესიონალები. მაშინ შევესრულე პირველად სიმღერა სახალხო პოეტის იეთიმ გურჯის სიტყვებზე — „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“ და წარმატებაც მოვიპოვე“.

ქსოვრელის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად მან შექმნა მუსიკა იეთიმ გურჯის ლექსზე, რომელსაც ძალზე შეენის ცინუკის შესრულება.

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო“, ტიროდა დუდუკების მთელი დასტა, ცინუკი კი ისევ განაგრძობდა: „ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა“... სიმღერა დასრულდა თუ არა, იქუხა ტაშმა, ოვაციებს დასასრული არ უჩანდა, შემსრულებელს აღარ უშვებდნენ სცენიდან. მომღერალს სიხარულის ცრემლებით დანამულ სახეზე ბედნიერების ღიმილი უკრთოდა. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. ცინუკი დადიანის მომხიბვლელი, მგრძობიარე შესრულებით სულ სხვა შნო და ლაზათი პქონდა ამ სიმღერას. იგი ასრულებდა მაღალი პროფესიონალიზმით, სხვათაგან განსხვავებულნი იუანსებით.

ეს იყო სამი ათეული წლის წინათ, მონუსხულივით რომ უსმენდა აუდიტორიით გაქვდილი დარბაზი. ამ დღიდან ც. დადიანს სიმღერისაკენ დაელოცა გზა. ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებების გვერდით ც. დადიანი ქმნიდა საკუთარ სიმღერებსაც. იგი 25 სიმღერის ავტორია.

მოსწონდათ მისი ხმის ტემბრი და გემოვნებით შერჩეული რეპერტუარი, რომელსაც ერთნაირად ამშვენებს ქალაქური სიმღერებიც და ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებებიც...

„ბევრი რომანსი, რომელთაც თავის ღრობზე ასრულებდნენ თამარ წერეთელი და ქეთო ჯაფარიძე, შესულია ჩემს რეპერტუარში“, — ამბობს მომღერალი. „მე ვმღერი ისეთ ძველ რომანსებს, რომლებიც უფრო თანამედროვედ აქედრდნენ, ვიდრე ახალშექმნილი სიმღერები“.

მას განსაკუთრებულად უყვარს ხალხური სიმღერები. ეს გულში ჩამწვდომი ჰანგები შრომას უხალისებს და უადვილებს... „სიმღერა მენმარება მძიმე წუთებშიც და სიხარულის ქამსაც“, — ამბობს ცინუკი, — უამისოდ ვერ ვიცოცხლებდი“.

იგი ასევე დიდი გზნებით ასრულებს საბჭოთა და უცხოელ კომპოზიტორების ნაწარმოებებს, უტყუარი გემოვნებით და ორიგინალური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს მათ.

მსმენელმა შეიყვარა ც. დადიანის შესრულებით გალაკტიონის „კაფეში შევალ“, „დამიჯერე, თუ არ გჯერა“, ი. გრიშაშვილის — „ჩემი აღმართი“, გ. ლეონიძის „გადამავიწყე“, ა. კალანდაძის „მაგნოლია“, ლადო ასათიანის „რა დამავიწყებს“.

იგი გამოდის როგორც ტელევიზიითა და რადიოთი, ისე დიდი ქალაქების სცენებზე, მომღერალმა მონაწილეობა მიიღო გ. ტაბიძის საღამოზე 1976 წელს მოსკოვში. მსმენელი მოხიბლა მომღერლის ჭეშმარიტმა ხელოვნებამ. ხმა მკლერი და დახვეწილი, მოძრაობა ძუნწი. ივსებოდა ყვავილებით სცენა... ოვაციებს, როგორც ყოველთვის, დასასრული არ უჩანდა.

ცინუკი დადიანი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატიაა. იგი შემღერებით, იშვიათი სიღარბაისლითა და მიმზიდველობით, ღრმა განცდით კითხულობს ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“, ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“, აკ. წერეთლის ნაწარმოებებიდან, გალაკტიონის, გოგლას, იეთიმ გურჯის ლექსებს.

ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, ფილარმონი-ის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მსოფლიო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი ტატიანა მახარაძე ბავშვობიდანვე გაიტაცა სასიმღერო ხელოვნებამ. იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მამა და ბიძა მუხლზე დაისვენდნენ და „მამ, გაფრინდი მერცხალოს“ ამღერებდნენ.

შემდეგ ბათუმის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდი, ხელმძღვანელი, პედაგოგი ელენე ჭუბაბრია (კინოფილმი „დარიაო“ მუსიკალურად გააფორმა). პირველად ქალბატონმა ელენემ აზიარა ხალხური სიმღერების ხელოვნებას, ბრწყინვალე ნიჭისა და უბადლო ხმის პატრონი ტატიანა მახარაძე. იგი მუდამ ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ხალხური სიმღერის ყოველ ნიუანსს, მთელი სისრულით გადმოეცა ტექსტი და ლამაზი მელოდია და თავისებური ჟღერადობა მიეცა მისთვის.

ასეთი შემოქმედებითი წვისა და ძიების პროცესში იყო ტ. მახარაძე, ხელოვნების დამსახურებული შოლვაწის ალექსანდრა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ სახელმწიფო მეჩონგურე ქალთა ანსამბლში რომ მივიდა.

კოტე და ალექსანდრა ფოცხვერაშვილებს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდათ ახალგაზრდებთან მუშაობა. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის ტატიანა მახარაძის მუსიკალურად დახვეწა-განვითარებაში.

მეჩონგურე ქალთა ანსამბლის ხელმძღვანელს ალექსანდრა ფოცხვერაშვილს, ჭუთაისში, ანსამბლის ერთმა წევრმა, 15 წლის გოგონა მიუყვანა და უთხრა: პატივცემულო ალექსანდრა. ამ გოგონას ძალზე უყვარს სიმღერაო. ეს იყო 1935 წელს. ალექსანდრა გოგონას მოეფერა, გამოკითხა სად სწავლობდა, რა სიმღერები მოსწონდა და აინტერესებდა. ალექსანდრამ მოუსმინა ტატიანას, მოხიბლა მისი ხმის ტემბრმა და აღუთქვა, რომ ანსამბლში უეჭველად ჩარიცხავდა.

შემდეგ თავისი ქალიშვილი ნათელა გააცნო. გოგონებმა ერთმანეთთან მიმოწერა გამართეს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტატიანა თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო მუშაობა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ანსამბლში. ტატიანამ

ერთ დღეში ისწავლა რამდენიმე ნომერი და ძალზე კარგად შეასრულა. ამის შემდეგ იგი ანსამბლის წამყვანი სოლისტი გახდა და გაწვევებზე მონაწილეობდა კონცერტებში.

მეჩონგურე ქალთა კონცერტებს ყველგან და ყოველთვის ალტაცებით ხვდებოდა საზოგადოება და მათ სისტემატურად ეხმაურებოდა პრესაც, სადაც იბეჭდებოდა წერილები ასეთი სათაურებით „ჩონგურის დაბადება“, „ჩონგურის გაცოცხლება“ და სხვ.

ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა იმოგზაურა საქართველოსა და მთელ სსრ კავშირს სხვადასხვა ქალაქსა და კუთხეში. ანსამბლი ყველგან დიდი წარმატებით გამოდიოდა. მსმენელებს ხიბლავდა ანსამბლის მოხდენილი შესრულება, სიმღერისა და ჩონგურის უღერადობის იშვიათი სიმწყობრე. ანსამბლის რეპერტუარი ძირითადად ქართულ ხალხურ სიმღერებს შეიცავდა.

როდესაც ამ ანსამბლის დეორგანიზაცია მოხდა ტ. მახარაძე ფილარმონიაში მიიწვიეს სოლისტად. ჩონგური ფანდურით შეცვალა, „ჩონგური ხომ თვითონ მღერის, თვითონ ლაპარაკობს“, — გვიამბობს ქალბატონი ტატიანა, „ამიტომ ფანდური ავიღე ხელში და გავედი მსოფლიო არენაზე“. ტ. მახარაძემ შემოიარა ნორვეგია, ინგლისი, იორდანია, შოტლანდია და მაყურებელს აჯადოებდა უბადლო სიმღერებით: „საქართველო“, „თბილისო“, „მინდა გაკოცო, მაკოცო“ და სხვ. ქართული სიმღერები იყო მისი მოწოდება თავიდანვე და აღიარებული ოსტატი ამ სიმღერებით სიამოვნებას ანიჭებდა მსმენელს.

ასევე შთამბეჭდავი იყო ტ. მახარაძის შესრულებით „სიმღერა თბილისზე“ „არწივი ვნახე დაჭრილი“, „მოხეური საცეკვაო“, „თუშური“, „მოხევის ქალო თინაო“, „კარკუჩხით წამაიყვანეს“, „გამოდმით შენ ხარ, გაღმით მე“, „დაიგვიანეს“, „მშვიდად იყავ პატარავ“, „თუში მწყემსის სიმღერა“ სოლო სიმღერები, შესრულებული ესტრადაზე. კინოფილმების კადრების მიღმაც, სიმღერები, რომლებმაც თავის დროზე დაიპყრო საქართველო“. სულხანიშვილის „დაიგვიანეს“ რომლის დრამატიზმიც სულ პირველად მარო თარხნიშვილმა გვაზიარა, შემდეგ კი ტატიანა მახარაძის ძლიერმა ხმამ გაითავისა.

ასევე ტ. მახარაძე ერთ ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი იყო პოპულარული სიმღერების „სულიკო“ და „ციცინათელასი“.



იგი იგონებს თუ რა აღტაცებით მიიღო მსმენელმა ეს სიმღერები ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, შვეციაში, ნორვეგიაში და რუმინეთში. თუ როგორ აღიოდნენ მსმენელები სცენაზე, უხდიდნენ მადლობას და ათვალეირებდნენ ქართველი ქალის სამოსელს, ნაწნაებს, თავსამკაულებს, ამბობდნენ „ჯორჯიას“ და „ჟორჟენს“ და მადლობას აბარებდნენ საქართველოში ასეთი თვითმყოფადი, თავისთავადი მელოდიებისათვის.

განსაკუთრებული საყურადღებო მოვლენა იყო ტ. მახარაძის შემოქმედებაში 1953 წლის 2 აგვისტო. „ახალგაზრდობის მეოთხე მსოფლიო ფესტივალზე“. ქ. ბუქარესტში გამოსვლით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის შემოქმედებით ისტორიაში. სიხარულისა და მშვენიერების ფესტივალი. მეტად ძნელი იყო ამ ფესტივალზე გამარჯვების მოპოვება. აქ ხომ რჩეული მუსიკის შემსრულებლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ამ დღეს მრავალი ქვეყნის მშვიდობის მოყვარე ახალგაზრდობას თავისი ნიჭი და ხელოვნება უნდა ეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის. აქ ხომ რჩეული მუსიკოს-შემსრულებლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ტატიანაც ხომ გულისფანქვალთ ელოდა მაყურებლის წინაშე წარდგომას. მას მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა გულამდე უნდა მიეტანა ქართული ხალხური სიმღერების სურნელება. მღეროდა ტ. მახარაძე, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიტყვები ბევრისათვის გასაგები არ აღმოჩნდა. ბუქარესტში, სადაც ეღერდა ნარნარი იტალიური სიმღერა, ზანგთა სევდიანი ჰანგები, უკვდავი ფრანგული მელოდიები. აქ ზღვა სიმღერებთან ერთად უზარმაზარი დარბაზის თაღებქვეშ გაისმა ქართული სიმღერები. ტ. მახარაძემ ფანდურის სიმებზე მსუბუქად შეათამაშა თითები და წამოიწყო ცეცხლოვანი სიმღერა „საქართველო — ბრძენო დედა“. ტაშის გრიალს ცვლიდა ამ სიმღერის სიტყვები.

მან ქართული სიმღერების ჰარმონიულობა და მელოდიურობა, სიმსუბუქე და სინატიფე, მოქნილობა და პოეტურობა, ეშხი და ელვარება ათასობით ქვეყნის წარმომადგენელს ქართული ჰანგებით, ისე აუბგერა გული, თითქოს ყველა თავის მშობლიურ სიმღერას ისმენდა.

დამთავრდა პირველი ტური თუ არა, ყველას სურდა გულმხურვალედ მისალმებოდა ქართველ მომღერალს. ეიურის წევრები ხელს ართმევდნენ ტატიანას და ულოცავდნენ გამარჯვებას, ერთ-

ერთი პირველი, საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ინდოელი მწერალი ნავთესი მიიჭრა მასთან და პატარა კოლოფით ოქროთ მოვარაყებულ ხმალი გადასცა. და მისი სიმღერით მოჯადოებულმა ასე უთხრა: „ინებეთ, ტატია: ჩემი უმხურვალესი მადლობის ნიშნად, იმ ბედნიერებისა და სიხარულისათვის, რაც თქვენი სიმღერების მოსმენისას ვიგრძენი. თქვენ რომ გისმენდით, სიმღერის სამფლობელოში წარმოვიდგინე თავი. გიგდებდი ყურს და თითქოს მოჯადოებულ განგების ზღვაში ვცურავდი. მადლობთ თბილი და ტკბილი სიმღერისათვის“.

ვინ მოთვლის რამდენი ულოცავდა ტატიანა მახარაძეს, ყველას სურდა ჭეშმარიტად აღტკინებული სიტყვა ეთქვა გამარჯვებული მომღერლისათვის, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ამ ფესტივალზე ლაურეატობის წოდება და ოქროს მედალი. ასთერთმეტი ქვეყნის ყველა წარმომადგენელს ახარებდა მისი ეს გამარჯვება.

ასევე გულწრფელი მილოცვა მიიღო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებსაგან: „გისურვებთ შემოქმედებით ზრდასა და თქვენი ნიჭის გაფურჩქვნას. თქვენ დამსახურებულად მოიპოვეთ ერთი პირველი ადგილთაგან საკავშირო დათვალეიერებაზე: „ბრძოლა მშვიდობისა და დემოკრატიზაციისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ“. ჩვენც მოხიბლული ვართ, რომ ამ დათვალეიერების ერთ-ერთი გამარჯვებულთაგანი თქვენ ხართ — მშვენიერი საქართველოს წარმომადგენელი“, წერდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბარსოვა. ხოლო კომპოზიტორთა კავშირის გენერალურმა დირექტორმა. ხრენიკოვმა ტატიანა მახარაძეს კომპოზიტორთა მეშვიდე პლენუმის კონცერტში მონაწილეობისას უთხრა: თქვენმა სიმღერამ, რომელსაც ესოდენ ოსტატობით ფლობთ, ნამდვილად მაგრძნობინა ქართული ხალხური სიმღერის სურნელება და მომხიბვლელობა. გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ძვირფასო ტატიანა, ჩვენი პლენუმის კონცერტში შემოქმედებითი მონაწილეობისათვის. 1954 წ. 23 იანვარი. ტიხონ ხრენიკოვი“.

პოპულარული მომღერალი ტატიანა მახარაძე როცა „არაგვს“ ასრულებს გვიამბობს ჟურნალისტი ირაკლი არაბული: „მსმენელი დიდი სიმკვეთრით წარმოიდგენს და ღრმად განიცდის იმ პოეტურ მადლსა და ბარაქას, რაც ვეაჟ ამ ლექსს მიანიჭა. ისმენთ ამ სიმღერას და თითქოს თვალთ ხედავთ გიჟმაჟი არაგვის ტალღების დგაფუნს: სიმღერის ინტონაცია და ტალღის ხმაური თითქოს ერთ-

შანეთს ერწყმის, რომელიც ერთ მთლიან აკორდად იქცევა ცეცხლოვან სტრიქონებთან შეხმატებილებით: დამწუხრებულმა, არაგვო, რომ გნახე, გავიხარეო. ამ სიმღერის მოსმენას გადავყავართ იმ სამყაროში, სადაც ეს ლექსი წარმოიშვა. თვალწინ წარმოგიდგებათ ვაჟა: ისიც ხომ თავის უკნობ ქმნილებებს ვიდრე ქალადღზე გადაიტანდა, ფანდურზე დამღეროდა და კმაყოფილების გრძნობით იტყოდა ხოლმე: „კვარტლიან ფანდურს დაუკრავ, ათასჯერ განა ერთხელა“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

დავით გვიშვილი	3
გიორგი სკანდაროვა	8
პაზირა	11
რეთიმ გურჯი	18
ბეჩარა ვასო	26
ლევან კარახანი	30
გრიგოლ ქსოვრელი	38
იოსებ დავითაშვილი	46
ანატონ განჯისკარელი	56
ბეგლარ ახოსპირელი	59
ია ეკალაძე	69
პოლიო ირეთელი	77
ლადო იაშვილი	80
შაქრო ნავთლუღელი	85
ივანე მკედილიშვილი	88
გიორგი ჯაბაური	91
დავით მელაშვილი	100
გრიგოლ ჩარკვიანი	107
იოსებ იმედაშვილი	116
ანა ჟურული-იმედაშვილისა	130
ნარბამ დემურია	134
გიორგი ქუჩიშვილი	147
სენზან ერთაწმინდელი	155
გუგული ბუხნიკაშვილი	162
სიო ხიდისთაველი (კალანდაძე)	170
ივანე გიგოშვილი	173
გიორგი დარისპანაშვილი	184
ვასო კობელი	204
ილი ზურაბიშვილი	211
გიორგი შინატეხელი	216
აექსენტო ცაგარელი	219
ილიკო ქერხული	228
იოსებ გრიშაშვილი	254
ნიკო ასლაშანიშვილი	265

ეკატერინე გაბაშვილი	271
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი	292
შარიაშ გარიყული	307
მარიჯანი	318
არნო ონელი	323
ალექსანდრე შანიძე	333
მოსე თოიძე	349
იერემია გულისაშვილი	355
სოკრატ სულთანიშვილი	366
მიხეილ სულთანიშვილი	372
ივანე შილაყაძე	380
მურმან კიკვაძე	388
ვანო კობახიძე	399
ერმილე ნაკაშიძე	407
ალექსანდრე გიორგობიანი	416
წვიმა და იასამანი	420
არასოდეს დაიბინდება	423
ცინეკი დადიანი	428
ტატიანა მახარაძე	431